



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა
და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა
და სპორტის სამინისტრო



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო
ცენტრი

ავთანდილ თათარაძე

ქართული ხალხური ტექვა

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის
არქივის მასალები



თბილისი
2010

რედაქტორი:

ბაია ასიეშვილი

შემდგენელი:

ურა დვალიშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
პროფესორი

მუსიკალური რედაქტორები:

ნანა ვალიშვილი

ნინო შველიძე

ნანა კალანდაძე

გამოცემაზე მუშაობდნენ:

თამაზ გაბისონია

თეა კასაბური

ეკა გელიაშვილი

გურამ გაბაშვილი

რეცენზენტები:

რეზო ჭანიშვილი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე
პროფესორი

ზაურ ლაზიშვილი

აჭარის ა/რ დამსახურებული არტისტი

საქართველოს დამსახურებული პედაგოგი

დიზაინერი:

დავით რიკიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: შპს „ჯეოლიბრო“

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|--|-----|
| რედაქტორისაბან | 5 |
| შესავალი | 7 |
| ფერხული | 9 |
| ქართული ცეკვის სათავეებთან | 11 |
| ფერხული | 15 |
| ფერხულთა კლასიფიკაცია | 17 |
| სვანური ფერხულები | 19 |
| სამონადირო ფერხულები | 19 |
| ლემჩილ | 19 |
| დალა კოჯას ხელღვაჟაღე | 25 |
| სანადირო | 32 |
| რელიგიურ-რიტუალური ფერხულები | 36 |
| ლიღე | 36 |
| ღაჟღვამ | 41 |
| საბრძოლო და მეომრულ-ღამქრული ფერხულები | 46 |
| მირმიქელა | 46 |
| იავ ქალთი | 49 |
| ყანსავ ყიფიანე | 52 |
| ღაუ ღავხე | 57 |
| მურზა ი ბექსიღ | 62 |
| ღამღარ | 66 |
| უსღვირ ღამღარ | 69 |
| თამარ დედღალ | 72 |
| პატრიოტული ფერხულები | 81 |
| ჩეყარამსა | 81 |
| როსტომ ჭაბიღე | 85 |
| საყოფაცხოვრებო ფერხულები | 89 |
| ღერღიღ | 90 |
| ბიბა | 95 |
| შინა ვორღიღ | 99 |
| რამაიღა | 100 |
| ჯანღიღღ | 102 |
| ცერული | 104 |
| რაჭული ფერხულები | 110 |
| მალღა მთას მოღღა | 113 |
| დიღორსა დასხდენ ვეზირნი | 118 |
| ჟუჟუნა | 122 |
| ქალსა ვისმე | 136 |
| ამირანის ფერხული | 139 |
| თამარ ქალი | 142 |
| ოსიე | 151 |
| ერთხელ ნისქვიღს წასვღისათვის | 153 |
| რამოვღა | 156 |
| ქართული ცეკვის მიმოხიღვა | 159 |
| ქართული | 161 |
| ღავღური | 165 |
| ღურიღი ფერხული | 167 |
| მეღურიღი ფერხულები | 168 |

| | |
|--------------------------------------|------------|
| ჰარირა ----- | 168 |
| დაბრალე ----- | 169 |
| ჯანსულო ----- | 169 |
| მესხური ფერხულები ----- | 170 |
| ხორუმი ----- | 170 |
| გადახვეული ხორუმი ----- | 171 |
| განდაგანა ----- | 172 |
| სამაია — სამა ----- | 173 |
| შუშპარი ----- | 175 |
| მთიულური ----- | 176 |
| მოხეური // ყაზბეგური ----- | 178 |
| ფარიკაობა ----- | 179 |
| კინტოური და ყარაჩოლული ----- | 180 |
| ოსური ცეკვები ----- | 181 |
| სიმდი ----- | 182 |
| მიპატიჟება ----- | 182 |
| ზილგა ქავთ ----- | 182 |
| აფხაზური ცეკვა შარათინი ----- | 183 |
| მეთოდური მითითებანი ----- | 184 |
| დადგმული ცეკვები ----- | 195 |
| ქართული ----- | 197 |
| ძველი თბილისის სურათები ----- | 204 |
| სახუმარო-სატრფიალო ----- | 205 |
| განდაგანა ----- | 224 |
| ფშაველ ქალთა ლხინი ----- | 241 |
| პატარა მწყემსები ----- | 272 |
| თამარ დედფალ ცერულით ----- | 285 |
| მიპატიჟება ----- | 294 |
| ნაბდურა ----- | 302 |
| შინავორგილ ----- | 303 |
| ილეთთა განმარტებანი ----- | 311 |
| ილეთთა განმარტებანი ----- | 313 |
| ქართული ----- | 320 |
| დავლური ----- | 326 |
| მთიულური ----- | 327 |
| ყაზბეგური//მოხეური ----- | 339 |
| ფერხული ----- | 350 |
| ხორუმი ----- | 354 |
| განდაგანა ----- | 359 |
| სამაია ----- | 362 |
| შინა ვორგილ ----- | 363 |
| რამაიდა ----- | 363 |
| ცერული ----- | 364 |
| სიმდი ----- | 366 |
| მიპატიჟება ----- | 367 |
| შარათინ ----- | 368 |
| კინტოური და ყარაჩოლული ----- | 371 |
| ლექსიკონი ----- | 375 |

რედაქტორისაგან

ყოველი წიგნის გამოცემა ხელმეორე სიცოცხლეა ავტორისათვის. ავთანდილ თათარაძის „ქართული ხალხური ცეკვა“ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ერის კულტურულ ცხოვრებაში და ქართული ქორეოლოგიის ისტორიაში, რომლის შესაქმნელად და მეცნიერულ დონეზე ასაყვანად მან ყველაფერი გააკეთა – როგორც შემოქმედმა და როგორც კერძო კაცმა.

ქართული ხალხური ცეკვა, თავისი გენიალობის მიუხედავად, არაა განუხერხებელი თეორიულ-პრაქტიკული ნაშრომებით და ყოველ წიგნს, მით უმეტეს დღეს, მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ავთანდილ თათარაძის ჩანერილი ფერხულები და დადგმული ცეკვები ხალხური ქორეოგრაფიის ოქროს ფონდს განეკუთვნება და უკვე კლასიკადაა ქცეული.

ავთანდილ თათარაძე არ ყოფილა დაუბეჭდავი ავტორი. მან თავის სიცოცხლეშივე გამოსცა რამდენიმე წიგნი (ძველი ქართული (სვანური) ფერხულები, ქართული ცეკვების მოკლე მიმოხილვა, ქართული ცეკვის ილეთთა ტერმინოლოგია...), მაგრამ გამოცემათა ხანდაზმულობა, დაქსაქსულობა, იშვიათობა საშურს ხდიდა მათს ერთად თავმოყრასა და გამოქვეყნებას.

ავთანდილ თათარაძის თითქმის ყველა ნაშრომის დედანი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივშია დაცული. ამას თავისი ისტორია აქვს: ავტორი ორ ათეულ წელზე მეტი მუშაობდა ხალხური შემოქმედების სახლში ქორეოგრაფიული განყოფილების გამგედ და თავისი ნაშრომები, ექსკლუზიური წესითა და უფლებით, პირველად აქ მოჰქონდა, მაგრამ დღემდე ცენტრს ავტორის მინიჭებული უფლებით არ უსარგებლია – მისი არცერთი ნაშრომი არ დაუბეჭდავს. ახლა ავთანდილ თათარაძის მთელმა ნაღვანმა ერთ წიგნში მოიყარა თავი ჩვენ მიერ შერჩეული ტევადი სათაურით – „ქართული ხალხური ცეკვა:“ მასალის სიუხვე, – ქართული ხალხური ცეკვის სათავეებიდან (ფერხულებიდან) ლექსიკონამდე, – იძლევა იმის საშუალებას, რომ ხალხური ცეკვის ისტორიულ განვითარებას თვალი გავადევნოთ და ვიცოდეთ – რისი პატრონები ვიყავით და რა შემოგვრჩა დღეს.

მიზანი გაბედული იყო, საქმე – ურთულესი: საკითხები, თემები ისე უნდა განლაგებულიყო, რომ მთლიანი სურათი შეგვექმნა, ზედმეტისგან, გამეორებებისგან განგვეტვირთა, ზუსტი სიტყვიერი ფაქტურისა და სტილისათვის მოგვერგო. მიუხედავად ამისა, ხელუხლებელი დარჩა დიდი ქორეოგრაფი და ქორეოლოგი ავთანდილ თათარაძე – ცეკვის ჩანერის თავისებური სტილითა და მანერით, ტერმინოლოგიით, ილეთთა განმარტებებით, განუმეორებელი დადგმული ცეკვებით, სვანური და რაჭული ფერხულებით...

წიგნზე მუშაობისას ჩვენ ვეყრდნობოდით მხოლოდ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცულ დედნებს და არ გვისარგებლია არცერთი გამოცემით. ფაქტობრივად, ჩვენს ხელთ იყო ავტორისეული ცინცხალი დედნისეული მასალა და ასე მომზადდა ეს სქელტანიანი გამოცემა.

„ქართულ ხალხურ ცეკვაში“ პირველად სრულყოფილად ქვეყნდება რაჭული ფერხულები. დაიხვენა და უფრო მოქნილი გახდა ილეთთა განმარტებანი. სალექსიკონო ერთეულები განიტვირთა ლექსიკონისათვის შეუსაბამო ინფორმაციით, შემოწმდა და დაზუსტდა ბევრი რამ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: პირველად იბეჭდება ავთანდილ თათარაძის დადგმული ცეკვები, რომლებიც ნიმუშია იმისა, ქორეოგრაფმა ცეკვის დადგმისას, როგორ უნდა გამოიყენოს ტრადიციები, თამაშობები, ავთენტიკური „ცოცხალი მასალა.“ ასეთი ცეკვებია: „სახუმარო-სატრფიალო,“ „ძველი თბილისის სურათები,“ „თამარ დედფალ ცერულით,“ „ფშავ-

ელ ქალთა ლხინი,“ „პატარა მწყემსები.“ „პატარა მწყემსები“ განსაკუთრებით იმ მხრივასაა საინტერესო, რომ საბავშვო ცეკვები თითქმის აღარ შემორჩა ქართულ ფოლკლორს. ცეკვა ხალხური თამაშობის „ქუდმარაობის“ მიხედვითაა დადგმული და მასში თორმეტი-თოთხმეტი წლის ბიჭები მონაწილეობენ.

დადგმულ ცეკვებში შეტანილია ავთანდილ თათარაძის ჩანერილი ჯანო ბაგრატიონის „შინავორგილ“ და დავით ჯავრიშვილის „ნაბდურა“ („მთიულურის“ მიხედვით). სამწუხაროდ, ამ ორი ცეკვის მოძრაობათა აღწერა დაკარგულია, მხოლოდ ფაბულის (შინაარსის) გადარჩენა შეძლო ავთანდილ თათარაძემ.

სვანური და რაჭული ფერხულებისაგან განსხვავებით, დადგმული ცეკვიდან მხოლოდ ზოგიერთს ახლავს მუსიკალური და ტექსტობრივი მასალა. მუსიკალურმა რედაქტორებმა რამდენიმე ცეკვისათვის შეარჩიეს შესაბამისი მუსიკალური გაფორმება. „ფშაველ ქალთა ლხინი“ თავად ავთანდილ თათარაძემ დადგა ანსამბლ „როკვაში.“ აუდიოჩანაწერიდან გაიშიფრა და ნოტებზე ჩაიწერა ძირითადი ინტონაციური მასალა – ოთხი მელოდია.

ფერხულების სანოტო მასალის რედაქტირებისას დაზუსტდა მართლწერის საკითხები. ზოგან საჭირო გახდა მეტრ-რიტმული კორექტივების შეტანა, ზოგან, აუცილებლობის მიუხედავად, ამის გაკეთება ვერ მოხერხდა, რადგან ფერხულის ქორეოგრაფიული აღწერა ზუსტად მისდევდა სანოტო ჩანაწერს (რაჭული „ამირანი“ ჩანერილია 4/4 ზომაში, მუსიკალური პარამეტრების მიხედვით კი 6/8-ს მოითხოვს; სვანური „გაუ გავხე“ პირიქით: ჩანერილია 6/8-ზე და უნდა იყოს 4/4).

სვანური ფერხულების ტექსტებზე მუშაობისას გამოიკვეთა ერთი პრობლემა: ფერხულები და მათი ტექსტები იმდენად ძველია, რომ დღეს ტექსტის სიტყვების მნიშვნელობა თითო-ოროლამ თუ იცის. ჩვენ დავიხმარეთ სვანური ენის მცოდნენი, მაგრამ ეს საკითხი უფრო ხანგრძლივ და დაკვირვებულ მუშაობას მოითხოვს, თანაც ადგილზე – სვანეთში. სვანური სიმღერების გამოცემა, სიმღერა-ცეკვის ტექსტების დაზუსტება, მათი შესაბამისი პნკარედების გაკეთება საშური და გადაუდებელია.

ქართული ხალხური ცეკვის სახელმძღვანელოს დაწერა მომავლის საქმეა, მაგრამ ამ წიგნს ნამდვილად შეუძლია შეასრულოს დამხმარე სახელმძღვანელოს როლი და ამ იშვიათი ნაშრომებით ისარგებლონ ქორეოგრაფ-ქორეოლოგებმა, სტუდენტებმა და მოცეკვავეებმა.

წიგნზე მუშაობისას განეული დახმარებისათვის გულითად მადლობას ვუხდით მზიური ასუმბანს, მანანა და ერეკლე საღლიანებს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს და სიმონ ჯანაშიას მუზეუმის თანამშრომელს – მინდია ჯალაბაძეს.

ბაია ასიეშვილი

შ მ ს ა ვ ა ლ ი

ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმოშობა უშორეს წარსულში იღებს სათავეს და თავდაპირველად იგი ნადირობას — შრომის პირველად სახეობას — უკავშირდებოდა, თუმცა იმ დროისათვის ეს თეტიკური სიამოვნების ფაქტორი გამორიცხული იყო და, როგორც ნადირობის ხელისშემწყობი საშუალება, მხოლოდ უტილიტარული მნიშვნელობით არსებობდა. სამონადირო ცეკვის სანყისი ფორმა ჩავლილი ნადირობის პროცესს ასახავდა, ნადირობის შემდეგ ნანადირევის გარშემო გაცეკვება-გათამაშებით სრულდებოდა და მისი მიზანი ნადირობის პროცესის პლასტიკური ხერხებით გადმოცემა იყო.

უძველესი ადამიანები თავიანთი არსებობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივ შრომას ეწეოდნენ: ნადირობა რომ უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო, მასში მთელი ტომი მონაწილეობდა და, ამდენად, შრომის კოლექტიურ პროცესს — სამონადირო ცეკვას — მრავალრიცხოვანი შემსრულებელი ჰყავდა. იგი თავიდანვე ფერხულის სახით სრულდებოდა, რომელსაც, ჩვენი აზრით, აუცილებლად წრიული ფორმა ჰქონდა. ამას ნადირობის დროს ნადირთა ჯერ წრეში (ანუ ალყაში) მოქცევა და შემდეგ მათზე თავდასხმა განაპირობებდა.

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მამაკაცისა და ქალის შრომის განაწილება და განსხვავებამ თავისთავად ჩაუყარა საფუძველი მამაკაცთა და ქალთა ცეკვების შექმნას.

თავდაპირველად მამაკაცთა სამონადირო და საბრძოლო ხასიათის ცეკვებში ქალთა მონაწილეობა დაუშვებელი იყო. ფიქრობენ, რომ ქალ-ვაჟთა ცეკვა გვიან პერიოდს მიეკუთვნება და ამიტომაც უძველეს საზოგადოებაში მას იშვიათად ვხვდებით.

ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმოშობასთან დაკავშირებით ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრება არსებობს: ერთნი ცეკვას ყველაზე ადრინდელ, სრულიად დამოუკიდებელ, ხელოვნებად მიიჩნევენ, მეორენი კი მას თეატრალური ხელოვნების შემადგენელ ნაწილად წარმოგვიდგენენ, მისი წარმოშობის საფუძველს თეატრალურ ხელოვნებასა და მასში შემავალ კომპონენტებთან უშუალო კავშირში ხედავენ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ქართველი მეცნიერი ბორის ნონონავა, რომლის აზრით, „თავდაპირველად ცეკვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სიმღერასთან, პანტომიმასთან, თეატრალურ წარმოდგენებთან. ცეკვა შეადგენდა თეატრალური სანახაობის ერთ-ერთ ნაწილს. მაგრამ დროთა ვითარებაში იგი ყალიბდება ხელოვნების ცალკეულ დარგად და უჩნდება განვითარების დამოუკიდებელი გზები“ („მარქსისტული ესთეტიკის საფუძვლები,“ თბ. 1968, გვ. 260). მაგრამ სრულიად სანინააღმდეგო მოსაზრებას გვთავაზობს თეატრმცოდნე ა. ავდევი: „სწორედ მონადირული შენიღბვა გახდა წინაპირობა მონადირული ცეკვის შექმნისა. ეს უკანასკნელი კი (ცეკვა) იკავებს არსებით ადგილს თეატრალური ხელოვნების წარმოქმნისა და ფორმირების პროცესში“ (А. Ф. Авдеев, „Происхождение театра,“ Л. М. 1959г. стр.51).

იგივე შეიძლება ითქვას ცეკვა-სიმღერის ურთიერთკავშირის შესახებაც. ვინაიდან უძველესი სამონადირო ცეკვა ძირითადად ნადირობის პროცესის გათამაშება-გამეორება იყო, რომელსაც თხრობისა და სამონადირო ხერხებში განვრთნა-გავარჯიშების მნიშვნელობაც ჰქონდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ სახით წარმოდგენილ სანახაობას ჩანასახშივე აუცილებლად სიმღერა ახლდა.

ხშიერი, ანუ სასიმღერო, მუსიკის წარმოშობის შესახებ საინტერესო ცნობას გვანვდის ივანე ჯავახიშვილი: „ქართული ხშიერი მუსიკა პირველად თამაშობასთან ყოფილა განუყრელად დაკავშირებული და იქ ყოფილა სწორედ მისი სათავე“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ თბ. 1938, გვ. 238). ვფიქრობთ, სიტყვა „თამაშობაში“ ავტორი ცეკვას გულისხმობს და სიმღერის წარმოშობის სათავესაც სწორედ ცეკვის ხელოვნებაში ხედავს.

რაც შეეხება საკრავიერი მუსიკის აკომპანემენტად გამოყენებას, იგი სინამდვილის ამსახველ სამონადირო ცეკვაში, ჯადოქრული ელემენტების თანდათანობით შეჭრისა და ცეკვის მაგიური მნიშვნელობის მიღების შემდეგ უნდა დამკვიდრებულიყო. ამან კი მოითხოვა ცეკვის არა მხოლოდ ნადირობის შემდეგ შესრულება, არამედ — ნადირობის წინ და ნადირობათა შორისაც. ამდენად, აუცილებელი გახდა იმ დროს გავრცელებული მასობრივი ქორეოგრაფიის საცეკვაო მოძრაობების თანდათანობით ერთ რიტმში მოქცევა და ცეკვის პროცესში აკომპანემენტის დამკვიდრება.

ცეკვის აკომპანემენტის საწყის ფორმად, პირველ რიგში, არა სიმღერა, არამედ დასარტყამი საკრავების შესატყვისი ყველაზე მარტივი სახეობის — ქვისა და ხის ნაჭრების — გამოყენების ტრადიცია უნდა მივიჩნიოთ (არაბულად **დამ** ქვას ნიშნავს). **დამიდან**, ანუ ქვიდან, უნდა წარმოშობილიყო სიტყვა **ტამი**. თავდაპირველად აკომპანემენტად ცეკვას სწორედ ქვების ერთმანეთზე შემოკვრა ახლდა, რომელიც შემდეგ ტამის ცემაში გადაიზარდა.

უდავოა, რომ პანტომიმა, ანუ პლასტიკური და მიმიკური ჟესტი, თავიდანვე ახლდა ცეკვას და დღესაც, როგორც მისი ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი, მეტ-ნაკლებად ემსახურება ქორეოგრაფიული ხელოვნების ყოველ სახეობას.

ზემოთქმულის მიხედვით, საფუძველსმოკლებულია მოსაზრება, რომელიც ცეკვის აღმოცენების პროცესს ხელოვნების სხვა სახეობებთან კომპლექსში განიხილავს და მის დამოუკიდებელ წარმოშობას უარყოფს.

როგორც აღვნიშნეთ, სინამდვილის ამსახველი სამონადირო ცეკვა ჩანასახში გამორიცხავდა მაგიურ ელემენტს და უშუალოდ მოგვითხრობდა ნადირობის პროცესს. ცხოველებში თავდაცვის ინსტინქტის ზრდისა და ნადირობის გართულების გამო, უძველესი ადამიანი იძულებული გახდა, რწმენაში შეეტანა მაგია, მაგრამ ცხოველებში მან მხოლოდ მოწინააღმდეგე ან მტერი კი არ დაინახა, არამედ მფარველი და მეგობარი. ადამიანმა ტოტემად ის ცხოველები მიიჩნია, რომლებიც, თავიანთი აზრით, ხელს უწყობდნენ ნადირობაში. **ტოტემი** ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ოჯიბვეს ტომის ენაზე „თავის გვარს“, „თავის მოდგმას“, „ჩამომავლობას“ ნიშნავს. ტოტემური ცეკვა იმ ცხოველთა თაყვანისცემას გამოხატავდა, რომელშიც უძველესმა ადამიანმა საკუთარი ნათესავი და მფარველი დაინახა.

„ვინ ხარ შენ,“ „რომელ ცეკვას ცეკვავ?“ — ამით არკვევდნენ ძველთაძველი ტომები ურთიერთ-შორის ნათესაურ კავშირს, მტერ-მოყვარეს — ცეკვავდნენ თუ არა იმ ცხოველის ცეკვას, რომელიც მათ ენათესავებოდა.

გერმანელი ეთნოგრაფი ფრეზერი მაგიური მნიშვნელობის ტოტემური ცეკვის შესახებ წერს: „ისინი თავიანთი ჯადოქრობით აიძულებდნენ გარეულ ცხოველებს ხელში ჩაიკვებოდნენ მონადირეს“ (А.Ф. Авдеев, „Происхождение театра,“ Л.М. 1959. стр. 51). უძველეს ადამიანთა წარმოდგენით, ცხოველთან, როგორც კეთილ მეზობელთან, საჭირო იყო წინასწარი მოლაპარაკება, რათა მონადირეს მოაკვლევინოს თავი, მონადირე კი მადლობის ნიშნად — მისი სიცოცხლის დასაბრუნებლად — შეასრულებს ცხოველის სათაყვანებელ ცერემონიალს. უძველესი ადამიანის გონებაში ჩამოყალიბებული ეს აზრი მაგიური შინაარსის ტოტემური ცეკვის წარმოშობის საფუძველად უნდა მივიჩნიოთ.

სამონადირო ცეკვაში მაგიური ელემენტის შეჭრამ თავისებურად შეცვალა მისი შინაარსიცა და ფორმაც: შინაარსი თვით ცხოველის „ცხოვრებისეული სურათია“ — მისი თვისებები, ქცევები, თავგადასავლები და სხვა. ფორმაში კი შენიღბულ შემსრულებელთა ერთი ნაწილი განასახიერებს მონადირეს, მეორე — ცხოველს. ტოტემურ ცეკვაში თითოეულ შემსრულებელს უკეთია მხოლოდ ტოტემად აღიარებული ცხოველის ნიღაბი და ცეკვაშიც მასვე განასახიერებს. ნადირობისას მონადირის მიერ სახის დაფარვა თავისი მონათესავე ცხოველის ნიღბით, რომელზეც იგი იმჟამად ნადირობს, განპირობებულია ჯოგთან მიახლოების აუცილებლობით. ამდენად, მონადირულ შენიღბვას და მასთან დაკავშირებით წარმოშობილ სინამდვილის ამსახველ ცეკვას, ცეკვის ჩასახვის პროცესში, გარდა უტილიტარულისა, არც თეატრალური — გართობა-თამაშობის — და არც სხვა მნიშვნელობა არ გააჩნია. როგორც ჩანს, ცეკვის ხელოვნება ხელოვნების სხვა დარგებს მხოლოდ მოგვიანებით დაუკავშირდა და არა პირიქით: თითქოსდა იგი ჯერ მათში ჩაისახა და მხოლოდ შემდეგ გამოეყო, როგორც ამას ბორის ნონონავა ამტკიცებს.

ტოტემიზმის წარმოშობაში მკვლევართა ერთი ნაწილი რელიგიის ჩანასახს ხედავს, მეორენი რელიგიურ-სოციალურ მოვლენად მიიჩნევენ. არის მოსაზრება, რომ იგი მხოლოდ გვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საკვალიფიკაციო სოციალური სისტემაა, რომელიც ეფუძნება არა ღვთაებრივ, არამედ ხალხის ჯგუფის ნათესაობას ცხოველთა გარკვეულ ჯიშთან — ნათესაური დამოკიდებულების ობიექტთან — რომელზედაც მაგიური ზემოქმედების გამოყენებას ცდილობენ.

ჩვენი აზრით, რადგანაც ტოტემიზმი უშუალოდ ნადირობიდან იღებს სათავეს და მისი მიზანიც ნადირობაში წარმატების მოპოვებაა, ამიტომ ტოტემიზმიდან უნდა გამოირიცხოს მისტიკის ელემენტის დიდი ნაწილი და დარჩეს მხოლოდ ის მცირედი მარცვალი, რომელმაც ხელი შეუწყო ცხოველის ღვთაებად აღიარებას, მისი კულტის — ზოომორფიზმის — წარმოშობას, შემდეგ კი რელიგიური მიმდინარეობის ანთროპომორფიზმის ჩამოყალიბებას, რომელშიც ცხოველთა ღვთაება ადამიანის სახითაა წარმოდგენილი.

ფეხსეული

ქართული ცეკვის სათავეებთან

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ხალხთა ყოფაში, ნადირობას საპატიო ადგილი ეჭირა. ნადირობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს ზოგიერთმა კუთხემ დღემდე შემოინახა რიტუალური და საფერხულო წყობის სამონადირო ცეკვები.


ნადირობის ცხოვრებისეულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ნადირობის პროცესის ამსახველი ქართული სახვითი ხელოვნების უძველესი ნიმუშები, კერძოდ, თრიალეთის ვერცხლის სარწყული (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანა. ნახ. 1).



თრიალეთის ვერცხლის სარწყული
ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანა (სურ. 1)



თრიალეთის ბრინჯაოს სარტყელი
ირმებსა და ფანტასტიკურ ცხოველებზე ღვთაებრივი ნადირობა
მარალინ-დერესის სამაროვანი, ძვ.წ. II ათასწლეული (სურ. 2)



ბრინჯაოს სარტყელი
ირმებზე ღვთაებრივი ნადირობის სცენა
სამთავროს სამაროვანი (სურ. 3)

უძველესი ქართული ქორეოგრაფიული ნიმუშები მატრიარქატისა და ნადირობის ღვთაებათა თაყვანისცემის ხანას უკავშირდება. ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ყველაზე უძველეს ქმნილებებში ნათლად ჩანს მსოფლიო ქორეოგრაფიული ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების პროცესის ნაკვალევი. მადლიერებით უნდა მოვიხსენოთ ჩვენი წინაპრები, კერძოდ, სვანები, რომელთაც თაობიდან თაობას გადასცეს და დღემდე ცოცხალი სახით შემოგვინახეს ანთროპომორფიზმის პერიოდის უძველესი ქორეოგრაფია — ნადირობის ქალღვთაება დალის სათაყვანებელი ფერხულები „დალა კოჯას ხელღვაჟაღე“ (დალი კლდეში მშობიარობს) და „ბაილ ბეთქილ.“

ქართული ქორეოგრაფიის წარსული არ გამორიცხავს ზოომორფიზმის ნიმუშების არსებობასაც, რომელთა შორის აღსანიშნავია ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანის თრიალეთის ვერცხლის სასმისი: ტუნიკით მოსილი მხეცისთავიან არსებათა საფერხულო მსვლელობა ნიღბიანი პერსონაჟის გარშემო.

ბორის კუფტინის აზრით, თასზე გამოსახული სცენა თავდაპირველად ნადირობის ღვთაებას უკავშირდებოდა, შემდეგ კი ბუნების ალორძინებისა და ნაყოფიერების ღვთაებად გარდაიქმნა.

მიხეილ ჩიქოვანი თრიალეთის ვერცხლის სასმისზე გამოსახულ ნიღბოსანთა საფერხულო მსვლელობას ნადირობის ქალღმერთის — დალის — პატივსაცემ რიტუალად მიიჩნევს.

პ. უშაკოვის მოსაზრებით, სასმისზე გამოსახული სცენა ხეთების მსგავსია და გამოსახტავს გაზაფხულის (გაცოცხლების) ღვთაება თელეპინუსისადმი თაყვანისცემას.



თრიალეთის ვერცხლის სასმისი
საფერხულო სვლა სამსხვერპლოს გარშემო
ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანა (სურ. 4)

შალვა ამირანაშვილს მიაჩნია, რომ თრიალეთის ვერცხლის სასმისზე ასახულია ნიღბოსანთა მოძრაობა სამსხვერპლოს გარშემო — წრის შიგნითა ნიღბოსანი პერსონაჟით. მოძრავი ფერხული — ოცდასამი ნიღბოსნის მსვლელობა წრეზე ერთ რიგად — ერთმანეთის ზურგს უკან სიმეტრიულად განლაგებული მეფერხულენი: ყოველი შემსრულებელი მოძრაობის პოზაშია — თითოეული წელშია გამართული და გადადგმული აქვს მარჯვენა ფეხით წინ სრული ნაბიჯი, თუმცა ორივე ფეხი მთელი ტერფით მინას ეხება, სხეულის სიმძიმე მაინც მარცხენა ფეხზეა დარჩენილი. მეფერხულეთა მკლავები იდაყვის სახსარში 45⁰-ით მოხრილია და წინ გატანილ მარჯვენა ხელში სასმისი უჭირავთ.

ზოომორფიზმის უძველეს ქორეოგრაფიულ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად რიონში, ხევსურეთში, კავკავსა (ვლადიკავკაზი) და დაღესტანში აღმოჩენილი ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანის ითიფალური ქანდაკებები. თითოეული ქანდაკება მოცეკვავის პოზაშია, ზოგს რქოსანი ცხოველის ნიღბი უკეთია.

შალვა ამირანაშვილი ითიფალური ქანდაკებების მიხედვით ასკვნის: „ეს ქანდაკებები ფეხებისა და ხელების მოძრაობების მხრივ ფერხულში მონაწილეთა გამოსახულება უნდა იყოს“ (შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1943, გვ.72-73). ქანდაკებებს შორის ხელიხელჩაკიდებული, მუხლებში მოხრილი მამაკაცის ორი ფიგურა საბრძოლო შინაარსის საფერხულო წყობის მასობრივი ცეკვის „ხორუმის“ ძირითად ილეთს — „ფარულა წინსვლას“ — განასახიერებს.



ითიფალური ქანდაკებაჲი რქოსან ცხოველთა ნიღბებით
ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანა (სურ. 5)

დიმიტრი ჯანელიძის აზრით, „ამ ქანდაკებებში დიდი ნაირსახეობით არის წარმოდგენილი საცეკვაო მოძრაობანი და ილეთები... ითიფალურ ქანდაკებებში ნიღბოსან მოცეკვავეთა ასეთი ნაირსახეობა მდიდარი და მნიშვნელოვანი მასალაა ზოგადად ქართული სანახაობითი ხელოვნების ისტორიისათვის, კერძოდ, ქართული ქორეოგრაფიისათვის“ (დიმიტრი ჯანელიძე „ქართული თეატრის ხალხური სანყისები,“ თბ. 1948, გვ. 22).

ითიფალურ ქანდაკებათა ხელების მოძრაობა:

- ხელმობმა
- მკლავებგაშლა
- ხელეზაპყრობა
- ხელების წინ ჩამოშვება
- ცალხელდოინჯი და ცალი ხელის თავთან მიტანა
- ხელდაკრეფა
- ორივე ხელის თავზე დანყობა

ფეხების მოძრაობა:

- ფეხების ერთმანეთთან მიწყობა
- მარჯვენა ფეხის განზე გადგმა და სხეულის მისკენ გადახრა
- მარცხენა ფეხის განზე გადგმა და სხეულის მისკენ გადახრა
- ფეხგაშლა
- ფეხგაშლილი ბუქნი

ქანდაკებებში ასახული მოძრაობანი სრულიად ანალოგიურია ქართულ ხალხურ ცეკვებში დღესდღეობით არსებული მკლავებისა და ფეხების მოძრაობა-მდგომარეობისა. ეს კი იმაზე მიუთითებს, თუ რა დიდი გულისყურით ეკიდებოდა ქართველი ერი წინაპართა საცეკვაო შემოქმედებას და მისი თაობიდან თაობაზე გადაცემის ტრადიციას — ხელების მოძრაობა ერთნაირია ძველად და ახლაც.

ფერხულის უძველესობაზე მეტყველებს ზოომორფიზმის ერთ-ერთი ქორეოგრაფიული ნიმუში — ძვ.წ. I ათასწლეულის ნაბალრევის ბრინჯაოს სარტყელი: ერთრიგად მოწყობილი, ერთმანეთის მხრებზე ხელეზანყობილი ცხოველის ნიღბიან მამაკაცთა ცეკვის ორი კომპოზიცია: მამაკაცთა ოთხკაციანი ჯგუფი, თრიალეთის ვერცხლის სასმისზე გამოხატულ შენიღბულ არსებათა მსგავსად, საფერხულო მსვლელობას განასახიერებს — თითოეული, წინგადადგმული ერთი ნაბიჯით და ცალი

ხელით, წინმდგომი მეფერხულის მხარს ეხება. ირმებს შორის გამოსახული ადამიანები, ნადირობის პროცესს კი არ განასახიერებენ, არამედ მხოლოდ საცეკვაო რიტუალს (ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიისათვის ეს მეტად საინტერესო ცნობა მოგვანოდა პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ).



**ნაბაღრაჰის ბრინჯაოს სარტყელი ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებით
მხეცისთავიან არსებათა რიტუალური ცეკვის ორი სცენა
ძვ.წ. I ათასწლეული (სურ. 6)**

საქართველოში ზოომორფიზმის ნიმუშების არსებობა დასტურდება სხვა ისტორიული მასალებითაც:

- კოლხური მონეტები ხარის თავის გამოსახულებით (ძვ.წ. V ს.).
- სვანეთის ღერბი — დროშაზე დათვის გამოსახულებით.
- ოდიშის ღერბი — დროშაზე ტახისა და ფრინველის გამოსახულებით.
- ალამი — აზრეშუმის ქსოვილისაგან დამზადებული ლომის ფიგურა (სვანეთი).

ცხოველების ნიღბებითა და ბენვით ადამიანთა შემოსვა-შენიღვას, ცხოველთა თაყვანისცემას ასახავს ნიღბების ძველი ქართული ხალხური იმპროვიზებული სანახაობა — „ბერიკაობა.“ საბერიკაო სანახაობაში გამოყენებულია, როგორც საფერხულო წყობის მასობრივი ქორეოგრაფია, — „დათო,“ „დათუნა,“ „დათვობია,“ „დათუა,“ „დათვი და მგელი“ და სხვა, — ასევე ცალად და წყვილად ცეკვების ნაირსახეობა.



ბერიკაობა (სურ. 7)

დიმიტრი ჯანელიძის აზრით, „ბერიკაობაში“ ჩართულ ქორეოგრაფიის ყველა ადრინდელ ნიმუშს ფერხულის ფორმა აქვს: „ბერიკაობაში“ საფერხულო მწყობრი ადრინდელი, უძველესი ხანის მისტერიებისა და საკულტო ცერემონიალების ნაშთს წარმოადგენს. შემდგომში მნიშვნელობა დაუკარგავს და სანახაობის მთავარ ძალად წრის შიგნითა მოთამაშე ბერიკები ქცეულან“ (დ. ჯანელიძე, „ქართული თეატრის ხალხური საწყისები,“ თბ. 1948 წ. გვ. 431).

ფერხული

საქართველომ, ჩვენდა სასახელოდ, დღემდე შემოინახა ძველთაძველი ქორეოგრაფიული ნაკვალევი „ცოცხალი ფერხულების“ სახით.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შესწავლა საქართველოში შემორჩენილი იმ უძველესი ფერხულებით უნდა დავიწყოთ, რომელთა მსგავსიც, ჩვენი აზრით, ცივილიზებულ მსოფლიოში არ მოიპოვება.

ფერხული, ხალხური ხელოვნების ეს უძველესი ფორმა, გამოხატავს გუნდობრივ ცეკვას სიმღერით და იგი მომღერალ-მოცეკვავე გუნდის უძველესი ქართული სახელწოდებაა. ფერხულის გავრცელების სფერო მოიცავდა თითქმის მთელ მსოფლიოს და ძირითადად წრიული ფორმა ჰქონდა. ამას განაპირობებდა მისი უძველესი წარმოშობა — სამონადირო საფუძველი.

ფერხული, მასობრივი ცეკვის საწყისი ფორმა და მსოფლიო ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის საფუძველი, ახასიათებდა საქართველოს ყველა კუთხეს. ვფიქრობთ, ეს ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა ხალხსავით ქართველთა წინაპრებმაც, მეტ-ნაკლებად, ერთნაირად გაიარეს განვითარების საფეხური და მასთან დაკავშირებული სამონადირო ფერხულების წარმოშობის პროცესიც.

ფერხულს სულხან-საბა ასე განმარტავს: „ფერჴული – მგრგუალთ(ა) ნყობა.“ „წელმნიფის კარის გარიგებაში“ (XIVს.) ნათქვამია: „...მონადირენი ლამპარსა ანთებულსა მხარსა შეიდებენ, ეგრე მგრგუალსა დააბმენ“ (დიმიტრი ჯანელიძე, „ქართული თეატრის ხალხური საწყისები,“ თბ. 1948 წ. გვ. 154).

წყაროებში ნახსენები „მგრგუალის“ ასახსენლად საინტერესოა სვანურში შემონახული „მურგვალ,“ რომელიც მთელს, ყველას ნიშნავს. სვანეთში ზოგიერთი ადრინდელი ფერხულის ფეხების მოძრაობათა ნაერთს „მურგვალ ჭიშხი,“ ანუ „მრგვალი ფეხი,“ ეწოდება. ასეთი რამ ალბათ იმ სვანურ ფერხულებს ახასიათებდათ, რომელთაც აუცილებლად წრიული ფორმა ჰქონდათ და ჯერ კიდევ „მრგვალის“ სახელწოდებით არსებობდა. აქედან შეიძლება ვიფიქროთ: „მრგვალი“ ფერხულის თავდაპირველი სახელწოდება უნდა იყოს, ვინაიდან ნანადირევის გარშემო შესრულებული ყველაზე ადრინდელი სამონადირო მასობრივი ცეკვის ფორმა, უდავოდ, მრგვალი უნდა ყოფილიყო.

წმიდა წერილში, ისტორიულ წყაროებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ფერხულის აღმნიშვნელი ტერმინია **ძნობა, მძნობარი** კი მოცეკვავეთა გუნდს ნიშნავს, მაგრამ ამ მნიშვნელობით ის მხოლოდ XI საუკუნემდე გვხვდება. შემდეგ ძნობა მუსიკას უკავშირდება. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „... ძნობა, ძნობარი, მძნობარი გუნდობრივის გამოხატველი ყოფილა, ამიტომ საფიქრებელია, რომ იმავე ძირის სიტყვა იყოს, რა ძირისაც „ძნა,“ რომელიც, საბას განმარტებით, „ყანის კონას“ ნიშნავს. შესაძლებელია ამის გამო გვეფიქრა, რომ „ძნობა“ ფერხულისა და ფერხისას მსგავსი ხელიხელჩაკიდებული მობმით როკვისა და „მძნობარი“ კიდევ მროკველთა გუნდის აღმნიშვნელი ყოფილიყო თავდაპირველად“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები,“ თბ. 1938, გვ. 31-52).

მართლაც, ხელებით წელში ჩაჭიდებული მეფერხულენის პურის ძნასთან, ანუ შუაზე ნამჯაგადაჭერილი ყანის კონასთან მსგავსებამ უდავოდ შექმნა საფუძველი წრიული ფერხულების ზოგადი სახელწოდების — **ძნობის** წარმოშობისა.

ძნობასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი კიდევ ერთ საყურადღებო განმარტებას იძლევა: „... „ძნობარი“ თუ „მძნობარი“ უძველეს ხანაში უფრო სარწმუნოებრივი ცეკვის აღმსრულებლებს გულისხმობდენ“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები,“ თბ. 1938, გვ. 31-52).

ასევე ფერხულის უძველეს სახელად მიჩნეულია **მწყობრი, სამწყობრო. მწყობრი — შეწყობილი, სამწყობრო** — მუსიკათ(ა) განყოფილება (საბა). ვფიქრობთ, მათში სულხან-საბა ძირითადად შეწყობილ განლაგებასა და სვლას გულისხმობს. ამდენად, შეიძლება ითქვას: მწყობრი იმ ტიპის ფერხულებს აღნიშნავდა, რომელთაც, წრიული ფერხულებისაგან განსხვავებით, მწკრიული ნყოფა ახასიათებდათ და ისინი ფერჴისები უფრო იყო, ვიდრე ფერჴულები. ამიტომ მწყობრი შეიძლება ფერჴისას ადრინდელ სახელწოდებად მივიჩნიოთ.

თვით სიმღერაც ადრე არ გამოორიცხავდა ცეკვას და სიმღერა-თამაშობას ერთდროულად გამოხატავდა: „თავდაპირველად და უძველეს ხანაში მღერა არ ყოფილა გალობის სინონიმი. მაშინ მღერა თამაშობასაც ნიშნავდა. XI საუკუნის ძეგლებში მღერა წინანდებურად თამაშობასა და გართობას ნიშნავს. XII ს. ძეგლებში კი უკვე საერო გალობის აღმნიშვნელია და სიმღერასაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ამ ტერმინის მნიშვნელობა ახლა გვესმის“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები,“ თბ. 1938, გვ. 31-52).

როგორც ამ მოსაზრებიდან ჩანს, **სიმღერას**, ანუ **მღერას**, საერო გალობის ცალკე მნიშვნელობა მხოლოდ XII საუკუნეში ენიჭება. მანამდე იგი ცეკვა-სიმღერას ერთდროულად გულისხმობდა. როგორც ჩანს, ცეკვა და სიმღერა მაშინ უნდა გათიშულიყო, როდესაც, ივანე ჯავახიშვილის თქმით, „სავალდებულო სიტყვების თარგმნა და შექმნა და მისთვის ჰანგის დანერა, თუ ამაზე უწინარეს არა მაინცდამაინც, XII საუკუნის დამდეგს უკვე სხვადასხვა სპეციალობად ყოფილა ქცეული.“ მეცნიერი იქვე აღნიშნავს: დავით აღმაშენებლის დროს ხმის დამდებელთა, ანუ კომპოზიტორთა, შორის ყველაზე განთქმულს **ხელოვანთმთავარი** ეწოდებოდაო. უნდა ვიფიქროთ, რომ ხელოვანთმთავარი მანამდე უნდა წარმოშობილიყო, ვიდრე ხელოვნების სხვადასხვა დარგი ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა, მუსიკალური და სიტყვიერი ხელოვნება კი ცეკვას ჩამოშორდებოდა. გამოდის, რომ მთელი შემოქმედებითი პროცესი ერთ ხელოვანთმთავარში იყრიდა თავს და გამოორიცხული არ არის, უძველესი ფერხულების სიტყვებისა და ჰანგის შექმნასთან ერთად, თავადვე ქმნიდა ფეხების რიტმულ მოძრაობებსაც. მათი დანაწევრების შემდეგ, მუსიკისა და ტექსტის შემქმნელთან ერთად, წარმოიშვა ფერხულის ფეხის მოძრაობების თანმიმდევრობის დამდგენი — ქორეოგრაფი.

ძნელი დასადგენია, როდის ჩამოყალიბდა საქართველოში ცალკე ეს სპეციალობა და ეწოდებოდა თუ არა ფერხულში ფეხის მოძრაობების დამდგენს რაიმე სპეციალური სახელი, თუმცა ერთი ცხადია: გადმოცემის მიხედვით, ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეებში, ერთ-ერთ სვანურ ფერხულს — **ჩეყარამსას** — ფეხის მოძრაობათა კომპლექსის დამდგენის სახელი ეწოდა. **ჩეყა** სწორედ ფერხულის ფეხის მოძრაობათა დამდგენის სახელია, **რამსა** კი სვლას ნიშნავს. **ჩეყას სვლა**, ანუ ფერხულისათვის მან შეარჩია ფეხების მოძრაობათა კომპლექსი — **საფერხულო ფეხის** თავისებური კომპოზიცია.

რაც შეეხება თვით ტერმინი **ფერჯულის** წარმოშობას: დღეისათვის ფერხული სამ ძირითად კომპონენტს შეიცავს — სიტყვას, ანუ ტექსტს, სიმღერას და ფეხებით შესრულებულ საცეკვაო მოძრაობებს, მაგრამ ეტიმოლოგიურად იგი მაინც ფეხთან კავშირშია (ფერჯი — ფეხი), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფერჯული უფრო ადრინდელია და, სიტყვისა და მუსიკის შეერთებამდე, იგი ცეკვისა და პანტომიმის სახით არსებობდა — მხოლოდ დასარტყამი საკრავების აკომპანემენტით.

ქართველურ ენებში — მეგრულსა და სვანურში — ფერხულის სახელწოდებების — **კუჩხიმის** და **ჭიშხამის** ძირი ფეხის აღმნიშვნელი სიტყვებია. ცხადია, ფერხულის ფეხთან კავშირი უნდა გამხდარიყო საფუძველი ქართული ფერჯულის მსგავსად, მეგრული და სვანური კუჩხიმის და ჭიშხამის წარმოშობისა.

ძვ.წ. IV საუკუნეში საქართველოში სრულიად ორიგინალური საფერხულო ნცობის საცეკვაო სანახაობა არსებობდა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტი: „მეომარი მოსინიკები ასეულებად დაენყვნენ და დადგნენ ერთი მეორის პირდაპირ, როგორც ქოროები. შემდეგ ერთი მათგანი იწყებდა, ხოლო ყველა დანარჩენი მღერით რიტმულად მიაბიჯებდა“ (დიმიტრი ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები,“ თბ. 1948, გვ. 30).

საქართველოში საფერხულო ნცობის საცეკვაო ხელოვნების უძველესი ნიმუშების არსებობაზე მიუთითებს სვანეთში დღემდე შემონახული ისეთი უძველესი ფერხულები, რომელთა შორისაც ზოგიერთი პრეისტორიულ ხანას მიეკუთვნება. მათ შესახებ დანვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

ფერხულთა კლასიფიკაცია

შინაარსი და ფორმა ყოველთვის ერთიანობაში განიხილება, მაგრამ განმსაზღვრელი მაინც შინაარსია — მასზე დამოკიდებულია თვით ფორმის წარმოშობა და განვითარება, თუმცა არ არსებობს ფორმა შინაარსის გარეშე და პირიქით.

ცეკვაში **შინაარსი** ცეკვის აზრია — რას მოგვითხრობს ცეკვა. **ფორმა** კი საცეკვაო ილეთი, ილეთთა ნაერთი, ცეკვის ნახაზი, მისი საერთო სურათი, წყობა და ა.შ. თუ შინაარსსა და ფორმას შორის დარღვეულია წონასწორობა, ჰარმონია — ცეკვის ფორმა არ შეესაბამება შინაარსს — ცეკვა არასრულყოფილი და ნაკლებსაინტერესო სანახაობაა.

ფერხულაზი ფორმის მიხედვით:

- წრიული
- წრე წრეში ჩასმული — ორწრიული
- ორ და სამსართულიანი
- ფერხული ფერხულს შიგნით მოთამაშით
- ფერხული მწკრივების სახით — ფერხისები

ფერხულაზი შინაარსის მიხედვით:

- სამონადირო
- ასტრალურ სხეულთა სათაყვანებელი
- რელიგიურ-რიტუალური
- საბრძოლო
- პატრიოტული
- საყოფაცხოვრებო

ქართული ფერხულების შინაარსსა და ფორმას შორის ურთიერთკავშირის დამადასტურებელი უამრავი მასალა არსებობს:

ფერხულის წრიული ფორმის წარმოშობას თავისი მიზეზები აქვს: ნადირობასთან დაკავშირებული ყველაზე ადრინდელი მასობრივი ცეკვის (ფერხულის) შინაარსი გამოხატავდა გავლილი ნადირობის პროცესს, ცეკვისა და პანტომიმის საშუალებით გათამაშებულს ნანადირევის გარშემო, და მას თავიდანვე წრიული ფორმა ჰქონდა.

განვითარების შემდეგ ეტაპზე ფერხულებში მრგვალი ფორმის შენარჩუნებას და ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში მის ფართოდ გავრცელებას ხელი შეუწყო ასტრალური სხეულების თაყვანისცემამ, ანუ ახალი შინაარსის დამკვიდრებამ: მზეს მუდმივად მრგვალი ფორმა აქვს და მასთან დაკავშირებული ფერხული **ლილეც** ასევე მრგვალი ფორმითაა წარმოდგენილი. მთვარის ფერხულის **შუშპარის** ფორმა მთვარის მსგავსად ცვალებადია. ამიტომ ვხვდებით როგორც წრიულს, ასევე ქალ-ვაჟთა მწკრივების რკალზე განლაგებულ ფერხულსაც.

ფერხულის **წრე-წრეში ჩასმული** ფორმა, ხალხური გადმოცემით, მზისა და მთვარის მოძრაობას გამოხატავს და თავისი შინაარსით ასტრალური სხეულების (მზისა და მთვარის) კულტის თაყვანისცემას ემსახურება.

სართულების პრინციპით აგებული ორი და სამსართულიანი ფერხულების თავისებური ფორმა მისმა საბრძოლო შინაარსმა განაპირობა. ციხე-სიმაგრეებზე შეტევისას, ციხის გალავნის გადალახვის მიზნით, მეომრების ერთმანეთის მხრებზე შედგომის ტაქტიკური ხერხი საფუძვლად დაედო ქართული ფერხულების — **ზემყრელოს, სამყრელოს, მირმიქელას და ქორბელელას** — სართულებიანი სახით ჩამოყალიბებას, რომლებსაც შემდეგ სიმაღლიდან სხარტად ჩამოხტომისა და განწვრთნა-გავარჯიშების მნიშვნელობა მიენიჭა. გამონაკლისია ბოლო ხანებში ხატობისას შესრულებული ქორბელელას შინაარსი.

საფერხულო წყობის განვითარებამ მოითხოვა ფერხულში მთავარი მოქმედი პირის არსებობა — ფერხულს შიგნით ერთი ან ორი მოთამაშის მონაწილეობით, რომელიც სიმღერით, მიმიკური და პლასტიკური ჟესტით უშუალოდ ფერხულის შინაარსს გადმოსცემდა. ასეთი ფორმის სამონადირო ფერხულებია: **მეთხვარ მარე, მონადირე ჩორლა, ამირანის ფერხული, ჩემო ყურშაო...** პატრიოტული — **შავლეგო, ძაბრა** და ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული — **დათო, დათუნა, დათვობია, დათუა, დათვი და მგელი** და სხვა.

საყოფაცხოვრებო ხასიათის ცეკვები — ფერხულები და ფერხისები — გამოირჩევიან შესრულების მრავალფეროვნებით (ცალად, წყვილად) და ქორწილში, ლხინში, საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე სრულდება.

საყოფაცხოვრებო ხასიათის ქართული ხალხური ქორეოგრაფია შინაარსობრივადაც ასევე მრავალფეროვანია, თუნდაც სვანური: სატრფიალო (ფერხისას ტიპის **შინავორგილ, რამაიდა** და **ჯანგილდ**); სახუმარო (**ბიბა**); სვანეთში მჭავე წყლების აღმოჩენასთან დაკავშირებით შექმნილი ფერხულები (**გერგილ** და **შიშა ი გერგილ**); შრომის, შეჯიბრების (**ცერული** — ყველა სვანური ფერხულის დასკვნითი ნაწილი), ძეობის, ავადმყოფობის, მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი და სხვა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სვანური საყოფაცხოვრებო ფერხულებისა, სვანურ ყოფაში ზოგჯერ სრულდება ისეთი ფერხულებიც, რომელთაც ადრე სრულიად განსხვავებული შინაარსი ჰქონდათ, შემდეგ კი დაკარგეს ყოფითი მნიშვნელობა და მხოლოდ გართობა-თამაშობის სახით შემორჩნენ სვანურ ხალხურ ქორეოგრაფიას: სამონადირო ფერხული **ლემჩილი** ვაჟის დაბადების დროს სრულდება. ქორწილებსა და ლხინში — მზის სადიდებელი **ლილე, თამარ დედფალ, როსტომ ჭაბიგვ, დიდებათა, ლაჟღვამ, მირმიქელა, ცერული** და სხვა.

რაჭული საყოფაცხოვრებო ფერხულებიდან გამოიყოფა სატრფიალო შინაარსის ფერხული **ჟუ-ჟუნა**, მდინარე ქვედრულას ადიდებით გამონვეულ ტრაგედიასთან დაკავშირებული **ქვედრულა მოდიდებულა** და სხვა.

საქართველოში მეტად პოპულარული ცეკვა **სამაია** ადრე ფერჯისას სახით სრულდებოდა და თავისი შინაარსით საძეობო დღესასწაულის ერთ-ერთი ნაწილი იყო. რაც შეეხება ყოფითი ხასიათის ცეკვების ცალად და წყვილად შესრულებას, ფიქრობენ, რომ ისინი წარმოიშვა იმ ფერხულების საფუძველზე, რომელთაც ფერხულს შიგნით ერთი ან ორი მოთამაშე ახასიათებდა.

მასობრივი ხასიათის ქართული ხალხური საფერხულო წყობის ცეკვებში ფერხულს შიგნით მოთამაშეებისადმი გაზრდილმა ინტერესმა შექმნა პირობა, უფრო მეტად ამალღებულყოფილი მათი საშემსრულებლო ოსტატობა, რამაც ფერხული თანდათანობით სტატიკურ მდგომარეობაში გადაიყვანა და მას მხოლოდ მოთამაშეთა ტაშითა და შეძახილით გამხსნელების ფუნქცია დაუტოვა. ამან ფართო ასპარეზი შეუქმნა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ცალად და წყვილად ცეკვების გავრცელებას. საბოლოოდ კი ხალხურ ცეკვაში დამკვიდრდა ლხინის ის ტრადიცია, რომლის დროსაც ცალად და წყვილად ცეკვების შემსრულებლები მოძრავი ფერხულის ნაცვლად თითქმის უმოქმედო მაცურებლის წრის შიგნით ცეკვავდნენ. მართალია, ლხინმა ძველთაგანვე გარეგნულად წრეში მოთამაშეთა ფორმა შეინარჩუნა, მაგრამ წრეს ახლა სულ სხვა ფუნქცია (მაცურებლისა) დაეკისრა.

ძველად საყოფაცხოვრებო შინაარსის ფერხულები, წრიულთან ერთად, ასევე ფერჯისას ტიპის მწკრივში ან რკალზე მოძრავი მასობრივი ცეკვების ფორმისაც უნდა ყოფილიყო, რომელსაც შინაარსობრივად ორ ჯგუფად გაყოფილ, ანუ დაპირისპირებულ მხარეთა შორის შეჯიბრება, ბრძოლა ანდა გაშაირება ედო საფუძველად. ასეთი ფერხულებია: ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს მიერ აღწერილი მოსინიკების **საბრძოლო ფერჯისა**; 1925 წელს ფერეიდანში იური მარის მიერ ჩანერილი **საქორწინო ფერჯისა**; საძეობო ფერხისა — **მზე შინა და მზე გარეთა** და **სამაია** (იხ. ცეკვა **სამაია**); ჭანური **ობირუ**, ანუ **ოტრადოდუ**; რაფიელ ერისთავის მიერ აღწერილი საქორწინო ფერხისა — ქალის მთხოვნელებსა და პატრონებს შორის კომედიური დიალოგი — **ქალტაცობა**.

ზემოჩამოთვლილ ფერხისებში მოთამაშენი ორ წყებად, ანუ ორ განად, იყოფიან და ასე მობმით ხელიხელჩაკიდებულები ან მხრებზე გადაწყობილი ხელებით ცეკვავენ, რიგრიგობით მღერიან და ერთმანეთს უახლოვდებიან.

სვანური ფერხულები

როგორც ქართული საცეკვაო ხელოვნების წარსულის შესწავლა ადასტურებს, საქართველოს კუთხეებს შორის ადრინდელი წარმოშობის ფერხულების სიმრავლით ყველაზე მეტად სვანეთი გამოირჩევა. ამჟამად სვანური ხალხური ქორეოგრაფია წარმოდგენილია არა მხოლოდ უძველესი საცეკვაო ხელოვნებით, არამედ აქ ვხვდებით შუა საუკუნეებისა და შემდეგი პერიოდის სრულიად ორიგინალურ ფერხულებსაც, რომელთა დასკვნით საზეიმო ნაწილს მამაკაცთა **ცერული** აგვირგვინებს (გამორიცხული არაა ქალის პარტნიორობაც ვაჟთან დუეტში, ოღონდ ცერებზე ცეკვის გარეშე). სვანურ ქორეოგრაფიას, გარდა ფერხულების ტიპის მასობრივი ცეკვებისა და მათთან დაკავშირებული ცერულისა, სხვა სახის რაიმე ცეკვა სიმღერის ან საკრავის თანხლებით არ შემორჩენია.

სვანური ფერხულების უფრო საფუძვლიანად შესწავლამ (ჩვენ მიერ შეგროვებული, შესწავლილი და გაანალიზებულია დაახლოებით ოცდაათამდე სვანური ფერხული) მოითხოვა შინაარსობრივად ნაწილობრივ შეგვეცვალა ლილი გვარამაძისეული ქართული ფერხულების კლასიფიკაციის სამი ჯგუფი (პატრიოტული, საბრძოლო და საყოფაცხოვრებო) და შეგვექმნა სვანური ფერხულების შინაარსიდან გამომდინარე კლასიფიკაცია.

გთავაზობთ, ჩვენ მიერ დადგენილი რიგის მიხედვით, თითოეულის დახასიათება-ანალიზსა და შესრულების აღწერას.

სამონადირო ფერხულები

მონადირეებს, საზოგადოებრივი შრომის მონაწილეთ, ერთი მიზანი ამოძრავებდათ — ნადირობის წარმატების უზრუნველყოფა. ამ კოლექტიურ შრომაში ვინც განსაკუთრებულად გამოიჩინდა თავს, გმირად აღიარებდნენ. სახელგანთქმული მონადირისადმი ხალხის ღრმა პატივისცემა დაედო საფუძვლად სვანურ ფერხულ **ლემჩილს** — დასაბერებელს, მრავალჟამიერს — დალოცვას, ღრმა სიბერემდე სიცოცხლის სურვებას. ფერხული ეძღვნება სვანეთში სახელგანთქმულ მონადირეს — **გიორგის (გიეს)**, რომელიც კლდეში ჯიხვს, ტყეში ქურციკს, მინდორში ირემს, მდინარეში კალმახს და ზღვაში თევზს არ ტოვებდა მოუნადირებელს.


საყურადღებოა „ლემჩილის“ ტექსტში სვანი მონადირის ზღვაზე ნადირობის ფაქტი. სვანები დღესდღეობით ზღვიდან მოშორებით (შავი ზღვის ჩრდილოეთით კავკასიონის მთებში) ცხოვრობენ, მაგრამ მათს უძველეს ფერხულში აღნიშნულია ზღვაზე ნადირობის შემთხვევა, რაც სვანების ზღვისპირეთთან კავშირს გვაფარაუდებინებს.

სხვა სამონადირო ფერხულებისაგან განსხვავებით, დღესაც სვანეთში „ლემჩილს“ მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ და ქალების მონაწილეობა დაუშვებელია. სამონადირო ცეკვებისათვის დამახასიათებელი ამ უძველესი ტრადიციის შენარჩუნებას ხელი შეუწყო ფეხის მოძრაობათა კომპლექსში მამაკაცთა მიერ ცერილეთის შეტანამ. ეს ქალებისათვის დაუძლეველ წინააღმდეგობად იქცა და მისი გადალახვა შეუფერებლადაც მიიჩნიეს. ამ უძველეს ფერხულში ცერილეთების გამოყენება უფრო მეტად ამტკიცებს აზრს საქართველოში ცერებზე ცეკვის უძველესი წარმოშობის შესახებ. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ყველა უძველესი სვანური ფერხულის დასკვნით ნაწილში ცერული იცეკვება.

ლ ე მ ჩ ი ლ


წრიული ფერხული „ლემჩილი“ თავიდან საშუალო ტემპში სრულდება, შემდეგ — აჩქარდება (სასიმღერო მასალა იგივეა, ფეხის მოძრაობა კი იცვლება).

ფერხული ეწყობა წრიულად. მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები.



მოძრაობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა.
ფეხი — III პოზიციაში.
ხელები — ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული.



სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.


მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი (ლემ) — მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს, მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში, აიწევა ზევით, შემდეგ დაეშვება ქვევით და ისევ აიწევა (ფეხი იატაკს არ ეხება).

ტაქტის შემდეგი მეოთხედი (ჩი) — მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარცხნივ. მარჯვენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს.

მესამე ტაქტის პირველი ორი მერვედი (ლი-ა) — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავედროულად მარჯვენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.



ნახ. 1




ნახ. 2



ნახ. 3


ტაქტის შემდეგი ორი მერვედი (ო-და) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



ნახ. 4




ნახ. 5



ნახ. 6

მეოთხე ტაქტის პირველი მეოთხედი (ია) — ერგცერიდან მთელი ტერფით მარჯვენა ფეხის დადგმა. სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

ტაქტის მომდევნო მეოთხედი (ქაშ) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს.



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9

მეხუთე ტაქტის პირველი მეოთხედი (ჰოა) — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავედროულად მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

ტაქტის მომდევნო მეოთხედი (და) — ჰაერში გატანილი მარჯვენა ფეხი მოძრაობს უკან, ერგცერით შეეხება იატაკს და ერგცერზევე უკან გასრიალდება. თითქოს მარჯვენამ მარცხენა აიყოლიაო, ისიც ერგცერზე უკან სრიალებს. ქუსლები თანდათანობით შორდება ერთმანეთს (მარჯვენა ფეხის ქუსლი შებრუნდება მარჯვნივ, მარცხენასი — მარცხნივ) და ფეხები ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში.

მეექვსე ტაქტის პირველი მეოთხედი (გი) — მარჯვენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ჰაერში ირიბად — მარცხენის წინ და მარცხნივ გაიქნევა. ერთდროულად დაიკვრება მარცხენა ფეხის ქუსლი (ნახ. 9).

ტაქტის შემდეგი მეოთხედი (ვა) — მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვნივ. ერთ-

დროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში, მარჯვენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).


მეშვიდე ტაქტის პირველი ორი მერვედი (ლი-ა) — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული.

მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

ტაქტის **მომდევნო ორი მერვედი (ო-და)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

მერვე ტაქტის პირველი მეოთხედი (გი) — მარჯვენა ფეხი ერგცერიდან მთელი ტერფის დაკვრით მარჯვნივ დაიდგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 7).

ტაქტის **შემდეგი მეოთხედი (ე)** — მარცხენა ფეხის მარჯვენის უკან და მარჯვნივ დაიდგმა (ამ დროს მარცხენა ფეხი იატაკს ერგცერით ეხება და ორივე ფეხი მუხლის სახსარში ოდნავ მოხრილია). შემდეგ მარჯვენა მუხლის სახსარში მოიხრება და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ერგცერიდან მთელი ტერფით შეეხება იატაკს და მუხლის სახსარში გაიმართება (ნახ. 1).



ნახ. 10



ნახ. 11



ნახ. 12

მეცხრე ტაქტის პირველი ორი მერვედი (ო-ი) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარცხენის გვერდით დადგმა (III პოზიცია).

ტაქტის **მომდევნო ორი მერვედი (დი-ო)** — ყოვნა (**მეცხრე ტაქტის პირველი ნახევარი**). აქ მთავრდება საფერხულო ფეხის მოძრაობათა ნაერთი — საცეკვაო ფრაზა.

შემდეგ საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან:

მეათე ტაქტი — მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს, მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და აინწევს ზევით, **მეორე ტაქტის** მსგავსად.

აღწერილი საცეკვაო ფრაზა განმეორდება განუსაზღვრელად.

შემდეგ იწყება აჩქარებული ნაწილი. ტექსტი და მუსიკა იგივეა, ფეხის მოძრაობა იცვლება (ამ ნაწილის ფეხის მოძრაობის აღწერისას შეიძლება ტექსტის ნებისმიერი სტრიქონის აღება. მაგალითად: **ოი, დიო კოჯას ლია ოდა კვიცრას, ჰოი და დემხა ლია ოდა ცირე**).

პირველი ტაქტის პირველი ორი მერვედი (ო-ი) — მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს, მოიხრება მუხლის სახსარში და გაიქნევა ჰაერში — წინ და მარცხნივ. ერთდროულად მარცხენა ცოტათი მოიხრება მუხლის სახსარში და ოდნავ დაიკვრება ქუსლი (ნახ. 1, 9).

ტაქტის **შემდეგი ორი მერვედი (დიო)** — მარჯვენა ფეხი ისევ მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება უკან — ჰაერში. ერთდროულად მარცხენა გაიმართება მუხლის სახსარში და ქუსლი მოშორდება იატაკს (გამართული მარცხენა ფეხის ერგცერზე დგომა ნახ. 1).

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი (კო) — მარჯვენა ფეხის ისევ ჰაერში წინ და მარცხნივ გაქნევა. ერთდროულად მარცხენის მუხლის სახსარში მცირედ მოხრა და ქუსლის ოდნავ დაკვრა (ნახ. 9).

ტაქტის **შემდეგი მეოთხედი (ჯას)** — მარჯვენა ფეხის ტერფით დაკვრა. ერთდროულად მუხლის სახსარში მოიხრება მარცხენა (ნახ. 4).

მესამე ტაქტის პირველი ორი მერვედი (ლი-ა) — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).


ტაქტის **მომდევნო ორი მერვედი (ო-და)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

მეოთხე ტაქტის **პირველი მეოთხედი (კვიც)** — ერგცერიდან მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 7).

ტაქტის შემდეგი **მეოთხედი (რას)** — მარცხენა ფეხი დაიდგმება მარჯვენის უკან და მარჯვნივ (ამ დროს მარცხენა იატაკს ერგცერით ეხება და ორივე ფეხი მუხლის სახსარში ოდნავ მოიხრება). მარჯვენა გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ერგცერიდან მთელი ტერფით შეეხება იატაკს და მუხლის სახსარში გაიმართება (ნახ. 11, 1).

შემდეგ ფერხულის აჩქარებული ნაწილის საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან და ა.შ.

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



„ლემჩილის“ **პირველი** ნაწილის მუსიკალური ფრაზა **რვა** ტაქტს მოიცავს, საცეკვაო ფრაზა **შვიდ-ნახევარში** სრულდება (ნახევარი ტაქტი ყოვნაა). ამიტომ მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დასასრული ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს გამონეუულია იმით, რომ საცეკვაო ფრაზის — **მერვე, მეთექვსმეტე, ოცდამეოთხე** და ა.შ. ტაქტების ბოლოს — მუხლის სახსარში მოხრილი მარჯვენა ფეხი ჰაერში რჩება, დაიდგმება — **მეცხრე, მეჩვიდმეტე, ოცდამეხუთე** და ა.შ. — ტაქტების **პირველ ნახევარზე**.

ყოველი საცეკვაო ფრაზის დასაწყისი ემთხვევა **მეათე, მეთვრამეტე, ოცდამეექვსე** და ა.შ. ტაქტების დასაწყისს.

მეორე, აჩქარებული ნაწილის, მუსიკალური ფრაზა **რვა** ტაქტს შეიცავს, საცეკვაო ფრაზა **ოთხში** სრულდება. ამის გამო **პირველი** საცეკვაო ფრაზის დასასრული დაემთხვევა **მეოთხე** მუსიკალური ტაქტის დასასრულს, შემდეგ — **მერვე, მეთორმეტე, მეთექვსმეტე** და ა.შ. ტაქტებისას.

შენიშვნა: ფერხული „ლემჩილი“ ჩანერილია მაცი შუკვანის გადმოცემის მიხედვით.

შახრილ

ზომიერად

ჩაიწერა ვლ. კურტიდმა

I გუნდი

ლემ - ხილ ლი - ბ - ო - რა და - ქაშ
ო - ი - დი - ო ლემ - ხილ ლი - ბ - ო - რა და - ქაშ

გი - ვა ლი - ბ - ო - რა გი - ე -
პოე - რა გი - ვა ლი - ბ - ო - რა გი - ე -

II გუნდი

ლემ - ხილ ლი - ბ - ო - რა და - ქაშ
ო - ი - დი - ო ლემ - ხილ ლი - ბ - ო - რა და - ქაშ

გი - ვა ლი - ბ - ო - რა გი - ვა.
პოე - რა გი - ვა ლი - ბ - ო - რა გი - ვა.

ოი, დიო ლემჩი, ღია ოდა იაქამ!
 ჰოი, და გივა ღია ოდა, გიე!
 ოი, დიო ხითხვი, ღია ოდა, ისგვამ!
 ოი, დიო კოჯას, ღია ოდა, კვიცრას
 ჰო და დემხა ღია ოდა ცირე.
 ოი, დიო ცხეკას, ღია ოდა იერსკენს
 ჰოი და დემხა ღია ოდა ცირე,
 ოი, დიო მინდერს ღია ოდა ლაჩვარს
 ჰოი და დემხა ღია ოდა ცირე.
 ოი, დიო ჭალაის ღია ოდა კალმასხს
 ჰოი და დემხა ღია ოდა ცირე.
 ოი, დიო კარვუ ღია ოდა ჯიგან,
 ჰოი, დიო სოფლიშ ღია ოდა თხუმას.
 ოი, დიო ყაირილდ ღია ოდა ჯიფრან,
 ჰოი, და ღვაშამ ღია ოდა ცილიშ.

ჰოი, დიო, დასაბერებლო,
 ჰოი და, გიორგი,
 ჰოი და შენი ჩონგურით
 ოი დიო კლდეში ჯიხვს
 ჰოი და არ ტოვებ
 ოი დიო ტყეში ქურციკს
 ჰოი და არ ტოვებ
 ოი დიო მინდორში ირმებს
 ჰოი და არ ტოვებ
 ოი დიო ჭალაში კალმასხს
 ჰოი და არ ტოვებ
 ოი დიო კარავი გედგა
 ჰოი და სოფლის თავზე
 ოი და ყავრი ეფარა
 ჰოი და ჯიხვის ტყავისა...

დალა კოჯას ხელღვაჟალე

ნადირობის ქალ-ღვთაება **დალის** კულტისადმი მიძღვნილი ფერხულებია **დალა კოჯას ხელღვაჟალე** და **ბაილ ბეთქილ**.

ნადირთა ღვთაების არსებობა საქართველოში მხოლოდ ქალღვთაება დალით არ ამოიწურება. სერგი მაკალათიას ცნობით, „...ჰგონიათ, რომ ნადირს თავისი საკუთარი პატრონი ჰყავს. ნადირობის დროს ის ევედრება ამ ნადირთა პატრონს, რომელიც წარმოდგენილია „პატარა ქალად.“ მეცნიერი ასევე მიუთითებს ფშავში ნადირობის დროს შემორჩენილი ჯადოქრული ელემენტების არსებობაზე: „თუ სანადიროდ წასული ნადირს ესვრის და ააცდენს, მაშინ იფიქრებს, რომ თოფი შეკრულია ავი თვალისაგან და გაუწმინდურებული.“ ამიტომ სანადიროდ მიმავალი მებოსლე ქალს არ გაეკარება, თოფს არ ესვრის კატას, ყორანს და ძაღლს, რომლებსაც თოფის შეკვრა შეუძლიათ“ (ს. მაკალათია, თბ. 1985, გვ. 190).

დიმიტრი ჯანელიძე დალისადმი მიძღვნილი სვანური ფერხულებიდან ასახელებს **მეთხვარ მარეს** (მონადირე) და **მონადირე ჩორლას**, რომელთა მხოლოდ სახელწოდება და ტექსტია ცნობილი, მუსიკალური მასალა და ფეხის მოძრაობათა კომპლექსი — უცნობია. „მეთხვარ მარესა“ და „დალა კოჯას ხელღვაჟალეს“ შინაარსი ერთნაირია, მაგრამ „მეთხვარ მარეში“ დამატებით კიდევ ერთი პერსონაჟი — ნადირობის კაცღვთაება **აფსათი** მონაწილეობს, რომელიც ფერხულის ტექსტში დალის ვაჟიშვილია და დალის ახალშობილის გადარჩენისათვის მონადირეს ლოცავს.

ფერხული (მონადირე ჩორლა) შინაარსობრივად „ბაილ ბეთქილს“ ემთხვევა, მაგრამ ჩორლა დალისაგან ისჯება არა სიყვარულში ღალატისათვის, არამედ დალის სამფლობელოში ჯიხვების დიდი ოდენობით დახოცვისათვის. ჩორლას მხსნელად წმიდა გიორგი ევლინება: მართალია, მონადირეს სასჯელისაგან მთლიანად ვერ დაიხსნის (ჩორლა კლდიდან ჩამოვარდნის შემდეგ ხეიბრად რჩება), მაგრამ სიცოცხლეს შეუნარჩუნებს (დ. ჯანელიძე ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ. 1948, გვ. 111-114).

როგორც ირკვევა, ადამიანის სახით წარმოდგენილი ბუნებრივი ძალის ღვთაებად, ანუ ანთროპომორფულ არსებად, საქართველოში გვხვდება როგორც ქალღვთაება **დალი** (ფშაურ ვარიანტში **პატარა ქალი**), ასევე კაცღვთაება **აფსათი**, **ამირანი**, **ოჩოპინტრე** და **თეთრი სანება**. შემთხვევითი არ უნდა იყოს წმიდა გიორგის მონადირეთა მფარველად გამოცხადებაც. „ქართველი ტომების წარმართული რელიგიის ისტორიის მანძილზე დალი დაახლოებული ჩანს ღვთაება **ჯგვრატან** (წმიდა გიორგისთან)... თავდაპირველად ჯგვრაგი და დალი „ტყის არსებანი“ უნდა ყოფილიყვნენ: დალი — ცხოველებისა და ფრინველების და ჯგვრაგი — მცენარეების სულთა განსახიერებანი. ალბათ მას შემდგომ, რაც ეს არსებანი ანთროპომორფულ სახეს იღებენ, ისინი მამრობითი (ჯგვრაგი) და მდე-

დროებითი (დალი) სქესის ნადირთ პატრონებად წარმოისახებიან“ (ვერა ბარდაველიძე, „ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები,“ თბ. 1953, გვ. 88).

ხევსურეთში მონადირეები ნადირობაში წარმატებას კაცლვთაება **ოჩოპინტრეს** შესთხოვენ: „ხევსურებს ახლაც სწამთ, რომ ნადირთ თავიანთი მფარველი ღვთაება ჰყავთ, ურომლისოდაც მონადირე ნადირს ვერ მოჰკლავს და ვერც ვერას დააკლავს. ხევსურები ამ ნადირთმფარველ ღვთაებას „ოჩოპინტრეს“ ეძახიან...“ (ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, ნ. I, გვ. 85).

სერგი მაკალათიას ცნობით, ხევსურეთში მონადირეები „თეთრ სანებას“ ძღვენთ-საწირით ნადირობაში ხელის მომართვას შესთხოვდნენ (სერგი მაკალათია, „ხევსურეთი,“ თბ. 1984, გვ. 231).

რაც შეეხება დალის უშუალო მემკვიდრეს ამირანს, იგი „დალის მემკვიდრეობას აგრძელებს როგორც იდეურად, ასევე პირადი თვისებებითაც“ (მიხეილ ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი,“ თბ. 1947, გვ. 95). ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ ამირანის ფერხულს სვანეთში „სანადიროს“ უწოდებენ.

შეუძლებელია იმის მტკიცება, რამდენი ათასწლეული გვაშორებს ნადირობის კულტის ჩასახვიდან დღემდე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ნადირობის ღვთაებათა წარმოშობის საფუძველი და მასთან დაკავშირებული ქორეოგრაფია უშუალოდ უკავშირდება ნადირობის პერიოდს.

როგორც ვიცით, მიხეილ ჩიქოვანი თრიალეთის ვერცხლის სასმისზე გამოხატულ ნიღბოსანთა საფერხულო მსვლელობას ნადირობის ქალღმერთის დალის პატივსაცემ რიტუალად მიიჩნევს, მაგრამ დალის კულტის წარმოშობის ხანას უფრო მეტი ათასწლეული უნდა გვაშორებდეს, თუმცა დალისადმი თაყვანისცემა ძვ.წ. II ათასწლეულშიც და მის შემდეგაც არაა გამორიცხული.

ისტორიული ცნობებით, ადამიანებმა საქართველოს ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობას რვა ათასი წლის წინ, ნეოლითის ხანაში, ჩაუყარეს საფუძველი. მატრიარქატი პატრიარქატი შვიდი ათასი წლის წინათ — ენეოლითის (სპილენძ-ქვის) ხანაში — შეიცვალა. აქედან ჩანს, რამდენად ადრინდელია ნადირობის ქალღვთაება დალის კულტის წარმოშობა და რამდენად ხანგრძლივია ადამიანთა ყოფასა და ცნობიერებაში მისი არსებობა ასტრალური სხეულების — მზისა და მთვარის — კულტთან შედარებით.

დალისა და, საერთოდ, სამონადირო ფერხულებმა ჩვენამდე უნიღბოდ მოაღწიეს. ადამიანთა მატრიალური პირობების შეცვლასთან ერთად თანდათანობით დაიკარგა პირვანდელი ყოფითი მნიშვნელობა და შემდეგში, როგორც წინაპართა აზროვნების ნაყოფი, ისტორიული წყარო, მხოლოდ საწესოჩვეულებო მნიშვნელობით შემორჩა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას.

სვანეთში მშვიდობიანი ნადირის — არჩვის, ჯიხვისა და ირმის — მფარველი ღვთაება დალი თავის სამფლობელოში — თეთრ კლდეში მშობიარობს. ახალშობილის გატაცების მიზნით, მტრულად განწყობილი მგლები და ყორნები კლდის მახლობლად ტრიალებენ. მშობიარობის შემდეგ დალის კლდიდან ჩამოუვარდება ახალშობილი, რომელსაც მგლები გაიტაცებენ. მგლებს გზაზე მონადირე გერგილი შემოხვდებათ. იგი ბავშვს გაათავისუფლებს და დედას დაუბრუნებს. მადლობის ნიშნად დალი დალოცავს მონადირეს — ნადირობიდან ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულიყო. ამ ფერხულში ჩადებული ლეგენდის მიხედვით ნადირობის ქალღვთაება მონადირის სიკეთეს სიკეთით უპასუხებს. თუმცა სხვა შემთხვევაში დალი სასტიკ მსაჯულადაც გვევლინება — (ბაილ ბეთქილში) სიყვარულში ღალატისთვის მკაცრად სჯის სვანეთში სახელგანთქმულ მონადირე ბეთქილს:

ერთ დღეს სოფელ მულახისა და მუჟალის მცხოვრებნი შეიკრიბნენ და ჩააბეს ფერხული. ამ დროს ტყიდან გამოხტა თეთრი ჯიხვი, გადაჭრა ფერხული და ფეხებში გაუძვრა მონადირე ბეთქილს. ამ ამბით გაოცებულმა ხალხმა მოითათბირა, ვინ დასდევნებოდა ჯიხვს. არჩევანი ბეთქილზე შეჩერდა. ჯიხვი თურმე ბეთქილზე შეყვარებულ ნადირობის ქალღმერთ დალის გამოეგზავნა, მონადირეს კი მინიერი ქალი — თამარი უყვარდა. ჯიხვმა ბეთქილი დალის სამფლობელოში მიიყვანა. ქალღმერთმა დაინახა თუ არა მოახლოებული ბეთქილი, ფეხქვეშ მიწა გამოაცალა: მონადირე კლდეზე მარცხენა ფეხით და მარჯვენა ნეკით დაეკიდა. ბეთქილმა გამვლელ მონადირეს ანდერძი დაუბარა: დედას საკურთხზე ყოველთვის ყველი და კვერცხი ჰქონდეს, ცოლმა ქვაზე დამიტიროს, ძმებმა წვერი მოუშვანო და სხვა.

ასევე დასაჯა დალიმ მონადირე ჩორლაც — თავის სამფლობელოში ჯიხვების დახოცვისათვის.

საქართველოში ნადირობის ქალღვთაების დალის მიერ მონადირეთა შეყვარება მხოლოდ ბეთქილით არ ამოიწურება. ცნობილია, რომ ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლი კეთილი გმირი

ამირანიც ნადირობის ქალღვთაების დალისა და ჩვეულებრივი მონადირის სულკალმახის (სვანური ვარიანტი დარჯენალის) სიყვარულის ნაყოფია: „...და მაშინ, როდესაც მონადირე დარჯენალი ლამის გასათევად დალის სამფლობელოში მესამედ დარჩება, მძინარე დალის მიეპარება მონადირის კოჭლი ცოლი და ოქროს ნაწნავებს შეაჭრის. დილით ცოლზე გაბრაზებული დარჯენალი შინ დაბრუნდება და მას შემდეგ აღარც წასულა დალის სამფლობელოში. დალი დაფეხმძიმდება, მაგრამ თმების დაკარგვის გამო იმდენად დაუძღურდება, რომ მშობიარობას ვეღარ შეძლებს. დალის კივილმა თურმე კლდის მახლობლად სანადიროდ გამოსული მონადირის (სულკალმახის) ყურადღება მიიპყრო. იგი შევიდა გამოქვაბულში, რომელშიც გასაოცარი სილამაზის ოქროსთმიანი დალი იწვა. მომაკვდავი ქალღმერთი ტკივილისაგან იტანჯებოდა. დალიმ მონადირეს სთხოვა: აილე ჩემი აღმასის დანა, მუცელზე გამჭერი და ჩვილი ამოიყვანე. თუ ვაჟი იქნება, ამირანი დაარქვი, თუ ქალი — რაც გინდა. ჩემი შვილი გმირი გამოვა. მუცელში მას რომ დრომდე დასცლოდა, ისეთი იქნებოდა, თვით ღმერთსაც შეებმებოდა. როცა მუცლიდან ამოიყვან, სამი თვე დეკეულის ფაშვში ამყოფე, სამიც — კუროსი. შემდეგ ოქროს აკვანში ჩაანვინე და იამანის წყაროსთან დადგი, ჩამოივლის ღმერთი და დიდ ძალას დაანათლებს...“ (მიხეილ ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი,“ თბ. 1947). მონადირემ აღასრულა დალის თხოვნა და ღმერთმაც ამირანს თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ძალა, მგლის მუხლი და დაქანებული ზვავის შეუდრეკელობა დაანათლა.

ამირანის სახელი დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ ხალხში. ამირანის თქმულების სხვადასხვა ვარიანტი საქართველოს ყოველ კუთხეში გვხვდება, მაგრამ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „სვანურ თქმულებებში უკეთ არის შემონახული მოთხრობის უძველესი ხასიათი“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია,“ ნ. 1, გვ. 150).

ამირანისადმი სიყვარული ქართველმა ერმა ზეპირსიტყვიერების გარდა მუსიკასა და ქორეოგრაფიაშიც გამოხატა. **ამირანის ფერხული, სანადიროს** სახელწოდებით, დღემდე შემონახა ზემო სვანეთის ძველმა თაობამ. რაჭასაც შემორჩა ამირანისადმი მიძღვნილი ფერხული, რომელსაც იქ ჩვეულებრივ **ამირანს** უწოდებენ და „ამბროლაურისა და ონის რაიონების ყველა სოფელში ამირანის ლექსებს ფერხულის დროს მღერიან“ (მიხეილ ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი,“ თბ. 1947, გვ. 170).

ამირანის თქმულების მასშტაბურობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამირანის ფერხული მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, შემდეგ კი მივიწყებას მიეცა და ბოლო დრომდე ამ ფერხულების ნიმუშები სვანეთსა და რაჭას შემორჩა. მიუხედავად იმისა, რომ ამირანის ტექსტი ორივე კუთხეში მსგავსია, საფერხულო ფეხი (ფეხის მოძრაობათა წყობა), სასიმღერო მელოდია და რიტმი — ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული.

ამირანის, როგორც ნადირობის კაცღვთაების, სიყვარულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სანადირო სრულდება ყველა საერო და საეკლესიო დღესასწაულზე სხვა ფერხულებთან — **ლილესთან, დიდებათა და ლაჟღავშთან** — ერთად.

ზოგიერთი მკვლევარი ამირანს ნადირობის ქალღვთაების დალის შვილად მიიჩნევს, ზოგიც — მზის შვილად, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, ამირანის ფერხული სანადირო შეგვედარებინა დალის ფერხულთან და მზის ფერხულთან — ლილესთან, მოგვეხდინა მათი სტრუქტურული ანალიზი და მათ შორის საერთო და განმასხვავებელი გამოგვევლინა.

რადგანაც ამირანი ნადირობის ქალღვთაების დალის შვილადაა წარმოდგენილი, ამიტომ საცეკვაო მოძრაობების მხრივ დალისა და ამირანის ფერხულებს შორის მსგავსება არ უნდა იყოს მოულოდნელი: ამ ორი ფერხულის ფეხის მოძრაობათა კომპლექსში თექვსმეტი მოძრაობიდან თოთხმეტი საერთოა. რატომღაც ამირანის ფერხულსა და მზის ფერხულ „ლილეს“ შორის უფრო მეტი მსგავსებაა — ფეხის მოძრაობით ისინი თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

„ლილე,“ მნათობთა თაყვანისცემის ერთ-ერთი ნიმუში, ნადირობასა და მასთან დაკავშირებულ კულტთან შედარებით, უფრო გვიანაა წარმოშობილი. ამიტომ „ლილეს“ მსგავსება „ამირანისა“ და „დალის“ ფერხულებთან გვაფიქრებინებს, რომ იგი მათს საფუძველზე წარმოიშვა. ალბათ ამ მსგავსებას ნადირობის პარალელურად მზესთან კავშირი დაედო საფუძველად.

ჩვენ მიერ განხილული სამონადირო ფერხულები — **დალა კოჯას ხელღვაჟაღე, ბაილ ბეთქილ და ამირანის ფერხული (სანადირო)** — ერთმანეთისაგან მხოლოდ ტექსტითა და მუსიკალური მასალით განსხვავდება. ფეხების მოძრაობათა მხრივ მათ შორის საგრძნობი მსგავსებაა, მაგრამ სრულიად განსხვავებულია სამონადირო ფერხული **ლემჩილი**.

სამონადირო ფერხულების ყველაზე ადრინდელი წარმოშობის გამო მათ შორის პირველობა, ჩვე-

ნი აზრით, „დალა კოჯას ხელღვაჟალეს“ ეკუთვნის, რომელიც არა მარტო სამონადირო ფერხულების ფეხების მოძრაობათა კომპლექსის საფუძველია, არამედ თითქმის ყველა შემდეგ აღმოცენებული სხვადასხვა შინაარსის სვანური ფერხული მასთანაა დაკავშირებული და მასვე ენათესავება.

მოძრაობათა აღწერა

ფერხული ეწყობა წრიულად, მონანილებენ მამაკაცები და ქალები.

სანყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4



ხელები — ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული. ქალთა მონანილეობისას ხელები ქვედაშეშებულია და ხელჩაკიდებული.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.



პირველ ტაქტი — ყოვნა.

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ჰო)** — მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და გაიქნევა წინ — ჰაერში. ერთდროულად მარჯვენა მცირე ერგბუქნი, ასევე ოდნავ დაიკვრება მარჯვენის ქუსლი — საფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით (ეს, როგორც **გარე ტაქტის და**, მოსამზადებელი, ფერხულში შესასვლელი ნაწილია — საცეკვაო ფრაზის დასასრული).

მეორე ტაქტის პირველი ორი მერვედი (რი-რე) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა


ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).

ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (რა-შა)** — ერგცერიდან მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და გაიქნევა წინ — ჰაერში (ნახ.5).


მესამე ტაქტის პირველი ორი მერვედი (რე-რო) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარცხენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ.8).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (შა)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და ჰაერში ირიბად მარცხენის წინ და მარცხნივ გაქნევა. მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.9).


მეოთხე ტაქტის პირველი მეოთხედი (რა) — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარჯვნივ. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



ნახ. 13.



ნახ. 14



ნახ. 15

ტაქტის **მეორე მეოთხედი (შა)** — ერგცერიდან მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მუხლის სახსარში გამართული მარჯვენა ფეხი ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ.9).

მეხუთე ტაქტის პირველი ორი მერვედი (და-ლა) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.14).

ტაქტის შემდეგი **ორი მერვედი (კო-ჯა)** — მარჯვენა ფეხზე წახტომი ქუსლის დაკვრით. ერთდროულად მარცხენა ისე მოიხრება მუხლის სახსარში და წაიწევა წინ, რომ მარცხენის კოჭი მარჯვენის მუხლის სახსრის სიმაღლეზე მოხვდეს. მარჯვენა ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში, მარცხენა ტერფი გაიჭიმება: **მეხუთე ტაქტზე** სრულდება მთიულური ცეკვებისათვის დამახასიათებელი „სადა მუხლურა წინსვლა.“

მეექვსე ტაქტის პირველი ორი მერვედი (ხელ-ღვა) — მარცხენა ფეხის ტერფის მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.8).

ტაქტის შემდეგი **ორი მერვედი (ყა-ლე)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. მარცხენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.9).

მეშვიდე ტაქტის პირველი ორი მერვედი (რე-რო) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.7).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (შა)** — ერგცერიდან მარცხენა ფეხის ტერფით დადგმა. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).

მერვე ტაქტის პირველი მეოთხედი (რა) — მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე, მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში, მარჯვენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (შა)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად მარჯვენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.5).


აქ მთავრდება საცეკვაო ფრაზა.

შემდეგი ტაქტიდან ფრაზა იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად — **პირველ** ტაქტზე დაუყოვნებლად.

მეცხრე ტაქტის **პირველი ორი მერვედი (შა-ი)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).

ტაქტის **შემდეგი მეოთხედი (ჰო)** — მარჯვენა ფეხის ერგცერიდან მთელი ტერფით დადგმა. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და გაიქნევა წინ — ჰაერში. **მეცხრე** ტაქტზე სრულდება იგივე, რაც **მეორე** ტაქტის პირველი საცეკვაო ფრაზის შესრულებისას (ნახ.5).

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



დალა კოჯას ხელღვაჟალე

ზომიერად

ჩაიწერა სარიშვილმა

I გუნდი

II გუნდი

I გუნდი

შაი ჰო, რირე რაშა რეროშა რაშა,
 დალა კოჯას ხელღვაჯალე, რეროშა რაშა,
 შაი ჰო, რირე რაშა, რეროშა რაშა,
 ხელღვაჯალე თეთნამ კოჯას, რეროშა რაშა,
 შაი ჰო, რირე რაშა, რეროშა რაშა,
 ჩუქვან თხელარ ხოყლპუნეს, რეროშა რაშა,
 შაი ჰო, რირე რაშა, რეროშა რაშა,
 ჩინჩერ კოჯას ქავხაშყედა, რეროშა რაშა,
 შაი ჰო, რირე რაშა, რეროშა რაშა,
 ჟი ესფხიჭეც ჩუქვან თხერალდ, რეროშა რაშა,
 შაი ჰო, რირე რაშა, რეროშა რაშა...

დალი კლდეში მშობიარობს,
 მშობიარობს თეთორ კლდეში,
 ზევით ყორნები დაფრინავენ,
 ქვევით მგლები ელიან მსხვერპლს (ბავშვს).
 ჩვილი ბავშვი კლდეზე გადავარდა,
 უცბად სტაცეს პირი ქვევით მგლებმა
 გააქანეს მინდორში ...

სანადირო ამირანის ფერხული

„სანადირო“ შინაარსობრივად ამირანისა და მისი ძმების სანადიროდ წასვლას ეხება. ფერხული ეწყობა წრიულად, მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.



შენიშვნა: „ამირანის ფერხული“ სვანეთში მხოლოდ ქართული ტექსტით გვხვდება. შესაძლებელია, მთელ საქართველოში გავრცელებული „ამირანის ფერხული“ სვანეთში მეზობელი რაჭის გავლით შევიდა.


მოქრობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — წრიულად, სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული. ქალების მონაწილეობისას ქალი მამაკაცთან ხელიხელჩაკიდებულია.

მუსიკალური ზომა — 4/4



სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.

ტაქტის **ბოლო მეოთხედი წერტილით (ვა)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენა ფეხზე მცირე ერგბუქნი და მარჯვენა ქუსლის ოდნავ დაკვრა — საფერხული ჩაკრული მარცხენა ფეხით (ნახ. 13).

ეს მოსამზადებელი, ფერხულში შესასვლელი ნაწილია, როგორც **გარე ტაქტის და** (უფრო სწორად, ფერხულის საცეკვაო ფრაზის დასასრული).

მეორე ტაქტის პირველი ორი მერვედი (დი-რო) — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (სა)** — მარჯვენა ფეხის ერგცერიდან მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. მარცხენის მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა და წინ — ჰაერში გაქნევა (ნახ. 5).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი წერტილით (მე)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარცხენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **ბოლო მერვედი (ვი)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. მარჯვენის მუხლის სახსარში გამართვასთან ერთად, მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

მესამე ტაქტის პირველი ორი მერვედი (მი-სი) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფის დაკვრით მარჯვნივ დადგმა, სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე და ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარჯვნივ. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 14).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (ოდა)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა, სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი, მუხლის სახსარში გამართული მარჯვენა ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ. 9).

ტაქტის **მომღევნო ორი მერვედი (სა-ნა)** — მარჯვენა ფეხის ტერფით დადგმა, სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 14).

ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (ი-ვა)** — მარჯვენა ფეხზე ნახტომი ქუსლის დაკვრით. ერთდროულად მარცხენა მოშორდება იატაკს, მოიხრება მუხლის სახსარში და ისე წაინევა წინ, რომ მარცხენის კოჭი მარჯვენა მუხლის სახსართან მოხვდეს. მარჯვენა ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში, მარცხენის ტერფი გაიჭიმება — **მესამე ტაქტის მეორე ნახევარზე** სრულდება „სადა მუხლურა წინსვლა“ (ნახ. 15).

მეოთხე ტაქტის პირველი ორი მერვედი (დი-რო) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (სა)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთან ერთად მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი წერტილით (მე)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადასვლა. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში, მარჯვენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **ბოლო მერვედი (ვი)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ერთდროულად მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.5).

აქ მთავრდება საცეკვაო ფრაზა.


მომღევნო მეხუთე ტაქტის პირველი ორი მერვედი (მი-სი) — საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად, **პირველ ტაქტზე** დაუყოვნებლად. მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხნივ. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (ოდა)** — ერგცერიდან მარჯვენა ფეხის ტერფით დადგმა, სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადაინაცვლება, მარცხენის მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა და წინ — ჰაერში გაქნევა (ნახ. 5).

ტაქტის **მომღევნო ორი მერვედი (სა-ნა)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა, სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში, მარცხენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს. (ნახ. 8).

ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (ი-ვა)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.9).

ფერხული „სანადიროს“ მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა **ორტაქტიანია**, საცეკვაო ფრაზა კი **სამ** ტაქტში თავსდება. ვინაიდან პირველ მუსიკალურ ტაქტზე ძირითადად ყოვნაა, პირველი საცეკვაო ფრაზის დასასრული დაემთხვევა **მეოთხე** ტაქტის დაბოლოებას, შემდეგ **მეშვიდე, მეათე, მეცამეტე, მეთექვსმეტე** და ა.შ. ტაქტებისას.

სანადირო
ამირანის ფერხული

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

II გუნდი

I გუნდი

4
8
მი-სი და სა-ნა-ო-ვა დი-რო-სა - მე ვი - ო

4
8
მი-სი და სა-ნა-ო-ვა დი-რო-სა - მე ვი - ო

4
8
დი-რო-სა - მე - ვი - ო.

4
8
დი-რო-სა - მე - ვი - ო.

სანადიროსა მევიარეთ
 ამირანი და ძმანი მისი
 წინ ირემი შეგვეყარა
 ოქროსივო ქონდა და რქები მისი
 შევეივოვხედეთ და მევეფარეთ
 მუნახისიო ქვეშ, ქვეშ მევეფარეთ
 დევეივაჩოქეთ და ვესროლეთ
 ორბეჭს შუა და შემოვტყორცნეთ
 არგაიოსდინსა და ცვარი სისხლი
 დღისითიო ვსდიეთ და ღამე ვსდექით
 არ დავიოვკარგეთ კვალი მისი
 ავეივაგვიძღვა და ქვეშ ჩაგვიძღვა
 ბალხეთისიო შუა და კოშკი იდგა
 კოშკი ივო იყო და ადამხნისა
 სამჯერივო ირგვლივა შემოუარეთ
 ვერსადივო ნავხეთა კარი მისი
 ამიივორანმა და ქუსლი ჩაკრა
 შიგ ჩაივოსტება და კარი მისი
 კარებსივო უკანა კუბო იდგა
 კუბოივო იდგა და ადამხნისა...

რელიგიურ-რიტუალური ფერხულები

სამონადირო და ტოტემური ცეკვების განვითარების ეტაპი რელიგიურ-რიტუალური ფერხულებია.

ქართულ ფოლკლორში მნათობთა თაყვანისცემის ამსახველი უამრავი სიმღერა-ლექსია, თუნდაც ასეთი — მეგრული ხალხური ლექსი:

მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამაა ჩემი,
მოკაშკაშე ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

ასტრალური სხეულებისადმი პატივისცემაზე მეტყველებს ჭედური ხელოვნების უძველესი ნიმუშები.

სვანეთში მთვარის პატივისცემად **ლამპრობა** და **შუშპარი** სცოდნიათ. „ლამპრობისას“ ხალხი ღამით, ანთებული არყის ხეების ჩირაღდნებით, უგალობდა მთვარეს. ეს დღესასწაული ზამთარში 24 იანვარს — მთვარის დაბადების დღეს — იმართებოდა.

„შუშპარი“ ლხინის სახელითაც იყო ცნობილი: წრეში ან ორ მწკრივს შორის ერთი-ორი მოცეკვავე თავდავინწყებით ცეკვავდა. ეს ცეკვა იმდენად გავრცელდა საქართველოში, რომ ცეკვა-თამაშისა და მხიარულების ზოგად სახელად იქცა.

ქართველი ტომები მთვარესთან ერთად დიდ პატივს სცემდნენ მზეს (მზის კულტი უფრო მოგვიანებით წარმოიშვა). ხალხური გადმოცემით, ფერხული — წრე-წრეში ჩასმული ორი წრე — გამოხატავს მზისა და მთვარის მოძრაობას. მზისადმი დიდი პატივისცემა მინათმოქმედებას უკავშირდებოდა და მთვარეზე არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა ქართველ ტომებს შორის. ამის ნიმუშია სვანეთში დღემდე შემორჩენილი ფერხული **ლილე**, რომლის ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

სვანეთმა „ლილეს“ გარდა შემოინახა წარმართული ხანის რელიგიურ-რიტუალური ფერხულები — **დიდებათა**, **ლაჟღავშ**, **ადრეკილაჟ** და სხვა.

„ლილეში“ სვანები აქებენ და ადიდებენ მზეს. „დიდებათა“ და „ლაჟღავშიც“ ღმერთების სადიდებლადაა შექმნილი.

ნაყოფიერებისა და შვილიერების კულტი გაზაფხულის ხალხურ სანახაობა-წარმოდგენებში — **ბერიკაობასა** და **ყვენობაშია** შემორჩენილი. მსგავსი დღესასწაულებიდან სვანეთში ცნობილი იყო **მურყვამობა (კოშკობა)**, რომლის დროსაც ასრულებდნენ ფერხულ „ადრეკილას.“

ეს ფერხული ქვემო სვანეთში დღემდეა შემონახული. ტექსტი ადრეკილას წასვლით იწყება — „ოო, ადრეკილა ი ამჩედ, ოიო, ამჩედ“ (ოო, ადრეკილა წავიდა, ოიო, წავიდა). ადრეკილას წასვლა უკავშირდება ზამთრის დადგომას (მოუსავლიანობას), მოსვლა — გაზაფხულს — ბუნების გამოცოცხლებას.

ჩვენ მიერ ჩანერილ ტექსტში ადრეკილა მიდის. ამ მინიშნებით „ადრეკილაჟ“ უნდა შესრულებულიყო ზამთარში. გაზაფხულზე შესასრულებელში კი შესაბამისი ცვლილება მოხდებოდა.

ლილე

მოძრაობათა აღწერა

მეფერხულენი — მამაკაცები და ქალები — ეწყობიან წრიულად.

სანყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკლავი — ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული.

ქალების მონაწილეობისას — ქვედაშევიბული და ხელისხელჩაკიდებული.

მუსიკალური ზომა — 6/8.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.




ტაქტის **ბოლო მერვედი (ო)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარცხენა ფეხით მცირე ერგბუქნი. მარჯვენის ქუსლის ოდნავ დაკვრა — საფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით (ნახ. 13). ეს მოსამზადებელი, ფერხულში შესასვლელი ნაწილია, როგორც **გარე ტაქტის და** — ფერხულის საცეკვაო ფრაზის დასასრული.

მეორე ტაქტის პირველი მერვედი და მომღვენო მეოთხედი (ის-კვა) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

ტაქტის **მომღვენო მეოთხედი წერტილით (მი)** — მარჯვენა ფეხის ერგცერიდან მთელი ტერფით დადგმა. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 7).

მესამე ტაქტის პირველი მერვედი და მომღვენო მეოთხედი (დი-და) — მარცხენა ფეხის ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ გადადგმა (ჭდობა), სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადასვლა. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **მომღვენო მერვედი და მეოთხედი (ბი-ო)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარცხენა ფეხის ქუსლი დაკვრით შეეხება იატაკს, ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში (ნახ. 9).



მეოთხე ტაქტის პირველი ორი მერვედი (რილ-გვა) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადასვლა და ზეტანის მარჯვნივ ოდნავ შემობრუნება. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 14).

ტაქტის **მომღვენო ნახევარი (ია)** — მარცხენა ფეხის ერგცერიდან მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, მარჯვენა ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 9).

მეხუთე ტაქტის პირველი მერვედი და მომღვენო მეოთხედი (ში-ა) — მარჯვენა ფეხით

ჩვეულებრივი ნაბიჯი. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 14).

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი წერტილით (დაი)** — მცირე ნახტომი მარჯვენა ფეხზე ქუსლის დაკვრით. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ისე წაინევს წინ, რომ მარცხენა ფეხის კოჭი მოხვდეს მარჯვენის მუხლის სახსართან. მარჯვენაც ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში, მარცხენა ფეხის ტერფი გაიჭიმება — **მეხუთე** ტაქტზე სრულდება მთიულური ცეკვებისათვის დამახასიათებელი „სადა მუხლურა წინსვლა“ (ნახ. 15).

მეექვსე ტაქტის **პირველი მეოთხედი წერტილით (შა)** — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვენის წინ და მარჯვნივ (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ, მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **შემდეგი მერვედი და მეოთხედი (ი-და)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული — მუხლის სახსარში გამართული მარჯვენა ფეხი ირიბად გაიქნევა ჰაერში მარცხენის წინ და მარცხნივ. ამასთან ერთად მარცხენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).


მეშვიდე ტაქტის **პირველი მერვედი და მომდევნო მეოთხედი (ლი-ლე)** — მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვნივ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მასზე. მარცხენა მოშორდება იატაკს და თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში, მარჯვენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი წერტილით (ი)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული ამასთან ერთად მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

მომდევნო ტაქტიდან საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად — **პირველი** ტაქტის ყოვნის გარეშე — **მერვე** ტაქტის **პირველი მეოთხედი წერტილით (შა)** — მარცხენა ფეხი დაიდგმება მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

ტაქტის მომდევნო **მერვედი და მეოთხედი (ი-და)** — მარჯვენა ფეხის ერგცერიდან მთელი ტერფით დადგმა. სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე, მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს, როგორც **მეორე** ტაქტზე — პირველი საცეკვაო ფრაზის შესრულებისას (ნახ. 7).

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა დასაწყისში შეიცავს **შვიდ**, შემდეგ — **რვა** ტაქტს, საცეკვაო ფრაზა კი **ექვსში** თავსდება. მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დაბოლოება ერთმანეთს დამთხვევა **მეშვიდე, ოცდამეთერთმეტე, ორმოცდამეთხუთმეტე, სამოცდამეცხრამეტე** და ა.შ. ტაქტებზე.

ლილა

ზომიერად
I გუნდი

შა - და ლი - ლე - ო ის - გვა - მი დი - და - ბი - ო

შა - და ლი - ლე - ო ის - გვა - მი დი - და - ბი - ო

შა - და ლი - ლე - ო ის - გვა - მი დი - და - ბი - ო

ხე - შა - მათა ღერ - მათა შა - ი - და

ხე - შა - მათა ღერ - მათა შა - ი - და

ხე - შა - მათა ღერ - მათა შა - ი - და

ლი - ლე - - - - - - - - - - - - - - - -

ლი - ლე - - - - - - - - - - - - - - - -

ლი - ლე - - - - - - - - - - - - - - - -

I-II გუნდები მონაცვლეობით

ო, შა - ი - და ლი - ლე - ო ის - გვა - მი

ო, შა - ი - და ლი - ლე - ო ის - გვა - მი

ო, შა - ი - და ლი - ლე - ო ის - გვა - მი

დი - და - ბი - ო ხო - შა - მა ღერ - მა - თა - ა შა - ი - და

გამეორება დამთავრება

ლი - ლე - ო, ლი - ლე - ო, ლი - ლე - ო, ლი - ლე - ო,

შაიდა, ლილედა, ისგვამი დიდაბიო ხოშამა ღერმათა, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილედა, ოქრაში სამკალივო რილგვოია, შილედა, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილედა, დიდაბი ხოშმიო ღერბათა, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილედა, ხაინარი ჯირდახვო სგაშ ლალგენა, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, მუჭვარ ხაგანხ შიმ ოქრაში, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, ჰაკვდარი ხაგან მონადირე, შაიდა, ლილეო,
 შაიდა, ლილეო, გიცრალ ჯირდახ სგაშ ლაცმენა, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, მუჭვარ ხანგანხ დიმ ყორყეჯელე, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, ჰაკვდარ ხაგან დიმ ხორხაზალე, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, ყიას ხორკულახ დიმ რუქნალე, შაიდა, ლილე...

შაიდა, ლილეო, დიდება შენდა რილგვაია, შაიდა, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, ოქროს სამკაულო რილგვაია, შაიდა შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, დიდება დიდ ღმერთსა, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, ხარები გყავდათ შესანიწავი, შაიდა ლილე,
 შაიდა, ლილეო, რქები ჰქონდათ ყველას ოქროსი, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, კუდები ჰქონდათ კარგი მოყვანილი, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, ყორხები გყავდათ შესანიწავი, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, რქები ჰქონდათ დაგრეხილები, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, კუდები ჰქონდათ აპრეხილები, შაიდა, ლილე,
 შაიდა, ლილეო, ყელზე ეკიდათ ზარები, შაიდა, ლილე...

ლაჟღვაშ წინამძღოლს ნიშნავს. მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.

მოძრაობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — მეფერხულენი დგანან წრიულად სახით ცენტრისაკენ.
ფეხი — III პოზიცია.



ხელები — ქვედაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.

მუსიკალური ზომა — 4/4.


სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.

ტაქტის **მეორე ნახევრის ნახევრიანი ნოტი (ო)** — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ჰაერში წინ გატანა. ერთდროულად მარცხენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის ოდნავ დაკვრა — საფერხულო ჩაკრული მარჯვენა ფეხით (მოსამზადებელი, ფერხულში შესასვლელი ნაწილი, როგორც **გარე ტაქტის და** — საცეკვაო ფრაზის დასასრული).

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი (ის) — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 7).

ტაქტის **მომღვენო ორი მერვედი (გვა-მი)** — მარცხენა ფეხის მარჯვენასთან მიტანა და მთელი ტერფით მარჯვენის გვერდით დადგმა. სხეულის სიმძიმის თანდათანობით მარცხენაზე გადასვლა (ნახ. 12).



ტაქტის **ნახევარი ნოტის პირველი ნახევარი (ო)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადასვლა. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და


თედოს სახსარში. მარჯვენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **ნახევარი ნოტის მეორე ნახევარი (ო)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენა ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

შემდეგ საცეკვაო ფრაზა სრულდება პირიქით:

მესამე ტაქტის პირველი მეოთხედი (დი) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადასვლა. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

ტაქტის **მეორე მეოთხედი (დაბ)** — მარჯვენა ფეხის მარცხენასთან მიტანა და მთელი ტერფით მარცხენის გვერდით დადგმა. სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე (ნახ. 12).



(ნახ. 16).


ტაქტის **მომდევნო ორი მერვედი (ლი-ა)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თედოს სახსარში, მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (ო-და)** — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9) და ა.შ. საცეკვაო ფრაზა ხან მარჯვენა ფეხით იწყება, ხან — მარცხენათი. ასევე სხეული ოდნავ ხან მარჯვნივ გადაიხრება, ხან — მარცხნივ. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ფერხული „ლაჟღავამ“ ადგილზე სრულდება. თუმცა გამორიცხული არაა ფერხულის მარჯვნივ მოძრაობაც.

„ლაჟღავამის“ დამთავრების შემდეგ, იმავე აჩქარებულ სიმღერაზე, ხელიხელჩაკიდებული წყვილები ადგილზე ჯვარედინად (მხარდამხარ) ასრულებენ „ცერულს“.

მეორე ნაწილში ვაჟთა, ქალთა და ქალ-ვაჟთა წყვილები მონაწილეობენ. „ცერულში“ ქალები ცერილეთებს უფრო ნაზად და ცერებზე შეუდგომლად ასრულებენ („ცერულის“ მოძრაობებზე ქვემოთ დანვრილებით ვისაუბრებთ).

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა შეიცავს **ექვს ტაქტს**, საცეკვაო ფრაზა **ორში** სრულდება. ვინაიდან დასაწყისში საცეკვაო ფრაზის პირველი ტაქტი ყოვნაა, ამიტომ პირველი საცეკვაო ფრაზის დასასრული დაემთხვევა **მესამე ტაქტისას**, შემდეგ — **მეხუთის, მეშვიდის, მეცხრის, მეთერთმეტის** და ა.შ. დასასრულს.

ამ შემთხვევაში მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დაბოლოებანი ერთმანეთს თითქმის არ ემთხვევა.

ლაქლვაძე

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა მ. ჩორინაშვილმა

ის - გვა-მი ო დი - დაბ ლი-ა - ო - და რილ-გვა-ი - ო,
 ვომ - დი-ლი-ო ის - გვა-მი ო დი - დაბ ლი-ა - ო - და რილ-გვა-ი - ო,

ვომ - დი-ლი-ო და რამ - დი-ლი-ო - და ო,
 ვომ - დი-ლი-ო და რამ - დი-ლი-ო - და ო,

II გუნდი

ვომ - დი-ლი-ო ის - გვა-მი ო
 ვომ - დი-ლი-ო ის - გვა-მი ო

დი - დაბ ლი-ა - ო - და რილ-გვა-ი - ო, ვომ - დი-ლი-ო და რამ - დი-ლი-ო - და
 დი - დაბ ლი-ა - ო - და რილ-გვა-ი - ო, ვომ - დი-ლი-ო და რამ - დი-ლი-ო - და

I გუნდი

ვოე - დი-ლი - ო ვოქ - ვრა - ში - ო, სამ - კალ ლი - ა - ო - და

ვოე - დი-ლი - ო ვოქ - ვრა - ში - ო, სამ - კალ ლი - ა - ო - და

ო,

ო,

რილ-გვა-ი - ო ვოე-დი-ლი-ო და რად - დი-ლი-ო - და ო.

რილ-გვა-ი - ო ვოე-დი-ლი-ო და რად - დი-ლი-ო - და ო.

დაბოლოება

ვოი დილი ოი ისევამიო დიდაბ ლია ოდა რილგოიო
შაიდილი ოდა, რაიდილი ოოო.

ვოი დილი ოი ვოქვრაშიო სამკალ ლია ოდა რილგოიო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო.

ვოი დილი ოი ხაინარიო ჯირდახ ლიაოდა სგალშლალგენაო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო.


ვოი დილი ოი მუჭვარიო ხაგანხ ლია ოდა შემოქვრეშიო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო,

ვოი დილი ოი ჰაკვდარიო ხაგანხ ლია ოდა დიმ ნონდარეო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო

ვოი დილი ოი გიცრალიო ჯირდახ ლიაოდა სგაშ ლალგენაო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო...

ვოი დილი ოი მუჭვაროი ხაგანხ ლიაოდა შიმყორყვჯალეო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო
ვოი დილი ოი ჰაკვდაროი ხაგანხ ლიაოდა შიმ ხვარხვზალეო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო
ვოი დილი ოი იკვაიო ჩხალეხ ლიაოდა ზაგ-ზაგრიო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო
ვოი დილი ოი ქოულდიო ჯიგანხ ლაიდა დიმ ლემურყვამიო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო
ვოი დილი ოი ძრვიდილდიო ჯეცხაჰხ ლიაოდა დიმ ოქვრაშიო
შაიდილ ოდა, რაიდილი ოოო...

დიდება შენდა, ოქროს სამკაულო
ხარები გყავდათ შესანირავი,
ეს ხარები იყვნენ ოქროს რქებიანი,
კუდები ჰქონდათ კაი მოყვანილი,
ყორები გყავდათ შესანირავი,
იმათაც რქები ჰქონდათ დაგრეხილი,
კუდები ჰქონდათ ჯიშიანი, მსუქანი,
ხტოდნენ მთის ნვერებზე,
სახლი გედგათ კოშკიანი,
ოქროს ზღუდით იყო გარშემორტყმული...



საბრძოლო და მეომრულ-ლაშქრული ფერხულები

საბრძოლო შინაარსის ორ და სამსართულიანი ფერხულები ცნობილია **ორსართულას** ან **ზე-მყრელოს** სახელწოდებით. ასეთი ფერხულები გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. ფიქრობენ, „ზემყრელოს“ სამხედრო-საომარი მნიშვნელობა ჰქონდა: მეომრები დგებოდნენ ერთმანეთის მხრებზე და იერიშით იღებდნენ მტრის ციხე-სიმაგრეს. მშვიდობიან პერიოდში კი ორი ან სამსართულიანი ფერხულები სასპორტო ხასიათისა იყო. „ზემყრელოს“ სახელწოდებით ორ და სამსართულიანი ფერხულები გვხვდება ქართლში, კახეთსა და ხევში. ასეთ ფერხულს მესხეთში **სამყრელოს** უწოდებენ, სვანეთში — **მირმიქელას**, თუშეთში — **ქორბელელას**, ხევში — **აბარბარე-ბარბარეს**. სულხან-საბას განმარტებით, „ქორი“ სახლზე აგებულ სახლს ნიშნავს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქორ ქართულში სახლის ზოგადი სახელია (სვანურადაც სახლს ნიშნავს), მაშინ **ქორბელელა** სახლისა და ბელელისაგან შემდგარი ძველი ქართული ორსართულიანი ნაგებობა უნდა იყოს, რომელიც, ჩვენი აზრით, საფუძველი გამხდარა თუშეთში სართულების პრინციპით აგებული ფერხულის სახელწოდებისა — „ქორბელელა“

მეომრულ-ლაშქრულ ფერხულებს მიეკუთვნება: **მირმიქელა, ყანსავ ყიფიანე, იავ ქალთი, მურზა ი ბექსილ, ლაშგარ, გაუ გავხე, უშგვლა ლასმა, უსგვირ ლაშგარ, თამარ დედფალ...**

მირმიქელა სვანეთში **მურამულდი ქულას** სახელითაც გვხვდება. ორი ან სამსართულიანია და მამაკაცები ასრულებენ.

მურზა ი ბექსილ ძმების — მურზა და ბექსილის — ვაჟკაცობას, რაზმის შექმნასა და სალაშქროდ წასვლას უკავშირდება.

ლაშქრობასა და ციოყ დადუშქელიანის სახელთანაა დაკავშირებული „უსგვირ ლაშგარ“, ამ ფერხულს ზოგან **ციოყ მახვშა**ც უწოდებენ.

თამარ მეფის სვანეთში აბრძანებას უკავშირდება ფერხული **თამარ დედფალ** ორ ვარიანტად: **თამარ დედფალ რავქენსია** და **თამარ დედფალ საიერიშო**. პირველში ქება-დიდებას ასხამენ თამარ მეფეს. ტექსტის დასაწყისშივე მელექსეს თითქოს უჭირს თამარის საკადრისი შაირის თქმა: „რავქენსია არ მინდაი ირშა ვოი ტყირშა“ (რა ვქნა, ვერ ვიტყვი შაირსა). სწორედ ამ ფრაზიდან უნდა მიეღო ფერხულს სახელწოდება — „თამარ დედფალ რავქენსია.“ ზოგჯერ ფერხული შემოკლებით მხოლოდ „რავქენსიას“ სახელითაც გვხვდება.

მეორე ვარიანტი — „თამარ დედფალ საიერიშო“ — ასევე თამარის პატივსაცემადაა შექმნილი. უმღერიან მეფის სილამაზეს, მისი ცხენის აღკაზმულობას და სხვა. ხალხი თამარში, სილამაზის და სინაზის გარდა, რაინდსა და მებრძოლს, სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, მხედართმთავარს ხედავდა. ასეთი გააზრება დაედო საფუძვლად სვანური ფერხულის „თამარ დედფალის“ საბრძოლო ფერხულების ჯგუფში შეტანას.

ამჟამად ორივე ვარიანტი ერთმანეთის მიმდევრობით სრულდება — ჯერ „თამარ დედფალ რავქენსია“, შემდეგ — „თამარ დედფალ საიერიშო.“

მირმიქელა

სამსართულიანი სვანური ფერხული **მირმიქელა** დ. იოსელიანმა აღწერა: „სვიფზე (მოედანი ნმინდა ცაცხვთან) დაიწყო სადღესასწაულო ფერხული. თორმეტმა ყველაზე ღონიერმა მამაკაცმა ჩასჭიდა ხელი ერთმანეთს სარტყელში და საკუთარი სიმღერის აკომპანემენტით დაიწყო მხნე და ელასტიკური ცეკვა. ისინი ტრიალებდნენ და ერთ ფეხზე იჩოქებდნენ, შემდეგ კი ფეხს წინ გამოსწევდნენ. მალე კიდევ თორმეტი კაცი მოხდენილად შეახტა მათ ზურგზე და შექმნეს მეორე სართული. მათ შეასხდა კიდევ თორმეტი. სამსართულიანი ფერხული ტრიალებდა, ცეკვავდა და მღეროდა, ეჯიბრებოდა ერთმანეთს სხვადასხვა გამოგონებაში. ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ ქვემოთ მყოფნი დაიხელთებდნენ დროს და ჩამოყრიდნენ ზემოთებს დამსწრეთა სიცილ-ხარხარში...“ (ლილი გვარამაძე, „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“, 1953).

მურამულდი ქულა აღწერა დიმიტრი ჯანელიძემ: „სვანეთში შემონახული ფერხული — „მურამულდი ქულა“ — ისეთი ორსართულიანი საფერხულო ნყოფაა, როდესაც ზედა და ქვედა მწყობრი ურთიერთდაპირისპირებულია და მათ შორის დიალოგი იმართება. ქვედა მწყობრი ჩამოგდებით ემუქრება ზედა მწყობრს. ზედა მწყობრი კი უპასუხებს ქვედას, რომ არ ეშინია მისი ხრიკებისა. როცა

ცეკვა და სიმღერა აჩქარდება, ქვედაურები დროს უშოვნიან და ძირს დასცემენ ზედა მწყობრს. სამ-ნუხაროდ, ამ საფერხულო თამაშობის ტექსტი შენახული არ არის“ (დიმიტრი ჯანელიძე ქართული თეატრის ხალხური სანყისები, 1948, გვ.161).

„მურამული ქულას“ ბესარიონ ნიჟარაძე გართობა-თამაშობას მიაკუთვნებს და დიმიტრი ჯანელიძის მსგავსად აღწერს.

ჩვენ მიერ სვანეთში ჩანერილი ორსართულიანი ფერხული „მირმიქელაც“ საბრძოლო შინაარსისაა: მამაკაცთა ერთი ჯგუფი შეკრავს წრეს, ჩაიჩოქებს და მათ მხრებზე შეადგება მეორე ჯგუფი. ორსართულიანი ფერხული მოძრაობს წრეზე მარჯვნივ. „მირმიქელას“ ქვედა სართული ზედას ჩამოყრით ემუქრება, ზედა სართულს არ ეშინია. ბოლოს ქვედა დროს იხელთებს, ზედას ჩამოყრის და საერთო ცეკვა-თამაში იწყება. შემდეგ „შინავორგილს“ ცეკვავენ, ბოლოს — „ცერულს.“ „მირმიქელაში“ მონაწილეობენ მამაკაცები, ქალები მხოლოდ „შინავორგილის“ დროს ჩაერთვებიან.

მოძრაობათა აღწერა


სანყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით სახით ცენტრისაკენ დგომა.

ქვედა სართულის ფეხი IV პოზიციაში. ზედა სართულის მონაწილეთა მარჯვენა ფეხი ქვედა მარჯვნივ მდგომი მამაკაცის მარცხენა მხარზეა, მარცხენა — მარცხნივ მდგომის მარჯვენა მხარზე.


მუსიკალური ზომა — 4/4.

პირველი ტაქტი — ყოვნა.

მეორე ტაქტის პირველი და მეორე მეოთხედი (ჟი-ქან) — მარჯვენა ფეხის გადადგმა მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.



ტაქტის **მესამე და მეოთხე მეოთხედი (ხვა-რიდ)** — მარცხენა ფეხის მარჯვენასთან მიდგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადასვლა (ნახ. 12) და ა.შ. — ყოველი ტაქტის **პირველ ნახევარზე** მარჯვენა გადაიდგმება მარჯვნივ, ტაქტის **მეორე ნახევარზე** — მარცხენა მიიდგმება მარჯვენასთან. დასასრულ, ქვედა სართული გამოეცლება და ზედას ჩამოყრის.



ნახ. 17

მირმიქელა

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

II გუნდი

I გუნდი

- I გუნდი - ქვედა - ორი მირმიქელა უიქან ხარიდ ჩუაჯკვანედ ჰო,
 II გუნდი - ზედა - ორი მირმიქელა უიქან სვარიდ დეშანკვანედ ჰო,
 I გუნდი - ქვედა - ორი მირმიქელა ფოკს ერქადნენ ფოყს აჯყვირედ ჰო,
 II გუნდი - ზედა - ორი მირმიქელა დეშ ენქადნენ დეშ ანყვირედ ჰო,
 I გუნდი - ქვედა - ორი მირმიქელა ბარჯს ერქადნენ ბარჯს აჯყვირედ ჰო,
 II გუნდი - ზედა - ორი მირმიქელა დეშ ენქადნენ დეშ ანყვირედ ჰო და ა.შ.

- I გუნდი, ქვედა - ორი, მირმიქელა, ზევით ხართ და ჩამოგაგდებთ, ჰო,
 II გუნდი, ზედა - ორი, მირმიქელა, ზევით ვართ და ვერ ჩამოგაგდებთ, ჰო,
 I გუნდი, ქვედა - ორი, მირმიქელა, თედოს აგაცდენთ, თედოს მოგამტვრევთ, ჰო,
 II გუნდი, ზედა - ორი, მირმიქელა, ვერ აგვაცდენთ, ვერ მოგვამტვრევთ, ჰო,
 I გუნდი, ქვედა - ორი, მირმიქელა, მხარს აგაცდენთ, მხარს მოგამტვრევთ, ჰო,
 II გუნდი, ზედა - ორი, მირმიქელა, ვერ აგვაცდენთ, ვერ მოგვამტვრევთ, ჰო და ა.შ.

ი ა ვ ქ ა ლ თ ი

იავ ქალთი რაჭის ერთ-ერთ სოფელში სვანების ლაშქრობას უკავშირდება. ტექსტში ჩანს, რომ სოფელი ქალთი მხიარულია, მოცეკვავე, ქვიანი, ლაშქრობისათვის საზიანო...

მეფერხულენი ეწყობიან რკალად ან ერთ მწკრივად. თავში წამყვანი დგას ჯოხით ან არყიანი სასმისით (სოფელი ლატალი) — მოსვამს, მომდევნოს გადასცემს და ა.შ.

„იავ ქალთისათვის“ დამახასიათებელია გამორჩეული წეს-ჩვეულება: სრულდება დღესასწაულებზე, მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები, ტექსტში ვხვდებით უხემ-უნმანურ გამოთქმებს. „იავ ქალთის“ „მელია თელეპიას“ სანყისებთან მივყავართ და სათავეს ნაყოფიერების კულტის ფერხულებიდან იღებს.

ფერხულში მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები.

მოცეკვავენი ეწყობიან ნახევარწრედ. ფერხული მოძრაობს მარჯვნივ — წრის შეუკვრელად, სხვადასხვა მოხაზულობით (ტალღისებურად, ხვიარისებურად და სხვა). მეფერხულენი ცდილობენ, მაყურებელთაგან რომელიმე მამაკაცი ჩაითრიონ ფერხულში — მაშინ წრე შეიკვრება. ტექსტი თანდათან უხეში, უნმანური და დამცინავია.

პირველი გუნდი იტყვის პირველ ორ სტრიქონს, მეორე იმეორებს და ა.შ.



მოძრაობათა აღწერა

სანყისი მდგომარეობა — ნახევარწრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა.


ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული.

მუსიკალური ზომა — 4/4

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტის პირველი ორი მერვედი (ი-ავ) — მარჯვენა ფეხი გადაეჭდობა მარცხენას და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრილი ერგცერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენა ფეხის წინ და მარცხნივ.



ტაქტის **მომდევნო ორი მერვედი (ქალ-თი)** — მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარცხენა თანდათანობით მოიხრება


მუხლისა და თეძოს სახსარში, მარჯვენის ქუსლი ოდნავ სცილდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **ბოლო ნახევრიანი ნოტი (ო)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად მარჯვენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი წერტილით (ბე) — მარცხენა ფეხი დაიდგმება მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს. შემდეგ მარჯვენა ფეხი ერგცერიდან იდგმება მთელი ტერფით, სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6.7).

ტაქტის **მომდევნო მერვედი (ბუ)** — მარცხენა ფეხი თანდათანობით მოიხრება მუხლის სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვენის წინ და მარჯვნივ; გამართული მარჯვენა ადგილზე რჩება (ნახ. 4).

ტაქტის **მომდევნო მერვედი (ცი)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადასვლა. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ; მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).




ნახ. 18

ტაქტის **ბოლო მეოთხედი წერტილით (ა)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარცხენა ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

აქ მთავრდება საცეკვაო ფრაზა.

მესამე ტაქტი — საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან. საცეკვაო და მუსიკალური ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



როგორც ვნახეთ, მუსიკალური ფრაზა შეიცავს **ოთხ** ტაქტს, საცეკვაო — **ორს**: ერთ მუსიკალურ ფრაზაში სრულდება ორი საცეკვაო ფრაზა. ამის გამო **პირველი** საცეკვაო ფრაზის ბოლო დაემთხვევა **მეორე** მუსიკალური ტაქტის დასასრულს, შემდეგ — **მეოთხე, მეექვსე, მეთათე** და ა.შ. მუსიკალური ტაქტების დაბოლოებას.

ი ა ვ ქ ა ლ თ ი

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

I-II გუნდი მონაცვლეობით

ი ა ვ ქ ა ლ თ ი ა ო (ო), ბ ე ბ უ ც ი ა,
 ს ო ფ ე ლ ქ ა ლ თ ი შ უ შ პ ა რ ი ა,
 შ უ შ პ ა რ ჩ უ ბ ე ნ ქ ვ ი ა ნ ი ა,
 ქ ვ ი ა ნ ჩ ვ ე ნ ი ზ ი ა ნ ი ა.
 მ უ რ ყ ვ ა მ ქ ვ ე რ ე ზ ი ა ნ ი ა,
 მ ო ყ ვ რ ი შ მ ო ყ ვ ა რ ი ა ნ ი ა.
 ე ლ ი ა ს ა მ ე ლ ი ა ს ა...
 ე ხ ლ ა რ ა ჭ ა ჩ ვ ე ნ ი ა ს ა,
 ჩ ი ტ ი ც მ ო გ ვ ი ნ ვ ე ლ ი ა ს ა,
 ჩ ი ტ ი ც მ ო გ ვ ი ნ ვ ე ლ ი ა ს ა,
 კ ა თ ხ ა ჩ ა გ ვ ი ნ კ ე პ ნ ი ა ს ა...

ყანსავ ყიფიანე

ფერხული **ყანსავ ყიფიანე** ბეჟან ყიფიანის პატივსაცემად შექმნილი. ბესარიონ ნიჟარაძე „ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებში“ მოგვითხრობს: „გავიარეთ პაპების სათიბი „ნაშალვარე ლარე“ (ნაომარი სათიბი). არც ეს სათიბია ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული. ხალხის ძველი გადმოცემით, ამ სათიბში ჩხუბი მოსვლიათ უმგულელებს და ლაშხეთის მახვშს (მამასახლისს) ბეჟანა (ზოგი ყანსავს უწოდებს) ყიფიანს. ამ შეტაკებისას დალუპულა ყანსავ ყიფიანი (ისრით მოუკლავს უმგულის მახვშს ბეგაშს)... ყანსავ ყიფიანი ისეთი შეძლებული ყოფილა, რომ დადიანის მთიდან, ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზე გამოუყვანია წყალი არხით შენობებისთვის. ამ არხს ხალხი დღესაც „ყანსავ ლილჰენარ“ (ყანსავის არხს) უწოდებს. ყანსავ ყიფიანი დასახლებულა სოფ. ჩიხარეთის (ჩიხარეში) თავში, სახელდობრ, დაბიშში და მთელი ლაშხეთი მისი საყმო ყოფილა.“

ხალხური გადმოცემით, **XIV** საუკუნეში სვანები აჯანყებულან გიორგი ბრწყინვალის წინააღმდეგ და ქუთაისი გადაუნვათ. თურმე ამ აჯანყებას მეთაურობდა ყანსავ ყიფიანი.

თქმულების მიხედვით ყანსავ ყიფიანს **XIV** საუკუნეში უცხოვრია და მის პატივსაცემად შექმნილი ფერხულიც ამავე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ფერხულში ქება-დიდებას ასხამენ უბერებელ, უკვდავ ყანსავ ყიფიანს და მის გაბედულ ლაშქარს, დასცინიან მხდალებს, ლეღეებში რომ ეყარნენ, მხრებზე მუხის ჯოხები გაედოთ და თეძოზე ყავრის დაშნები ჩამოეკიდათ.

ფერხული ეწყობა წრიულად, მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.



მოქრობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — წრიულად სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული. ქალების მონაწილეობისას მკლავები ქვედაშეებულია და ხელჩაკიდებული.

მუსიკალური ზომა — 2/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.


პირველი ტაქტი — ყოვნა.

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი (ყან) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დაკვრა (ნახ.1, 12).

ტაქტის **მომდევნო მეორედი წერტილით (სა)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარცხენის წინ და მარცხნივ გადადგმა (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადასვლა. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარცხნივ; მარჯვენა ფეხის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ.4).

ტაქტის **ბოლო მეთექვსმეტედი (ვი)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული (ნახ.5).

მესამე ტაქტის პირველი მეორედი (ყი) — მარცხენა ფეხი დაიდგმება მარცხნივ. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).



ტაქტის **მომღევნო მერვედი (ფია)** — ერგცერიდან მარჯვენა ფეხის ტერფით დადგმა, სხეულის სიმძიმე გადაიტანება მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.7).

ტაქტის **მესამე მერვედი წერტილით (ნე)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **ბოლო მეთექვსმეტედი (და)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ერთდროულად მარცხენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.9).

მეოთხე ტაქტის პირველი მერვედი (ყან) — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა. სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე, მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარჯვენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **მეორე მერვედი (სავ)** — საფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით. ამასთანავე მარჯვენა ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.5).

ტაქტის **მომღევნო მერვედი (ყი)** — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხნივ. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).

ტაქტის **ბოლო მერვედი (ფია)** — მარჯვენა ფეხის ერგცერიდან ტერფით დადგმა, სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადასვლა; ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.7).

მეხუთე ტაქტის პირველი მეოთხედი (ნე) — მარცხენა ფეხი ჩაიდგმება მარჯვენის უკან და მარჯვნივ (ამ დროს მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს და ორივე ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში). შემდეგ მუხლის სახსარში მოხრილი მარჯვენა ფეხი გადაინაცვლებს მარჯვნივ, მარცხენა ერგცერიდან მთელი ტერფით შეეხება იატაკს და გაიმართება მუხლის სახსარში (ნახ. 11, 1).

აქ მთავრდება საცეკვაო ფრაზა: მუხლის სახსარში მოხრილი, იატაკსმოშორებული მარჯვენა ფეხი, მომზადებულია დასაკრავად.


მეხუთე ტაქტის მომღევნო — მეთექვსმეტედი წერტილით, ოცდამეთორმეტედსა და მერვედზე — ტაქტის **მეორე ნახევარზე (დი-ო-ი)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დაკვრა და მიმდევრობით ისევ მოშორება (ნახ. 12, 1).

მეექვსე ტაქტიდან საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან.

მეექვსე ტაქტის **პირველი მეოთხედი (უმ)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დაკვრა (ნახ. 12).

მეორე საცეკვაო ფრაზიდან ყოველ ფრაზას წინ უძღვის მარჯვენა ფეხის ორჯერ დაკვრა.

საცეკვაო და მუსიკალური ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა **ოთხტაქტიანია**; საცეკვაო ფრაზა, გარდა პირველისა (პირველ მუსიკალურ ტაქტზე ყოვნაა), ასევე **ოთხ** ტაქტში თავსდება — მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დასასრული ერთმანეთს ემთხვევა **ოთხ-ნახევარ, რვა-ნახევარ, თორმეტ-ნახევარ, თექვსმეტ-ნახევარ** და ა.შ. ტაქტებზე.

ყანსავ ყიჟინაჲ

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

ყან - სა - ვა ყი - ფა - ნე და ყან - საგ ყი - ფა -
ო - ღი - ღი ყან - სა - ვა ყი - ფა - ნე და ყან - საგ ყი - ფა -

ნე
ნე
ღი - ღი

II გუნდი

ი ყან - სა - ვა ყი - ფა - ნე და ყან - საგ ყი - ფა
ღი - ღი ო ყან - სა - ვა ყი - ფა - ნე და ყან - საგ ყი - ფა - ნე

I და II გუნდი ერთად

ნამ - ცა - ი თო - ფა - რე და ნამ - ცა თო - ფა - რე დას.
ნამ - ცა - ი თო - ფა - რე და ნამ - ცა თო - ფა - რე ღი - ღი დას.

გამეორება დამთავრება

ო, დიო, ყანსავ ყიფიანე, ყანსავ ყიფიანე,
 ოდი, უმჩა ი უდგარა, უმჩა უდგარა,
 დიო, ხორამ ღვაჟარე ბახას იშიალებ
 დიო, ბარჯას ხასდანდახ, ნამცა თოფარე,
 დიო, ლუმკარ დაშნარე, ლუმკარ დაშნარე,
 დიო, ფოყას ხორკუდახ, ფოყას ხორკუდახ,
 დიო, ხორამ იშიალებ, ხორამ იშიალებ,
 დიო, ზაგრუმ იშიალებ, ზაგრუმ იშიალებ,
 დიო, ხოდრაი ღვაჟარე, ხოდრაი ღვაჟარე,
 დიო, ტუბას ზუსდანდახ, ტუბას ზუსტდანდახ
 დიო, ყაირიმ დაშნარე, ყაირიმ დაშნარე
 დიო, ფოყას ხორკუდახ, ფოყას ხორკუდახ,
 დიო, ხოდრამ იშიალებ, ხოდრამ იშიალებ,
 დიო, ტუბას იშიალებ, ტუბას იშიალებ.



ო, დიო ყანსავ ყიფიანი, ყანსავ ყიფიანი,
 დიო დაუბერებელი და უკვდავი,
 დიო ნამცა თოფი
 დიო მხარზე ქონდათ გადებული,
 დიო მოჭედილი დაშნა
 დიო თეძოზე ეკიდათ,
 დიო კარგი მეომრები
 დიო მწვერვალებზე იბრძოდნენ,
 დიო ცუდი მეომრები
 დიო ლელე-ლელე მიდიოდნენ,
 დიო მუხის კეტები
 დიო მხრებზე გაედოთ,
 დიო ყავრის დაშნები
 დიო თეძოზე ეკიდათ,
 დიო ცუდათ იბრძოდნენ
 დიო ლელე-ლელე იბრძოდნენ.

ყანსავ ყიფიანე — მეორე ვარიანტი

ყანსავ ყიფიანეს ეს ვარიანტი დაცულია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში, დათარიღებულია 1950 წლით და პირველად ქვეყნდება (რედ.).

ფერხულს ასრულებენ მხოლოდ მამაკაცები.

ერთიმეორის ქამრებში ხელჩაჭიდებული მეფერხულენი ეწყობიან წრიულად.



ქამრებში ხელჩაჭიდებული ორი ვაჟი

I — 8 თვლა

სანყისი მდგომარეობა — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა, მარცხენაზე დგომი.

თვლა **ერთის პირველი მარცვალი** — **ერ** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა და ერთდროულად მარცხენის მუხლის სახსარში მოხრა.

მეორე მარცვალი — **თი** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ (მარცხენა ფეხის წინ).

თვლა **სამი** — საფერხულო ჩაკვრა მარცხენა ფეხით: **თვლა სამის პირველი მარცვალი** — **სა** — მუხლის სახსარში მოხრილი მარცხენა ფეხის მარჯვნივ (მარჯვენა ფეხის წინ — ჰაერში) გატანა და ერთდროულად მარჯვენის ტერფის წინა ნაწილზე ოდნავ აწევა (ჰაერშია მარჯვენის ქუსლი).

მეორე მარცვალი — **მი** — მარჯვენა ფეხის ქუსლის მცირედ დაკვრა, ერთდროულად მარცხენა ფეხით წინ — ჰაერში, მარჯვნიდან მარცხნივ, ნახევარწრის მოხაზვა.

თვლა **ოთხის პირველი მარცვალი** — **ო** — მარცხენა ფეხის დადგმა, მარცხენა მხარით წინ და

მარჯვნივ მცირედ შებრუნება, მარჯვენის მუხლის სახსარში უკან მოხრა.

მეორე მარცვალი — თხი — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა (ფეხის წინ — ჰაერში გამოტანით).

თვლა **ხუთი** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით თავისუფლად დადგმა (სხეულის სიმძიმე ეყრდნობა მარცხენას).

თვლა **ექვსი** — ჩვეულებრივი ნაბიჯი მარჯვენა ფეხით მარჯვნივ.

თვლა **შვიდი** — ჩვეულებრივი ნაბიჯი მარცხენა ფეხით მარჯვნივ.

თვლა **რვა** — მარჯვენა ფეხის გადატანა მარცხენა ფეხის წინ და მარცხნივ, გადაჯვარედინება (ორივე ფეხი გამართულია და მთელი ტერფით ეყრდნობა იატაკს).

მეორე რვა თვლა:

თვლა **ერთის პირველი მარცვალი — ერ** — მარჯვენა ფეხის გადმოტანა მცირედ მარჯვნივ და მთელი ტერფით დადგმა.

მეორე მარცვალი — თი — მარცხენა ფეხის გადმოტანა მცირედ მარჯვნივ და მთელი ტერფით დადგმა.

თვლა **ორი** — ჩვეულებრივი ნაბიჯი მარჯვენა ფეხით მარჯვნივ.

თვლა **სამი** — ჩვეულებრივი ნაბიჯი მარცხენა ფეხით მარჯვნივ.

თვლა **ოთხი** — საფერხულო ჩაკერა მარჯვენა ფეხით (იხ. **პირველი რვა** თვლის **მესამე** თვლა).

თვლა **ხუთი** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა.

თვლა **ექვსი** — მარცხენა ფეხის მარჯვენის უკან ჩადგმა (სვანური უკანჩაკრული) და ორივე მუხლის სახსარში მცირედ მოხრა.

თვლა **შვიდის პირველი მარცვალი — შვი** — მარჯვენა ფეხის მარჯვნივ გადადგმა, ერთდროულად მარცხენის მუხლის სახსარში უკან (ჰაერში) მოხრა.

მეორე მარცვალი — დი — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა (ფეხის წინ — ჰაერში გამოტანა).



თვლა **რვა** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით თავისუფლად დადგმა.

აღნიშნული **ორი რვა** თვლა მეორდება რამდენიმეჯერ, რაც წრეზე მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობის საშუალებას იძლევა.

ფერხული მთავრდება წრის გახსნითა და სახით მაცურებლისაკენ ნახევარწრედ მოწყობით (სასიმლერო ტექსტის დამთავრებასთან ერთად).

ყანსავ ყიფიანე, ყანსავ ყიფიანე,
უმჩა უდგარა, ულტვა უყროვა,
სოფელ ადქუთნან: სოლია ლენჯერი
სეტი-მესტია, ღვუბრა-ზარლაში
მელახ-მეჟალე, უღვირ-ზაგარი
იფარ-ზეგანი, კალა-უჟგული
ფარას ესღურდად, ბაჯას ხიშგალედ
ხოჩა ღვაჟარე ზარგემ ესღერდად და ა.შ.

გაუ გავხე

ფერხულ **გაუ გავხეს** საფუძვლად სოფელ ხალდეს წინააღმდეგ ლეჩხუმის თავადების გალაშქრება უდევს: ლეჩხუმელმა თავადებმა გადაწყვიტეს ხალდეს განადგურება და ალყა შემოარტყეს მას. დაიწყო ბრძოლა. თავგანწირულად იბრძოდა სოფლის ახალგაზრდობა, განსაკუთრებით, გეგი, თაზი, ჯოხანი, ჩარგიზი...

„გაუ გავხე“ წრიული ფერხულია, მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები.



მოძრაობათა აღწერა


საწყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ზურგს უკან ქამრებში ჩაჭიდებული.

მუსიკალური ზომა — 6/8.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.



პირველი ტაქტი — ყოვნა.

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (და)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და წინ ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და მარჯვენის ქუსლის ოდნავ დაკვრა — საფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით (ნახ. 13). ეს მოსამზადებელი, ფერხულში შესასვლელი ნაწილია, როგორც **გარე ტაქტის და** — ფერხულის საცეკვაო ფრაზის დასასრული.

მეორე ტაქტის პირველი მერვედი და მომდევნო მეოთხედი (ჩულუ) — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადანაცვლება. ადგილზე

დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი წერტილით (ი)** — ერგცერიდან მარჯვენა ფეხის ტერფით დადგმა, სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადასვლა; ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.7).

მესამე ტაქტის პირველი მერვედი და მომღევნო მეოთხედი (ზერ-ლი) — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით იდგმება მარცხნივ, სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში; მარცხენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (ხი-ო)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარცხენის ქუსლით დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

მეოთხე ტაქტის პირველი ორი მერვედი (მიჯ-რი) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადატანა და ზეტანის მარჯვნივ ოდნავ შებრუნება. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.14).

ტაქტის **მომღევნო ნახევარი ნოტი (შა)** — მარცხენა ფეხის ერგცერიდან მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 9).

მეხუთე ტაქტის პირველი მერვედი და მომღევნო მეოთხედი (ლაშ-გა) — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. უკან დარჩენილი მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 14).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (რა)** — მარჯვენა ფეხზე მცირე ნახტომი ქუსლის დაკვრით. მარცხენა მოშორდება იატაკს, მოიხრება მუხლის სახსარში და ისე წაინწევს წინ, რომ მარცხენის კოჭი მარჯვენის მუხლის სახსრის სიმაღლეზე მოხვდეს. მარჯვენა ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში, მარცხენა ტერფი გაიჭიმება — **მეხუთე ტაქტზე** სრულდება მთიულური ცეკვებისათვის დამახასიათებელი **სადა მუხლურა წინსვლა** (ნახ. 15).

მეექვსე ტაქტის პირველი მეოთხედი წერტილით (გა) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენა ფეხის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადასვლა; მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლის სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის შემდეგი **მერვედი და მეოთხედი (უ)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.9).

მეშვიდე ტაქტის პირველი მერვედი და მომღევნო მეოთხედი (გავ-ხე) — მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვნივ, ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადატანა, მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში; მარჯვენა ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.4).


ტაქტის **ბოლო მეოთხედი წერტილით (ი)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

აქ მთავრდება საცეკვაო ფრაზა.

შემდეგი ტაქტიდან საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად.

ფერხული „გაუ გავხეს“ **მეორე — აჩქარებული ნაწილი:**

პირველი ტაქტის პირველი მეოთხედი და მომღევნო მერვედი (გა-უ) — ორი ჩვეულებრივი ნაბიჯი მარჯვნივ (მარჯვენა, მარცხენა).



ნახ. 19


ტაქტის შემდეგი **ორი მერვედი (გავ-ხე)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე; მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარჯვენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.4).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (და)** — საფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის იატაკზე ოდნავ დაკვრა (ნახ. 5).


მეორე ტაქტი (ჩუ-ლუ-ი) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა, ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადატანა; მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს. შემდეგ მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად მარცხენა ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.8, 9).

აქ მთავრდება მეორე, აჩქარებული ნაწილის, საცეკვაო ფრაზა, რომელიც შეიძლება განუსაზღვრელად განმეორდეს.

საცეკვაო და მუსიკალური ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მეორე აჩქარებული ნაწილი



გაუ-გავხეს ნელი ნაწილის პირველი მუსიკალური ფრაზა შეიცავს **შვიდ** ტაქტს, მომდევნო ფრაზები — **რვა-რვას**.

საცეკვაო ფრაზა თავსდება **ექვს** ტაქტში. ვინაიდან პირველ მუსიკალურ ტაქტზე ყოვნაა, ამიტომ საცეკვაო ფრაზის დასასრული დაემთხვევა **მეშვიდე** ტაქტის დაბოლოებას, შემდეგ — **მეცამეტე, მეცხრამეტე, ოცდამეხუთე** და ა.შ. ტაქტების დასასრულს.

ფერხულის მეორე, აჩქარებული ნაწილის მუსიკალური ფრაზა ასევე **რვა** ტაქტისაგან შედგება, საცეკვაო ფრაზა **სამ** ტაქტში თავსდება. საცეკვაო ფრაზის დასასრული დაემთხვევა **მესამე, მეექვსე, მეცხრე, მეთორმეტე** და ა.შ. მუსიკალური ტაქტების დაბოლოებებს.

გაუ გაჰსე

ზომიერად

I გუნდი

გა - უ გაგ - ხე და ჩუ - ლუ - ი ზერ - ლი - სი - ო მიჯ - რი - შა

II გუნდი

I-II გუნდი მონაცვლეობით


ლაშ-გა - რა გა - უ გაგ - ხე - ი, გა - - - უ

გაგ - ხე და ჩუ - ლუ - ი ზერ - ლი - სი - ო მიჯ - რი - შა

| გამეორება | | | დაბოლოება | |
|-------------|--------|---------------|------------|----|
| ლაშ-გა - რა | გა - უ | გაგ - ხე - ი, | გაგ - ხე - | ო. |
| ლაშ-გა - რა | გა - უ | გაგ - ხე - ი, | გაგ - ხე - | ო. |

გაუ გავხე, და ჩუ ლუიზერ ლიხიო მიჯრიშა ლაშგარა, გაუ გავხე,
გაუ გავხე, და ხემცუიქულებიო ხალდეშა სოფელსა, გაუ გავხე,
გაუ გავხე, ვარიას ხატხეს ხალდე სოფელ, გაუ გავხე,
გაუ გავხე, ივზირალეს ლეჩხმა ვარგალ, გაუ გავხე,
გაუ გავხე, ივზირალეს ხალდეშ ხაცას, გაუ გავხე,
გაუ გავხე, ყივ ხოვზირას ხალდეშ ხაცა, გაუ გავხე,
გაუ გავხე, გავიხედე სგაუნხანგენას ხალდე სოფელს, გაუ გავხე,
გაუ გავხე, გავიხედე ეზარ იშიალხ ხალდეშ ღვაჟარ, გაუ გავხე,
გაუ გავხე, ჩიდ მაჩენამ გეგი ი თაზი, გაუ გავხე,
გაუ გავხე, ჩიდ გაჩენამ ჯოხან ი ჩარგიზ, გაუ გავხე,
გაუ გავხე, იშიალხ ხალდეშ ხახვრალ, გაუ გავხე.

შეგროვილა ლეჩხუმის ლაშქარი,
მოციქულობენ ხალდეს სოფელთან,
უარს ეუბნება ხალდეს სოფელი.
ბჭობენ ლეჩხუმის თავადები,
ბჭობდნენ და გადანყვიტეს დალუპვა,
გადანყვიტეს სოფლის დალუპვა.
გავიხედე, კარგად იბრძვიან,
გავიხედე, ყველაზე კარგად გეგი და თაზი,
გავიხედე, იმათზე კარგად ჯოხანი და ჩარგიზი,
გავიხედე, კარგად ომობენ ხალდეს ვაჟკაცები.



მურზა ი ბექსილ

ფერხული მურზა ი ბექსილ ძმების — მურზასა და ბექსილის — სალაშქროდ წასვლას უკავშირდება.

ფერხული ეწყობა ნახევარწრედ (რკალად), მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.



მოძრაობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — ნახევარწრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა. **ფეხი** — III პოზიცია.

ხელები — ქვედაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.


მუსიკალური ზომა — 4/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ექვსი ტაქტი — ყოვნა.

მეშვიდე ტაქტის პირველი მეოთხედი (მურ) — მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ და მარცხნივ გადატანა და მთელი ტერფით დადგმა (მარჯვენა გამართულია მუხლის სახსარში). უკან დარჩენილი მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა (ჭდობა).

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (ზა)** — მარცხენა ფეხის ტერფით დადგმა. ერთდროულად მარჯვენის წინ გამოტანა. ამ დროს ორივე ფეხი გამართულია მუხლის სახსარში (ნახ.9). **პირველ და მეორე მეოთხედზე** შესრულებული მოძრაობა „ჭდობილი ჩაკვრის“ **პირველი-ორი** მოძრაობის ანალოგიურია.




ტაქტის **მესამე მეოთხედი (ჯი)** — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა; ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე, მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარჯვენა ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.4).

ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (ვო-ი)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკვრა. ამავდროულად მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.5).


მერვე ტაქტის პირველი მეოთხედი (ბექ) — მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ და მარჯვნივ გადატანა და ტერფით დადგმა (მარცხენა გამართულია მუხლის სახსარში). ერთდროულად უკან დარჩენილი მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა (ჭდობა).

ტაქტის **მომდევნო ორი მერვედი (სი-ლი)** — მარჯვენა ფეხის ტერფით დადგმა, ერთდროულად მარცხენა შორდება იატაკს და გამოდის წინ. ფეხები გამართულია მუხლის სახსარში. **მერვე ტაქტზე** შესრულებული **პირველი-ორი** მოძრაობა „ჭდობილი ჩაკვრის“ დასაწყისის ანალოგიურია, ოღონდ მარცხენა ფეხით.

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (ო)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა, ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადატანა; მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.8).



ნახ. 20



ნახ. 21

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (და)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად მარცხენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

მეცხრე ტაქტის **პირველი მეოთხედი (რას)** — მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ და მარცხნივ გადატანა და მთელი ტერფით დადგმა (ამ დროს მარჯვენა გამართულია მუხლის სახსარში). ერთდროულად უკან დარჩენილი მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში — ჭდობა (ნახ. 20).

ტაქტის **მომდევნო ორი მერვედი (მა-ი)** — მარცხენა ფეხის ტერფით დადგმა. ერთდროულად მარჯვენის წინ გამოტანა. (ნახ.9). ამ დროს ორივე ფეხი გამართულია მუხლის სახსარში (**მეცხრე** ტაქტზე შესრულებული **პირველი-ორი** მოძრაობა „ჭდობილი ჩაკრის“ დასაწყისის ანალოგიურია).

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (ო)** — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე, მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლის სახსარში. მარჯვენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ჰო)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთან ერთად მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

მეათე ტაქტზე შედის მეორე გუნდი:


პირველი მეოთხედი წერტილით და **მომდევნო მერვედი** — ტაქტის **პირველი ნახევარი (ო-ი)** — მარცხენა ფეხი ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დაიდგმება. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე; მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

შემდეგ მარჯვენა ფეხით „საფერხულო ჩაკრული.“ ამავდროულად მარცხენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

აქ მთავრდება საცეკვაო ფრაზა.

მეათე ტაქტის **მეორე ნახევრიდან** საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან.

საცეკვაო და მუსიკალური ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა შეიცავს **ოთხ** ტაქტს, საცეკვაო ფრაზა **სამ-ნახევარში** სრულდება. ვინაიდან პირველი ექვსი ტაქტი ყოვნაა, ამიტომაც **პირველი** საცეკვაო ფრაზის დასასრული დაემთხვევა **მეათე** მუსიკალური ტაქტის პირველ ნახევარს, შემდეგი **მეცამეტეს, მეჩვიდმეტის პირველ ნახევარს, მეოცეს** და ა.შ. ტაქტებს. მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დასასრული იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს: თუ პირველად დამთხვევა **მეცამეტე** ტაქტზე, მეორედ მხოლოდ ორმოცდამეცხრეზე.

მურზა ი ბექსილ

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილოფანძა

რი - ჰო - ი ბე - ქი - სილ - დი-ო
 მუ - რ - ზა - ი ჰო-ვო-დი-ვო - ი რი - ჰო - ი ბე - ქი - სილ - დი-ო

თხა - ი - რიდ - სი - ო ხა - სი გუ - რი-ა - ო
 თხა - ი - რიდ - სი - ო ხა - სი გუ - რი-ა - ო ჰო ო - დი - ო

მურ - ზა ჯი - ვო - ი ბექ - სი - ლი - ო - და რას მა - ი - ო - ი ჰო
 მურ - ზა ჯი - ვო - ი ბექ - სი - ლი - ო - და რას მა - ი - ო - ი ჰო

II გუნდი

ო - ი-ჰო - დი
 ო - ი-ჰო - დი

II გუნდი

მურ - ზა ჳი - ვო - ი ბექ - სი - ლი - ო - და რას მა - ი - ო - ი
მურ - ზა ჳი - ვო - ი ბექ - სი - ლი - ო - და რას მა - ი - ო - ი

I გუნდი

ო - ი ჰო-დი ხი-მა ი-ვო-ი რა-ლე-დი ვო-და ჳე-გა მი-თე ჰო.
ო - ი ჰო-დი ხი-მა ი-ვო-ი რა-ლე-დი ვო-და ჳე-გა მი-თე ჰო.

II გუნდი

ჰო
ჰო
ო - ი ჰო-დი
ო - ი ჰო-დი

II გუნდი

ხი - მა ი - ვო - ი რა - ლე - დი ვო - და ჳე - გა მი - თე ჰო.
ხი - მა ი - ვო - ი რა - ლე - დი ვო - და ჳე - გა მი - თე ჰო.

ო დიო, მურზაჯიო ბექსილიო რასმაი ოიჰო,
 ოი, ჰოდი, ხიმაირალედიო ჯეგამითეო,
 ოი, ჰოდი, ხითიშურედ აფხნეგ მარა,
 ოი, ჰოდი, მაგიჯივო ლთიმ ოდა ბექ სოლთანშერ,
 ოი, ჰოდა, ქავხაგენად შანემ ჰოკრილს,
 ოი, ჰოდა, ბაზიშიო სადგვემიო იმეგვერა,
 ოი, ჰოდა, ბერეჯიანამ ბაჩარჩუქვან,
 ოი, ჰოდა, ბაზიშიო ვახშამიო მაიგვეროლე,
 ოი, ჰპდა, მურზაჯიო გვიხდე ღვამამ სიკვარს,
 ოი, ჰოდი, მზრიშიო ლენცელიო მაიგვეროლე.
 ოი, ჰოდი, შექსაჯიო გვიხდი ღვამამ თხუმარს...

ო, დიო, მურზა და ბექსილი,
 ოი, ჰოდი, ემზადებით ჯეგამში ნასასვლელად,
 ოი, ჰოდი, ირჩევთ ამხანაგებს,
 ოი, ჰოდი, ყველა ამორჩეული ამხანაგით,
 ოი, ჰოდი, გაუდექით სვანეთის ბოლოს,
 ოი, ჰოდი, ამაღამ სადგომი სად გვექნება,
 ოი, ჰოდი, ბერეჯიანის ქვების ქვეშ,
 ოი, ჰოდი, ამაღამ ვახშამად რა გვექნება,
 ოი, ჰოდი, მურზა მოგვიტანს ჯიხვის სუკებს,
 ოი, ჰოდი, ხვალ საუზმედ რა გვექნება? –
 ოი, ჰოდი, ბექსილი მოგვიტანს ჯიხვის თავებს...

ლ ა შ გ ა რ

ფერხული **ლაშგარ** ეცერლების ყუდუშერას წინააღმდეგ გალაშქრებას უკავშირდება (ყუდე კაცის სახელია, ყუდუშერა — ყუდეს გამგებლობაში მყოფი თემი). ეცერლები ეკლესიასთან შეიკრიბნენ და ერთმანეთს სთავაზობდნენ ლაშქრის მეთაურობას. ბოლოს აირჩიეს სამი ძმა: ბეხმურზა, ჯულაბი და ნაწიფაჲ ძმები ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. გაუდგნენ გზას, მიადგნენ ყუდუშერას, მთლიანად გაანადგურეს და დაბრუნდნენ ეცერში.

მ ო ძ რ ა ო ბ ა ტ ა ა ლ ნ ო რ ა

სანყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული.



ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები. ქალების მონაწილეობისას ხელები ქვედაშე-
ბულია და ხელიხელჩაკიდებული.

მუსიკალური ზომა — 4/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ძირითადად ყოვნა.



ტაქტის **ბოლო მეოთხედი წერტილით (ო)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ჰაერ-
ში — წინ გაქნევა. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის ოდნავ დაკვრა — სა-
ფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით (ნახ. 13). ეს მოსამზადებელი, ფერხულში შესასვლელი ნაწი-
ლია, როგორც **გარე ტაქტის და** — ფერხულის საცეკვაო ფრაზის დასასრული.

მეორე ტაქტის პირველი ორი მერვედი (რი-სა) — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგ-
მა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა
ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (და)** — მარჯვენა ფეხის ერგცერიდან ტერფით დადგმა. სხეულის
სიმძიმის მარჯვენაზე გადატანა, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება ია-
ტაკს (ნახ. 7).

ტაქტის **მომღევნო ორი მერვედი (ხვი-ლა)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა, ერთდროუ-
ლად სხეულის სიმძიმე გადავა მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახ-
სარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.8).


ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (ი-ო)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად
მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

მესამე ტაქტის პირველი ორი მერვედი (შგა-რი) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ
დადგმა, სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადასვლა. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა
და თეძოს სახსარში. მარჯვენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.4).

ტაქტის **მომღევნო ორი მერვედი (ო-და)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროუ-
ლად მარჯვენა ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.5).

შემდეგ საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან და ა.შ.

საცეკვაო და მუსიკალური ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა **ორტაქტიანია**, საცეკვაო კი **ტაქტ-ნახევარში** სრულდება. ვინაიდან
საცეკვაო ფრაზის პირველ-ორ ტაქტზე ყოვნაა, ამიტომ **პირველი** საცეკვაო ფრაზის დასასრული ემ-
თხვევა **მესამე** ტაქტის პირველ ნახევარს, შემდეგ **მეოთხის** დასასრულს, **მეექვსე** ტაქტის პირველ
ნახევარს, **მეშვიდე** ტაქტის დასასრულს და ა.შ. მუსიკალური და საცეკვაო ფრაზები ერთმანეთს
დაემთხვევა **მეოთხე, მეათე, მეთექვსმეტე** და ა.შ. ტაქტების ბოლოს.

ფერხულ **ლაშგარში** აღწერილი ფეხის მოძრაობა **მურგვალ ჭიშხად** — **მრგვალ ფეხად** იწოდება,
ზოგჯერ **თავისუფალ ფეხსაც** უწოდებენ.

ლაშგარი

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

შგა-რი-და ღა-შგა-რი-ო რი-სა და ხვი-ლა-ი-ო,
რი-სა და ხვი-ლა-ი-ო,

I გუნდი

შგარიოდა ეშხუიო მუმშვიდა მადხოი-ო.

II გუნდი

შგარიოდა ღაშგარიო რისა და ხვილაი-ო, ცირა.

შგარი და, ლაშგარი რისა და ხვილაიო,
შგარი ოდა, ინზოიორალეხა ფხუტლერიო ზაგარ,
შგარი ოდა, ჟაბეშიო ეცრიშა მახეოღვაჟარ,
შგარი ოდა, ჩავეშიო ეცრიშა მახეოღვაჟარ,
შგარი ოდა, ინზოიორალეხა იხლაიორალეხ,
შგარი ოდა, იჭრაიოაჟალეხა ლაშქროშიო თხუმობს,
შგარი ოდა, ჩიდმაიოჩონედა სემიო ლახემბა.
შგარი ოდა, ეჩანიო ხოჩა და ბეტეომურზა,
შგარი ოდა, ეჩანიო ხოჩა და ჯულაბიო ირა,
შგარი ოდა, ეჩანიო ხოჩა და ნაწიფაიო ირა,
შგარი ოდა, აშგვიოზინა და ლიზლიო ჩედა,
შგარი ოდა, ყორს ხაიოგენადა ყუდუიშერას.
შგარი ოდა, სგანჩუნიო ეგვხვიდა მეჩიო მარე,
შგარი ოდა, შისხუიოღვანდა ნუხნიფოფაუ,
შგარი ოდა, ეჩნოშიო მარალსა ადგაიორიდა,
შგარი ოდა, ეშხუიო მუმშვიდა მადხოიცირა.

შგარი ოდა, იკრიბებიან ფხულტერის ზეგანზე,
 შგარი ოდა, ზემო ეცერის ვაჟკაცები,
 შგარი ოდა, ქვემო ეცერის ვაჟკაცები,
 შგარი ოდა, მხარზე ხელგადახვეულნი თავაზობენ,
 შგარი ოდა, თავაზობენ ერთმანეთს ლაშქრის თაობას,
 შგარი ოდა, ყველაზე უკეთესი სამი ძმაა,
 შგარი ოდა, ყველაზე უკეთესი ბექმურზაა,
 შგარი ოდა, იმაზე უკეთესი ჯულაბი იქნებოდა,
 შგარი ოდა, იმაზე კიდევ უფრო ნაწიფაი იქნებოდა,
 შგარი ოდა, დაიძრა ლაშქარი ადგილიდან.
 შგარი ოდა, შინ დაუხვდათ მოხუცი კაცი,
 შგარი ოდა, ხელში ქონდა წითელი ჯოხი,
 შგარი ოდა, იმით კაცებს კლავდა,
 შგარი ოდა, ერთი მოამბეც არ დატოვა.


უსპვირ ლაშგარ (ციოყ მახვში)

ფერხული ეძღვნება სვანთა ლაშქრობას ციოყ დადემქელიანის მეთაურობით. ფერხული ეწყობა ნახევარწრედ, შემდეგ თანდათანობით შეიკვრება. ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცებიც და ქალებიც.



მოქრაობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — ნახევარწრედ ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა.
ფეხი — III პოზიცია.
ხელები — ქვედაშეხებული და ხელიხელჩაკიდებული.
მუსიკალური ზომა — 4/4.



სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი (ცი) — მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხენა ფეხის წინ და მარცხნივ (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ. 20).


ტაქტის **მომღევნო ორი მერვედი (ოყ)** — მარცხენა ფეხი საწყის მდგომარეობას უბრუნდება — იდგმება მთელი ტერფით. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, მარჯვენა ოდნავ მოშორდება იატაკს და მუხლის სახსარში გამართული წინ — ჰაერში გაიტანება (ნახ. 9).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (მა)** — ზეტანი შებრუნდება მარჯვნივ, მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ — ფერხულის სვლის მიმართულებით. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. ერთდროულად მუხლისა და თეძოს სახსარში მოიხრება მარცხენა და წაინევს წინ (ნახ. 15).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ხვში)** — მარცხენა ფეხის გაქნევით მუხლის სახსარში გამართვა და ჰაერში წინ — სვლის მიმართულებით გატანა. ერთდროულად საყრდენი მარჯვენა ფეხის ქუსლის ოდნავ დაკვრა და მუხლის სახსარში მცირედ მოხრა (ნახ. 5).

მესამე ტაქტის **პირველი მეოთხედი (და)** — მარცხენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, მარჯვენა მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და წაინევს წინ.

ტაქტის **მომღევნო ორი მერვედი (ჩქე-ლი)** — მარჯვენა ფეხის გაქნევით მუხლის სახსარში გამართვა და ჰაერში წინ — სვლის მიმართულებით გატანა. ერთდროულად საყრდენი მარცხენა ფეხის ქუსლის ოდნავ დაკვრა და მუხლის სახსარში მცირედ მოხრა (ნახ.9).



ნახ. 22

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (ა)** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე; მარცხენა მოიხრება თეძოსა და მუხლის სახსარში და წაინევს წინ (ნახ. 15).


ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ნაშ)** — მარცხენა ფეხის გაქნევით მუხლის სახსარში გამართვა და ჰაერში წინ — სვლის მიმართულებით გატანა. ერთდროულად საყრდენი მარჯვენა ფეხის ქუსლის ოდნავ დაკვრა და მუხლის სახსარში მცირედ მოხრა (ნახ.5).

მეოთხე ტაქტის **პირველი ნახევარი (ჰო)** — მარცხენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი ფერხულის სვლის მიმართულებით. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, მარჯვენა მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და წაინევს წინ. მარჯვენა გაქნევით გაიმართება მუხლის სახსარში და ჰაერში წინ — სვლის მიმართულებით გაიტანება. ერთდროულად საყრდენი მარცხენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 22,9).

შემდეგ საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან:

მეოთხე ტაქტის **მეორე ნახევარი (ჰო-დო)** — ჭდობა, როგორც **მეორე** ტაქტის **პირველ მეოთხედსა (ცი)** და **მომღევნო ორ მერვედზე (ოყ)** და ა.შ.

ფერხული **უსგვირ ლაშგარის** მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა შეიცავს **სამ** ტაქტს, საცეკვაო ფრაზა **ორ-ნახევარში** თავსდება. მუსიკალური და საცეკვაო ფრაზები ერთმანეთს დაემთხვევა **მეექვსე, ოცდამეერთე, ოცდამეთექვსმეტე** და ა.შ. ტაქტებზე.

უსპვირ ლაშხარ

ზომიერად
I გუნდი

ვადოსკა მ. გვიშიანმა
ჩაიწერა ე. სარიშვილმა

ცო - ლე მა - ხვში და - ჩქე - ლი და - ნაშ

ჰო ჰო - ღო ცო - ლე მა - ხვში და - ჩქე - ლი და - ნაშ

I გუნდი

ჰო

ჰო ჰო - ღო

II გუნდი

ცო - ლე მა - ხვში და - ჩქე - ლი და - ნაშ

ჰო

ჰო ჰო - ღო ცო - ლე მა - ხვში და - ჩქე - ლი და - ნაშ

ჰო

I გუნდი

| | | გამეორება | დაბოლოება |
|----------------------|--------------------------|-----------|-----------|
| ეს, სუ - ნ - ყუ - რე | ჯარ - ხა - ა - გარ - ხან | ჰო | ჰო |
| ეს, სუ - ნ - ყუ - რე | ჯარ - ხა - ა - გარ - ხან | ჰო | ჰო |

II გუნდი

ჰო - ჰო - ღო

ციოყ მახეში დაჩქელიანაშ,
 ესსუნყურე ჯარ ზაგარნახ.
 ამხან ესცად ფხუტლერ ზაგარ,
 ციოყს ფადას ჟივ ხოზჟერა,
 ჩუ ლუზერ ლიხ უსგვირ სოფელ.
 ციოყს ფადას ისგდ ხოყვილა,
 ეშხუ ფადას ლაშხის ესლრი,
 მერმე ფადას სგიმერინხან...

უსგვირის ლაშქარი,
 ციოყ უფროსი დაჩქელიანების.
 საყვირებით ამცნეს ჯარს ზეგანიდან,
 აქედან უპასუხეს ფხუტლერ ზეგანიდან,
 ციოყმა ჯარი შეაგროვა,
 შეგროვდა უსგვირ სოფელი.
 ციოყმა ჯარი შუაზე გაჰყო,
 ერთი ნანილი ლაშხეთს მიდის,
 მეორე ნანილი სგიმერში...

თამარ დედვალ

ფერხული ეწყობა წრიულად. მონანილეობენ მამაკაცები და ქალები.



თამარ დედვალ რაჰქანსია

საწყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — დაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.

მუსიკალური ზომა — 6/8.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.


პირველი ტაქტი — ყოვნა.

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი და მომდევნო მერვედი (დედ-ფა) — მარცხენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ (ცენტრისაკენ), მიმდევრობით მარჯვენის წინ — ჰაერში გატანა. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე (ნახ.9), ზეტანი ოდნავ მოძრაობს წინ.

ხელები — ხელიხელჩაკიდებული — წინმკლავამდე მოძრაობა.

ტაქტის **მეორე ნახევარის მეოთხედი წერტილით (ლა)** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან. მარცხენის ოდნავ ზევით აწევა (ნახ.5).

ხელები — ხელიხელჩაკიდებული — წინმკლავიდან უკუმკლავამდე მოძრაობა.



მესამე ტაქტის პირველი მეოთხედი (ვო) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. სხეული მოძრაობს წინ და ოდნავ შებრუნდება მარჯვნივ. მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 19).

ხელები — ხელიხელჩაკიდებული — ზემკლავი.

ტაქტის **დანარჩენი ორი მერვედი და მომღვენო მეოთხედი (ია-ნი-ვო)** — ყოვნა (**მესამე ტაქტის პირველი მეოთხედი — ვო**).


მეოთხე ტაქტის პირველი მერვედი და მომღვენო მეოთხედი (სგვე-ჯი) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით თავისუფლად მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად ხელების დაბლა დაშვება (საცეკვაო ფრაზის ბოლომდე ხელიხელჩაკიდებული ხელები დაშვებულია).

ტაქტის **მეორე ნახევარის მერვედი და მომღვენო მეოთხედი (და-ი)** — ყოვნა (**მეოთხე ტაქტის პირველი ნახეარი**).

მეხუთე ტაქტის პირველი მეოთხედი (ვო) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულდ სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში, მარჯვენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **მომღვენო მერვედი (ია)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარჯვენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

ტაქტის **მომღვენო მეოთხედი (ნი)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).



ნახ. 23



ნახ. 24

ტაქტის **ბოლო მერვედი (ვო)** — ერგცერიდან მარჯვენა ფეხის ტერფით დადგმა. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 7).

მეექვსე ტაქტის პირველი მეოთხედი და მომღვენო მერვედი (სგვე-ჯი) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა. მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

ტაქტის **მომღვენო მეოთხედი (და)** — მარჯვენა ფეხის მარჯვნივ გადმოტანა და ერგცერით მარცხენის წინ და მარცხნივ თავისუფლად დადგმა (ჭდობა) (ნახ. 18).

ტაქტის **ბოლო მერვედი (ი)** — ყოვნა (ტაქტის **მეოთხედი — და**).

მეშვიდე ტაქტის **პირველი მეოთხედი (ვო)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. მარცხენის თანდათანობით მუხლისა და თედოს სახსარში მოხრა, მარჯვენა ქუსლის იატაკიდან ოდნავ მოშორება (ნახ. 4).

ტაქტის **მომღვენო მერვედი (ია)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. მარჯვენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში მოხრა (ნახ. 5).

ტაქტის **მომღვენო მერვედი (ნი)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

ტაქტის **ბოლო მერვედი (ვო)** — ერგცერიდან მარჯვენა ფეხის ტერფით დადგმა. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 7).

მერვე ტაქტის **პირველი მერვედი (სგვე)** — მარცხენა ფეხის მიმღვერობით მარჯვენის უკან და მარჯვნივ ჩადგმა, მუხლის სახსარში მოხრა და ერგცერით იატაკისათვის შეხება. მუხლის სახსარში მოიხრება მარჯვენაც. სხეულის სიმძიმე ორივეზეა განაწილებული (ნახ. 11). ეს მოძრაობა **შინავორ-გილის** „უკუჩაკრული გვერდზე სვლის“ პირველი მოძრაობის ანალოგიურია.

ტაქტის **მომღვენო მეოთხედი (ჯი)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და მთელი ტერფით იატაკისათვის შეეხება. გამართული მარჯვენის ტერფით მარცხენის გვერდით დადგმა — ფეხის III პოზიცია (ნახ. 12).

ტაქტის **მეორე ნახევარის მომღვენო მერვედი და ბოლო მეოთხედი (და-ი)** — ყოვნა (ტაქტის **მეოთხედი — ჯი**).

მეორე საცეკვაო ფრაზა:

მეცხრე ტაქტის **პირველი მეოთხედი და მომღვენო მერვედი (თა-მა)** — მარცხენა ფეხით წინ (ცენტრისაკენ) ჩვეულებრივი ნაბიჯი. მიმღვერობით მარჯვენის წინ — ჰაერში გატანა. სხეულის სიმძიმე მარცხენაზეა, ზეტანი მოძრაობს წინ.

ხელეზი — წინმკლავი — ტაშის შემოკვრა (ნახ. 9).

ტაქტის **მომღვენო მეოთხედი და ბოლო მერვედი (რუ-ღვი)** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან. მარცხენა ფეხის ოდნავ ზევით აწევა.

ხელეზი — დაშვებულია სხეულის გასწვრივ (ნახ. 5).

მეათე ტაქტის **პირველი მეოთხედი (ო)** — ყოვნა (**მეცხრე** ტაქტის **ბოლო**).

მეათე ტაქტის **მომღვენო მერვედი (დედ)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. მარჯვენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 19).

ხელეზი — ხანჯალზე (მეორე საცეკვაო ფრაზის დამთავრებამდე).

მეათე ტაქტის **მეორე ნახევარის მეოთხედი და მერვედი (ფა-ლა)** — ყოვნა (ტაქტის **წინა მერვედი**).

მეთერთმეტე ტაქტის **პირველი მეოთხედი (ვო)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით თავისუფლად მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა (ჭდობა. ნახ. 23).

ტაქტის დანარჩენი **ორი მერვედი და ერთი მეოთხედი (ია-ნი-ვო)** — ყოვნა (**ტაქტის პირველი მეოთხედი**).

მეთორმეტე ტაქტის **პირველი მერვედი (სგვე)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თედოს სახსარში, მარჯვენა ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **მომღვენო მეოთხედი (ჯი)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

ტაქტის **მომღვენო მეოთხედი (და)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა. მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

ტაქტის **ბოლო მერვედი (ი)** — ერგცერიდან მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 7).

მეცამეტე ტაქტის **პირველი მეოთხედი (ვო)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თედოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **მომღვენო მერვედი (ია)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

ტაქტის **მომღვენო მეოთხედი (ნი)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა (ჭდობა. ნახ. 23).

ტაქტის **ბოლო მერვედი (ვო)** — ყოვნა (ტაქტის **წინა მეოთხედი**).

მეთოთხმეტე ტაქტის **პირველი მეოთხედი (სგვე)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. მარცხენა ფეხის თანდათანობით მუხლისა და თეძოს სახსარში მოხრა, ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **მომღევნო მერვედი (ჯი)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთან ერთად მარჯვენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (ლა)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე (ნახ. 6).

ტაქტის **ბოლო მერვედი (ი)** — ერგცერიდან მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა (ნახ.7).

მეთხუთმეტე ტაქტის **პირველი მეოთხედი (ვო)** — მარცხენა ფეხის მიმღევრობით მარჯვენის უკან და მარჯვნივ ჩადგმა და მუხლის სახსარში მოხრა. მუხლის სახსარში მოიხრება მარჯვენაც. სხეულის სიმძიმე ორივეზეა განაწილებული (ნახ. 11).

ტაქტის **მომღევნო მერვედი (ია)** — მარჯვენა ფეხის მუხლისა და თეძოს სახსარში მოხრა და ჰაერში ირიბად — მარცხენის წინ და მარცხნივ გაქნევა. მარცხენის მუხლის სახსარში გამართვა, იატაკიდან ქუსლის ოდნავ მოშორება და დაკვრა (ნახ. 8, 9).

ტაქტის **მომღევნო მერვედი (ი)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. მარცხენის თანდათანობით მუხლისა და თეძოს სახსარში მოხრა. მარჯვენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ვო)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. მარჯვენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

მეთექვსმეტე ტაქტის **პირველი მეოთხედი და მომღევნო მერვედი (სგვეჯი)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის გვერდით დადგმა — III პოზიცია (ნახ. 12).

ტაქტის **მეორე ნახევარის მომღევნო მერვედი და ბოლო მეოთხედი (ლა-ი)** — ყოვნა (ტაქტის პირველი ნახევარი).

შემდეგ საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან.

პირველი და მეორე საცეკვაო ფრაზები განსხვავებულია: ეს გამოწვეულია პირველი საცეკვაო ფრაზის დასაწყისში არსებული პაუზით, რომელიც, მომღევნო საცეკვაო ფრაზის შესრულებისას, ივსება. სიმღერის **მესამედ, მეოთხედ** და ა.შ. შემობრუნებისას, ყოველთვის მეორდება **მეორე** საცეკვაო ფრაზა.

ხელების მდგომარეობა — ხან ხელიხელჩაკიდებული — როგორც პირველი საცეკვაო ფრაზისას, ხან ხელგაშვებული — როგორც მეორე საცეკვაო ფრაზის დროს.

საცეკვაო ფრაზის ყოველი შემობრუნებისას, ხელები მიმღევრობით ხან ერთ და ხან მეორე მდგომარეობაშია.

თამარ დედფალ საიერიშო

საწყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — დაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.

ფერხულში მონაწილობენ მამკაცები და ქალები.

მუსიკალური ზომა — 4/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ლა)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი. მარჯვენის ქუსლის ოდნავ დაკვრა — საფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით (ნახ. 13). ეს მოსამზადებელი, ფერხულში შესასვლელი ნაწილია, როგორც **გარე ტაქტის და** — ფერხულის საცეკვაო ფრაზის დასასრული.

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი (თა) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. მარჯვენა ადგილზე უმოძრაოდაა. სხეულის სიმძიმე ორივე ფეხზეა განაწილებული — IV პოზიცია (ნახ. 17).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (მარ)** — მარჯვენა ფეხის მარცხენასთან მთელი ტერფით მიდგმა — III პოზიცია (ნახ.12).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (დედ)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. მარჯვენის თანდათანობით მუხლისა და თეძოს სახსარში მოხრა. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ფალ)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

მესამე ტაქტის **პირველი მეოთხედი (თა)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. მარცხენა ადგილზე უძრავად რჩება. სხეულის სიმძიმე ორივე ფეხზეა განაწილებული — IV პოზიცია (ნახ.7).


ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (მა)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენასთან დადგმა — III პოზიცია (ნახ. 12).

ტაქტის **ბოლო ნახევარი ნოტი (რე)** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი მარჯვნივ და მცირე ნახტომი ქუსლის დაკვრით. მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ისე წაინევს წინ, რომ მარცხენა ფეხის კოჭი მოხვდეს მარჯვენის მუხლის სახსართან. მარჯვენა ფეხი ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში, მარცხენის ტერფი — გაიჭიმება: **მესამე** ტაქტის **მეორე ნახევარზე** სრულდება „სადა მუხლურა წინსვლა“ (ნახ. 14, 15).

სიმღერას უერთდება მეორე გუნდი.

მეოთხე ტაქტის **პირველი მეოთხედი წერტილით (ო)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **მომღევნო მეორედი (რიო)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. მარცხენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).



ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (დე)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარჯვენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 4).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ლა)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 5).

ამის შემდეგ ფერხულს გადაებმება პირველ მუსიკალურ ფრაზაზე (პირველი გუნდი) შესრულებული საცეკვაო ფრაზა:

მეხუთე ტაქტის **პირველი მეოთხედი (თა)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. მარჯვენა ადგილზე უმოძრაოდაა. სხეულის სიმძიმე ორივეზეა განაწილებული — IV პოზიცია (ნახ. 17).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (მარ)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარცხენასთან მიდგმა — III პოზიცია (ნახ. 12).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (დედ)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა. მარჯვენის თანდათანობით მუხლისა და თეძოს სახსარში მოხრა. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ. 8).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ფალ)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთან ერთად მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ. 9).

მეექვსე ტაქტის **პირველი მეოთხედი (თა)** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. მარცხენა ადგილზე უმოძრაოდ რჩება. სხეულის სიმძიმე ორივეზეა განაწილებული — IV პოზი-

ცია (ნახ. 17).

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (მა)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენასთან მიდგმა — III პოზიცია (ნახ. 12).


ტაქტის **ბოლო ნახევარი ნოტი (რე)** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი მარჯვნივ. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს. მარჯვენა ფეხით, ქუსლის დაკვრით, ნახტომი. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ისე წაინწევს წინ, რომ მარცხენა ფეხის კოჭი მოხვდეს მარჯვენა მუხლის სახსრის სიმაღლეზე. მარჯვენა ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში, მარცხენა ტერფი გაიჭიმება — ტაქტის **მეორე ნახევარზე** სრულდება „სადა მუხლურა წინსვლა“ (ნახ. 14, 15).

აქ მთავრდება მეორე საცეკვაო ფრაზა. ამის შემდეგ სიმღერას უერთდება ისევ პირველი გუნდი და საცეკვაო ფრაზა თავიდან იწყება.

ვინაიდან პირველი საცეკვაო ფრაზის გარდა ყოვნა არსადაა, ყოველი საცეკვაო ფრაზა გამეორდება ისე, როგორც მეორე მუსიკალური ფრაზის **მეოთხე, მეხუთე და მეექვსე** ტაქტებზეა აღწერილი. საცეკვაო ფრაზა შეიძლება გამეორდეს განუსაზღვრელად.

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დამოკიდებულება ასე გამოიხატება:


თამარ დედფალ რავექენსია



პირველი მუსიკალური ფრაზა შეიცავს **შვიდ-ნახევარ** ტაქტს, საცეკვაო ფრაზა **ექვს-ნახევარში** სრულდება. მომდევნო მუსიკალური ფრაზები **რვა** ტაქტიანია. ვინაიდან საცეკვაო ფრაზასთან დასაწყისში ნახევარი ტაქტი ყოვნაა, ამიტომ მეორე მუსიკალური ფრაზიდან იგი **შვიდ-ნახევარ** ტაქტში სრულდება.

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დაბოლოება ერთმანეთს დამთხვევა **მერვე, მეთექვსმეტე** და ა.შ. ტაქტების ნახევარზე.

თამარ დედფალ საიერიშო



ყოველ მუსიკალურ ფრაზას ეთმობა **სამი** ტაქტი. **პირველ** საცეკვაო ფრაზას, პირველ ტაქტზე ყოვნის გამო, მხოლოდ — **ორი**. დანარჩენი **სამი** ტაქტში სრულდება.

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დაბოლოება ემთხვევა **მესამე, მეექვსე, მეცხრე, მეთორმეტე, მეთხუთმეტე** და ა.შ. ტაქტებზე.

თამარ დედვალ

რავექნსია

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

დედ-ვა-ლა ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი, ვო-ია-ნი-ვო
 თა-მა-რუ-ღვი-ო დედ-ვა-ლა ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი, და-ი ვო-ია-ნი-ვო

სგვე-ჯი, და-ი ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი.
 სგვე-ჯი, და-ი ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი.

II გუნდი

თა-მა-რუ-ღვი-ო დედ-ვა-ლა
 და-ი თა-მა-რუ-ღვი-ო დედ-ვა-ლა

I გუნდი

II გუნდი და-ი
 ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი, და-ი ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი, და-ი ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი.
 ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი, და-ი ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი, და-ი ვო-ია-ნი-ვო სგვე-ჯი.

I-II გუნდი მონაცვლეობით

თხუ - მა - სა - ი ხა - ა - გან და ვო - ზუ - ი - ვო ჩი - ა ვო - ზუ - ი - ვო

თხუ - მა - სა - ი ხა - ა - გან და ვო - ზუ - ი - ვო ჩი - ა და - ი, ვო - ზუ - ი - ვო

II გუნდი

გამეორებისთვის

დამთავრებისთვის

ჩი - ა და - ი, ვო - ზუ - ი - ვო ჩი - ა ვო - ზუ - ი - ვო ჩი - ა

ჩი - ა და - ი, ვო - ზუ - ი - ვო ჩი - ა და - ი, ვო - ზუ - ი - ვო ჩი - ა

საიერიშო

I გუნდი

ო-რიო დე-ლა თა-მარ დედუალ თა-მა-რე,

ო-რიო დე-ლა თა-მარ დედუალ თა-მა-რე,

II გუნდი

თა-მარ დედუალ თა-მა - რე,

ო-რიო დე-ლა თა-მარ დედუალ თა-მა - რე,

II გუნდი

დამთავრება

თამარ დედფალ
(რავექენსია)

თამარ დედოფალი
(რა ვქნა)

რავექენსია არ მინდაი ირშა ვოი ტყირშა*
თამარ დედფალი ანსგოჯა (სგვეჯვი)
თხუმს ხაგ და ზურჩია
შდ მს ხორიკდა ლეშდიმარი
ყიას ხაბდა ჰეშიმარი
თერალ ხოსგურდა გიშრიშ
შდ ქარ ხაგანდა მარგალიტიში
სგაშხან ხაქუდა ატლასი
ქამშხან ხაქუდა აბჯარი
ფათვარ ხაგანდა ყვარელაი
მერხალს ხასდანდა ჰეშიმარი
ფოყას ხორიკდა ხანგარი
ჭშხარს ხასდანდა ჩექიმარი
ჩაჟილდს ხასგურდა ქურზვაის...

რა ვქნა, ვერ ვიტყვი, ვოი, შაირსა*
თამარ დედოფალი მობრძანდა
თავზე ეხურა ზური
ყურებზე ეკიდა საყურეები
ყელზე ეკიდა ჰეშიმარი (სამკერდული)
თვალეები ქონდა გიშრისა
კბილეები ქონდა მარგალიტისა
შიგნით ეცვა ატლასი
გარეთ ეცვა აბჯარი
თმა ქონდა ხუჭუჭი
მაჯებზე ქონდა სამაჯურები
თეძოს ეკიდა ხმალი
ფეხზე ეცვა ჩექმები
ცხენი ყავდა ფერად ლურჯი...

თამარ დედფალ
(საიერიშო)

თამარ დედოფალი
(საიერიშო)

ორიო დელა, თამარ დედფალ, თაიამარე,
ორიო დელა, ორგელშინა, თაიამარე,
ორიო დელა, ჩიდმაჩენე, თაიამარე,
ორიო დელა, ქმნილ უჰა, თაიამარე,
ორიო დელა, კვეცნელ უჰა, თაიამარე,
ორიო დელა, ჩაჟილდ ჯირდა, თაიამარე,
ორიო დელა, ჩიდმაჩენე, თაიამარე,
ორიო დელა, ჰნგრელ ჯიგან, თაიამარე,
ორიო დელა, ოქრემ ლშკად, თაიამარე,
ორიო დელა, ხაღვრილ ჯის და თაიამარე...

ორიო დელა, თამარ დედოფალი, თაიამარე,
ორიო დელა, ყველაზე უკეთესი. თაიამარე,
ორიო დელა, ქერი დაუმნიფებელი, თაიამარე,
ორიო დელა, პური დაუმნიფებელი, თაიამარე,
ორიო დელა, ცხენი გყავდა, თაიამარე.
ორიო დელა, ყველაზე უკეთესი, თაიამარე,
ორიო დელა უნაგირი ედგა, თაიამარე,
ორიო დელა, მოჭედილი, თაიამარე,
ორიო დელა, აღვირი ქონდა, თაიამარე,
ორიო დელა, მოჭედილი თაიამარე...

* ტექსტის პირველი ტაეპი „თამარ დედფალის“ ამ სანოტო ვარიანტში არ არის (რედ.).

კატრიოტული ფერხულები

ჩეყარამსა

ჩეყარამსა თავისუფლებისმოყვარე უშგულელთა მიერ მოძალადე ბატონის — თავადი ფუთა დადეშქელიანის მოკვლას უკავშირდება.

ძველად ზემო სვანეთს ბალის ქედი ორად — ბატონიან და უბატონო სვანეთად — ყოფდა. ბალს ქვემოთ ბატონობდა დადეშქელიანი, მეტსახელად ფუთა ფალთა. ფუთას სურდა, როგორმე ხელში ჩაეგდო ზემო მხარე და ამ მიზნით ხშირად ავინროებდა თავისუფალ სვანებს. ბალს ზემოურებმა გადაწყვიტეს ფუთა დადეშქელიანის თავიდან მოცილება და მოსალაპარაკებლად უშგულში მიიწვიეს. ფუთამ, თავდასხმის ასაცილებლად, გამგზავრებამდე მძევალი მოითხოვა — ოცი რჩეული ვაჟკაცი, რომელთა შორის უშგულის მამასახლისის ვაჟიც უნდა ყოფილიყო. უშგულელებმა მძევლები გაგზავნეს... ფუთას მოკვლის შემთხვევაში ოც ახალგაზრდას თავს მოჰკვეთდნენ (ფერხულის ტექსტში მოთხრობილია, როგორ მიემართება ფუთა თავისი ამალით, მდინარე კალას გაყოლებით, სოფელ უშგულში).

ერთ-ერთ კომპში წინასწარ დამაგრებული თოფი იმ ადგილისაკენ იყო დამიზნებული, სადაც ფუთა ფალთა უნდა დაესვათ, თოფის ჩახმახზე გამობმულ თოქს კი თითოეული გვარის წარმომადგენელი მოზიდავდა. ამის მიზეზი ორგვარია: ერთი — იმდენად დიდი იყო ფუთა დადეშქელიანისადმი სიძულვილი, ყველას სურდა მის მკვლელობაში მონაწილეობა, მეორე — სისხლის აღების თავიდან აცილება: თუკი ერთ კაცს ან გვარს დაბრალდებოდა ფუთას სიკვდილი, დადეშქელიანის მომხრეები ადვილად გაანადგურებდნენ მას, გვართა ერთიანობის შემთხვევაში კი ვერ მიაღწევდნენ საწადელს. ფუთა თავისი ამალით მიიღეს უშგულელებმა, მიიწვიეს სუფრასთან და დაიწყო ქეიფი.

გაისმა თამადის (მამასახლისის) წინასწარ დათქმული სიტყვები, — „მომართვით წითელი ღვინო,“ — და თოფიც გავარდა...

დედოფალს (ასე ეძახდნენ ფუთას მეუღლეს) შეუთვალეს: თუ მძევლებს არ გაათავისუფლებ, ფუთას ცხედარს ენგურში გადავაგდებთ და შენს მეუღლეს ვერ დაიტყობ. ფუთას მხარე იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა მძევლები და სამაგიეროდ მიეღო ფუთას ცხედარი.

ასე მოიშორა თავისუფალმა, უბატონო სვანეთმა მოძალადე თავადი.

საინტერესოა, რომელ საუკუნეში ბატონობდა სვანეთში ფუთა დადეშქელიანი და რა დრო გავიდა ფერხულის შექმნიდან დღემდე. ხალხური გადმოცემით, XV საუკუნეში სვანებს ულაშქრიათ ზემო რაჭაში და დაუმორჩილებიათ იგი. ლაშქრობის მეთაური ფუთა დადეშქელიანი ყოფილა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ფუთა დადეშქელიანი სვანეთში XV-XVI საუკუნეებში ბატონობდა და ფერხულ „ჩეყარამსასაც“ ოთხასი-ხუთასი წლის ისტორია აქვს.

ფერხულის სახელწოდებას არაფერი აქვს საერთო შინაარსთან. ჩეყარამსა ჩეყას ფეხს ნიშნავს. ჩეყა მამაკაცის სახელია, რომელმაც ამ ფერხულისათვის ფეხის მოძრაობათა კომპლექსი შექმნა და, მის პატივსაცემად, ფერხულისათვის „ჩეყარამსა“ შეურქმევიათ.

ფერხული „ჩეყარამსა“ **მეფე ბარგილდის** ანუ **მეფის ბარგის** — განძეულობის, საჭურველის — სახელწოდებითაც გვხვდება.

ფერხული ეწყობა წრიულად. მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.




მოძრაობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკვლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული; ქალების მონაწილეობისას — ქვედაშვებული და ხელისელჩაკიდებული.



მუსიკალური ზომა — 4/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.

ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (სი-ვო)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენა ფეხზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის დაკვრა — საფერხულო ჩაკრული (ნახ. 13). ეს მოსამზადებელი, ფერხულში შესასვლელი ნაწილია, როგორც გარე ტაქტის და — ფერხულის საცეკვაო ფრაზის დასასრული.

მეორე ტაქტის პირველი ნახევარი (მერვედზე, მეოთხედსა და მერვედზე რამ-სა-ი) — მარცხენა ფეხი დაიდგმება მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს. შემდეგ მარჯვენა ფეხი ერგცერიდან იდგმება მთელი ტერფით, სხეულის სიმძიმეც გადაინაცვლებს მარჯვენაზე; ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6,7).

ტაქტის **მეორე ნახევარი (ვო)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს.

შემდეგ მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად მარცხენის ქუსლის ოდნავ დაკვრა და მუხლის სახსარში მცირედ მოხრა (ნახ.8, 9).

მესამე ტაქტის პირველი მეოთხედი ნერტილით (ოი) — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა — სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადატანა; მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში; მარჯვენა ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.4).

ტაქტის **მომდევნო მერვედი (და)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის ოდნავ დაკვრა — საფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით, როგორც ფერხულის დასაწყისში — **პირველი ტაქტის ბოლო ორი მერვედი** (ნახ.5).

აქ მთავრდება საფერხულო მოძრაობათა ნაერთი — საცეკვაო ფრაზა.

შემდეგ საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან.

მესამე ტაქტის მესამე და მეოთხე მერვედი (ჩე-ყა) — მარცხენა ფეხი დაიდგმება მარცხნივ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).

ტაქტის **მეხუთე და მეექვსე მერვედი (სი-ვო)** — მარჯვენა ფეხის მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადასვლა; ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.7).

მეოთხე ტაქტის პირველი ნახევარი (მეოთხედი და მერვედი — რამ-სა-ი) — მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს

მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს.


შემდეგ მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული, იმავდროულად მარცხენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.8,9).

ტაქტის მეორე ნახევარი (ვო-ჰო) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში, მარჯვენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს.

შემდეგ მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და გაიქნევა წინ — ჰაერში. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და მარჯვენა ქუსლის ოდნავ დაკვრა — საფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით (ნახ.4,5).

აქ მეორედ მთავრდება საცეკვაო ფრაზა.

საცეკვაო და მუსიკალური ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა შეიცავს ორ ტაქტს, საცეკვაო ფრაზა კი ტაქტ-ნახევარში სრულდება. ვინაიდან პირველ მუსიკალურ ტაქტზე ყოვნაა, პირველი საცეკვაო ფრაზის დასასრული დაემთხვევა მესამე ტაქტის პირველ ნახევარს, შემდეგ მეოთხეს, მეექვსის პირველ ნახევარს, მეშვიდეს, მეცხრის პირველ ნახევარს, მეთეს და ა.შ.

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დასასრული ერთმანეთს დაემთხვევა მეოთხე, მეთე, მეექვსმეტე და ა.შ. ტაქტების ბოლოს.

ჩეყარამსა

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

II გუნდი

II გუნდი

ო - და მე - ფი - სი - ვო ბარ - გილ - დი - ვო,
 ჰო, ო - და მე - ფი - სი - ვო ბარ - გილ - დი - ვო,

რამ-სა - ი - ვო,
 რამ-სა - ი - ვო, ჰო,

| | გამეორება | დამთავრება |
|--|-----------|------------|
| | | |

ჰო,

ო - და მე - ფე - სი - ვო ბარ - გილ - დი - ვო, ჰო.
 ო - და მე - ფე - სი - ვო ბარ - გილ - დი - ვო, ჰო.

ოიდა, ჩეყასივო რამსაი ვო ჰო,
 ოიდა, მეფისივო ბარგილდივო ჰო,
 ოიდა, ხორჩულივო ჩხუნენი ვო ჰო,
 ოიდა, ეჩხენივო ამხანი ვო ჰო,
 ოიდა, აშესივო ლურდახივო ჰო,
 ოიდა, კალასივო ჭალასივო ჯო,
 ოიდა, სგეებინივო ლაჯხვიდხივო ჰო,
 ოიდა, შყაჟვაშივო ქარვანივო ჰო,
 ოიდა, ქავხოივო ქაბახი ვო ჰო,
 ოიდა, ლერთანივო ფოყა სი ვო ჰო,
 ოიდა, აშესივო ლურდახი ვო ჰო,
 ოიდა, უშგულივო თესგაი ვო ჰო,
 ოიდა, სოფელივო თესგაიო ვო ჰო...

ოიდა, ჩეყასივო რამსაი ვო ჰო,
 ოიდა, მეფის განძეულობა ვო ჰო,
 ოიდა, ჩხრიალებს ვო ჰო,
 ოიდა, იქიდან და აქედან ვო ჰო,
 ოიდა, მიდიოდნენ ვო ჰო,
 ოიდა, კალას სანაპიროზე ვო ჰო,
 ოიდა, ნინ შემოგხვდათ ვო ჰო,
 ოიდა, მწყრების ქარავანი ვო ჰო,
 ოიდა, ჩაგიარეს გვერდზე ვო ჰო,
 ოიდა, მარცხენა მხარეს ვო ჰო,
 ოიდა, ასე მიდიოდნენ ვო ჰო,
 ოიდა, უშგულში, შიგ სოფელში ვო ჰო...

როსტომ ჭაბიბი

(როსტომ ჭაბუკი)

ფერხულში გადმოცემულია ახალგაზრდა როსტომის გმირული ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. ერთხელ როსტომი დააპატიმრეს, მაგრამ გამოიქცა და მშობლიურ სვანეთს დაუბრუნდა.

ხალხმა როსტომის გაბედულებასა და გმირობას ქება შეასხა და სიმღერა-ცეკვის მეშვეობით მომავალ თაობას გადასცა.

მართალია, როსტომ ჭაბუკის ამბავი შედარებით თანამედროვეა — XIX საუკუნეს არ შორდება, მაგრამ როსტომის კულტი სვანეთში უფრო ადრინდელია და მისი სათავეც უძველეს სამონადირო ფერხულებში უნდა ვეძიოთ.

ბესარიონ ნიჟარაძეს ჩაუნერია ლეგენდა როსტომ ჭაბუკის შესახებ: „როსტომი იყო თურანელი, ცხოვრობდა ქექევაზ კეისრის საბრძანებელში, ადგილსა ყარაიხსა. თავისი სიცოცხლე როსტომმა დევ-მხეცებსა და ველურ ღორებთან ბრძოლაში გაატარა. ქექევაზ კეისარი დიდ პატივს სცემდა როსტომს, რადგან ის რომ არა, ქექევაზის საკეისროს დევ-მხეცები აიკლებდნენ. გამოჩნდებოდნენ დროგამოშვებით დევები, მოედებოდნენ საკეისროს და შვილებს აკვანში მწოლარეს ართმევდნენ მცხოვრებლებს. ამ დროს ქექევაზი შეეხვეწებოდა როსტომს, ეს უკანასკნელი მიჰყვებოდა ერთი კიდიდან და მეორე კიდემდე სულ გაანყალებდა მხეცებს და ამნაირად გასწმენდა სამეფოს“ (ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ ეთნოგრაფიული წერილები, თბ. 1964, გვ. 161).

მიხეილ ჩიქოვანის აზრით, „როსტომი ერთ შემთხვევაში ამირანის უფროსი ძმაა, მეორე შემთხვევაში კი იგი ამირანის მამად გვევლინება... ფოლკლორული გადმოცემის მიხედვით, ამირანი მუდამ მითიურ არსებებს ებრძვის, მისი მთავარი მოწინააღმდეგენი ადამიანები არ არიან. ადამიანური წარმოშობის გმირის მითიურ არსებებთან, ბოროტ ძალებთან ბრძოლა ზეპირი შემოქმედების ძლიერ შორეულ პერიოდისთვისაა დამახასიათებელი და იგი ბარბაროსობის ხანიდან მომდინარეობს“ (მიხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი. თბ. 1947, გვ. 238).

ლეგენდაც და ფერხულიც წარმოშობით უძველეს ხანას უნდა მივაკუთვნოთ. თანამედროვე ისტორია როსტომ ჭაბუკისადმი მიძღვნილი ძველი ფერხულის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო, უფრო სწორად, მასში ტექსტი შევიდა ახალი ვარიანტით, დანარჩენი — სასიმღერო მელოდია და ფეხის მოძრაობა — ისევ ძველი დარჩა და იგი თავისი სტრუქტურით უახლოვდება მრგვალ ფეხს, რაც ასევე მის სიძველეზე მეტყველებს.



მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები. ფერხული ეწყობა ნახევარწრედ.

მოძრაობს მარჯვნივ, წრის შეუკვრელად — სხვადასხვა მოხაზულობით. საბოლოოდ წრე შეიკვრება და ფერხულიც აჩქარდება. იგი მთავრდება დალოცვით: აშუ ქრისტეს ჩოლმაზურად —

დაგვლოცოს იესო ქრისტემ. თითქმის ყველა ფერხული ასეთი დალოცვით მთავრდება. პირველი გუნდი იტყვის პირველ ორ სტრიქონს, მეორე გაიმეორებს და ა.შ.

მოძრაობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — ნახევარწრედ, სახით ცენტრისაკენ დგომა.


ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ქვედაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.

მუსიკალური ზომა — 4/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.



ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (ე-ი)** — მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და გაიქნევა ჰაერში — წინ. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის ოდნავ დაკვრა — საფერხულო ჩაკრული მარცხენა ფეხით (ნახ. 13). ეს მოსამზადებელი, ფერხულში შესასვლელი ნაწილია, როგორც **გარე ტაქტის და** — ფერხულის საცეკვაო ფრაზის დასასრული.

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი წერტილით (ო) — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე; ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).

ტაქტის **მომღვენო მერვედი (რუ)** — მარჯვენა ფეხის ერგცერიდან ტერფით დადგმა. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.7).

ტაქტის **მომღვენო მეოთხედი (დი)** — მარცხენა ფეხის ტერფის მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 23).

ტაქტის **ბოლო მეოთხედი (ე)** — მარჯვენა ფეხით სრული ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადასვლა; ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.7).

მესამე ტაქტის პირველი ნახევარი ნოტი (ლა) — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს.

შემდეგ მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარცხენა ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.3,9).


ტაქტის **მომღვენო მეოთხედი წერტილით (სა)** — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარჯვენა ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.4).

ტაქტის **ბოლო მერვედი (ი)** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და გაიქნევა წინ — ჰაერში. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის ოდნავ დაკვრა, როგორც ფერხულის დასაწყისში — **პირველი ტაქტის ბოლო მერვედი** (ნახ.5).

აქ მთავრდება საფერხულო მოძრაობათა ნაერთი, საცეკვაო ფრაზა, რომელიც იწყება თავიდან

და მეორდება განუსაზღვრელად — ფერხულის დამთავრებამდე.

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა შეიცავს სამ ტაქტს, საცეკვაო ორში თავსდება. ვინაიდან პირველი მუსიკალური ტაქტი ყოვნაა, პირველი საცეკვაო ფრაზის დასასრული დაემთხვევა მესამე მუსიკალური ტაქტის დაბოლოებას, შემდეგ მეხუთე, მეშვიდე, მეცხრე, მეთერთმეტე და ა.შ. ტაქტებისას. მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დასასრული ერთმანეთს დაემთხვევა მესამე, მეცხრე, მეთხუთმეტე, ოცდამეერთე და ა.შ. ტაქტების ბოლოს.

როსტომ ჭაბიძე

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

The first system of the musical score consists of three staves. The top staff is the vocal line, and the bottom two are piano accompaniment. The lyrics are:
ო - რუ დი - ე ლა - სა - ი - ო
ო - დი - ე - ი ო - რუ დი - ე ლა - სა - ი - ო დი - ე

The second system of the musical score consists of three staves. The top staff is the vocal line, and the bottom two are piano accompaniment. The lyrics are:
ო - რი როს - ტომ ჭა - ბი - გვი ო.
ო - რი როს - ტომ ჭა - ბი - გვი ო.

II გუნდი

The second system of the musical score consists of three staves. The top staff is the vocal line, and the bottom two are piano accompaniment. The lyrics are:
ო - რუ დი - ე
ო - დი - ე ო - რუ დი - ე

II გუნდი

ლა - სა - ი - ო ო - რი როს - ტომ ჭა - ბი - გვი ო.
 ლა - სა - ი - ო დი - ე ო - რი როს - ტომ ჭა - ბი - გვი ო.

ო, დიეი ორუ დიე ლასაიო,
 დიე ორი, როსტომ ჭაბიგვიო,
 დიე ორუ დიე ლასაიო,
 დიე ორი როსტომ ეცრაშიო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი შანეშ ნარმავიო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი ლენხერას ესყა იო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი სგამეჩდელხიდიო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი ოი ზანათე იო
 ო, დიე, ორუ დიე ნამჩადიო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი ლახვარს ანტიხიო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ჟი მეჩდელხი აბკვიშ ზაგარიო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე დიდაბ აჯხად შანეშ ნამზურსიო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ლასგიდ ამსყან გუშგვეი შანთეიო
 ო, დიე, ორუ დიე ლამსაიო
 დიე ჩიაგვ უჩხა ჩიაგ შდუვეიო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე თეთნა ეცერს მიჟ ხანედიო.

ო, დიე ორუ დიე ლასაიო,
 დიე ორი როსტომ ჭაბუკიო,
 ო დიე ორუ დიე ლასაიო,
 დიე ორი როსტომ ეცერელიო
 ო დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი სვანეთში დაჭერილიო
 ო დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი ლინხერაშით მიჰყავხართ
 ო, დიე ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი მისულხართო
 ო, დიე, ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი სამეგრელოშიო
 ო დიე ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი სამეგრელოდან გამოქცეულიო
 ო დიე ორუ დიე ლასაიო
 დიე ორი მთებიდან ვბრუნდებიო.
 ო დიე ორუ დიე ლასაიო
 დიე მიხვედი აბჯვეშ ზეგანამდეო
 ო დიე ორუ დიე ლასაიო
 დიდება სვანეთის სალოცავს
 ო დიე ორუ დიე ლასაიო
 დიე ყველგან ნვიმს, ყველგან თოვს
 ო დიე ორუ დიე ლასაიო
 დიე თეთრ ეცერთ მზე ანათებს.

საყოფაცხოვრებო ფერხულები

სხვადასხვა შინაარსის საყოფაცხოვრებო ფერხულები (სატრფიალო, საშაირო, სახუმარო, საზეიმო, შეჯიბრებითი და სხვა) სრულდებოდა საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე, დღეობებსა და ღვინობებში. ამ სახის ფერხულებისათვის დამახასიათებელია ფერხულს შიგნით ერთი-ორი მოთამაშე.

საყოფაცხოვრებო ფერხულთა ჯგუფს მიეკუთვნება საფერხულო წყობის სვანური ცეკვები: **ბიბა, შინავორგილ, რამაიდა, ჯანგილდ (ვორირაშა), ბიმურზელა, ცერული, შიშა ი გერგილ, გერგილ** და სხვა.

შიშა ი გერგილ — გერგილი (გიორგი) პირველად წასწყდომია მჟავე წყალს ცხარვაშში (ადგილია სვანეთში), დაუღვია და ისე გაბრუებულა (დამთვრალა), რამდენსაც წინ მიდიოდა, იმდენს უკან ბრუნდებოდა.

იმავე შინაარსისაა ფერხული „გერგილ.“ „გერგილისა“ და „შიშა ი გერგილის“ ტექსტი ერთია, მუსიკალური მასალა და ფეხის მოძრაობა — სხვადასხვა. „გერგილში“ საფერხულო ფეხი გართულე-ბულია და თავისი სტრუქტურით „თამარ დედფალ რავექენსიას“ ფეხის მოძრაობას წააგავს.

„შიშა და გერგილის“ ფეხის მოძრაობა, უძველესი ფერხულების მსგავსად, შედარებით უფრო მარტივი „მრგვალი ფეხია.“ ამიტომაც „შიშა და გერგილ,“ „გერგილთან“ შედარებით, ადრინდელი ფერხული უნდა იყოს.

შინავორგილ — ცეკვა „შინავორგილ“ სრულდება „მირმიქელას“ შემდეგ (შეიძლება ცალკეც შესრულდეს). თუ „მირმიქელას“ მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ, „შინავორგილში“ ქალებიც მონაწილეობენ. მას გართობა-თამაში და ქალ-ვაჟს შორის ტრფიალი უდევს საფუძვლად.

„შინავორგილის“ მონაწილენი თავიდანვე გაიყოფიან ორ ჯგუფად. ჯერ ერთი ჯგუფი ცეკვავს, მეორე ტაშს უკრავს. შემდეგ პირიქით და ა.შ.

„შინავორგილის“ შესრულებისას მონაწილენი წრის შეუკვრელად ხან მარჯვნივ მოძრაობენ, ხან — მარცხნივ. საბოლოოდ უფრო ძლიერი (რიცხვობრივად მეტი) ჯგუფი შემოერტყმება (ალყაში მოიმწყვდევს) უფრო სუსტს და ცეკვაც მთავრდება.

„შინავორგილის“ საცეკვაო ნახაზი გვაფიქრებინებს, რომ აქ უფრო მწკრიული ფერხული — ფერხისაა, ვიდრე ფერხული.

„შინავორგილის“ შემდეგ უფრო ხშირად „ცერულს“ ცეკვავენ ან ჯერ „რამაიდას,“ შემდეგ — „ცერულს.“

რამაიდაც ქალ-ვაჟის სატრფიალო ცეკვაა. ქალ-ვაჟნი ეწყობიან წყვილებად ერთმანეთის ზურგს უკან. ძირითადად გამოყენებულია „ქუსლურა სვლა“ (სვანური ვარიანტი), რისი მეშვეობითაც მოცეკვავენი მოძრაობენ ნებისმიერი მიმართულებითა და მოხაზულობით. უფრო მეტად — წრიულად.

ჯანგილდი, „შინავორგილისა“ და „რამაიდას“ მსგავსად, სატრფიალო ხასიათისაა და ქალ-ვაჟი ასრულებს. მოცეკვავენი ეწყობიან ნახევარწრედ და სიმღერა „ვორირაშას“ დაწყებისთანავე, ფეხების გადაჭდობითა და გასმით, მოძრაობენ მარჯვნივ. სიმღერის მიხედვით „ჯანგილდს“ ზოგჯერ „ვორირაშასაც“ უნოდებენ.

ბიმურზელა — ბიმურზელა სახელგანთქმული ვაჟკაცი ყოფილა მესტიაში. მას შეჰყვარებია მონადირე ბექას ცოლი — მანოლა, უსარგებლია ბექას სანადიროდ წასვლით და ქალი გაუტაცია. ბექას დასიზმრებია, თითქოს მისი თოფი ვიღაცას გაეპარტახებინა. საჩქაროდ დაბრუნებულა შინ, შეუტყვია მანოლას გატაცების ამბავი და მესტიაში წასულა: მოუკლავს ბიმურზელა, იქიდან გამოუვლია ცოლისძმებთან და ერთ-ერთიც მოუკლავს. მოსულა სახლში, დაუკლავს ნიშა ხარი, ჭურებისათვის თავი მოუხდია, დაუპატიჟებია მთელი სოფელი და დიდი ღვინი გაუმართავს.

ცეკვას ასრულებს მოცეკვავე-მომღერალი ვაჟი. იგი სიმღერით მოუთხრობს ხალხს საბრალო ბიმურზელას თავგადასავალს. ყოველი შაირის დამთავრების შემდეგ გუნდი მოსძახებს. მოძახილზე მომღერალ-მოცეკვავე ვაჟი „ცერულს“ ცეკვავს.

ცერულს ცალ-ცალკე ან წყვილებად მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. უფრო ხშირად, როგორც დასკვნითი ნაწილი, სრულდება რომელიმე ფერხულის შემდეგ და შეჯიბრების ხასიათისაა. სვანეთში „ცერული“ — ფერხულის აუცილებელი კომპონენტი — ისეთივე ძველია, როგორც ფერხულები. ცერებზე ცეკვა დამახასიათებელია საქართველოს მთიანეთისათვის (მთიულეები, მოხევეები, ფშაველები, ხევსურები, თუშები, სვანები და სხვა).

სვანური „ცერულის“ შესრულებისას ხელები უმოძრაოდაა — მეფერხულებს ორივე ხელი ხანჯალზე უკიდიათ.

სვანურ „ცერულში“ ძირითადი ცერილეთებია: **ცერდაქნევით ჩაკვრა, ჭდობცერდაქნევით ჩაკვრა, ფესშლილი ჩაკვრა, ფესშლითა და განბიჯით ჩაკვრა, ცალ ცერზე რბენა, ორ ცერზე რბენა, ცერდაკვრითი სვლა** და სხვა.

ბ ე რ ბ ი ლ

მოდრაობათა აღწერა

სანყისი მდგომარეობა — წრიულად, სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხები — III პოზიცია.

ხელები — ქვედაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.

მუსიკალური ზომა — 2/4.

მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.



სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.


მეორე ტაქტის პირველი და მეორე მეოთხედი (გე-რე) — მარცხენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ (ფერხულის ცენტრისაკენ). მიმდევრობით მარჯვენის წინ — ჰაერში გატანა. სხეულის სიმძიმე მარცხენაზეა (ნახ.9). ზეტანი მოძრაობს ოდნავ წინ; ჩაკიდებული ხელებით წინმკლავი.

მესამე ტაქტის პირველი მეოთხედი (გილ) — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე (ზეტანი მოძრაობს უკან). ადგილზე დარჩენილი მარცხენის ოდნავ აწევა. ხელების წინმკლავიდან უკუმოდრაობა (ნახ.5).

ტაქტის **შემდეგი ორი მერვედი (სი-ვო)** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და მარჯვენის წინ და მარჯვნივ ერგცერით თავისუფლად დადგმა (ჭდობა).

შეიძლება მუხლის სახსარში მოხრილი მარცხენა ფეხის ერგცერი ჰაერში იყოს, ჩაკიდებული ხელები — ქვედაშვებული.

მეოთხე ტაქტი (ცხა-რი) — მარცხენა ფეხით წინ — ფერხულის ცენტრისაკენ — ჩვეულებრივი ნაბიჯი. უკან დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს ჩაკიდებული ხელებით ზემკლავი.



მეხუთე ტაქტი (ვა-ში) — ყოვნა ან ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერის ან ცერის დაკვრა. ჩაკიდებული ხელებით ზემკლავი.

მეექვსე ტაქტი (ო) — უკან დარჩენილი მარჯვენა გადაინაცვლებს წინ, დაიდგმება მარცხნივ (ჭდობა) და ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში (ნახ. 18). ჩაკიდებული ხელების ზემკლავიდან დაბლა დაშვება.

მეშვიდე ტაქტის პირველი მეოთხედი (დი) — ყოვნა (მეექვსე ტაქტი).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (ვა)** — მარჯვენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და გაიქნევა წინ — ჰაერში. ერთდროულად მარცხენის ქუსლის დაკვრა (ნახ.9).

მერვე ტაქტის პირველი მეოთხედი წერტილით (ცხა) — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარჯვენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.4).

ტაქტის **მომღევნო მერვედი (რი)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად მარჯვენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.5).

მეცხრე ტაქტის პირველი მეოთხედი წერტილით (ვა) — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).

ტაქტის **მომღევნო მერვედი (და)** — მარჯვენა ფეხის ერგცერიდან ტერფით დადგმა, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.7).

მეათე ტაქტის პირველი მერვედი (ში) — მარცხენა ფეხის ტერფით მარჯვენას წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.8).



ნახ. 25

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი წერტილით (ლა)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად მარცხენა ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.9).

მეთერთმეტე ტაქტის პირველი მერვედი (შე) — მარჯვენა ფეხის ტერფით მარცხენა ფეხის წინ და მარცხნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ. 20).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი წერტილით (დივო)** — მარცხენა ფეხი დაუბრუნდება სანყის მდგომარეობას — დაიდგმება ტერფით. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. მუხლის სახსარში გამართული მარჯვენის წინ — ჰაერში გატანა (ნახ.9).

მეთორმეტე ტაქტის პირველი მერვედი (გე) — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა. სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარჯვენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.4).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი წერტილით (რე)** — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარჯვენა ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.5).

მეცამეტე ტაქტის **პირველი მერვედი (გილ)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი წერტილით (სივო)** — მარჯვენა ფეხის ერგცერიდან ტერფით მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.7).

აქ მთავრდება პირველი საცეკვაო ფრაზა.

მეთოთხმეტე ტაქტი (**ცხა-რი**) — მარცხენა ფეხით წინ — ფერხულის ცენტრისაკენ ჩვეულებრივი ნაბიჯი. უკან დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს. ჩაკიდებული ქვედაშვებული ხელები მოძრაობს ზემკლავამდე (**მეოთხე** ტაქტი).

მეთხუთმეტე ტაქტი (**ვა-ში**) — ყოვნა ან ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერის ან ცერის დაკვრა. ჩაკიდებული ხელებით ზემკლავი.

მეთექვსმეტე ტაქტი (**ო**) — უკან დარჩენილი მარჯვენა გადმონაცვლებს წინ და ერგცერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ (ჭდობა) — მარჯვენა ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში (ნახ. 8). ჩაკიდებული ხელების ზემკლავიდან დაშვება.


მეჩვიდმეტე ტაქტის **პირველი მერვედი (დი)** — ყოვნა (**მეთექვსმეტე** ტაქტი).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი წერტილით (ვა)** — მუხლის სახსარში გამართული მარჯვენის წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარცხენა ქუსლის იატაკზე დაკვრა (ნახ.9).

მეჩვიდმეტე ტაქტის მოძრაობა-მდგომარეობა ემთხვევა **მეშვიდისას**.

შემდეგ თანმიმდევრობით: **მეთვრამეტზე** — **მერვე ტაქტისა** და ა.შ. — ყოველთვის გამეორდება **მეოთხე-მეთოთხმეტე** ტაქტებს შორის აღწერილი ფრაზა (მეორე საცეკვაო ფრაზიდან გამოაკლდება პირველი საცეკვაო ფრაზის **მეორე** და **მესამე** ტაქტებზე შესრულებული მოძრაობა).

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების ურთიერთდამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



პირველი მუსიკალური ფრაზა **ცხრა** ტაქტიანია, მეორე, მესამე და ა.შ. — **ათიანი**. **პირველი** საცეკვაო ფრაზა თორმეტ ტაქტში თავსდება, **მეორე, მესამე** და ა.შ. საცეკვაო ფრაზები — **ათში**. ვინაიდან დასაწყისში პირველ ტაქტზე ყოვნაა, პირველი საცეკვაო ფრაზის დასასრული **მეცამეტე** ტაქტის დაბოლოებას დაემთხვევა, შემდეგ **ოცდამესამე, ოცდამეცამეტე, ორმოცდამესამე** და ა.შ. ტაქტების დასასრულს. მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დაბოლოებები ერთმანეთს არ ემთხვევა.

გარბილი

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

ვა შო - ე ცხა - რო -
 ვა შო - ე დო - ვა ცხა - რო -

ვა - და შო - ლა შე - და,
 ვა - და შო - ლა შე - და,

II გუნდი

შო - ლა - - - შე - დივო, გე - რე -
 შო - ლა - - - შე - დივო, გე - რე -

II გუნდი

გილ - სი - - - ცხა - რო - - - ვა შო - ე
 გილ - სი - ვო ცხა - რო - - - ვა შო - ე

| | | | | | გამეორება | დამთავრება | |
|--------------------|--------------------|--|--|--|---------------------------------|--------------------|--------|
| [Musical notation] | | | | | ში-ლა - შე-დივო, | [Musical notation] | |
| [Musical notation] | | | | | ში-ლა - შე-დივო, | [Musical notation] | |
| [Musical notation] | | | | | ში-ლა - შე-დივო, | [Musical notation] | |
| [Musical notation] | | | | | ციხა - რივა - და ში-ლა შე - და, | ში-ლა | შე-და, |
| დი-ვა | [Musical notation] | | | | ციხა - რივა - და ში-ლა შე - და, | ში-ლა | შე-და, |
| [Musical notation] | | | | | ციხა - რივა - და ში-ლა შე - და, | ში-ლა | შე-და, |

შილა შედივო, გერგილსივო ცხარი ვაში,
 ო, დივა ცხარი ვადა შილა შედა,
 შილა შედივო, სვიმულდივო ჯიშია ო, დივა,
 ცხარი ვადა, შილა შედა.
 შილა შედივო, ეჩნიშივო მაბზაარი ო, დივა
 ცხარი ვადა, შილა შედა.
 შილა შედივო, ტუბასივო ესლრი ო, დივა
 ცხარი ვადა, შილა შედა.
 შილა შედივო, მაზუმსივო სგვებნავო ო, დივა
 ცხარი ვადა, შილა შედა.
 შილა შედივო, სგვებნავივო ესლრი ო, დივა
 ცხარი ვადა, შილა შედა.
 შილა შედივო, ვეშგმავი ვეშგმავო ო, დივა
 ცხარი ვადა, შილა შედა.
 შილა შედივო, ვეშგმავი ტეხნი ვო, დივა
 ცხარი ვოდა, შილა შედა.
 შილა შედივო, ტუბასი თხუმასი ო, დივა ცხარი
 ცხარი ვოდა, შილა შედა.
 შილა შედივო, ლარისი ზუსდანი ო, დივა
 ცხარი ვოდა, შილა შედა.
 შილა შედივო, ლარისლი თხუმასი ო, დივა
 ცხარი ვოდა, შილა შედა.
 შილა შედივო, გიგბილსი ხაგანი ო, დივა
 ცხარი ვოდა, შილა შედა.
 შილა შედივო, გიგბილსი თხუმსი ო, დივა
 ცხარი ვოდა, შილა შედა.
 შილა შედივო, მუგულდი ხაგანი ო, დივა
 ცხარი ვოდა შილა შელდა...

გერგილს (გიორგის) ცხარვაში
 მუავე წყალი დაუღევია.
 იმით გამძღარი ლელეში მიდიხარ
 რამდენსაც წინ, წინ მიდიხარ
 იმდენს უკან, უკან ბრუნდები
 ლელეს თავზე სათიბი იყო,
 სათიბის თავზე ფიჭვი იდგა,
 ფიჭვის თავზე გვრიტი იჯდა...

პიბა

სახუმარო სიმღერა, სრულდება ფერხულთან ერთად. მასში ჩამოთვლილია ისეთი საკვირველებანი, როგორცაა:

ჯიხვი ხნავდა,
დათვი თოხნიდა,
მგელი ფარცხავდა,
კურდღელი ბალახს არჩევდა,
კატა ყველს იყვანდა,
თაგვი კიდობანს იცავდა და სხვა.

ფერხული ეწყობა წრიულად, მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.



მოქრობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — წრიულად, სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული. ქალების მონაწილეობისას — ხელჩაკიდებული.

მუსიკალური ზომა — 4/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

პირველი ტაქტი — ყოვნა.

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი (იე) — მარჯვენა ფეხის ტერფით მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ოდნავ მოშორდება იატაკს (ნახ. 20).

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (იე)** — მარცხენა უბრუნდება საწყის მდგომარეობას — დაიდგება მთელი ტერფით. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, მუხლის სახსარში გამართული მარჯვენა გაიტანება წინ — ჰაერში (ნახ. 9).

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (ჩუნ)** — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 7).

ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (დი-ვო)** — მარცხენა ფეხის ერგცერიდან ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ. 6).

მესამე ტაქტის ნახევარი ნოტი (ხო) — მარჯვენა ფეხის ტერფით მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა, მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში, შემდეგ მიმდევრობით მარცხენა საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება — დაიდგება მთელი ტერფით, მუხლის სახსარში გამართული მარჯვენა წინ — ჰაერში გაიტანება (მესამე ტაქტის პირველ ნახევარზე გამეორდება **მეორე ტაქტის პირველ**

ორ მეოთხედზე აღწერილი მოძრაობა (ნახ.20, 9).

ტაქტის **მეორე ნახევარი (შამ-ი)** — მარჯვენა ფეხის ტერფით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. ამ დროს მარჯვენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს. შემდეგ მარცხენით სრულდება საფერხულო ჩაკრული. ამასთანავე მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.4,5).

მეოთხე ტაქტის **პირველი მეოთხედი (სა)** — მარცხენა ფეხის მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (ნახ.6).


ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (კუ)** — მარჯვენა ფეხის ტერფის დაკვრით მარჯვნივ დადგმა და ერთდროულად მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა. მუხლის სახსარში გამართული ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს (ნახ. 14).

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (ვრელ)** — მარცხენა ფეხის ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ. მარცხენის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს (ნახ.8).

ტაქტის **ბოლო ორი მერვედი (სი-ვო)** — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამასთან ერთად მარცხენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა (ნახ.9).

მეხუთე ტაქტიდან საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან — ფეხჭდობიდან (**მეორე ტაქტის პირველი ორი მეოთხედი**) და ა.შ.

„ბიბას“ მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების ურთიერთდამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა შედგება შვიდი ტაქტისაგან, საცეკვაო სამ ტაქტში თავსდება. ვინაიდან საცეკვაო ფრაზის პირველ მუსიკალურ ტაქტზე ყოვნაა, ამიტომ **პირველი** საცეკვაო ფრაზის დაბოლოება დაემთხვევა **მეოთხე** მუსიკალური ტაქტის დასასრულს, შემდეგ **მეშვიდე, მეათე, მეცამეტე, მეთექვსმეტე** და ა.შ. მუსიკალური ტაქტების დაბოლოებებს.

მუსიკალური და საცეკვაო ფრაზათა დაბოლოებანი დაემთხვევიან **მეშვიდე, ოცდამეორე, ორმოცდამეცხრე, სამოცდამეათე** და ა.შ. ტაქტებზე.

ბიბა

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

სა - კუვ - რელ - სი - ვო, ღო - სგ - დი - და - ი ვო - ი - რი - ღი

სა - კუვ - რელ - სი - ვო, ღო - სგ - დი - და - ი ვო - ი - რი - ღი

ვო - რი - ღი - ვო - ი - სა ბი - ბა,

ვო - რი - ღი - ვო - ი - სა ბი - ბა,

I-II გუნდი მონაცვლეობით

ე - ჩენ - დი - ვო

ბი - ბა - ი - ვო ე - ჩენ - დი - ვო

I-II გუნდი მონაცვლეობით

ხო - შამ - სა - კუვ - რელ - სივო, ღო - სგ - დი - დაი

ხო - შამ - ი სა - კუვ - რელ - სივო, ღო - სგ - დი - დაი

| | | |
|--|--|--|
| | | დამთავრება |
|  ვოი - რი - ლი |  ვოი - რი - ლი - ვო - ი - სა |  ბი - ბა, |
|  ვოი - რი - ლი |  ვოი - რი - ლი - ვო - ი - სა |  ბი - ბა, |
|  | | |

ბიბაიო, იეჩუნდივო ი საკუვრელსივო ლოსგდიდაი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, მუღვშირივო ლახანს ი დამ ჯიბუდახ იევოდა,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, იეჩუნდივო ხოშამ ი საკუვრელსივო ლოსგდიდაი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, დაშდულდივო ლაბერგის ხაიჭემენა ა,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, იეჩუნდივო ხოშამ ი საკუვრელსივო ლოსგდიდაი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, თხრელდივო ლაჭადის ხაიაგენენა ი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, იეჩუნდივო ხოშამ ი საკუვრელსივო ლოსგდიდაი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, რაჭულდივო ლანისხს ი ხაიაჭემენა ა,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, იეჩუნდივო ხოშამ ი საკუვრელსივო ლოსგდიდაი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, ციციულდივო ლაყელს ი ხაიაქუქდა ი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, იეჩუნდივო ხოშამ ი საკუვრელსივო ლოსგდიდაი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, შდულგულდივო კიბდენს იხაიალეჩენა დაი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა,
 ბიბაივო, იეჩუნდივო ხოშამ ი საკუვრელსივო ლოსგდიდაი,
 ვოი, რილი ვოი, რილი ვოი ჰა...

„იმაზე უფრო საკვირველს ვხედავთ
 ჯიხვი ხენაში გებათ
 იმაზე უფრო საკვირველს ვხედავთ
 დათვი თოხნიდა
 იმაზე უფრო საკვირველს ვხედავთ
 მგელი ფარცხავდა
 იმაზე უფრო საკვირველს ვხედავთ
 კურდღელი ბალახს არჩევდა
 იმაზე უფრო საკვირველს ვხედავთ
 კატა ყველის ამოსაყვანად ჩაცუცქულიყო
 იმაზე უფრო საკვირველს ვხედავთ
 თაგვი კიდობანს იცავდა
 იმაზე უფრო საკვირველს ვხედავთ...“

მოძრაობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — მწკრივად ან რკალად ხელიხელგაყრილი დგომა.

ფეხი — გამართულ მარჯვენა ფეხზე დგომა. მუხლის სახსარში მოხრილი მარცხენა ფეხი ოდნავ მოშორებულია იატაკს.

ხელები — მამაკაცებს ხანჯალზე უკიდიათ, ქალებს ხელმკლავი უკეთიათ.

მუსიკალური ზომა — 4/4.



პირველი ტაქტის პირველი მეოთხედი (ში) — მუხლის სახსარში გამართული მარცხენა ფეხი ერგცერით იდგმება მარჯვენის უკან და მარჯვნივ; ერთდროულად გამართული მარჯვენა გაიტანება ჰაერში ოდნავ წინ და მარჯვნივ (ნახ.9).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (ნა)** — გამართული მარჯვენა ფეხი ერგცერით იდგმება მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში, გადაიტანება მარჯვნივ და მიუახლოვდება მარჯვენას (ნახ. 20).

აღწერილი ორი მოძრაობა მეორდება განუსაზღვრელად.

მარცხნივ მოძრაობისას საწყისი მდგომარეობაა გამართულ მარცხენა ფეხზე დგომა, მარჯვენა გამართულია მუხლის სახსარში (ნახ. 21), მაგალითად:

პირველი ტაქტის პირველი მეოთხედი (ში) — მუხლის სახსარში გამართული მარჯვენა ფეხი ერგცერით მიიდგმება მარცხენის უკან და მარცხნივ. გამართული მარცხენა გაიტანება ჰაერში ოდნავ წინ და მარცხნივ (ნახ.5).

ტაქტის **მომღევნო მეოთხედი (ნა)** — გამართული მარცხენა ფეხი ერგცერით იდგმება მარცხნივ. სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში, მოშორდება იატაკს, გადაიტანება მარჯვნივ და მიუახლოვდება მარცხენას (ნახ. 21).

მარცხნივ მოძრაობისას ეს ორი მოძრაობა მეორდება განუსაზღვრელად.

მოძრაობის ერთი მიმართულებიდან მეორეზე გადასასვლელად, მუსიკალური ფრაზის დასასრულს, სრულდება ფეხცვლა: მარჯვნივ მოძრაობიდან მარცხენაზე გადასვლისას **მეოთხე** ტაქტის **მეორე ნახევარზე (ნახევარ ნოტზე — გე)** გაიმართება მუხლის სახსარში მოხრილი მარცხენა ფეხი და ერგცერით დაიდგმება წინ. ერთდროულად მუხლის სახსარში მოიხრება მარჯვენაც.

შინავორბილ

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

Musical score for the first system, consisting of three staves (treble, alto, and bass clefs). The lyrics are: ში - ნა ვორ - გილ ვორ - გილ ვო - სა ვო ში - ნა ვო - გე - გე.

II გუნდი

Musical score for the second system, consisting of three staves. The lyrics are: ში - ნა ვორ - გილ ვორ - გილ ვო - სა ვო ში - ნა ვო - გე - გე ო.

რამაიდა

ქალ-ვაჟთა ცეკვა **რამაიდა** ხშირად „შინავორბილის“ შემდეგ სრულდება. ქალ-ვაჟნი წინასწარ ენციობიან წყვილებად ერთმანეთის ზურგს უკან. „რამაიდაში“ ძირითადად გამოყენებულია „ქუსლურა სვლის“ სვანური ვარიანტი, რომლითაც მეფერხულენი მოძრაობენ სხვადასხვა მიმართულებითა და მოხაზულობით, უფრო ხშირად — წრიულად.


ყოველი მამაკაცის გვერდით დგას ქალი. მამაკაცს ქალისათვის ხელკავი უკეთია და ორივე ხელით ხანჯალი უჭირავს. ქალი: მარცხენათი მკლავით ხელმკლავი, იდაყვის სახსარში მოხრილი მარჯვენა გატანილია წინ და მარჯვენაც.

ქუსლურა წინსვლა (სვანური ვარიანტი)

საწყისი მდგომარეობა:

ფეხი — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.



ნახ. 26

ნახ. 27

ნახ. 28

პირველი ტაქტის პირველი მერვედი (ვო) — გამართული მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და ქუსლით დადგმა. სხეულის სიმძიმე მიმდევრობით გადაიტანება მარჯვენის ქუსლზე, გამართული მარცხენა მთელ ტერფზე სრიალით მიიტანება მარჯვენასთან.

ტაქტის **მომდევნო მერვედი (სოვ)** — დახტომა მარჯვენა ფეხის ტერფზე. ერთდროულად მუხლის სახსარში მოიხრება მარცხენა.

შემდეგ „ქუსლურა წინსვლა“ იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება პირიქით.

რამაილა

ზომიერად

I გუნდი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

The first system of the musical score for 'Ramaila' consists of three staves: two treble clefs and one bass clef. The key signature has two sharps (F# and C#), and the time signature is common time (C). The melody is written in the first treble staff, with lyrics underneath. The accompaniment is split between the second treble and the bass staves. The lyrics for the first part are: ვო - სოვ - რი - რა რა - მაღ - და, and for the second part: თ - რე-რა თ - რე-რი - ა რა - მაღ - და,.

II გუნდი

The second system of the musical score continues the melody and accompaniment from the first system. It features the same three-staff structure and key/time signatures. The lyrics for the first part are: ვო - სოვ - რი - რა რა - მაღ - და, and for the second part: თ - რე-რა თ - რე-რი - ა რა - მაღ - და,.

I გუნდი

The third system of the musical score concludes the piece. It maintains the three-staff structure and key/time signatures. The lyrics for the first part are: ვო - სოვ - რი - რა რა - მაღ - და, and for the second part: თ - რე-რა თ - რე-რი - ა რა - მაღ - და, followed by a final note 'ო.' in both vocal parts.

ჯანგილდი იცეკვება ქალ-ვაჟთა მიერ, სიმღერა „ვორირაშასთან“ ერთად, ამიტომ მას „ვორირაშასაც“ უწოდებენ.

ხელიხელგაყრილი ქალ-ვაჟნი ეწყობიან ნახევარწრედ ან მწკრივად და სიმღერის დაწყებისთანავე ფეხების გადაჭდობითა და გასმით მოძრაობენ მარჯვნივ.

ფერხული მოძრაობს რკალზე — წრის შეუკვრელად. დასასრულ, დასაშვებია ცალ-ცალკე წყვილებად ცეკვაც, შეიძლება ერთდროულად რამდენიმე წყვილმაც იცეკვოს.

„ჯანგილდი,“ ანუ „ვორირაშა,“ იცეკვება ლხინში და დღესასწაულებზე.

მოძრაობათა აღწერა

საწყისი მდგომარეობა — ერთმანეთის გვერდით რკალურად დგომა. მამაკაცებს ხელები ხანჯალზე უწყვიათ, ქალებს კი ხელკავი უკეთიათ.

ფეხი — III პოზიცია (ნახ.12).

მუსიკალური ზომა — 2/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.



პირველი ტაქტის პირველი მეოთხედი (ვო) — მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ და მარცხნივ გადატანა და მთელი ტერფით დადგმა (ამ დროს მარჯვენა გამართულია მუხლის სახსარში). ერთდროულად უკან დარჩენილი მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში — ჭდობა (ნახ. 20).

ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (რი)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად მარჯვენა შორდება იატაკს და გამოდის წინ, ფეხები გამართულია მუხლის სახსარში (ნახ.9).

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი (რა) — მარჯვენა ფეხი ერგცერით შეეხება იატაკს და სრიალით მოძრაობს უკან. ერთდროულად მარცხენა ერგცერზე სრიალითვე მოძრაობს წინ.


ტაქტის **მომდევნო მეოთხედი (შა)** — ერგცერებზე სრიალით შეიცვლება ფეხების მდგომარეობა.

მესამე ტაქტიდან სრულდება პირველი ტაქტის მოძრაობა:


მესამე ტაქტის პირველი ორი მერვედი (ვო-რი) — მარჯვენა ფეხი გადადის მარცხენის წინ — მარცხნივ და მუხლის სახსარში გამართული დაიდგმება მთელი ტერფით. ერთდროულად უკან დარჩენილი მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში — ჭდობა.

ტაქტის **შემდეგი ორი მერვედი (რა-შა)** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად მარჯვენა შორდება იატაკს და გამოდის წინ. ამ დროს ორივე ფეხი გამართულია მუხლის სახსარში (ნახ. 20, 9).

მეოთხე ტაქტიდან სრულდება „სადა სრიალა გასმა“ — **მეოთხე ტაქტის პირველი მერვედი (ვო)** — მარჯვენა ფეხი შეეხება იატაკს და ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, ერგცერზე სრიალითვე მოძრაობს წინ მარცხენა (ნახ. 29).



ნახ. 29




ნახ. 30

ტაქტის **მომღევნო მერვედი (რე)** — ერგცერებზე სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა: მარჯვენა მოძრაობს წინ, მარცხენა — უკან (ნახ. 30).

ტაქტის **შემღევი მეოთხედი (რა)** — ისევ შეიცვლება ფეხების მდგომარეობა: მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, მარცხენა — წინ (ნახ. 29).

მეხუთე ტაქტიდან იღეთი სრულდება პირიქით — ჭდობა იწყება მარცხენა ფეხით და ა.შ.

„ჯანგილდის“ მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების ურთიერთდამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



მუსიკალური ფრაზა შეიცავს **ოთხ** ტაქტს, საცეკვაო ფრაზა — **რვას**. ამიტომაც მუსიკალური და საცეკვაო ფრაზების დასასრული ერთმანეთს დაემთხვევა **მერვე, მეთექვსმეტე, ოცდამეოთხე** და ა.შ. ტაქტებზე.

ჰორირაშა

ჩაიწერა ვლ. კურტიდმა

I გუნდი

II გუნდი

II გუნდი

რა - შა ვო - რი - რა - შა ვო - რე - რა, ლ

რა - შა ვო - რი - რა - შა ვო - რე - რა, ლ

ცერული

მოძრაობათა აღწერა

ცერდაქნევიტი ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომი, მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში და გატანილია უკან; ერგცერი — გაჭიმული.


ხელები — ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.




პირველი ტაქტის პირველი მერვედი (ლ) — მარჯვენა ფეხი წვივის დაქნევით მოძრაობს წინ, გაუსწორდება მარცხენა ფეხს, ორივე ფეხზე „ტყუპცერშედგომი.“


ტაქტის **შემდეგი მერვედი (რიო)** — მარცხენა ფეხის ცერიდან მთელ ტერფზე დახტომა, ერთდროულად, როგორც სანყისი მდგომარეობისას, მარჯვენა ისევ მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება უკან (ნახ. 31).



ნახ. 31



ნახ. 32



ნახ. 33

მომდევნო ტაქტიდან ილეთი მეორდება და ა.შ. (დაქნევითი მოძრაობა ყოველთვის სრულდება მარჯვენა ფეხით).

„ცერდაქნევით ჩაკვრის“ ოდნავ განსხვავებული ვარიანტი: ცერებზე შედგომისას ტერფები დაშორებულია მხრების სიგანეზე, ქუსლები შებრუნებულია გარეთ.

ჭლოცერდაქნევით ჩაკვრა


საწყისი მდგომარეობა — იგივე, რაც „ცერდაქნევით ჩაკვრისას“ გამართული მარცხენა ფეხის ტერფზე დგომი, მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში და გატანილია უკან, ერგცერი — გაჭიმული.

ხელები — ხანჯალზე (ნახ. 31).


პირველი ტაქტის პირველი მერვედი (ო) — წვივის დაქნევით მარჯვენა ფეხი გაიტანება მარცხენის უკან და ოდნავ მარცხნივ. ერთდროულად ცერებზე შედგომა. ორივე ფეხი გამართულია მუხლის სახსარში და გადაჭდობილია მარცხენა ფეხით წინ.

ტაქტის **მეორე მერვედი (რიო)** — მარცხენა ფეხის ცერიდან ტერფზე დახტომა. ერთდროულად მარჯვენა ფეხი ისევ მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება უკან — საწყისი მდგომარეობა (ნახ. 31).

ტაქტის **მომდევნო მერვედი (რა)** — მარჯვენა ფეხი წვივის დაქნევით მოძრაობს ნახევარი ტერფის მანძილზე, შეეხება იატაკს — ორივე ფეხზე „ცერშედგომი.“



ნახ. 34



ნახ. 35

ტაქტის **ბოლო მერვედი (შა)** — მარცხენა ცერიდან ტერფზე დახტომა. ერთდროულად მარჯვენა ფეხი ისევ მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება უკან — საწყისი მდგომარეობა (ნახ. 117).

შემდეგ ილეთი იწყება თავიდან — გადაჭდობილი ფეხებით ცერებზე შედგომა: ფეხები ხან გადაჭდობილია, ხანაც მარჯვენა ფეხი ნახევარი ტერფით გატანილია წინ.

ფეხშლილი ჩაკვრა


საწყისი მდგომარეობა — ფეხის IV პოზიცია (ნახ. 17).

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტის პირველი მერვედი (ო) — ერგბუქნიდან მცირე ზეხტომ-დახტომი: მარჯვენა ფეხი გადის წინ და მარცხნივ, მარცხენა — უკან და მარჯვნივ. დასასრულ, ფეხები გადაჭდობილი, მუხლები ნახევრად მოხრილი (ერგბუქნი), ორივე ფეხით ტერფზე დგომი — ფეხის წვერები შებრუნებულია გარეთ.

ტაქტის **მომდევნო მერვედი (რიო)** — დაბალი ზეხტომით ფეხების მხრების სიგანეზე გაშლა და ცერებზე შედგომა, ორივე ფეხით მცირე ერგბუქნი.

მუხლები — დაახლოებული, ფეხის ქუსლები — ოდნავ გარეთ შებრუნებული (ნახ. 33).



ნახ. 36



ნახ. 37

მომღევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან — ფეხების გადაჭდობიდან: ზოგჯერ მარჯვენა ფეხია წინ, ზოგჯერაც მარცხენა გადმოინაცვლებს წინ, მარჯვენა — უკან და ა.შ.

არსებობს „ფეხშლილი ჩაკვრის“ ოდნავ განსხვავებული ვარიანტიც: ფეხები გადაჭდობისას ერგცერებით ეხება იატაკს. ეს ვარიანტი უფრო დამახასიათებელია „ცერულისათვის.“ „ფეხშლილი ჩაკვრა“ ადგილზე სრულდება.

ფეხშლითა და განხიჯით ჩაკვრა

პირველი ტაქტის **პირველი ნახევარი (ო-რიო)** — „ფეხშლილი ჩაკვრა.“

ტაქტის **მომღევნო მერვედი (რა)** — ცერებიდან მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე დახტომა (ამ დროს მარცხენა ფეხი ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში). ერთდროულად მარჯვენა გაიტანება ჰაერში ირიბად — წინ და მარჯვნივ. მარჯვენა ფეხი გამართულია მუხლის სახსარში, ერგცერი — გაჭიმული (ნახ.9).

ტაქტის **ბოლო მერვედი (შა)** — მარჯვენა ფეხის სხეულის გასწვრივ მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად სხეულის სიძიძიე გადავა მარჯვენაზე (მარჯვენა ოდნავ მოხრილია მუხლის სახსარში). მარცხენა ფეხი მოშორდება იატაკს და ჰაერში ირიბად — წინ და მარცხნივ გაიტანება. ამ დროს მარცხენა გამართულია მუხლის სახსარში, ტერფი — გაჭიმული (ნახ.5).

შემდეგ ილეთი იწყება ისევ „ფეხშლილი ჩაკვრით“ — ოლონდ პირიქით: „ფეხშლილი ჩაკვრის“ დასაწყისში მარჯვენის ნაცვლად წინ მოხვდება მარცხენა. ცერებზე დგომიდან მარცხენის ნაცვლად მარჯვენა ფეხზე დახტომა. ამ ილეთის შესრულებისას სხეული გადაინაცვლებს ხან მარცხნივ, ხან — მარჯვნივ. ილეთის პირველ ნაწილში „ფეხშლილი ჩაკვრის დროს“ ასევე შესაძლებელია სხეულის შებრუნება მერვედით — ზოგჯერ მარცხნივ, ზოგჯერ — მარჯვნივ.

ცალცერზე რბენა

საწყისი მდგომარეობა — გამართული მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე დგომა, მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში და გატანილია უკან (ნახ. 31).

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტის **პირველი მერვედი (ო)** — მარჯვენა ფეხი წვივის დაქნევით მოძრაობს წინ და მუხლის სახსარში გამართული იატაკს ცერით ეხება. ერთდროულად მუხლის სახსარში მოხრილი მარცხენა გაიტანება უკან.

ტაქტის **მომღევნო მერვედი (რიო)** — მუხლის სახსარში გამართული მარცხენა ფეხი წვივის დაქნევით მოძრაობს წინ და დაიდგმება მთელი ტერფით. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება უკან (საწყისი მდგომარეობა).

შემდეგ **ილეთი** იწყება **თავიდან**: ცერშედგომიდან მარჯვენა ფეხის წვივის დაქნევით და მეორდება განუხაზღვრელად. ილეთთა შესრულებისას სხეული სწრაფად მოძრაობს წინ და გარბენის შთაბეჭდილებას ტოვებს.


საწყისი მდგომარეობა — გამართული მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე დგომა. მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში და გატანილია უკან (ნახ. 31).

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტის პირველი მერვედი (ო) — მარცხენა ფეხი წვივის დაქნევით მოძრაობს წინ და მუხლის სახსარში გამართული იატაკს ცერით ეხება. ერთდროულად მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება უკან (ნახ. 37).



ნახ. 38



ნახ. 39

ტაქტის მომდევნო მერვედი (რიო) — მარცხენა ფეხი წვივის დაქნევით მოძრაობს წინ და მუხლის სახსარში გამართული ცერით ეხება იატაკს. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში, გაიტანება უკან და ა.შ. ერთი ფეხის ცერი იცვლება მეორეთი. ამ შემთხვევაში, როგორც ცალცერზე რბენისას, სხეული სწრაფად მოძრაობს და გარბენის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ცერდაკვრითი უკუსვლა


საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია, დაბალ ერგცერზე დგომა: ორივე ფეხი სხეულის გასწვრივ, ფეხები გამართულია მუხლის სახსარში და ერგცერებით ეხება იატაკს, ტერფები შეერთებულია ერთმანეთის პარალელურად (ნახ. 26).

მუსიკალური ზომა — 2/4

პირველი ტაქტის პირველი მერვედი (ო) — მარჯვენა ფეხი, ქუსლის იატაკზე დაკვრით და მთელ ტერფზე სრიალით, ოდნავ გადაინაცვლებს უკან (მარჯვენა მუხლის სახსარში გამართულია). ერთდროულად მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ცერის იატაკზე დაკვრით, ოდნავ გადაინაცვლებს წინ.



ნახ. 40



ნახ. 41



ტაქტის მომდევნო მერვედი (რიო) — ილეთი სრულდება პირიქით: ქუსლის იატაკზე დაკვრითა და მთელ ტერფზე სრიალით ოდნავ უკან გადაინაცვლებს მარცხენა ფეხი. მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და, ცერის იატაკზე დაკვრით, ოდნავ გადაინაცვლებს წინ. შემდეგ ილეთი იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად. ილეთის შესრულებისას სხეული მოძრაობს უკან.

„არსებობს ცერდაკვრითი უკუსვლის“ განსხვავებული ვარიანტიც: ცერდაკვრის დროს ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მუხლები — შეერთებული, ცერზე შემდგარი ფეხის ქუსლი შებრუნებულია გარეთ.

ცერული

ჩქარა

სვანეთის ექსპედიციის მასალებიდან
(1959 წ.) გაშიფრა ე. სარიშვილმა

I გუნდი

ო - რდო - რა - შა რი - თ შა - თ რე - რა - თ,

II გუნდი

ო - რდო - რა - შა

I გუნდი

ო - რდო - რა - შა რი - თ შა - თ რე - რა -

რი - თ შა - თ რე - რა - თ,

ო,
ო,
ო - რდო - რა - შა
ო - რდო - რა - შა

II გუნდი

ო - რდო - რა - შა რი - ო შა - ო რე - რა, ო,
ო - რდო - რა - შა რი - ო შა - ო რე - რა, ო,
ო - რდო - რა - შა რი - ო შა - ო რე - რა, ო,

რა - მად - და - ო,
რა - მად - და - ო,
ო

II გუნდი

დამთავრება

ო - რდო - რა - შა რა - მად - და - ო,
ო - რდო - რა - შა რა - მად - და - ო,
ო

რაჭული ფერხულები

რაჭული ფერხულები შინაარსობრივად იყოფა: სამონადირო, რელიგიურ-რიტუალურ, საბრძოლო-მეომრულ-ლაშქრულ, პატრიოტულ და საყოფაცხოვრებო ფერხულებად.

სამონადირო ფერხულებიდან რაჭამ, სვანეთის მსგავსად, დღემდე შემოინახა **ამირანის** წრიული **ფერხული**, რომლის ფეხების მოძრაობა რაჭული ფერხულებისათვის დამახასიათებელი ფეხის მოძრაობის ანალოგიურია. გადმოცემის მიხედვით, **ამირანის ფერხულის** რაჭული ვარიანტი, ფეხის მოძრაობის მხრივ, ფერხულის — **მალლა მთას მოდგა** — მსგავსია, მუსიკალური მასალა კი სიმღერას — **ქვედრულა მოდიდებულა** — ჰგავს. ამაზე მიგვითითებენ გრიგოლ ივანეს ძე მეტრეველი სოფელ ღარიდან და ვასილ ნიკოლოზის ძე როსნაძე სოფელ სორიდან. ონელი მურმან პარმენის ძე ბურდილაძის აზრით, **ამირანის ფერხულის** მელოდია უფრო სიმღერის — **წერეთელმა დაგვიბარა** — ჰანგს წააგავს. „ამირანის ფერხულის“ სხვა ფერხულებთან მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში, კერძოდ, რაჭაში გავრცელებული „ამირანის ფერხული“ უფრო მოგვიანებით წარმოშობილი ზოგიერთი ფერხულის მუსიკალური და ქორეოგრაფიული მასალის საფუძვლად იქცა. გარდა „ამირანის ფერხულისა“, რაჭამ შემოგვინახა მეომრულ-ლაშქრული — **მალლა მთას მოდგა, დიგორსა დასხდენ ვეზირნი, ოსიე** და საყოფაცხოვრებო-სატრფიალო ხასიათის — **ერთხელ წისქვილს წასვლისათვის, ქალსა ვისმე, თამარ ქალი, ჟუჟუნა, ორი დელა** — და სხვა ფერხულები.

საყოფაცხოვრებო ფერხულში „ერთხელ წისქვილს წასვლისათვის“ გადმოცემულია ქალის ოინები და მისი ჭირვეული ხასიათი; „თამარ ქალი“ — თითქოს თამარი ჩერქეზებს გაუტაციათ; „ორი დელა“ მოგვითხრობს თავად ერისთავის ქალის მოტაცების ამბავს და სხვა. „დიგორსა დასხდენ ვეზირნი“ და **დიგორი და ბასიანი** ერთი და იგივე ფერხულია. საინტერესოა მისი ტექსტი:

დიგორი და ბასიანი
ჩოხა-ნაბდით სავსე არი.
დიგორსა დასხდენ ვეზირნი —
ვეზირნი ბადელოვანი,
მათ გამორჩევა შეექმნათ,
არჩიეს, გამოარჩიეს
საომრად კირტიშოვანი და ა.შ.

დიგორი რაჭას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება, ბასიანი კი სამხრეთ საქართველოში — ტაოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ბასიანის ბრძოლა 1204 წელს მოხდა — თამარ მეფის დროს. გასარკვევია, რა კავშირია ფერხულის ტექსტში ნახსენებ დიგორსა და ბასიანს შორის. არადა ფერხული შექმნილია და შინაარსობრივად უკავშირდება სოფელ ღებზე ოსების ერთ-ერთ თავდასხმას. ასევე გასარკვევია ტექსტში ბადელოვანისა (ბადელას) და კირტიშოვანის (კირტიშის) ხსენების მიზეზიც. ბადელა სოფელია სამხრეთ საქართველოში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია), კირტიში — ადგილი სოფელ ღებთან. შესასწავლი და გასარკვევია, რა აკავშირებთ საქართველოს სამხრეთით მდებარე ბასიანსა და ბადელას ჩრდილოეთით არსებულ დიგორსა და კირტიშთან, მათი დაპირისპირება უბრალო სიტყვების თამაშია, თუ რაიმეს უკავშირდება?

შეიძლება ვინმემ იფიქროს, დიგორის ადგილას დიდგორი უნდა იყოს — მეფეთა დასასვენებელი ადგილი თბილისის მახლობლად, სადაც 1121 წელს დიდგორის ლეგენდარული ბრძოლა მოხდა. ტექსტში შეიძლება შეეტანათ ორი გამორჩეული ისტორიული ადგილი — დიდგორი და ბასიანი. თუ ეს ასეა, მაშინ დასაზუსტებელია ბადელასა და კირტიშის, ამ ორი საპირისპირო ადგილის, ფერხულის ტექსტში მოხვედრის მიზეზი.

ერთი ისტორიული ნიაღვრეა: 764 წელს ხაზარები ქართლის სამეფოს შემოესივნენ, ააოხრეს და თბილისი დაწვეს. მემატინანე ამის მიზეზად ხაზართა ხაკანის უიღბლო გამიჯნურებას მიიჩნევს: ხაზართა მეფეს უნახავად შეჰყვარებია ქართლის ერისთავთ ერისთავის ულამაზესი და და მოციქული გამოუგზავნია: მომათხოვე შენი და და არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში დაგეხმარებო. ქალის დედასა და ძმას (თვითონ მშვენიერ საპატარძლოსაც) შორს დაუჭერიათ — წარმართს ქალს ვერ მიათხოვებო. საბედისწეროდ გამიჯნურებულ ხაკანის სატრფოს შუშანი რქმევია. უარყოფილმა და

შეურაცხყოფილმა სასიძომ, ეტყობა, კარგა ხანს ინახა გულში წყენა, მაგრამ ისეთი ძლიერი გამოდგა უნახავი მზეთუნახავის სიყვარული, საბოლოოდ თავს ველარ მოერია და შელახული თავმოყვარეობის აღსადგენად უკიდურესი და უცნაური გზა აირჩია — სამი წლის შემდეგ დიდი ლაშქარი შემოუსია ქართლს სპასალარ ბლუჩანის მეთაურობით. სასტიკი და შეუვალი იყო ხაკანის ბრძანება: ქვეყანა ააოხრეთ და მშვენიერი ქართველი ქალი აქ მომგვარეთ — ცოლად უნდა შევიერთოო... „შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუნა ქართული და ყოველი ესე ქვეყანა,“ — გვამცნობს მემატიანე.

როგორც ვხედავთ, ხაკანის სპასალარს პირველი დავალება „კეთილსინდისიერად“ შეუსრულებია, მეორეს კი თავადვე ემსხვერპლა: ქალის ოჯახი კახეთის ერთ-ერთ ციხეში ყოფილა გამაგრებული. ხაზართა ლაშქარი მიადგა ციხეს და, რამდენიმედღიანი წინააღმდეგობის შემდეგ, აიღო. შუშანი და მისი ძმა ჯუანშერი შეიპყრეს, ქართლი და მისი დედაქალაქი გადათელეს და ნადავლით დატვირთულები უკან გაბრუნდნენ. ყმანვილმა ქალმა გზაში უმაგალითო გმირობა გამოიჩინა — ბეჭდის თვალში დამალული სანამლავი დალია და იქვე გათავდა. განრისხებულმა ხაკანმა შური თავის სპასალარზე იძია — „განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა ამიერ და იმიერ და მოსწვიდეს თავი მისი ბოროტად“ (ვახტანგ ჭელიძე, „ქართლის ცხოვრების ქრონიკები,“ ტომი 1, 1977). ქათამივით წაუნყვეტია თავი უმაღურ ხაკანს გამარჯვებული სპასალარისათვის.

თუ „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილ ამბავს შევადარებთ რაჭული ფერხულის „ქალსა ვისმეს“ ტექსტს (ქალსა ვისმე ერქვა შუშანაო, ხუთსა თითსა, ზოგიერთ ვარიანტში დიდსა თითსა, ეცვა ბეჭედიო და ა.შ.), დავინახავთ, რომ ორივე შემთხვევაში ლაპარაკია ქალზე, რომელსაც ერქვა შუშანა. ასეთმა დამთხვევამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ რაჭულ ფერხულში აისახა „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ერისთავის ასულის შუშანას გმირობა და თავგანწირვა. თუ ამ ვერსიას დავეყრდნობით, ფერხული „ქალსა ვისმე“ მერვე საუკუნის ნიმუში უნდა იყოს.

რაჭაში დღემდე შემორჩენილ ფერხულებს შორის ვერ ვხვდებით რელიგიურ-რიტუალური და პატრიოტული შინაარსის ფერხულებს. ამ კუთხისათვის დღეს ისინი დავინწყებულა.

გადმოცემების მიხედვით, საბრძოლო შინაარსის მიუხედავად, რაჭაში თითქმის ყველა დღესასწაულზე სრულდებოდა ფერხული „მაღლა მთას მოდგა.“ 1912 წელს აკაკის მოგზაურობა რაჭალეჩხუმში სახალხო დღესასწაულად გადაქცეულა. როგორც კინოოპერატორ ვასილ ამაშუკელის გადაღებული დოკუმენტური ფილმიდან ჩანს, ამ დღესასწაულზე ფერხულიც შეუსრულებიათ, ზუსტად რომელი, ამის ხელაღებით თქმა ძნელია, რადგანაც იმ დროისათვის კინო მუნჯი იყო, მაგრამ ის ფერხული ფეხის მოძრაობით იმდენად წააგავს ფერხულს — „მაღლა მთას მოდგა,“ რომ შეუძლებელია ეჭვი შეგვეპაროს მათს ერთსა და იმავეობაში.

ფორმის მიხედვით რაჭული ფერხულები, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ძირითადად წრიულია და ქალ-ვაჟთა მიერ სრულდება. ფორმის თავისებურებით გამოირჩევა ფერხული „ჟუჟუნა,“ რომელიც ფერხისას უფრო წააგავს, ვიდრე ფერხულს.

„ჟუჟუნას“ მონაწილენი ნახევარწრედ ეწყობიან და წრის შეუკვრელად მოძრაობენ მარჯვნივ, შემდეგ რკალი ორად იყოფა და ორივე ჯგუფი ერთმანეთის საპირისპიროდ მოძრაობს. გადმოცემით, „ჟუჟუნას“ მონაწილენი წრეს მხოლოდ ფერხულის დასასრულს შეკრავდნენ. თურმე მას მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ და მეორე ნაწილში ორსართულიანი „ზემყრელო“ იცეკვებოდა: მეორე სართულზე ასულები ქარქაშიდან ამოღებულ ხანჯლებს ურტყამდნენ ერთმანეთს.

რაჭული ფერხულებისათვისაც დამახასიათებელია ხელები მხრებზე, ხელიხელჩაკიდება, ხელებით ერთმანეთის ქამრებში ჩაჭიდება და ხელკავი. ფერხულის ჩაბმისას მკლავების ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია არა მარტო რაჭული, საერთოდ, ქართული და სხვა ხალხის საფერხულო წყობის ცეკვებისთვისაც. როგორც ჩანს, ფერხული გავრცელებული იყო მსოფლიოს სხვადასხვა ხალხს შორის. შემდეგ ზოგიერთმა თანდათანობით მიივიწყა, ზოგმა კი დღემდე შემოინახა ეს უძველესი ქორეოგრაფიული ნიმუში.

რაჭაში, რაჭული ფერხულების გვერდით, ვხვდებით ქართლ-კახური ფერხულის — „შავლეგოს“ — ერთ-ერთ ვარიანტს, რომელშიც ფეხის მოძრაობა რაჭული ფერხულების ფეხის მოძრაობის მსგავსია. თუ „შავლეგოს“ რაჭულ ვარიანტში ფეხის მოძრაობას ქართლ-კახური ძირითადი ვარიანტისათვის საჭირო ფეხის მოძრაობად მივიჩნევთ, შესაძლებლობა მოგვეცემა, ამჟამად ჩვენთვის უცნობი ქართლ-კახური ფერხულის „შავლეგოს“ ფეხის მოძრაობა დავადგინოთ.

რაჭაში (სოფელი ქორთა, ზემო რაჭა) საეკლესიო დღესასწაულთაგან ყველაზე მეტად გავრცელებული იყო პეტრე-პავლობა, სხიერობა და აღდგომა (ეთნოფორი ამბაკო გიორგის ძე თათარაძე).

პეტრე-პავლობა რაჭაში ყოველწლიურად თამარ დედოფლის კლდის ძირში იმართებოდა. ქორთის თავზე აღმართულ თამარ დედოფლის კლდის შუაში გამოქვაბულია. კარგად მოჩანს მისი ორი სარკმელი და კარი. ეტყობა, გამოქვაბულში ძველად ბილიკით ადიოდნენ, შემდეგ ის ჩამოირეცხა და შესასვლელი მიუვალი გახდა. მამაჩემის, არსენ შიოს ძე თათარაძის გადმოცემით, გასული საუკუნის 900-იან წლებში ბოყველმა პეტრე ომანიძემ კლდეს ხის კიბე მიამაგრა და ასე შევიდა გამოქვაბულში. ზაფხულობით, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე, პეტრე ადიოდა გამოქვაბულში და კლდეზე გადმომდგარი ქადაგებდა: თითქოს იქ ოქროს კუბო ესვენა და ოქროს ნივთები ინახებოდა. პეტრე ომანიძის გარდა ჯერჯერობით გამოქვაბულში არავინ ასულა და დაბეჯითებით ამის დადასტურება ძნელია.

პეტრე-პავლობას მინდორზე ხალხი დილიდანვე იყრიდა თავს, ჩაღებოდა ლხინი და ცეკვა-თამაში. უფრო მეტად ცეკვავდნენ „ქართულს“ (დღესაც ტყეში ერთ ადგილს „სათამაშო მინდორას“ ეძახიან).

აღდგომას, ეკლესიის შემოვლის შემდეგ, ერთი ოჯახის წევრები (ბაბუიშვილები) მონვეულ სტუმრებთან ერთად სუფრას მიუსხდებოდნენ. მეზობელი სუფრები პატივისცემის ნიშნად ერთმანეთს ღვინოს (მოსაკითხს) გადაუგზავნიდნენ და ფერხულს ჩააბამდნენ („მაღლა მთას მოდგა“, „რაევო“ და სხვა). ფერხულის შემდეგ ლხინს გააჩაღებდნენ და „ქართულს“ ცეკვავდნენ.

ცეკვა „ქართულს“ რომ გამორჩეული ადგილი ეჭირა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში და უშუალოდ ხალხის ყოფას უკავშირდებოდა, ამის დამადასტურებლად მოვიყვან ჩემს ბავშვობაში (1935 წ.) ნანახ ერთ-ერთ ამბავს: სოფელ ქორთაში (თათარაძეები წარმოშობით იქიდან არიან. ივ. ჯავახიშვილი ქორთას სამხრეთ საქართველოში — ტაო-კლარჯეთის, ბასიანისა და ფანასკერტის გვერდით ასახელებს. „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I გვ. 64.) ყოველ კვირა დღეს ორ-სამ ადგილას (კალოზე) ლხინი იმართებოდა. ერთ-ერთი ასეთი ლხინისას ერთი კოხტად ჩაცმული უცხო ახალგაზრდა შევამჩნიეთ. როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე ქალის სანახავად ჩამოსულიყო. ლხინი გახურდა. მასპინძლებმა საცეკვაო მოედანი სტუმარს დაუთმეს. ახალგაზრდამ წრეზე დაუარა, თან თვალთ გოგონათა შორის ვიღაცას ეძებდა. შემდეგ წრე გადაჭრა და რჩეულთან მივიდა, ფეხი გაუსვა და ცეკვაში გამოიპატიჟა. ყველამ თვალი გოგონას მიაპყრო. მას შერცხვა, ცოტა ანითლდა და უკან დაიხია. ვაჟმა ხელმეორედ შემოუარა წრეს და იგივე გაიმეორა. გოგონამ თავი დახარა, რამდენიმე ნაბიჯით გამოეყო ჯგუფს (რა თქმა უნდა, ამაში მეგობარ გოგონათა მუჯღლუგუნებმაც შეასრულეს გარკვეული როლი) და ცეკვაში ჩაება. გაჩაღდა ლხინი... დამსწრენი ენერგიას არ იშურებდნენ წყვილის გასამხნეებლად... ვაჟი ქალს მხარმარცხნივ მისდევდა და თვალს არ აშორებდა. არ შეეუდგები ცეკვის აღწერას. იგი „ქართულის“ ერთ-ერთი ჩვეულებრივი ხალხური ვარიანტი იყო. ამ შემთხვევაში საინტერესო სხვა დეტალია: ქალ-ვაჟის გადაწყვეტილებაში, შეექმნათ ოჯახი, არცთუ მცირე როლი ცეკვამ შეასრულა. წყვილის ცეკვამ ახალგაზრდებში დიდი სიხარული გამოიწვია.

რაჭაში „ქართულის“ თავისებური, გამარჯებული სახეობაა ცეკვა „ოღროოღროო.“ ჩვენი აზრით, ამ ცეკვას „გონჯაობის“, „კოხინჯრობისა“ და „ბერიკაობის“ დროს ცეკვავდნენ.

საქართველოში ოდითგანვე თაყვანს სცემდნენ ამინდის ღვთაებას და მის პატივისცემად **ლაზარობა** იმართებოდა. რაჭაში, იმერეთსა და სვანეთში „ლაზარობის“ ნაცვლად **გონჯაობა** სცოდნიათ.

ზაფხულში, გვალვის დროს, წვიმის გამონვევის მიზნით, ძველმანებით შემოსილი რამდენიმე ვაჟი წელს ზემოთ გატიტვლდებოდა და გაიმურებოდა (გაიგონჯებოდა). ასე დადიოდნენ კარდაკარ, ხტუნავდნენ, ცეკვავდნენ, თან ხმამაღლა მღეროდნენ:

გონჯა მოდგა კარებსა,
აბრიალებს თვალებსა.
ღმერთო, წვიმა მოიყვანე,
დააპკურე ყანებსა...

სახლის პატრონი (ქალი თუ კაცი) გონჯას წყალს გადაასხამდა და განუწავდა.

სოფელ ქორთაში ყოველწლიურად, 8 მაისს, მართავდნენ **კოხინჯრობას** — რიტუალს კოხის, ანუ სეტყვის, წინააღმდეგ. ამ დღესასწაულზე ხალხი თავს სპეციალურად შერჩეულ ადგილას (ნასაყდრთან) იყრიდა. დაკლავდნენ საკლავს და მოილხენდნენ, ცეკვავდნენ „ქართულსა“ და ფერხულს.

ცეკვა-თამაში თან ახლდა ძველ ქართულ ხალხურ სანახაობას — **ბერიკაობას**. დიმიტრი ჯანელ-

იძე განიხილავს სოფელ ღებში (ზემო რაჭა) ვ. ლობჯანიძის მიერ ჩანერილ ბერიკაობას — **ბერიკაობა ცეკვა-თამაშით**: „ბერიკაობაში მონაწილეობდა ოთხი-ხუთი ბერიკა — ერთი ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი, ერთიც დაირაზე დამკვრელი. „ქალი“ ცეკვავდა, სხვებსაც ინვევდა სათამაშოდ. ბერიკა წრის შიგნით იდგა და ოხუნჯობდა — დამსწრეებს შეუტევდა, შესჩხავლებდა უცნაური და საზარელი ხმით, აშინებდა... მაყურებელი ბერიკას დაემალეობდა, ატყუებდა“ (დიმიტრი ჯანელიძე „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, გვ. 371). სოფელ ქორთაში 1972 წელს ჩვენ ჩავინერეთ „ბერიკაობა.“ მოქმედი პირნი: **ბერიკა, დედოფალი და მხლებლები.**

ბერიკა — ძველმანებში გამოწყობილს თავზე ეხურა მამლის ფრთებით მორთული ბენვიანი ფაფახი, ზემოდან ეცვა ტყაპუჭის მაგვარი რამ (ბერიკას რაც შეიძლება საზარელი შესახედობა უნდა ჰქონოდა, ზოგჯერ ქალაღდისაგან გაკეთებულ ნიღბსაც იკეთებდნენ), წელზე ერტყა ხმალი და ხანჯალი.

დედოფალი — ძველმანებით შემოსილ ქალს (უფრო მეტად ვაჟს) სახე თავსაფარით ჰქონდა დაფარული.

მხლებლები — ყოველდღიურ, ჩვეულებრივ სამოსში გამოწყობილ რამდენიმე ვაჟს თან ახლდათ მედაირე და მეგარმონე. უკრავდნენ საცეკვაოს. ცეკვავდა ბერიკა და დედოფალი. მაყურებელი დედოფალს ჩქმეტდა და ცდილობდა, ბერიკასათვის წაერთმია. ბერიკა თავგამოდებით იცავდა დედოფალს, მხლებლები კი ტაშით ამხნევებდნენ. იყო მხიარულება, სიცილ-ხარხარი, ცეკვა-თამაში... ბოლოს მხლებლები „საციქველს“ — სურსათ-სანოვავეს — აგროვებდნენ.

ამალიანი ბერიკა ყოველი გლეხის კარზე მართავდა ლხინს, ისინი კი „ბერიკაობის“ მონაწილეებს ყველით, კვერცხით, პურით, ღვინით და ხილით ასაჩუქრებდნენ. მხლებლები ღვინოს ტიკში ასხამდნენ, საჭმელს კი ხურჯინში აწყობდნენ.

ბერიკა, წესისამებრ, მეზობელ სოფელშიც გადადიოდა. თუ გზაში ორი ბერიკა ამალითურთ ერთმანეთს შეეჩხებოდა, „ბრძოლა“ გარდაუვალი იყო. „დამარცხებულის“ სურსათ-სანოვავეს „გამარჯვებული“ დაეპატრონებოდა და გზას გაუდგებოდა. საბოლოოდ ქეიფი, დროსტარება და ლხინი იმართებოდა.

„ბერიკაობა“ ეწყობოდა გაზაფხულის პირზე თებერვლში — ყველიერში, ბუნების გამოცოცხლების დროს, ამიტომაც მისი წარმოშობა ნაყოფიერებისა და შვილიერების კულტს უკავშირდება.

დღეისათვის ასე გამოიყურება ჩვენ მიერ შესწავლილი რაჭის უძველესი ქორეოგრაფიული კულტურა. ვფიქრობთ, მომავალში ჩატარებული კვლევა-ძიება ფერხულებისა და სანახაობების ჯერ კიდევ შეუსწავლელ უძველეს ნიმუშებს გამოავლენს (ქვემოთ მოყვანილი რაჭული ფერხულები 1979 წლის ექსპედიციის მასალაა).

მალა მთას მოღვა


ფერხულში მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები.

საწყისი მდგომარეობა — მეფერხულენი დგებიან წრიულად, სახით ცენტრისაკენ.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ერთმანეთის მხრებზე ან ზურგს უკან ქამრებში ჩაჭიდებული.


მუსიკალური ზომა — 3/4.




სიმღერას იწყებს პირველი გუნდი, შემდეგ მეორე და, თორმეტტაქტიანი შესავლის შემდეგ,

ფერხული იწყებს სვლას.


პირველი ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეორე ტაქტი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვენის წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



მესამე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარცხენა მუხლის სახსარში მოიხრება, მარჯვენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს, ზეტანი მცირედ შებრუნდება მარცხნივ.




მეოთხე ტაქტი — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის იატაკზე ოდნავ დაკვრა.




(არსებობს სხვა ვარიანტიც: **მეოთხე** ტაქტზე მარცხენა ფეხი თავისუფლად დაიდგმება მარჯვენის უკან).

მეხუთე ტაქტი — მარცხენა ფეხი დაიდგმება მარცხნივ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადა-

დის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



მეექვსე ტაქტი — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ფეხის წვერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენის წინ და გასწვრივ. ერთდროულად ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარჯვნივ.



მომდევნო ტაქტიდან ფერხულის ფეხის მოძრაობათა კომპლექსი, ანუ საცეკვაო ფრაზა, იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად.

შენიშვნა: ხალხური გადმოცემის მიხედვით, ფერხული „მალა მთას მოდგა“ ძველად, „ზემყრე-ლოს“ მსგავსად, ორსართულიანი ყოფილა.

მალა მთას მოდგა უცხო ფრინველი,
უცხო ფრინველი — ბოლო წითელი,
ბოლო წითელი, თეთრი ფრთიანი,
თეთრი ფრთიანი ჟღელეს ჩამოდგა.
ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი,
დიდი ლაშქარი — ოსი და დვალი,
ოსი და დვალი, ფაიქომელი,
ფაიქომელი პირქველი ჩვენი.
შემორეოდეს ის ორნი ძმანი,
ის ორნი ძმანი ხატაველთანი.
ომი შეიქმნა ქალაქის კარსა,
ცისკრისა ჟამსა, გამთენიასა,
გათენებასა, მზის ამოსვლასა.
ელვა-ელვისა, ძგერა შუბისა,
შუბთა ნატეხი ზეცას ცვიოდა,
ზეცას ცვიოდა, ჩამოცვიოდა,
ჩამოცვიოდა მესამე დღესა...

მალა მთას მოღა

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა პ. ბერიშვილმა

გა, მად - ღა მთას
მად - ღა მთას მოღ - - - გა, მად - ღა მთას

მოღ - - - გა, მად - ღა მთას მოღ -
მოღ - - - გა, მად - ღა მთას მოღ -

გა, მად - ღა მთას მოღ - - - გა,
გა, მად - ღა მთას მოღ - - - გა,

მად - ღა მთას მოღ - - - გა უც - ხო ფრინ -
მად - ღა მთას მოღ - - - გა უც - ხო ფრინ -

ვე - - - - ლი,

II გუნდი

ვე - - - - ლი, უც - ხო ფრინ - ვე -

I გუნდი

ლი ბო - ლო - წი - თე - - - ლი,

I-II გუნდი

მელ-ლა მთას მოდ - გა, მელ - ლა მთას მოდ - გა,


ლიბოსა დასხდენ ვეზირნი

ფერხულში მონანილეობენ მამაკაცები და ქალები.

სანყისი მდგომარეობა — ნახევარწრედ, სახით ცენტრისაკენ დგომა (მსვლელობისას წრე შეიკვრება).

ფეხი — III პოზიცია.


ხელები — ხელკავი (მამაკაცს მარცხენა ხელი ხანჯალზე უდევს, მარჯვენა გაყრილია მარჯვნივ მდგომის მარცხენა მკლავში).




მუსიკალური ზომა — 3/4.

სიმღერას იწყებს ერთ-ერთი გუნდის მომღერალი, რომელსაც მესამე ტაქტიდან შეუერთდება ორივე გუნდი და, **რვატაქტიანი** მუსიკალური შესავლის შემდეგ, ფერხული იწყებს სვლას.


პირველი ტაქტის **პირველი მეოთხედი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



პირველი ტაქტის **მეორე მეოთხედი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვენის წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




პირველი ტაქტის **მესამე მეოთხედი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეორე ტაქტის პირველი ორი მერვედი – მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ფეხის წვერით თავისუფლად დაიდგმება მარჯვენის უკან. ერთდროულად ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარცხნივ.



მეორე ტაქტის მეორე მეოთხედი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ. სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



მეორე ტაქტის მესამე მეოთხედი – მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ფეხის წვერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენის უკან. ერთდროულად ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარჯვნივ (ქალები მოხრილი ფეხის წვერს დგამენ არა საყრდენი ფეხის უკან, არამედ ტერფის გვერდით).



მომდევნო ტაქტიდან ფერხულის საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად.

წესისამებრ, ფერხული დასაწყისში მოძრაობს ნელა, შემდეგ კი თანდათანობით ჩქარდება. „დიგორსა დასხდენ ვეზირნი“ რაჭაში „დიგორი და ბასიანის“ სახელითაც გვხვდება.

დიგორსა დასხდენ ვეზირნი,
ვეზირნი ბადელოვანი,
მათ გამორჩევა შეექნათ:
არჩიეს, გამოარჩიეს
საომრად კირტიშოვანი.
კირტიშოს რომ ჩამოვიდნენ,
გზანი დაუხვდათ წყლიანი —
წყლიანი, ქვიშნარიანი.
ავყაროთ ღებურთ ხიდები,
ვანგრიოთ ციხის კარები...

ღიგორსა დასხდან ვეზირნი

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა პ. ბერიშვილმა

ბა - - - სი -
 დი - გო - რი დი - გო - რი და ბა - - - სი -

ა - ნი,
 ა - ნი,
 ა - ნი,
 ა - ნი,

II გუნდი

ა - ნი, დი - გო - რი დი - გო - რი და ბა - სი - ა - ნი,
 ა - ნი, დი - გო - რი დი - გო - რი და ბა - სი - ა - ნი,

I გუნდი

დი - გორ - სა დი - გორ - სა დას - ხდენ ვე -
 დი - გორ - სა დი - გორ - სა დას - ხდენ ვე -

I გუნდი

II გუნდი

I-II გუნდი ერთად



ჟუჟუნა


ფეხის მოძრაობის მხრივ ფერხული ჟუჟუნას რამდენიმე ვარიანტი არსებობდა. ამათგან ჩვენ ჩავინერეთ სამი: პირველი — 1968 წელს სოფელ უნერაში (ეთნოფორი მატია სოლომონის ასული დვალიშვილი), მეორე — იმავე წელს სოფელ გლოლაში (თამარ მალაქიას ასული სულთანისვილი), მესამე — ონში (მურმან პარმენის ძე ბურდილაძე).

ჟუჟუნა — პირველი ვარიანტი

ფერხულში მონაწილეობდნენ მამაკაცები და ქალები. წესისამებრ, ფერხულის თავში ქალი იდგა. **საწყისი მდგომარეობა** – მეფერხულენი დგანან ნახევარწრიულად, გვერდიგვერდ — სახით ცენტრისაკენ.

ფეხი — III პოზიცია.

ხელები – ხელკავი (მამაკაცს მარცხენა ხელი ხანჯალზე უკიდია, მარჯვენა გაყრილია მარჯვნივ მდგომის მარცხენა მკლავში).



დასაწყისში ნახევარი წრე მოძრაობს მარჯვნივ, შემდეგ შუაზე გაიყოფა და სხვადასხვა მიმართულებით წავა. ბოლოს ისევ შეერთდება და წრის შეუკვრელად ისევ ნახევარწრედ მოძრაობს მარჯვნივ.

მუსიკალური ზომა — 3/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდის მომღერალი, მას **მესამე** ტაქტიდან უერთდება ორივე გუნდი, **ათი** ტაქტის შემდეგ სიმღერას მხოლოდ პირველი გუნდი აგრძელებს.


ფერხული მოძრაობს პირველი გუნდის **მესამე** ტაქტიდან.

ფერხული „ჟუჟუნა,“ ფეხის მოძრაობის მხრივ, ორნაწილიანია. პირველი შედარებით მარტივია, მეორე — რთული.


პირველი ნაწილი

პირველი გუნდის **პირველი-ორი** ტაქტი — ყოვნა.


მესამე ტაქტი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს.




მეოთხე ტაქტი – მარცხენა ფეხის მარჯვენასთან მიდგმა.



მეხუთე ტაქტი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, წინ დარჩენილი მარჯვენა ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეექვსე ტაქტი – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან მიდგმა.




მეშვიდე და მერვე ტაქტი – **მესამე** და **მეოთხე** ტაქტის მოძრაობა.


მეორე გუნდის პირველი ტაქტი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეორე ტაქტი – მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ფეხის წვერით მარჯვენის ქუსლთან თავისუფლად დადგმა.




მესამე ტაქტი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეოთხე ტაქტი – მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ფეხის წვერით მარცხენის ქუსლთან თავისუფლად დადგმა.



მეხუთე ტაქტი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. წინ დარჩენილი მარჯვენა ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეექვსე ტაქტი – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან მიდგმა.




მეორე ნაწილი


პირველი გუნდის პირველი ტაქტი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეორე ტაქტი – მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ფეხის წვერით მარჯვენის ქუსლთან თავისუფლად დადგმა.




მესამე ტაქტი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეოთხე ტაქტი – მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ფეხის წვერით მარცხენის ქუსლთან თავისუფლად დადგმა.



მეხუთე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



მეექვსე ტაქტი – მარცხენა ფეხის მარჯვენასთან მიდგმა.



ბოლო საცეკვაო ფრაზა — პირველი გუნდის პირველი ექვსი ტაქტი — შეიძლება მრავალჯერ გამეორდეს.

ჟუჟუნა — მეორე ვარიანტი

ფერხულში მონაწილეობენ ქალები და მამაკაცები.

სანყისი მდგომარეობა – მეფერხულეთა ნახევარწრედ სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.

თავში მდგომი სამი მოცეკვავე-მომღერალი (ორი ქალი და ერთი მამაკაცი) შებრუნებულია სახით მოძრაობის მიმართულებით.

ხელები – ფერხულის თავში მდგარი მეფერხულენი ხელჩაკიდებულნი, დანარჩენები — ხელგაყრილები (ხელკავით).

მუსიკალური ზომა — 3/4.




ფერხული ორნამენტიანია.


პირველი ნაწილი — პირველი, მეორე და მესამე შემსრულებელი:

პირველი ორი ტაქტი — ყოვნა.

მესამე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეოთხე ტაქტი — მარცხენა ფეხის ტერფზე სრიალით მარჯვენასთან მიდგმა.




მეხუთე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ (პირველი ტაქტი).


მეექვსე ტაქტი — მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ფეხის წვერით თავისუფლად დაიდგმება მარჯვენის ქუსლთან.



მეშვიდე ტაქტი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა მთელი ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.




მერვე ტაქტი — მარჯვენა ფეხის მთელ ტერფზე სრიალით მარცხენასთან მიდგმა.




დანარჩენნი — ქალ-ვაჟთა ნახევარი წრე — შემდეგნაირად მოძრაობს:


მესამე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეოთხე ტაქტი — მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე სრიალით მარჯვენასთან მიდგმა.



მეხუთე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა მთელი ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.



მევესე ტაქტი — მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე სრიალით მარჯვენასთან მიდგმა და ა.შ.



ასეთი სვლით ნახევარი წრე თანდათანობით შეიკვრება და იწყება „ჟუჟუნას“ მეორე ნანილი.

მეორე ნანილი — ხელიხელჩაკიდებული მეფერხულენი დგანან სახით ცენტრისკენ. ფეხის მოძრაობა ფერხულის — „დიგორსა დასხდენ ვეზირნი“ — ანალოგიურია, ამიტომ საჭიროდ არ მიგვაჩნია მისი განმეორებით აღწერა.

ჟუჟუნა — მესამე ვარიანტი

საწყისი მდგომარეობა — ქალ-ვაჟთა ორი მწკრივი დგას ერთმანეთის პირისპირ. თავში მდგომი ქალ-ვაჟთა წყვილები შებრუნებულია სახით მოძრაობის მიმართულებით, დანარჩენები — მეოთხედით მარჯვნივ. ვაჟებს ხელები ხანჯალზე უკიდიათ, ქალებს კი მათთვის ხელკავი აქვთ გაკეთებული.


არსებობს **ხელების** მდგომარეობის მეორე ვარიანტიც: თუ მეფერხულეთა შორის მამაკაცები ჭარბობს, მამაკაცებს ხელები ერთმანეთის ქამრებში აქვთ ჩაჭიდებული, მათ შორის ჩამდგარი ქალები კი ხელიხელჩაკიდებულნი დგანან.

ფეხი — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 3/4.

შენიშვნა: ფერხული შეიძლება ორის ნაცვლად ოთხმწკრივიანი იყოს.


ფეხის მოძრაობის მხრივ ფერხული ორნანილიანია.




პირველი ნანილი

ფერხული მოძრაობს **მესამე** ტაქტიდან.


მესამე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეოთხე ტაქტი — მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად დაიდგმება მარჯვენის ტერფთან.



მეხუთე ტაქტი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეექვსე ტაქტი — მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი ერგცერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენის ტერფთან და ა.შ.




მეორე ნაწილი

ერთ-ერთი წინამძღოლი ქალი გამოეყოფა მწკრივს და დადგება ცენტრში, დანარჩენები განაგრძობენ სვლას.


პირველი ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეორე ტაქტი — მარცხენა ფეხი მარჯვენის წინ და მარჯვნივ (ჭდობა). ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მესამე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს.




მეოთხე ტაქტი — მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად დაიდგმება მარჯვენის ტერფთან (გვერდით ან უკან).




მეხუთე ტაქტი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეექვსე ტაქტი — მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი ერგცერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენის ტერფთან (გვერდით ან უკან).



მეშვიდე ტაქტი — მარჯვენა ფეხი ტერფის წინა ნაწილზე სრიალით მოძრაობს უკან, მარცხენა — წინ.



მერვე ტაქტი — ტერფის წინა ნაწილზე სრიალით ფეხები შეიცვლის მდგომარეობას: უკან გასრიალდება მარცხენა, წინ — მარჯვენა და პირიქით.



ფერხულის ორივე ნაწილში მეფერხულენი წრეხაზზე მოძრაობენ ცალ-ცალკე — ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით (ყოველი შეხვედრისას ერთი ჯგუფი მეორეს წინ გაუვლის).

მეორე ნაწილში ცენტრში მდგომი ქალი — ჟუჟუნა — ზემოაღწერილ საფერხულო მოძრაობებს ასრულებს ადგილზე ან მცირე გადაადგილებით.

ფინალში მეფერხულეთა ჯგუფები ისევ პირველ ნაწილს უბრუნდებიან — შეერთდებიან და ნახევარწრიულად ამთავრებენ ფერხულს.

ქუქუნა

ზომიერად
I გუნდი

ჩაიწერა პ. ბერიშვილმა

ქა - - - ლო, შუ - შუ - ნა და შუ - შუ -

ნა - ო თვალ - შუ - შუ - ნა ქა - - - ლო,
ნა - ო თვალ - შუ - შუ - ნა ქა - - - ლო,

II გუნდი

ქა - - - ლო,
ქა - - - ლო,

შუ - შუ - ნა და შუ - შუ - ნა - ო თვალ - შუ -
შუ - შუ - ნა და შუ - შუ - ნა - ო თვალ - შუ -

I გუნდი

ქა - - - ლო, მაღ - ლობ - ზე გად -

ქა - - - ლო, მაღ - ლობ - ზე გად -

ქა - - - ლო, მაღ - ლობ - ზე გად -

ქა - - - ლო, მაღ - ლობ - ზე გად -

I გუნდი

მომ - დგა - რი - ყო თვალ - ქუ - ქუ - ნა

მომ - დგა - რი - ყო თვალ - ქუ - ქუ - ნა

მომ - დგა - რი - ყო თვალ - ქუ - ქუ - ნა

მომ - დგა - რი - ყო თვალ - ქუ - ქუ - ნა

I გუნდი

ქა - - - ლო, ქა - - - ლო,

ქა - - - ლო, ქა - - - ლო,

ქა - - - ლო, ქა - - - ლო,

ქა - - - ლო, ქა - - - ლო,

II გუნდი

ქა - - - ლო, მაღ - ლობ - ზე გად - მომ - დგა -

ქა - - - ლო, მაღ - ლობ - ზე გად - მომ - დგა -

ქა - - - ლო, მაღ - ლობ - ზე გად - მომ - დგა -

ქა - - - ლო, მაღ - ლობ - ზე გად - მომ - დგა -

I-II გუნდი ერთად

ჟუჟუნა და ჟუჟუნაო, თვალჟუჟუნა ქალო,
 მალღობზე გადმომდგარიყო, თვალჟუჟუნა ქალო,
 თვალჟუჟუნ თეთრი ქალია, თვალჟუჟუნა ქალო,
 ხელსა გიქნევ და აქ მოდი, თვალჟუჟუნა ქალო.
 შინ არა ჩემი ქმარიო, თვალჟუჟუნა ქალო,
 სად წასულა შენი ქმარი, თვალჟუჟუნა ქალო,
 წასულა ციხის საშალსა, თვალჟუჟუნა ქალო,
 რას მოგიტანს იქიდანო, თვალჟუჟუნა ქალო.
 ქამარს წელზე შემოვირტყამ, თვალჟუჟუნა ქალო,
 მახარობელი მოვიდა, თვალჟუჟუნა ქალო,
 ქალო, მოგიკვდა ქმარიო, თვალჟუჟუნა ქალო,
 სამახარობლო გაიღე, თვალჟუჟუნა ქალო,
 თავთეთრი ნიშა ხარიო, თვალჟუჟუნა ქალო...


ქალსა ვისმე

ფერხულს ასრულებენ მამაკაცები და ქალები.

საწყისი მდგომარეობა — წრიულად ერთმანეთის გვერდით — სახით ცენტრისკენ დგომა.

ფეხი — III პოზიცია.


ხელები — ერთმანეთის მხრებზე.




მუსიკალური ზომა — 2/4.

სიმღერის **პირველ** ტაქტს მღერის დამწყები. ფერხული სვლას იწყებს **მეორე** ტაქტიდან.


ტაქტის **პირველი ნახევარი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




ტაქტის **მეორე ნახევარი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვენა ფეხის წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მესამე ტაქტის **პირველი ნახევარი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში; მარჯვენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს, ზეტანი მცირედ შებრუნდება მარცხნივ.




მესამე ტაქტის მეორე ნახევარი – მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და გაიქნევა წინ — ჰაერში. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის ოდნავ დაკვრა.



მეოთხე ტაქტის პირველი ნახევარი — მარცხენა ფეხი დაიდგმება მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



მეოთხე ტაქტის მეორე ნახევარი — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და წვერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენის უკან. ერთდროულად ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარჯვნივ.



მომღევნო ტაქტიდან ფეხის მოძრაობათა კომპლექსი, ანუ საცეკვაო ფრაზა, იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად.

ქალსა ვისმე, ქალსა ვისმე ერქვა შუშანაო,
 ხუთსავ თითზე, ხუთსავ თითზე ეცვა ბეჭედიო,
 ბეჭდის თვალსა, ბეჭდის თვალსა მოლი მოსულაო,
 მოლთა შუა, მოლთა შუა ნაძვი ასულაო.
 ნაძვის წვერსა, ნაძვის წვერსა ქორს ბუდე ქონდაო,
 ბუდე იყო, ბუდე იყო — აბრეშუმისაო,
 კვერცხი იღვა, კვერცხი იღვა — იაგუნდისაო,
 გამოტეხა, გამოტეხა სავსალიკისაო.
 ღმერთო, ერთი, ღმერთო, ერთი ჩემთვის გაზარდეო,
 გაზარდე და გამოზარდე, კარგად მიმყოფეო...

ქალსა ვისამ

ჩაიწერა ო. ჩიჯავაძემ
(სოფ. კომი 1954 წ.)

ზომიერად

I გუნდი

I-II გუნდი

ad libitum

ქალ - სა ვის-მე, ერ - ქვა შუ-შა - ნა - ო,

ქალ - სა ვის-მე, ერ - ქვა შუ-შა - ნა - ო,

II გუნდი

I-II გუნდი

ქალ - სა ვის-მე, ქალ - სა ვის-მე, ერ - ქვა შუ-შა - ნა - ო,

ქალ - სა ვის-მე, ქალ - სა ვის-მე, ერ - ქვა შუ-შა - ნა - ო,

I გუნდი

I-II გუნდი

შუ - ა თით-სა, შუ - ა თით-სა, ეც - ვა ბე-ჭე - დი - ო,

შუ - ა თით-სა, შუ - ა თით-სა, ეც - ვა ბე-ჭე - დი - ო,


II გუნდი

შუ - ა თით-სა, შუ - ა თით-სა, ეც - ვა ბე-ჭე - დი - ო.

შუ - ა თით-სა, შუ - ა თით-სა, ეც - ვა ბე-ჭე - დი - ო.

ამირანის ფერხული

ამირანის ფერხულის ფეხის მოძრაობა ფერხულის — „მაღლა მთას მოდგა“ — ანალოგიურია, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნით მისი აღწერა.
ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.



საწყისი მდგომარეობა — მეფერხულენი დგანან წრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისკენ.


ფეხი — III პოზიცია.

ხელები — მხრებზე ან ერთმანეთის ზურგს უკან ქამრებში ჩაჭიდებული.


მუსიკალური ზომა — 4/4.

პირველ ტაქტს მღერის დამწყები, ფერხული სვლას იწყებს **მეორე** ტაქტიდან.


მეორე ტაქტის **პირველი ნახევარი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეორე ტაქტის **მეორე ნახევარი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვენის წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მესამე ტაქტის **პირველი ნახევარი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში. მარჯვენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს და ზეტანი მცირედ შებრუნდება მარცხნივ.




მესამე ტაქტის მეორე ნახევარი — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის ოდნავ დაკვრა.



მეოთხე ტაქტის პირველი ნახევარი — მარცხენა ფეხი დაიდგმება მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



მეოთხე ტაქტის მეორე ნახევარი — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ფეხის წვერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარჯვნივ.



მომღევნო ტაქტიდან ფეხის მოძრაობათა კომპლექსი იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად. ფერხულების — მალლა მთას მოდგა და ამირანი — ანალოგიური ფეხის მოძრაობები ახასიათებთ ფერხულებს ერთხელ წისქვილს წასვლისათვის, ქვედრულა მოდიდებულა და შავლეგო.

აპირანო

ზომიერად

ჩაიწერა ო. ჩიჯავაძემ
(სოფ. უწერა, 1954 წ.)

I გუნდი

II გუნდი

ემა - ნი მი - სი, ა - მი-რან და ემა - ნი მი - სი,
 ა - მი - რან და ემა - ნი მი - სი, ა - მი-რან და ემა - ნი მი - სი,
 ა - მი - რან და ემა - ნი მი - სი, ა - მი-რან და ემა - ნი მი - სი,

I გუნდი

II გუნდი

სა - ნა-დი - როდ წა - სუ-ლი-ყვანენ, სა - ნა-დი - როდ წა - სუ-ლი-ყვანენ,
 სა - ნა-დი - როდ წა - სუ-ლი-ყვანენ, სა - ნა-დი - როდ წა - სუ-ლი-ყვანენ,
 სა - ნა-დი - როდ წა - სუ-ლი-ყვანენ, სა - ნა-დი - როდ წა - სუ-ლი-ყვანენ,

Allegro

I გუნდი

II გუნდი

წინ ი-რე - მი შე - მო-ჰყრო - დათ, წინ ი-რე - მი შე - მო-ჰყრო - დათ,
 წინ ი-რე - მი შე - მო-ჰყრო - დათ, წინ ი-რე - მი შე - მო-ჰყრო - დათ,
 წინ ი-რე - მი შე - მო-ჰყრო - დათ, წინ ი-რე - მი შე - მო-ჰყრო - დათ,

a tempo

I გუნდი

II გუნდი

ა - მი-რან და ემა - ნი მი - სი, ა - მი-რან და ემა - ნი მი - სი.
 ა - მი-რან და ემა - ნი მი - სი, ა - მი-რან და ემა - ნი მი - სი.
 ა - მი-რან და ემა - ნი მი - სი, ა - მი-რან და ემა - ნი მი - სი.

ამირან და ყმანი მისი
 სანადიროდ წასულიყვნენ,
 წინ ირემი შემოჰყროდათ,
 ოქრო ქონდა რქანი მისი.
 დაუჩოქა და ესროლა,
 არ გავარდა ცვარი სისხლი.
 დღე ვდიე და ღამე ვდექი,
 არ დავკარგე კვალი მისი,
 ამიძღვა და იქ ჩამიძღვა
 ბალხეთ მინდორ ქვეყანასა.
 ბალხეთ მინდორს კოშკი იდგა
 აგებული აგურისა,

სამჯერ გარს შემოუარე,
 ვერა ვნახე კარი მისი,
 სადაც ამირან წიხლი ჰკრა,
 იქ ჩაალო კარი მისა,
 კარებს უკან კუბო იდგა,
 კუბოშია მკვდარი ინვა,
 ჩვენ გვეგონა სამი წლისა,
 თურმე იყო სამი დღისა.
 თითებს შუა წიგნი ჰქონდა
 დანაწერი დავითისა,
 ვინც იმასა წაიკითხავს,
 იმას მივცემ თამარ ქალსა.


თამარ ქალი

ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.

საწყისი მდგომარეობა — ერთმანეთის გვერდით ნახევარწრედ — სახით ცენტრისკენ დგომა.


ფეხი — III პოზიცია.

ხელები — ხელჩაკიდებული და ქვედაშეკეობული.




მუსიკალური ზომა — 3/4.


პირველი ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეორე ტაქტი — მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ფეხის წვერით თავისუფლად დაიდგმება მარჯვენის უკან. ერთდროულად ზეტანი შებრუნდება ოდნავ მარჯვნივ.




მესამე ტაქტი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. წინ დარჩენილი მარჯვენა ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეოთხე ტაქტი — მარჯვენა ფეხის მარცხენასთან მიდგმა.



მეხუთე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მექვსე ტაქტი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვენა ფეხის წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეშვიდე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის


მარჯვენაზე. მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში. მარჯვენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს და ზეტანი მცირედ შებრუნდება მარცხნივ.




მერვე ტაქტი — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის ოდნავ დაკვრა



მეცხრე ტაქტი — მარცხენა ფეხი ერგცერით შეეხება იატაკს და სრიალით მოძრაობს უკან. ერთდროულად ერგცერზე სრიალით მოძრაობს წინ მარჯვენაც, შემდეგ ოდნავ აიწევა ზევით.




მეათე ტაქტი — ფეხები ერგცერზე სრიალით შეიცვლის მდგომარეობას (წინ — მარცხენა).




მომდევნო ათი ტაქტი:


პირველი ტაქტი — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვენის გვერდით.




მეორე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მესამე ტაქტი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვენა ფეხის წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეოთხე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში. მარჯვენა ფეხის ქუსლი მცირედ მოშორდება იატაკს, ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარცხნივ.



მეხუთე ტაქტი — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და წინ — ჰაერში გაქნევა. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი და ქუსლის ოდნავ დაკვრა.




მეექვსე ტაქტი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მეშვიდე ტაქტი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.




მერვე ტაქტი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



მეცხრე ტაქტი — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ფეხის წვერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენის ქუსლთან.



მეათე ტაქტი — მარჯვენა ფეხის ტერფის დაკვრით მარცხენის გვერდით დადგმა.



შემდეგ ფერხულის საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან და მეორდება განუსაზღვრელად.

საცეკვაო ფრაზის შესრულებისას ჩაკიდებული და ქვედაშვებული ხელები ოთხჯერ იცვლიან მდგომარეობას:

პირველი ათი ტაქტის **პირველი** ტაქტი — ჩაკიდებული ხელები გადაინაცვლებს წინ;

მესამე ტაქტი — მოძრაობს უკან;

მეცხრე და **მეათე** ტაქტი — აიწევა ზევით (ფეხების გასმისებური მოძრაობისას);

მეორე ათი ტაქტის **მეხუთე** ტაქტი — (მარცხენა ფეხის გაქნევისას — საფერხულო ჩაკვრისას) ხელები აიწევა ზევით და მოიხრება იდაყვში (კომპურა მდგომარეობა).

დანარჩენ ტაქტებზე ხელები ქვედაშვებულია.

წაიყვანეს თამარ ქალი, ოჰო ლელიე ლევდა, თამრო,
შესვეს ტორიქსა ცხენზედა, ლელიე ლევდა, თამრო,
რა ცხენსა თამრო შეჯდება, ლელიე ლევდა, თამრო,
იმ ცხენის ბედის წერასა, ლელიე ლევდა, თამრო!
ზევით ზურგისა ძვალზედა, ლელიე ლევდა, თამრო,
ზედ ბებერო დააჩნდება, ლელიე ლევდა, თამრო,
ქვეშით ფეხისა ფოლზედა, ლელიე ლევდა, თამრო,
ზედ ნალი მოაცვდებოდა, ლელიე ლევდა, თამრო...

თამარ ქალი

ზომიერად

I გუნდი

ჩაიწერა პ. პერიშვილმა

Musical score for the first system, featuring three staves (treble, alto, and bass clefs) in a 3/4 time signature with a key signature of three sharps (F#, C#, G#). The lyrics are:
 Top staff: თა - მარ ქა - ლი ო - ჰო
 Middle staff: წა - ი - ევა - ნეს თა - მარ ქა - ლი ო - ჰო
 Bottom staff: (Instrumental accompaniment)

Musical score for the second system, continuing the three-staff format. The lyrics are:
 Top staff: ლე - - - ლი - ე ლევ და თა - მა - რო,
 Middle staff: ლე - - - ლი - ე ლევ და თა - მა - რო,
 Bottom staff: (Instrumental accompaniment)

II გუნდი

Musical score for the third system, featuring three staves. The lyrics are:
 Top staff: წა - ი - ევა - ნეს თა - მარ ქა - ლი ო - ჰო
 Middle staff: წა - ი - ევა - ნეს თა - მარ ქა - ლი ო - ჰო
 Bottom staff: (Instrumental accompaniment)

I გუნდი

Musical score for the fourth system, continuing the three-staff format. The lyrics are:
 Top staff: ლე - - - ლი - ე ლევ და თა - მა - რო,
 Middle staff: ლე - - - ლი - ე ლევ და თა - მა - რო,
 Bottom staff: (Instrumental accompaniment)

I გუნდი

შეს - ვეს ტო - რაკ - სა ცხენ - ზე - და, ო - ჰო

ლე - - - ლი - ე ლევ და თა - მა - რო,

II გუნდი

შეს - ვეს ტო - რაკ - სა ცხენ - ზე - და, ო - ჰო

I-II გუნდი

ლე - ლი - ე ლევ და თა - მა რო, წა - ი -

42

ყვა - ნებს თა - მარ ქა - ლო ო - ჰო ლე - -

ყვა - ნებს თა - მარ ქა - ლო ო - ჰო ლე - -

47

ლო - ე ლეგ ღა თა - მა - რო,

ლო - ე ლეგ ღა თა - მა - რო,



ოსიე

ოსიეს ტექნოლოგიური მასალა ფერხულის — „დიგორსა დასხდენ ვეზირნი“ — იდენტურია, ამიტომ მისი განმეორებით აღწერა საჭიროდ არ მიგვაჩნია.

აქაც მეფერხულენი ქალ-ვაჟნი არიან.

ფეხების მოძრაობის მხრივ ასევე ერთმანეთის მსგავსია ფერხულები — „ქალსა ვისმე“ და „ერთხელ წისქვილს წასვლისათვის.“

ოსიე

ნაწერა გრიგოლ ხხიკვაძემ

ზომიერად

I გუნდი

Musical score for the first system of 'ოსიე'. It features three staves: two treble clefs and one bass clef. The key signature has four sharps (F#, C#, G#, D#) and the time signature is 3/4. The lyrics are: და ქვე - - - - -
როს იმ - ძრა მთა და ქვე - - - - -

Musical score for the second system of 'ოსიე'. It features three staves: two treble clefs and one bass clef. The key signature has four sharps (F#, C#, G#, D#) and the time signature is 3/4. The lyrics are: ვა - ნა ო - - - - - სი - ე ო - - - - -
ვა - ნა ო - - - - - სი - ე ო - - - - -

II გუნდი

Musical score for the third system of 'ოსიე'. It features three staves: two treble clefs and one bass clef. The key signature has four sharps (F#, C#, G#, D#) and the time signature is 3/4. The lyrics are: სი - ე სხლის ღვა - - - - -
სი - ე *f* დი - ო - და სი - სხლის ღვა - - - - -

რი - ა ე - - - - სო - ე ე - - -

I გუნდი

დამთავრება

სო - ე და - ინ - ძრა დო - - - სო - ე

როს იმძრა ცა და ქვეყანა, ოსიე,
 ლვიოდა მთა და ბარია, ოსიე,
 აიძრა დიდი სულთანი, ოსიე,
 პატარა ტანოვანია, ოსიე.
 ზედასა კარსა მოადგა, ოსიე,
 დიდი სვანისა ჯარია, ოსიე,
 ქვედასა კარსა გარ გადგა, ოსიე,
 შავი სისხლისა ღვარია, ოსიე.
 გასჭერი, ხელო და ხმალო, ოსიე,
 გულო, ნუ შეგვიშინდები, ოსიე,
 სისხლისა ნატალახავსა, ოსიე,
 ფეხო, ნუ მოგვიცურდები, ოსიე!..

ერთხელ ნისკვილს ნასვლისათვის

ჩაწერა პავლე ბერიშვილმა

ზომიერად
I გუნდი

ვა-სვლი - სა-თვის ძლი - ერ
ერ - თხელ და წის-ქვილს
ვა-სვლი - სა-თვის ძლი - ერ

მო - ვირ - თე - - - ო,
მო - ვირ - თე - - - ო,

II გუნდი

თე - - - ო,
ერ - თხელ
თე - - - ო,
ერ - თხელ

II გუნდი

წის-ქვილს
ვა-სვლი - სა-თვის ძლი - ერ მო - ვირ -
წის-ქვილს
ვა-სვლი - სა-თვის ძლი - ერ მო - ვირ -

I გუნდი

თე - - - - - ო, მაც - რე - ბი ცა - მო - ხიხ -

თე - - - - - ო,

I გუნდი

ქიხ - დეს, გა - - - - - მე - ხარ - და

მე - ო,

II გუნდი

მე - ო, მაც - რე - ბი ცა - მო - ხიხ - ქიხ - დეს,

| გამეორება | | | | დაბოლოება | | | |
|-----------|--|------|---|-----------|--|--|--|
| | | | | | | | |
| | | მე - | ო | | | | |
| | | | | | | | |
| | | მე - | ო | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

| | | | | | | | |
|------------------|------|----|--|----------|----------|------|----|
| | | | | | | | |
| გა - მე - ხარ-და | მე - | ო. | | ძლი - ერ | მო-ვირ - | თე - | ო. |
| | | | | | | | |
| გა - მე - ხარ-და | მე - | ო. | | ძლი - ერ | მო-ვირ - | თე - | ო. |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

ერთხელ წისქვილს წასვლისათვის ძლიერ მოვირთეო,
 მოვირთე და მოვიკაზმე, ძლიერ მოვირთეო,
 ფერუმარილი შევიცხე, წარბი ვინერეო,
 მაყრები ჩამოჩიჩქინდეს გამეხარა მეო.
 ერთსა უკეთეს მაყარსა ხელი მოვხვიეო,
 თოფ-იარაღი ავყარე, ჩემ ქმარს დავკიდეო,
 მამაძაღლო ჩემო ქმარო, გაგაჩერქეზეო,
 საყდრისკენ რომ წამიყვანეს, ფეხს მოვუჩქარეო,
 სახლისკენ რომ წამოვედით, ღმერთი ვახსენეო,
 დედამთილი მომეგება, წვერით გავცალეო,
 მისი წვერის განაცალი თავში ვახალეო,
 წავიდა ბუტუნბუტუნით — არ გაიხარეო.
 მზარეულსა ხორცი ვთხოვე, არ მაჭამა მეო,
 ცეცხლზე წყალი წამოუსხი, ეხლა მოხარშეო...

რამოვდა

ზომიერად

I გუნდი

ჩაიწერა პ. ბერიშვილმა

რა - შოვ - და დე - ლი ო - დე - ლი ო - დე - ლა რა - შოვ - და,

II გუნდი

რა - შოვ - და დე - ლი ო - დე - ლი ო - დე - ლა

რა - შოვ - და დე - ლი ო - დე - ლი ო - დე - ლა

I გუნდი

რა - შოვ - და, რა - შოვ - და ჩა - მო - ვი - ა - რე სე - ვა - ო

რა - შოვ - და, რა - შოვ - და ჩა - მო - ვი - ა - რე სე - ვა - ო

II გუნდი

რა - შოგ - და, რა - შოგ - და, ჩა - მო - ვი - ა - რე სე - ვა - ო

რა - შოგ - და, რა - შოგ - და, ჩა - მო - ვი - ა - რე სე - ვა - ო

I გუნდი

რა - შოგ - და, რა - შოგ - და, გვერდ-ზე და - ვი - წყე წე - ვა - ო

რა - შოგ - და, რა - შოგ - და, გვერდ-ზე და - ვი - წყე წე - ვა - ო

II გუნდი

რა - შოგ - და, რა - შოგ - და, გვერდ-ზე და - ვი - წყე წე - ვა - ო

რა - შოგ - და, რა - შოგ - და, გვერდ-ზე და - ვი - წყე წე - ვა - ო

I-II გუნდი

რა - შოგ - და, რა - შოგ - და, დე - ლი ო - დე - ლი ო - დე - ლა


რა - შოგ - და, რა - შოგ - და, დე - ლი ო - დე - ლი ო - დე - ლა

რა - შოვ - და ო!

რა - შოვ - და ო!

რა - შოვ - და ო!

რაშოვდა, დელი ო დელი ო დელა, რაშოვდა,
 რაშოვდა, ჩამოვიარე სევაო, რაშოვდა,
 რაშოვდა, გვერდზე დავინყე ნევაო, რაშოვდა,
 რაშოვდა, გოგოები იძახოდნენ, რაშოვდა,
 რაშოვდა, ნეტა ვის სახლში შევაო, რაშოვდა...
 რაშოვდა, დელი ო დელი ო დელა, რაშოვდა, ო...



ქართული ტექსტების
მიმოხილვა

ქართული

ქართული ხალხური შემოქმედების მშენებელი — ცეკვა **ქართული** — ქალ-ვაჟის სიყვარულს, მათს განცდებს, სათუთ გრძნობებსა და რაინდულ სულს გამოხატავს. „ეს ცეკვა სატრფიალო პოემაა, შეჯიბრი სილამაზეში, მოქნილობასა და მოსაზრება-მიხვედრილობაში“ (დავით ჯავრიშვილი).

ცეკვა „ქართული“ ქართველი ერის ბუნების, ხასიათის, ტემპერამენტის, თავისებურებების, შრომისა და ყოფის პირდაპირი ანარეკლია — მოზღვავებული გრძნობებით, კეთილშობილებით, თავშეკავებითა და მოკრძალებით.

მაქსიმ გორკიმ 1901 წელს საქართველოში ყოფნისას, ერთ-ერთ წვეულებაზე ცეკვა „ქართულის“ ნახვის შემდეგ, ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვა: „მე ვსვამ იმ ერის სადღეგრძელოს, რომელმაც ასეთი ლამაზი ცეკვა შექმნა თავისდა საამაყოდ“ (ალექსი ალექსიძე).

ცეკვა „ქართული“ მრავალი თაობის მიერ იქმნებოდა, საუკუნეობით იხვეწებოდა და ცეკვის ზოგადქართულ სახედ იქცა — ერთადერთი ხალხური ცეკვაა კუთხურობის ნიშნის გარეშე.

მრავალჯერ დასმულა და დღესაც ისმის კითხვა: რატომ ეწოდება ქალ-ვაჟის ამ ცეკვას **ლეკური**?

ილია ზურაბიშვილი ნარკვევში „ხალხის შემოქმედი გენია“ (1949 წ.) აღნიშნავს: „ლეკებსა და სხვა მთიელ ტომებთან უძველესი დროიდან ქართველების ურთიერთობის მიუხედავად, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ცეკვა „ლეკური“ ნახსენები არ არის, სულხანი ლეკურს მხოლოდ ხმალს უწოდებს.“

ძველ ქართულ ლიტერატურულ, ისტორიულ თუ სამეცნიერო წყაროებში ცეკვების დასახელებიდან გვხვდება **როკვა, ცეკვა, სამა, შუშპრობა, ბასტი, ბუბუ, კოჭა, გოგმანი...** მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ, XVII საუკუნემდე ან საბას დროს, „ლეკური“ არ არსებობდა. ეს ცეკვა, უეჭველია, მანამდეც იყო სხვა სახელწოდებით, მაგრამ ამის დამადასტურებელი მასალები დღემდე არ მოგვეპოვება. **ქართულსა** და ლეკთა **ლეკურს** შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ მათი ურთიერთდაკავშირება შეუძლებელია: ლეკთა „ლეკური“ ვაჟთა ცეკვაა, ვაჟთა შორის შეჯიბრება, შემსრულებელთა ტექნიკურ უპირატესობათა გამომჟღავნება. ქართული „ლეკური“ ქალ-ვაჟთა ცეკვაა, ქალ-ვაჟის ტრფიალი, ქალის პატივისცემისა და თაყვანისცემის აპოთეოზი.

ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს:

XIX საუკუნეში რუსეთიდან სამხედროები, ჩინოვნიკები, მოხელეები, მეცნიერები, მოგზაურები ჩრდილო კავკასიაზე გამოვლით ჩამოდიოდნენ საქართველოში. ცხადია, ისინი თავდაპირველად ეცნობოდნენ ჩრდილოკავკასიელებს, მათს ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს (მათ შორის ცეკვებს), შემდეგ — ქართველებისას. რუსებმა ლეკთა ცეკვას თავიდანვე **ლეზგინკა** უწოდეს.

ვინაიდან კავკასიელებს ერთნაირი გეოგრაფიულ-კლიმატური და საყოფაცხოვრებო პირობები, თითქმის ერთნაირი ჩაცმულობა და ტემპერამენტი ჰქონდათ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ უცხო თვალი მათ ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდა, განსაკუთრებით ეს ეხება ცეკვებს. მათთვის ლეკთა „ლეკური“ და სხვა კუთხის, მათ შორის ქართველების ცეკვები, ერთი და იგივე იყო. ამიტომ ტერმინი „ლევგინკა“ ზოგად სახელწოდებად იქცა. ლეკების ცეკვას ეწოდა „ლევგინკა“, დანარჩენს — „Наурская лезгинка“, „Аварская лезгинка“, „Осетинская лезгинка“, „Грузинская лезгинка“ და ა.შ.

ზემოთქმულს ადასტურებს ეთნოგრაფიულ-ქორეოგრაფიული ანსამბლის — „კავკასიის მთის არწივების“ — აფიშა (ხელმძღვანელი ვ. გ. დარიალოვი – ბენიადე) სხვადასხვა გაზეთიდან ამონარიდებით:

„Проходят ряд лезгинок разных народностей Кавказа. Легкость и изящество Чеченской лезгинки сменяется прелестью Наурской и т. д. („Харковский пролетарии“, пятница, 2/IX 1929 г. 175, „Горные орлы Кавказа“).

„...Была показана лезгинка в передаче народностей Кавказа.“ („Красное знамя“, г. Краснодар, „Гастроли Кавказкого ансамбля“).

„Широко культивируется лезгинка. Однако, если мы до сих пор знали одну лезгинку, то гастроллирующий ансамбль показывает их множество. У них столько лезгинок, столько танцующих пар, демонстрирующих различные ответвления етого танца (Грузинская, Чеченская, Осетинская и т. д.). „Вечерные Известия“, Одесса, 1930 г. 9/I, 1252.“

ამდენად, ამიერ და იმიერკავკასიის ყოველი კუთხის ცეკვა „ლეკურია“ და ამით უფრო დასტურდება ტერმინ „ლეკურის“ უმართებულოდ ხმარება.

ქართულ ლეკურს (Грузинская лезгинка) დიდხანს უმართებულოდ ხმარობდნენ. მას დროთა

განმავლობაში **ქართული** ჩამოშორდა და მხოლოდ **ლეკური** დარჩა. ბოლო დროს „ლეკური“ „ქართულით“ შეიცვალა. მაგრამ მის შინაარსს სრულად ვერც ეს სახელი იტევს: საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, საყოფაცხოვრებო პირობების მიხედვით, საკუთარი დამახასიათებელი ცეკვები აქვთ, ზოგიერთი იმდენად ორიგინალური და თავისებურია, რომ სავსებით განსხვავდება სხვა კუთხის ცეკვებისაგან. მაგრამ განა საქართველოს თითოეულ კუთხეში შექმნილი და დღეისათვის განვითარების უმაღლეს საფეხურზე აყვანილი ეს ცეკვები ქართული არ არის?

რატომ უნდა ეწოდოს ქალ-ვაჟის მხოლოდ ამ ცეკვას ქართული? სრულყოფისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა, „ქართულს“ დაემატოს რაიმე განსაზღვრება: „წყვილად ცეკვა ქართული“, „ქართული სატრფიალო“, „ქართული საქორწილო“ ან სხვა.

კახეთში დღესაც ქალ-ვაჟის ცეკვას **ცეკოს** უწოდებენ. აჭარაში არსებობს გამოთქმა — ცეკვა დაუკარი, რის შემდეგაც ჭუნირზე (ალბათ ავტორი ჭიანურს გულისხმობს. რედ.) სრულდება ცეკვა „ქართულის“ მელოდია. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ: ცეკვა „ქართულის“ ადრინდელი სახელი — ცეკვა იყო, მაგრამ ვინაიდან ცეკვა „ქართული“ გავრცელდა მთელ საქართველოში, იგი ცეკვის ზოგად სახელწოდებად იქცა — **როკვა** შეიცვალა **ცეკვით**, „ქართული“ კი უსახელოდ დარჩა და XIX საუკუნეში ჩრდილო კავკასიიდან შემოსული „გრუზინსკაია ლეზგინკას“ თარგმანი „ქართული ლეკური“ (შემდეგ „ლეკური“) დამკვიდრდა.

ზოგიერთი ჩვენი ქორეოგრაფი და ქორეოგრაფიული ხელოვნების მოყვარული ცდილობს, შემთხვევით წარმოშობილ ტერმინს — „ლეკურს“ — როგორმე გამართლება მოუძებნოს და ცეკვა „ქართული“ ლეკურ წარმოშობას დაუკავშიროს: თითქოს „ლეკური“ ლეკურ ხმაღს უკავშირდებოდა და ეს ცეკვა უხმლოდ არ სრულდებოდა. სინამდვილეში კი არც ადრე და არც ახლა ცეკვა „ქართულს“ ხმაღთან არაფერი აქვს საერთო. ზოგიერთის აზრით, ცეკვის სახელწოდება ლეკების მიერ ქართველი ქალის გატაცების სიუჟეტს უკავშირდება. ეს ვერსია შეიძლება მართებული ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუკი „ლეკური“ მხოლოდ ქალ-ვაჟის ცეკვას ერქმეოდა, მაგრამ „ლეკურად“ იწოდებოდა როგორც ქალ-ვაჟის, ასევე ვაჟთა ცეკვები. თანაც არა მარტო ქართული, კავკასიელთა ყველა ცეკვა „ლეკურად“ იყო ცნობილი. ლეკური ცეკვის სახელწოდებად მხოლოდ XIX საუკუნიდან გვხვდება.

ასევე საფუძველმოკლებულია აზრი, თითქოს „ლეკურს“ **ლეკური** ერქვა (ლეგა მამაკაცის სახელია, რომელსაც, ამ მოსაზრების ავტორი გიორგი სვანიძე, წარსულში ცეკვა „ქართულის“ საუკეთესო შემსრულებლად მიიჩნევს).

ამ საკითხის გარშემო საყურადღებოა კიდევ ერთი მოსაზრება: გ. ფ. ალექსი-მესხიშვილი (ძველი მოცეკვავე) იხსენებს, თუ როგორ შეარქვა თავისმა ცეკვის მასწავლებელმა გ. ყარანგოზიშვილმა ქართულ ცეკვას „ლეკური“: 1866 წელს კახეთში ალავერდობაზე ის მეგობრებთან ერთად შეხვედრია ლეკების ერთ ჯგუფს. ლეკებს ისინი მიუწვევიათ სუფრასთან, მიუერთმევიათ სასმისი და უთხოვიათ, ეცეკვა. გ. ყარანგოზიშვილს სწრაფად ჩამოუვლია ერთი წრე და შეუსრულებია დაბალი გასმა (როგორც თვითონ აღნიშნავს, ცეკვა „დავლურიდან“). შემდეგ მისულა ახალგაზრდა ლეკთან და თავის დაკვრით უთხოვია, ეცეკვა. თურმე ლეკმა მასავით ჩამოუარა და ფეხის ნვერებზე შეასრულა გასმა. გიორგი ყარანგოზიშვილი ლეკის მიერ შესრულებულ გასმას იმდენად აღუფრთოვანებია, რომ ახალგაზრდა ლეკისთვის „ხანჯლის შვილი“ უჩუქებია... შემდეგში მან ლეკის მიერ შესრულებული „გრძელი გასმა“ „დავლურში“ შეიტანა და მის პატივსაცემად ამ ცეკვას პირველმა შეარქვა „ლეკური.“

თუ გ. ფ. ალექსი-მესხიშვილის ნაამბობს დაუფუჯერებთ, მაშინ რომელ „ლეკურზეა“ საუბარი 1866 წლამდე არსებულ წყაროებში?

მოგზაური რიჩარდ ვილბერჰამი: „...1837 წლის 1 ოქტომბერს ზუბალაშვილების ბინაზე მოეწყო ბალი, რომელსაც დაესწრნენ ქალთაგან: ნინო გრიბოედოვა, ეკატერინე ჭავჭავაძე, მართა სოლოლაშვილი, მარიამ ერისთავი, მაიკო ორბელიანი და სხვები...“

რამდენიმე ქართველი ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი შეუერთდა ცეკვას. ამის შემდეგ დაიწყო სხვა პოლონეზი და ოთახის რიგში ისე გავრცელდა ეს სეირნობა, რომ ბევრ მათგანს მუსიკის ხმაც კი არ ესმოდა. კადრილის ცეკვაც დამთავრდა. რამდენიმე ქართველმა იცეკვა „ლეკური“ და, როდესაც ოთახში ხალხი შეთხელდა, მცირე ჯგუფმა დავიწყეთ ვალსი ...“ („მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ 1839წ. გვ. 251).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფი იონა მეუნარგია: „სხვაზე უფრო დანინაურებული იყო ბარათაშვილი ცეკვითაც. სასწავლებელს ჰყავდა „ტანცების“ მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი „ტანცკლასი... ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი ალადანოვი, რომელიც „ლეკურსაც“ ასწავლიდა. ნიკ. ბარათაშვილი პირველი მოცეკვავე იყო და უპირველესი...“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი გიმნაზიაში სწავლობდა 1826-1835 წლებში).

ელგუჯა მალრაძე: „1831 წლის ნოემბერს გრიგოლი ჩადის ნოვგოროდში, სადაც ერთი წელი რჩება. ოქტომბრის ბოლოს გრაფი სიმონიჩი ცარსკოე სელოში ეპატიჟება გრიგოლს, თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად. რამდენიმე დღის შემდეგ პოეტი უკვე პეტერბურგშია გრაფ სიმონიჩთან. იქვე მოდის ლუარსაბ ბატონიშვილი. შემდეგ ყველანი ფარნაოზთან გაეშურებიან. ზრდილი, ჭკვიანი, განათლებული ფარნაოზი თავაზიანად იღებს ძვირფას სტუმრებს. პოეტი მიჰყავთ თეატრში, სადაც მოხიბლა იტალიელმა მომღერალმა მორიკონიმ. ვიოლინოზე ბემი უკრავდა.“

ჯადოსავით შემოევლო იტალიური მუსიკა პოეტის გულს, გონება წარულო, ქვეყნიერება დაავინყა, უცხო სამეფოში შეიყვანა და მზიური სამხრეთის მომხიბლავ ყვავილნარებში მოფარფატე სამოთხის ფრინველები აჩვენა... თვალწინ დაუდგა საყვარელი დისწული ტატო ბარათაშვილი, მისი ლეკური, წრეში მონაგარდე ქუდჩაქეცილი კატინა, ალექსანდრე ჭავჭავაძის თავნება ასული...“ (ელგუჯა მალრაძე, გრიგოლ ორბელიანი, გვ. 51).

ამონარიდი გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთი პირადი წერილიდან: „ნეტავ ეს „ლეკური“ მაინც დარჩეს ჩვენის საბრალო ქართველებისგან, რომელიც ასე დაუდევნებლად იცვლის თავის ლამაზსა ფერსა“ (საქართველოს ცენტრალური არქივი, საქმე 175).

ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი: „ნიკოლოზ ბარათაშვილი პირველი მოტანცავე იყო, საკუთრად, „ლეკურისა.“ 1845 წლის 21 აპრილს გრაფ ვორონცოვს თავის დღიურში ჩაუწერია: „სალამოს ბალი. უქმე დღე. ბალი იყო შესანიშნავი. ცეკვავდნენ „ლეკურსა“ და „აფხაზურს.“

აკაკის მოგონება: „...საკვირველი იყო მისი საქმე (მათემატიკის მასწავლებელი როდზიევიჩი). ისე გაჟღენთილი ჰქონდა გვაში არაყით, რომ ხანდახან, კიდეც რომ არ დაეღია, ისე თავისთავად მოუვლიდა ხოლმე სიმთვრალე. ერთხელ მოუარა გაკვეთილის დროს და მოწაფეს, რომელიც დაფასთან იდგა და გეომეტრიულ სახეებსა ხატავდა, მიაყვირა: – აბა, ჩამოუარე „ლეკურიო!“ — და ტაშის კვრა დაიწყო. გაშეშდა მოწაფე. ჩვენც შევწუხდით, მაგრამ იმან მაინც თავისი არ დაიშალა: – „როგორ თუ შენი ნაციონალური ცეკვა გეზიზღებაო?! არ იცი, რომ ხალხურ სიმღერასა და ცეკვაში მისი სული და გული იხატება? აი, ლეკურიც ხომ ქართულია, ცოცხალი რამ არისო!...“ (აკაკი წერეთელი „ჩემი თავგადასავალი“, 2004, გვ.69). აკაკი გიმნაზიაში 1850-1859 წლებში სწავლობდა და, ბუნებრივია, ეს ამბავიც ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო.

ჩვენ მიერ მოხმობილი წერილობითი წყაროები ადასტურებს გ. ფ. ალექსი-მესხიშვილის წერილში მოყვანილი ფაქტის უსაფუძვლობას სახელწოდება „ლეკურის“ წარმოშობის შესახებ.

ცეკვა „ქართული“ სრულდება ქალ-ვაჟის მიერ. ცეკვას იწყებს ვაჟი: გამოდის მარჯვენა მხრიდან, ამაყად შემოუვლის წრეს და ქალთა შორის ეძებს გულისსწორს. მალე იპოვნის სასურველს, მიუახლოვდება ორ ნაბიჯზე, მცირედ დაიხვეს უკან, გაუსვამს ფეხს და, ცეკვაში გამოწვევის ნიშნად, თავს დახრის. ქალი მიიღებს გამოწვევას და ტერფებზე სრიალით მოძრაობს წრეზე. ვაჟი მარცხენა მხრიდან ახლოს მისდევს, მაგრამ ფრთხილობს — არ შეეხოს ქალის სამოსს. ცდილობს, წინ გადაეღობოს და თვალბეჭდში ჩახედოს სატრფოს: დაიხვეს მარჯვნივ და აღმოჩნდება ქალის წინ. ქალი მორცხვად დახრის თავს და უკუსვლით იცვლის მიმართულებას, ეძებს ხელსაყრელ დროს, გაუსხლტეს წინ-გადაღობილ ვაჟს. ქალი მართლაც იხელთებს დროს, შებრუნდება მარცხნივ და სწრაფი სვლით მოძრაობს წრეზე. ვაჟი ასევე სწრაფად და მოხერხებულად შებრუნდება მარცხნივ და გაჰყვება ქალს.

ქალი ღიმილით გადახედავს ვაჟს, სწრაფად იცვლის მიმართულებას და ცენტრის გავლით მოძრაობს წინ — მაყურებლისკენ. ყურადღებადქცეული ვაჟი იმავე მიმართულებით მისდევს ქალს. (ქალი, ვაჟის მკლავებიდან გასასხლტომად და ზურგშექცევით დასატოვებლად, ხშირად ხმარობს ფანდს — მიმართულების ცვლას: ზურგშექცევით დატოვება ვაჟის დამარცხებას ნიშნავს). ქალი შეჩერდება და იწყებს უკუსვლას თანდათანობით მარცხნივ შებრუნებით. ვაჟიც მაშინვე შეჩერდება, უკუსვლით მარჯვნივ შებრუნდება. სახით ერთმანეთისაკენ მიმართული ქალ-ვაჟი მოძრაობს უკან. ქალი მიაღწევს იმ ადგილს, საიდანაც დაიწყო ცეკვა და შეჩერდება. ვაჟი ცენტრში ასრულებს გასმას და თანდათანობით უახლოვდება ქალს, ამაყად შესცქერის, თითქოს ეკითხება: ვარ თუ არა შენი ღირსიო. შემდეგ მარჯვენა მხარით მარჯვნივ შებრუნდება ქალისაკენ და გვერდზე სვლით (გასმით) მიუახლოვდება მას. გადადგამს ორ ნაბიჯს მარჯვნივ და თავის დახრით სთხოვს, ხელმეორედ გახადოს მასთან ცეკვის ღირსი. ვაჟის ქცევით კმაყოფილი ქალი სიამოვნებით მიიღებს გამოწვევას და წრეზე მოძრაობს ვაჟთან ერთად. ვაჟი გაივლის წრის სამ მეოთხედს, უკუსვლით დაშორდება ქალს, შებრუნდება მარცხნივ და წინსვლით გაემართება ქალისაკენ — პირისპირ შესახვედრად. ქალი დროულად გაიგებს ვაჟის სანადელს და, მასთან შეხვედრის ასაცილებლად, უკუსვლით მიიწევს ცეკვის დაწყების ადგილისაკენ. იმედგაცრუებული ვაჟი დაიხვეს უკან და შეჩერდება. ქალი ცეკვის

შეუწყვეტლად, თითქოს შერცხვა თავისი მოქმედებისაო, გვერდზე სვლით უახლოვდება ვაჟს. ვაჟში იმედმა გაიღვიძა — ადგილზე გასმით ცეკვავს. ქალი შეატყობს ვაჟს ალტაცებას, მორიდებით ბრუნავს მარცხნივ და გვერდზე სვლით მოძრაობს ვაჟისაკენ. ვაჟი სრიალა გასმით უახლოვდება ქალს. სახით ერთმანეთისაკენ მოხვედრილი ქალ-ვაჟი შეთანხმებულად იხევეს უკან ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ შებრუნებით, მხარდამხარ შემოვლით მოძრაობენ წრეზე (ქალ-ვაჟი ერთდროულად უახლოვდება ერთმანეთს). დაახლოებისას შებრუნდებიან მარცხნივ და მხარდამხარ შებრუნებულნი უკუსვლით მოძრაობენ წრეზე.

ქალი კიდევ ერთხელ ცდილობს ვაჟის მკლავებიდან გასხლტომას: სწრაფად შებრუნდება მარცხნივ, მარჯვნივ, გაემართება მოედნის სიღრმეში, წინ — მაყურებლისაკენ. ვაჟი ფეხდაფეხ მიჰყვება ქალს, ქალი შეჩერდება და ქალ-ვაჟი მოწინებით უხრიან თავს ერთმანეთს.

შინაარსის მიხედვით „ქართული“ ხუთნაწილიანია:

- ვაჟის გამოსვლა საცეკვაოდ
- ქალის მიპატიჟება და ქალ-ვაჟის მიერ საცდელი წრის შემოვლა
- ვაჟის ცალად ცეკვა (სოლო)
- ქალის ცალად ცეკვა (სოლო)
- დასკვნითი ნაწილი: ქალ-ვაჟის ცეკვა

ტრადიციული წესები

- ვაჟი ცეკვისას უნდა ცდილობდეს, თავისი სამოსით არ შეეხოს ქალისას.
- ცეკვის დაწყებიდან დამთავრებამდე ვაჟმა ყურადღება უნდა მიაქციოს მხოლოდ მოცეკვავე ქალს.
- ქალ-ვაჟის წრეზე სვლისას, ვაჟი ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს, არ შეიძლება ჩამორჩეს, რადგან, თუ ქალმა მოახერხა გასხლტომა და ვაჟი ზურგით შებრუნებული დატოვა, ეს ვაჟის დამარცხებას ნიშნავს.
- ქალის უკუსვლისას ვაჟი შორდება მას, მაგრამ თვალმოუცილებლად უყურებს და, უკუსვლის წინსვლით შეცვლისას, სწრაფად ეწევა ქალს.
- ქალს წინსვლისას ვაჟი გვერდზე (მარცხნივ) მიჰყვება.
- ქალის ცალად ცეკვისას ვაჟი ერთ ადგილზე თავისუფლად დგას (ან ტაშს უკრავს).
- ვაჟი ვერ მიატოვებს ცეკვას ქალის ცეკვის დამთავრებამდე.
- ქალის უკუსვლით მოძრაობისას ვაჟი არ შეიძლება იდგეს ქალის წინ (პირისპირ) — დგას ოდნავ მარჯვნივ — ქალის მოძრაობის მიმართულების შესაბამისად.
- თუ ქალი დაიღალა და საცეკვაო მოედანი ადრე დატოვა, ვაჟს სხვა ქალის გამონწვევის უფლება არა აქვს.
- ვაჟი უქუდოდ ცეკვავს ან შეიძლება ხელში ეჭიროს.
- ვაჟის ცერებზე ცეკვა მიუღებელია.
- ქალისა და ვაჟის ზედატანი არ უნდა ირხეოდეს.

ტიქნოლოგიური მასალა

სვლეპი

- რთულა წინსვლა
- ტერფულა წინსვლა
- სადა სრიალა წინსვლა
- სადა მუხლურა წინსვლა
- სრიალა ერგცერებზე
- სამდაკვრითი უკუსვლა
- სამდაკვრითი გვერდზე სვლა (გედურა)

განმეზი

- სადა სრიალა გასმა
- ქუსლურა გასმა
- ჭდობილი გასმა
- ნაკვეთური გასმა
- გაქნევიტი გასმა
- გვერდულა გასმა
- სარული გასმა
- სარეცხული გასმა
- ჩაკრული გასმა

ხელეზის მოძრაობა-მდგომარეობა

ქალეზისათვის:

- ორივე ხელი დაშვეებულია თავისუფლად — სხეულს ოდნავ დაცილებული, ხელის გულები მიმართულია შიგნით.
- ცალი ხელი მოხრილია იდაყვის სახსარში და გატანილია წინ (ხელის თითები თვალის სიმაღლეზე — ნეკით მაყურებლისაკენ), მეორე ხელი გაშლილია განზე, ხელისგული ქვემოთ (ხელი ოდნავ მოხრილია იდაყვის სახსარში) — ხელები იცვლიან მდგომარეობას.
- III პოზიცია — ხელების მდგომარეობის ცვლა.

ვაჟეზისათვის:

- ორივე ხელი დაშვეებულია სხეულის გასწვრივ და ხელისგულით მიმართულია შიგნით.
- I პოზიცია.
- II პოზიცია — ხელების მდგომარეობის ცვლა.
- III პოზიცია — ხელების მდგომარეობის ცვლა.

დავლური

ცეკვა „დავლური ქართულის“ შესავალია. ილია ზურაბიშვილი „დავლურის“ შესახებ წერს: „ლეკური „დავლურით“ ინყება. იგი „ლეკურის“ შესავალია, ადაჯიოა. ძველად უდავლუროდ ლეკურს იშვიათად ცეკვავდნენ. თანდათან გადავარდა. ახლა ცალკე ცეკვად იგულისხმება. ეს სწორი არ არის. კვლავ ვიტყვი: „დავლური“ „ლეკურის“ განუყოფელი ნაწილია და იგი მარტო ქართულმა „ლეკურმა“ იცის... როგორც სიტყვის ეტიმოლოგია გვიჩვენებს, „დავლური“ დავლისაგან წარმოდგება და, მართლაც, „დავლური“ დინჯი, პლასტიკური მოძრაობის ცეკვაა“ (ილია ზურაბიშვილი, „ხალხის შემოქმედი გენია“).

იმავე ნაშრომში ილია ზურაბიშვილი საინტერესოდ აღწერს კახეთში ერთ-ერთი ცოლ-ქმრის მიერ შესრულებულ „ლეკურს“ („ქართულს“), რომელსაც წინ „დავლური“ უძღვოდა: „როდესაც სალამურის მელოდია მეორე მუხლზე გადავიდა, ძია ტიტკო ისე შეინძრა, თითქოს ადგილობრივი მცირე ნახტომი გააკეთაო, გაჰკრა რა მარჯვენა ფეხი იატაკს და ანთებული თვალები დარბაზს მიავლ-მოავლო, სწრაფლ ჩამოუშვა მხარზე გადადებული ერთ-ერთი ყურთმაჯა... იგი გაემართა დარბაზის ბოლოში მჯდარ ერთ-ერთ მანდილოსნისკენ. მივიდა, გაჩერდა ქალის წინ შორიახლო და მოწინებით თავი დაუკრა.... ერთხანს ცოლ-ქმარი ისე შესცქეროდნენ ერთმანეთს, როგორც შვიდუცხონი, ბოლოს ქალი დაიძრა და სალამურის შესაბამისი რიტმული რხევით შუა დარბაზისაკენ გაემართა. ვაჟი ამავე რხევით უკან გაჰყვა. შუა დარბაზში ქალი უკვე აღარ გაჩერებულა და ხელებგაუშლელად პირდაპირ კივიკვიზე გადავიდა, ე.ი. ორმაგი გაქლასუნებით წინ წაღებულ მარცხენა ფეხს იგი ოდნავ მთელ ტანს აყოლებდა და იმავე გაქლასუნებით მარჯვენა ფეხს აყოლებდა შესაცვლელად. კაბის

ქვევიდან ხან ერთი პანია, მშვენივრად გამონასკეული ფეხი გამოჩნდებოდა, ხან — მეორე, გეგონებოდათ კაბის ქვეშ ორი მოჭიკჭიკე შაში ერთი მეორეს ეალერსებო... აქ ქალი უცბად შეტრიალდა, მხარი გამოიცვალა და ერთსა და იმავე ადგილას იწყო ფეხის კიკივი. ამასვე აკეთებდა ვაჟიც. ისინი ერთმანეთის მიმართ მხარგასწვრივ იყვნენ, ხოლო სახე სხვადასხვა მხარეს ჰქონდათ მიქცეული.

კვლავ გამოიცვალეს მხარი. მერე ქალმა ფეხის გადაჯვარედინებით რამდენადმე ვაჟისკენ მიინია. ამით გათამამებულმა ვაჟმა იმავე ფანდით, ხოლო ყოველი გადაჯვარედინების გარეშე, შემდეგ ფეხის ოდნავი რიტმული გასმით უფრო შეამცირა მანძილი თავისსა და ქალს შორის. ქალმა იწყინა ვაჟის გაბედულობა. თავის წინანდელ ადგილისაკენ დაიხია. რა არ მეტყველებდა ამ მოძრაობაში — ჟინიანობაც, კეკლუცობაც, გაჯავრებაც და ნახალისებაც. რა მიუახლოვდნენ ერთმანეთს, ვაჟმა ხელები აღმართა, ვერ გაიგებდით მოსახვევნად თუ ალტაცების ნიშნად, ხოლო ქალმა სახე დაიჩრდილა მარჯვენა მკლავით და ორივე ამ პოზაში ქანდაკებასავით ჩამოიქნენ... „დავლური“ დასრულდა.“

ილია ზურაბიშვილის აზრით, „დავლური“ მეტისმეტად ძნელი ცეკვაა, მის შესასრულებლად დიდი პლასტიკურობა, სიდარბაისლე და ემოციაა საჭირო. ამის ერთად შეთავსება შეუძლია მხოლოდ ნამდვილ არტისტს, შემოქმედს. ამიტომაც ჩვენი დროის ჩინებული მოცეკვავენიც კი გაურბიან „დავლურს“ და ამნაირად იგი ჩამოცილდა „ქართულს.“

ამჟამად, ქორეოგრაფთა ჩარევით, „დავლური“ გადაიქცა მასობრივ ცეკვად ქალ-ვაჟის რამდენიმე წყვილის შესრულებით. ასეთი სახით შესრულებულ „დავლურს“ აუცილებლად თან სდევს ცალკეული წყვილის მიერ შესრულებული „ქართული.“

დავით ჯავრიშვილი განიხილავს „დავლურის“ სხვადასხვა სახეობას: **მწყემსური დავლური, ფალავნური დავლური, სადარბაზო დავლური** და სხვა.

დავით ჯავრიშვილის მიერ დადგმული „სადარბაზო დავლური:“

წვეულება... ახალგაზრდობის გასართობად მასპინძელი თასით ხელში დგება დარბაზის ცენტრში და ქალ-ვაჟთ ცეკვა-თამაშში ჩაბმას სთხოვს. ქალ-ვაჟნი გამწკრივდებიან ერთმანეთის პირისპირ და თანხმობის ნიშნად თავს დახრიან.

ცეკვას იწყებენ ქალები, ერთრიგად მოძრაობენ წრეზე და თითოეული მიმდევრობით, ბრუნთან ერთად, ჩააგდებს ნიშანს — წინდს თასში. იწყება ფანტის თამაში. ვაჟები ნახევარწრედ დადგებიან. ქალები ჯერ ორრიგად, შემდეგ კი ნახევარწრეულად ვაჟების ადგილს დაიკავებენ. ქალების პირისპირ მდგარი ვაჟები თავს დახრიან, უკან დაიხევენ და შემოერთყმიან მასპინძელს. თასიდან ქალების წინდს იღებენ, მათკენ გაემართებიან და გადასცემენ — ამით ატყობინებენ, „დავლურში“ რომელი ვაჟი რომელ ქალთან იცეკვებს და უთმობენ საცეკვაო მოედანს. ვაჟების ჟესტით ნასიამოვნები ქალები გამხიარულდებიან და მოედნის ცენტრში ერთად ასრულებენ ცეკვა „დავლურს.“ შემდეგ ქალები ისევ ვაჟებისკენ გაემართებიან. გახარებული ვაჟები საერთო წრეში ასრულებენ „დავლურს“ — გახსნიან წრეს და გაემართებიან ქალებისაკენ, მიუახლოვდებიან, შეასრულებენ რამდენიმე გასმას და ქალების წინ თავს დახრიან. იწყება საერთო ცეკვა, რომლის დასრულების შემდეგ ქალ-ვაჟთა წყვილები გახსნიან წრეს და ისევ ნახევარწრედ დადგებიან. „დავლური“ დამთავრდა, ახლა ჯერი „ქართულზე“ მიდგა. მასპინძელი თასით ჩამოუვლის წრეს. ნახევარწრედ მდგარი მოცეკვავენი თასში ხელმეორედ ყრიან თავთავიანთ ნიშნებს (წინდებს). მასპინძელი თასს გადასცემს ერთ-ერთ ვაჟს და, სხვების გამხნეების მიზნით, შეასრულებს ნაწყვეტს ცეკვა „ქართულიდან.“ შემდეგ დაიბრუნებს თასს, დადგება მოედნის შუაში და თასიდან იღებს ორ წინდს. ქალ-ვაჟი გამოდის წინ და თავის დახრით აცნობებს მასპინძელს, რომ მათ ხვდა წილად ცეკვის შესრულება... ერთმანეთს მიესალმებიან და იწყება „სადარბაზო დავლურის“ მეორე ნაწილი — „ცეკვა ქართული.“ ცეკვის დამთავრების შემდეგ მასპინძელი ვაჟს ბალდადითა და თასით აჯილდოებს. დასასრულ, ორად გაყოფილი მოცეკვავენი, სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის შემდეგ, ტოვებენ საცეკვაო მოედანს. ყველაზე ბოლოს „ქართულის“ შემსრულებელი ვაჟი გადის.

ჩვენ მიერ აღწერილი „დავლური“ ამ ცეკვის ერთ-ერთი საინტერესო და საუკეთესო ვარიანტია. გამორიცხული არ არის „დავლურის“ სხვა ვარიანტის არსებობაც. თუმცა, რა ფორმითა და შინაარსითაც უნდა დაიდგას „დავლური“, იგი, როგორც ცეკვა „ქართულის“ შესავალი, „ქართულის“ შესრულების ტრადიციულ წესს იზიარებს.

ტექნოლოგიური მასალა

- ჩვეულებრივი სვლა
- სადა მუხლურა სვლა
- სადავლურო სვლა
- სადავლურო სვლა ორი ნაბიჯის დამატებით
- სრიალა ერგცერებზე ოთხი ნაბიჯის დამატებით (ქალებისათვის)
- რთულა წინსვლა ოთხი ნაბიჯის დამატებით (ვაჟებისათვის)
- დახვევით ბრუნნი

ასევე შეიძლება ცეკვა „ქართულისათვის“ დამახასიათებელი ყველა ილეთის გამოყენება.

ხელების მოძრაობა-მდგომარეობა

- მკერდდახურული
- ერთი ხელი დოინჯით, მეორე — დაშვებული ან ხანჯალზე
- III პოზიცია და ცეკვა „ქართულისთვის“ დამახასიათებელი ხელების ყველა მოძრაობა-მდგომარეობა

გურული ფერხული

გურული ფერხული საბრძოლო შინაარსის ფერხულებს მიეკუთვნება და ორ ან სამსართულიანია.

ცნობილი ლოტბარის ვასილ მახარაძის გადმოცემით, გურულ ფერხულს ადრე, სხვა კუთხის სართულიანი საბრძოლო ფერხულების დარად, მამაკაცები ასრულებდნენ. ქალები ამ ფერხულში მოგვიანებით ჩაებნენ და ამჟამად გურული ფერხული ქალ-ვაჟთა საერთო ცეკვაა.

საბრძოლო ფერხულში ქალების მონაწილეობამ, „ნართების სიმდისაგან“ განსხვავებით, ფერხულს ფორმა ვერ შეუცვალა და ისევ ორ ან სამსართულიანად დარჩა.

გურული ფერხული ორპირული და სამნაწილიანია: პირველი – ნელი, მეორე – აჩქარებული, მესამე – ჩქარი (ორსართულიანი, ანუ ზემყრელი, მხოლოდ მეორე ნაწილში სრულდება).

1951 წელს ქორეოგრაფმა გიორგი სალუქვაძემ გურულ ფერხულში ცვლილებები შეიტანა: მესამე ნაწილში მუხლგაშლილი ბუქნი ვაჟთა შესრულებით; ცეკვის დასკვნით ნაწილში კი გურული ლხინი — ქალ-ვაჟთა, ვაჟთა წყვილების ან ვაჟთა მცირე ჯგუფის მონაწილეობით (ვაჟები გასმებსა და ბუქნებს აკეთებენ). ბოლოს მხრებზე ხელგადახვეული ვაჟები ბუქნით ტოვებენ საცეკვაო მოედანს.

შეიცვალა და გადაამუშავდა ფერხულის მესამე ნაწილის მუსიკალური მასალა, თვით ფერხულის სახელწოდებაც და ანსამბლთა რეპერტუარში „ფარცა კუკუს“ სახელით დამკვიდრდა.

„ფარცა კუკუ“ ძველად გურიაში გავრცელებული თამაში ყოფილა და მასში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. დღეს ამ თამაშის მომსწრე მამაკაცს რომ ჰკითხო, ასრულებდა თუ არა ოდესმე „ფარცა კუკუს“, ის უარყოფს: „ფარცა კუკუ“ ქალთა თამაშია და მასში მონაწილეობას ვერ მივიღებდი, ვერ ვიცეკვებდიო.

გიორგი შარაშიძის ცნობით, ძველებურ ცეკვა „ფარცა კუკუს“ წყვილ-წყვილად დაწყობილი ქალები ასრულებდნენ — მუხლებს მოხრიდნენ, კაბას ლამაზად შემოიკეცავდნენ ბარკლებზე, ტაშის კვრით უვლიდნენ და აყოლებდნენ შემდეგ დიალოგს:

— ფარცა კუკუ ფარცადინა, ყურსა სისხლი რამ გადინა? — იტყოდა ერთი.

— ლაშქარს ვიყავ დავიკოდე, ყურსა სისხლი მან მადინა...“, — უპასუხებდა მეორე (დიმიტრი ჯანელიძე, „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, 1949 წ.).

დღეისათვის „ფარცა კუკუს“ სახელით გავრცელებული ბუქნებით შესრულებული ვაჟთა ცეკვა სულხან-საბას განმარტებულ „ბუქნასა“ და „კოჭას“ უფრო მოგვაგონებს, ვიდრე გურიაში ძველად არსებულ „ფარცა კუკუს“.

ტექნოლოგიური მასალა

- მკლავჩაბმა
- სარხევი
- გაქანება
- სვლა
- ფენმიდგმით სვლა
- წინჩაკრული
- უკუჩაკრული
- ჭდობფეხცვლა
- ცალფა გასმურა
- ორფა გასმურა
- რთულა სვლა
- მუხლურა სვლა
- ხლართულა სვლა ზეხტომით
- სასართო
- ბუქნურა (ბუქნური)
- სადა გასმა
- ჭდობილი გასმა
- ჩაკრული გასმა
- მაღალჩაკრული გასმა და სხვა.

მეგრული ფერხულები

მეგრული ფერხული — ქართული ორპირული ფერხულების ერთ-ერთი სახეობა, უტექსტო ფერხული. სრულდებოდა საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე.

მეფერხულე ქალ-ვაჟნი ხელიხელჩაკიდებული (ნეკა თითებით), დაშვებული ხელებით ეწყობიან წრეზე — სახით ცენტრისაკენ და იწყებენ სიმღერას. ყველანი ჯერ მარჯვენა ფეხს გადადგამენ წინ და მარჯვნივ, შემდეგ მარცხენას მიადგამენ მარჯვენას. მომდევნო ტაქტზე ყველა ერთად მარცხენა ფეხს გადადგამს უკან და მიმდევრობით მიადგამს მარჯვენას მარცხენათან და ა.შ. ფერხული ხან ერთი ნაბიჯით ცენტრისაკენ შეინევს, ხან ისევ გაიშლება. ამ დროს ჩაკიდებული ხელები ჯერ ოდნავ წინ მოძრაობს, შემდეგ — უკან. ვინაიდან პირველი ნაბიჯი (მარჯვენა ფეხით) ირიბია, ამიტომ ფერხული მარჯვნივ გადაინაცვლებს.

მეგრული ფერხულის სასიმღერო მასალა დაახლოებით ხუთ-ექვსნაწილიანია, ფეხის მოძრაობის მხრივ ფერხულის მხოლოდ ჩვენ მიერ აღწერილ ვარიანტს ვიცნობთ.

ჰ ა რ ი რ ა

ჰარირა ცეკვა ქართულის სამეგრელოში გავრცელებული ერთ-ერთი ვარიანტია. ქალ-ვაჟის სატრფიალო ცეკვა „ჰარირა“ უფრო ხშირად **შეცილების** — **წართმევიას** სახით სრულდება და გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში.

წართმევიას ცეკვისას ერთი მოცეკვავე ცვლის მეორეს, რაც ყოველად დაუშვებელია „ქართულის“ შესრულებისას.

„წართმევიას“ იწყებს ვაჟი. შემოუვლის წრეს, მიუახლოვდება შერჩეულ ქალს და გასმის შემდეგ თავის დახრით საცეკვაოდ მიიპატიჟებს. ქალი გაჰყვება... ამ დროს მეორე ვაჟი შეიჭრება ქალ-ვაჟს შორის და გააგრძელებს ქალთან ცეკვას, პირველი ვაჟი ტოვებს მოედანს. შემდეგ მეორე ქალი შეცვლის პირველს და ა.შ. ვაჟები და ქალები რიგრიგობით ცვლიან ერთმანეთს — იხელთებენ თუ არა დროს, ერთიმეორეს პარტნიორებს ართმევენ, აქედანაა მისი სახელწოდებაც — წართმევია.

„ნართმევიას“ მეგრულ ვარიანტში (ჰარირაში) ზოგჯერ, გამონვევის მიზნით, ბალდადს ან ოქრომ-კედით ნაქარგ ბურთს იყენებდნენ. ასეთ შემთხვევაში ვაჟი ან ქალი, ჰაერში ასროლილი ბალდადის ან ბურთის დაჭერის შემდეგ, იცეკვებდა. ასე ხელიდან ხელში გადადიოდა ბალდადი (ბურთი) და მოცეკვავეებიც რიგ-რიგობით ცვლიდნენ ერთმანეთს.

„ნართმევიას“ მთლიანად გამოყენებულია ცეკვა „ქართულის“ ტექნოლოგიური მასალა.

ტრადიციული ნახაბი

- „ნართმევიას“ შესრულებისას დაუშვებელია უხეშობა.
- ცეკვაში შეჭრა (ქალის ან ვაჟის ნართმევა) შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მოცეკვავე წყვილს შორის მანძილი ამის საშუალებას იძლევა.
- შეცილება ისე უნდა შესრულდეს, რომ შემსრულებლები სამოსითაც კი არ შეეხონ ერთმანეთს.
- ცეკვაში ქალი ეცილება ქალს, ვაჟი – ვაჟს.
- მოცეკვავე ქალის მიერ ხელებით გულმკერდის დაფარვა ნიშანია იმისა, რომ ის შემცვლელს მოითხოვს (ქალი დაიღალა ან არ სურს იმ ვაჟთან ცეკვა).
- შეიძლება ერთდროულად ქალ-ვაჟის წყვილიც შეეცილოს მოცეკვავე წყვილს — ერთი წყვილის ადგილი მეორემ დაიკავოს.
- ერთი შემსრულებლის მეორესთან შეცილებისას, პირველი ვალდებულია, შეწყვიტოს ცეკვა და დატოვოს მოედანი.
- ცეკვის დასასრულს შეიძლება წყვილებმა მასობრივად იცეკვონ.

ძ ა ბ რ ა ლ ე

ძაბრალე მეგრული პატრიოტული ფერხულების სახეობაა — ფერხულს შიგნით მოთამაშით. ცნობილია „ძაბრალეს“ სხვადასხვა ვარიანტი:

პირველი (ფერხულს შიგნით მოთამაშე-მომღერალის გარეშე): ახალგაზრდები ჩააბამენ ფერხულს. ფერხულის ერთი ნახევარი ამბობს ტექსტს, მეორე მოსძახებს: ჰოი, ძაბრა!

მეორე (ყველაზე მეტად გავრცელებული): მეფერხულენი ჩააბამენ ფერხულს, წრის შიგნით დააგდებენ ბენვიან ქუდს. სიმღერა-ოხუნჯობის ნიჭით დაჯილდოებული მოთამაშე ხანჯლით გარს უვლის მას. ქუდში — ძაბრაში — იგულისხმება ურჩხული, ბოროტი ძალა, ბატონი, რომელმაც მთელი სოფელი გადაჭამა.

მომღერალ-მოთამაშე განასახიერებს შიშს, სიძულვილს, ძაბრას დამარცხების სურვილს — შეტევას, უკან დახევასა და ისევ თავდასხმას... საფერხულო მწყობრი კი „ჰოე, ძაბრას“ მოსძახებს... საბოლოოდ ფერხულს შიგნით მოთამაშე ხანჯალს დაჰკრავს ქუდს, მეფერხულენიც მისცვივდებიან, დაგლეჯენ და მხიარულობენ.

მესამე: რამდენიმე მამაკაცი „ძაბრალეს“ ჯოხებითაც ასრულებდა.

ჯ ა ნ ს უ ლ ო

ჯანსულო „ძაბრალეს“ გაგრძელება — განვითარებული ფორმაა. მასში საფერხულო მწყობრი უკვე აღარ მოძრაობს — სტატიკურია, მოთამაშე-მომღერალი — გააქტიურებული. მომღერალ-მოთამაშის როლის გაზრდით „ძაბრას“ ფერხული ჩამოშორდა და მეფერხულენი მხოლოდ მოძახილით — ჯანსულო — კმაყოფილდებიან.

ვფიქრობთ, დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი ცალად ან წყვილად ცეკვები ფერხულის შიგნით მომღერალ-მოთამაშეთა გააქტიურების საფუძველზეა წარმოშობილი.

მოთამაშე გამოდის საცეკვაო მოედანზე და ტრიალებს: იგი ისეა შეიარაღებული ხმალ-ხანჯლითა და დამბაჩით, რომ არაფრის ეშინია. უეცრად მოედნის ცენტრში ბენვიანი ქუდი დავარდება. მოთამაშე შეხედავს ქუდს, შეშინდება — ხელიდან უვარდება ჯერ დამბაჩა, შემდეგ — ხმალი და დასახმარებლად უხმობს ხალხს. ბოლოს შეუტევს, ხანჯალს დაჰკრავს ქუდს და გამარჯვების ნიშნად ცეკვავს.

მესხური ფერხულები

ქართული კულტურის უძველესი ცენტრი მესხეთი ქორეოგრაფიული ხელოვნებითაც მდიდარი იყო, მაგრამ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, უძველესი საფერხულო წყობის მრავალი ნიმუში დაიკარგა. ამჟამად ქართული საფერხულო წყობის ცეკვებიდან მესხეთში შემორჩენილია **ფერხული, სამყრელო და მუმლი მუხასა**.

„ფერხული“ ჩვეულებრივ ქართულ ფერხულს მოგვაგონებს.

„სამყრელო“ საბრძოლო შინაარსის ორსართულიანი „ზემყრელო“ მამაკაცთა შესრულებით. ქვედა სართული ჯერ ზედას სთხოვს ჩამოსვლას, შემდეგ გამოეცლება და ჩამოყრის:

ქვედა — სამყრელო, სამყრელო,

აქ ჩამოდი, სამყრელო.

ნუგემ, ნუგემინია,

ძირს ნაბადი გვიგია.

ზედა — როგორ არ გვემინია,

ცაზე ნეკით ვკიდივართ და ა.შ.

მესხეთში გავრცელებული საფერხულო სიმღერა „მამლი მუხასა“, შესაძლოა, ცნობილი ქართული სიმღერის „მუმლი მუხასა“ მესხური ვარიანტი იყოს.

საყურადღებოა „საცეკვაოს“ (სათამაშოს) მესხური ტერმინი **ცქვიტური, მძიმური, ასაყოლი**. ცეკვის ან მისი რომელიმე ნაწილის ასეთი სახელები საქართველოს სხვა კუთხეში იშვიათად ან სრულებით არ გვხვდება.

მესხეთში, აჭარის მსგავსად, ვხვდებით არაქართული წარმოშობის, თურქული გავლენით შექმნილ ცეკვებს — **ყოლსარმა** ან **ყოლსამა, ლალოინი, თოფალოინი** და სხვა. „ყოლსარმა“ თურქულად მკლავების მოხვევას ნიშნავს, „ყოლსამა“ — მკლავებით ცეკვას, „თოფალოინი“ — კოჭლი კაცის თამაშს, „ლალოინი“ — უენო (მუნჯურ) თამაშს... ცეკვისას ერთი კაცის (პატრონის ან ბატონის) ბრძანება უსიტყვოდ სრულდება. ასეთ თამაშს ხულოში **ბარს** უწოდებდნენ, ხიხაძირში — „ოჰოჲ, ნანას.“

ხორუმი

ხორუმი, ორ და სამსართულიანი ფერხულების მსგავსად, საბრძოლო შინაარსის საფერხულო წყობის უძველესი ცეკვაა, ოღონდ „ხორუმში“ მტერთან შებრძოლების მთელი სურათი სხეულის მოძრაობით, რიტმით, ყესტითა და მიმიკითაა გადმოცემული.

„ხორუმი“ ოთხნაწილიანია:

- დასაბანაკებლად ადგილის ძებნა
- დაზვერვა
- იერიში და ბრძოლა
- გამარჯვება და ზეიმი

მეოთხე ნაწილი, მტერზე გამარჯვება და ზეიმი, „ხორუმის“ ხალხურ ვარიანტში **გადახვეული ხორუმის** სახელით გვხვდება (იხ. გადახვეული ხორუმი), რომლის ძირითადი არსი დამარცხებული მტრის მოჭრილი თავის გარშემო ცეკვაა. წრეზე განლაგებული მოცეკვავენი ისეთ ილეთებს ასრულებენ, თითქოს მტრის მოჭრილ თავებს აგორებენო.

თუმცა დასკვნითი ნაწილი შეიძლება ჩვეულებრივი ლხინითაც აღინიშნოს.

ცეკვა „ხორუმის“ რა ვარიანტიც უნდა დაიდგას, მისი შინაარსი ოთხივე ნაწილიდან უნდა გამომდინარეობდეს.

დღეისათვის ცეკვა „ხორუმი“ გურიასა და აჭარაშია შემორჩენილი. გურული სხარტად და მკაცრად სრულდება, აჭარული უფრო წყნარი და ფრთხილია.

სხვა ცეკვებისაგან განსხვავებით, „ხორუმისათვის“ დამახასიათებელია თავისებური მუსიკალური ზომა — **5/4, 5/8**.

ცეკვაში წინამძღოლის არსებობის გამო შემსრულებელთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს: სამი, ხუთი, შვიდი, ცხრა, თერთმეტი და ა.შ.

გავრცელებულია „ხორუმის“ დასასრულის ისეთი ვარიანტიც, რომლის დროსაც ერთი ან რამდენიმე

მოცეკვავე დაჭრილს განასახიერებს. დაჭრილები არ ტოვებენ ბრძოლის ველს და მხარში ამომდგარ თანამებრძოლებთან ერთად განაგრძობენ შეტევას — ბრძოლას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, გამარჯვებამდე. ამიტომ, რომ მოცეკვავენი, დაჭრილებთან ერთად მიემართებიან მტრისაკენ.

მცდარია მოსაზრება, თითქოსდა „ხორუმის“ ფინალში დაჭრილთა ბრძოლის ველიდან გაყვანის გამო, მთელი რაზმი ტოვებს ბრძოლის ველს და უკან იხევს (ვხვდებით ზოგიერთ ანსამბლში. ასევე არასწორი ვარიანტი შემოგვთავაზა თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულმა იგორ მოისეევის ანსამბლმა). ასეთი ინტერპრეტაციით ხშირად მახინჯდება „ხორუმის“ ძირითადი არსი – ბრძოლა გამარჯვებამდე.

ტრადიციული წესები

- ცეკვა ხორუმს ასრულებენ მხოლოდ მამაკაცები.
- შემსრულებელთა რაოდენობა აუცილებლად კენტი უნდა იყოს.
- თავში დგას „ხორუმის“ თავი (თავმოსამე) – წინამძღოლი.
- წინამძღოლს შეიძლება ხელში ბალდადი ეჭიროს.
- წინამძღოლი ხელმძღვანელობს ცეკვას. მოცეკვავენი ილეთიდან ილეთზე მხოლოდ წინამძღოლის მინიშნების შემდეგ გადადიან.
- წინამძღოლი ნიშანს იძლევა ბაირალის აქნევ-დაქნევით.
- წინამძღოლის ფუნქციას ზოგჯერ ჭიპონზე დამკვრელი ასრულებს.
- ცეკვა „ხორუმი“ სრულდება დოლის ან ჭიპონის თანხლებით, თუმცა, ხალხური გადმოცემით, იგი სიმღერის თანხლებითაც სრულდებოდა.

ტექნოლოგიური მასალა

- შესასვლელი
- სასვენი
- ჭდობსასვენი
- ფარულა // მალულა
- ჩოქმალულა (სვლა იატაკზე მუხლის შეხებით)
- საფრთხილო
- ჩოქით მუხლმოქნევა
- დაბალი გასმურა
- ხტომგასმურა
- გასმურა ტერფმოქნევით
- ბუქნურა
- ბუქნბრუნი
- ხლართულა
- ნანოლგასმურა
- ქობულეთური ჩაკრული
- ნიხლურა და სხვა.

„ხორუმის“ შესრულებისას ხელები ჩაკიდებულია, უმეტესად დამკვრული და ოდნავ წინ გატანილი ან ზეანუელი, ან იდაყვის სახსარში 90°-ით მოხრილი.

გადახვეული ხორუმი

გადახვეული ხორუმი — „ხორუმის“ ფინალი — „ხორუმში“ გამარჯვებასა და ზეიმს ასახავს.

„გადახვეული ხორუმი“ მტრის მოჭრილი თავის გარშემო ცეკვას განასახიერებს. მოცეკვავენი ასრულებენ ისეთ ილეთებს — **ბასმას** — თითქოს წრის შიგნით მტრის მოჭრილ თავებს აგორებენ და ქოლავენ. არსებობს სხვადასხვა სახის ბასმა: ორმაგი, სამმაგი, მოტყუებული და სხვა.

ძვ. წ. IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს ცნობით, მესხ ტომებს, მტერზე გამარჯვების შემდეგ, ჩვეულებად ჰქონიათ ცეკვა-სიმღერა: გამარჯვებულმა მოსინიკებმა მოკლულთ თავები დასჭრეს და თავიანთი მტრების და ბერძნების დასანახავად აღმართეს, თან ცეკვავდნენ და

მღეროდნენ სრულიად თავისებურ ჰანგზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბერძენი ისტორიკოსის მიერ გადმოცემული მოსინიკების ეს ჩვეულება „გადახვეული ხორუმის“ საფუძველია.

აჭარაში გავრცელებული იყო ცეკვა „ხორუმის“ სხვა სახეობაც — დელი ხორუმი — ჩქარი, გიჟური „ხორუმი.“ ნიკო მარის აღწერით, „დელი ხორუმი“ იმერხვევლთა ფერხულია ბუქნით. მეფერხულენი წრიულად დგებიან, მაგრამ წრეშეუკვრელად — ერთ ადგილას გახსნილია.

გურიაში რატომღაც „ხორუმს“ უწოდებენ ორ ჯგუფს შორის ლექსით დავას — შაირში შეჯიბრებას. შეიძლება ორ მხარეს შორის ლექსით გაბრძოლება დაედო საფუძვლად მის სახელწოდებას. იონა მეუნარგია გადმოგვცემს: „დათა გურიელის სახლში ჩვეულება იყო, როცა აზნაურისშვილები მოიყრიდნენ თავს, დაიწყებდნენ „ხორუმის“ თამაშს და სიმღერას. ისინი გაიყოფოდნენ ორ დასად და დაიწყებდნენ ერთმანეთის დაობას ლექსით, ექსპრომტად. სხვაზე უფრო შესანიშნავი მოლექსენი იყვნენ მათ შორის ტრიფონა გიგინეიშვილი და ბიკოლია ჭყონია, რომლებიც არჩევან-არადანით იყოფდნენ შუაზე მთელ კრებას და შემდეგ შეუტევდნენ ერთმანეთს მოსწრებული სიტყვების ცეცხლით.“

განდაგანა

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში პოპულარული აჭარული ცეკვა **განდაგანა** სცენაზე პირველად 1946 წელს შესრულდა.

„განდაგანა“ სატრფიალო ხასიათის ცეკვაა, რომელიც აგებულია ქალთა ცეკვის **თარანინას//თარანინას, მხარულისა (ყოლსარმა)** და საშაირო **ჯახტანანას** საფუძველზე.

ქალთა სიმღერის „თარანინოს“ აკომპანემენტზეც ცეკვავენ ქალები „ყოლსარმის“ ნელ ნანილს. „ყოლსარმას“//„ყოლსამას“ აჭარაში ზოგჯერ **თოფალოინსაც** (ფეხის სახსრებში მტვრევა, კოჭლი კაცის ყოლსამა) ეძახდნენ. „ჯახტანანა“ კი შაირის გმირის სახელია.

ცეკვა „განდაგანა“ ორნაწილიანია: **პირველი** — ნელი, „თარანინოს“ ნანილს შეიცავს, **მეორე** — სწრაფი, „მხარულისას.“ შეჯიბრების ხასიათის ცეკვას საფუძვლად ქალ-ვაჟთა გაშაირება უდევს. მისი შესრულება მოითხოვს მოქნილობას, პლასტიკურობას, გონებამახვილობასა და მოსაზრებას. იცეკვება წყვილის, მოცეკვავეთა ჯგუფისა და მასის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ცეკვა „განდაგანა“ თავისი ტექნოლოგიითა და შესრულების მანერით სრულიად განსხვავდება ქართული ცეკვებისაგან, იგი მაინც ემორჩილება ქართული ცეკვებისათვის დამახასიათებელ თვისებებსა და კანონზომიერებებს: მტკიცე ტრადიციული წესი — რაინდული ბუნება და ქალისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება — „განდაგანასთვისაც“ აუცილებელი პირობაა. ამის გამო ცეკვის შესრულებისას გადაჭარბებული მანჭვა-გრეხა დაუშვებელია. „განდაგანაში“ თითოეული იღეთი უნდა შესრულდეს სუფთად, სხარტად და დახვეწილად.

ტექნოლოგიური მასალა

- მიდგომითი სვლა
- საგანდაგანო მუხლურა სვლა
- უკუჭდობსვლა
- საგანდაგანო ხლართულა
- ცალფეხგასმურა
- მუხლმოქნევითა და ქუსლგაკვრით ჩაკრული
- ცერდაკვრითა და ფეხგაქნევით ჩაკრული
- ქუსლცერა წინსვლა
- ჭდობილი გვერდზე სვლა
- მუხლცვლა
- სამდაკვრითი ბრუნი და სხვ.

სამაია — სამა

სამაიას, ანუ **სამას**, სულხა-საბა ასე განმარტავს: როკვა, შუშპარი.

„სამაია“//„სამა“ საფერწულო და საფერწისო წყობის ცეკვაა, რომელსაც წინათ ასრულებდნენ ქალები, ვაჟები და ქალ-ვაჟნიც კი — არა მინცდამინც სამი, არამედ მოცეკვავეთა ნებისმიერი რაოდენობა.

თეიმურაზ II-ის მოწმობით, „სამაია“ ორგვარია: ერთი „დიდკაცთა“, მეორე — „მსახურთა“ და „მხლებელთა“ (ხალხური).

„დიდკაცთა“ სამაიადან აღსანიშნავია ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ აღწერილი ფერწისას სახით შესრულებული ქალ-ვაჟთა „სამაია“: „ქალნი და კაცნი ორ დასად გაყოფილი, ერთმანეთის პირდაპირ, კარგა მოშორებით ხელიხელგადაბმული მწკრივად, ჯერ ერთი გაბმული დასი წამოვიდოდა თავის პირისპირ დასისა, წყნარად მომავალნი და თან მოიმღეროდნენ — სამაია სამთაგანა, რა ტურფა რამ ხარო და სხუანი. ასევე უნდა მისულიყვნენ მოპირდაპირე დასთან, მას უკან მღერითვე გატრიალებულიყვნენ და თავის ადგილას მისულიყვნენ, აგრეთვე მღერით. იქ მწკრივად დადგებოდნენ ხელებგაბმულები, პირველსავე რიგით. ეს პირველი დასი თავის ადგილას რომ დადგებოდა მწკრივად, დადგომასთან ერთად სიმღერა უნდა დაესრულებინათ მაშინვე. ამ დროს ის მეორე დასი ჩამოართმევდა სიმღერას მაშინვე. ეს ორი გაყოფილი დასი ხან ერთი მივიდოდა მეორესთან, ხან მეორე პირველთან, მაგრამ თანდათან კი აჩქარებდნენ სიმღერას თავის შეწყობილი ლექსებითა. ბოლო დროს ასე უნდა აეჩქარებინათ სიმღერა, რომ სალალოდ გადაექციათ და ერთმანეთისთვის ბაღდადის ხელსახოცები ესროლათ ანუ წყნარად დაეკრათ ეგრე მღერით...“ და იქვე აგრძელებს: „ჩემს სიყმანვილეში ერთ გამოჩენილ ქორწილში დააბეს „სამაია“ ორმოცზე მეტმა მახლობლად ქალებმა გათხოვილებმა და გაუთხოვრებმა.“

დიმიტრი ჯანელიძის აზრით, დიდკაცთაგან ცეკვა „სამას“ ორგუნდიან ფერხისად გადაქცევას დიდი დავა და წინააღმდეგობა გამოუწვევია ხალხში, რაც ნათლად ჩანს ხალხური ლექსიდან: „სამაია სამთაგანა არ იქნება ორთაგანა“ — ორი განით (ორი მწკრივით) შესრულება არ შეიძლებოდა.

პოემაში „დღისა და ღამის გაბაასება“, ანუ „სარკე თქმულთა“, თეიმურაზ II (XVIII ს.) ძეგლის ლხინში შესრულებულ „სამას“ აღწერს:

ღვინოში შევლენ, იქმონენ ფერწისის დაუკლებლობას,
იქით და აქეთ ჩაებნენ შემოსძახებენ ძეობას...
გარეთ გამოვლენ, ფერწისას შევლენ, სად ქალი წევსა-და,
იტყვიან გაღმით-გამოღმა, ააყოლებენ ფეხსა-და
სიმღერით შიგნით შესვლასა დაჰპატიჟებენ მზესა-და...
არ დააკლებენ ძეობას, რიგი რაც არის წესადა.
რა გაათაონ ფერწისა, გამართვენ ერთაჭამასო,
დასხდენ ქალების პირდაპირ, არვინ დაიშლის ამასო,
შემოიყვანენ მესტვირეს, უკვრენ, ჩააბენ სამასო,
მისთანა ლხინი უხარის ყმანვილის დედას, მამასო...
ცალგნით არის კაცის ხმანი, ცალგნით იყოს ქალებისა,
ძეობაში უკუყრა და ყოფა არის მენესტვისა,
სამაიაში ქალებსა იღლიაში უძვრებისა,
შაირს ეტყვის სამიჯნუროს, უკრავს, ახლოს უდგებისა...

როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, „სამაია“ სრულდებოდა ქალთა, ასევე ორგანად, ანუ ორ მწკრივად, გაყოფილ ქალ-ვაჟთა მიერ.

„სამაია“ მამაკაცთა შესრულებით ბოლო დრომდე შემორჩა ფშავს.

ფშაური „სამაია“ ჩვენ ჩავინერეთ 1949 წელს შუაფხოს მახლობლად, სოფელ გოგოლაურთაში, ოთხმოცდაათი წლის ხევისბერისაგან — დავით თურმანაულისაგან:

ფშაურ „სამაიას“ ასრულებდა სამი, ხუთი ან მეტი მამაკაცი (ორმოციც კი). ცეკვას იწყებდა ერთი — გამოვიდოდა საცეკვაო მოედანზე, წამოიწყებდა სიმღერას და მუხლურა სვლით მოძრაობდა წრეზე, დანარჩენები (მეორე, მესამე და ა.შ) ბანის თქმითა და იმავე მუხლურა სვლით უკან მიჰყვებოდნენ. დამწყებს სიმღერას მეორე ჩამოართმევდა, შემდეგ — მესამე... ხან ერთი, ხან მეორე რიგრიგო-

ბით ასრულებდა სიმღერის დამწყების როლს.

ცეკვის დასაწყისში მამაკაცთა ხელები განზეა გაშლილი (ქვეგანმკლავი) და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ოდნავ დაეშვება ქვემოთ. მუხლის სახსარში ფეხის მოხრასთან ერთად კი ისევ ზეაინევა — უბრუნდება საწყის მდგომარეობას. ასეთი სვლით მამაკაცები მოძრაობენ საერთო წრეში, შემდეგ ცვლიან ადგილებს. მოცეკვავენი ან ერთმანეთის მიყოლებით მკლავებგაშლილი ცეკვავენ, ან მკლავებგადახვეულები მოძრაობენ ხან მარჯვნივ, ხან — მარცხნივ. მიმართულება იცვლება ფეხის რამდენიმეჯერ დაკვრითა და ფეხცვლით. სიმღერა-ცეკვა მთავრდება შეძახილით — გაუმარჯოს!

ფშაურ „სამაიას“ უმამაკაცებოდ ქალებიც ცეკვავენ, იმ განსხვავებით, რომ ისინი „მუხლურა სვლის“ ნაცვლად „ტერფულას“ ან „სადა სრიალა წინსვლას“ ასრულებდნენ.

დავით თურმანაულის გადმოცემით, „ფშაურ სამაიას“ ასრულებდნენ გუდამაყრელი მთიულებიც და ხევსურებიც:

სამაია სამთაგანა არ იქნება ორთაგანა.
სამაიას ჩამოუვლი კაცი ნაბადჭავლიანი (ბენვიანი),
სამათურის გზა მასწავლეთ, სოფელ მიქეს ქალიანი,
იქ ქალებ ვერა დავხელე (ვნახე), ბებრებ იყო ტყავიანი...
გაუმარჯოს!

„სამაია“ გაშირების ფორმისა იყო, ასრულებდნენ ხატობაში, ქორწილში, დღეობებსა და ღრეობებში.

გიორგი გრიგოლიშვილმა 1949 წელს წითელწყაროს რაიონის (დედოფლისწყარო) სოფელ ქედში ლევან ლუკას ძე პაპიაშვილისაგან ჩაინერა „სამაიას“ საინტერესო ტექსტი:

ნამოე სალაშაროდა,
ორ ქალთ შუაზე ვიჯდოდი,
საცა ბუზიკა აჩქამდის,
უნინ მე გადმოვფრინდოდი,
ულიდი სამაიასა,
ბეჭებში მავიჩიკოდი,
ჩემ ნიქარაჲ ყვიროდა,
მე რო საბძელსა ვხდიდოდი,
შავხდოდი კირცხილაზედა,
დაჰქროლის, დავიჭიხვოდი,
რა ვქენ ამ დასაკარგავმა,
რად არ მთვარეშიც ვთიბოდი.
თუ კიდევ ლაშარს ნავიდე,
გამინყრეს, დავიფიცოდი.“

ტექსტიდან ჩანს, რომ ლაშარის ჯვრის დღესასწაულზე ერთი მამაკაციც კი უვლიდა სამაიას „ბუზიკით.“ ის ისე გაერთო ცეკვა-თამაშით, თავისი ნიქარასათვის თივა ვერ დაამზადა და ზამთარში საბძლის სახურავის აყრა-გადახდა დასჭირდა მის გამოსაკვებად. მან იმდენი იცეკვა და ითამაშა, ლაშარის ჯვრის დღესასწაულზე ნაცეკვ-ნათამაშევი სანანებლად გაუხდა – რატომ მთვარეში არ ვთიბავდიო — და დაიფიცა: მომავალში ლაშარის ჯვრის დღესასწაულზე არ წავალო.

ამ ლექსში სამაია შეიძლება გავიგოთ არა როგორც ცეკვა „სამაიას“ აღმნიშვნელი ტერმინი, არამედ ზოგადად ცეკვა-თამაშის მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა.

სამაიას განზოგადებას ადასტურებს აჭარაში დღესაც არსებული გამოთქმა — ისამე — იცეკვე, სამა არ ვიცი და სხვა.

ბოლოს შეიძლება დავასკვნათ: საფერხულო და საფერხისო წყობის ერთ-ერთი სახის ცეკვა სამაია, შუმპარისა და ცეკვის მსგავსად, იმდენად გავრცელდა საქართველოში, რომ იგი როკის ზოგად სახელწოდებად იქცა.

დღეისათვის ჩვენში გავრცელებული „სამაია“ შექმნილია სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის ფრესკიდან მხატვარ გაგარინის მიერ XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გადმოღებული ნახატის მიხედვით. გაგარინმა გადმოხატა მხოლოდ სამი ქალის ცეკვა. შემდეგ იგივე გაიმეორეს მხატვრებმა

— ივანე ფსკოვიტინოვმა და შალვა ქიქოძემ. შეიქმნა აზრი: სვეტიცხოვლის ფრესკაზე გამოხატული სამი ქალის ცეკვა „სამაია“ არის!

შალვა ამირანაშვილის სამართლიანი შენიშვნით, „გაგარინის სურათები დაშორებული არიან დედნების სტილს, მეტიც, გაგარინის მიერ სვეტიცხოვლის ფრესკიდან გადმოღებული ნახატი გამოგვიცემს საერთო კომპოზიციიდან გაუმართლებლად ამოგლეჯილ სამ ფიგურას, რამაც მცდარი წარმოდგენა დახატა ფრესკის შინაარსის შესახებ...“

დომიტრი ჯანელიძის განმარტებით, ფსალმუნის ტექსტის საფუძველზე, ფრესკის ავტორს საშუალება მისცემია, ტაძრის კედელზე აესახა არა „სამაია“ სამი ქალის შესრულებით, არამედ ძველი ქართული საერო სანახაობანი... მხატვარს გამოუხატავს ძნობით ქება, რომელსაც ოცდაორი ქალი ასრულებს.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ძნობა და ძნობარი უძველეს ხანაში სარწმუნოებრივი ცეკვების აღმასრულებელ გუნდებსა და მოცეკვავეებს გულისხმობდა.

დღეისათვის ჩვენში გავრცელებული „სამაია“, სამი ქალის ან უფრო მეტის მონაწილეობით, შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ.

ქალთა „სამაიას“ ტექნოლოგიური მასალა — ძირითადი სვლები და ხელების მოძრაობა-მდგომარეობა: ნაზურა სვლა, ქუსლცერმოქნევით გვერდზე სვლა, ფეხმოქნევით ბრუნი... ხელების მდგომარეობათა ცვლა III პოზიციაში, ხელების ზეირიბი და ირმულა მდგომარეობა და სხვა.

შუშპარი

„შუშპარი“ უძველესი საფერხულო წყობის ცეკვად უნდა მივიჩნიოთ. სულხან-საბას განმარტებით, შუშპარი, როგორც სამა, როკვის ერთ-ერთი სახეობაა. როკვა — სამა, ცეკვა და მისთანანი; სამა — როკვა შუშპარი.

ნიკო მარს შუშპარი თუბალ-კაინური წარმოშობის სიტყვად მიაჩნია: შუშ — თუბალ-კაინური — თუთ, რაც ნიშნავს მთვარეს, თრთოლვას, მოძრაობას. პარ — ფერხულს. ე.ი. ცეკვა „შუშპარი“ უძველესი ფერხულია, რომელსაც მთვარის პატივსაცემად ასრულებენ. დროთა განმავლობაში „შუშპარმა“ დაკარგა საკუთრივ მთვარის ფერხულის მნიშვნელობა და ცეკვის ზოგად სახელად იქცა.

პირდაპირ იჯდა ხელმწიფე,
სჭვრეტდა მნათობთა კრებულსა,
მუტრიბს ამღერებს, აშუშპრებს
კეკლუც ქალს ხელმოღებულსა...

(არჩილიანი, XVII ს. ამ შემთხვევაში მუტრიბი ჩანგზე დამკვრელი ქალია).

შუშპარის ზოგად ტერმინად გადაქცევას ადასტურებს სვანური ფერხულის — „იავ ქალთის“ ტექსტიც:

იავ ქალთი ბებუცია,
სოფელ ქალთი შუშპარია...“

რაც ნიშნავს: სოფელი ქალთი მოცეკვავეა, მხიარულია.

ნიკო მარი შემდეგნაირად აღწერს სვანურ ფერხულ-თამაშობა „შუშპარს“:

„ათი ქალი და დაახლოებით ოცი მამაკაცი მწკრივს ქმნის და შეწყობით ტაშს უკრავს. სიმღერას ასრულებს, როგორც ყოველთვის, ორ გუნდად გაყოფილი, მწკრივად გაშლილი ან წრედ შეკრული ფერხული. ამ მწკრივის, თუ წრის შიგნით, ხან ერთი და ხან კიდევ ორი მოთამაშე ცეკვავს — ქალი მამაკაცის თანხლებით.“

სვანეთში დღესაც ლხინში ცეკვა-თამაშს „შუშპარს“ უწოდებენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ: მთვარისადმი მიძღვნილი უძველესი ცეკვა „შუშპარი“ იმდენად გავრცელდა საქართველოში, რომ მისი სახელწოდება ცეკვა-თამაშის ზოგად სახელად იქცა.

ქალთა მასობრივი ცეკვა „შუშპარი“ პირველად დავით ჯავრიშვილმა დადგა:

მოცეკვავე ქალთა ოთხი პატარა ჯგუფი სხვადასხვა მხრიდან შემოდის სცენაზე, წრიულად

დადგება და ერთი მიმართულებით მოძრაობს. შემდეგ რკალურად განლაგდებიან ორმწკრივად. შემოდის და ცეკვავს სოლისტი ქალი. დასასრულ, ყველა ერთად ჩაებმება საერთო ფერხულში და ცეკვა მთავრდება მეფერხულეთა პირამიდისებურ სტატიკურ მდგომარეობაში.

დავით ჯავრიშვილმა ცეკვა „შუშპარში“ გამოიყენა შემდეგი ტექნოლოგიური მასალა: ნაზურა სვლა, ფეხჭდობილი სვლა, სვლა ერგცერის დაკვრით, ბრუნის ფეხმოქნევით და სხვა. ხელების მდგომარეობათა ცვლა მეორე და მესამე პოზიციაში, ხელების მკერდდახურული მდგომარეობიდან დაქნევით (პირველ პოზიციაზე გავლით) ირმულა მდგომარეობაში მოყვანა შიდა და გარე წრეებით (ერთგვარად და ნაირგვარად), მკლავების მოძრაობა ხელსართავებით მკერდდახურული მდგომარეობიდან პირველ პოზიციამდე და პირიქით; ერგბუქნით ფეხის წინ გატანასთან ერთად ხელების განაშლილი მდგომარეობიდან სართავებით ირმულა მდგომარეობაში მოყვანა და სხვა.

მთიულური

ცეკვა **მთიულურს** განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ქორეოგრაფიაში. მიუხედავად იმისა, რომ „მთიულური“ მთიულეთის ცეკვაა, ზოგიერთი ქორეოგრაფი საქართველოს მთიანეთის ცეკვებსაც „მთიულურს“ უწოდებს, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია — მთის ცეკვები ზოგადად მთიელთა ცეკვებად უნდა იწოდებოდეს...

„მთიულურში“ თავმოყრილია რთული, მდიდარი და მრავალფეროვანი საცეკვაო ტექნოლოგიური მასალა — შერწყმული ვაჟკაცურ სილამაზესა და გმირულ სულისკვეთებასთან. „მთიულური“ მთელი სისავსით გამოხატავს ქართველი კაცის ტემპერამენტს, სისხარტესა და მოქნილობას. ამიტომაც უჭირავს თანამედროვე ქორეოგრაფიული ანსამბლების რეპერტუარში მთიულური ცეკვების მრავალფეროვან ვარიანტებს განსაკუთრებული ადგილი.

მთიულურმა ცეკვებმა, დანარჩენი ქართული ცეკვებივით, თითქმის უცვლელად შეინარჩუნა უძველესი ისტორიული საფუძველი და თავისი პირვანდელი სახე.

დიმიტრი ჯანელიძე დავით ჯავრიშვილის „მთიულური ცეკვების“ სარედაქციო წერილში წერს: „მთიანეთი გადაქცეული იყო ცოცხალ მუზეუმად, სადაც ერთი მხრივ, თითქმის უცვლელად იყო შენახული ხალხური ცეკვების ნაკლებად განვითარებული საწყისი სახეობანი, და მეორე მხრივ — თავს იჩენდნენ ყველაზე პროგრესული შინაარსისა და ტექნიკურად განვითარებული ფორმები ქორეოგრაფიული ხალხური კულტურისა...“ (დავით ჯავრიშვილი, მთიულური ცეკვები, თბ. 1953, გვ.15).

თავად დავით ჯავრიშვილი ასე ახასიათებს მთიელთა ცეკვებს: „მთიელთა ცეკვების სტილის ჩამოყალიბებაზე მოქმედებდა სხვადასხვა ფაქტორი: სოციალური, ეკონომიკური და ყოფითი პირობები, ადგილმდებარეობა და ჰავა, ზოგადი კულტურისა და განათლების დონე, ჩაცმულობა, წესჩვეულებები და სხვა. ამიტომ მთიელთა ცეკვები არა მარტო ბარის ცეკვებისაგან განსხვავდება, არამედ თვით მთის სხვადასხვა კუთხის ცეკვებიც განსხვავებულია. მაგრამ რამდენადაც უნდა განსხვავდებოდეს მთისა და ბარის ცეკვები ერთმანეთისაგან, ცეკვების ზოგადი მოხაზულობა მაინც ერთსა და იმავე საფუძველს ეყრდნობა. ბარისა და მთის ტექნოლოგიურ მასალას შორის განმასხვავებელი ფაქტორებისაგან განსაკუთრებით გამოსაყოფია ადგილმდებარეობა და სამოსი. მთიელის მოძრაობა უფრო სხარტია და მოქნილი: „ავილოთ სრულიად ბუნებრივი მოძრაობა — სიარული, როგორც იტყვიან, ცეკვის სავსებით მარტივი, მაგრამ პირველი ელემენტი. შევხედოთ, თუ როგორია მთიელის და ბარში მცხოვრების სიარული: მთიელის ნაბიჯი სხარტია, მსუბუქი, სხეულის სიმძიმის ფეხიდან ფეხზე გადანაცვლება ტერფის წინა ნაწილებზე ხდება, ნაბიჯი მოკლეა და უფრო ხშირი. ბარის მცხოვრების ნაბიჯი მძიმეა, სხეულის სიმძიმის გადანაცვლება ფეხიდან ფეხზე ტერფის „გადაგორებით“ ხდება, ნაბიჯი (ქუსლიდან) უფრო განიერია და დინჯი...“

ადგილმდებარეობა განსაზღვრავს ტანთჩაცმულობას, რომელიც თავისებურ გავლენას ახდენს ილეთთა წარმოშობა-განვითარებაზე: მთაში გრძელი სამოსი მოუხერხებელი იყო და ამან განაპირობა მისი დამოკლება. „გათავისუფლებულ“ ქვედა კიდურებს კი მეტი საშუალება მიეცათ სხარტი და ლალი მოძრაობებისა და თავისუფალი ხტომების, ნაირფეროვანი სვლებისა და ჩაკვრების, ცერილეთებისა და მუხლილეთების შესასრულებლად.

ცერებზე ცეკვა დამახასიათებელია საქართველოს მთიელებისათვის. მთიანმა რელიეფმა მამაკაცებს გამოუმუშავა ფეხის ტერფის წინა ნაწილზე (ფეხის წვერებზე) სიარულის ჩვევა, რაც ცეკვაშიც აისახა. მსუბუქი და ადვილად მოსახმარი ტანსაცმელი, განსაკუთრებით ფეხსაცმელი (წულა-მესტი), ცეკვის ზოგიერთი ილეთის შესრულებისას მაღალი ერგცერებიდან ცერებზე გადასვლის საშუალებ-

ბას იძლევა. ამ გარემოებამ კი ჩვენს წინაპრებს საშუალება მისცა ცერილეთის მრავალი სახეობა შეექმნა და განევითარებინა. ცერილეთების წარმოშობის მიზეზთა შორის გასათვალისწინებელია მთიელთა ტემპერამენტი, სისხარტე, სილაღე და შესრულების მაღალი ტემპი (დავით ჯავრიშვილი „მთიულური ცეკვები,“ 1953, გვ.15).

მთიულური ცეკვები სრულდება ქალ-ვაჟთა ან ვაჟთა მიერ. ქალ-ვაჟთა მთიულური ცეკვები სატრფი-ალო ხასიათისაა, ვაჟთა — შეჯიბრებისა: ერთმანეთს ეჯიბრებიან იღეთთა ლამაზად შესრულებასა და ნაირფეროვნებაში, სისხარტესა და მოქნილობაში. მთიულური ცეკვების ხალხური ვარიანტი ცალად ან წყვილად ცეკვას გულისხმობს, სასცენო — შემსრულებელთა განუსაზღვრელ რაოდენობას.

„მთიულურის“ ნაირსახეობაა „შეჯიბრი,“ „შეჯიბრისა“ — „მხედრული.“

ცეკვა „შეჯიბრი“ ორ მხარეს შორის მართლაც შეჯიბრებაა. მონაწილეობენ მხოლოდ ვაჟები. მასობრივად — ორ ჯგუფად — შესრულებულ „შეჯიბრს“ წინამძღოლიც ორი ჰყავს. ცეკვას ჯერ მეთაურები იწყებენ: შეარჩევენ თავიანთ სწორებს და დანარჩენებიც ჩაებმებიან საერთო შეჯიბრებაში. მასობრივი ცეკვის დამთავრების შემდეგ ცალკეული წყვილი ეჯიბრება ერთმანეთს. ბოლოს ყველა ერთად საზეიმოდ ცეკვავს.

„მხედრულში“ ვაჟები (რაოდენობა განუსაზღვრელია) ერთმანეთს ეჯიბრებიან მხედრობასა და ხმლის ოსტატურად ხმარებაში. ცეკვაში გამოყენებულია მთიულური ცეკვის ურთულესი იღეთები: ბრუნვები, ხტომები, ცერილეთები და მუხლილეთები.

ვაჟთა მასობრივი ცეკვა „მხედრული“ პირველად საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა დადგა.

ტექნოლოგიური მასალა

ინსკლაპი

- სადა მუხლურა
- მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით
- მუხლურა წვივმოქნევით
- ფრენმუხლურა
- რთულა
- ქდობილი
- ქდობხტომილი
- ქრიალა...

ჩაკვრები

- სადა ჩაკვრა
- წვივქნევჩაკვრა
- დახურული ჩაკვრა
- გახსნილი ჩაკვრა
- ფეხშლილი ჩაკვრა
- ქდობილი ჩაკვრა
- ხლართულა ჩაკვრა
- განბიჯით ჩაკვრა
- განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა
- ქრილი ჩაკვრა
- ტყუპცერჩაკვრა...

ცერილეთები

- ტყუპცერშედგომი
- ცალ ცერზე შედგომი
- ფეხშლილი ცერდგომი
- ცერებზე ბრუნი

- ცალ ცერზე ბრუნი
- ცერებზე სვლა
- ცერებზე ხტომი
- ცალ ცერზე ხტომი...

მთიულური ცეკვებისათვის დამახასიათებელია მაღალი ხარისხის ტექნოლოგიური მასალა, ხელებისა და ფეხების ლალი, სხარტი მოძრაობები. ამიტომაც მეტი საშუალებაა ცეკვის ტექნიკური მხარის გასავითარებლად. მიუხედავად ამისა, მთიულურ ცეკვებში „სიახლის“ შეტანას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეყიდოთ. ტექნიკური მხარე უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ცეკვის „სისხლძარღვს“ — შინაგან განცდებს, გრძნობებს და ემოციებს. ყოველი გართულებული ახალი ილეთი უნდა დაიბადოს არსებულის, ძველი ხალხური საცეკვაო ილეთების, საფუძველზე და საკუთარ ინტერპრეტაციასთან ერთად ყურადღება მიექცეს მთიულური ცეკვების შესრულების დამკვიდრებულ მანერას.

დაუშვებელია: მშრალი ტექნიკით გატაცება — მოცეკვავე ცდილობს გაართულოს მუხლილეთების ნაერთები და ამით გარეგნული ეფექტი შექმნას. ზოგჯერ მთიულურ ცეკვებში შეაქვთ ქართული ცეკვებისათვის სრულიად უცხო ელემენტები (კლასიკური ცეკვისა ც კი), რაც დიდ ზიანს აყენებს ქართულ ცეკვას, უკარგავს შნოსა და ლაზათს და საბოლოოდ სრულიად გაანადგურებს მას.

ქორეოგრაფთა რთული ილეთებით გატაცება ზღუდავს მოცეკვავეს და მძიმე მდგომარეობაში აყენებს. შემსრულებელიც და მაყურებელიც ერთად იტანჯება. საბოლოოდ, მაყურებელი კმაყოფილია იმით, რომ მოცეკვავემ თავი დააღწია „გაჭირვებას“ და აღტაცებული უკრავს ტაშს.

ქართული ცეკვებისათვის სრულიად უცხოა, შეუფერებელია ყიჟინა-ყვირილი. ზოგს ვერ განუსხვავებია ერთმანეთისაგან შინაგანი განცდით ნამოძახილი და უაზრო ყვირილი, ამიტომ საჭიროა თუ არა, ყველა ერთად ყვირის. მთიულური ცეკვა ზოგჯერ აკრობატიკას მოგვაგონებს, ზოგჯერ — ჩხუბს. თუ „ნოვატორებს“ ამის უფლებას მივცემთ, მალე მაღალი კულტურის, ტრადიციებისა და ჩვეულებების მქონე ქართული ცეკვა უაზრო, შლეგურ როკვას დაემსგავსება.

გარეგნულ სანახაობაზე აქცენტის გადატანა დაბალი გემოვნებისა და ეფექტებით გატაცებული მაყურებლის ბრალიცაა, მაგრამ ეს სრულიად არ ამართლებს ხელოვანს.

მონხეური // ყაზბეგური

ცეკვა „მონხეური“, „მთიულურის“ მსგავსად, სხვა ქართული ხალხური ცეკვებისაგან შესრულების თავისებურებით გამოირჩევა: მოქნილობით, სისხარტით, განსაკუთრებული სილალითა და ვაჟკაცური იერით. თუ ცეკვა „ქართულში“ ინიციატივა ქალის მხარეზეა და ვაჟი მხოლოდ მის სურვილს ემორჩილება, „მონხეურში“ ვაჟია „მბრძანებელი.“ თუმცა გამორიცხული არაა ცეკვაში ქალის და-მოუკიდებელი ფანდიც.

„მონხეური“ სატრფიალო ცეკვაა. ცეკვას იწყებს ვაჟი, მას თავი ამაყად უჭირავს. იგი ჯერ „ქუსლგადაგორებით“ და შემდეგ „მუხლურა სვლით“ მოძრაობს წრეზე და მოედნის შუაში ასრულებს რამდენიმე ჩაკვრას (თითქოს თავს აწონებს ქალს). „ჩაკვრითი ბრუნის“ შესრულების შემდეგ გაემართება ქალისაკენ და თავის დახრით საცეკვაოდ გამოინვევს. ქალი მიიღებს გამოწვევას და „გომანი სვლით“ მოძრაობს წრეზე. ვაჟი ქორივით მისდევს მას. ქალ-ვაჟი ხან შორდება ერთმანეთს, ხან — უახლოვდება. ქალთან ცეკვისას ვაჟი უფრო მეტად იყენებს ჩაკვრით სვლებს. ერთ შემთხვევაში ვაჟი ერთ მხარეს დაიჭერს, ქალი – მეორეს. ამ დროს ისინი ხან ერთი მიმართულებით მოძრაობენ, ხანაც — სანინალმდეგო. მიმართულების შეცვლას ქალს ვაჟი ანიშნებს მკლავის მოქნევითა და ნახევარი ბრუნით. შემდეგ ქალ-ვაჟი ისევ დაუახლოვდება ერთმანეთს და მოედნის შუაში ჩაკვრითა და ბრუნით ცვლიან ადგილებს. ვაჟი ცენტრში ცალ მუხლზე ჩაიმუხლებს და უკან გადაზნექილი, მხრების თამაშით თვალს არ აშორებს თავის გარშემო მოძრავ ქალს. ქალ-ვაჟი ისევ ერთად უვლის წრეს, ამ დროს ვაჟი რამდენიმეჯერ გადაუჭრის ქალს გზას. საბოლოოდ ქალი დაუსხლტება ვაჟს და მოედნის შუაში, თითქოს გამარჯვებას ზეიმობსო, ხელებგაშლილი ასრულებს ადგილზე ბრუნს. ვაჟი ცენტრში სხარ-

ტად ასრულებს ჩაკვრას. დასასრულ, მუსიკის ბოლო ტაქტზე, ვაჟი ცალ მუხლზე დაეშვება, ქალი კი ხელებგამოღობილი (მანდილის ნვერი ორივე ხელში უჭირავს) დგება მაყურებლისკენ.

„მოხეური,“ „მთიულურთან“ შედარებით, უფრო ნელა, საშუალო ტემპში იცეკვება. ნაკლებად ახასიათებს ცერ-ილეთები და მუხლ-ილეთები, ჭარბობს ჭრილი და ხლართულა ჩაკვრების სხვადასხვა ვარიანტი. „მოხეური“ ქალ-ვაჟის გარდა შეიძლება შეასრულონ ცალ-ცალკე — ვაჟებმა და ქალებმა. ცეკვაში შეიძლება მონაწილეობდეს ერთი, ან რამდენიმე წყვილი, მთელი ჯგუფი და მასა. მხოლოდ ვაჟების მიერ შესრულებული „მოხეური“ შეჯიბრების ხასიათისაა.

მართალია, ქალ-ვაჟთა „მოხეურში“ ვაჟია ცეკვაში „მბრძანებელი,“ ქალთან დამოკიდებულებაში იგი მოკრძალებული და თავაზიანია.

1967 წელს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ ფესტივალზე ყაზბეგის რაიონმა წარმოადგინა მოხეური ცეკვის თავისებური ვარიანტი: ცეკვას ასრულებდა ქალ-ვაჟთა ორი წყვილი გაშირებით — ხან შაირს ეტყოდნენ ერთმანეთს, ხან კი ცეკვით გამოხატავდნენ ერთმანეთისადმი ტრფიალს.

ხევში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, არსებობს ქალთა ცეკვა – **ქალთა ლხინის** სახელით. ქვემოთ მოგვყავს ჩვენ მიერ ნანახი და ჩანერილი მოხევე ქალთა ლხინი ლომისის ჯვრის დღესასწაულზე მღეთაში, 1967 წელს:

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ტაშის ცემამ და მხიარულმა წამოძახილმა. ღრეობდნენ შუა ხნის მოხევე ქალები — ცეკვა-თამაში მოსწყურებოდათ და ლხინი გაეჩაღებინათ. ყველანი წრიულად განლაგდნენ და ტაშს უკრავდნენ (ცეკვის მუსიკალური აკომპანემენტი მხოლოდ ტაში იყო). წრეში გამოვიდა ერთი ქალი ვაჟური ცეკვის მანერით, შემოუარა წრეს და ქალი გამოიპატიჟა. ჯერ ერთი ქალი აცეკვა, შემდეგ მეორე, მესამე და, როდესაც დაიღალა, ერთ-ერთ ქალს სთხოვა შეეცვალა და ვაჟის მაგივრობა გაენია. ახლა სხვამ იკისრა მამაკაცის როლი და რამდენიმე ქალი ათამაშა. ასე რიგრიგობით ცვლიდნენ ერთმანეთს მამაკაცის როლის შემსრულებლები და თითოეული რამდენიმეჯერ მონაწილეობდა ცეკვა-თამაშში. ქალთა ლხინისათვის ხელი რომ არ შეეშალათ, მამაკაცები მოშორებით დადგნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს ქალების ცეკვა-თამაშს.

ტექნოლოგიური მასალა

- ქუსლგადაგორებით წინსვლა
- მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით
- მოხეური რთულა
- მოხეური ქრიალა
- ქუსლდაკვრითი უკუსვლა
- ხლართულა ჩაკვრა
- ჭრილი ჩაკვრა
- ტერფდაკვრით ცერშედგომი
- ცერდაკვრით ჭდობილი გვერდზე სვლა...

ფარიკაობა

ცეკვა **ფარიკაობას** საფუძვლად ხევესურული **კეჭნაობა** (ხმალში ვარჯიში, შეჯიბრება) უდევს. „ფარიკაობაში“ ორი ვაჟკაცის თავგანწირული ბრძოლის მიზეზი ერთი ქალის სიყვარულია: გოგონა გამოდის ვაჟთან შესახვედრად, მალე ვაჟიც შემორბის... გახარებული ქალ-ვაჟი ლაღობს და ცეკვავს. მოულოდნელად შემოდის მეორე ვაჟი და ხმალში გამოიწვევს პირველს. შეცბუნებული და შეშინებული ქალი ტოვებს მოედანს. შემოდის ვაჟთა ორი ჯგუფი და პირისპირ — პირველი და მეორე ვაჟის მხარეს — დგება. იწყება ბრძოლა... შემდეგ წყვილები ცალ-ცალკე ცდიან ერთმანეთს. ბოლოს პირველი და მეორე ვაჟი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლებიან ერთმანეთს. შერკინება საერთო ბრძოლაში გადადის. ცეკვის დასკვნით ნაწილში ქალი ან ქალთა ჯგუფი მანდილს აგდებს

მებრძოლთა შორის და ცეკვაც მთავრდება.

ცეკვა „ფარიკაობა“ ტრადიციულ წესს ეყრდნობა. „კეჭნაობის“ დროს ფარ-ხმალი მებრძოლებს ერთად უჭირავთ (ფარი წინ და ხმალი — უკან. ასევე ხან ერთ მუხლზე ჩაიმუხლებენ, ხან — მეორეზე). „კეჭნაობისას“ დასაშვებია მსუბუქი ჭრილობის მიყენება. დაუშვებელია „კეჭნაობის“ წესის დარღვევა — ჩხუბი და ხმლის ისე დაკვრა, რომ მოწინააღმდეგე მძიმედ დაიჭრას. ასეთი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ხევსურეთში არსებობს მკაცრი წესი: „კეჭნაობის“ დამრღვევი ისჯება (ჯარიმდება) იმდენი სული საქონლით — ცხვრითა და ძროხით — რამდენი ქერის მარცვალს მოთავსდება ჭრილობაში.

„ფარიკაობაში“, „კეჭნაობისაგან“ განსხვავებით, ნამდვილი ბრძოლაა. დაშვებულია ყოველგვარი ხერხი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. მაგრამ აქაც მოქმედებს მტკიცედ დადგენილი ტრადიციული წესი: ბრძოლა შეიძლება მხოლოდ თანაბარი იარაღით, უიარალო მოწინააღმდეგეს ხმალს არ დაჰკრავენ, ასევე დაუშვებელია ზურგით მდგარი მოწინააღმდეგისათვის ჩუმად ლახვრის ჩაცემა (წესისამებრ, თავდამსხმელი შეეხმიანება მოწინააღმდეგეს, თავისკენ შემოაბრუნებს და ამის შემდეგ შეებრძოლება მას). დაუშვებელია ასევე ნაქცეულზე ხმლის დაკვრა.

ხევსურეთში ცეკვა ნაკლებად იყო განვითარებული და ამიტომაც „ფარიკაობაში“ გამოიყენება მთიულური ცეკვისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური მასალა.

კინტოური და ყარაჩოლული

კინტოური და ყარაჩოლული ცეკვები XIX საუკუნის თბილისის ქალაქური ფოლკლორის კუთვნილებაა. კინტო თბილისსა და გორში ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე წვრილი ვაჭარი იყო (ავტორი ხმარობს ხან კინტოურს, ხან — კინტაურს. ჩვენც უცვლელად ვტოვებთ — რედ.).

ალექსიალექსიდისაზრით, „კინტო“ „კენტიდან“ (მარტოხელა, ობოლი) წარმოდგება, ყარაჩოლელი — ყარაჩოხელისაგან (შავჩოხიანი). ყარაჩოხელები ერეკლე მეფეს ასპინძის ბრძოლაში ხლებიან. თავისებური, გამორჩეული ჩაცმულობის გამო თურქებს მათთვის ყარაჩოხელები — შავჩოხიანები შეურქმევიათ.

ყარაჩოლელები ხელოსნები იყვნენ. ისინი ლუკმაპურს თავიანთი მარჯვენით, პატიოსანი შრომითა და ოფლით შოულობდნენ. კინტოსა და ყარაჩოლელს შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ მათი გაიგივება დაუშვებელია.

იოსებ გრიშაშვილი „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ ამომწურავად ახასიათებს მათ: „ხშირად კინტოსა და ყარაჩოლელს ერთმანეთში ურევენ. ჩვენ, ძველი თბილისის სინდისის შენარჩუნებისათვის, ამ ორ ტიპს განვაცალკევებთ.

კინტო და ყარაჩოლელი სხვადასხვა ჯურის ხალხია. კინტო უკანასკნელი დროის მცხოვრები, გაქსუებული, დაღლარა, თახსირი, ერთი სიტყვით, კინტო ყარაჩოლელების გადაგვარებული მოდგმაა. ყარაჩოლელი დარბაისელია, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი რაინდი. კინტო თვალმანკიერია და გულხენეში. კინტო ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელშიაც ვაჟკაცური ელემენტი ძალიან ნაკლებადაა.

ყარაჩოლელი გარეგნულად წარმოსადეგი პიროვნებაა, მხარბეჭიანი, ბრგე და პირბუდალი...

კინტო ნიშნავს კინწით, კისრით თაბახის მზიდველს (კვინტი ძველებურად კუდიანსაც ნიშნავდა...).

ყარაჩოლელის მუსიკა დუდუკია.

კინტოსი — არღანი.

ყარაჩოლელი ძველი თბილისის ძველი თაობაა...

კინტო კი შექმნილია ბაზრის ნიაღში, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო. იგი ნალექია ყარაჩოლელთა ოჯახისა, გაზრდილი ქუჩებსა და სამორინეებში. კინტო, როგორც ცუდლუტი, მცირე უნარის და მცირე მოთხოვნილების პატრონი, კმაყოფილდება ორგროშიანი მოგებით, რომელსაც დიდხანს ჯიბეში არც კი იჩერებს...”

კინტო და ყარაჩოლელი ცეკვითაც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც საქმიანობით.

ყარაჩოლელი ცეკვაშიც დინჯია და თავდაჭერილი, დარბაისელი და რაინდი. მას არ ახასიათებს კინტოსავით კუნტრუში.

კინტო, თავზე თაბახმემოდგმული ქურჩა-ქურჩა მოხეტიალე გადამყიდველი ვაჭარი, როგორც იოსებ გრიშაშვილი ახასიათებს, დაღლარაა და თახსირი. საქონლის გასასაღებლად ენაწყლიანი და ჭკუამახვილი, რაც თავისებურად გამოიხატება მის ცეკვაშიც.

„ყარაჩოლულისა“ და „კინტოურის“ საცეკვაო ტექნოლოგიაში მსგავსებასთან ერთად თვისობრივი განსხვავებაცაა: ყარაჩოლულის ცეკვაში ჭარბობს დინჯი, გასმისებური მოძრაობები. კინტოურში — ჩაკვრები, ბუქნები და ხტომები.

„კინტოური“ ქართული ცეკვების ილეთებს ეფუძნება, მაგრამ მან დროთა ვითარებაში შეითვისა ძველი თბილისის სხვადასხვა ეთნოსის ცეკვის ზოგიერთი ილეთი: კინტოური ცეკვის ერთ-ერთი სვლა — ფეხის ჯერ უკუ, შემდეგ წინგაქნევი, „მაზურკის“ (მაზურთა. პოლ. მაზურეკ. რედ.) ძირითად სვლას მოგვაგონებს. კინტოსათვის თარფის (მონწული ლანკანი, მძიმე თაბახი) მეშვეობით, ყველა წვეულების კარი ღია იყო და, ცხადია, არც იმ დროის მაღალ საზოგადოებაში გავრცელებული ცეკვის, „მაზურკის“ გაშარჟებული კოპირებაა შემთხვევითი.

„კინტოური“ და მისი შესრულების მანერა იმდენად თავისებურია, რომ იგი ნაკლებად წააგავს თავის წინამორბედს და სრულიად დამოუკიდებელი, ორიგინალური ცეკვაა.

„კინტოური“ და „ყარაჩოლული“ ცეკვები „ბაღდადურისა“ და „შალახოს“ სახელწოდებითაც გვხვდება. ტერმინი ბაღდადური ცეკვაში ბაღდადის (ხელმანდილის) გამოყენებას უკავშირდება. გადმოცემის მიხედვით, შალახო მამაკაცის მეტსახელი უნდა იყოს.

კინტოურ და ყარაჩოლულ ცეკვებს ასრულებს მხოლოდ მამაკაცი (ხალხურ ვარიანტში — ერთი ან ორი; სცენურში, ქორეოგრაფის ჩანაფიქრის მიხედვით, მამაკაცთა განუსაზღვრელი რაოდენობა). ორი მამაკაცის მიერ ნაცეკვი კინტოური ურთიერთშეჯიბრების, დიალოგის ხასიათისაა და პანტომიმურ-კომიკური ჟესტებით სრულდება (იხ. დადგმული ცეკვები: ძველი თბილისის სურათები).

ოსური ცეკვები

ოსურ ცეკვებს ახასიათებთ თავდაჭერილობა, სიღარბაისლე და სინარნარე.

ოსური ხალხური ცეკვებიდან დღეისათვის გავრცელებულია: „სიმღი“, „ხონგა ქავთ“ — „მიპატიჟება“ და „ზილგა.“

მ. ტუგანოვი „ოსურ ცეკვებში“ (სტალინირი, 1957 წელი) აღნიშნავს, რომ ოსური ცეკვათაგან შედარებით უძველესია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი, ღვთაება **ვაცილას** კულტთან დაკავშირებული ცეკვა „**ცოპაჲ**.“

ამ ცეკვის წარმოშობა იმ დროს უკავშირდება, როდესაც ჭექა-ქუხილი ადამიანს შიშს ჰგვრიდა. ღვთაებრივი ცეცხლით განგმირული განსაკუთრებულ ადამიანად ითვლებოდა და მისი დატირება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. პირიქით: ელვით მოკლულს ხანჯლით წრეს შემოავლებდნენ, რომლის იქით გადასვლა არავის შეეძლო. მთელი მოსახლეობა, უამინდობის მიუხედავად, შემთხვევის ადგილზე საკრავებითა და სიმღერით გამოვიდოდა, კრავდა უზარმაზარ წრეს და გარს უვლიდა მიცვალებულს. ელვით მოკლულის ადგილზე მიიყვანდნენ ორ გაუხედნავ მოზვერს, შეაბამდნენ უღელში, დადებდნენ ზედ მიცვალებულს და გაუშვებდნენ თავის ნებაზე. ხალხი ცეკვითა და სიმღერით უკან მისდევდა მათ. სადაც მოზვერები გაჩერდებოდნენ, იმ ადგილს მიიჩნევდნენ ელვით მოკლულის საფლავად. მიცვალებულს გადმოიღებდნენ, მიწაზე დადებდნენ და დააყრიდნენ ქვებს, რომლისაგანაც გორაკი წარმოიშობოდა. საფლავის ირგვლივ აკეთებდნენ ათი მეტრის დიამეტრის ქვის ღობეს და ამიერიდან მიცვალებულის ახლობლებისთვის ეს ადგილი წმინდა იყო: ყოველწლიურად მოყავდათ აქ შესაწირავად საქონელი, აწყობდნენ დღესასწაულს, ქეიფს, ლხინს, მაგრამ არა ქელეხს.

მ. ტუგანოვი აღწერს, როგორ ცეკვავდნენ მოკლულის ან მისი საფლავის გარშემო: მამაკაცები და ქალები მოძრაობდნენ წყვილებად ან ოთხ მწკრივად. თითოეულ მწკრივში მუსიკოსი უკრავდა ხემიან ფანდურს ან თორმეტსიმინ ჩანგს. მწკრივებში ერთ-ერთი წამოიწყებდა სიმღერას, დანარჩენები კი ბანს ეუბნებოდნენ — ოი, ალაჲ! ოი, ალაჲ! ცოპაჲ! და ა.შ. დასაფლავების შემდეგ წვიმისა და ჭექა-ქუხილის შეწყვეტა, ხალხის აზრით, ღვთის წყალობა იყო. მოსახლეობა საღამოს ცეკვა-თამაშით ბრუნდებოდა სახლში.

ს ი მ დ ი

სიმდი უძველესი ცეკვაა. მისი თავდაპირველი სახეობა, ჩვენი აზრით, უძველესი ქართული ორსართულიანი ფერხული **ზემყრელო** უნდა იყოს. „ზემყრელოს“ მსგავსი „სიმდი“ **ნართების სიმდის** სახელითაც არსებობდა. ეს სხვადასხვა წყაროთი დასტურდება: „შეიკრიბა ერთხელ ნართის ახალგაზრდობა სათამაშოდ. ჯერ დაინყეს დიდი „სიმდი“, ნართების საყვარელი თამაში... ამ ცეკვაში თავი გამოიჩინა ნართმა სოსლანმა. კარგად ცეკვავდა იგი მინაზე, მაგრამ არც ნართელი ჭაბუკების მხრებზე იცეკვა ნაკლებად.“

ბალაევის აზრით, საბრძოლო ხასიათის ორსართულიან „სიმდში“ ქალი მხოლოდ XIX საუკუნეში შევიდა. ამან კი „ნართების სიმდს“ შეუცვალა როგორც ფორმა, — ორსართულიანი „სიმდი“ ერთსართულიანად გადაიქცა, — ასევე შინაარსიც: საბრძოლო ცეკვა სატრფიალო გახდა.

მ. ტუგანოვი „ოსურ ცეკვებში“ განიხილავს „სიმდის“ ნაირსახეობას. გარდა „ნართების სიმდისა“, იგი აღწერს „თიმბილ სიმდს“ (წრიული სიმდი), „სიმდს ჩეფ(პ)ენას“ — ძველებურ სიმდს, „სიმდს სანდრაკს“ და სხვა.

„ნართების სიმდსა“ და „ჩეფ(პ)ენას“ მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ, „სიმდის“ დანარჩენ სახეობებში მონაწილეობდნენ მამაკაცებიც და ქალებიც.

„სიმდი“ მასობრივად სრულდება, მასში ქალ-ვაჟთა რაოდენობა თანაბარი და განუსაზღვრელია. ცეკვის დაწყებამდე ქალ-ვაჟნი ერთ მწკრივად დგანან: ვაჟთა შორის განლაგებული ქალებისათვის მამაკაცებს ხელკავი უკეთიათ. ძირითადი სვლა „გლუსუნა“ წინსვლაა, ასევე გამოყენებულია „ჭდობილი გვერდზე სვლის“ სხვადასხვა ვარიანტი.

„სიმდი“ ქალ-ვაჟთა შესრულებით სატრფიალო შინაარსის წყნარი, ლირიკული ცეკვების ჯგუფს მიეკუთვნება.

მ ი პ ა ტ ი ჟ ე ბ ა (ხონგა ქავთ)

„ხონგა ქავთ“, მ. ტუგანოვის აზრით, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში გავრცელდა და მისი წინამორბედი „დატაგუი ქავთი“ იყო. უფრო სწორად „დატაგუი ქავთისათვის“ დამახასიათებელი ჩაბუქვნები მუხლებგამართული ცეკვით შეიცვალა.

წყვილად ცეკვა „ხონგა ქავთს“ ქალ-ვაჟი ასრულებს. ეს ცეკვა ხალხში ორი წყვილითაც იცეკვებოდა. დღეისათვის „ხონგა ქავთს“, როგორც სასცენო-ხალხურ ცეკვას, ასრულებს ქალ-ვაჟი ან ქალ-ვაჟთა ჯგუფი (ცეკვა „ნარნარი“ „ხონგა ქავთის“ ნაირსახეობაა).

„ხონგა ქავთს“ ადრე „ქაშ-ქონ ქავთს“ ანუ ყაბარდოულ ცეკვას, უწოდებდნენ. თუ ყაბარდოულ ცეკვა „ყაფას“ ოსურ „ხონგა ქავთს“ შევადარებთ, ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ ხელების მოძრაობით განსხვავდება. ყაბარდოულში „ყაფა“ ცეკვის ზოგადი სახელია. ამის გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ხონგა ქავთი“ ყაბარდოული ცეკვის „ყაფას“ ოსური ვარიანტია.

ცეკვა „მიპატიჟებაში“ გამოიყენება: ფეხმიდგმითი სვლა ერგცერებზე (ფეხისმიდგმა ერგცერებზე სრიალით ყოველ მესამე სათვალავზე ხდება); მისაპატიჟებელი (ირიბი გადასვლები ფეხჭდობით) და ცერებზე სვლები.

ცეკვა „მიპატიჟების“ მეორე ნაწილში „ზილგას“ ცეკვავდნენ („მიპატიჟება“ — „ხონგა ქავთ“ იხილეთ დადგმულ ცეკვებში).

ზ ი ლ გ ა ქ ა ვ თ

ზილგა ქავთ წრეზე ცეკვას ნიშნავს (ზილგა — ტრიალი, ბრუნი) და მას მართლაც ქალ-ვაჟი წრიულად ასრულებს. ცეკვა ქორის მტრედზე თავდასხმას მოგვაგონებს — ვაჟი ქორივით დატრიალებს ქალს, დრო და დრო მოულოდნელი, სხარტი მოძრაობით უღობავს გზას, ქალი მსუბუქი და მოხერხებული სვლით გაურბის მას.

„ზილგა ქავთ“ მოცეკვავისაგან მოითხოვს დიდ ხელოვნებას და თავშეკავებულ შესრულებას. მო-

ცეკვავე ქალისათვის მთავარია ფეხის წვერებზე (ერგცერებზე) გამართულად, მუხლებში მოუხრე-
ლად სრიალით სვლა. ამ ცეკვის ტექნოლოგიაში შედის „ნიადადი“ და „რთულა“ წინსვლა, სხვადასხვა
სახის ჩაკვრა, ცერილეთები და სხვა.

მ. ტუგანოვის ცნობით, 900-იან წლებში „ზილგა ქავთს“ ერთდროულად ორი, სამი და ოთხი
წყვილიც ცეკვადა.

ზოგჯერ „ზილგა ქავთს“ „ლეზგინკას“ უწოდებენ და იგი არაოსური წარმოშობის ცეკვად მიაჩნიათ.
მ. ტუგანოვი ასეთ აზრს უარყოფს და ამტკიცებს, რომ „ზილგა“ შექმნილია ოსი ხალხის მიერ და მისი
ქორეოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია.

„ზილგა ქავთი“ ან „სიმდის“ დასკვნით ნაწილში სრულდება (უფრო მეტად სამი ვაჟის მიერ) ან
„ხონგა ქავთის“ შემდეგ.

ტრადიციული წესები

- „ზილგა ქავთის“ შესრულებისას ვაჟი ყოველთვის ქალისკენ ნახევრად შებრუნებულია.
- ცეკვის დროს არ შეიძლება ვაჟი ქალისაკენ ზურგით მოხვდეს.
- ვაჟი არ უნდა შეეხოს ქალის სამოსს.
- ქალის არცერთი მოძრაობა ვაჟს უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.
- ცეკვის დროს ქალ-ვაჟი დაძაბულია, თითქოს რაიმე გამოცდას აბარებენო, გამომეტყველება — უღიმილო და სერიოზული.

აფხაზური ცეკვა შარათინი

აფხაზურ ცეკვათა შორის ყველაზე პოპულარულია ცეკვა „შარათინი.“

„შარათინში“ მოცეკვავენი ერთმანეთს ეჯიბრებიან სისხარტესა და სიმარდეში. სრულდება სი-
მღერის თანხლებით ქალ-ვაჟთა ან ცალ-ცალკე — ქალთა და ვაჟთა მიერ. ხალხურ ვარიანტში „შა-
რათინს“ ცეკვადა ორი ვაჟი, ქალ-ვაჟი ან კიდევ ორი ქალი. შეიძლება, იშვიათად ორ წყვილსაც
ერთად ეცეკვა. ამჟამად „შარათინი“ სრულდება ქალ-ვაჟთა მიერ (რაოდენობა განუსაზღვრელია).

არსებობს საქორწილო „შარათინიც“, რომელსაც აფხაზები „აიბარკრა შარათინს“ უწოდებენ.
ცეკვა სრულდება მოცეკვავეთა ჯგუფის ან მთელი მასის მიერ. დასაწყისი ფერხულით იცეკვება.

წესისამებრ, „შარათინის“ დამთავრების შემდეგ გუნდი ასრულებს „ატლერჩობ(პ)ას“ ან რომე-
ლიმე საცეკვაოს და იწყება ცეკვის მეორე ნაწილი — ვაჟთა ცეკვა ცერებზე.

„შარათინში“ ძირითადი ილეთია ფეხდაკვრით გასმურა — ცეკვა ადგილზე და მოძრაობა წინ. და-
საწყისში მოცეკვავენი გამოდიან საპირიპირო მხრიდან, უვლიან წრეს, დაუახლოვდებიან ერთმა-
ნეთს და ასრულებენ ფეხდაკვრით გასმურას. მუსიკალური ფრაზის დასასრულს — ადგილზე სწრაფ
ბრუნს ან ცვლიან ადგილებს.

ცეკვის მეორე ნაწილში ვაჟები ერთმანეთს ცერებზე ცეკვაში ეჯიბრებიან.

ძირითადი ილეთები:

- ფეხდაკვრით გასმურა
- ფეხდაკვრით ბრუნნი
- ტყუპცერჩაკვრა
- ფეხშლილი ჩაკვრა
- ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა
- წვივდაქნევით ცალცერზე ჩაკვრა
- ცალცერზე ხტომით წინსვლა
- ტერფდაკვრით ცერშედგომი...

მეთოდური მითითება

ცეკვა პრაქტიკული დისციპლინაა — რიტმულ მოძრაობათა კომპლექსი, რომლის საშუალებითაც გადმოიცემა ადამიანის შინაგანი განცდები და გრძობები.

ცეკვის შესწავლა ემყარება თანმიმდევრობის პრინციპს: მარტივიდან — რთულისაკენ, ადვილიდან — ძნელისაკენ, ნაცნობიდან — უცნობისაკენ: ჯერ ისწავლება შედარებით მარტივი რიტმული მოძრაობები — ილეთები, შემდეგ ილეთთა ნაერთები, ბოლოს ცეკვის ფრაგმენტები (ნაწილები), რომელთა გაერთიანებაც გვაძლევს თვით ცეკვას. ცეკვის შესწავლის ასეთ ხერხს — ჯერ ნაწილებად დაშლას, მათ ცალ-ცალკე შესწავლას და შემდეგ გაერთიანება-შეკავშირებას — ანალიზური მეთოდი ეწოდება.

ანალიზური მეთოდი გამოიყენება ცეკვის შედარებით მარტივი ელემენტის — ილეთის შესწავლისას — მასწავლებელი იყენებს თხრობით და ჩვენებით მეთოდს. ჯერ ილეთს დაშლის ნაწილებად — მოძრაობებად (საცეკვაო ილეთი შედგება ერთი, ორი, სამი ან ოთხი მოძრაობისაგან), მოსწავლეებს კარგად შეასწავლის პირველ მოძრაობას, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მეორეს და ასე თანმიმდევრულად ისწავლება ილეთის ყველა მოძრაობა ორივე ფეხით.

ილეთი **რთულა წინსვლა** ძირითადად სამი მოძრაობისაგან შედგება:

საწყის მდგომარეობაში ორივე ფეხის ტერფი შეერთებულია (I პოზიცია).

მუსიკალური ზომა 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ერთგცერზე სრიალით წინ ნახევარი ნაბიჯით გატანა. სხეულის სიმძიმე რჩება გამართულ მარჯვენაზე.

თვლა **სამი** — სხეულის სიმძიმის მუხლში მოხრილ მარცხენა ფეხის ერგცერზე გადატანა. ერთდროულად გამართული მარჯვენის მთელ ტერფზე სრიალით მარცხენასთან მიტანა.

თვლა **ოთხი** — ყოვნა (პაუზა).

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება პირიქით.

„რთულა წინსვლა“ სრულდება შემდეგი თანმიმდევრობით: თვლა **ერთი** — თხრობა — აღწერილი მოძრაობის ჩვენება. თვლა **ორი** — მოძრაობის სწავლება. თვლა **სამი** — ორივეს სრულყოფილად შესწავლის შემდეგ — მოძრაობა.

სამივე მოძრაობის მიმდევრობით, სწორად და სრულყოფილად შესწავლა-შესრულება ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ფეხით, იძლევა სრულყოფილ „რთულა წინსვლას.“

ასეთივე ხერხით ისწავლება ქართული ცეკვის ყველა ილეთი, ხელებისა და ზეტანის მოძრაობა-მდგომარეობა და სხვა.

თხრობითი და ჩვენებითი ხერხები ძირითადად ერთდროულია და ერთმანეთს ავსებს, მაგრამ ზოგჯერ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც გამოიყენება: თუ მოცეკვავეთა (ანსამბლის) მომზადების დონე მაღალია, მათთვის ერთი სიტყვითაც კი გასაგებია, რომელ მოძრაობას განიხილავენ ამა თუ იმ ილეთის შესწავლის დროს.

მხოლოდ ჩვენება გამოიყენება მცირეწლოვან ბავშვთა წრეებში ამა თუ იმ მოძრაობის სწავლებისას, ვინაიდან თხრობა ბავშვებისათვის უმეტესად გაუგებარია.

საცეკვაო ელემენტების სწორად შესწავლას გულისყურით უნდა მოვეციდეთ, რადგან არასწორად შესწავლილ მოძრაობათა გადაჩვევა უფრო ძნელია, ვიდრე თავიდან მისი სწავლება.

ქართულ ქორეოგრაფიაში დავით ჯავრიშვილის მიერ დამუშავებული და დამკვიდრებული ანალიზური მეთოდი უფრო აადვილებს საცეკვაო მოძრაობათა შესწავლას და ქორეოგრაფი ადვილად აღწევს სასურველ შედეგს.

შემდეგი საფეხური ილეთთა ნაერთების (რამდენიმე ილეთის გაერთიანება) შესწავლაა. არსებობს ილეთთა მარტივი და რთული ნაერთები. ილეთთა მარტივი ნაერთი ორი-ოთხი ილეთისაგან შედგება, რთულში ოთხზე მეტია.

ნაერთთა ორივე სახეობაში უამრავჯერ შესრულებულ თითოეულ ილეთს დასრულებული სახე აქვს, მაგრამ არსებობს ილეთთა შეერთების შერეული ხერხი — ძველის საფუძველზე ახალი ილეთის წარმოქმნა, ანუ „შეჭრილი“ ნაერთი: ერთი ილეთის მოძრაობებში „შეიჭრება“ მეორის მოძრაობები და მივიღებთ კომბინირებულ ილეთს. თუ პირველი ილეთი შედგება ოთხი მოძრაობისაგან (1, 2, 3, 4), მეორე კი ორისაგან (1, 2), მიიღება თავისი წინამორბედისაგან განსხვავე-

ბულ ილეთთა „შეჭრილი“ ნაერთი: პირველი ილეთიდან ავიღებთ 1, 2, 3 მოძრაობას და დავუმატებთ მეორის მეორე (2) მოძრაობას, მივიღებთ სრულიად თავისებურ ილეთს (ამ შემთხვევაში იგულისხმება „ჭრილი ჩაკვრა,“ მეორედ მოხეური „ცერდაკვრით ქდობგვერდზე სვლა“). „შეჭრილი“ ნაერთში გამოიყენება ორზე მეტი ილეთის მოძრაობაც.

ილეთთა ნაერთების დაუფლების შემდეგ ისწავლება ცეკვის ფრაგმენტები (ნაწყვეტები), ბოლოს თვით ცეკვა.

ცეკვის ელემენტების ტექნიკურად დაუფლებასთან ერთად ქორეოგრაფმა ყურადღება უნდა მი-აქციოს ცეკვის შინაარსის მხატვრულ გამომსახველობას, ემოციურობასა და შესრულების მანერას.

ამა თუ იმ ცეკვის ილეთების შესწავლის ან ცეკვის დადგმის დროს, ხელმძღვანელმა წინაწარ უნდა მიმოიხილოს ცეკვის წარმოშობის ეპოქა, განმარტოს ცეკვის ხასიათი, მისი წარმომავლობა (კუთხურობა), შინაარსი, ცეკვისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური მასალა, ტრადიციული ნესები, სამოსი და სხვა.

ცეკვის გაკვეთილი სუთნანილიანია:

- შესავალი
- ზოგადმოსამზადებელი
- ძირითადი
- დამატებითი
- დამამშვიდებელი

შესავალი: ჩვეულებრივ, ძელთან ვარჯიშის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5-10 წუთს. ძელთან ვარჯიშის მიზანია სხეულის, უმთავრესად, ქვედა კიდურების „გათბობა,“ მაღალ ერგცერ-ზე დგომის ჩვევისა და წონასწორობის გამომუშავება, მოძრაობის სწორად შესრულება.

ზოგადმოსამზადებელი ნაწილი საცეკვაო მოედნის შუაზე 10-15 წუთს გრძელდება — ხელების, ზეტანისა და თავის მოძრაობები, რომლის მიზანია სუნთქვის უფრო მეტად „გახსნა;“ ზეტანის ელას-ტიკურ-მოქნილი და ხელების ნაკვეთური, მოკლე და განიერი მოძრაობების გამომუშავება; ორსახს-როვანი, სამსახსროვანი, ხელსართავეები, წრიული და რკალური, სწორი და ირიბი მიმართულებით. ზეტანის მოძრაობები: ზნექები, ზეტანის მობრუნება-მოტრიალება. ფეხების მოძრაობები: სხვა-დასხვა დგომა და სვლა, ზეტანის, ხელებისა და ფეხების კოორდინირებული მოძრაობები მარტივი ნაერთების სახით.

ძირითად ნაწილში დამუშავდება თემის ძირითადი მასალა — შეისწავლება საცეკვაო ილეთები, ილეთთა ნაერთები, ცეკვის ფრაგმენტები და თვით ცეკვა. ეთმობა 45-50 წუთი. გაკვეთილის ყოველი ნაწილი ძირითადს ემსახურება.

დამატებითი ნაწილი — 5-10 წუთი: გამძლეობის გამომუშავება, ტექნიკურად ძნელი ილეთე-ბის დამუშავება, ღრმა სუნთქვის გახსნა... ამ ნაწილის მთავარი მასალაა ხტომები, მუხლილეთები, ბრუნვები და მათი ნაერთები.

დამამშვიდებელი ნაწილის ხანგრძლივობა ხუთი წუთია. მისი მიზანია სხეულის დამშვიდება, სუნთქვის შენელება, სუნთქვითი ვარჯიშები, სიარული, ხელების ნელი მოძრაობა ან მშვიდი ცეკვა — რიგრიგობით ერთი-ორი მოცეკვავის მონაწილეობით. დანარჩენები ტაშს უკრავენ ანდა შემსრულე-ბელს სიმღერა-ლილინით ეხმარებიან.

ცეკვის გაკვეთილი 90 წუთს არ უნდა აღემატებოდეს. დადგმული ან შესწავლილი ცეკვა სრუ-ლყოფილია, თუ მას გააჩნია დასრულებული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ხუთი ნაწილი: შესავალი, დასაწყისი, განვითარება, კულმინაცია, დასასრული.

ცეკვის დასადგმელად, მით უფრო, შესაქმნელად საკმარისი არაა მხოლოდ ილეთთა მართებუ-ლად შესწავლა და გაკვეთილის სწორი ორგანიზაცია.

ცეკვის შესაქმნელად საჭიროა:

- მუსიკა
- ტექნოლოგიური მასალა (ილეთები, მოძრაობა-მდგომარეობანი)
- ფიქსაციის საშუალებები (ცეკვის ჩანერის საშუალებები)
- ეპოქა
- სამოსი

ამჟამად ქორეოგრაფიაში მიღებულია ცეკვის ჩვეულებრივი, წერილობითი (სიტყვიერი) ჩანერის წესი, თუმცა XV საუკუნიდან იყო მცდელობა ცეკვის გრაფიკული — პირობითი ნიშნებით ჩანერისა. ქორეოგრაფია პირდაპირი მნიშვნელობით ცეკვის ჩანერას ნიშნავს. ეს ტერმინი პირველად XVIII საუკუნის დასაწყისში რაულ ოჟე ფეიემ იხმარა. მანვე პირველმა შექმნა ცეკვის ჩანერის გრაფიკული პირობითი ნიშნები და ამ ხერხს ქორეოგრაფია უწოდა. შემდეგ ქორეოგრაფია საცეკვაო ხელოვნების აღმნიშვნელ ტერმინად იქცა.

ცეკვის სრულყოფილად ჩანერისათვის საჭიროა: ცეკვის შინაარსი, ტრადიციული წესები, სამოსი, მუსიკა, ილეთთა და ცეკვის სქემატური აღწერა.

მოძრაობათა აღწერა

მოძრაობათა აღწერამდე საჭიროა ხელებისა და ფეხის ძირითადი პოზიციების გაცნობა.

ფეხის I პოზიცია — ორივე ფეხის ტერფები ერთმანეთთან პარალელურადაა მიდგმული.

ფეხის II პოზიცია — ცალი ფეხი გატანილია წინ ნახევარი ტერფით და ერგცერით (ფეხის წვერით) თავისუფლად ეხება იატაკს, მეორე ფეხი სხეულის გასწვრივაა და მთელი ტერფით ეხება იატაკს (საყრდენი ფეხი).

ფეხის III პოზიცია — ორივე ფეხი სხეულის გასწვრივაა, ქუსლები ერთიმეორეს ეხება, ფეხის ცერები ერთმანეთისგან 65-70°-მდეა დაშორებული.

ფეხის IV პოზიცია — ფეხები განზე — მხარის სიგანეზეა გადადგმული, ცერები ირიბად გარეთ მიმართული.

ხელების I პოზიცია — ორივე ხელი განზეა გაშლილი, ხელის გულები მიმართულია ქვევით.

ხელების II პოზიცია — ცალი ხელი იდაყვის სახსარშია მოხრილი (იდაყვი მხრის სიმადლეზეა ან ოდნავ ზევით) და ხელის ცერით გულ-მკერდს ეხება. მეორე ხელი განზეა გამართული.

ხელების III პოზიცია — ცალი ხელი განზეა გამართული, მეორე აწეულია ზევით და განზე რკალ-გვარად — ნები მიმართულია შიგნით.

ხელების IV პოზიცია — (ირმულა) ორივე ხელი თავზევითა რკალისებურადაა აწეული, ნები მიმართულია გარეთ ან შიგნით და ქვევით.

ფეხების ძირითადი პოზიცია საწყისი მდგომარეობაა, რომლიდანაც იწყება ესა თუ ის ილეთი. ამიტომაც ილეთთა აღწერას წინ უნდა უძღოდეს ფეხების საჭირო პოზიცია და მუსიკალური ზომა, ვინიდან ყოველი ილეთი და მასში შემავალი მოძრაობები უშუალოდ უკავშირდება მუსიკას. მუსიკალური ნაწარმოები იყოფა თანასწორ ნაწილებად — ტაქტებად. ერთი ტაქტი მეორისაგან გამოიყოფა შვეული ხაზით — ფარდით. ზომის მაჩვენებელი გამოისახება წილადით და დაისმის გასაღების შემდეგ — დასაწყისში. წილადის ქვედა რიცხვი (მნიშვნელი) აღნიშნავს მეტრის ერთეულს ტაქტში, ზედა რიცხვი (მრიცხველი) — ამ ერთეულის რაოდენობას.

ქართული ცეკვების მელოდიების ძირითადი მუსიკალური ზომებია: **2/4, 4/4, 6/8, 5/4, 5/8.**

თუ ზომა ორი მეოთხედია, მრიცხველი ორი გვიჩვენებს, რომ ტაქტში ორი მთავარი ნაწილია. თუ მუსიკალური ზომა ოთხი მეოთხედია, მაშინ თითოეულ ტაქტში ოთხი მთავარი ნაწილი იქნება, ექვსი მერვედის შემთხვევაში — ექვსი და ა.შ.

საცეკვაო ილეთი, მუსიკალური ტაქტის მსგავსად, რამდენიმე ნაწილისაგან (მოძრაობისაგან) შედგება და, მუსიკის თანხლებით საცეკვაო ილეთის შესრულებისას, თითოეული ნაწილი (მოძრაობა) უშუალო კავშირშია მუსიკალური ტაქტის მთავარ ნაწილებთან.

ტერფულა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ორივე ფეხი შეერთებულია — ტერფები პარალელურად (I პოზიცია).

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი, სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხით წინ ნახევარი ნაბიჯი. სხეულის სიმძიმე რჩება მარჯვენაზე.

თვლა **სამი** — სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენა ფეხზე. ერთდროულად მარჯვენა მთელ ტერფზე სრიალით მიდის მარცხენასთან.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება პირიქით.

სადა სრიალა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ორივე ფეხი შეერთებულია — ტერფები პარალელურად (ფეხების I პოზიცია).

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი აინევა ერგცერზე და გამართული ერგცერზე სრიალით გადადის წინ ნახევარი ნაბიჯით (სხეულის სიმძიმე ორივე ფეხზეა გადანაწილებული).

თვლა **სამი** — გამართული მარჯვენა ფეხი ერგცერის სრიალით გადავა წინ ნახევარი ნაბიჯით (როგორც მარცხენა ფეხი).

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება პირიქით.

სრიალა ერგცერებზე

საწყისი მდგომარეობა — ორივე ფეხი შეერთებულია — ტერფები პარალელურად. ორივე ფეხის ერგცერზე დგომა (I პოზიცია — ერგცერები).

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლაზე **ერთი** — მარჯვენა ფეხით ერგცერზე დაყრდნობით ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე.

ტაქტის მომდევნო სათვალავზე **ორი, სამი** და **ოთხი** სრულდება იგივე, როგორც „სადა სრიალა წინსვლის“ დროს.

რთულა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ორივე ფეხი შეერთებულია — ტერფები პარალელურად (ფეხების I პოზიცია).

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე. უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ერგცერის იატაკზე სრიალით და მუხლის სახსარში მოხრით გადაიდგმება წინ ნახევარი ნაბიჯით (სხეულის სიმძიმე რჩება მარჯვენაზე).

თვლა **სამი** — სხეულის სიმძიმე გადაგვაქვს მარცხენა ფეხის ერგცერზე. ერთდროულად მარჯვენა მთელ ტერფზე სრიალით მიიწევა მარცხენასთან.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდევნი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება პირიქით.

სამდაკვრიტი უკუსვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია — ერგცერებზე დგომი.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერის დაკვრა და ფეხის მცირედ უკან გადაადგილება.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის უკან ერგცერის სრიალით გადაადგილება.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხის უკან ერგცერის სრიალით გადაადგილება.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომღვენო ტაქტიდან ილეთს იწყებს მარცხენა ფეხი და სრულდება პირიქით.

სამდაკვრიტი გვერდზე სვლა

„სამდაკვრიტი გვერდზე სვლის“ განმარტებამდე განვმარტავთ „სამდაკვრიტი მოძრაობას ადგილზე.“

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია — ერგცერებზე დგომი.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერი აინევა ზევით და ზევიდან დაკვრით შეეხება იატაკს. ერთდროულად მარცხენის ერგცერი აინევა ზევით და დასაშვებად მოემზადება.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერი ზევიდან დაკვრით იატაკს შეეხება. ერთდროულად მარჯვენა ერგცერი აინევს ზევით.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხის ერგცერი ზევიდან დაკვრით იატაკს შეეხება. ერთდროულად მარცხენა ერგცერი აინევს ზევით.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მეორე ტაქტი იწყება მარცხენა ფეხის ერგცერის დაკვრით (ერგცერის ზევით ანევისას ქუსლი იატაკს არ ეხება).

„სამდაკვრიტი გვერდზე სვლის“ დროს ილეთი ინარჩუნებს „სამდაკვრიტი მოძრაობის“ ყველა წესს, იმ განსხვავებით, რომ სხეული მოძრაობს გვერდზე (მარჯვნივ ან მარცხნივ). იგივე ითქმის „სამდაკვრიტი ბრუნის“ შესახებაც (სრულდება მარჯვნივ ან მარცხნივ სამდაკვრიტი მოძრაობით).

სადა მუხლურა წინსვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი, სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მცირედ მოხრა და ტერფზე სრიალით წინ წახტომა. მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება წინ (მარცხენა ფეხის ტერფი გაჭიმულია, კოჭი ეხება მარჯვენის მუხლის სახსარს).

მომღვენო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტი — ორი ჩვეულებრივი ნაბიჯი.

მეორე ტაქტი — სადა მუხლურა წინსვლა.

პირველი ორი ტაქტი — წესისამებრ, ილეთი იწყება მარჯვენა ფეხით.

მომღვენო, **მესამე** და **მეოთხე** ტაქტიდან, მარცხენა ფეხით.

ჭლოზილი წინსვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — ზეტანის ოდნავ მარცხნივ შებრუნებით მარჯვენა ფეხით წინ განიერი ნაბიჯი (ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მუხლები — მიმართულია გარეთ).

თვლა **ორი** — ერგბუქნის მდგომარეობის შეუცვლელად უკან დარჩენილი მარცხენა ფეხი მიედგმება მარჯვენას.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა და სრიალით წინხტომი, ერთდროულად უკან დარჩენილი მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება წინ (მარცხენა ფეხის ერგცერი გაჭიმულია, კოჭი ეხება მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარს).

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

სადა სრიალა გასმა

საწყისი მდგომარეობა — მარჯვენა ფეხი ნახევარი ტერფით გატანილია წინ და ერგცერით ეხება იატაკს. მარცხენაც ერგცერით ეხება იატაკს (II პოზიცია — ერგცერები).

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — ერგცერებზე სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა (მარჯვენა ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, მარცხენა — წინ).

თვლა **ორი** — ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

თვლა **სამი** — იგივე — თვლა **ერთი**.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდეგი ტაქტიდან „სადა სრიალა გასმა“ იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება პირიქით.

ბაქნევიტო გასმა

თვლა **ერთი, ორი** და **სამი** — „სადა სრიალა გასმა.“

თვლა **ოთხი** — ყოვნის ნაცვლად მარცხენა ფეხის ტერფი უკან და წინ გაქნევით მოძრაობს, შემდეგ თვლა **სამის** მდგომარეობის დასასრულს უბრუნდება (გაქნევის დროს ფეხი ჯერ იხრება მუხლის სახსარში, შემდეგ — იმართება).

ქუსლურა გასმა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია — ერგცერები.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — ერგცერებზე სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა (მარჯვენა ერგცერებზე სრიალით მოძრაობს უკან, მარცხენა — წინ).

თვლა **ორი** — შეიცვლება ფეხების მდგომარეობა (მარჯვენა მოძრაობს წინ, მარცხენა უკან).

თვლა **სამი** — ფეხები ერგცერებზე სრიალით ისევ შეიცვლის მდგომარეობას (მარჯვენა — უკან, მარცხენა — წინ) მარცხენა მოძრაობას ამთავრებს ქუსლზე დაყრდნობით — ერგცერი ზევითაა ანეული.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან „ქუსლურა გასმა“ იწყება მარცხენა ფეხით (შემდეგი ტაქტის დასაწყისში — თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ქუსლი აინევა ზევით — ძირს დაინევს, იატაკს შეეხება და სრიალით უკან მოძრაობს). „ქუსლურა გასმისას“ ყოველი ტაქტის **მესამე** თვლა დამთავრდება ხან ერთი, ხან მეორე ფეხის ქუსლის იატაკზე დაყრდნობით და ამავე ფეხის ერგცერის ზევით ანევით.

ჭლობილი გასმა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია — ერგცერები.

მუსიკალური ზომა — 4/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტი — „სრიალა გასმა“ (ინყება მარჯვენა ფეხით).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ და მარჯვნივ გადადგმა (ჭდობა) და ტერფით დადგმა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით გადის წინ.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო **მესამე** და **მეოთხე** ტაქტი — იგივე.

სადა ჩაპვრა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე ოდნავ ზეხტომ-დახტომი, მარჯვენის ქუსლით მარცხენის წვერთან დადგმა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომ-დახტომი, ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და ცერით იმ ადგილზე დაიდგმება, სადაც მანამდე მარჯვენა ფეხის ქუსლი ეხებოდა იატაკს.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი ინყება მარცხენა ფეხით.

წვიძნეაჩაპვრა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომ-დახტომი, მარჯვენა ქუსლით დაიდგმება მარცხენის წვერთან.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხზე ზეხტომასთან ერთად მარჯვენა მაქსიმალურად მოიხრება მუხლის სახსარში, (ფეხის ტერფი გაიჭიმება). მარჯვენა ფეხი სწრაფად წინ (ჰაერში) გაიშლება იატაკიდან ნახევარი ტერფის მანძილზე.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი ინყება მარცხენა ფეხით.

ფეხშლილი ჩაპვრა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — ერგბუქნზე დახტომით შიგნით ქუსლშებრუნებული მარჯვენა ფეხი გაიტანება მარცხენის წინ და მარცხნივ. მარცხენა პირიქით — მარჯვენა ფეხის უკან და მარჯვნივ (სრულდება შიგნით ქუსლშებრუნებული ფეხების ჭდობა ერგბუქნში — ფეხები მთელი ტერფით ეხება იატაკს).

თვლა **ორი** — ორივე ფეხის გაშლა მხრების სიგანეზე და მცირე შეხტომით ცერებზე შედგომა. ამ დროს ოდნავ მოხრილი მუხლები დაახლოებულია ერთმანეთთან, ქუსლები გარეთაა შებრუნებული (მარჯვენა ქუსლი — მარჯვნივ, მარცხენა — მარცხნივ).

შემდეგი ტაქტიდან „ფეხშლილი ჩაპვრა“ ინყება მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ გადაჭდობით და ა.შ.

ბანჯიჯით და ფეხშლით ჩაპვრა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის

სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — ერგბუქში დახტომით შიგნით ქუსლშებრუნებული მარცხენა ფეხი გაიტანება მარჯვენის წინ და მარჯვნივ. მარჯვენა პირიქით — მარცხენის უკან და მარცხნივ (ერგბუქში ჭდობა ტერფებზე — ქუსლებით შიგნით და ფეხის წვერებით განზე).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — ორივე ფეხის გაშლა მხრების სიგანეზე და მცირე ზეხტომით შედგომა ორივე ფეხის ცერზე. ამ დროს ოდნავ მოხრილი მუხლები დაახლოებულია, ქუსლები გარეთაა შებრუნებული.

თვლა **ორი** — ცერებზე დგომიდან მარჯვენა ფეხის მთელ ტერფზე დახტომა. ერთდროულად გამართული მარცხენის ჰაერში ტერფის მანძილზე მარცხნივ გატანა. მარჯვენა ფეხით ერგბუქნი, მარცხენა ტერფი — გაჭიმულია.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება პირიქით.

სლართულა ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ტაქტ-ნახევარში**.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — ზეტანის მარცხნივ ოდნავ შებრუნება, მარჯვენა ფეხის ქუსლის ან მთელი ტერფის მარცხენის წინ და მარცხნივ ნახევარი ნაბიჯით დადგმა. მარცხენის მუხლში მოხრა.

თვლა **ორი** — სხეულის სიმძიმის მარჯვენა ფეხზე გადატანა. მარცხენის იატაკიდან აცილება და შემდეგ ერგცერით მიმდევრობით დადგმა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ერგცერიდან მძლავრი ზეხტომით მარჯვენა ტერფზე დახტომა (მარჯვენა სხეულის გასწვრივ). ერთდროულად მარცხენა ისე მოიხრება მუხლის სახსარში, რომ ტერფი მოხვდეს მარჯვენის მუხლის სახსართან.

თვლა **ორი** — ილეთი მეორე მხარეს მარცხენა ფეხით იწყება — ზეტანი მარჯვნივ შემობრუნდება.

ჭრილი ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ და ოდნავ წინ — მუხლში მოხრა და სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადანაცვლება. ადგილზე დარჩენილი გამართული მარცხენა იატაკს ერგცერით ეხება.

თვლა **ორი** — გამართული მარცხენა ფეხის ქუსლით მარჯვენის წინ და მარჯვნივ თავისუფლად დადგმა, მარჯვენა უმოძრაოდ რჩება ადგილზე.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — დახტომა მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე (დახტომისას სხეულის სიმძიმე გადაიტანება მუხლში მოხრილ მარცხენაზე). მუხლში მოხრილი მარჯვენის მარცხენის უკან — მარცხივ გატანა და ცერით დადგმა.

თვლა **ორი** — დახტომა მარჯვენა ფეხის ტერფზე. ერთდროულად გამართული მარცხენის წინ — ჰაერში გატანა ან ქუსლზე დაყრდნობა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება პირიქით.

ცეკვის სქემური აღწერა

ცეკვის სქემური აღწერისას საჭიროა შემსრულებელთა (ქალისა და ვაჟის განმასხვავებელი ნიშანი), მოძრაობის მიმართულების აღმნიშვნელი პირობით ნიშანთა და ილეთთა ტერმინოლოგიის ცოდნა.

ცეკვა სქემურად გამოისახება მონაკვეთებად და ყოველი წინა მონაკვეთი (ნახაზი) მომდევნოს სანყისი მდგომარეობაა.

პირობითი ნიშნები

ქალი

მარჯვენა მხარე

ზურგი




სახე

მარცხენა მხარე

ვაჟი

მარჯვენა მხარე

ზურგი



სახე

მარცხენა მხარე




მოდრაობის მიმართულება და მანძილი



უკუსვლა



გვერდზე (მარცხნივ) სვლა



გვერდზე (მარჯვნივ) სვლა



ბრუნი მარცხნივ (ადგილზე)



ბრუნი მარჯვნივ (ადგილზე)



ბრუნი მარცხნივ სვლისას




ბრუნი მარჯვნივ სვლისას

**მოსეურის (ყაზბეგურის) ფრაგმენტი
ქალ-ვაჟის შესრულებით**

1 — 16 ტაქტი

ვაჟი — პირველი-რვა ტაქტი მოძრაობა წრიულად „მოსეური მუხლურა სვლით“ („მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით“).


ხელების მდგომარეობა — მარჯვენა გაშლილია განზე, მარცხენა — დონჯით.



9 — 16 ტაქტი მოძრაობს წრეზე „მოსეური რთულა წინსვლით“ და მოხვდება საცეკვაო მოედნის ცენტრში.

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში.

ქალი დგას ადგილზე.



1 — 16 ტაქტი

ვაჟი — პირველი-რვა ტაქტი — ადგილზე „ხლართულა ჩაკვრა ბრუნით.“

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში.

ცხრა-თორმეტი ტაქტი — მარჯვნივ „ცერდაკვრითი ჭდობგვერდზე სვლა.“

ხელების მდგომარეობა — ორივე ხელი ხანჯალზე.


ცამეტი-თოთხმეტი ტაქტი — ადგილზე „ჭრილი ჩაკვრა.“

ხელების მდგომარეობა — II პოზიცია (მოხრილია მარჯვენა).

თხუთმეტი-თექვსმეტი ტაქტი — „სამდაკვრითი ბრუნი“ ადგილზე და მარჯვენა მუხლზე დამ-
ვება.

ხელების მდგომარეობა — მკერდდახურული.

ქალი დგას ადგილზე.




1 — 16 ტაქტი

ქალი — მოძრაობს წრეზე „ქრიალა სვლით.“

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი (საქრიალო).

ვაჟი — მისდევს ქალს „მოხეური რთულა წინსვლით.“

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში.



1 — 8 ტაქტი

ქალი — მოძრაობს წრეზე „ქრიალა სვლით.“

ხელების მდგომარეობა — II პოზიცია (მოხრილია მარჯვენა).

ვაჟი — მოძრაობს „ხლართულა ჩაკვრით.“

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში და ა. შ.

დადგენილი
ტექსტი


ქართული

(1978 წელი)

ცეკვას იწყებს ვაჟი — სცენის მარცხენა მხრიდან მოძრაობს „სადა სრიალა სვლით.“


ცეკვის დაწყებისთანავე დაშვებულ ხელებს განზე გაშლის, შემდეგ მარჯვენა ხელს იდაყვის სახსარში მოხრის (ამ დროს ორივე ხელის თითები მცირედ მოხრილია, მარჯვენა ცერი მიმართულია გულმკერდისკენ). ასე მოძრაობს **პირველ რვა** თვლაზე. **მეორე რვაზე** იდაყვის სახსარში მოხრის მარცხენა ხელს და ა.შ.

ყოველი **რვა** თვლის დასაწყისში იდაყვში მოხრილი ერთი ხელი იცვლება მეორეთი.




ვაჟი წრეზე მოძრაობს და ქალთა შორის ეძებს გულისსწორს. იპოვის, გაემართება მისკენ, მიუახლოვდება დაახლოებით ორ ნაბიჯზე და **რვა** თვლის **პირველ ოთხ** თვლაზე „უკუსვლით“ მცირედით იხევს უკან.

თვლა **ხუთი-ექვსი** — ასრულებს „ქუსლურ გასმას,“ **შვიდზე** — გადადგამს მარჯვენა ფეხს მარჯვნივ, **რვაზე** დაუშვებს ორივე ხელს, მარცხენას მიადგამს მარჯვენას და მიპატიუების ნიშნად თავს ოდნავ დახრის.



მომდევნო **ორი რვა** თვლა — ქალ-ვაჟი „ტერფულა სრიალით“ ერთად მოძრაობს წრეზე.

შემდეგი **რვა** თვლა — ქალი განაგრძობს წრეზე სვლას, ვაჟი მოშორდება მას და, მარჯვნიდან მარცხნივ მცირე რკალის მოხაზვით, გზას გადაუჭრის. ქალ-ვაჟის „ტერფულა სრიალით“ მოძრაობის დროს ვაჟი ქალის მარცხენა მხარეს და ოდნავ უკან დგას, იდაყვში ყოველთვის მოხრილია მარცხენა ხელი, მარჯვენა — გაშლილია განზე. ქალის მარჯვენა ხელი დაახლოებით მხრის სიმაღლეზეა გაშლილი, მარცხენა მოხრილია იდაყვში და გატანილია წინ. ხელის გულები მიმართულია ქვემოთ. მტევნები მაჯაში არ უნდა მოიხაროს.




ნახ. 1



ნახ. 2


შემდეგი **რვა** თვლა — ქალი ცვლის ხელების მდგომარეობას და, წინ გადაღობილი ვაჟის მკლავებიდან გასასხლტომად, „უკუსვლით“ ზიგზაგისებურად მოძრაობს. ვაჟი „ტერფულა სრიალით“ ან „ქუსლურა გასმით“ მისდევს ქალს. ამავე **რვა** თვლის **შვიდი-რვა** — ქალი შემობრუნდება მარცხნივ: ამ მოძრაობით ის ვაჟის მკლავებიდან გასხლტომას ლამობს. ქალი გაურბის ვაჟს და „ტერფულა სრიალით“ წინ — წრეზე მოძრაობს. ვაჟი მარდად გაჰყვება ქალს და **ორ რვა** თვლაში ორივენი ერთად უვლიან წრეს (ბოლოს ქალ-ვაჟი საცეკვაო მოედნის ცენტრში უნდა მოხვდეს).



მომდევნო **რვა თვლა** — ქალ-ვაჟი „ტერფული სრიალით“ მოძრაობს წინ — სახით მაყურებლისკენ.



შემდეგი **ორი რვა** თვლა — ორივენი „უკუსვლით“ იხევენ, ქალი თანდათანობით შებრუნდება მარცხნივ, ვაჟი — მარჯვნივ და სახით ერთმანეთისკენ შებრუნებულნი შორდებიან ერთმანეთს. **ორი რვა** თვლის ბოლოს ქალი მიაღწევს საცეკვაო მოედნის მარჯვენა მხარეს და შეჩერდება. ამ დროს ქალისა და ვაჟის ხელები იცვლიან მდგომარეობას: ნელი მოძრაობით ქალის წინ წამოწეული მარცხენა ხელი თანდათანობით იცვლება მარჯვენათი, ასევე ვაჟისაც.




შემდეგი **ერთი რვა** თვლა — ვაჟი ადგილზე „ქუსლურ გასმას“ ასრულებს.




მეორე **რვა** თვლა — „წვერული გასმით“ მოძრაობს მცირედ წინ (ქალისკენ).



მესამე **რვა** თვლა — წინ მოძრაობს „კანკალური გასმით.“




მომდევნო **რვა** თვლის **ექვსი** — მარჯვენა მხარით წინ შებრუნებული ვაჟი მოძრაობს „გვერდზე სვლით;“ **შვიდი-რვა** — მარჯვნიდან მარცხნივ მცირე რკალზე შემოვლით გადადგამს ორ ჩვეულებრივ ნაბიჯს. პირველს — მარჯვენა ფეხით, ნიშნად დათმობისა — ქალის ხელმეორედ ცეკვაში ჩასაბმელად.




შენიშვნა: ყოველი გასმისას იდაყვის სახსარში მოხრილი ერთი ხელი უნდა იცვლებოდეს მეორეთი.


მომდევნო **ორი რვა** თვლა — ქალ-ვაჟი „ტერფულა სრილით“ მოძრაობს წრეზე. **ორი რვა** თვლის ბოლოს ქალ-ვაჟი აუცილებლად უნდა მოხვდეს საცეკვაო მოედნის ცენტრში.



შემდეგი **რვა** თვლა — ქალი განაგრძობს წრეზე სვლას. გამარჯვების იმედით გამხნეებული ვაჟი „უკუსვლით“ იხევს (ან წრეზე „ტერფზე სრილის“ შესრულებისას შებრუნებულია მარცხნივ), რათა წინ გადაუდგეს წრეზე მოსრიალე ქალს.



ქალი ხვდება ვაჟის ჩანაფიქრს, შეჩერდება და თავის ასარიდებლად **რვა** თვლაში ასრულებს „უკუსვლას.“ მოულოდნელი უარით იმედგაცრუებული ვაჟი ადგილზე ჩერდება.




ქალი არ წყვეტს ცეკვას, თითქოს უხერხულობა იგრძნო და, დანაშაულის გამოსასყიდად, ნელი „გვერდზე სვლით“ („ტერფულათი“) უახლოვდება ვაჟს („ტერფულა გვერდზე სვლასაც“ ეთმობა **რვა** თვლა. ამ დროს ქალის მარცხენა ხელი მოხრილია იდაყვის სახსარში, მარჯვენა გაშლილია განზე).



ვაჟში იმედი იღვიძებს: გაუბედავად ცეკვავს ადგილზე — **რვა** თვლაში ასრულებს „ქუსლურა გასმას,“ ორივე ხელი ხანჯალზე უკიდია. ქალი შეატყობს ვაჟს ალტაცებას და მორიდებით ადგილზე — მარჯვნიდან მარცხნივ „ტერფულათი“ ბრუნავს (**რვა** თვლა). იდაყვი მოხრილ მარცხენა ხელს ოდნავ დაუშვებს დაბლა.




ქალის „გვერდზე სვლა,“ ვაჟი „სადა გასმით“ უახლოვდება მას. ილეთი სრულდება **რვა** თვლაზე: იდაყვი მოხრილი ქალის მარჯვენა ხელი, ხელისგულით შიგნით, აღმართულია ზემოთ. მცირედ იდაყვი მოხრილი მარცხენა ხელი, ხელისგულით ზემოთ, მიმართულია ვაჟისაკენ. ვაჟის მარცხენა ხელი მოხრილია იდაყვის სახსარში, მარჯვენა გაშლილია განზე.




შენიშვნა: **რვა** თვლის ბოლოს — ქალ-ვაჟი უნდა მოხვდეს მოედნის ცენტრში.

შემდეგ **რვა** თვლა — ქალი ტრიალებს ადგილზე, მარჯვნიდან — მარცხნივ. იდაყვი მოხრილი მარცხენა ხელი დაშვებულია ძირს (დოინჯისაგან იმ განსხვავებით, რომ ხელი არ ეხება სხეულს). ვაჟი ასრულებს „ქუსლურა გასმას“ და ცვლის ხელების მდგომარეობას — ხურავს მარჯვენა ხელს.



მომდევნო **რვა** თვლა — სახით ერთმანეთისკენ მიქცეული ქალ-ვაჟი იხვევს „უკუსვლით“ — ქალის და ვაჟის ორივე ხელი გაშლილია განზე.



მომდევნო **რვა** თვლის **პირველი ოთხი** თვლა — ქალი „ტერფებზე სრიალით“ მოძრაობს მარჯვნიდან მარცხნივ, ვაჟიც იმავე ილეთით — რკალზე — მარცხნიდან მარჯვნივ (დოზადო). ამ დროს ქალისა და ვაჟის იდაყვი მოხრილი მარჯვენა ხელი გატანილია გულმკერდის არედან მცირედით წინ, მარცხენა მოხრილია იდაყვი და დაშვებულია ქვემოთ (დოინჯისებურად).



თვლა **ოთხი** — ქალიც და ვაჟიც შემობრუნდებიან მარჯვენა მხარით ზურგისაკენ.

თვლა **ხუთი-ექვსი-შვიდი-რვა** — „ტერფებზე სრიალით“ მოძრაობენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებითა და საწინააღმდეგო ხელით.



I ნანილი




II ნანილი

შენიშვნა: ამ ილეთის შესრულებისას საჭიროა, ქალ-ვაჟი თანდათანობით დაუახლოვდეს ერთმანეთს.

შემდეგი **რვა** თვლის დაწყებისთანავე ქალი მარცხენა მხარიდან შებრუნდება ზურგისაკენ. იმავეს ასრულებს ვაჟიც. სახით საწინააღმდეგო მიმართულებით შებრუნებული ქალ-ვაჟი **რვა** თვლას „უკუსვლით“ მოძრაობს და აკეთებს ერთ წრეს, იდაყვში მოხრილი ორივეს მარჯვენა ხელი ამართულია ზემოთ, მარცხენა — გაშლილია განზე.

მერვე თვლაზე — ქალი სწრაფად შებრუნდება მარცხნივ — სახით მაყურებლისაკენ და მოძრაობს „ტერფებზე სრიალით,“ იდაყვში მოხრილია მარცხენა ხელი, მარჯვენა გაშლილია განზე. ვაჟი „ტერფებზე სრიალით“ მარცხენა მხრიდან მიჰყვება ქალს. მისი მარცხენა ხელიც მოხრილია იდაყვში, მარჯვენა გაშლილია განზე (ილეთი სრულდება **ოთხ** ან **რვა** თვლაზე).



I ნანილი



II ნანილი

მომდევნო **რვა** თვლის დაწყებისთანავე ვაჟი შებრუნდება მარჯვნივ სახით ქალისაკენ და **პირველი ექვსი** თვლა ასრულებს „ქუსლურა გასმას,“ თან ცვლის ხელების მდგომარეობას — მოხრის მარჯვენა ხელს. ქალი იმავე თვლაზე „ტერფულათი“ ბრუნავს ადგილზე — მარჯვნიდან მარცხნივ. მარცხენა ხელი მოხრილია იდაყვში და გატანილია წინ, ასევე იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი დაშვებულია ძირს (დოინჯისებურად).

ვაჟის კეთილშობილებით მოხიბლული ქალი თანხმობის ნიშნად **მეშვიდე** თვლაზე გადადგამს მარჯვენა ფეხს მცირედ უკან, **რვაზე** — მარცხენას მიადგამს მარჯვენას და ცოტათი დახრის თავს. იმავეს ასრულებს ვაჟიც.



მოძრაობათა აღწერა

სრიალა ტერფებზე — ტერფულა

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი (სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე).

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ ისე, რომ მარცხენის ქუსლი მოხვდეს მარჯვენის წვერთან (სხეულის სიმძიმე ისევ მარჯვენაზეა).

თვლა **სამი** — სხეულის სიმძიმე გადაიტანება მარცხენა ფეხზე, გამართული მარჯვენა სრიალით

მიცურდება მარცხენასთან.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდეგი **ოთხი** თვლა — იგივე მოძრაობა მარცხენა ფეხით.

ს ვ ლ ე ბ ი

ტერფულა (გვერდზე სვლა და ტრიალი — ქალისათვის)

საწყისი მდგომარეობა — ორივე ფეხის ტერფის წინა ნაწილზე აწევა, მარჯვენა ტერფის კოჭის სახსარში მოხრა.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ტერფის წინა ნაწილით დადგმა და ერთდროულად მარცხენა ტერფის წინა ნახევრის მოშორება (მოიხრება კოჭის სახსარში).

თვლა **ორი** — მარცხენა ტერფის წინა ნაწილის დადგმა, ერთდროულად მარჯვენა ტერფის წინა ნახევრის მოშორება.

თვლა **სამი** — მარჯვენა ტერფის წინა ნაწილის დადგმა, ერთდროულად მარცხენა ტერფის წინა ნახევრის მოშორება.

თვლა **ოთხი** — შეჩერება — თვლა **სამის** მდგომარეობა.

შემდეგი **ოთხი** თვლის **ერთი** — იგივე მოძრაობა მარცხენა ფეხის ტერფის წინა ნაწილით.

შენიშვნა: „ტერფულის“ შესრულებისას ფეხის ქუსლები არ ეხება იატაკს.

ამ ილეთით ქალი მოძრაობს გვერდზე (მარცხნივ) ან ბრუნავს ადგილზე (მარჯვნიდან მარცხნივ).

გვერდზე სვლა

ოთხ თვლაში სრულდება „წვერული გასმა“ (განვიხილავთ ქვემოთ).

მეორე ოთხი თვლის **ერთი-ორი** — გადაჯვარედინდება მარცხენა ფეხი მარჯვენის წინ და მარჯვნივ.

თვლა **სამი-ოთხი** — მარჯვენა ფეხი გადმოიტანება მარჯვნივ — წინ და იდგმება ტერფის წინა ნაწილით.

უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა — „ტერფულა“ (იხ. „ტერფულას“ აღწერა).

თვლა **ერთი** — მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით მიცურდება უკან.

თვლა **ორი** — იგივე მოძრაობა მარცხენა ფეხით.

თვლა **სამი** — თვლა **ერთზე** შესრულებული მოძრაობა.

თვლა **ოთხი** — წინ დარჩენილი მარცხენა ფეხი მოიხრება კოჭის სახსარში (მარცხენის მომზადდება „უკუსვლისათვის“).

შემდეგი **ოთხი** თვლის **ერთი** — „უკუსვლას“ იწყებს მარცხენა ფეხი.

ბ ა ს მ ე ბ ი

ქუსლური

საწყისი მდგომარეობა — მარცხენა ტერფის წინა ნაწილზე აწევა. მარჯვენა ფეხი ეყრდნობა მარცხენის წვერს.

თვლა **ერთი** — ქუსლზე დაყრდნობილი მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით მიდის უკან. ერთდროულად მარცხენა ტერფის წინა ნაწილი სრიალითვე გამოდის წინ.

თვლა **ორი** — მარცხენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით მიდის უკან. ერთდროულად მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი სრიალითვე გამოდის წინ.

თვლა **სამი** — მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით მიდის უკან. ერთდროულად მარცხენა

ტერფის წინა ნაწილი სრიალითვე გამოდის წინ. წინ გამოსრიალებული მარცხენა ფეხი მოიხრება კოჭის სახსარში და ქუსლზე დაეყრდნობა მარჯვენის წვერთან.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდეგი **ოთხი** თვლა — გასმა იწყება მარცხენა ფეხით და ა.შ.

წვერული

საწყისი მდგომარეობა — ორივე ტერფის წინა ნაწილზე აწევა. მარჯვენა ფეხი გამოტანილია წინ ისე, რომ ქუსლი მოხვდეს მარცხენის წვერთან.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით მიდის უკან. ერთდროულად მარცხენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით გამოდის წინ.

თვლა **ორი** — მარცხენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით მიდის უკან. ერთდროულად მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით გამოდის წინ.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხის ტერფის წინა ნაწილი სრიალით მიდის უკან. მარცხენა ტერფის წინა ნაწილი სრიალითვე გადის წინ.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდეგი **ოთხი** თვლა — გასმა იწყება მარცხენა ფეხით.

კანკალური

„წვერული გასმა“ იმ განსხვავებით, რომ თვლა **ოთხზე** შეჩერება იწყება მუხლში მცირედ მოხრილი მარცხენა ფეხის კანკალის შემდეგ.

ჩაკრული

თვლა **ერთი** — პატარა ნახტომითა და ტერფის წინა ნაწილის სრიალით მარცხენა ფეხი გადის მცირედ წინ. ერთდროულად მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხით ჰაერში (წინიდან უკან) მოიხაზება ნახევარი წრე და ტერფის წინა ნაწილით დაიდგმება მარცხენასთან მცირედ უკან (მარჯვენა ფეხის წვერი მოხვდება მარცხენა ტერფის შუა ნაწილთან).

თვლა **ორი** — ერთდროულად ტერფის წინა ნაწილებით სრიალი: მარჯვენა ფეხის — წინ, მარცხენის — უკან.

თვლა **სამი** — ერთდროულად ტერფის წინა ნაწილებით სრიალი: მარცხენა ფეხის — წინ და მარჯვენის — უკან.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდეგი **ოთხი** თვლა — გასმა იწყება მარცხენა ფეხით.

გვერდულა

საწყისი მდგომარეობა — მარჯვენა ფეხი გამოდის წინ, სხეულის სიმძიმე ეყრდნობა მარცხენას. მარჯვენა ტერფის წინა ნაწილით ეხება იატაკს.

თვლა **ერთი** — მუხლში მოხრილი მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით მიდის უკან (მარჯვენა ფეხის წვერი უნდა მოხვდეს მარცხენა ტერფის შუა ნაწილთან). ერთდროულად მარცხენის ქუსლი გადადის მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი სრიალით გამოდის ისევ წინ. ერთდროულად მარცხენის წვერი გადადის მარჯვნივ.

თვლა **სამი** — მარჯვენა ტერფის წინა ნაწილის სრიალი უკან. ერთდროულად მარცხენა ტერფის წინა ნაწილის სრიალი წინ.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდეგი **ოთხი** თვლა — გასმა იწყება მარცხენა ფეხით.

შენიშვნა: გასმების დროს წინ გასრიალებული ფეხის ქუსლი არ უნდა გაცდეს უკან გასრიალებული ფეხის წვერს. უკან გასრიალებული ფეხი — სხეულის გაგრძელებას.

ძველი თბილისის სურათები

„ძველი თბილისის სურათები“ ჩვენ მიერ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში დაიდგა 1954 წელს. გთავაზობთ ამ ცეკვის აღწერას:

ბნელა... დუდუკი კვენესის. სცენა თანდათანობით ნათდება. ჩანს სხვადასხვა პოზაში გაქვავებული კინტოებისა და ყარაჩოლელების ჯგუფი. სცენის სიღრმეში ორი დაღონებულ-დადარდიანებული ყარაჩოლელი დგას, რომლებსაც ჩოხის მარჯვენა კალთა მარცხენა მხარზე გადაუფენიათ, თავი მარჯვნივ შეუბრუნებიათ და ძირს ერთ წერტილს მისჩერებიან... მათ მარჯვნივ და მარცხნივ ორი თავდახრილი კინტო ამოდგომიათ. ცენტრალური ჯგუფის მარცხნივ — მეოთხედით შებრუნებული, ხელებგაშლილი კინტო, მუშტრის მოზიდვის მიზნით, თითქოს გაჰყვირის და აქებს თავის საქონელს. სახით მისკენ შებრუნებული, ცალ მუხლზე ჩამჯდარი მეორე კინტო აწონის სცენას განასახიერებს. მარცხნივ, სახით ცენტრისაკენ შებრუნებული კინტო „არღანზე უკრავს.“ მის გვერდით მდგომი კინტო საცეკვაო პოზაშია.

ცენტრალური ჯგუფის მარჯვნივ, ერთმანეთის პირისპირ მდგარი ორი კინტო თითქოს გაცხარებული კამათის დროს გაქვავებულანო. მარჯვნივ, სახით ცენტრისაკენ შებრუნებული ბუმბერაზი ყარაჩოლელი ხელმოღერებულია — თითქოსდა სილა უნდა გაანასო „ჩიკორა“ კინტოს, რომელიც შეშინებული შესცქერის ყარაჩოლელს — სთხოვს, აპატიოს თავხედობა. მთელ ამ სტატიკურ პროცესიაში ნახევარ წრეზე განლაგებული სამი ყარაჩოლელი და ცხრა კინტო მონაწილეობს.

დოლის მეორედ შემოკვრისას გაქვავებული ჯგუფი შეირხევა და თანდათანობით გამოცოცხლდება. საცეკვაო პოზაში მდგარი კინტო იწყებს წრეზე სვლას, მას მეორე კინტოც შეუერთდება და ორივენი ცეკვავენ, დანარჩენები ტაშს უკრავენ... იწყება საერთო ლხინი. ცეკვაში ერთმანეთს ცვლიან კინტოები და ყარაჩოლელები. შემდეგ ყველა ერთად ცეკვავს. ბოლო ორ ტაქტზე ისევ საწყის მდგომარეობას უბრუნდებიან... კვლავ კვენესის დუდუკი და სინათლე თანდათანობით ქრება.

ჩვენი წარმოდგენით, ძველი თბილისის ტიპები გაცოცხლდნენ და ისევ დაიხოცნენ — გაქვავდნენ და საბოლოოდ გაქრნენ.

კინტოური და ყარაჩოლეული ცეკვების შესრულებისას დაუშვებელია გადაჭარბებული მანჭვარება და უხამსობა. ზოგმა ქორეოგრაფმა „ძველი თბილისის სურათები“ ისე დაამახინჯა, რომ კინტოური და ყარაჩოლეული ცეკვები რამდენიმე წლით ამოიღეს რეპერტუარიდან, რაც, ჩვენი აზრით, დიდი შეცდომაა: ძველი თბილისის ყოფაში აღმოცენებულმა კოლორიტებმა — კინტოებმა და ყარაჩოლელებმა — შექმნეს მეტად თავისებური და საინტერესო ცეკვები, რომელთა დაკარგვა დანაკლისი იქნება ქართული ქორეოგრაფიისათვის, კერძოდ, ქალაქური ფოლკლორისათვის.

ძველი თბილისის საცეკვაო რეპერტუარში შედიოდა სქესობრივი სიყვარულისა და შვილიერების კულტის სადიდებელი სანახაობის მსგავსი — „იალის თამაში.“ დიმიტრი ჯანელიძე „ქართული თეატრის ხალხურ სანყისებში“ წერს: „გასული საუკუნის 50-იან წლებში ჯერ კიდევ ცნობილი იყო პანტომიმური სანახაობა „იალის თამაშობა,“ რომელსაც თბილისში ყველიერობას ასრულებდნენ. გაზეთმა „ზაკავკასკი ვესტნიკმა“ ამ იშვიათი თამაშობის შემდეგი აღწერილობა დაგვიტოვა: „ზურნამ რომ დაუკრა, ოთხი ახალგაზრდა წამოდგა. ერთი მეორის უკან მოეწყვენ, თითოეულმა მათგანმა ბაღდადი მხარზე გადაიგდო. ერთმა ჯოხს მიჰყო ხელი და მოცეკვავეები დაიფრინა. უიმისოდაც მოცეკვავენი უკვე ზურნის ტაქტს ფეხშენყობილნი წრეს ჩაკვრით უვლიდნენ. როდესაც წრეს რამდენჯერმე შემოუარეს, ბაღდადები გადაჰყარეს და მერე იმათ სარტყლებიც მიჰყვა. ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ პერანგისამარა დარჩნენ. პერანგებიც! — დაიძახა მეთაურმა და თან ჯოხით დასდევდა მათ. ინდოეთში პერანგებსაც არ ატარებდნენო. ბანზე თამაშობდნენ, თოვდა, მაგრამ მოცეკვავენი მეთაურს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. შემდეგ პირიქით დაიწყო, თანდათან იმავე წესით ჩაცმაც დაიწყეს და ცეკვაც ამით დამთავრდა...“

გაშიშვლება, ჯოხით (წკეპლით) უკან დევნა, ჯერ გახდა, მერე ჩაცმა — ეს ისეთი ნიშნებია, რომ „იალის თამაშსაც“ სქესობრივი სიყვარულისა და შვილიერების მფარველი ღმერთის — კვირიას სადიდებელ რიტუალად უნდა იქნეს მიჩნეული. „მელია თელეპიასა“ და „იალის თამაშს“ შორის მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ „იალის თამაში“ ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ცეკვის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ...

ტექნოლოგიური მასალა

- საბალდადურო წინსვლა
- საბალდადურო მუხლურა

- ქუსლურა წინსვლა
- წინჩაკრული
- უკუჩაკრული
- ხლართულა ჩაკრული
- ფეხგაქნევით უკუჩაკრული
- ჭდობილი ფეხგაქნევი
- მალალჩაკრული
- სამდაკვრითი უკუსვლა
- ბუქნები...

სახუმარო-სატრფიალო

ცეკვა დადგმულია 1956 წელს, ძველი ხალხური სიმღერის „იმერული სახუმაროს“ მიხედვით და გამოყენებულია ხალხში გავრცელებული ცეკვა „ნართმევიას“ ძირითადი წესები.

დასაწყისში გუნდი ასრულებს სიმღერის შესავალს. მარცხენა კულისიდან შემოდის ვაჟი და მიუმღერებს მაცურებელს:

„ასე ამგვარ ყოფითა
გახმა კუჭი და პირი,
ამ დილაზე მომიკვდა
წაილო თქვენი ჭირი.“

სტროფის დამთავრებისთანავე შესძახებს „ჰატ“ და ცდილობს, იცეკვოს, მაგრამ ცეკვაში დაუოსტატებელი მხოლოდ ნაწყვეტის შესრულებას ახერხებს, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი იზნევა, მაგრამ გულს არ იტეხს. ცოცხლად შესძახებს „ჰატს“, იგონებს ფეხის ტკივილს და ფეხათრევით გაემართება სცენის სიღრმეში მდგომი ახალგაზრდებისაკენ, თან წაიტრაბახებს: ფეხი მეტკინა თორემ მე გაჩვენებდით ცეკვასო...

ცეკვას იწყებს ორი ვაჟი. წრეზე შემოვლისა და რამდენიმე ილეთის შესრულების შემდეგ მიემართებიან ქალებისაკენ და საცეკვაოდ იწვევენ. ქალები დაიმორცხვებენ, უარობენ, გაშორდებიან მოცეკვავეებს და ერთმანეთს უახლოვდებიან. იმედგაცრუებული ვაჟები თავიანთ ადგილს უბრუნდებიან.

„ჰატის“ შეძახილით ცეკვას იწყებს სხვა ვაჟი. ხალისიანად შემოუვლის წრეს, მიუახლოვდება ქალებს და ერთ-ერთს საცეკვაოდ იწვევს.

ქალები ერთმანეთს ეშმაკურად გადახედავენ და თვალთ ანიშნებენ — აბა, შენ დაიწყეო. ბოლოს ერთ-ერთი გაბედულად ჩაებმება ცეკვაში. აქედან ცეკვა იღებს „ნართმევიას“ ხასიათს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გავიხსენოთ დავით ჯავრიშვილის მიერ ჩანერილი ცეკვა „ნართმევიას“ შესრულების ტრადიციული წესები:

- თუ მოცეკვავენი (წყვილი) ერთმანეთის პირისპირ დგანან, და მათ შორის მანძილი წრის ერთ მეოთხედზე ნაკლებია, ცეკვაში შეჭრა და „ნართმევა“ დაუშვებელია.
- თუ პირისპირ მდგომმა ერთ-ერთმა მოცეკვავემ უცებ შეცვალა მიმართულება და ორივე სახით ერთი და იმავე მიმართულებით მოექცა, თანაც „უკან ჩამორჩენილი“ სწრაფად არ წამოენია, მესამეს უფლება არა აქვს, „ჩაეჭრას“ და ერთ-ერთს ეცეკვოს.
- წინსვლისა და წრის შემოვლის დროს მესამეს შეუძლია წყვილთა შორის „შეიჭრას“ და ერთი მეორეს ჩამოაშოროს, მაგრამ არ უნდა შეეხოს მას და ხელი არ უნდა შეუშალოს მეორეს — მიმყოლს.
- მესამე წესის დარღვევისას „ნართმევიას“ უკანონოა და ცეკვა ისევ ძველ წყვილს ეკუთვნის
- თუ ცეკვისას ქალმა ორივე ხელით გულმკერდი დაიხურა, ეს იმის ნიშანია, რომ მხოლოდ ქალს იღებს. ამ შემთხვევაში წყვილის დასაშორებლად მხოლოდ ქალს შეუძლია „შუაშესვლა“, ანუ „ნართმევა“.
- წყვილად ცეკვისას დაუშვებელია, ერთი ცეკვავედეს, მეორე კი იდგეს, ტაშს უკრავდეს ან დასასვენებლად შეჩერდეს. ამ შემთხვევაში იგი „ცეკვიდან გამოსულად“ მიიჩნევა.
- შესაძლებელია წრეში ორი და მეტი წყვილის ცეკვაც, ოღონდ შემდეგნაირად: დასაწყისში

ცეკვავს მხოლოდ ერთი წყვილი, შემდეგ ამ წყვილს შუა ერთსა და იმავე დროს შეიჭრებიან მეორენი, პირველ წყვილს დააშორებენ და ა.შ.

- „ნართმევიაში“ დასაშვებია ქალის — ქალთან და ვაჟის — ვაჟთან ცეკვა.
- ზომიერების ფარგლებში დასაშვებია „მოტყუება“ — თავისივე მეწყვილისაგან დასაშორებლად რაიმე ფანდის ხმარება.

სახუმარო-სატრფიალო სამნაწილიანია:

I — შესავალი

II — ნართმევია

III — მასობრივი სამხიარულო ცეკვა

ცეკვაში სახუმარო მომენტები, სათანადო შესტებისა და მიმიკის საშუალებით, მკაფიოდ უნდა ჩანდეს. შესრულების შესაფერის ხერხს საჭიროებს თითოეული ილეთი, სვლა, გასმა თუ სხვა ელემენტი: არ არის აუცილებელი, „რთულა სვლა“ ყოველთვის ტრადიციულად შესრულდეს. „ნართმევის“ მომენტები, — მოულოდნელობა, გაკვირვება, გაოცება, გაბრაზება, სინანული, სიფრთხილე და სხვა, — შესაფერისი მიმიკური მოძრაობით უნდა განსახიერდეს. ასევე ანგარიშგასაწევია მოცეკვავის ინდივიდუალური მომზადება და შესაძლებლობა.

სამოსი

ქალების — ქართული კაბის მსგავსი ღია ფერის სადა და გრძელი კაბები, თავზე ფერადი ბაღდადებით.

ვაჟების — ყაითნით განწყობილი თეთრი ხალათები, შავი შარვლები, ღია ფერის ნულა-მესტები, იმერელთათვის დამახასიათებელი ნაბდის ქუდეები (ნაბდის მაგიერ შეიძლება ხამი ქსოვილი) და მოვერცხლილი ტყავის ქამრები.

ხელჯის მდგომარეობა

ქალები

№1 — ცალი ხელის წინა მხარი გულმკერდის წინაა, მეორე — განზეა გაშლილი (მკერდდახურული).

№2 — იდაყვში მოხრილი ცალი ხელი გატანილია წინ — წინა მხარი ამართულია ზევით. იდაყვში მცირედ მოხრილი მეორე ხელი დაშვებულია ქვევით.


ვაჟები

№1 — ორივე ხელი დაშვებულია ქვევით. ხელის თითები მოხრილია და ნებით მიმართულია უკან.

№2 — ცალი ხელი მოხრილია იდაყვის სახსარში და ოდნავ დაშვებული, ხელის თითები გამართული და ნებით ეხება გულმკერდს. მეორე ხელი განზე გაშლილი (გლეხური).


№3 — ცალი ხელი მოხრილია იდაყვის სახსარში და ხელის თითებით ეხება კეფას. მეორე — განზე გაშლილი (ცალიდაყვგაშლილი).

№4 — ცალი ხელი მოხრილია იდაყვის სახსარში და ხელის ცერით ეხება გულმკერდს. მეორე — განზე გაშლილი (საქართულო).




ცეკვის აღწერა

სიმღერით შემოდის მომღერალი ვაჟი. ცოტა მოგვიანებით სხვადასხვა მხრიდან მას შემოჰყვება ორი მოცეკვავე ქალი, შემდეგ — ოთხი ვაჟი (ნახ.1).



ნახ. 1



ნახ. 2

სიმღერის დასასრულს ვაჟი შედახებს „ჰატ“, გუნდი გადადის საცეკვაო მელოდიაზე და ვაჟი ცეკვავს (ნახ. 2).

1—16 ტაქტი

„ქუსლურა სვლით“ (ილ.1) ვაჟი მოძრაობს წრეზე მარჯვნიდან მარცხნივ.

1—8 ტაქტი

მოედნის ცენტრში ასრულებს „ჩაკრულ გასმას“ (ილ.9).

ხელების მდგომარეობა — №3

1—8 ტაქტი


პირველი-რვა ტაქტი — შედახებს „ჰატს“ და ფეხათრევით მიემართება მოცეკვავეებისაკენ — გასწიონ მისი მაგივრობა და ჩაებან ცეკვაში (ნახ.2).

1—8 ტაქტი


მარცხენა კულისიდან ცეკვას იწყებს ორი ვაჟი (№2, №3).

პირველი-ორი ტაქტი — მცირედ წინ ზნექით ერთმანეთის მიყოლებით ასრულებენ „მუხლურა სვლას“ (ილ. 2).

სამი-რვა ტაქტი — „ტერფულა სვლით“ მოძრაობენ ავანსცენამდე (ნახ. 3).



ნახ. 3



ნახ. 4

1—8 ტაქტი

პირველი-ორი ტაქტი — („ჰატის“ შედახილით) იგივე წყვილი ასრულებს 3/4 ბრუნს მარცხნივ მცირე წრეზე შემოვლით, „ტერფულა სვლით“ (ნახ. 4).

ხელები — №2.


სამი-ექვსი ტაქტი — ბრუნის შემდეგ სახით მაცურებლისკენ მოქცეული ორივე ვაჟი ასრულებს „მაღალ ჩაკრულ გასმას“ (ილ. 10).

შვიდი-რვა ტაქტი — დახვევით 1/2 ბრუნი.

1—8 ტაქტი

პირველი-ოთხი ტაქტი — „სრიალა გასმით“ (ილ. 11) მიემართებიან ქალებისაკენ (გასმით წინსვლა. ნახ. 5).

ხელები — №3.




ნახ. 5

მეხუთე ტაქტი — ორივე ვაჟი გადადგამს მარჯვენა ფეხს მარჯვნივ.

მეექვსე ტაქტი — მარცხენა ფეხს მიადგამენ მარჯვენასთან და, გამოპატიჟების ნიშნად, თავს დახრიან ქალების წინ.

ხელების მდგომარეობა — №1.

მეშვიდე-მერვე ტაქტი — ქალები დაიმორცხვებენ და უარის ნიშნად შებრუნდებიან: **№1** — მარჯვნივ, **№2** — მარცხნივ და ჩვეულებრივი ნაბიჯებით დაუახლოვდებიან ერთმანეთს. მოულოდნელად **№1** და **№4** ვაჟი აღმოჩნდება ქალების პირისპირ (იმედგაცრუებული **№2** და **№3** ვაჟი უთმობს მათ საცეკვაო მოედანს ნახ 6).



ნახ. 6

1—16 ტაქტი

პირველი-ორი ტაქტი — **№4** ვაჟი „ჰატის“ შექაზებით გამოდის წინ და **სამი-თექვსმეტი** ტაქტი მოძრაობს წრეზე მაღალ ერგცერებზე „სრიალა სვლით“ (ილ. 4).

1—8 ტაქტი


პირველი-ოთხი ტაქტი — ასრულებს „სრიალა გასმას“ (ილ. 11) ქალების წინ.

ხელები — №3

მეხუთე-მეექვსე ტაქტი — თხოვნით გადახედავს ქალებს.

მეშვიდე-მერვე ტაქტი — დახრის თავს (ნახ. 7).


ხელები — №2



ნახ. 7

1—16 ტაქტი

№1 ქალი ცეკვავს **№4** ვაჟთან, ერთად მოძრაობენ წრეზე „ტერფულა სვლით“ (ილ.3). ყოველ **მე-7-8** ტაქტზე ვაჟი ასრულებს დახვევით ბრუნს მარცხნივ (ნახ. 8).



ნახ. 8


1—8 ტაქტი

ქალი შებრუნდება სახით ვაჟისკენ და „უკუსვლით“ (ილ.6) მოძრაობს წრეზე.

ვაჟი, წელში ოდნავ მოხრილი და მაღალ ერგცერებზე აწეული, ასრულებს „სრიალა გასმას.“ (ილ.11).

ხელების მდგომარეობა: ქალი — **№1**, ვაჟი — **№3**

„სრიალა გასმით“ ვაჟი მცირედ მოძრაობს წინ, ქალი სრული ნაბიჯით — უკან. ქალ-ვაჟს შორის მანძილი იმდენად გაიზრდება, რომ **№1** ვაჟი თავისუფლად იკავებს **№4**-ის ადგილს (**№1** ვაჟი „ჰატის“ შეძახილით ცეკვაში ერთვება მომდევნო ტაქტიდან. ნახ. 9).



ნახ. 9

1—8 ტაქტი


პირველი-ექვსი ტაქტი:

ქალი №1 — ასრულებს 1/2 ბრუნს მარცხნივ და ერთდროულად უკუსვლიდან გადადის „ტერფულა წინსვლაზე“ (ილ.3).

ვაჟი №1 — ქალთან ერთად წრეზე მოძრაობს „რთულა სვლით“ (ილ.5. „რთულა“ სრულდება მცირე აქცენტით).

შვიდი-რვა ტაქტი — ქალ-ვაჟი ასრულებს ბრუნს მარცხნივ (ნახ. 10).

ხელების მდგომარეობა: ქალი — **№1**, ვაჟი — **№1**.




ნახ. 10

1—8 ტაქტი

პირველი-ოთხი ტაქტი: ქალ-ვაჟი მოძრაობს წრის მიმართულებით, მიაღწევს მოედნის სიღრმეს და მე-5 ტაქტზე №1 ქალს ცვლის №2 ქალი, რომელიც „რთულა სვლით“ (ილ.5) მიემართება წინ — მოედნის ცენტრისკენ (ნახ. 11).


ხელების მდგომარეობა: ქალი — №1, ვაჟი — №4.



ნახ. 11

1—8 ტაქტი

სახით ერთმანეთისაკენ შებრუნებული ქალ-ვაჟი მოძრაობს მარჯვენა კულისისაკენ (ნახ. 12): ქალი — „უკუსვლით,“ ვაჟი — წინ „გვერდულა“ გასმით.



ნახ. 12

შვიდი-რვა ტაქტი — ქალი ასრულებს 1/2 ბრუნს მარცხნივ და განაგრძობს წრეზე სვლას. **მკლავების მდგომარეობა:** ქალი — I პოზიცია, ვაჟი — IV პოზიცია.


1—16 ტაქტი

ქალ-ვაჟს შორის დატოვებული მანძილით ისარგებლებს №2 ვაჟი და „ჰატის“ შეძახილით შეეც-ილება №1 ვაჟს (ნახ. 13). №2 ვაჟი ცეკვაში ერთვება პირველი ტაქტიდანვე.

№2 ქალი — მოძრაობს „რთულა სვლით“ (ილ.5).

№2 ვაჟი — „რთულა სვლითვე“ მისდევს ქალს პირველ-თორმეტ ტაქტზე. შემდეგ წყვილი დაუბრუნდება იმავე ადგილს, საიდანაც დაიწყო ცეკვა.


ხელების მდგომარეობა: ქალი — №1, ვაჟი — №2.



ნახ. 13

მეცამეტე ტაქტი — ცეკვაში ჩაებმება №3 ვაჟი და ქალთან ერთად მოძრაობს მარცხნივ წრეზე „სრიალა წინსვლით“ (ილ.4).

№2 ვაჟი **მეცამეტე** ტაქტზე შეჩერდება (ნახ. 14).




ნახ. 14

1—16 ტაქტი


პირველი-რვა ტაქტი — წრეშემოვლით სვლა (ნახ. 15).

ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — სახით მაცურებლისაკენ შებრუნებული ქალ-ვაჟი მოძრაობს „ჭდობილი სამდაკვრით გვერდზე სვლით“ (ილ.8). მიმართულება მარჯვენა კულისისაკენ (ნახ. 16).

ხელების მდგომარეობა: ქალი — №1, ვაჟი — №4.



ნახ. 15



ნახ. 16


№2 ქალი ხელების №1 მდგომარეობიდან თანდათანობით დაიკრეფს გულხელს — უარს ამბობს ვაჟებთან ცეკვაზე და მოითხოვს ქალს.

თხუთმეტი-თექვსმეტი ტაქტი — ორივე ქალი ბრუნავს მარჯვნივ.

1—8 ტაქტი

პირველი-ოთხი ტაქტი — №1 და №2 ქალი „რთულა სვლით“ (ილ.5) მიემართება წინ — მოედნის ცენტრისაკენ (ნახ. 17).


ხელების მდგომარეობა — №2



ნახ. 17

ხუთი-ეჭვსი ტაქტი — ოთხივე ვაჟი ნახტომით უახლოვდება ქალებს. ერთდროულად დგებიან მარჯვენა მუხლზე და მკლავებით მხრებზე გადახვეულნი ქმნიან წრეს ქალების ირგვლივ.

შვიდი-რვა ტაქტი — ვაჟები რჩებიან იმავე მდგომარეობაში, ქალები **მეხუთე-მერვე** ტაქტზე ბრუნავენ „სამდაკვრითი“ (ილ.7) მოძრაობით: **№1** — მარჯვნივ, **№2** — მარცხნივ (ნახ. 18).




ნახ. 18

1—8 ტაქტი

ვაჟები პირველი-ორი ტაქტი — მკლავებგადახვეული „ჭატი“ შეძახილით დგებიან მარცხენა ფეხის ცერზე, მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი მცირედით გააქვთ წინ. **სამი-რვა** ტაქტი — „რთულა სვლით“ (ილ.5) წრეშეკრულად მოძრაობენ მარჯვნივ (ნახ. 19).

ქალები ამ დროს ასრულებენ: **პირველი-ორი** — სწრაფი ბრუნის მარცხნივ, **სამი-ოთხი** — „სამდაკვრითი“ გვერდზე სვლა მარჯვნივ, **ხუთი-ეჭვსი** — „სამდაკვრითი“ გვერდზე სვლა მარცხნივ, **შვიდი-რვა** — იგივე მარჯვნივ.




ნახ. 19

შენიშვნა: სამ-რვა ტაქტში ვაჟები უვლიან მთელ წრეს და უბრუნდებიან საწყის ადგილს.

1—16 ტაქტი


პირველი-ორი ტაქტი — **№3** და **№4** ქალი ვაჟებს შუა გაარღვევენ წრეს და ხელჩაკიდებული, ჩვეულებრივი სირბილით მიემართებიან საცეკვაო მოედნის მარცხენა ზედა კუთხისაკენ. თავიანთი მარცხით გაკვირვებული ვაჟები, ქალებისაკენ მიბრუნებული, ხელებდაშვებული ადგილზე ჩერდებიან (ნახ. 20).



ნახ. 20

სამი-ოთხი ტაქტი — ქალები შებრუნდებიან ვაჟებისაკენ და ერთმანეთთან მჭიდროდ მიახლოებული ჩერდებიან.


სამი-ოთხი ტაქტი — ვაჟები ნახტომითა და ჩვეულებრივი სწრაფი ნაბიჯით ეწყობიან დიაგონალზე, სახით ქალებისაკენ (ნახ. 21).



ნახ. 21

ხუთი-თექვსმეტი ტაქტი:

ქალები — №1 მარჯვნიდან და №2 მარცხნიდან მოძრაობენ ვაჟებს შორის „წნული“ გავლით „რთულა სვლით“ (ილ.5). შეხვედრისას, გადაკვეთის წერტილებში, ხან ერთი ქალი გაივლის წინ, ხან — მეორე (იხ. ნახ. 22. ნახაზზე მონაკვეთს ეთმობა ორი ტაქტი).



ნახ. 22


ვაჟები ამ დროს ასრულებენ „სრიალა გასმას“ (ილ. 11): №4 ვაჟი პირველ-ორ ტაქტში (5-6) აკეთებს გასმას მწყობრის მიმართულებით; მომდევნო ორ ტაქტში (7-8), როდესაც ქალები გასცდებიან მას, 1/2 ბრუნს მარცხნივ და განაგრძობს გასმას. თანდათანობით ასევე ბრუნავს №3 და №2 ვაჟიც, გამოწვევს №1.

ხელების მდგომარეობა: ქალი — №1, ვაჟი — №3 (იმ განსხვავებით, რომ განგაშლილი ხელი მოხრილია იდაყვის სახსარში და გატანილია წელს უკან).

1—8 ტაქტი

პირველი-ორი ტაქტი — ქალები მიემართებიან ვაჟთა მწყობრის ცენტრისკენ გარე რკალისებრი დახვევით (ნახ. 23). **ვაჟები** „ჭაბის“ შეძახილით მწყრივად ეწყობიან ფრონტალური ხაზის პარალელურად, სახით მაყურებლისაკენ, და ერთდროულად ფეხიფეხგადაჭდობილი (მარჯვენა — წინ, მარცხენა — უკან) დგებიან ორივე ფეხის ცერზე.

სამი-ოთხი ტაქტი — №1 ქალი ბრუნავს მარცხნივ, №2 — მარჯვნივ. ბრუნი სრულდება წინსვლით — ორივე ქალი უნდა მოხვდეს ვაჟთა მწყრივის ცენტრში (ნახ. 23).




ნახ. 23

ვაჟები რიგრიგობით, მარჯვენა ფეხის ცერიდან სხეულის სიმძიმის მარცხენა ფეხის ცერზე გადატანით, შებრუნდებიან ქალებისაკენ (№1 და №2 — მარცხნივ, №3 და №4 — მარჯვნივ).

ხელების მდგომარეობა: ქალები — №1, ვაჟები — ორივე ხელი ხანჯალზე უკიდიათ.

ხუთი-ექვსი ტაქტი — ქალი შებრუნდება მარცხნივ და „რთულა სვლით“ (ილ.5) მიემართება ვაჟთა მწყრივის მარცხნივ, №2 ქალი იმავე სვლით — მარჯვნივ.



ნახ. 24

ვაჟები განაგდობენ „ჭდობილცერებზე ბრუნს“ ქალების სვლის მიმართულებით (№1 და №2 ვაჟი — მარცხნივ, №3 და №4 ვაჟი — მარჯვნივ ნახ. 24).

შვიდი-რვა ტაქტი — №1 ქალი მარცხნივ ბრუნით ჩადგება №1 და №2 ვაჟს შორის, №2 ქალი მარჯვნივ ბრუნით — №3 და №4 ვაჟს შორის.

ვაჟები განაგდობენ ბრუნს იმავე მიმართულებით და იქმნება ქალ-ვაჟთა საერთო მწყრივი (ნახ. 25).




ნახ. 25

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟთა მწყრივი მოძრაობს „სამდაკვრითი უკუსვლით“ (ილ.6). ყოველ ტაქტზე სხეული ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ იხრება (ნახ. 26).


ხელების მდგომარეობა: ქალები — №1, ვაჟები — №4.



ნახ. 26

1—8 ტაქტი

პირველი-ოთხი ტაქტი: №1 და №2 ვაჟი მოძრაობს „რთულა წინსვლით“ (ილ.5) №1 ქალის გარშემო. ასევე მოძრაობს №3 და №4 ვაჟი №2 ქალის ირგვლივ, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით (ნახ. 27).




ნახ. 27

ხუთი-რვა ტაქტი — №1 და №4 ვაჟი მოცეკვავეთა ცენტრში ასრულებს მხარდამხარ შემოვლას. №2 ვაჟი მცირედ რკალზე შემოვლით იკავებს №1 ვაჟის ადგილს, №3 ვაჟი — №4-ისას (იცვლიან ადგილებს).

პირველი-ოთხი ტაქტი — №1 ქალი „სამდაკვრითი“ (ილ.7) მოძრაობით ასრულებს 1/2 ბრუნს მარჯვნივ, №2 ქალი — მარცხნივ.

ხუთი-რვა ტაქტი — ორივე ქალი იმავე სვლით მოძრაობს საწინააღმდეგო მიმართულებით (ნახ. 28).

ხელების მდგომარეობა: ქალები — №1, ვაჟები — №4.




ნახ. 28

1—8 ტაქტი

№1 ქალი — მოძრაობს რკალისებურად „რთულა სვლით“ წინ და მარჯვნივ. №2 ქალი — მარცხნივ (ორივე ქალი იკავებს მწკრივის მარჯვენა და მარცხენა ფრთას).

ვაჟები ამ დროს ასრულებენ ადგილზე გასმებს (**პირველი-მეორე** ტაქტი — ქუსლური, **მესამე-მეოთხე** — ჭდობილი, **მეხუთე-მეექვსე** — ჭდობჩაკრული გასმა (ილ.15 **მეშვიდე-მერვე** — №1 ქალი ბრუნავს მარჯვნივ, №1 — №2 მარცხნივ. ნახ. 29).



ნახ. 29

1—8 ტაქტი


პირველი-ორი ტაქტი — №1 ქალი ბრუნავს სამდაკვრითი მოძრაობით მარჯვნივ, №2 — მარცხნივ.

სამი-რვა ტაქტი — ორივე ქალი მოძრაობს მცირედ წინ „სრიალა სვლით“ (ილ.4).

პირველი-ორი ტაქტი — ვაჟები, შეძახილით „ჰატ“, დგებიან მარცხენა ფეხის ცერზე, ერთდროულად ხრიან მარჯვენა ფეხს მუხლის სახსარში და გამოაქვთ მცირედ წინ.

სამი-რვა ტაქტი — „ჩაკრული გასმა“ (ილ.9) მცირედ წინსვლით (ნახ. 30).

ხელების მდგომარეობა: ქალები — №1, ვაჟები — №4.



ნახ. 30

ცეკვა მთავრდება „ჰატის“ შეძახილით (პირველი ტაქტი) — ქალები ასრულებენ მთელ ბრუნს (№1 — მარჯვნივ, №2 — მარცხნივ) და ჩერდებიან სახით მაყურებლისკენ. ვაჟები მარჯვენა ფეხით გადადგამენ ნაბიჯს წინ და ზეტანის მოძრაობითა და მარჯვენა ხელის ზეანევით შესძახებენ „ჰატს.“

ილეთთა აღწერა

სვლეზი

1. ქუსლურა სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხების I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა ერთი — მარჯვენა ფეხის ქუსლიდან ნახევარი ნაბიჯი წინ.

თვლა და — მარცხენა ფეხი ტერფის წინა ნაწილზე სრიალით მიედგმება მარჯვენას.

თვლა ორი — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ.

თვლა და — ყოვნა.

მომდევნო ტაქტის თვლა **ერთი** — უკან დარჩენილი მარცხენა ფეხის ნახევარი ნაბიჯის გადასადგმელად მომზადება.

შენიშვნა: მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება მარცხენა ფეხით (როგორც მარჯვენა ფეხისათვის).

2. მუხლურა სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ, სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა და — მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და მუხლით ისე გაიტანება წინ, რომ მარცხენა ფეხის ტერფი მოხვდეს მარჯვენის მუხლთან. ერთდროულად მარჯვენა ფეხი ოდნავ ზეხტომითა და სრიალით წაინწევს წინ.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

3. ტერფულა სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ, სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე.

თვლა და — მარცხენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი წინ. ორივე ფეხები იატაკს მთელი ტერფით ეხება და სხეულის სიმძიმე ორივეზეა განაწილებული.

თვლა ორი — მარჯვენა ფეხი მთელ ტერფზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

თვლა და — პაუზა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

4. სრიალა სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **და** — აწევა მარჯვენა ფეხის ერგცერზე, მუხლში გამართული მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით ნახევარი ნაბიჯით გადის წინ. სხეულის სიმძიმე ორივეზეა განაწილებული.

თვლა **ორი** — გამართული მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით ნახევარი ნაბიჯით გადის წინ (როგორც მარცხენა).

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

„სრიალა სვლა“ შეიძლება შესრულდეს მაღალ ერგცერებზე: თვლა **ერთი** — წინსვლა ჩვეულებრივი ნაბიჯის მაგიერ — **ერგცერით** იწყება.

5. რთულა სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხების I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **და** — მარცხენა ფეხი თანდათან მოიხრება მუხლის სახსარში და ერგცერზე სრიალით გაიტანება წინ ნახევარი ნაბიჯით (სხეულის სიმძიმე რჩება მარჯვენაზე).

თვლა **ორი** — სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენა ფეხის ერგცერზე. ერთდროულად გამართული მარჯვენა მთელ ტერფზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

თვლა **და** — პაუზა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

6. სამდაკვრითი უკუსვლა

ჯერ განვმარტავთ **სამდაკვრით მოძრაობას ადგილზე:**

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია, ერგცერები.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერი აიწევა ზევით და ზევიდან დაკვრით შეეხება იატაკს, მარცხენის ერგცერი აიწევა ზევით და დასაშვებად მოემზადება.

თვლა **და** — მარცხენა ფეხის ერგცერი ზევიდან დაკვრით შეეხება იატაკს, ერთდროულად მარჯვენის ერგცერი აიწევა ზევით.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ერგცერი დაკვრით შეეხება იატაკს, მარცხენის ერგცერი აიწევა ზევით.

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტი იწყება მარცხენა ერგცერის დაკვრით.

შენიშვნა: ერგცერის ზევით აწევისას ქუსლი იატაკს არ ეხება.

სამდაკვრითი უკუსვლა:

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია, ერგცერები.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერის დაკვრით მცირედით უკან გადაადგილება.

თვლა **და** — მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან ტერფის მანძილზე.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან ტერფის მანძილზე, მარცხენის ერგცერი მოშორდება იატაკს და აიწევს ზევით.

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით.

7. სამდაკვრითი გვირღვია სვლა

ამ ილეთის შესრულებისას შენარჩუნებულია „ადგილზე სამდაკვრითი მოძრაობის“ ყველა წესი, მხოლოდ სხეული გადაინაცვლებს გვერდზე — მარჯვნივ ან მარცხნივ. იგივე ითქმის „სამდაკვრით ბრუნზეც“ (სრულდება სამდაკვრით მარჯვნივ ან მარცხნივ).

8. ჭლოვილი სამდაკვრითი გვირღვია სვლა

პირველი ტაქტი სრულდება როგორც „ადგილზე სამდაკვრითი მოძრაობა“, **მეორე** ტაქტი — მარცხენა ფეხის მარჯვენა ფეხის წინ გადაჭლობით.

9. ჩაკრული ბასმა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი მცირედ აინევა ჰაერში და ერგცერით დაიდგება მარცხენა ქუსლთან. ერთდროულად მარცხენით ოდნავ სრიალა ნახტომი.

თვლა **და** — სრიალით შეიცვლება ფეხების მდგომარეობა — მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, მარჯვენაც ერგცერზე სრიალითვე — წინ.

თვლა **ორი** — ფეხები ერგცერებზე სრიალით შეიცვლის მდგომარეობას (წინ — მარცხენა, უკან — მარჯვენა).

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

10. მაღალჩაკრული ბასმა

საწყისი მდგომარეობა — მარცხენა ფეხი დგას მთელ ტერფზე, მუხლში გამართული მარჯვენა წინაა გატანილი (ფეხი იატაკს არ ეხება).

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხი ოდნავ სრიალა ნახტომით წაინეწს წინ, ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლში.

თვლა **და** — მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის საწყისი მდგომარეობა. ერთდროულად მარცხენა ფეხით სრიალა უკუხტომი და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

თვლა **ორი** — ფეხების მდგომარეობის შეცვლა (მარჯვენა ფეხის ტერფზე დგომა, მარცხენის წინ გატანა).

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყებს მარცხენა ფეხით.

11. სრიალა ბასმა

საწყისი მდგომარეობა — მარჯვენა ფეხი ნახევარი ტერფით წინაა გატანილი და ტერფის წინა ნაწილით ეხება იატაკს. ერგცერებზე დგომი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ერგცერებზე სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა (მარჯვენა სრიალით მოძრაობს უკან, მარცხენა — წინ).

თვლა **და** — ფეხების მდგომარეობის შეცვლა (მარჯვენის — წინ, მარცხენის უკან მოძრაობა).

თვლა **ორი** — როგორც თვლა **ერთი**.

თვლა **და** — ყოვნა.

შემდეგი ტაქტიდან იწყება მარცხენა ფეხის უკან მოძრაობით.

12. გვერდული ბასმა

საწყისი მდგომარეობა — მარცხენა ფეხზე დგომი. მარჯვენა ფეხი ნახევარი ტერფით წინაა გატანილი და ერგცერით ეხება იატაკს.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ქუსლი ისე შეინეწა მარჯვნივ, რომ ტერფმა ირიბი მიმართულება მიიღოს. ერთდროულად მარჯვენა მუხლში მოიხრება და ცერზე სრიალით მჭიდროდ მიუახლოვდება მარცხენის ქუსლს (მარჯვენა ფეხის მუხლი მიმართულია წინ, ქუსლი ანეულია ზევით).

თვლა **და** — მარცხენა ფეხის წვერი ქუსლზე დაყრდნობით ისე გადმოინეწა მარჯვნივ, რომ ტერფმა პირდაპირი მიმართულება მიიღოს. მარჯვენა მუხლში გაიმართება და ერგცერის წინ სრიალით

დაუბრუნდება სანყის მდგომარეობას.

თვლა **ორი** — ერგცერებზე სრიალითვე შეიცვლება ფეხების მდგომარეობა (მარჯვენა ფეხი მისრიალებს უკან, მარცხენა — წინ).

თვლა **და** — ყოვნა.

შემდეგი ტაქტიდან მოძრაობა სრულდება მარცხენა მხარეს.

13. ქუსლურა გასმა

სანყისი მდგომარეობა — როგორც „სრიალა გასმის“ დროს.

„ქუსლურა გასმა“ „სრიალა გასმისნაირად“ სრულდება, იმ განსხვავებით, რომ თვლა **ორი** (**პირველი** ტაქტი) მარცხენა ფეხი ამთავრებს მოძრაობას ქუსლზე წინ სრიალით და მოძრაობის დასასრულს ქუსლი იატაკზე დაყრდნობილი, ერგცერი — ზევით აწეული.

მეორე ტაქტის დასაწყისი: თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ქუსლი აიწევა ზევით, ერგცერი იატაკს შეეხება და სრიალით იმოძრაებს უკან. ამრიგად, „ქუსლურა გასმისას“ ყოველ ტაქტში **მესამე** მოძრაობა (თვლა **ორი**) დამთავრდება ქუსლის იატაკზე დაყრდნობით და ამავე ფეხის ერგცერის ზევით აწევით.

14. ჭდობილი გასმა

ჭდობილი გასმა სრულდება ადგილის გადანაცვლებით მარჯვნივ ან მარცხნივ.

პირველი ტაქტი — „სრიალა გასმა“ (იწყება მარჯვენა ფეხით).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხი სრიალით მარჯვენას გადაეჯვარედინება ერგცერებზე.

თვლა **და** — მარჯვენა ფეხი გადაიდგმება მცირედ უკან და მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით გაიდგმება წინ.

თვლა **და** — ყოვნა.

მესამე ტაქტი — „სრიალა გასმა.“

მეოთხე ტაქტი — როგორც **მეორე**.

15. ჭდობჩაკრული გასმა

სანყისი მდგომარეობა — დგომა მარცხენა ფეხზე, მარჯვენა ფეხი გადადგმულია წინ და ერგცერით ეხება იატაკს.

ჭდობჩაკრული გასმა სრულდება **ჩაკრული გასმისნაირად**, მხოლოდ თვლა **ერთი** (**პირველი** ტაქტი) მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი ერგცერის მცირედ სრიალით წინ გადაეჯვარედინება მარცხენას.

დანარჩენი თვლა (**და, ორი**) — როგორც ჩაკრული გასმის დროს. იცვლება ფეხების მდგომარეობა:

თვლა **და** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით უბრუნდება სანყის მდგომარეობას.

თვლა **ორი** — სრიალით ფეხების მდგომარეობის ცვლა (მარცხენის — წინ, მარჯვენის — უკან).

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან იწყება მარცხენა ფეხით.

სახუმარო

ახქარებით

ზაიწურა ს. გველესიანმა

ქა - ლი მეავ - და მათ - ხოჯს გავ - და ჰე, მა - მა - ჩე - მის ნაშ - რომს

ქა - ლი მეავ - და მათ - ხოჯს გავ - და ჰე, მა - მა - ჩე - მის ნაშ - რომს

სჭამ - და ჰე, დი - ლავ დი - ლავ ნა - ნი-ნა ნა - ნი-ნა

სჭამ - და ჰე, დი - ლავ დი - ლავ ნა - ნი-ნა ნა - ნი-ნა

დი - ლავ დი - ლავ ნა - ნი - ნა ჰე, მე რომ ტყე - ში წა - ვი - დო - დი ჰე,

დი - ლავ დი - ლავ ნა - ნი - ნა ჰე, მე რომ ტყე - ში წა - ვი - დო - დი ჰე,

ის კი ქა-თამს და - ი - კლავ-და ჰე, დი - ლავ დი - ლავ ნა - ნი-ნა ნა - ნინა

ის კი ქა-თამს და - ი - კლავ-და ჰე, დი - ლავ დი - ლავ ნა - ნი-ნა ნა - ნინა

დი-ღავ დი - ღავ ნა - ნი-ნა ჰე, მე რომ ტყე-ში წა-ვი-დო-დი, ის კი ქა-თამს და-ი-კლავ-და,
 დი-ღავ დი - ღავ ნა - ნი-ნა ჰე, მე რომ ტყე-ში წა-ვი-დო-დი, ის კი ქა-თამს და-ი-კლავ-და,

მე-ღა შე-მო-მეჩ-ვი-ა-ო, ტყე-ი-ღებს მე-უბ-ნე-ბო-და, დი-ღა-ო დი-ღა-ო დი-ღა ჰე,
 მე-ღა შე-მო-მეჩ-ვი-ა-ო, ტყე-ი-ღებს მე-უბ-ნე-ბო-და, დი-ღა-ო დი-ღა-ო დი-ღა ჰე,

დი-ღა-ო დი-ღა - ო დი - ღა ჰე, დი - ღავ დი - ღავ ნა - ნი-ნა ნა - ნი-ნა
 დი-ღა-ო დი-ღა - ო დი - ღა ჰე, დი - ღავ დი - ღავ ნა - ნი-ნა ნა - ნი-ნა

დი-ღავ დი - ღავ ნა - ნი-ნა ჰე, ა - სე ამ-გვარ ყო-ფი - თა ვახ-მა კუ - ჭი და პი-რი,
 ამ დი-ღა - ხე მო-მი-კვდა, წა - ი - დო თქვე-ნი ჭი-რი,
 დი-ღავ დი - ღავ ნა - ნი-ნა ჰე,

დი-ღავ დი-ღავ ნა-ნი-ნა ნა-ნი-ნა დი-ღავ დი - ღავ ნა - ნი-ნა ჰე,
 ჰე - ი-და ჰე, დი-ღავ დი-ღავ ნა-ნი-ნა ნა-ნი-ნა დი-ღავ დი - ღავ ნა - ნი-ნა ჰე,


მო - კვდა, ხა - ვაგ - დე კუ - ბო - ში არც მი - მი - ყვა - ნი - ა მღვდე-ლი,
 მო - კვდა, ხა - ვაგ - დე კუ - ბო - ში არც მი - მი - ყვა - ნი - ა მღვდე-ლი,

რაც ის მო - კვდა, ი - მის ჴემ-დეგ სულ ვცეკ-ვავ და სულ ვიმ-დე - რი,
 რაც ის მო - კვდა, ი - მის ჴემ-დეგ სულ ვცეკ-ვავ და სულ ვიმ-დე - რი,

ჰე - რი ბი - ჭო ოვ - დე-ლი - ა, ო - რი ოვ - დე-ლი - ა,
 ჰე - რი ბი - ჭო ოვ - დე-ლი - ა, ო - რი ოვ - დე-ლი - ა,

8
ღ - რი ოვ - დე-ლო - ა ნა - ნო - ნა შე.
ღ - რი ოვ - დე-ლო - ა ნა - ნო - ნა შე.
ღ - რი ოვ - დე-ლო - ა ნა - ნო - ნა შე.

The image shows a musical score for three staves. The top two staves are in treble clef and the bottom staff is in bass clef. The music is written in a 2/4 time signature. The lyrics are in Georgian and are repeated across the three staves. The first staff has a '8' above the first measure. The score is divided into three measures by vertical bar lines. The first measure contains the lyrics 'ღ - რი ოვ - დე-ლო - ა', the second measure contains 'ნა - ნო - ნა', and the third measure contains 'შე.'. The music consists of eighth and sixteenth notes, with some beamed notes.



განდაგანა

სახუმარო-სატრფიალო აჭარული ცეკვა „განდაგანა“ პოპულარულია ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში.

ცეკვა „განდაგანას“ პირველი, წყნარი, ნაწილი ეფუძნება ქალ-ვაჟის აჭარული ცეკვის — „ჯახტანანასა“ და ქალთა ცეკვის — „თარნანინას“ ელემენტებს; მეორე, სწრაფი — „მხარულისას“ (ყოლსარმა — მკლავის მოხვევა).

„განდაგანას“ შესრულებისას აუცილებელია მოქნილობა და პლასტიკურობა. ქალ-ვაჟს შორის გაშაირება-ტრფიალი შეჯიბრებაა გონებამახვილობასა და სისხარტეში.

ცეკვას იწყებს ქალი: გამოდის მარცხენა მხრიდან და მოძრაობს წრეზე მარჯვნივ. ასევე მარცხენა მხრიდან, ქალისათვის სრულიად მოულოდნელად, გამოდის უცხო ვაჟი, მოძრაობს ქალისაკენ ზურგშექცევით და თითქოს ვერ ამჩნევს ქალს (ქალიც ზურგშექცევით მოძრაობს). ვაჟი ეძებს ქალთან პირისპირ შეხვედრის საბაბს. ქალი შემოტრიალდება სახით ცენტრისკენ, ვაჟიც (თვალს არ აშორებს ქალის მოძრაობას) სწრაფად შემობრუნდება სახით ქალისკენ და მათი თვალები შეხვედებიან ერთმანეთს. ქალი ამყად განაგრძობს გზას: ეს ის არ არის, ვისზეც ოცნებობდა. ვაჟი ცდილობს, როგორმე მიიპყროს ქალის ყურადღება: მიუახლოვდეს, მოხიბლოს, დაიპყროს მისი გული... ქალი ფრთხილობს, გაურბის ვაჟს და მის ყოველ ცდას უარით უპასუხებს — არ მიაჩნია ვაჟი თავის ღირსად.


ბოლოს ვაჟში იღვიძებს სიამაყის გრძნობა და ქალს მიუმღერებს: „სათამაშო ვაშლი მქონდა, შენსკენ გადმომივარდა“ — არ მაინტერესებს შენთან შეხვედრა, ვაშლი შემთხვევით გადმომიგორდა და შენთან აღმოვჩნდიო. ვაჟი აგრძელებს: „მე თუ გძულვარ, სხვაი გიყვარს, ფესვიც ამოგივარდა..“. დასასრულ, ქალ-ვაჟი შორდება ერთმანეთს.

„განდაგანა“ ოთხნაწილიანია: პირველი და მესამე ნელა სრულდება, მეორე და მეოთხე — ჩქარ ტემპში. მეოთხეში შედის ცეკვის ნელტემპიანი ფინალიც.

პირველი და მესამე ნაწილების მუსიკალური ზომაა 6/8, მეორისა და მეოთხის — 2/4.


ცეკვა „განდაგანა“ ქალ-ვაჟის მიერ სრულდება წყვილად, ჯგუფობრივად და მასობრივად. ეს ცეკვა შეიძლება ცალ-ცალკე შეასრულონ ქალებმაც და ვაჟებმაც.

ვაჟი ცეკვისას არ უნდა შეეხოს ქალს. დაუშვებელია „განდაგანას“ ცერებზე ცეკვა, ასევე გადაჭარბებული მანჭვა-გრეხა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქართულ ხალხურ ცეკვებთან შედარებით „განდაგანაში“ უფრო მეტად გამოიყენება ხელსართავეები და მხარსართავეები.



ვაჟის სამოსი:

- ჩოხა სარტყელი
- ზებუნნი პაჭიჭები
- შარვალი ნაღები




ქალის სამოსი:

- კაბა
- თავშალი
- ფეხსაცმელი

პირველი ნაწილი

1—16 თვლა

პირველი-თხუთმეტი თვლა — ქალი გამოდის მარცხენა კულისიდან და სახით მაყურებლისაკენ „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს მარჯვნივ წრეზე (ილ. 1, ნახ. 1).




ნახ. 1

მეთექვსმეტე თვლა — ქალი მარჯვენა ფეხზე ასრულებს 1/4 ბრუნს მარჯვნივ, მარცხენა ფეხი თავისუფლდება მარცხნივ სვლისათვის.

ხელების მდგომარეობა — 1 (იხ. მოძრაობათა აღწერა — ხელების მოძრაობა-მდგომარეობა. ქვემოთ მივუთითებთ მხოლოდ რიცხვს — რედ.).

1—16 თვლა

პირველი-თხუთმეტი თვლა — ქალი ისევ „მიდგმითი სვლით“ წრეზე მოძრაობს მარცხნივ. ვაჟი გამოდის მარცხენა კულისიდან და ზურგით მაყურებლისაკენ „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს მარცხნივ.



ნახ. 2

მეთექვსმეტე თვლა — ქალ-ვაჟი მარცხენა ფეხზე ასრულებს 1/2 ბრუნს მარცხნივ სახით ერთმანეთისაკენ (ნახ. 2).


ხელების მდგომარეობა — 1.

1—16 თვლა

პირველი-სამი თვლა — სახით ერთმანეთისაკენ მიმართული ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ წრეზე მოძრაობს მარჯვნივ.

მეოთხე თვლა — ქალი-ვაჟი მარჯვენა ფეხზე ასრულებს 1/2 ბრუნს მარჯვნივ (ნახ. 3).


ხელების მდგომარეობა — 1.



ნახ. 3

სუთი-შვიდი თვლა — ზურგშექცეული ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ წრეხაზზე მოძრაობს მარცხნივ.

მერვე თვლა — ქალ-ვაჟი მარცხენა ფეხზე ასრულებს 1/2 ბრუნს მარცხნივ (ნახ. 4).



ნახ. 4

ცხრა-თორმეტი თვლა — სახით ერთმანეთისაკენ მიბრუნებული ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს მარჯვნივ (ნახ. 5).



ნახ. 5

მეთორმეტე თვლა — ქალი მარჯვენა ფეხზე ასრულებს 1/4 ბრუნს მარჯვნივ.
ხელების მდგომარეობა — 1.

ცამეტი-თოთხმეტი თვლა — ქალი სახით მაყურებლისაკენ „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს ვაჟისაკენ მარცხნივ. ვაჟი „ჭდობილი წინსვლით“ უახლოვდება ქალს (ილ. 12. ნახ. 6).



ნახ. 6

ხელების მდგომარეობა — 1.

თხუთმეტი-თექვსმეტი თვლა: ქალი — ცვლის მოძრაობის მიმართულებას და „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს მარჯვნივ. ვაჟი — შებრუნდება სახით მაყურებლისაკენ და ქალთან ერთად „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს მარჯვნივ. სახით მაყურებლისაკენ მიმართული ქალ-ვაჟი უნდა მოხვდეს საცეკვაო მოედნის ცენტრში (ნახ. 7).


ხელების მდგომარეობა — 1.



ნახ. 7

1—16 თვლა

პირველი-თოთხმეტი თვლა — ქალ-ვაჟი შებრუნდება სახით ერთმანეთისაკენ (ქალი ასრულებს 1/4 ბრუნს მარცხნივ, ვაჟი — მარჯვნივ) და „მიდგმითი სვლით“ ქალი მოძრაობს მარჯვნივ, ვაჟი — მარცხნივ (ნახ. 8).




ნახ. 8

ხელების მდგომარეობა — 1.

შენიშვნა: ქალ-ვაჟის შებრუნება, ანუ 1/4 ბრუნი, სრულდება „მიდგმითი სვლის“ დაწყებისთანავე — თვლა ერთი; **მეთოთხმეტე** თვლა — ქალ-ვაჟი უნდა მოხვდეს სცენის სიღრმეში, სახით ერთმანეთისაკენ.

თხუთმეტი-თექვსმეტი თვლა — ქალ-ვაჟი ასრულებს „სამდაკვრით ბრუნს“ (ილ. 11) მარცხნივ წინსვლით — ადგილების შეცვლა (ნახ. 9).



ნახ. 9

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.

მეორე ნაწილი

1—8 თვლა

ქალი „უკუჭდობსვლით“ (ილ. 2) მოძრაობს უკან — მარცხენა კულისისაკენ.

ვაჟი ასევე „უკუჭდობსვლით“ მოძრაობს უკან — მარჯვენა კულისისაკენ: სახით ერთმანეთისაკენ მიმართული ქალ-ვაჟი შორდება ერთმანეთს (ნახ. 10).


ხელების მდგომარეობა — 2



ნახ. 10

1—8 თველა

ქალ-ვაჟი „საგანდაგანო მუხლურა სვლით“ მოძრაობს წრეზე წინ — საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით (ილ. 3. ნახ. 11).



ნახ. 11

ხელების მდგომარეობა — 2.

ქალი მიაღწევს მარჯვენა კულისს და შეჩერდება.

1—8 თველა

ვაჟი, სახით ქალისაკენ, ადგილზე ასრულებს „საგანდაგანო ხლართულა ჩაკვრას“ (ილ. 4. ნახ. 12).

ხელების მდგომარეობა — 2.

1—8 თველა

ვაჟი „ცალფეხგასმურით“ მოძრაობს წინ — ქალისაკენ (ილ. 5. ნახ. 13).

D

◁

D

◁

◁

ნახ. 12

ნახ. 13

ხელების მდგომარეობა — 3.

1—8 თველა

ვაჟი ადგილზე ასრულებს „მუხლმოქნევითა და ქუსლგაკვრით“ ჩაკვრას (ილ. 6. ნახ. 14).

D

◁

ნახ. 14

ხელების მდგომარეობა — 4.

1—8 თველა

ვაჟი „უკუჭდობსვლით“ მოძრაობს უკან (ილ. 2. ნახ. 15).

D

◁ --- ლ --- ▷

ნახ. 15

ხელების მდგომარეობა — 2.

1—8 თველა

ვაჟი ადგილზე ასრულებს „ცერდაკვრით და ფეხგაქნევით ჩაკვრას“ (ილ. 7. ნახ. 16).

D




ნახ. 16

ხელების მდგომარეობა — განმკლავი.

1—8 თვლა

ვაჟი „ქუსლცერა წინსვლით“ მოძრაობს წინ — ქალისაკენ (ილ. 8. ნახ. 17).




ნახ.17

ხელების მდგომარეობა — 5.

1—8 თვლა

ვაჟი ასრულებს „ჭდობილგვერდზე სვლას“ მარცხნივ (ილ. 9. ნახ. 18).



ნახ. 18

ხელების მდგომარეობა — 6.

ხუთი-შვიდი თვლა — ვაჟი შეცვლის ფეხების მდგომარეობას (მოხრის მარცხენა ფეხს მუხლის სახსარში და მცირედ მოაშორებს იატაკს) და ასრულებს „ჭდობილგვერდზე სვლას“ (ნახ. 19).



ნახ. 19

ხელების მდგომარეობა — 6.

თვლა **რვა და** — ვაჟი ასრულებს „მუხლცვლას“ 1/2 ბრუნით (ილ. 1, ნახ. 20).



ნახ. 20

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.

1—16 თვლა


ქალი — სახით მაყურებლისაკენ — „მიდგმითი სვლით“ (ილ. 1) მოძრაობს ირიბად (როგორც ნახა-ზზე).

პირველი-ოთხი თვლა — ვაჟი — სახით ქალისაკენ — „ცალფეხგასმურათი“ მისდევს ქალს (ილ. 5).

ხუთი-რვა თვლა — ვაჟი „მიდგმითი სვლით“ მისდევს ქალს (ილ. 1).

ცხრა-თორმეტი თვლა — როგორც **პირველი-ოთხი**.

ცამეტი-თოთხმეტი თვლა — როგორც **ხუთი-ექვსი**.
თხუთმეტი-თექვსმეტი თვლა — ვაჟი ასრულებს „სამდაკვრით ბრუნს“ 3/4 მარცხნივ — გზას უჭრის ქალს, ქალი შეჩერდება (ილ. 11. ნახ. 21).
ხელების მდგომარეობა — 3, 1.



ნახ. 21


მესამე ნაწილი

1-16 თვლა

პირველი-თორმეტი თვლა — ქალ-ვაჟი სახით მაყურებლისაკენ „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს (ილ. 1) მარჯვნივ — ცენტრისაკენ.

ცამეტი-თექვსმეტი თვლა — ქალი ცვლის მოძრაობის მიმართულებას და „მიდგმითი სვლით“ (ილ. 1) მოძრაობს მარცხნივ — ვაჟს წინ გაუვლის.

ვაჟი განაგრძობს მარჯვნივ სვლას — ადგილების შეცვლა (ნახ. 22).




ნახ. 22

ხელების მდგომარეობა: ქალი — ქვეგანმკლავი — მცირე სართავი; ვაჟი — განმკლავი — მაჯის სახსარში მოხრილი ხელები თითქმის მიმართულია ქვემოთ.

1-16 თვლა

პირველი-რვა თვლა — ქალ-ვაჟი 1/4-ით ბრუნდება სახით ერთმანეთისაკენ: ქალი — მარჯვნივ, ვაჟი — მარცხნივ და „მიდგმითი სვლით“ (ილ. 1) მოძრაობს მაყურებლისაკენ (ნახ. 23).

ხელების მდგომარეობა — 1.



ნახ. 23

ცხრა-თექვსმეტი თვლა — ქალ-ვაჟი შებრუნდება სახით მაცურებლისაკენ და „მიდგმითი სვლით“ შორდება ერთმანეთს: ქალი მოძრაობს მარცხნივ, ვაჟი — მარჯვნივ (ნახ. 24).

ხელების მდგომარეობა — 1.



ნახ. 24

1—8 თვლა

პირველი-ოთხი თვლა — ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ უახლოვდება ერთმანეთს: ქალი მოძრაობს მარჯვნივ, ვაჟი — მარცხნივ (ნახ. 25).

ხელების მდგომარეობა — 1.




ნახ. 25

თვლა **ხუთი** — ქალსაც და ვაჟსაც მარჯვენა ფეხი გადააქვს მარცხენის წინ და მარცხნივ — ერგბუქნი (ჭდობა ნახევარბუქნში).

ექვსი-რვა თვლა — ქალ-ვაჟი მოძრაობს „მიდგმითი სვლით“ მარცხნივ (ილ. 1, ნახ. 26).



ნახ. 26



ნახ. 27


შენიშვნა: სასურველია, მერვე თვლაზე ვაჟი მოექცეს სახით ქალისაკენ (ნახ. 27).

ხელების მდგომარეობა — 1

1-8 თვლა

ქალი — „მიდგმითი სვლით“ (ილ. 1) მოძრაობს უკან — ცენტრისაკენ. **ვაჟი** — სახით ქალისაკენ — „მიდგმითი სვლით“ მისდევს ქალს და მოძრაობს წინ (ნახ. 28).

ხელების მდგომარეობა — 1.



ნახ. 28

1—8 თვლა

ქალი — „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს უკან და შემოწერს რკალს (ნახ. 29).

ვაჟი — ასევე „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს წინ და შემოწერს რკალს (ნახ. 29).

ხელების მდგომარეობა — 1.




ნახ. 29

1—16 თვლა

პირველი-შვიდი თვლა — ქალ-ვაჟი მხარდამხარ შემოვლის მაგივრად „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს ნრეზე — წინ (ილ. 1).

მერვე თვლა — ქალი და ვაჟი ასრულებენ 1/2 ბრუნს მარჯვნივ (ნახ. 30).


ხელების მდგომარეობა — მკერდდახურული, 9.



ნახ. 30

ცხრა-თექვსმეტი თვლა — „მიდგმითი სვლა“ (ნახ. 31).

ხელების მდგომარეობა — მკერდდახურული.




ნახ. 31

მეოთხე ნაწილი

1—8 თვლა

ქალ-ვაჟი შებრუნდება სახით მაცურებლისაკენ და მოძრაობს საგანდაგანო „მუხლურა სვლით“, შემოწერს ნახევარწრეს და ერთმანეთს შეხვდება სცენის სიღრმეში (ილ. 3. ნახ. 32).

ხელების მდგომარეობა — 2.



ნახ. 32

1—8 თვლა


პირველი-ორი თვლა:

ქალი — „მიდგმითი სვლით“ (ილ. 1) მოძრაობს მარცხნივ — მაყურებლისაკენ.

ვაჟი — სახით ქალისაკენ, „ცალფეხგასმურით“ მისდევს ქალს (ილ. 5).

თვლა და — ქალი მარცხნივ, ვაჟი — მარჯვნივ ასრულებს 1/2 ბრუნს. ქალ-ვაჟი ზურგშექცევით აღმოჩნდება (ნახ. 33).

ხელების მდგომარეობა — ქალი — 7; ვაჟი — 2.



ნახ. 33


სამი-ოთხი თვლა:

ქალი — „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს მარჯვნივ — მაყურებლისაკენ.

ვაჟი — ქალთან ერთად „საგანდაგანო ხლართულა ჩაკვრით“ მოძრაობს მაყურებლისაკენ (ილ. 4).

თვლა და — ქალ-ვაჟი ასრულებს 1/2 ბრუნს: ქალი — მარჯვნივ, ვაჟი — მარცხნივ (ნახ. 34).

ხელების მდგომარეობა — ქალი — 7, ვაჟი — 2.



ნახ. 34

ხუთი-ექვსი თვლა — იგივე — თვლა **პირველი-ორი**.

შვიდი-რვა თვლა — იგივე — თვლა **სამი-ოთხი**.

1— 8 თვლა

ქალი სახით მაყურებლისაკენ ადგილზე ასრულებს „საგანდაგანო ხლართულა ჩაკვრას“ (ილ. 4).

ვაჟი „საგანდაგანო მუხლურათი“ ბრუნავს ადგილზე მარცხნივ (ნახ. 35).

ხელების მდგომარეობა — ქალი — 8, ვაჟი — განმკლავი.



ნახ. 35

1—8 თვლა

ქალი — ადგილზე ბრუნავს „მიდგმითი სვლით“ მარცხნივ.

ვაჟი — სახით ქალისაკენ დგას მარჯვენა ფეხის მუხლზე (ნახ. 36).

ხელების მდგომარეობა — ქალი — განმკლავი, ვაჟი — II პოზიცია.



ნახ. 36


1—8 თვლა

პირველი-ოთხი თვლა:

ქალი — სახით მაყურებლისაკენ „ჭდობილი გვერდზე სვლით“ (ილ. 9) მოძრაობს მარჯვნივ.

ვაჟი — ამავე სვლით — მარცხნივ (ნახ. 37).

ხელების მდგომარეობა — 6 (მოხრილია ქალის მარჯვენა მკლავი, ვაჟისა — მარცხენა).




ნახ. 37

ხუთი-რვა თვლა:

ქალი ცვლის მოძრაობის მიმართულებას: „ჭდობილ გვერდზე სვლით“ მოძრაობს მარცხნივ.

ვაჟიც ცვლის და იმავე სვლით მოძრაობს მარჯვნივ (ნახ. 38). ყოველი შეხვედრისას ქალი გაივლის ვაჟის წინ.

ხელების მდგომარეობა — 6 (მოხრილია ქალის მარცხენა მკლავი, ვაჟისა — მარჯვენა).




ნახ. 38

1—8 თვლა

პირველი-ექვსი თვლა — ქალი „მუხლურა სვლით“ მოძრაობს რკალზე ცენტრისაკენ (ნახ. 39).


ვაჟი „საგანდაგანო მუხლურა სვლით“ მისდევს ქალს.

ხელების მდგომარეობა — 6.



ნახ. 39

შვიდი-რვა თვლა — ქალ-ვაჟი ასრულებს ბრუნს მარჯვნივ (ნახ. 40).
ხელების მდგომარეობა — მკერდდახურული.



ნახ. 40

1—8 თვლა

ქალი — „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს მარჯვნივ (კულისისაკენ).
ვაჟი — იმავე სვლით მოძრაობს მარცხნივ, კულისისაკენ (ნახ. 41).
ხელების მდგომარეობა — 1.



ნახ. 41

1—3 თვლა

ქალი — ბრუნი მარჯვნივ.
ვაჟი — ბრუნი მარცხნივ.
ბოლო თვლა სამი — ქალ-ვაჟი სახით მაყურებლისაკენ დახრის თავს (ნახ. 42).
ხელების მდგომარეობა — მკერდდახურული.



ნახ. 42

მოქრამათა აღწერა

1. მიღმითი სვლა

მიღმითი სვლა სამი სახისაა:

პირველი — სანყისი მდგომარეობა — I პოზიცია მცირე ერგბუქნით.

მუსიკალური ზომა — 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გადაიდგმება მარჯვნივ. მარჯვენის იატაკთან მთელი ტერფით შეხებისთანავე, მარცხენა ფეხი მთელ ტერფზე სრიალით მიიდგმება მარჯვენასთან.

თვლა **ორი** და **სამი** — ყოვნა.

ოთხი-ხუთი-ექვსი თვლა — იგივე — **ერთი-ორი-სამი** თვლა და ა. შ.

მეორე, პირველისაგან განსხვავებით, სრულდება ერგცერებზე. ამ დროს ორივე ფეხი გამართულია მუხლის სახსარში.

მესამე პირველისა და მეორის კომბინაციაა: მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი იატაკს ერგცერით ეხება, მარცხენა მარჯვენასთან მიდგმისას მთელი ტერფით სრიალებს.

2. უკუქლობსვლა

სანყისი მდგომარეობა — I პოზიცია მცირე ერგბუქნი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გადაიდგმება მარცხენის უკან. ერთდროულად შებრუნდება მარცხენა ფეხის ქუსლი მარჯვნივ და ერგცერზე სრიალით მცირედ გადაადგილდება წინ.

თვლა **და** — ყოვნა.

თვლა **ორი და** — იგივე, რაც თვლა **ერთი და**, მარცხენა ფეხით.

3. საბანდაბანო მუხლურა

სანყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. სხეულის სიმძიმე გადატანილია მარჯვენა ერგცერზე. უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **და** — მუხლში მოხრით მარცხენა ფეხი გაიტანება ოდნავ წინ — ფეხის ცერი იატაკისკენაა მიმართული. ერთდროულად საყრდენი მარჯვენა ფეხი ერგცერის იატაკზე სრიალით ოდნავ წაინწევს წინ.

თვლა **ორი და** — როგორც **ერთი და** მარცხენა ფეხით.

„საგანდაგანო მუხლურა სვლას“ ქალები უფრო ნაზად ასრულებენ: მოკლე ნაბიჯებით და მუხლში მოხრილ ფეხს სულ მცირედით ამორებენ იატაკს.

4. საბანდაბანო ხლართულა ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი ორტაქტიანია.

პირველი ტაქტის წინა თვლა **და** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება ოდნავ წინ.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ქუსლი დაიდგმება მარცხენის წინ და ოდნავ მარცხნივ. მარჯვენა ფეხი გამართულია მუხლის სახსარში და ერგცერი აწეულია ზევით. მუხლის სახსარში მცირედ მოხრილი მარცხენა იატაკს ერგცერით ეხება. სხეულის სიმძიმე გადატანილია მარჯვენა ფეხის ქუსლზე.

თვლა **და** — მარცხენა ფეხის ერგცერი მოშორდება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერის დადგმა.

თვლა **და** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და გადაიტანება მცირედ უკან (მოემზადება მარცხენის უკან ჩასადგმელად). ერთდროულად ჰაერში აწეული მარცხენა ქუსლის დადგმა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის მარცხენის უკან დადგმა.
თვლა **და** — მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.
თვლა **ორი** — დაიდგმება მარცხენა ფეხი.
თვლა **და** — მუხლის სახსარში მოიხრება მარჯვენა ფეხი, გაიტანება მცირედ წინ და ა.შ.

5. ცალფეხბასმურა

საწყისი მდგომარეობა — მარცხენა ფეხზე დგომი. გამართული მარჯვენა გატანილია წინ — ჰაერში.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ოდნავი ზეხტომი მარცხენა ფეხზე. მარჯვენა ფეხის წვივი უკან და წინ გაქნევით მოძრაობს მუხლის სახსარში, მარჯვენა ფეხი დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას.

თვლა **და** — წინ გატანილი მარჯვენა ერგცერით შეეხება იატაკს და ერგცერებზე სრიალით შეიცვლება ფეხების მდგომარეობა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან (უბრუნდება საწყის მდგომარეობას), ერთდროულად მარჯვენა ერგცერზე სრიალით გასრიალდება წინ და ასცილდება იატაკს (უბრუნდება საწყის მდგომარეობას).

თვლა **და** — ყოვნა და ა.შ.

6. მუხლმომქნევითა და ქუსლბაკვრით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომა. მუხლში მოხრილი მარჯვენა ერგცერით ეხება იატაკს.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში:

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის მუხლის მარჯვნიდან მარცხნივ მოქნევა და მარჯვენის ქუსლის დაკვრა. ერთდროულად, ქუსლის იატაკზე გაკვრით, გამართული მარცხენის წინ — ჰაერში გატანა (ამ დროს მარჯვენა ფეხიც გაიმართება მუხლის სახსარში).

თვლა **ორი** — ფეხები შეიცვლიან მდგომარეობას: მთელი ტერფით სხეულის გასწვრივ დაიდგმება მარცხენა ფეხი, მარჯვენა, გაჭიმული ერგცერით, გავა წინ — ჰაერში.

მეორე ტაქტი — „ცალფეხბასმურა.“

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

პირველ ტაქტზე **ხელები** განმკლავზე გაიშლება, მეორეზე წინ — გულმკერდთან გადაჯვარედინდება.

7. ცერდაკვრითა და ფეხბაქნევით (წვივბაქნევით) ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომი, მარჯვენა გატანილია წინ — ჰაერში.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში:

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ტერფის დაკვრით სხეულის გასწვრივ დადგმა. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ერგცერით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დაიდგმება.

თვლა **ორი** — ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს და მარცხენაზე მცირე ზეხტომ-დახტომასთან ერთად, ჯერ მოიხრება მუხლის სახსარში, შემდეგ — გაიმართება.

თვლა **ორი** — თვლა **ერთის** მოძრაობა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ხელების მდგომარეობა — განმკლავი.

8. ქუსლცერა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ქუსლის ისე დადგმა, რომ იატაკს მოშორებული ცერი მიმართულია მარჯვნივ.

თვლა **და** — უკან დარჩენილ მარჯვენა ფეხის ერგცერის დაკვრა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ერგცერის ისე დადგმა, რომ იატაკს მოშორებული ქუსლი მიმართული იყოს მარჯვნივ.

თვლა **და** — უკან დარჩენილი მარცხენა ფეხის ერგცერის დაკვრა და ა.შ.

შენიშვნა: „ქუსლცერა წინსვლა“ წინ მოძრაობის ილეთია.

9. ჭდოზილი გვერდზე სვლა

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია, ერგცერები.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის გადატანა მარცხენის წინ — მარცხნივ — და ერგცერით დადგმა.

თვლა **და** — მარცხენა ფეხის გადატანა ოდნავ მარცხნივ, ერგცერით დადგმა და ა.შ.

შენიშვნა: ამ შემთხვევაში მოძრაობა მარცხნივაა. მარჯვნივ მოძრაობისას ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

10. მუსლცვლა (1/2 ბრუნით)

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ერგბუქნით წინ მარცხენა ფეხის გადადგმა (ცალ მუხლზე დგომის მაგივრად).

თვლა **და** — 1/2 ბრუნი მარჯვნივ და ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

შენიშვნა: ორივე შემთხვევაში მუხლები იატაკს არ ეხება. ილეთი სრულდება ოდნავ უკუზნექით.

11. სამდაპვრითი ბრუნი

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხი გადაიდგმება მარცხნივ და ერგცერით შეეხება იატაკს (ზეტანი მცირედ შებრუნდება მარცხნივ).

თვლა **და** — მარჯვენა ფეხი გადაიდგმება მარცხენა ფეხის წინ (შიგნით) და იატაკს ერგცერით შეეხება. გრძელდება ზეტანის ბრუნვა ორივე ფეხის ერგცერზე.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გადაიდგმება მარცხნივ და ერგცერით შეეხება იატაკს (თვლა **ორის** ბოლოს უნდა დამთავრდეს ერთი სრული ბრუნი).

თვლა **და** — პაუზა.

12. ჭდოზილი წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია, ერგცერები.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი და** — მარცხენა ფეხი გადაიდგმება წინ — მარჯვნივ და იატაკს ერგცერით შეეხება.

ხელეების მოძრაობა-მდგომარეობა

1

სანყისი მდგომარეობა — განმკლავი.

მუსიკალური ზომა — 6/8 და 2/4.

მარჯვენა ხელი ერთ ტაქტში მოიხრება იდაყვის სახსარში, შემოწერს წრეს (ზემოდან შიგნით, ქვემოთ) საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით და უბრუნდება ისევ სანყის მდგომარეობას (განმკლავი).

შემდეგ ტაქტზე მარჯვენა ხელის მაგივრად მოძრაობს მარცხენა — საათის ისრის მიმართულებით და ა.შ.

შენიშვნა: ხელეების მოძრაობას ქალ-ვაჟი ერთნაირად ასრულებს, იმ განსხვავებით, რომ ვაჟის ხელის თითები მოხრილია, ქალისა — შედარებით გამართული.

2

სანყისი მდგომარეობა — ქვეგანმკლავი — მარჯვენა ხელის გული მიმართულია ზემოთ, მარცხენა — ქვემოთ.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა ერთი და — მარჯვენა ხელი ასრულებს სართავს ცერის გადაცილებით. დასასრულ (თვლა და), მარცხენა ხელი შებრუნდება ხელის გულით ზემოთ — სართავი ნეკის გადაცილებით.

თვლა ორი და — იგივე: თვლა ერთი და მარცხენა მკლავით და ა.შ.

ხელსართავებს თან ერთვის მცირე მხარსართავები (მხრების წრისებრი მოძრაობა) და სრულდება ქვეგანმკლავით, ქვეუკუმკლავითა და განმკლავით; ერთი ხელით წინქვემკლავი, მეორეთი — ქვეუკუმკლავი და პირიქით.

3

სანყისი მდგომარეობა — განმკლავი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტი — განმკლავიდან ორივე ხელის ქვემოთ დაშვება. ქვემოდან ორივე ხელის წინმკლავი ჯვარედინად.

მეორე ტაქტი — ორივე ხელის სანყისი მდგომარეობა (განმკლავი) და ა.შ.

4

სანყისი მდგომარეობა — ხელეები დაშვებული.

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტი — ორივე ხელი განგაშლილი.

მეორე ტაქტი — მოძრაობა სამი და ა.შ.

5

ორივე ხელი გადატანილია წინ გადაჯვარედინებულად, ხელის გულებით ქვემოთ (მარჯვენა ხელის გული ეხება მარცხენა ხელის ზურგს).

6

იდაყვის სახსარში მოხრილი ცალი ხელი გულმკერდის წინაა, მეორე განზეა გაშლილი.

7

სანყისი მდგომარეობა — ქვეგანმკლავი, ხელის გულები წინაა მიმართული.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ტაქტის წინა თვლა და — ორივე ხელი სართავებით ცერის გადაცილებით (იხ. ხელეების მოძრაობა 2) წინ და გულმკერდის ქვემოთ მიტანა, ორივე ხელის გული მიმართულია ქვემოთ, თითები — ერთმანეთისაკენ, ხელეები მოხრილია იდაყვის სახსარში.

პირველი ტაქტი — ორივე ხელი ეშვება ქვემოთ და მცირედ განზე (თითები ინარჩუნებენ თვლა დას მდგომარეობას).

მეორე ტაქტის თვლა ერთი და — ორივე ხელი მოძრაობს განზე.

თვლა **ორი** — სრულდება ორივე ხელის სართავი ნეკის გადაცილებით.

თვლა **და** — იგივე წინა **და** — და ა.შ.

8

საწყისი მდგომარეობა — 7.

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტის თვლა ერთი და ორი — ორივე ხელი ხელსართავებით (ცერის გადაცილებით) — ზემკლავი.

თვლა **და** — ორივე ხელი ქვემოთ — ქვეგანმკლავი — ხელის გულებით წინ მაყურებლისაკენ.

მეორე ტაქტის თვლა ერთი და ორი — ორივე ხელის ხელსართავი ცერის გადაცილებით — ქვეგანმკლავი.

თვლა **და** — ორივე ხელით ხელსართავი ნეკის გადაცილებით (საწყისი მდგომარეობა) და ა.შ.

9

საწყისი მდგომარეობა — მკერდდახურული (მარჯვენა ხელის წინამხარი გულმკერდის წინაა, იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი — წელს უკან გადატანილი).

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტის თვლა ერთი და ორი და — იდაყვში მოხრილი და წინ გატანილი მარჯვენა მკლავი შემოწმებს წრეს საათის ისრის მიმართულებით და ქვემოთ დაეშვება.

მეორე ტაქტის თვლა ერთი და ორი — მარჯვენა ხელი განაგრძობს ქვედაშვებას და წელს უკან გაიტანება.

თვლა **და** — მარცხენა ხელის წინამხარი გულმკერდთან.

შემდეგი ტაქტი, მარჯვენა ხელის მსგავსად, მარცხენის წრეზე მოძრაობით იწყება (მარცხენა ხელი საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს) და ა.შ.



ფშაველ ქალთა ლხინი

ცეკვა ფშაველ ქალთა ლხინი (1961 წელი) აგებულია ფშაურ ხალხურ საცეკვაო მასალაზე და გადმოგვცემს ფშაველ ქალთა ყოფას. მასში გამოყენებულია უძველესი ცეკვების — „ფშაური სამაიასა“ და „ფშაური საცეკვაოს“ ელემენტები.

„ფშაური სამაია“ საფერხულო წყობის უძველესი ცეკვაა, რომელსაც ფშავში მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე ცეკვავდნენ. ცეკვა სამნაწილიანია: პირველი — „ფშაური სამაია“ მამაკაცთა შესრულებით მხოლოდ ფშავშია შემონახული (ჩვენ ეს ცეკვა 1949 წელს სოფელ გოგოლაურთაში ჩავინერეთ ხევისბერ თურმანაულის გადმოცემით). მეორე — „ფშაური საზეიმო“, მესამე — ლხინი (ლხინში გამოყენებული ილეთებიდან ნაწილი ჩანერილია 1957 წელს, თიანეთის რაიონში ხალხური დღესასწაულის — „იხინჭობის“ — დროს).

ზოგიერთმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა თავისებური, საკუთარი კომპოზიციით წარმოადგინა „ფშაველ ქალთა ლხინი.“ ზოგმა კი ცეკვიდან ამოგლიჯა ყველაზე ეფექტური ნაწილი — ლხინში ქალ-ვაჟურად ცეკვა და სრულიად გაუმართლებლად გამოიყენა სხვა სახის ცეკვებში.

საკითხავია: არსებობდა თუ არა ხალხში ქართველი ქალის ვაჟურად ცეკვის ტრადიცია და რა მიზეზით? ქალი ვაჟურად ცეკვავდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ლხინის მონაწილეთა შორის არცერთი მამაკაცი არ ერია და ლხინს მხოლოდ ქალთა გართობა-თამაშის ფუნქცია ჰქონდა. ქალთა ლხინი უმეტესად ახასიათებდა საქართველოს მთიანეთს. მართალია, ქალთა ლხინში მამაკაცის მაგივრობას ქალი წევს, მაგრამ მის მიერ შესრულებული ილეთები თავშეკავებული უნდა იყოს და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდეს მაყურებელს. მიუღებელია, როდესაც ქალი ცდილობს, რაც შეიძლება მეტად დაშორდეს ცეკვაში თავის ქალურ ბუნებას და მამაკაცად იქცეს. მიბაძვის გაუმართლებელ შემთხვევებს ვხვდებით ზოგიერთი ქორეოგრაფიული ანსამბლის მიერ შესრულებულ ფშაურ ცეკვაში. არადა, ცეკვაში მოცეკვავე (რომელი სქესისაც უნდა იყოს) და ილეთი ერთმანეთს უნდა ამშვენებდეს.

ტექნოლოგიური მასალა

- სადა მუხლურა
- ტერფდაკვრა
- ტერფდაკვრა ფეხცვლით
- ნიავადი არეკნით
- ქუსლგაკვრით გასმა
- ქრიალა წინსვლა
- ჭდობგვერდზე სვლა
- რთულა წინსვლა
- ხლართულა ჩაკვრა
- ჭრილი ჩაკვრა
- ჭდობგვერდზე სვლა ჭრილი ჩაკვრით და ფეხცვლით
- ცერათრევით სვლა
- ხლართულისებური ჭრილი ჩაკვრა
- ცერდაკვრით ჭდობგვერდზე სვლა, ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა
- ფეხშლილი ჩაკვრა
- ჭდობილი წინსვლა...

ხელეზის მოძრაობა-მდგომარეობა

- ქვეგანმკლავი მცირე სართავებით
- ირიბი მოძრაობა
- სართავისებური მოძრაობა
- მეორე პოზიციაში მცირე სართავები
- მკერდდახურულ მდგომარეობაში ცვლა...

ჩვენ მიერ დადგმული „ფშაველ ქალთა ლხინი“ პირველად 1958 წელს შეასრულეს თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების მოსწავლეებმა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

ფშავის ერთ-ერთ სოფელში (შრომაში) მინდორზე ფშაველმა გოგონებმა მოიყარეს თავი — სურთ, ყველაზე ადრე შეხვდნენ ახალგაზრდა მწყემსებს. გოგონები სამ ჯგუფად დასხდნენ. ერთი — საუბრით ართობს დანიშნულ გოგონას, მეორე — აფრინდა-აფრინდას თამაშობს, მესამე — წინდის ქსოვითაა გართული.

ცხენის ფეხის ხმაზე გოგონებმა ორჯერ შეწყვიტეს საქმიანობა: პირველად ყური მიუგდეს, მეორედ — წამოიშალნენ, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ. დაღონდნენ, საზეიმო განწყობილება თანდათან გაუქრათ, მაგრამ უეცრად ერთ-ერთმა „ფშაური სამაია“ წამოიწყო, მას აჰყვა მეორე, მესამე... და რიგრიგობით ყველა ჩაება ფერხულში. მათ მხიარულებას გარმონითა და დაირით ორი გოგონა შემოუერთდა. გახარებული გოგონები გარს შემოეხვივნენ მეგარმონესა და მედაირეს. ფერხული „სამაია“ ფშაურ საზეიმო ცეკვასა და ლხინში გადაიზარდა. ერთმა გოგონამ ვაჟურად ჩამოუარა, გაუსვა ფეხი, გააკეთა რამდენიმე ჩაკვრა, მიუახლოვდა და ცეკვაში გამოიპატიჟა ქალი.

ცეკვაში ჩაბმული პირველი წყვილი მეორემ შეცვალა, შემდეგ დაიწყო შეცილება. გოგონა გოგონას ეცილებოდა, „ვაჟი“ — „ვაჟს.“ მეგარმონეც კი ჩაერთო ლხინში — გარმონზე დაკვრით ჩამოუარა ერთი წრე და ნახევარწრედ განლაგებულ მეფერხულეებთან მდგომი მედაირე გამოიწვია.

მედაირემ არ ისურვა დაირით ცეკვა და საკრავი გვერდში მდგომს მიაჩეჩა, მან მომდევნოს და დაირა ხელიდან ხელში გადადიოდა. მეგარმონე კი უკუსვლით მისდევდა დაირას. ბოლოს ერთ-ერთმა ითავა დაირით ცეკვა და მეგობრებთან ერთად ჩაება ცეკვაში.

საბოლოოდ ყველა „ვაჟმა“ ერთად მოიყარა თავი, გასწორდა ერთ მწკრივად და დაიწყო ვაჟური ილეთების შესრულება (თითქოს უნდოდათ ეთქვათ: თუკი შრომაში არ ჩამოვრჩებით ვაჟებს, ლხინშიც გავწევთ მათ მაგივრობასო). შემდეგ შებრუნდნენ და გაემართნენ ნახევარწრედ მდგომი გოგონებისაკენ. მათ წინ შეასრულეს „ხლართული ჩაკვრა“, შემობრუნდნენ მარცხენა ფეხზე და ჩაიჩოქეს. „ვაჟების“ ასეთ „თავხედობას“ გოგონებმა ქოქოლა მიაყარეს, შემოუარეს გარშემო და დაწყვილებულნი მხიარულად გაეშურნენ სოფლისაკენ.


ცეკვის აღწერა

სცენა — ამწვანებული მინდორი. უკანა ფარდა — ფშაური პეიზაჟი.

თორმეტი გოგონა სამ ჯგუფად (3—6—3) დამსხდარა (ნახ.1). ფარდა დახურულია. ისმის მუსიკალური შესავალი და ფარდაც თანდათანობით იხსნება. გოგონა №7, 8, 9 ხელსაქმითაა გართული (წინდებს ქსოვენ). №1, 2, 3, 4, 5, 6 „აფრინდა, აფრინდას“ თამაშობს, №10, 12 ესაუბრება №11-ს.

მუსიკალური შესავლის ოცდახუთ-ოცდათორმეტ ტაქტზე ისმის ცხენის ფეხის ხმა. გოგონები შეაბრუნებენ თავებს მარცხნივ, ყურადღებით უსმენენ ხმას, რომელიც თანდათანობით მიწყნარდა, და აგრძელებენ თავთავიანთ საქმიანობას (ნახ.1).

ორმოცდაერთ-ორმოცდარვა ტაქტზე ხმა მეორდება. გოგონები წამოიშლებიან (გარდა №7, 8, 9-ისა) და შებრუნდებიან მარცხნივ. ხმა ისევ მიწყნარდა. გოგონები ხელმეორედ მოტყუვდნენ...




ნახ. 1

მდგომარეობას განმუხტავს №10, 11, 12 გოგონა — ისინი წამოიწყებენ „ფშაურ სამაიას.“

პირველი-ოთხი ტაქტი — მუსიკალური შესავალი (დოლი). გოგონა №10 მოძრაობს წრის მიმართულებით (გადადგამს ოთხ ჩვეულებრივ ნაბიჯს), №1, 2, 3, 4, 5, 6, 11, 12 დაიხვეს მცირედ უკან და დგება ერთ მწკრივად. №7, 8, 9 განაგრძობს ხელსაქმეს (ნახ. 2).

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში.



ნახ. 2


1-16 ტაქტი

პირველი-რვა ტაქტი — გოგონა მოძრაობს წრეზე „მუხლურა სვლით“ (ილ. 1. იხ. ილეთთა აღწერა).

მეხუთე ტაქტი — „მუხლურა სვლით“ უკან გაჰყვება №11 გოგონა. **მეშვიდეზე** — №12.

ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — №10, 11, 12 გოგონა მოძრაობს წრეზე „სადა მუხლურა სვლით“ (ნახ. 3).

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი მცირე სართავებით. №1, 2, 3, 4, 5, 6 გოგონა ტაშს უკრავს, №7, 8, 9 — განაგრძობს ხელსაქმეს (დრო და დრო გადახედავენ მოცეკვავე გოგონებს).



ნახ. 3

1—16 ტაქტი

პირველი-შვიდი ტაქტი — №10, 11, 12 გოგონა განაგრძობს „მუხლურა სვლით“ წრეზე სვლას — საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.


მერვე ტაქტი — მუხლში მოხრილ მარცხენა ფეხს ორჯერ დაკრავენ (ასრულებენ „ტერფდაკვრას“ მარცხენა ფეხით (ილ. 2)).

ცხრა-თხუთმეტი ტაქტი — „მუხლურა სვლით“ №10, 11, 12 გოგონა მოძრაობს წრეზე საათის ისრის მიმართულებით („მუხლურას“ იწყებენ მარცხენა ფეხით).

მეთექვსმეტე ტაქტი — დაკრავენ ორჯერ მარჯვენა ფეხს (ასრულებენ იმავეს მეორე მხარეს. ნახ. 4).

ხელების მდგომარეობა — ხელიხელჩაკიდებული.

№1, 2, 3, 4, 5, 6 გოგონა ტაშს უკრავს, №7, 8, 9 — ქსოვს.



ნახ. 4


1—16 ტაქტი

პირველი-რვა ტაქტი — №1, 2, 3, 4, 5, 6 გოგონა „მუხლურა სვლით“ მოძრაობს წრეზე საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. № 10, 11, 12 — იმავე „მუხლურა სვლით“ თავიანთვის შემოწერენ პატარა წრეს (მოექცევიან №1 გოგონას წინ. ნახ. 5).


ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი მცირე სართავეებით.

№7, 8, 9 გოგონა წამოდგება, ხელსაქმეს გვერდზე გადადებს და მოემზადება საერთო ფერხულში ჩასაბმელად.

ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — „მუხლურა სვლით“ ყველა ერთად მოძრაობს წრეზე (ნახ. 6).



ნახ. 5



ნახ. 6

1—16 ტაქტი


პირველი-სამი ტაქტი — ხელიხელჩაკიდებული გოგონები „მუხლურა სვლით“ ერთი საერთო წრისაგან შეკრავენ სამ წრეს (ნახ. 7). „მუხლურა სვლა“ იწყება მარჯვენა ფეხით — მარჯვნივ.

მეოთხე ტაქტი — ორჯერ დაკრავენ მთელი ტერფით მარცხენა ფეხს და ერთდროულად მცირედ შებრუნდებიან მარცხნივ.


ხუთი-რვა ტაქტი — იგივე პირიქით.

ცხრა-თორმეტი ტაქტი — იგივე — **პირველი-ოთხი** ტაქტი.

ცამეტი-თექვსმეტი ტაქტი — იგივე — **ხუთი-რვა** ტაქტი (ნახ. 8).




ნახ. 7



ნახ. 8

1—8 ტაქტი

ხელიხელჩაკიდებული გოგონები გახსნიან წრეებს (ხელს გაუშვებენ №1, 4, 5, 8, 9, 12 გოგონას). „არეკნით ნიავადი წინსვლით“ შემოწერენ ერთ საერთო წრეს (ილ. 4. ნახ. 9).



ნახ. 9


1—16 ტაქტი

პირველი-ექვსი ტაქტი — №1, 2, 3 და №7, 8, 9 გოგონა „მუხლურა სვლით“ ცვლის ადგილებს („მუხლურა“ იწყება მარჯვენა ფეხით. ნახ. 10).

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი მცირე სართავეებით. დანარჩენები ტაშს უკრავენ.

შვიდი-რვა ტაქტი — „ტერფდაკვრით ფეხცვლით“ (ილ. 3) ნახევარი ბრუნი მარცხნივ. დანარჩენებიც ადგილზე ოდნავ მარცხნივ შებრუნებით ასრულებენ „ტერფდაკვრით ფეხცვლას“ (მარჯვენა ფეხით).

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.




ნახ. 10

ცხრა-თოთხმეტი ტაქტი — №1, 2, 3 და №7, 8, 9 გოგონა ისევ „მუხლურა სვლით“ უბრუნდება თავის ადგილს (მუხლურა იწყება მარცხენა ფეხით), დანარჩენები ტაშს უკრავენ.

თხუთმეტი-თექვსმეტი ტაქტი — „ტერფდაკვრით ფეხცვლა“ მარცხენა ფეხით. №1, 2, 3 და №7, 8, 9 გოგონა ასრულებს ტერფდაკვრას ნახევარი ბრუნით მარჯვნივ, დანარჩენები — მარჯვნივ ოდნავ შებრუნებით (ნახ. 11).

ხელების მდგომარეობა — იგივე.



ნახ. 11


1—16 ტაქტი

პირველი-ექვსი ტაქტი — №4, 5, 6 და №10, 11, 12 გოგონა მოძრაობს „მუხლურა სვლით“ წრის შუამდე („მუხლურა“ იწყება მარჯვენა ფეხით) და მარცხენა მხრიდან ერთმანეთს შემოუვლიან (№4 და №12, №5 და №11, №6 და №10 წყვილები. ნახ. 12).

ხელები — ქვეგანმკლავი მცირე სართავებით. დანარჩენები ტაშს უკრავენ.

შვიდი-რვა ტაქტი — „ტერფდაკვრით ფეხცვლა“ ნახევარი ბრუნი მარცხნივ. დანარჩენებიც ტერფდაკვრასა და ფეხცვლას ასრულებენ ოდნავ მარცხნივ შებრუნებით („ტერფდაკვრა“ სრულდება მარჯვენა ფეხით).

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.




ნახ. 12

ცხრა-თოთხმეტი ტაქტი — გოგონები — №4, 5, 6 და №10, 11, 12 — „მუხლურა სვლით“ (იწყება მარცხენა ფეხით) მარჯვენა მხრიდან შემოუვლიან და უბრუნდებიან თავიანთ ადგილს (ნახ. 13).

ხელები — ქვეგანმკლავი მცირე სართავებით. დანარჩენები ტაშს უკრავენ.

თხუთმეტი-თექვსმეტი ტაქტი — ტერფდაკვრითა და ფეხცვლით ნახევარი ბრუნი მარჯვნივ. დანარჩენებიც ასრულებენ იმავე ილეთს ოდნავ მარჯვნივ შებრუნებით („ტერფდაკვრა“ მარცხენა ფეხით).

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.



ნახ. 13

1—16 ტაქტი


პირველი-ორი ტაქტი — ხელიხელჩაკიდებული გოგონები „მუხლურა სვლით“ საერთო წრეზე მოძრაობენ მარჯვნივ (მუხლურა იწყება მარჯვენა ფეხით).

სამი-ოთხი ტაქტი — მარჯვენა ფეხით ტერფდაკვრა და ფეხცვლა ოდნავ მარცხნივ შებრუნებით.

ხუთი-ექვსი ტაქტი — „მუხლურა სვლით“ მოძრაობა მარცხნივ (მუხლურა იწყება მარცხენა ფეხით).

შვიდი-რვა ტაქტი — მარცხენა ფეხით ტერფდაკვრა და ფეხცვლა ოდნავ მარჯვნივ შებრუნებით.


ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — იგივე (ნახ. 14)




ნახ. 14

1—16 ტაქტი

მარცხენა მხრიდან გარმონისა და დაირის დაკვრით შემოდის ორი გოგონა (№13, 14): ხელიხელჩაკიდებული მოცეკვავენი იყოფიან ორ ჯგუფად (ნახ. 15).



ნახ. 15



ნახ. 16

თხუთმეტი-თექვსმეტი ტაქტი — ხელიხელჩაკიდებული გოგონები ჩვეულებრივი გარბენით შეკრავენ წრეს და გარს შემოერთებებიან მეგარმონესა და მედაირეს (ნახ. 16).

მეორე ნაწილი — ფაშური საზეიმო

1—16 ტაქტი.

პირველი-ორი ტაქტი — ხელჩაკიდებული გოგონების ყოველი კენტი ნომერი (№1, 3, 5, 7, 9, 11) „ქრიალა სვლით“ (ილ. 6) მოძრაობს წინ (ცენტრისკენ) — ოდნავ მარჯვნივ. წყვილი ნომრები (№2, 4, 6, 8, 10, 12) „ჭდობილი გვერდზე სვლით“ (ილ. 7) მოძრაობენ ოდნავ მარჯვნივ.

სამი-ოთხი ტაქტი — ყველანი ერთად მოძრაობენ ოდნავ მარჯვნივ (ნახ. 17).

ხუთი-ექვსი ტაქტი — კენტები (№1, 3, 5, 7, 9, 11) „ქრიალა სვლით“ მოძრაობენ უკან, წყვილები — (№2, 4, 6, 8, 10, 12) ასევე „ქრიალა სვლით“ წინ (ცენტრისკენ) — ცვლიან ადგილებს.

შვიდი-რვა ტაქტი — „ჭდობილი გვერდზე სვლით“ მოძრაობენ მარჯვნივ (ნახ. 18).


ცხრა-ათი ტაქტი — „ქრიალა სვლით“ ისევ შეცვლიან ადგილებს: კენტი ნომრები შევლენ შიგნით (ცენტრისკენ), წყვილები გამოვლენ გარეთ.

თერთმეტი-თორმეტი ტაქტი — „ჭდობილი გვერდზე სვლით“ ყველა მოძრაობს მარჯვნივ.


ცამეტი-თოთხმეტი ტაქტი — ცვლიან ადგილებს: კენტები „ქრიალა სვლით“ გამოდიან გარეთ, წყვილები შედიან შიგნით — ცენტრისკენ.

თხუთმეტი-თექვსმეტი ტაქტი — კენტები ადგილზე ასრულებენ „ჭდობილ სვლას“, წყვილები „ქრიალა სვლით“ მოძრაობენ უკან — მოცეკვავენი მოენწყობიან ერთ საერთო წრეზე.

1—16 ტაქტი — მეგარმონე და მედაირე №13-14 გოგონა იმყოფება საცეკვაო მოედნის ცენტრში.




ნახ. 17



ნახ. 18

1-8 ტაქტი

ხელჩაკიდებული სამ-სამი გოგონა (№1, 2, 3 — №7, 8, 9 — №10, 11, 12) „არეკნით ნიავადი სვლით“ (ილ. 4) ბრუნავს ერთ მწკრივში საკუთარი ცენტრის გარშემო (ცენტრად იგულისხმება ყოველ ორ გოგონას შორის მდგომი — №2, №5, №8 და №11 — მოცეკვავე (ნახ. 19).




ნახ. 19

ცენტრში მდგომი გოგონები ადგილზე ბრუნავენ. თავში მდგომნი — №1, 4, 7, 10 — მოძრაობენ წინ, №3, 6, 9, 12 — უკან (თითოეული სამეული მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით). შემდეგ გოგონები ცენტრიდან განლაგდებიან სხივების მსგავსად (ნახ.20).


1—8 ტაქტი

პირველი-ოთხი ტაქტი — გოგონათა ყოველი სამეული მწკრივი (სხივი I, II, III, IV) მოძრაობს წინ „არეკნით ნიავადი სვლით“ (საჭიროა, I გაუსწორდეს III-ს, II — IV-ს. ნახ. 20).

ხუთი-რვა ტაქტი — თითოეული მწკრივის ცენტრში მდგომი გოგონები (№2, 5, 8, 11) ასრულებენ ადგილზე „ქუსლდაკვრით გასმას“ (ილ. 5), დანარჩენები (№1,3, 4,6, 7,9 და 10,12) — „არეკნით ნიავადი სვლით“ გადაინაცვლებენ წინ (1, 3 დაიკავებს №10, 12-ის ადგილს. №10,12 — №9,11-ისას და ა.შ. იხ. ნახ. 21).



ნახ. 20



ნახ. 21

ხელების მდგომარეობა — ცენტრში მდგომ (№2,5,8,11) გოგონათა იდაყვში მოხრილი ხელები ზეაღმართულია. ტაქტის ყოველი თვლა **ერთი-ორი-და** — საშუალო სართავი ნეკისა და ცერის გადაცილებით.


დანარჩენთა ხელები — ქვეგანმკლავი.

1—8 ტაქტი


პირველი-ოთხი ტაქტი — ხელჩაკიდებულ გოგონათა ყოველი მწკრივი „არეკნით ნიავადი სვლით“ მოძრაობს წინ. (ნახ. 22).

ხუთი-რვა ტაქტი — გოგონები — №1,3,4,6,7,9 და №10,12 — ასრულებენ ადგილზე „ქუსლგაკვრით გასმას,“ ცენტრში მდგომნი — №2,5,8,11 — განაგრძობენ „არეკნით ნიავადი სვლით“ წინ სვლას და უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს. (ნახ. 23).

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.



ნახ. 22




ნახ. 23

1—8 ტაქტი

პირველი-ოთხი ტაქტი — ხელჩაკიდებული გოგონა — № 3, 12, 9, 6 — მეგარმონისა და მედაირის გარშემო „მუხლურა სვლით“ მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

ხუთი-რვა ტაქტი — „ქუსლგაკვრით გასმით“ მოძრაობენ უკან (უბრუნდებიან თავიანთ ადგილს).

დანარჩენები **რვა** ტაქტში ხელჩაკიდებულნი (წყვილად) ადგილზე ასრულებენ „ქუსლგაკვრით გასმას.“ (ნახ. 24).



ნახ. 24

1—8 ტაქტი


პირველი-სამი ტაქტი — ხელჩაკიდებული სამეულები ადგილზე ასრულებენ „ქუსლგაკვრით გასმას.“

მეოთხე ტაქტი — ნახევარი ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხზე.

მეხუთე-მეშვიდე ტაქტი — იგივე — **პირველი-სამი ტაქტი**.

მერვე ტაქტი — იგივე — **მეოთხე ტაქტი**.

ამ დროს მეგარმონე და მედაირე დაშორდებიან ერთმანეთს (მედაირე ცენტრიდან გადაინაცვლებს მარჯვნივ, მეგარმონე — მარცხნივ. ნახ. 25).



ნახ. 25

1—16 ტაქტი

პირველი-რვა ტაქტი — II და IV სამეული შებრუნდება სახით ერთმანეთისაკენ და „რთულა სვლით“ ასრულებს წნულ გავლას (ილ. 8. ნახ. 26).


ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.

დანარჩენები (I და III) ხელიხელჩაკიდებულნი განაგრძობენ ადგილზე „ქუსლგაკვრით გასმას.“

ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — II და IV სამეული „რთულა სვლით“ მოძრაობს წინ — სცენის სიღრმეში ნახევარწრედ მოსაწყობად. I და III სამეული „რთულა სვლით“ გადის ერთმანეთში (ნახ. 26).

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.


პირველი-თექვსმეტი ტაქტის ბოლოს მოცეკვავენი განლაგდებიან ნახევარწრედ.



ნახ. 26

1—16 ტაქტი

მეგარმონე და მედაირე უახლოვდებიან ერთმანეთს, მოძრაობენ წრეზე ჩვეულებრივი ნაბიჯით და მოექცევიან ნახევარწრეზედ განლაგებულ გოგონათა მარჯვენა ფლანგზე. დანარჩენები რიგრიგობით (ხელის კვრით) სთხოვენ ერთმანეთს ლხინის წამოწყებას (ნახ. 27).



ნახ. 27

ლხინი — მესამე ნაწილი


1—24 ტაქტი

პირველი-ოთხი ტაქტი — №4 გოგონა (ცეკვავს ვაჟურად) — გამორბენი.

ხუთი-ოცდაოთხი ტაქტი — „რთულა სვლით“ შემოწერს წრეს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით (ნახ. 28).

ხელების მდგომარეობა — **მეხუთე-მერვე ტაქტი** — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში;

ცხრა-ოცდაოთხი ტაქტი — ხელების II პოზიცია. დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 28

პირველი-რვა ტაქტი — ადგილზე „ქუსლგაკვრით გასმა“ (ნახ. 29).

ხელები — II პოზიცია. დანარჩენები ტაშს უკრავენ.

1—16 ტაქტი


პირველი-თოთხმეტი ტაქტი — №4 „ხლართული ჩაკვრით“ (ილ. 9) მოძრაობს წინ №3-ისაკენ (ნახ. 29).

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში. დანარჩენები ტაშს უკრავენ.

თხუთმეტი-თექვსმეტი ტაქტი — „ჭდობილცერდგომი“ №3-ის წინ (№4 სთხოვს №3 გაჰყვეს საცეკვაოდ).

ხელების მდგომარეობა — მარცხენა ხელით დოინჯი, მარჯვენა წინ — სარტყელზე.

შენიშვნა: ვაჟურად და ქალურად მოცეკვავე გოგონების გასარკვევად შემოგვაქვს აღნიშვნა: გოგონა №... (ვაჟი), გოგონა №... (ქალი).



ნახ. 29

1—16 ტაქტი


გოგონა №3 (ქალი) მოძრაობს წრეზე „რთულა სვლით.“

ხელები — II პოზიცია მცირე სართავებით.

პირველი-რვა ტაქტი — №4 (ვაჟი) მისდევს №3-ს (ქალს) „რთულა სვლით.“

ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — „ხლართულა ჩაკვრით“ (ნახ. 30).

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში. დანარჩენები ტაშს უკრავენ.




ნახ. 30

1—8 ტაქტი

№3 და №4 გოგონა მიაღწევს სცენის სიღრმეს და მათ შეცვლის (ნახ. 31) წრეზე „რთულა სვლით“ მოძრავი №6 (ქალი) და №7 (ვაჟი).

ხელების მდგომარეობა — №6 (ქალი) — II პოზიცია მცირე სართავებით. №7 (ვაჟი) — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში. №3 (ქალი) და №4 (ვაჟი) შეჩერდებიან. დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 31


1—8 ტაქტი

№6 (ქალი) შებრუნდება მარცხენა მხარით ზურგისაკენ და მოძრაობს უკან „ქუსლგაკვრით გასმით.“

ხელები — II პოზიცია მცირე სართავებით.

№7 (ვაჟი) მისდევს მას „ჭრილი ჩაკვრით“ (ილ. 10. ნახ. 32).

ხელები — ცვლა II პოზიციაში. დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 32


1—8 ტაქტი

წყვილს შორის სასურველი მანძილით ისარგებლებს **№10** (ქალი), ჩაენაცვლება (შეეცილება) **№6-ს** (ქალს) და განაგრძობს წრეზე მოძრაობას „რთულა სვლით.“

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში. **№6** (ქალი) შეჩერდება.

№7 (ვაჟი) მისდევს **№10** (ქალს) „რთულა სვლით.“

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში (ნახ. 33).



ნახ. 33


1—16 ტაქტი

№10 (ქალი) მოძრაობს წრეზე „რთულა სვლით.“

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში.

№2 (ვაჟი) ცვლის **№7** (ვაჟს) და „რთულა სვლით“ გაჰყვება **№10** (ქალს).


ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში. **№7** (ვაჟი) შეჩერდება (ნახ.34). დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 34

№10 (ქალი) და **№2** (ვაჟი) „რთულა სვლით“ სცენის სიღრმიდან მოძრაობს წინ (მაყურებლისაკენ).

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში (ნახ. 35). დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 35


1—8 ტაქტი

№10 (ქალი) — ადგილზე „ქუსლდაკვრით გასმა.“

ხელების მდგომარეობა — იდაყვი მოხრილი ხელები ზეაღმართული; ყოველი ტაქტის თვლა **ერთი-და** — საშუალო სართავი ნეკის გადაცილებით; **ორი-და** — საშუალო სართავი ცერის გადაცილებით.

№2 (ვაჟი) ასრულებს ადგილზე „ფეხშლილ ჩაკვრას“ (ილ. 17).

ხელები — II პოზიცია (ნახ.36). ამ დროს **№2, 10** გოგონა შებრუნებულია სახით ერთმანეთისაკენ. დანარჩენები ტაშს უკრავენ.




ნახ. 36

1—8 ტაქტი

№10 (ქალი) მოძრაობს უკან „ქუსლგაკვრითი გასმით.“

ხელები — ცვლა II პოზიციაში მცირე სართავებით. (**პირველი-ოთხი** ტაქტი მოხრილია მარჯვენა, **ხუთი-რვა** ტაქტი — მარცხენა).

№2 (ვაჟი) ასრულებს იმავეს საწინააღმდეგო მიმართულებით (ნახ.37). დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 37

1—12 ტაქტი


№1 (ქალი) მოძრაობს წრეზე „რთულა სვლით.“

ხელების მდგომარეობა — მოძრაობა ირიბად.

№9 (ვაჟი) მოძრაობს წრეზე „ხლართულა ჩაკვრით.“

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში (ნახ. 38).

№10 და **№2** გოგონა შეჩერდება და შეუერთდება ნახევარწრედ განლაგებულ გოგონებს.



ნახ. 38

1—16 ტაქტი


№1 (ქალი) მოძრაობს წრეზე „რთულა წინსვლით.“

ხელების მდგომარეობა — მოძრაობა ირიბად.

პირველი-რვა ტაქტი — **№11** (ვაჟი) გაჰყვება **№1** (ქალს) „რთულა წინსვლით.“

ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — „ხლართულა ჩაკვრით“ (ნახ. 39).

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში. დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 39


1—8 ტაქტი

№1 (ქალი) და **№11** (ვაჟი) მიაღწევს სცენის სიღრმეს და მოძრაობს წინ (მაყურებლისაკენ). **№1** — „ნიადადი სვლით.“

ხელები — II პოზიცია.

№11 (ვაჟი) მისდევს **№1** (ქალს) ცერებზე „ნიადადი სვლით.“

ხელები — II პოზიცია (ნახ.40). დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 40

1—8 ტაქტი


პირველი-ოთხი ტაქტი — **№1** (ქალი) ადგილზე ასრულებს ბრუნს მარცხნივ.

ხუთი-რვა ტაქტი — მარჯვნივ.

ხელების მდგომარეობა — ცვლა II პოზიციაში (**პირველი-ოთხი** ტაქტი — მოხრილია მარცხენა, **ხუთი-რვა** ტაქტი — მარჯვენა).

№11 (ვაჟი) ადგილზე ასრულებს „ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრას“ (ცალცერდაყრდნობით. ილ. 15. ნახ. 41).

ხელების მდგომარეობა — მოძრაობს ქვეგანმკლავიდან სხეულის წინ ჭდობამდე და პირიქით (გოგონები სახით ერთმანეთისაკენ არიან მიბრუნებულნი). დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 41


1—24 ტაქტი

სცენის სიღრმიდან **№12** (ვაჟი) ნახტომით შეიჭრება **№1** (ქალსა) და **№11** (ვაჟს) შორის და „როთუ-ლა წინსვლით“ მოძრაობს წრეზე საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდახურულ მდგომარეობაში.

№1 (ქალი) და **№11** (ვაჟი) უკუსვლით შორდება ერთმანეთს (ნახ. 42). **№11** (ვაჟი) ცერებზე უკან იხევს.

ხელების მდგომარეობა — დაშვებული სხეულის გასწვრივ. დანარჩენები ტაშს უკრავენ.




ნახ. 42

1—16 ტაქტი

№12 (ვაჟი) „ხლართული ჩაკვრით“ მიემართება მეგარმონისაკენ (ნახ. 4).


ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში. დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 43

1—40 ტაქტი

პირველი-ოცდაოთხი ტაქტი — მეგარმონე გოგონა №13 დაკვრით მოძრაობს წრეზე „არეკნით ნიავადი სვლით“ (ნახ. 44). დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 44


ოცდახუთი-ორმოცი ტაქტი — მეგარმონე მიაღწევს მედაირემდე და იწყებს ცერებზე უკუსვლას. დაირა გადადის ხელიდან ხელში. მედაირე ოცდასამ-ოცდაოთხ ტაქტზე, დაირას გადასცემს მარცხნივ მდგომ №1 გოგონას, რომელიც ოცდამეხუთე ტაქტზე ორჯერ შემოჰკრავს დაირას მარჯვენა ხელით, ოცდამეექვსე ტაქტზე გადასცემს მარცხნივ მდგომ №2-ს და ა.შ. (ნახ. 45). დანარჩე-

ნები ტაშს უკრავენ.


პირველი-თექვსმეტი ტაქტი — №8 (ქალი) მიიღებს დაირას და მეგარმონესთან ერთად ჩაებმება ცეკვაში.

პირველი-რვა ტაქტი — მედაირე და მეგარმონე დაკვრით „რთულა სვლით“ მოძრაობენ წრეზე (ნახ. 46).


ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — მეგარმონე გოგონა №13 ცენტრში „ჭდობილცერდგომით“ ბრუნავს მარცხნივ. №8 გოგონა დაირით „რთულა სვლით“ შემოწერს წრეს მეგარმონის გარშემო (ნახ. 47). დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 45.




ნახ. 46.



ნახ. 47.

1—8 ტაქტი

მეგარმონე და მედაირე გოგონები „რთულა სვლით“ მოძრაობენ წინ და დადგებიან გოგონათა ნახევარი წრის მარჯვენა ფლანგზე (ნახ. 48). დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 48.


1—16 ტაქტი

№4 (ვაჟი) და №5 (ვაჟი) მოძრაობს წინ (წრეზე) „ცერათრევით სვლით“ (ილ. 12).

ხუთი-რვა ტაქტი — „რთულა წინსვლით.“

ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — იგივე — **პირველი-რვა** ტაქტი (ნახ. 48).


ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში. დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 49

პირველი-თექვსმეტი ტაქტი — სახით ერთმანეთისაკენ შებრუნებული №4 და №5 გოგონა „ჭღობცერდგომით“ მოძრაობს წინ მაცურებლისაკენ (ნახ. 50).

ხელების მდგომარეობა — ქვედაშეხებული სხეულის გასწვრივ. დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 50


1—16 ტაქტი

პირველი-ოთხი ტაქტი — სახით მაცურებლისაკენ შებრუნებული გოგონა №4 და №5 მოძრაობს მარჯვნივ „ჭღობგვერდზე სვლით,“ „ჭრილი ჩაკვრითა და ფეხცვლით“ (ილ. 11).

ხუთი-რვა ტაქტი — „ჭღობცერდგომით“ მარცხნივ ბრუნი (ნახ. 51).

ხელების მდგომარეობა — მარცხენათი დოინჯი, მარჯვენა — სარტყელზე.


ცხრა-თხუთმეტი ტაქტი — იგივე, მხოლოდ პირიქით (მოძრაობა — მარცხნივ, ბრუნი — მარჯვნივ). დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 51

პირველი-რვა ტაქტი — №4 და №5 გოგონა ადგილზე ასრულებს ჰაერში „ფეხგაკვრით განბიჯითა და ფეხშლით ჩაკვრას“ (ილ. 16. ნახ. 52).

ხელების მდგომარეობა — მოძრაობა ქვეგანმკლავიდან წინ — ჭღობამდე და პირიქით. დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 52

1—8 ტაქტი


პირველი-ოთხი ტაქტი — №4 და №5 გოგონა ერთმანეთს შორდება „ჭდობილი სვლით“ (ილ. 18) და მოძრაობს სცენის სიღრმეში.

ხუთი-რვა ტაქტი — გოგონები „ჭდობილი სვლით“ მოძრაობენ წინ — მაყურებლისკენ.

ხუთი-ექვსი ტაქტი — მათთან ერთად „ჭდობილი სვლით“ მოძრაობს წინ №3 და №9 (ვაჟი).

შვიდი-რვა ტაქტი — №2 და №11 (ვაჟი) №2 და №11 (გოგონა) „ჭდობილ სვლას“ შეასრულებს მარცხენა ფეხით. ნახ. 53).

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში. დანარჩენები ტაშს უკრავენ.



ნახ. 53

„ჭდობილი წინსვლის“ ბოლოს გოგონები — №2,3,4,5,9,11 (ვაჟები) — მოწყობიან ერთ მწკრივად სახით მაყურებლისაკენ. დანარჩენები განლაგდებიან ნახევარწრედ.

შენიშვნა: ლხინისას დასაშვებია მოცეკვავეთა გადაჯგუფება — ტაშის დაკვრით ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა.

1—32 ტაქტი

პირველი-რვა ტაქტი — №2,3,4,5,9,11 გოგონა ადილზე ასრულებს „ქუსლგაკვრით გასმას.“

ხელები — II პოზოცია.

ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — ცვლა II პოზოციაში.

ჩვიდმეტი-ცხრამეტი ტაქტი — „ხლართულა ჩაკვრა.“

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში (ნახ. 54).

ოცი-ოცდარვა ტაქტი — შებრუნდებიან მარჯვნივ და სცენის სიღრმეში განლაგებული გოგონებისაკენ მიემართებიან — „ქუსლალმართვითა და ცერდაკვრით ჭდობგვერდზე სვლით“ (ილ. 14. ნახ. 55).


ხელების მდგომარეობა — მარცხენათი დონჯი, მარჯვენა სარტყელზე.

ოცდაცხრა-ოცდაათი ტაქტი — სახით გოგონებისაკენ (№2,3,4,5,9,11) მიმართულნი ასრულებენ „ხლართულა ჩაკვრას.“


ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში.

ოცდათერთმეტი-ოცდათორმეტი ტაქტი — „სამდაკვრით ბრუნი“ მარცხნივ, ტაქტის ბოლოს ჩამუხვლა მარჯვენა ფეხზე (ნახ. 56).


ხელების მდგომარეობა — მარცხენათი დონჯი, მარჯვენა სარტყელთან.



ნახ. 54



ნახ. 55



ნახ. 56


1—8 ტაქტი

პირველი-რვა ტაქტი — №1,6,7,14,10,12 (ქალები) მარცხენა ხელით ქოქოლას მიაყრის №2,3,4,5,9,11-ს (ვაჟებს).

ორი-ოთხი — პაუზა.

ხუთი-რვა ტაქტი — „ქრიალა სვლით“ შემოუვლიან თავიანთ წყვილებს (ნახ. 57).

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.



ნახ. 57

1—16 ტაქტი

№1,6,7,14,10,12 (ქალები) მოძრაობს წრეზე „ქრიალა სვლით.“


ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.

პირველი-თხუთმეტი ტაქტი — №2,3,4,5,9,11 (ვაჟები) მისდევს №1,6,7,14,10,12-ს (ქალებს) „ხლართულა ჩაკვრით“ (ნახ. 58).

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ დგომარეობაში.

მეთექვსმეტე ტაქტი — „ორდაკვრით ბრუნი“ მარჯვნივ — მოცეკვავენი მოეწყობიან ერთ მწკრივად.


ხელების მდგომარეობა — ხელიხელჩაკიდებული (ნახ. 59).




ნახ.58

1—16 ტაქტი

ერთ მწკრივად განლაგებული მოცეკვავენი „ჭდობილი გვერდზე სვლით“ მოძრაობენ მარჯვნივ. მარჯვენა კულისიდან მედაირე და მეგარმონე გვერდში მიუდგებიან მწკრივის ბოლოში მდგარ გოგონას (№11) და ისინიც „ჭდობილი გვერდზე სვლით“ მოძრაობენ მარჯვნივ (ნახ. 60).



ნახ. 59



ნახ. 60

1—16 ტაქტი


№2,3,4,5,9,11 (ვაჟები) და მეგარმონე გამოეყოფიან მწკრივს და „ხლართულა ჩაკვრით“ მისდევენ №1,6,7,14,10,12-ს (ქალებს).

ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში.

№1,6,7,14,10,12 (ქალები) „ჭდობილი გვერდზე სვლით“ მოძრაობს მარჯვნივ.

ხელების მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.

მოცეკვავენი თანდათანობით ტოვებენ საცეკვაო მოედანს (ნახ. 61).



ნახ. 61

მოძრაობათა აღწერა

1. სადა მუხლურა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი-და** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს.

თვლა **ორი-და** — მუხლის სახსარში მცირედ მოხრილი მარჯვენა ფეხის ტერფზე სრიალით ოდნავ წინ წახტომა. ერთდროულად უკან დარჩენილი მარცხენის მუხლის სახსარში მოხრა და მარჯვენის წინ გატანა (ჰაერში დარჩენილი მარცხენა ერგცერი გაჭიმულია, კოჭი ეხება მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარს).

მომდევნო ტაქტიდან იგივე მარცხენა ფეხით.

2. ტერფდაკვრა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მუხლში მოხრილი მარჯვენა ან მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დაკვრა.

თვლა **და** — იატაკს მოშორდება (მარცხენა ან მარჯვენა) ფეხი.

თვლა **ორი-და** — იგივე — თვლა **ერთი-და**.

შენიშვნა: 1. მარცხენა ფეხის ორჯერ დაკვრა და მარჯვენის ტერფზე მარჯვნივ მცირედ შებრუნება. მარჯვენა ფეხის დაკვრისას — პირიქით.

2. მომდევნო ტაქტზე **მუხლურა სვლა** იწყება იმ ფეხითა და მიმართულებით, რომლითაც სრულდება ტერფდაკვრა.

3. ტერფდაკვრა ფეხცვლით

ტერფდაკვრა ფეხცვლით სრულდება ორ ტაქტში და მოსდევს „სადა მუხლურა სვლას.“

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხის მარცხენასთან დაკვრა.

თვლა **და** — მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს.

თვლა **ორი-და** — იგივეა, რაც პირველი ტაქტის **ერთი-და**. მესამედ მარჯვენა ფეხის დაკვრა.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის დაკვრა, ერთდროულად იატაკს მოშორდება მარცხენა და მოიხრება მუხლის სახსარში (ფეხცვლა მარჯვენა ფეხზე ვარდნის მაგივრად).

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით. მარჯვენის ყოველი დაკვრისას, თანდათანობით შემობრუნება მარცხნივ — მარცხენა ფეხის ტერფზე. მარცხენის დაკვრისას პირიქით: ბრუნვა მარჯვნივ — მარჯვენა ფეხზე.

შენიშვნა: 1. „ტერფდაკვრის“ და „ტერფდაკვრა ფეხცვლით“ შესრულებისას, სხეული წინაა გადახრილი (შემსრულებელი ოდნავ წელშია მოხრილი) და ყურადღება გადატანილია იმ ფეხზე, რომლითაც ასრულებს ფეხდაკვრას.

2. ფეხის დაკვრისას ორივე შემთხვევაში ფეხები მოხრილია მუხლის სახსარში.

4. ნიაჰადი არეკნით

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი წინ ისე, რომ მარჯვენის ქუსლი მოხვდეს მარცხენა ტერფის შუაზე.

თვლა **ორი** — ერგცერებზე აწევა და ერგცერით მარცხენა ფეხის მცირედ წინ გადადგმა.

თვლა და — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით ისე წაინევს ოდნავ წინ, რომ მარჯვენის ცერი მოხვდეს მარცხენა ტერფის შუაზე.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით — მოკლე ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ და ა.შ.

„ნიადადი არეკნი“ სრულდება სხეულის ოდნავ აწევ-დანევით. პირველი ნაბიჯი გადაიდგმება ერგცერზე დაყრდნობით.

5. ძუსლბაკპრით ბასმა

საწყისი მდგომარეობა — II პოზიცია (I პოზიციიდან წინ გადატანილი მარჯვენა ფეხი იატაკს ერგცერით ეხება).

მუსიკალური ზომა — 2/4

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი დაბალ ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან. ერთდროულად მარცხენა სრიალით მოძრაობს წინ (ფეხცვლა). დასასრულ, მარცხენა ფეხის ცერი ზეაინევა და ქუსლით ეხება იატაკს (მარცხენა ფეხის ქუსლი უნდა მოხვდეს მარჯვენის ცერის სახსართან).

თვლა და — ყოვნა.

თვლა **ორი** — ერგცერებზე სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა: ქუსლზე დაყრდნობილი მარცხენა ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან. მარჯვენა — წინ (დასასრულ, ორივე ფეხის ერგცერზე შედგომა).

თვლა და — ერგცერებზე სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა: მარჯვენა ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, მარცხენა — წინ. ფეხების მდგომარეობის შეცვლისას, სასურველია, წინ გასრიალებული ფეხის ქუსლი ცერის სახსართან მოხვდეს.

მომდევნო მეორე ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით — მარცხენა ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, მარჯვენა ქუსლზე დაყრდნობით — წინ და ა.შ.

ამ ილეთს ასრულებენ ვაჟებიც, ოღონდ — თვლაზე **ერთი** — იატაკზე დაყრდნობის მაგივრად, მუხლის სახსარში მოხრილი ფეხი წინ — ჰაერში გამოაქვთ.

6. ძრიალა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია ერგცერებზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით გადაიდგმება მცირედ წინ.

თვლა და — ერგცერზე სრიალით მცირედ წინ გადაიდგმება მარცხენა ფეხი.

თვლა **ორი-და** — იგივე — თვლა **ერთი და** და ა.შ.

7. ჭღობგვერდზე სვლა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია ერგცერებზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი-და** — მარჯვენა ფეხის ერგცერით გადადგმა მარცხენის წინ და მარჯვნივ.

თვლა **ორი-და** — მარცხენა ფეხის ერგცერით გადადგმა მარჯვენის უკან და მარჯვნივ და ა.შ.

8. რთულა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე (უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს).

თვლა და — მარცხენა ფეხი ერგცერის სრიალით ნახევარი ნაბიჯი გამოდის წინ (სხეულის სიმძიმე რჩება მარჯვენაზე).

თვლა **ორი** — სხეულის სიმძიმის მარცხენა ფეხის ერგცერზე გადატანა, მთელ ტერფზე სრიალით მარჯვენის მარცხენასთან მიტანა.

თვლა და — ყოვნა.

შემდეგ ტაქტიდან „რთულა“ იწყება მარცხენა ფეხით.

9. ხლართულა ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

იღეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

თვლა **ერთი-და** — მარჯვენა ფეხი მოსცილდება იატაკს, მოიხრება მუხლის სახსარში და დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ. მარჯვენა დადგმისას ჯერ ერგცერით შეეხება იატაკს და შემდეგ ერგცერის ოდნავი წინ სრიალით — მთელი ტერფით (ამ დროს ორივე ფეხი ოდნავ მოხრილია მუხლის სახსარში).

თვლა **ორი-და** — სხეულის სიმძიმის გადატანა მარჯვენა ფეხზე, მარცხენის ერგცერით დაკვრა.

მომღვენო ტაქტის თვლა **ერთი-და** — წინ და მარცხნივ გატანილი მარჯვენა ფეხი დაუბრუნდება სანყის მდგომარეობას, ერთდროულად მუხლში მოიხრება მარცხენა.

თვლა **ორი-და** — „ხლართულა“ ინყება მარცხენა ფეხით.

„ხლართულა ჩაკვრა“ მიეკუთვნება იმ სამმოდრაობიან იღეთთა რიცხვს, რომლებიც ტაქტის თვლას არ ემორჩილება (მარჯვენა ფეხით „ხლართულა“ სრულდება **ორი** ტაქტის 3/4-ში, მომღვენოში ინყება მარცხენა ფეხით და ა.შ).

მარჯვენა ფეხით შესრულებისას საჭიროა, მცირედ შებრუნება მარცხნივ, მარცხენათი — პირიქით.

10. ჭრილი ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

იღეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

თვლა **ერთი-და** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე (ვარდნა). მარჯვენა ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მარცხენა — გამართული.

თვლა **ორი-და** — გამართული მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ გატანა და ქუსლით დადგმა (სხეულის სიმძიმე რჩება მარჯვენაზე).

მომღვენო ტაქტის თვლა **ერთი-და** — მარცხენა ფეხის ტერფზე დახტომა (მუხლში მოიხრება და სხეულის სიმძიმე გადაიტანება მარცხენაზე). მარცხენაზე დახტომისას მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი გადაიტანება მარცხენის უკან და მარცხნივ — დაიდგმება ცერით (ამ დროს მარჯვენა და მარცხენა ფეხის მუხლის სახსრები უახლოვდება ერთმანეთს).

თვლა **ორი-და** — მარჯვენა ფეხის ტერფზე დახტომა, ერთდროულად გამართული მარცხენის წინ — ჰაერში გამოტანა ან ქუსლზე დაყრდნობა.

შემდეგი ტაქტიდან იღეთი ინყება მარცხენა ფეხით — მარცხნივ.

11. ჭღობგვერდზე სვლა ჭრილი ჩაკვრითა და ფეხცვლით

სანყისი მდგომარეობა — III პოზიცია — ერგბუქნი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

იღეთი სრულდება **ოთხ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი-და** — მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხის გადადგმა მარჯვნივ — მარცხენასთან შედარებით ოდნავ წინ.

თვლა **ორი-და** — მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხის გადადგმა მარჯვნივ და მარჯვენის უკან ჩადგმა.

მეორე ტაქტი — იგივე — **პირველი** ტაქტი.

მესამე ტაქტის თვლა **ერთი-და** — გამართული მარჯვენა ფეხის წინ გატანა და ქუსლით დაყრდნობა. უკან დარჩენილი მარცხენა მოხრილია მუხლის სახსარში.

თვლა **ორი-და** — დახტომა მარჯვენა ფეხის ტერფზე. უკან დარჩენილი მარცხენის მარჯვენის უკან და მარჯვნივ გატანა და ცერით დადგმა (ამ დროს ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში და მუხლის სახსრები ერთმანეთს ეხება).

მეოთხე ტაქტის თვლა **ერთი-და** — დახტომა უკან დარჩენილ მარცხენა ფეხზე, ერთდროულად

მუხლის სახსარში გამართული მარჯვენის წინ გატანა და ქუსლზე დაყრდნობა.

თვლა **ორი-და** — მარჯვენა ფეხის მთელ ტერფზე დახტომა. ერთდროულად მუხლის სახსარში მოხრება მარცხენა.

მომღევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით — მარცხნივ.

12. ცერათრეპიით სვლა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი-და** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი (უკან დარჩენილი მარცხენა ერგ-ცერით ეხება იატაკს).

თვლა **ორი-და** — მუხლის სახსარში მოხრილი მარცხენა ფეხის ცერზე სრიალით წინ — მარჯვენასთან მიტანა.

მომღევნო ტაქტიდან — იგივე მარცხენა ფეხით.

13. ხლართულისეპური ჭრილი ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

თვლა **ერთი-და** — მარჯვენა ფეხის გადატანა მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად მარცხენა ჭრილი ჩაკვრისებურად ცერით იდგმება მარჯვენა ფეხის უკან და მარჯვნივ (ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში).

თვლა **ორი-და** — მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე დახტომა. ერთდროულად გამართული მარჯვენა გამოიტანება წინ — ოდნავ მარჯვნივ ჰაერში ან დაიდგმება ქუსლით.

მომღევნო ტაქტის თვლა **ერთი-და** — იცვლება ფეხების მდგომარეობა: წინ — ჰაერში გატანილი ან ქუსლზე დაყრდნობილი მარჯვენა ფეხის უკან გატანა და მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად მარცხენის წინ ჰაერში გატანა ან ქუსლით დადგმა.

თვლა **ორი-და** — „ხლართულა ჩაკვრის“ მსგავსად ილეთი იწყება მარცხენა ფეხით და ა.შ.

14. ქუსლამართვითა და ცერდაკვრით ჭდობგვერდზე სვლა

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი-და** — მარჯვენა ფეხის გადატანა მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად უკან დარჩენილი მარცხენის ცერის იატაკზე დაკვრა. ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში.

თვლა **ორი-და** — დახტომა მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე, ერთდროულად მარჯვენის ცერის მარცხენის წინ და მარცხნივ დაკვრა და ა.შ.

15. ფეხშლითა და ბანბიჯით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

თვლა **ერთი-და** — ერგბუქნი დახტომით: შიგნით ქუსლშებრუნებული მარჯვენა ფეხის გადატანა მარცხენის წინ და მარცხნივ. მარცხენის პირიქით — მარჯვენა ფეხის უკან და მარჯვნივ (ჭდობა). ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში.

თვლა **ორი-და** — ჭდობიდან ორივე ფეხის (ქუსლების გარეთ შებრუნებით) მხრების სიგანეზე გაშლა: მარჯვენა ფეხი დადგმულია მთელი ტერფით, მარცხენა ცერით ეხება იატაკს.

მომდევნო ტაქტის თვლა **ერთი-და** — დახტომა მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე. ერთდროულად გამართული მარჯვენა გამოიტანება წინ — ჰაერში (მარცხენა ფეხი ოდნავ მოხრილია მუხლის სახსარში).
თვლა **ორი-და** — ფეხების მდგომარეობის შეცვლა: წინ — ჰაერში გატანილი მარჯვენა ფეხი დაიჭერს მარცხენის საყრდენ ადგილს, მარცხენა ფეხი წინ — ჰაერში — გაიმართება მარჯვენის ნაცვლად.
შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

16. ფეხბაპვრით განვიჯითა და ფეხშლით ჩაპვრა

სანყისი მდგომარეობა — I პოზიცია — ერგცერებსა ან ცერებსზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი-და** — დახტომა მარცხენა ფეხის ტერფზე, ერთდროულად გამართული მარჯვენის წინ — ჰაერში გატანა.

თვლა **ორი-და** — მარჯვენა ფეხი დაიდგმება მარჯვნივ.

მეორე ტაქტი — „ფეხშლილი ჩაკვრა“ მარცხენა ფეხით წინ (იხ. „ფეხშლილი ჩაკვრა“).

მომდევნო **მესამე** და **მეოთხე** ტაქტი — ილეთი სრულდება პირიქით: მარცხენა ფეხის წინ — ჰაერში გატანით.

17. ფეხშლილი ჩაპვრა

სანყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი-და** — ერგბუქნი დახტომით: შიგნით ქუსლშებრუნებული მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ და მარცხნივ გადატანა, მარცხენის პირიქით — მარჯვენა ფეხის უკან და მარჯვნივ (შიგნით ქუსლშებრუნებული ფეხების ჭდობა — ერგცერბუქნი — ორივე ფეხი იატაკს მთელი ტერფით ეხება).

თვლა **ორი-და** — ორივე ფეხის გაშლა მხრების სიგანეზე და მცირე ზეხტომით ცერებსზე შედგომა. ოდნავ მოხრილი მუხლები დაახლოებულია, ქუსლები გარეთაა შებრუნებული (მარჯვენა ქუსლი შებრუნებულია მარჯვნივ, მარცხენა — მარცხნივ).

მომდევნო ტაქტიდან „ფეხშლილი ჩაკვრა“ იწყება მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ გადაჭდობით და ა.შ.

18. ჭდობილი წინსვლა

სანყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

თვლა **ერთი-და** — ზეტანის ოდნავ მარცხნივ შებრუნებით მარჯვენა ფეხით წინ განიერი ნაბიჯი (ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მუხლები — მიმართულია გარეთ).

თვლა **ორი-და** — ერგბუქნის შეუცვლელად უკან დარჩენილი მარცხენა ფეხი მიედგმება მარჯვენას.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი-და** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადატანა. უკან დარჩენილი გამართული მარცხენა ფეხი წვერით ეხება იატაკს.

თვლა **ორი-და** — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მცირედ მოხრა და ტერფზე სრიალით წინ ნახტომა. ერთდროულად უკან დარჩენილი მარცხენა ფეხის წინ მოხრა (ჰაერში დარჩენილი მარცხენა ფეხის ერგცერი გაჭიმულია და კოჭით ეხება მარჯვენის მუხლის სახსარს).

შემდეგი ტაქტიდან — „ჭდობილი წინსვლა“ მარცხენა ფეხით.

ხელეზის მდგომარეობა

1. ძვებანმკლავი მცირე სართავებით

სანყისი მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ტაქტის ყოველი თვლა **ერთი-და** — ხელების ოდნავ დაბლა დაშვება. მტევენები ჩამორჩება ხელეზის მოძრაობას, მაჯის სახსარში მოხრილია თითებით ზემოთ.

თვლა **ორი-და** — ხელები ოდნავ ზეაინევიან. ერთდროულად მტევენები დაეშვებიან თითებით ქვემოთ და ა.შ.

2. ხელეზის მოძრაობა ირიბად

სანყისი მდგომარეობა — ქვეგანმკლავი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტი — იდაყვის სახსარში მცირედ მოხრილი მარჯვენა ხელის წინ და მარჯვნივ გატანა. ერთდროულად გამართული მარცხენა გაიტანება მარცხნივ (ორივე ხელი მარცხნივ ირიბად მოძრაობს).

მეორე ტაქტი — შეიცვლება ხელების მდგომარეობა — ორივე ხელი მოძრაობს მარჯვნივ (იდაყვის სახსარში ოდნავ მოიხრება და სხეულის წინ და მარჯვნივ გაიტანება მარცხენა, გამართული მარჯვენა — მარჯვნივ) და ა.შ.

3. ხელეზის სართავისეზური მოძრაობა ზემკლავში

სანყისი მდგომარეობა — ზემკლავი, ნებით წინ.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ხელის მტევენები შებრუნდება შიგნით — საშუალო სართავი ნეკის გადაცილებით, ხელისგულები მიმართულია ერთმანეთისკენ.

თვლა **და** — პაუზა.

თვლა **ორი** — ხელის მტევენები შებრუნდება გარეთ — საშუალო სართავი ცერის გადაცილებით, ხელისგულები მიმართულია წინ (როგორც სანყისი მდგომარეობისას).

თვლა **და** — ყოვნა და ა.შ.

4. ხელეზის II პოზიცია მცირე სართავებით

ქალთათვის:

სანყისი მდგომარეობა — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი-და, ორი-და** — მცირე სართავები, როგორც ქვეგანმკლავი მცირე სართავებით.

ვაჟთათვის:

ცალი ხელი იდაყვის სახსარშია მოხრილი და ხელის ცვლით გულმკერდს ეხება, მეორე — განზება გაშლილი. ხელის თითები მოხრილია. ვაჟები II პოზიციაში მცირე სართავებს არ ხმარობენ.

5. ხელეზის მკარდდახურული მდგომარეობა

სანყისი მდგომარეობა — განგაშლილი (განმკლავი). ხელისგულით ქვევით, თითები მოხრილი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტი — ქვეგანმკლავიდან ცალი ხელი გულმკერდის წინ, იდაყვში მოხრილი მეორე ხელი უკან — წელთან.

მეორე ტაქტი — სანყისი მდგომარეობა (განმკლავი) და ა.შ.

ვაჟების თითები, ხელების მკერდდახურულ მდგომარეობაში მოძრაობისას, მოხრილია, ქალები-სა — გაშლილი.

ტრადიციული წესები

- გოგონები ვაჟურად ცეკვავენ მხოლოდ მაშინ, თუ ლხინში მამაკაცები არ მონაწილეობენ.
- ვაჟურად ცეკვისას დაუშვებელია უხეში მოძრაობები.
- მოცეკვავეებს უფლება აქვთ გადაადგილდნენ, მაგრამ ამით ხელი არ უნდა შეეშალოს ცეკვის ნორმალურ მსვლელობას.
- თუ ლხინში გოგონამ ვაჟურად წამოიწყო ცეკვა, აუცილებლად უნდა გამოიპატიჟოს ქალი.
- წრეზე წინსვლისას ვაჟი ქალს გვერდზე მიჰყვება.
- ცეკვაში შეცილება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მოცეკვავე წყვილს შორის მანძილი საკმარისია.
- ვაჟს უფლება აქვს ცეკვაში გამოიყენოს ჩაკვრები და ცერილეთები, ქალს — არა.

სამოსი

- პერანგი (წითელი ან ალისფერი)
- საგულე
- ნაოჭიანი კაბა
- ფასტამალი (წინსაფარი)
- ვერცხლის ბალთიანი ქამარი
- თავჩითა ან ფორებიანი ჩიქილა
- ჭრელი წინდები
- წაღები
- ვერცხლის შიბი

I

ნოტირებულია
ნანა ვალიშვილის მიერ

Musical notation for the first system of piece I, measures 1-4. The system consists of two staves: a treble staff and a bass staff. The treble staff contains a melody with eighth and sixteenth notes, featuring a sharp sign on the second measure. The bass staff contains a simple accompaniment of half notes with a slur over the first two notes of each measure. There are four wavy hairpins above the treble staff, one above each measure.

Musical notation for the second system of piece I, measures 5-8. The system consists of two staves. The treble staff contains a melody with eighth and sixteenth notes, featuring a sharp sign on the second measure. The bass staff contains a simple accompaniment of half notes with a slur over the first two notes of each measure. There are four wavy hairpins above the treble staff, one above each measure. A measure rest '5' is placed above the first measure of the treble staff.

II

ნოტირებულია
ნინო შველიძის მიერ

Musical notation for the first system of piece II, measures 1-4. The system consists of two staves: a treble staff and a bass staff. The treble staff contains a melody with eighth and sixteenth notes, featuring a sharp sign on the second measure. The bass staff contains a simple accompaniment of half notes with a slur over the first two notes of each measure.

Musical notation for the second system of piece II, measures 5-8. The system consists of two staves. The treble staff contains a melody with eighth and sixteenth notes. The bass staff contains a simple accompaniment of half notes with a slur over the first two notes of each measure. A double bar line is present at the end of the system.

Musical notation for the third system of piece II, measures 9-12. The system consists of two staves. The treble staff contains a melody with eighth and sixteenth notes. The bass staff contains a simple accompaniment of half notes with a slur over the first two notes of each measure. A double bar line is present at the end of the system.

III

The first system of music for section III consists of two staves. The upper staff is in treble clef with a 12/8 time signature, featuring a melodic line with eighth and sixteenth notes, including some accidentals. The lower staff is in bass clef with a 12/8 time signature, featuring a bass line with a long, sweeping slur over four measures, containing half notes.

The second system of music for section III consists of two staves. The upper staff continues the melodic line from the first system, ending with a double bar line and repeat dots. The lower staff continues the bass line, also ending with a double bar line and repeat dots.

IV

The musical score for section IV consists of two staves in common time (C). The upper staff contains a melodic line with eighth and sixteenth notes. The lower staff contains a bass line with a long, sweeping slur over four measures, containing half notes. Above the upper staff, there are two boxes containing the Georgian text: "გამეორებისთვის" (for repetition) and "დაბოლოებისთვის" (for ending). The first box is positioned over the first two measures, and the second box is positioned over the last two measures of the system.



პატარა მწყემსები

მონანილეობენ თორმეტ-თოთხმეტ წლამდე ვაჟები. ცეკვაში გამოყენებულია აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში გავრცელებული ვაჟთა ძველი ქართული ხალხური თამაშობა — **ქუდმარაობა**: მინდორში დადებენ ქვას, გადაზომავენ ოც-ოცდახუთ ნაბიჯს და მოთამაშენი ქვისკენ ისვრიან სახრეს. ვისი სახრეც ქვისგან უფრო შორს დავარდება, ვალდებულია, საკუთარი ქუდი (ან რაიმე ნივთი, თუნდაც აბგა) ისროლოს ნებისმიერი მიმართულებით. მოთამაშენი სახრეებს ესვრიან ქუდს. როცა რომელიმე სახრეს მოარტყამს, სახრეების სროლა მეორდება. თუ ყველა სახრე ასცდება ქუდს, თამაში იწყება თავიდან (ცხადია, თამაშის მიზანი შუბის ტყორცნაში ვარჯიში იყო).

ცეკვის აღწერა

სალამო ხანია. ნახირის დაბინავების შემდეგ პატარა მწყემსებს — მენახირეებს — თავი მოუყრიათ და „ქუდმარაობა“ გაუჩაღებიათ (ოთხი ვაჟი).

იწყება ცეკვა... საცეკვაო მოედნის ცენტრში ნაბდის ქუდს ისვრიან და კულისებიდან მიმდევრობით ქუდთან პირველი, მეორე, მესამე სახრე დაეცემა. გარბენითა და ხტომით თავთავიანთ სახრეებს რიგრიგობით უკან მოჰყვება სამი გახარებული ვაჟი — სახრე მოახვედრეს ნიშანს — ქუდს. სცენაზე შემოიბრუნეს მეოთხე სახრიანი ვაჟი — ქუდის პატრონი. ქუდს ხელს წამოავლებს და ათვალეირებს: ქუდი გახვრეტილია! დასარწმუნებლად თითს გაუყრის და გაბრაზებული ვაჟებს სახრეს მოუქნევს. სამივე განზე გახტება, სახრეს აიცილებს, ქუდის პატრონს სახრეებით ხელიხელგაშლილ წრეს შემოარტყამს და სამაგიეროდ სახრეებს ფეხებში შემოჰკრავს. სახრეების ასაცილებლად ქუდის პატრონი მაღალი ნახტომით არღვევს წრეს და უერთდება დანარჩენთ.

ფინალში ოთხივე მოცეკვავე ერთად, შეწყობილად ცეკვავს (ცეკვაში გამოყენებულია ცეკვა „მთიულურის“ ილეთები. დადგმულია 1966 წელს).

ილეთთა აღწერა

1. მუხლურა სვლა ორი ნაბიჯის დამატებით

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

პირველი ტაქტის თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა ორი — მარცხენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. უკან დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

მეორე ტაქტის თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა ორი — მარცხენა ფეხი მუხლში მოხრით წინ ისე გადაიტანება, რომ კოჭი საყრდენი ფეხის მუხლთან მოხვდეს, ერგცერი გაჭიმულია. ერთდროულად საყრდენი — მარჯვენა ფეხი — მცირედ მოიხრება მუხლის სახსარში და ოდნავი შეხტომით, სრიალით, ნახევარი ტერფით წაინწევა წინ.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან და ა.შ.

2. საღა ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა ერთი — მარცხენა ფეხზე ოდნავ ზეხტომი, ერთდროულად მარჯვენა და მოიხრება მუხლის სახსარში. მარცხენიდან დახტომასთან ერთად, მარჯვენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ქუსლით დაიდგმება მარცხენა ფეხის ცერთან.

თვლა ორი — მარცხენა ფეხზე ოდნავ ზეხტომი, მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში (მარჯვენა ფეხის წვერი დაბლაა მიმართული). მარცხენაზე დახტომასთან ერთად, მარჯვენა ფეხი ცერით გადაიდგმება იქ, სადაც თვლაზე **ერთი** მარჯვენა ქუსლით იატაკს ეხებოდა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი სრულდება პირიქით.

3. წვივქნევიტი ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე ოდნავ ზეხტომი, მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში.

მარცხენიდან დახტომასთან ერთად მარჯვენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ქუსლით დაიდგმება მარცხენის ცერთან.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხზე ოდნავ ზეხტომი, მარჯვენა ისევ მოშორდება იატაკს და მოიხრება მუხლის სახსარში (გამართული მარჯვენა ფეხი იატაკიდან ოდნავ მოშორებულია, ტერფი — გაჭიმული).

მომდევნო ტაქტიდან ილეთი სრულდება პირიქით

4. რთულა წინსვლა

სანყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **და** — მუხლის სახსარში მოხრილი მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს წინ ნახევარი ნაბიჯით. სხეულის სიმძიმე ისევ მარჯვენაზეა.

თვლა **ორი** — სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენა ფეხის ერგცერზე. ერთდროულად მარჯვენა, ტერფის იატაკიდან აულებლად, სრიალით მიიწევა მარცხენასთან.

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება პირიქით.

5. ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — IV პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8 (ილეთი ორტაქტიანია).

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის, შიგნით შებრუნებული ქუსლით, მარცხენის ცერის წინ დადგმა. ორივე ფეხი ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში (ერგბუქნი), ზეტანი მერვედით შებრუნდება მარცხნივ.

თვლა **ორი** — ორივე ფეხი შებრუნდება ქუსლებით გარეთ და გაიშლება მხრების სიგანეზე. ამ დროს ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში და ფეხის თითებით ეხება იატაკს (ცერდგომი).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — დახტომა მარცხენა ფეხის ტერფზე. ერთდროულად გამართული მარჯვენის წინ — ჰაერში გატანა (ზეტანი შებრუნდება მერვედით მარჯვნივ).

თვლა **ორი** — სხეულის გასწვრივ მთელი ტერფით მარჯვენა ფეხის დადგმა. ერთდროულად გამართული მარცხენის წინ — ჰაერში გატანა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება პირიქით.

6. ჭრილი ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი ნახევრად წინ და ნახევრად მარჯვნივ — ირიბად. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარჯვენა ფეხი ნახევრად მოიხრება მუხლის სახსარში. ადგილზე დარჩენილი მუხლის სახსარში გამართული მარცხენა ფეხი მთელი ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გადავა მარჯვენის წინ — მარჯვნივ და თავისუფლად დაიდგმება ქუსლით. მარჯვენა ისევ მოხრილია.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის დაკვრა. მარჯვენის ცერით მარცხენის უკან და მარცხნივ დადგმა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ტერფის დაკვრა, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. გამართული მარცხენა ფეხი გადის ჰაერში — წინ და მარცხნივ (შეიძლება მარცხენა ფეხის ქუსლით დადგმაც).

მომღევნო ორი ტაქტიდან ილეთი სრულდება პირიქით.

7. ხლართულა ჭლოზჩაკვრა ცერეზზე

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **სამ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მცირე შეხტომის შემდეგ მარჯვენა ფეხის ცერით — ირიბი მიმართულებით, წინ და მარჯვნივ — დადგმა. ამ დროს მარცხენა ფეხი მოშორებულია იატაკს და მოხრილია მუხლის სახსარში. მუხლის სახსარში მოხრილია მარჯვენაც.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ცერით მარჯვენა ფეხის წინ და მარჯვნივ დადგმა (ჭდობა). ორივე ფეხი ოდნავ მოხრილია მუხლის სახსარში.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით მთელ ტერფზე დახტომა.

ერთდროულად გამართული მარცხენა ფეხის ჰაერში — წინ და მარცხნივ გატანა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ცერით მარცხნივ დადგმა. მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში. ოდნავ მოხრილია მუხლის სახსარში მარცხენაც.

მესამე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ცერით მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა (ჭდობა). ორივე ფეხი ოდნავაა მოხრილი მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — ორივე ფეხის ტერფზე დახტომა, მუხლის სახსარში ნახევრად მოხრილი ორივე ფეხის თანაბრად განზე გატანა (მხრების სიგანეზე: მარჯვენის — მარჯვნივ, მარცხენის — მარცხნივ).

მომღევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

8. ჭლოზილი წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — ზეტანის ოდნავ მარცხნივ შებრუნებით მარჯვენა ფეხით განიერი ნაბიჯი სვლის მიმართულებით. ნახევარბუქნი (მუხლები გარეთ, სახე — სვლის მიმართულებით).

თვლა **ორი** — ერგბუქნის შეუცვლელად მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე სრიალით უკან მარჯვენასთან მიდგმა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — სვლის მიმართულებით მარჯვენა ფეხით სრული ნაბიჯი წინ. ერთდროულად მუხლის სახსარში გამართულ მარჯვენა ფეხზე სხეულის სიმძიმის გადატანა.

მესამე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ცერით მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა (ჭდობა). ორივე ფეხი ოდნავ მოხრილია მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — ორივე ფეხის ტერფზე დახტომა, მუხლის სახსარში ნახევრადმოხრილი ორივე ფეხის განზე თანაბრად გატანა (მხრების სიგანეზე: მარჯვენის — მარჯვნივ, მარცხენის — მარცხნივ).

მომღევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

9. სკუპბრუნნი

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე შეხტომა, მარჯვენა ფეხის მოქნევით მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა. ერთდროულად მუხლის სახსარში ოდნავ მოხრილი მარცხენა ფეხის ცერით თავისუფლად დადგმა (ზეტანი ნახევრად შებრუნდება ზურგისაკენ, მარცხენა ფეხი დარჩება მარჯვენის უკან).

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხზე ნახევარბრუნნი ზურგისაკენ. ერთდროულად მარცხენის შებრუნება და ქუსლით დადგმა.

10. ფეხბურთი უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს — ჯერ მოიხრება, შემდეგ ჰაერში გაქნევით გაიმართება მუხლის სახსარში. ერთდროულად მარცხენა ფეხის ტერფზე სრულდება ნინსტომი.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი დაიდგმება მარცხენასთან.

11. სამღაპრითი ბრუნე

საწყისი მდგომარეობა — მარჯვენა ფეხის მთელ ტერფზე დგომი. მარცხენა გატანილია წინ — მარცხნივ და მთელი ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს. ზეტანი მცირედ შებრუნებულია მარჯვნივ.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

სრული ბრუნვა სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ერგცერით უკან და მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადატანა. ზეტანი შებრუნდება ნახევრად მარცხნივ. მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ერგცერით წინ და მარცხნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარცხენა ფეხი მოშორდება იატაკს, ზეტანი შებრუნდება მეოთხედით მარცხნივ.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ერგცერით წინ და მარცხნივ დადგმა. სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. ზეტანი შებრუნდება მეოთხედით მარცხნივ, მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს.


თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით წინ დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

მომდევნო ტაქტიდან ბრუნე იწყება პირიქით.

ცეკვის სქემური აღწერა

დოლის აკომპანემენტზე ცენტრისაკენ ისვრიან ნაბდის ქუდს. მიყოლებით — პირველი, მეორე, მესამე სახრე დავარდება ნაბდის ქუდთან. მოედანზე სირბილითა და ხტომით შემოდიან ჯერ სახრეების პატრონები (სამი ვაჟი), შემდეგ — ქუდის პატრონი (მეოთხე ვაჟი), რომელიც დაათვალიერებს ქუდს, შენიშნავს. რომ გახვრეტილია, და გაბრაზებული სახრეს მოუქნევს დანარჩენებს, რომლებიც განზე ხტომით აიცდენენ სახრეებს და წრეს შემოარტყამენ ქუდის პატრონს.


აქ მთავრდება ცეკვის შესავალი. შემდეგ დოლთან ერთად გარმონის აკომპანემენტით გრძელდება ცეკვა.



ნახ. 1

1-8 თვლა


ერთი-რვა თვლა — №1, 2, 3 ვაჟი — „მუხლურა სვლით“ („მუხლურა სვლა ორი ნაბიჯის დამატებით.“ იხ. ილეთთა აღწერა — ილ. 1) გარს ერტყმის №4-ს.



ნახ. 2

ხელების მდგომარეობა — ორივე ხელი განგაშლილია, ხელები სახრის თავსა და ბოლოშია მოკიდებული (შეკრულია წრე).


თვლა **შვიდი** — № 1, 2, 3 ვაჟი ასრულებს ბრუნს მარცხნივ — მარცხენა ფეხზე.



ნახ.3

ხელების მდგომარეობა — სახრეს გაუშვებენ მარცხენა ხელს და მარჯვენით სახრეს ვერტიკალურად დაიჭერენ გულმკერდთან.

თვლა **რვა** — № 1, 2, 3 ვაჟი დგება მარჯვენა ფეხის მუხლზე სახით №4 ვაჟისაკენ.



ნახ. 4

ხელების მდგომარეობა — განგაშლილი და ორივე ხელი სახრის ბოლოებშია მოკიდებული.


ერთი-ექვსი თვლა — №4 ვაჟი ათვალეირებს ქუდს.

შვიდი-რვა თვლა — იხურავს თავზე.

1-8 თვლა

ერთი-ოთხი თვლა — №1, 2, 3 ვაჟი ისევ დგას მარჯვენა ფეხის მუხლზე.

წრეში მომწყვდეული №4 ვაჟი ცდილობს წრიდან გახტომას — შემონერს მცირე წრეს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.




ნახ. 5

ხელები — № 1, 2, 3 ვაჟი იმავე მდგომარეობაში.

№4 ვაჟი — მარჯვენა ხელი (სახრით) ზეანუღლია, მარცხენა თავისუფლად დაშვებულია ქვემოთ.

ხუთი-ექვსი თვლა — №1, 2, 3 ვაჟი ცვლის მუხლს (თვლა **ხუთი** — ააცილებს იატაკს მარჯვენა ფეხის მუხლს, თვლა **ექვსი** — იატაკზე დააყრდნობს მარცხენა მუხლს).

№4 ვაჟი — მარცხენა ფეხზე ბრუნი მარცხნივ.




ნახ. 6

ხელების მდგომარეობა — № 1, 2, 3 ვაჟი გაუშვებს სახრეს მარცხენა ხელს და მარჯვენის ზეანუღლით სახრეს მოამზადებს №4 ვაჟის შემოსაკრავად.

№4 ვაჟი — მარჯვენა ხელით სახრეს დაიჭერს ნინ — ვერტიკალურად.

თვლა **შვიდი** — №1, 2, 3 ვაჟის მუხლებზე ბრუნი მარცხნივ. ერთდროულად მარჯვენა ხელს (სახრით) №4 ვაჟის ფეხებისაკენ მოიქნევენ და შემოჰკრავენ.

№4 ვაჟი — ჰაერში ზეხტომი და ერთდროულად ორივე ფეხის მუხლის სახსარში მოხრა.




ნახ. 7

ხელების მდგომარეობა — №4 ვაჟის მარჯვენა ხელი (სახრით) ზეანუღლია, მარცხენა — განგაშლილი.

თვლა **რვა** — №1, 2 ვაჟი დგას მარჯვენა მუხლზე სახით ერთმანეთისაკენ, **№3** — ამდგარია.

№4-ის დახტომა **№3** ვაჟის გვერდით (**№4** ვაჟი ზეხტომით ასრულებს მცირე უკუდგომს).



ნახ. 8

ხელების მდგომარეობა — №1, 2 ვაჟი — მარჯვენა ხელი (სახრით) დაშვებულია, სახრის ბოლო ეხება იატაკს. მარცხენათი — დონჯი.

№3, 4 ვაჟი — ორივე ხელი სახრის თავსა და ბოლოში უკიდიათ.

ხელები — ზეანეული.

1-8 თვლა

თვლა **ერთი-ორი** — №3, 4 ვაჟი ასრულებს „სადა ჩაკვრას“ (ილ. 2). №1, 2 — ისევ მუხლზე დგას.



ნახ. 9

ხელები — იგივე მდგომარეობა.

თვლა **სამი** — № 3, 4 ვაჟი — დახტომა ორივე ფეხზე.

თვლა **ოთხი** — სახრეზე ხტომა (გადახტომისას ფეხები მუხლის და თედოს სახსარში მაქსიმალურად მოხრილია).

№ 1, 2 ვაჟი — ისევ მუხლებზე დგას.



ნახ. 10


ხელების მდგომარეობა — თვლა **სამი-ოთხი** — №3, 4 ვაჟი სახრეზე ხტომისას დაუშვებს ორივე ხელს, გაატარებს სახრეს ფეხების ქვეშ და ხელებს უკან ისე გაიტანს, რომ სახრე წელთან მოექცეს.

თვლა **ხუთი-ექვსი** — №1, 2 ვაჟი ასრულებს „წვივქნევჩაკვრას“ (ილ. 3).

თვლა **შვიდი** — დახტომა ორივე ფეხზე.

თვლა **რვა** — სახრეზე ხტომა.

№3, 4 ვაჟი დგას — თვლა **ოთხის** მდგომარეობა.



ნახ. 11

ხელების მდგომარეობა:

თვლა **ხუთი-ექვსი** — №1, 2 ვაჟს ორივე ხელი უკიდიათ სახრის თავსა და ბოლოში.


ხელები — ზეანეული.

თვლა **შვიდი-რვა** — სახრეებზე ხტომისას №1, 2 ვაჟი დაუშვებს ორივე ხელს, გაატარებს სახრეს ფეხების ქვეშ და ხელებს უკან ისე გაიტანს, რომ სახრე წელთან მოექცეს.

№ 3, 4 ვაჟი — ხელების იგივე მდგომარეობა (სახრეები წელთან).

1-8 თვლა

თვლა **ერთი-ექვსი** — №1, 3 ვაჟის „რთულა წინსვლით“ (ილეთი №4) მხარდამხარ შემოვლა (შემოვლის შემდეგ ოთხივე ერთ მწკრივად სახით მაყურებლისკენ უნდა იყოს).
იმავეს ასრულებს №2, 4 ვაჟი.



ნახ. 12

ხელების მდგომარეობა — ორივე ხელი განგაშლილი, სახრე მარჯვენა ხელით მიმართულია ზევით (ვერტიკალურად).


თვლა **შვიდი** — №1, 2, 3, 4 ვაჟი ასრულებს **სკუპბრუნს** მარცხნივ (ილ. №9).



ნახ. 13

ხელების მდგომარეობა — იგივე — თვლა **პირველი-ექვსი**.


თვლა **რვა** — ოთხივე ვაჟი დაეშვება მარჯვენა მუხლზე, ერთდროულად მცირედ მოიხრება წელში და მარჯვენა ხელით სახრეებს დაანყობს რამპის ხაზის პარალელურად.



ნახ. 14

1-8 თვლა


თვლა **ერთი-ოთხი** — №1, 2, 3, 4 ვაჟი „ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრით“ მოძრაობს ოდნავ წინ (ილეთი №5) სახრეებს შორის.



ნახ. 15

ხელების მდგომარეობა — ორივე ხელი მოხრილია იდაყვის სახსარში და გატანილია ზურგსუკან (წელთან).

თვლა **ხუთი-რვა** — №1, 2, 3, 4 ვაჟი მცირე ზეხტომით (სახრეს ფეხით არ უნდა შეეხოს. სახრეზე გადახტომა-გადმოხტომა) ასრულებს „ჭრილ ჩაკვრას“ (ილეთი №6) ირიბად (ჯერ მარჯვნივ, შემდეგ — მარცხნივ).




ნახ. 16

ხელების მდგომარეობა — I პოზიციიდან (განგაშლილი) II-ში (ცალიდაყვმოხრილი) გადასვლა. „ჭრილი ჩაკვრის“ მარჯვნივ შესრულებისას იდაყვის სახსარში მოიხრება განგაშლილი მარჯვენა ხელი, მარცხნივ შესრულებისას — მარცხენა.

1-8 თვლა

თვლა ერთი — №1, 2, 3, 4 ვაჟის ერგბუქნით ორივე ფეხზე დახტომა. ამ დროს მარცხენა ფეხი და მხარი, მარჯვენა ფეხსა და მხართან შედარებით, მცირედ წინაა წაწეული (ეს მდგომარეობა საჭიროა მარცხნივ ბრუნისათვის).


ხელების მდგომარეობა — მკერდდახურული.



ნახ. 17

თვლა ორი — №1, 2, 3, 4 ვაჟი ასრულებს ბრუნს მარცხნივ — მარცხენა ფეხზე.


ხელების მდგომარეობა — ცვლა მკერდდახურულ მდგომარეობაში.



ნახ. 18

თვლა სამი — ოთხივენი დგებიან მარჯვენა ფეხის მუხლზე.


ხელების მდგომარეობა — მარჯვენა ხელს ჰკიდებენ სახრის ბოლოს.



ნახ. 19

თვლა ოთხი — ოთხივე ვაჟი დგება ცერებზე.


ხელების მდგომარეობა — ორივე ხელი ზეანეული, ხელები — სახრის თავსა და ბოლოში.



ნახ. 20

თვლა ხუთი-რვა — №1, 2, 3, 4 ვაჟი სახით მაყურებლისაკენ მოძრაობს უკან — ცერებზე სვლით.

ხელების მდგომარეობა — როგორც თვლა ოთხი.




ნახ. 21

1-8 თვლა

თვლა ერთი-ოთხი — №1, 2, 3, 4 ვაჟი ცერებზე სვლით მოძრაობს ირიბად — უკან და მარჯვნივ.


ხელების მდგომარეობა — III პოზიცია (სახრე კისერსა და მარცხენა მხარს ეხება).



ნახ. 22

თვლა ხუთი-ექვსი — №1, 2, 3, 4 ვაჟი ცერებზე სვლით მოძრაობს ირიბად — უკან და მარცხნივ.


ხელების მდგომარეობა — იგივე — თვლა ერთი-ოთხი.



ნახ. 23

თვლა შვიდი-რვა — №1, 2, 3, 4 ვაჟი ცერებზე სვლით, სახით მაყურებლისკენ, მოძრაობს უკან.

ხელების მდგომარეობა — იგივე — თვლა ერთი-ოთხი.




ნახ. 24

1-16 თვლა

ვაჟები წინ — მაყურებლისკენ „ხლართულა ქდობჩაკვრით ცერებზე“ მოძრაობენ (ილ. 7).


ხელების მდგომარეობა — მარჯვენა ხელი ზეანუღლია (სახრე თავს ზემოთაა). ორივე ფეხზე დახტომისას, სახრის დაქნევა ზემოდან ქვემოთ. მარცხენა ხელი ქვედაშეებულია.



ნახ. 25

1-8 თვლა

თვლა ერთი-ორი — №1, 3 ვაჟი „ჭდობილი სვლით“ წრეზე მოძრაობს მარჯვნივ (ილ. №8). №2, 4 — იმავე სვლით მარცხნივ.



ნახ. 26


შენიშვნა: „ჭდობილ სვლას“ № 1, 3 ვაჟი იწყებს მარჯვენა ფეხით, №2, 4 ვაჟი — მარცხენათი.

ხელების მდგომარეობა:

თვლა ერთი — მარჯვენა ხელი (სახრით) ზეანეულია, მარცხენა გაშლილია განზე.

თვლა ორი — მოცეკვავენი დაიქნევენ მარჯვენა ხელს (თითქოს სახრე რამეს შემოჰკრეს).

თვლა სამი-ექვსი — მოცეკვავენი განაგრძობენ წრეზე სვლას „როთულა წინსვლით“ (ილ. №4).



ნახ. 27

ხელების მდგომარეობა — მარჯვენა ხელი (სახრით) ზეანეულია, მარცხენა — განზე გაშლილი.


თვლა შვიდი — ორ ჯგუფად გაყოფილი მოცეკვავენი ერთმანეთს შეხვდებიან და სცენის სიღრმეში ასრულებენ მარცხნივ ბრუნს.

თვლა რვა — შეჩერდებიან სხვადასხვა მდგომარეობაში:

№4 ვაჟი — დგება მარცხენა ფეხის მუხლზე. ერთდროულად მარჯვენა ხელი (სახრით) ისევ ზეანეულია, თითქოს სახრე უნდა შემოჰკრას თავის წინ მდგომ №3 ვაჟს. №3 ვაჟი — გახტება მარჯვნივ და ორივე ფეხით ჭდობცერი. მარჯვენა ხელი (სახრით) ზეანეულია, მარცხენა — განზე გაშლილი (№4 და №3 მოცეკვავის გათამაშება ცალად ცეკვის დაწყების ნიშანია).

№2 ვაჟი — IV პოზიცია, სახრე — წელზე შემოდეგული.

№1 ვაჟი — დგას მცირედ წინ გადახრილი (მარჯვენა ფეხი გადადგმულია წინ), სახრე — მხრებზეა გადაებული ან დაყრდნობილია.



ნახ. 28

შენიშვნა: №1, 2, 4 მოცეკვავის ყურადღება მიპყრობილია №3 ვაჟისაკენ.

თვლა ერთი-ოთხი — ყოვნა იმავე მდგომარეობაში (დოლის აკომპანემენტი).

მოცეკვავეთა შესაძლებლობის მიხედვით, ცალად ცეკვის ტექნოლოგიური მასალა შეიძლება მრავალფეროვანი იყოს — ცერილეთები, ბრუნვები, ხტომები, მუხლილეთები.

ერთი-რვა თვლა — №3 ვაჟი ფეხიფეხგადაჭდობილ (გადაჯვარედინებულ) ცერებზე მოძრაობს ცენტრისაკენ.

ცხრა-თექვსმეტი თვლა — ცენტრში ფეხიფეხგადაჭდობილ ცერებზე ბრუნი მარცხნივ.

ერთი-თექვსმეტი თვლა — №2 ვაჟის შეტყუპულ ცერებზე ხტომი: ორი ვაჟი მარჯვნიდან და მარ-

ცხნიდან სახრით უტევეს, თითქოს ისინი არიან მიზეზი №2 ვაჟის ცერებზე ხტომისა.

ერთი-თექვსმეტი ან **ერთი-ოცდათორმეტი** თვლა — №1 ვაჟი „მუხლდახვევითი ბრუნით“ უვლის წრეს.


ერთი-თექვსმეტი ან **ერთი-ოცდათორმეტი** თვლა — ბრუნვების ნაერთი: №4 ვაჟი ასრულებს ცალფეხზე ბრუნიდან ჯერ ჰაერში, შემდეგ ადგილზე მუხლებზე ბრუნს. ნაერთი შესრულდება ერთხელ — **ერთ-ოთხ** თვლაზე.

ფინალი

1-8 თვლა

თვლა **ერთი-ორი** — №1, 2, 3 ვაჟი ერთ რიგად ასრულებს „ჭრილ ჩაკვრას“ სახით მარჯვენა კულისისაკენ.


თვლა **სამი-ოთხი** — 1, 2, 3 ვაჟი ასრულებს იმავე ილეთს მარცხნივ (ნახევარი ბრუნი). №4 ვაჟი — მუხლზე დგას სახით №1, 2, 3 ვაჟისაკენ.



ნახ. 29

ხელების მდგომარეობა — იგივე — თვლა **ერთი-ორი**.


თვლა **ხუთი-ექვსი** — №1, 2, 3, 4 ვაჟი (№4 მხოლოდ ახლა უერთდება მათ) ასრულებს „სამდაკვრით ბრუნს“ მარცხნივ: შემდეგ ოთხივე სახით მაყურებლისაკენ დგას.



ნახ. 30

ხელების მდგომარეობა — ბრუნვის დაწყების წინ მარცხენა ხელი მოიხრება იდაყვის სახსარში და შემდეგ ისევ გაიმართება.

თვლა **შვიდი-რვა** — №1, 2, 3, 4 ვაჟი ასრულებს „ფეხჩაკვრით უკუსვლას“ (ილ. №10).



ნახ. 31

ხელების მდგომარეობა:

თვლა **შვიდი** — ოთხივე მოცეკვავე დაიქნევს მარჯვენა ხელს (სახრით), თითქოს სახრე დაჰკრესო.

თვლა **რვა** — მოცეკვავენი აწევენ მარჯვენა ხელს ზევით, მარცხენას სახრეს მეორე ბოლოში მოჰკიდებენ (ორივე ხელი ზეანუღია).

1-8 თვლა


თვლა **ერთი** — №1, 2, 3, 4 ვაჟის დახტომა ორივე ფეხზე.

ხელების მდგომარეობა — ზეანეული.
 თვლა **ორი** — ოთხივენი ხტებიან სახრეზე.
ხელების მდგომარეობა — ქვედაშვებული.



ნახ. 32


თვლა **სამი-ეკვსი** — №1, 2, 3, 4 ვაჟი ასრულებს „სამდაკვრით ბრუნს ფეხდაკვრით“ (ილ. №11).



ნახ. 33

ხელების მდგომარეობა — მარცხნივ ბრუნვისას, ზეანეული სახრიანი მარცხენა ხელის გაქნევა მარცხნივ, მარჯვენისა — მარჯვნივ. მარცხენა ხელის მკერდახურული მდგომარეობა, მარჯვენის უკან გატანა.

თვლა **შვიდი-რვა** — ვაჟები — №1, 2, 3, 4 — ასრულებენ ჯერ ბრუნს მარცხენა ფეხზე მარცხნივ, შემდეგ — ჰაერში და მარჯვენა მუხლზე ეშვებიან (თვლა **შვიდი-რვა** — თითოეულს მოუწევს ორმაგი ბრუნნი).



ნახ. 34

ხელების მდგომარეობა — ბრუნვის დროს მარჯვენა ხელი (სახრით) გატანილია წინ გულმკერდთან (სახრე მიმართულია ქვემოთ), მუხლზე დაშვებისას — სახრე მარჯვენა ხელშია და თავისუფალი ბოლო ეხება იატაკს. მარცხენა ხელით დოინჯი.

სამოსი

- ახალუხი ან ხალათი გვერდზე ჩაჭრილი საყელოთი
- შარვალი
- წულა-მესტი
- ნაბდის ქუდი

ზომიერად



თამარ დედფალ ცერულით

ფერხული **თამარ დედფალ** სვანურ ფერხულთა შორის გამორჩეულია თავისი რთული ტექნოლოგიით. ძირითადად ორნაწილიანია — თამარ დედფალ **რავექნსია** და თამარ დედფალ **საიერიშო**.

„თამარ დედფალ ცერულით“ ჩვენ მიერ ხალხური ფერხულის საფუძველზე შექმნილი საკუთარი სამნაწილიანი (თამარ დედფალ რავექნსია, თამარ დედფალ საიერიშო და ცერული) კომპოზიციაა, რომელიც საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში დაიდგა 1968 წელს. აღდგენილია 1978 წელს. ამ ფერხულით შევეცადეთ, აგვემოძრავებინა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მომღერალთა გუნდი, უფრო სწორად, აღგვედგინა ფერხულთა საფუძველი — ერთდროულად სიმღერა-ცეკვის მივიწყებული უძველესი ტრადიცია. ამიტომ ფერხულს იწყებს მომღერალთა გუნდი და ასრულებს პირველ ნაწილს — რავექნსიას. მეორესა და მესამეში მხოლოდ მოცეკვავენი მონაწილეობენ.

პირველი ნაწილი — რავექნსია

ხელიხელჩაკიდებული მომღერლები (გუნდი) ეწყობიან წრიულად.

საწყისი მდგომარეობა — ფეხის IV პოზიცია.


მუსიკალური ზომა — 6/8.

სიმღერას იწყებს სოლისტი.

პირველი ტაქტი (თა-მა-რუ-ღვი-ო) — ყოვნა.

მეორე ტაქტი — სიმღერაში ერთვება გუნდი და იწყება საფერხულო სვლა.

მეორე ტაქტის პირველი ნახევრის სამი მერვედი (დედ-ფა) — მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ — ფერხულის ცენტრისკენ. ერთდროულად გამართული მარჯვენა ფეხი გადის წინ — ჰაერში. ხელიხელჩაკიდებული ხელებიც წინ მოძრაობს.



ნახ.1

მეორე ტაქტის მეორე ნახევრის სამი მერვედი (ლა) — მარჯვენა ფეხის მარცხენის უკან დადგმა. ერთდროულად გამართული მარცხენა აინევა ზემოთ. ხელჩაკიდებული ხელები მოძრაობს ჰაერში.

მესამე ტაქტის პირველი ნახევარი (ვო-ია) — მარცხენა ფეხის დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენაზე. უკან დარჩენილი გამართული მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს. ხელჩაკიდებული ხელები აინევა ზემოთ (ზემკლავი).

მესამე ტაქტის მეორე ნახევარი (ნი-ვო) — ყოვნა.

მეოთხე ტაქტის პირველი ნახევარი (სგვე-ჯი) — გამართული მარჯვენა ფეხი ჩაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ (ჭდობა).

მეოთხე ტაქტის მეორე ნახევარი (და-ი) — ყოვნა.

მეხუთე ტაქტის პირველი ნახევარი (ნი-ვო) — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ხელჩაკიდებული ხელები დაშვებულია.

მეხუთე ტაქტის მეორე ნახევარი (ნი-ვო) — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვენის წინ და მარჯვნივ.

მეექვსე ტაქტის პირველი ნახევარი (სგვეჯი) — მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი წვერით

დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ.

მეექვსე ტაქტის **მეორე ნახევარი (და-ი)** — ყოვნა.

მეშვიდე ტაქტის **პირველი ნახევარი (ვო-ია)** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ.

მეშვიდე ტაქტის **მეორე ნახევარი (ნი-ვო)** — მარცხენა ფეხი ჩაიდგმება მარჯვენის უკან (მარჯვენა ფეხზე ოდნავი ერგბუქნი), მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.

მერვე ტაქტი (**სგვეჯი**) — მარჯვენა ფეხი ტერფის დაკვრით დაიდგმება მარცხენის გვერდით. შემდეგ სიმღერა იწყება თავიდან და ფეხების მოძრაობაც ზუსტად მეორდება. ოდნავ განსხვავებულია ხელების მოძრაობა: **მესამე** ტაქტზე ზემკლავის ნაცვლად, მეორე ვარიანტში შემსრულებელს ხელები ხანჯალზე უკიდია.


„თამარ დედფალ რაქენსიას“ გუნდი ასრულებს ორჯერ. შემდეგ მღერის „თამარ დედფალ საიერიშოს.“

მეორე ნაწილი — საიერიშო

მუსიკალური ზომა — 4/4

პირველი ტაქტი — ყოვნა.


მეორე-მეექვსე ტაქტი — მომღერალთა წრე „უკუფეხჩადგმითი სვლით“ მოძრაობს მარცხნივ (ნახ.2).



ნახ. 2.

1-12 ტაქტი


პირველი-ექვსი ტაქტი — მომღერალთა წრე „უკუფეხჩადგმითი სვლით“ იხსნება ნახევარკალად და ჩერდება. ერთდროულად „სადა მუხლურა წინსვლით“ ორივე მხრიდან შემოდის მოცეკვავეთა ორი ჯგუფი და საერთო წრეზე ხვდება **მეთორმეტე** ტაქტის ბოლოს (ნახ.3). მოცეკვავეებსა და მომღერლებს ხელები ხანჯალზე უკიდიათ.



ნახ. 3.


1-6 ტაქტი

პირველი-ხუთი ტაქტი — მოცეკვავეთა ჯგუფის მარცხენა ნახევარი შებრუნდება ზურგისაკენ და ყველა ერთად „სადა მუხლურა სვლით“ მოძრაობს წრეზე. მოცეკვავეებს მარცხენა ხელი ხანჯალზე უკიდიათ, მარჯვენა თავისუფლად მოძრაობს.



ნახ. 4

მეექვსე ტაქტი — მოცეკვავე ვაჟები „სადა მუხლურა სვლით“ მოძრაობენ ცენტრისკენ.




ნახ. 5

1-3 ტაქტი

პირველი ტაქტი — (ო-რიო-დე-ლა) ვაჟები გადადგამენ უკან სამ ნაბიჯს (მარჯვენა, მარცხენა, მარჯვენა) და მარცხენა ფეხით ასრულებენ „საფერხულო ჩაკვრას“ (ნახ. 6).

უკუსვლის დროს ვაჟები ხელებს თანდათანობით მხრებზე გადააწყობენ ერთმანეთს.



ნახ. 6

მეორე ტაქტის პირველი მეოთხედი (თა) — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ.

მეორე მეოთხედი (მარ) — მარჯვენა ფეხი მიედგმება მარცხენას.


მესამე მეოთხედი (დედ) — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ.

მეოთხე მეოთხედი (ფალ) — მარჯვენა ფეხით „საფერხულო ჩაკრული.“

მესამე ტაქტის პირველი მეოთხედი (თა) — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ.

მეორე მეოთხედი (მა) — მარცხენა ფეხი მიედგმება მარჯვენას.

მესამე ტაქტის მეორე ნახევარი (რე) — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ — სვლის მიმართულებით, მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ფეხების მოძრაობის კომპლექსის შესრულებისას მოცეკვავეები თანდათანობით გადაინაცვლებენ მარცხნიდან მარჯვნივ (ნახ. 7).



ნახ. 7

1-3 ტაქტი

საიერიშოს მუსიკალური ფრაზის მეორედ შესრულებისას:

პირველი ტაქტის პირველი მეოთხედი (ო) — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვენის წინ და მარჯვნივ.

მეორე მეოთხედი (რიო) — მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული.

მესამე მეოთხედი (დე) — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ.


მეოთხე მეოთხედი (ლა) — მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული.

მომდევნო მეორე და მესამე ტაქტი — საიერიშოს პირველი ფრაზის მოძრაობები.

მესამე ნაწილი — ცერული

1-8 ტაქტი

„საიერიშოს“ დასრულების შემდეგ ვაჟთა მოცეკვავე წრე იხსნება „ცერდაკვრით უკუსვლით.“ ერთდროულად სოლისტი „ცერდაქნევჩაკვრით“ მოძრაობს წინ — ცენტრისკენ. ცერულის დაწყებისთანავე გუნდი უკრავს ტაშს (ნახ. 8).




ნახ. 8

1-24 ტაქტი

პირველი-რვა ტაქტი — პირველი სოლისტი ასრულებს „ტყუპცერდაქნევით ჩაკვრისა“ და „უკუჭდობცერდაკვრით ჩაკვრის“ ნაერთს.

ცხრა-თექვსმეტი ტაქტი — ასრულებს „ცერდაქნევჩაკვრას“ მარცხნივ და მარჯვნივ შებრუნებით.

ჩვიდმეტი-ოცდაოთხი ტაქტი — სოლისტი მოძრაობს უკან „ცერდაკვრით უკუსვლით.“ ნახევარწრედ განლაგებული ვაჟები ჩვეულებრივი ნაბიჯით ერთ მწკრივად ეწყობიან და შემოდის მეორე სოლისტი (ნახ. 9).




ნახ. 9

1-24 ტაქტი

მეორე სოლისტი მოძრაობს წინ „ფეხშლითა და განზიჯით ჩაკვრით.“ ერთ მწკრივად განლაგებული ვაჟები ცალ მუხლზე დგანან და ტაშს უკრავენ.

1-24 ტაქტი


საცეკვაო მოედანზე შემოდის **მესამე** სოლო (დუეტი) და მოძრაობს წრეზე „ცალცერდაკვრით.“ ვაჟები წამოდგებიან და ისე უკრავენ ტაშს (ნახ. 10).



ნახ. 10

1-16 ტაქტი


მეოთხე სოლო — მოცეკვავე „ცერებზე სირბილით“ შემოწერს წრეს. დანარჩენები ტაშს უკრავენ (ნახ. 11).



ნახ. 11

1-16 ტაქტი

მეხუთე სოლისტი „ცერებზე სირბილს“ ასრულებს ცენტრში. დანარჩენები ტაშს უკრავენ (ნახ. 12).




ნახ. 12

დასკვნითი ნაწილი

1-8 ტაქტი


მოცეკვავე წყვილის ყოველი №2 ვაჟი ხანჯალზე ხელებდანყობილი, „ცალცერზე რბენით,“ მოძრაობს წინ, №1 — ადგილზე დგანან და ტაშს უკრავენ (ნახ. 13).



ნახ. 13

1-8 ტაქტი


№1 ვაჟები ცალცერზე რბენით. მოძრაობენ წინ, №2 ვაჟები, ხანჯლებზე ხელებდანყობილი, „ცერდაკვრითი უკუსვლით“ მოძრაობენ უკან (ნახ. 14).



ნახ. 14

1-8 ტაქტი


დანყობილებული ვაჟები, ხანჯლებზე ხელებდანყობილი, ასრულებენ მხარდამხარ შემოვლას — „ცერდაქნევიჩაკვრას ორი ნაბიჯის დამატებით“ (ნახ. 15).



ნახ. 15

1-8 ტაქტი

ხელიხელჩაკიდებული ვაჟები ასრულებენ „განბიჯით ჩაკვრას“ (ნახ. 16).



ნახ. 16

1-16 ტაქტი


პირველი-თოთხმეტი ტაქტი — ვაჟები ადგილზე ასრულებენ „ცერდაქნევეჩაკვრას ორი ნაბიჯის დამატებით.“

მეხუთე-მერვე ტაქტი — „ცერდაქნევეჩაკვრა.“

მეცხრე-მეთოთხმეტე ტაქტი — ისევ „ცერდაქნევეჩაკვრა ორი ნაბიჯის დამატებით“ მარცხნივ და მარჯვნივ შებრუნებით.

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე ტაქტი — ყველა ერთად ასრულებს ბრუნს მარჯვნივ (ნახ. 17). ბრუნვისას მოცეკვავეები მარჯვენა ხელით იხდიან ქუდს და **მეთექვსმეტე** ტაქტის შემდეგ შეძახილზე — **ჰე** — მარჯვენა ხელს ასწევენ ზევით.

სიმღერის დამთავრებისთანავე მომღერლებიც წვევენ ზევით მარჯვენა ხელს.



ნახ. 17

ილეთთა აღწერა

1. უკუფხეჩაღგმით სვლა

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარჯვენა ფეხზე დგომი, მარცხენა ოდნავ მოხრილია მუხლის სახსარში (ფეხების ასეთი მდგომარეობა მარჯვნივ მოძრაობისთვისაა განკუთვნილი. მარცხნივ მოძრაობისას მოიხრება მარჯვენა ფეხი).

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მუხლის სახსარში გამართული მარცხენა ფეხის ერგცერით მარჯვენის უკან და მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად გამართული მარჯვენის წინ და მარჯვნივ გატანა.

თვლა **ორი** — გამართული მარჯვენა ფეხის ერგცერით მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და გადაიტანება მარჯვნივ — დაუახლოვდება მარჯვენას.

თვლა **სამი-ოთხი** — იგივე.

ილეთის შესრულებისას ხელები ხელიხელგაყრილია (ხელკავი).

2. სადა მუსლურა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და მუხლით ისე გაიტანება წინ, რომ მარცხენის ტერფი მოხვდეს მარჯვენის მუხლთან. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ნახტომი და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

მომღევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — მკერდდახურული მდგომარეობა.

3. ცერდაკვრით უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია. დაბალი ერგცერი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი, ქუსლის დაკვრითა და მთელ ტერფზე სრიალით, ოდნავ გადაინაცვლებს უკან. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ცერის დაკვრით გადაინაცვლებს მცირედ წინ.

თვლა **ორი** — ილეთი სრულდება პირიქით: ქუსლის დაკვრით მარცხენა ფეხი ოდნავ გადაინაცვლებს უკან, მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და ცერის დაკვრით გადაინაცვლებს მცირედ წინ. ამ ილეთით მოცეკვავენი თანდათანობით გადაინაცვლებენ უკან.

ხელები — ხანჯალზე.

არსებობს „ცერდაკვრითი უკუსვლის“ განსხვავებული ვარიანტიც: ცერის დაკვრისას ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მუხლები — შეერთებული, ცერზე შემდგარი ფეხის ქუსლი შებრუნებულია გარეთ.

4. ცერდაქნევით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომი, მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში და გატანილია უკან, ერგცერი — გაჭიმული.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი წვივის დაქნევით მოძრაობს წინ, გაუსწორდება მარცხენა ფეხს და ორივე ფეხზე „ტყუპცერშედგომი.“

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ცერიდან მთელ ტერფზე დახტომა, მარჯვენა ისევ მოიხრება მუხლის სახსარში და გადაინაცვლებს უკან (თვლა **ორი** — ფეხები დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას) და ა.შ.

არსებობს „ცერდაქნევით ჩაკვრის“ მეორე ვარიანტიც: ცერებზე შედგომისას ტერფები შეუერთებელია, დაშორებულია დაახლოებით მხრების სიგანეზე და ქუსლები შებრუნებულია გარეთ. შეიძლება მარჯვენა ფეხი ოდნავ წინ უსწრებდეს მარცხენას.

5. ცერდაქნევით ჭლოზჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომი, მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში და გატანილია უკან, ერგცერი — გაჭიმული.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — წვივის დაქნევით მარჯვენა ფეხის მარცხენა ფეხის უკან და მარცხნივ გატანა. ერთდროულად შედგომა ორივე ფეხის ცერზე (ფეხები გამართულია მუხლის სახსარში და გადაჭლობილია მარცხენა ფეხით წინ).

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ცერიდან მთელ ტერფზე დახტომა, მარჯვენის მუხლის სახსარში მოხრა და უკან გატანა, როგორც საწყისი მდგომარეობისას და ა.შ.

6. ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — IV პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მცირე ზეხტომ-დახტომთან ერთად მარჯვენა ფეხი გადაინაცვლებს მარჯვნივ და წინ, მარცხენა — მარჯვნივ და უკან. ამ დროს ფეხები მთელი ტერფით ეხება იატაკს. ტერფები შებრუნებულია ფეხის წვერებით გარეთ, ორივე ფეხი ნახევრადაა მოხრილი მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — მცირე ზეხტომი, ორივე ფეხის მხრების სიგანეზე გატანა და ცერებზე შედგომა, ქუსლები შებრუნდება გარეთ, სახსარში ნახევრადმოხრილი მუხლები შეერთდება.

თვლა **სამი** — ცერებიდან მარცხენა ფეხის ტერფზე დახტომა. ერთდროულად მარჯვენა მოშორდება იატაკს და გაიტანება ჰაერში — წინ და მარჯვნივ.

თვლა **ოთხი** — მარჯვენა ფეხის დადგმა. მარცხენის ჰაერში ირიბად — წინ და მარცხნივ გატანა.

მომღევნო ტაქტიდან ილეთი იწყება ისევ „ფეხშლილი ჩაკვრით.“

7. ცალცერზე რბენი

სანყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომა. მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში — წვივი გატანილია უკან.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და ცერით ერთი ნაბიჯით წინ დადგმა. ერთდროულად მარცხენის მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ტერფით ერთი ნაბიჯით წინ დადგმა. ერთდროულად მუხლის სახსარში მარჯვენა ფეხის მოხრა (სანყისი მდგომარეობა) და ა.შ.

ილეთი სრულდება რბენით.

8. ცერებზე რბენი

სანყისი მდგომარეობა — დგომა გამართულ მარცხენა ფეხზე, მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში და წვივი გატანილია უკან.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ცერით დაიდგმება წინ ნახევარი ნაბიჯით. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ცერით დაიდგმება წინ ნახევარი ნაბიჯით. ერთდროულად მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ა.შ.

ილეთი სრულდება რბენით.

9. განბიჯით ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — გამართული მარცხენა ფეხის ქუსლით მარჯვენის წვერთან დადგმა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ქუსლი ზეაინევა, შებრუნდება მარცხნივ და მუხლში მოხრილი ცერით დაიდგმება მარჯვენის წვერთან (ქუსლით ეხება იატაკს). ერთდროულად მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა. ერთდროულად მარცხენა გაიმართება მუხლის სახსარში და გაიტანება წინ — ჰაერში.

მომღევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

მიპატიჟება


გთავაზობთ ჩვენ მიერ დადგმულ ცეკვა მიპატიჟებას ორი წყვილის შესრულებით (1978 წელი).

ცეკვის აღწერა

1—32 ტაქტი

საცეკვაო მოედნის მარჯვენა მხრიდან გამოდის ორი ვაჟი, „მიდგმითი სვლით“ (შემონერს წრეს და გაემართება მარცხენა მხარეს მდგომი ქალებისაკენ (ილეთი 1. ნახ. 1).

ხელების მდგომარეობა — ორივე ხელი დაშვებულია სხეულის გასწვრივ.



ნახ. 1

1—16 ტაქტი

ქალები ადგილზე დგანან.


ვაჟები მოძრაობენ უკან „ცერებზე უკუსვლით.“

ყოველ ოთხ თვლაზე ოდნავ შებრუნდებიან ხან მარცხნივ, ხან — მარჯვნივ (უკუსვლას წნული გავლის მსგავსად ასრულებენ. ნახ. 2).

ხელების მდგომარეობა:

პირველი ორი თვლა — მარჯვენა ხელი დაშვებულია სხეულის გასწვრივ, ოდნავ მოხრილი მარცხენა გატანილია წინ.

მეორე ოთხი თვლა — ხელები შეიცვლის მდგომარეობას და ა.შ.



ნახ. 2

1-16 ტაქტი

ქალები ისევ ადგილზე დგანან.

პირველი-თორმეტი ტაქტი — ვაჟები ასრულებენ „მისაპატიჟებელს“ (ილ. 2): ჯერ მარჯვნივ შებრუნდებიან, შემდეგ — მარცხნივ და ისევ — მარჯვნივ („მისაპატიჟებელს“ ოთხი ტაქტი სჭირდება, ამიტომ თორმეტ ტაქტში შესრულდება სამჯერ).

მეცამეტე ტაქტი — ვაჟები მარჯვენა ფეხით გადადგამენ ნაბიჯს მარჯვნივ.

მეთოთხმეტე ტაქტი — მარცხენა ფეხს მიადგამენ მარჯვენასთან.

მეთხუთმეტე ტაქტი — ქალების გამოსაპატიჟებლად თავს დახრიან.

მეთექვსმეტე ტაქტი — დახრილი თავის აწევა (ნახ. 3).

ხელების მდგომარეობა:


პირველ-ორ ტაქტზე იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი გაიტანება წინ, **მესამე-მეთოთხეზე** — მარჯვენა.

ოთხმეტე-თექვსმეტი ტაქტი — ორივე ხელი დაშვებულია სხეულის გასწვრივ.



ნახ. 3

ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს წრეზე.
ხელები — დაშვებული (ნახ. 4).



ნახ. 4


1—8 ტაქტი

პირველი-ოთხი ტაქტი — №2 ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს საცეკვაო მოედნის ცენტრისაკენ.


№1 ქალ-ვაჟი ადგილზე ასრულებს „მიდგმით სვლას.“

ხუთი-რვა ტაქტი — პირიქით: წინ — ცენტრისაკენ „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს №1 ქალ-ვაჟი. ადგილზე „მიდგმით სვლას“ ასრულებს №2 ქალ-ვაჟი (ნახ. 5 ა,ბ).

ხელები — დაშვებული.



ნახ. 5 ა.




ნახ. 5 ბ.

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი გადის ერთმანეთში (ნახ. 6)

ხელები — დაშვებული.




ნახ. 6

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ გაუვლის გვერდით ერთმანეთს (ნახ. 7).

ხელები — დაშვებული.




ნახ. 7

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს წრეზე (ნახ. 8).

ხელები — დაშვებული.



ნახ. 8

1—16 ტაქტი

ქალ-ვაჟი ასრულებს მისაპატიჟებელს (ნახ. 9) — ოთხჯერ მარჯვნივ და მარცხნივ.

ხელების მდგომარეობა — (იხ. ნახ. 3).




ნახ. 9

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს წინ ერთმანეთის შესახვედრად (ნახ. 10).

ხელები — დაშვებული.




ნახ. 10

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ მოძრაობს საკუთარ წრეზე (ნახ. 11).

ხელები — დაშვებული.




ნახ. 11

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი მოძრაობს უკან. ქალები „ორდაკვრითი უკუსვლით,“ ვაჟები — „ცერებზე უკუსვლით“ და ყოველ ორ ტაქტზე ერთდროულად შებრუნდებიან ხან მარცხნივ, ხან — მარჯვნივ (ნახ. 12).

ხელების მდგომარეობა — ყოველ ორ ტაქტზე ხან მარცხენა ხელს გაიტანენ წინ, ხან — მარჯვენას.




ნახ. 12

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი მოძრაობს წინ „მიდგმითი სვლით“ (ნახ. 13).

ხელები — დაშვებული.




ნახ. 13

1—8 ტაქტი

ქალები „მიდგმითი სვლით“ მოძრაობენ წინ — წრეზე.

ვაჟები ადგილზე ასრულებენ „მისაპატიჟებელს“ ქალების მიმართულებით (ნახ. 14).

ხელები — დაშვებული.




ნახ. 14

1—8 ტაქტი

ქალები „მიდგმითი სვლით“ მოძრაობენ დიაგონალზე.

ვაჟები იმავე სვლით მიჰყვებიან უკან და მარცხნივ (ნახ. 15).

ხელები — დაშვებული.




ნახ. 15

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ შემოწნერს წრეს (ნახ. 16).

ხელები — დაშვებული.




ნახ. 16

1—8 ტაქტი

ქალები მეორე მხრიდან აგრძელებენ „მიდგმითი სვლით“ წრეზე შემოვლას.

ვაჟები ადგილზე ასრულებენ „მისაპატიჟებელს“ — მეორე ტაქტის ბოლოს შეასრულებენ ნახევარ ბრუნს და გააგრძელებენ ილეთს (ნახ. 17).

ხელები — დაშვებული.




ნახ. 17

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი ასრულებს „მისაპატიჟებელს“ მარჯვნივ და მარცხნივ შებრუნებით (ნახ. 18).

ხელები — დაშვებული.




ნახ. 18

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი „მიდგმითი სვლით“ შორდება ერთმანეთს და დგება ერთმანეთის პირისპირ (ნახ. 19).

ხელები — დაშვებული.



ნახ. 19

მეორე ნაწილი — ზილბა


1—32 ტაქტი

ქალ-ვაჟი მოძრაობს წრეზე „ნიადადი სვლით“ (ილ. 3. ნახ. 20).

ხელების მდგომარეობა:

ქალები — მარჯვენა ხელით წინმკლავი, მარცხენა გატანილია განზე.

ვაჟები — III პოზიცია (მარჯვენა ხელი ზეანუღია, მარცხენა გატანილია განზე).




ნახ. 20

1—8 ტაქტი

№1 ქალ-ვაჟი „ნიადადი სვლით“ მოძრაობს დიაგონალზე და ცვლის ადგილებს. **№2** ქალ-ვაჟი პირველ-მეოთხე ტაქტზე თანდათანობით შებრუნდება ადგილზე მარჯვნივ, **მეხუთეზე** — მარცხნივ (ნახ. 21).

ხელები — დაშვებული და ოდნავ უკან გატანილი.




ნახ. 21

1—8 ტაქტი

№2 ქალ-ვაჟი „ნიადადი სვლით“ მოძრაობს დიაგონალზე, ადგილზე ბრუნავს **№1** ქალ-ვაჟი (ნახ. 22).

ხელები — დაშვებული და ოდნავ უკან გატანილი.



ნახ. 22

1—8 ტაქტი

ქალ-ვაჟი „ნიადადი სვლით“ ეწყობა სწორ ხაზზე სახით მაყურებლისაკენ (ნახ. 23).

ხელების მდგომარეობა:

ქალის — მარჯვენა ხელი გატანილია წინ, მარცხენა — განზე.

ვაჟის — მარჯვენა ხელი ზეანეულია, მარცხენა — გატანილია განზე.



ნახ. 23

1—8 ტაქტი

პირველი-ექვსი ტაქტი — ქალ-ვაჟი „ნიადადი სვლით“ მოძრაობს წინ მაყურებლისაკენ.

მეშვიდე ტაქტი — მარჯვენა ფეხს გადადგამენ მარჯვნივ.

მერვე ტაქტი — მარცხენა ფეხს მიადგამენ მარჯვენასთან და დახრიან თავს (ნახ. 24).

ხელების მდგომარეობა:


პირველი-ექვსი ტაქტი — ქალის მარცხენა ხელი გატანილია წინ, მარჯვენა — განზე.

ვაჟის — მარცხენა ხელი ზეანეული, მარჯვენა — განზე გატანილი.

მეშვიდე-მერვე ტაქტი:

ხელები — დაშვებული.

შენიშვნა: პირველი-ექვსი ტაქტზე სასურველია, ვაჟებმა „ნიადადი“ შეასრულონ ცერებზე.



ნახ. 24

ილეთთა აღწერა

მიღგმით სვლა

საწყისი მდგომარეობა — I პოზიცია, ერგცერები.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ნახევარი ნაბიჯი ერგცერზე.

თვლა **და** — მარცხენა ფეხით წინ ნახევარი ნაბიჯი ერგცერზე.

თვლა **ორი** — სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენა ფეხის ერგცერზე. ერთდროულად მარჯვენა ერგცერზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

თვლა **და** — მარცხენა ფეხით წინ ნახევარი ნაბიჯი ერგცერით და ა.შ.

მისაპატიჟებელი

სანყისი მდგომარეობა — I პოზიცია ერგცერებზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ერგცერზე დაყრდნობით წინ ნახევარი ნაბიჯი.

თვლა **და** — მარცხენა ფეხის ერგცერით ნახევარი ნაბიჯი წინ.

თვლა **ორი** — სხეულის სიმძიმე გადადის მარცხენა ფეხის ერგცერზე. ერთდროულად მარჯვენა ერგცერზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

თვლა **და** — მარცხენა ფეხის ერგცერით ნახევარი ნაბიჯი უკან.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერით ნახევარი ნაბიჯი უკან.

თვლა **და** — მარცხენა ფეხის ერგცერით ნახევარი ნაბიჯი უკან.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის მარცხენის მარცხნივ გადანაცვლება და ერგცერით დადგმა (ჭდობა).

თვლა **და** — ყოვნა და ა.შ.

ნიაპალი წინსვლა

სანყისი მდგომარეობა — I პოზიცია, ერგცერები.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერით დაკვრა.

თვლა **და** — ყოვნა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერით დადგმა წინ ნახევარი ნაბიჯით.

თვლა **და** — სხეულის სიმძიმის გადატანა მარცხენა ფეხის ერგცერზე და ერგცერებზე სრიალითვე მარჯვენის მარცხენასთან მიდგმა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

მიპატიჟება

Andantino

The first system of musical notation for 'მიპატიჟება' is written in 2/4 time. It consists of two staves: a treble clef staff and a bass clef staff. The treble staff begins with a treble clef, a key signature of one flat (B-flat), and a common time signature (C). The music starts with a double bar line and a repeat sign. The first measure contains a quarter note G4, a quarter note A4, and a quarter note B4. The second measure contains a quarter note C5, a quarter note B4, and a quarter note A4. The third measure contains a quarter note G4, a quarter note F4, and a quarter note E4. The fourth measure contains a quarter note D4, a quarter note C4, and a quarter note B3. The fifth measure contains a quarter note A3, a quarter note G3, and a quarter note F3. The sixth measure contains a quarter note E3, a quarter note D3, and a quarter note C3. The seventh measure contains a quarter note B2, a quarter note A2, and a quarter note G2. The eighth measure contains a quarter note F2, a quarter note E2, and a quarter note D2. The bass staff begins with a bass clef and a key signature of one flat. It contains a series of chords: G2-A2-B2, C3-D3-E3, F3-G3-A3, B3-C4-D4, E4-F4-G4, A4-B4-C5, D5-E5-F5, G5-A5-B5. The system ends with a double bar line and a repeat sign.

The second system of musical notation for 'მიპატიჟება' continues from the first system. It consists of two staves: a treble clef staff and a bass clef staff. The treble staff begins with a treble clef, a key signature of one flat, and a common time signature. The music starts with a double bar line and a repeat sign. The first measure contains a quarter note G4, a quarter note A4, and a quarter note B4. The second measure contains a quarter note C5, a quarter note B4, and a quarter note A4. The third measure contains a quarter note G4, a quarter note F4, and a quarter note E4. The fourth measure contains a quarter note D4, a quarter note C4, and a quarter note B3. The fifth measure contains a quarter note A3, a quarter note G3, and a quarter note F3. The sixth measure contains a quarter note E3, a quarter note D3, and a quarter note C3. The seventh measure contains a quarter note B2, a quarter note A2, and a quarter note G2. The eighth measure contains a quarter note F2, a quarter note E2, and a quarter note D2. The bass staff begins with a bass clef and a key signature of one flat. It contains a series of chords: G2-A2-B2, C3-D3-E3, F3-G3-A3, B3-C4-D4, E4-F4-G4, A4-B4-C5, D5-E5-F5, G5-A5-B5. The system ends with a double bar line and a repeat sign.

ნაბდურა

დავით ჯავრიშვილმა მთიულური ცეკვების საფუძველზე დადგა ცეკვა „ნაბდურა.“

მწყემსები მთიდან ბარში (სოფელში) ბრუნდებიან. შემოალამდებათ და ღამის გასათევად დაბანაკდებიან, ცეცხლს დაანთებენ, ნაბდებს მოიხდიან, შუაზე ნახევრად მოკეცილს დააყენებენ და ნახევარწრედ ცეცხლის გარშემო, ნაბდების წინ, ჩამოსხდებიან. შუაში მჯდომი მწყემსი სალამურზე უკრავს, დანარჩენები — მღერიან. შემდეგ მწყემსები, მესალამურის გარდა, ერთი ხელის გაკვრით ნაბდებს გადააქცევენ, ზედ წამოწვებიან და ღილინში ჩაეძინებათ. თანდათან უფრო ჩამობნელდება. მოედანზე შემოდის თეთრებით მოსილი ქალი — ფერია — და ცეცხლის გარშემო ცეკვავს (სიზმარი).

თენდება. ისმის ჩიტების ჭიკჭიკი. მწყემსები იღვიძებენ. ქალი სიზმარით ქრება. მწყემსები წამოდგებიან, მოიხსამენ ნაბდებს, შემოუვლიან წრეს და ერთრიგად გადიან მარჯვენა პირველ კულისში. ბოლო მოცეკვავე ვაჟის სცენის დატოვებამდე. იმავე მხრიდან (მესამე კულისიდან) მაყურებლისაკენ ზურგშექცევით, „ფეხმიდგმითი ერგბუქნით,“ შემოდის თავში მდგომი ვაჟი და მას ასეთივე სვლით მოჰყვებიან დანარჩენები. ვაჟები იდაყვებით ისე მჭიდროდ დგანან ერთმანეთთან, რომ ნაბდებით ქმნიან ერთ მთლიან კედელს. კედლის უკან მოძრაობს ერთრიგად განლაგებული, ოდნავ ჩამჯდარი, წელში მოხრილი ქალთა ჯგუფი, რომელსაც მაყურებელი ვერ ხედავს. ვაჟთა მწკრივის (კედლის) სცენაზე მთლიანად გამოსვლისას, თვლაზე ერთი მარცხენა ხელით გადაშლიან ნაბდის მარცხენა კალთას და ერთდროულად შებრუნდებიან მარცხნისაკენ. წელში გამართული ქალები მოულოდნელად ვაჟებს შორის გამოდიან და მთლიანი მწკრივი მოძრაობს წინ — მაყურებლისაკენ.

ინყება ქალ-ვაჟთა საერთო ცეკვა. შემდეგ ვაჟები ნახევარწრეზე განლაგდებიან, ნაბდებს მოიხდიან, დააფენენ, ჩაიმუხლებენ და ქალებს სთხოვენ, ნაბდებზე იცეკვონ. ქალები ნაბდებზე შედგებიან, შეასრულებენ რამდენიმე ჩაკვრას და, ბრუნის შემდეგ, ნაბდებზე სხდებიან.

ინყება ვაჟთა ლხინი: ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებიან — ცეკვავენ ცალ-ცალკე და წყვილად. ბოლოს ქალები წამოდგებიან, ვაჟები აიღებენ ნაბდებს, მხრებზე მოიხსამენ და წრემოვლით დიაგონალზე მოეწობიან. ისევ მოიხსნიან ნაბდებს, დააფენენ და იქვე ჩაიმუხლებენ. ამ დროს მარჯვენა მხარეს წრეში მოცეკვავე ქალები გახსნიან წრეს და ნაბდებზე გავლით ერთ რიგად გადიან სცენიდან. ვაჟები უბიდან იღებენ ყვავილებს და ფეხქვეშ უფენენ ქალებს.

ასე გააცილებენ ვაჟები ქალებს უკან — სოფლისაკენ. შემდეგ წამოდგებიან, ნაბდებს მოიხსამენ და „მუხლურა სვლით“ იმავე მიმართულებით ტოვებენ მოედანს, საიდანაც შემოვიდნენ ცეკვის დასაწყისში.


დამდგმელმა ქორეოგრაფმა ცეკვაში გადმოსცა მწყემსური ცხოვრების ორი სურათი: მთიდან ბარში დაბრუნება და უკან გამგზავრება, ქალების მიერ მათი გაცილება და გამოსათხოვარი ლხინი.

შინაპორგილ

სვანური ცეკვებიდან საქართველოში მეტად გავრცელებულია სატრფიალო-სალხინო ხასიათის სვანური მასობრივი ცეკვა **შინაპორგილ**. 1950 წელს ეს ცეკვა დადგა ჯანო ბაგრატიონმა და ჩანერ-ილია ჩვენ მიერ. გთავაზობთ ჯანო ბაგრატიონისეულ დადგმას.

შინაპორგილი სამნაწილიანია.

პირველი ნაწილი: სხვადასხვა მხრიდან ქალთა და ვაჟთა ჯგუფი გამოდის (სასურველია, თითოეულ ჯგუფში იყოს არანაკლებ ექვსი მოცეკვავე. ჩვენს შემთხვევაში ქალ-ვაჟთა ათი წყვილია). მარჯვენა მხრიდან, სახით მაყურებლისკენ, გამოდის მხრებზე ხელებგადახვეული ვაჟთა მწკრივი (წინ მოუძღვის მწკრივში სიმალლით ბოლოში მდგომი ვაჟი). ამავენიერად მარცხნიდან გამოდის ქალები. მარჯვენა მწკრივი მოძრაობს მარჯვნივ.



მარჯვენა მხარე

მარცხენა მხარე


მარჯვნივ სვლა იწყება მარცხენა ფეხის უკან და ოდნავ მარჯვნივ ჩადგმით და შემდეგ მარჯვენის იმავე მიმართულებით (მარჯვნივ) გადადგმით:

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხი უკან და მარჯვნივ ჩაიდგმება თვლა **ერთის პირველ მარცვალზე** — **ერ**; მარჯვენა ფეხი გვერდზე (მარჯვნივ) გადაიდგმება თვლა **ერთის მეორე მარცვალზე** — **თი**. ასევე ყოველ თვლაზე (**ო-რი, სა-მი, ოთ-ხი** და სხვა) ორივე ფეხით სრულდება გვერდითი მოძრაობა.

მარცხნივ სვლა იწყება მარჯვენა ფეხის ოდნავ უკან და მარცხნივ ჩადგმით და მარცხენა ფეხის იმავე მიმართულებით (მარცხნივ) გადადგმით — როგორც მარჯვნივ სვლის დროს.




მარცხნივ სვლა




მარჯვნივ სვლა


ამგვარი სვლით თითოეული მწკრივი მოძრაობს წრეზე (ყოველი შეხვედრისას ქალთა მწკრივი გაივლის ვაჟთა მწკრივის წინ).




ორივე მწკრივი, ერთხელ წრეზე შემოვლით, ქმნის ნახევარ წრეს და მოექცევა სახით მაყურებლისაკენ (წინ ქალთა და უკან ვაჟთა მწკრივი). შემდეგ ვაჟები დგებიან ქალებს შორის და იქმნება ქალ-ვაჟთა საერთო მწკრივი (ვაჟებს ხელები ქალების მკლავებზე უკიდიათ).



წესისამებრ, ვაჟები ქალებს შორის დგებიან რვა თვლის **მეშვიდე-მერვე** თვლაზე. ამ დროსაც ქალთა პირველი და ვაჟთა მეორე ნახევარი მეორე მხარეს სამოდროდ ცვლიან ფეხს (ფეხის ცვლას ქვემოთ განვიხილავთ).



დანარჩენები არ ცვლიან ფეხს და მოძრაობენ იმავე მიმართულებით. ამრიგად, წარმოიშვება ქალ-ვაჟთა ორი ნახევარი: ერთი მოძრაობს მარჯვნივ, მეორე — მარცხნივ.



ასეთი მოძრაობით **რვა** თვლაში იქმნება წრე.

წრეზე ერთი მიმართულებით სამოდროდ, **რვა** თვლის ბოლო **მეშვიდე-მერვე** თვლაზე, ერთ-ერთი ჯგუფი ცვლის ფეხს მეორე ჯგუფის მიმართულებით სამოდროდ (რადგან ჯგუფები წრის შექმნამდე მოძრაობდნენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით).

ამ შემთხვევაში ფეხს ცვლის მარცხნივ მოძრავი პირველი ჯგუფი.

წესისამებრ, ფეხის ცვლა მიღებულია რვა თვლის **მეშვიდე-მერვე** თვლაზე. მარჯვნივ მოძრაობიდან მარცხნივ გადასვლისას ფეხი იცვლება შემდეგნაირად:

თვლა **შვიდის პირველი** მარცვალი — **შვი** — იდგმება მარცხენა ფეხი უკან და მარჯვნივ.


თვლა **შვიდის მეორე** მარცვალი — **დი** — მარჯვენა ფეხი დაიდგმება მარცხენის გვერდით.

თვლა **რვა** — მარცხენა ფეხი მცირედ გადაიდგმება წინ, მარჯვენა ფეხი მუხლის სახსარში მოიხრება უკან.

მომდევნო თვლა **ერთი** — მოძრაობა იწყება მარცხნივ მოხრილი მარჯვენა ფეხის უკან ჩადგმით.


მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობაზე გადადიან იმავე წესით, მაგრამ საწინააღმდეგო ფეხით.

მარცხნივ მოძრავი პირველი ჯგუფის ფეხის შეცვლის შემდეგ, **რვა** თვლაზე მთელი ჯგუფი წრეზე მოძრაობს მარჯვნივ, ბოლო **მეშვიდე-მერვე** თვლაზე ცვლის ფეხს და შემდეგი **რვა** თვლა წრეზე მოძრაობს მარცხნივ.




მარცხნივ მოძრაობის **მეშვიდე-მერვე** თვლაზე ფეხს ცვლიან მხოლოდ ქალები: შორდებიან ვაჟებს და ქმნიან წრეს ვაჟთა წრის შიგნით და მოძრაობენ მარჯვნივ. ვაჟები წინანდებურად — მარცხნივ.

ამრიგად, წარმოიშობა ორი საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი წრე (ქალებიც და ვაჟებაც მხრებზე ხელგადახვეული არიან).



სხვადასხვა მხარეს მოძრაობის დანყებისას ორივე წრის თავსა და ბოლოში მდგომი მოცეკვავენი ხელს უშვებენ ერთმანეთს (წრის გახსნა) და შემჭიდროებული რკალებიდან, სახით მაყურებლისკენ, ქმნიან გაშლილ ნახევარწრეებს



ნახევარწრეებზე გაშლას დასჭირდება **ორი-სამი რვა** თვლა (დამოკიდებულია მოცეკვავეთა რაოდენობასა და მოძრაობის სიჩქარეზე).


ბოლო **რვა** თვლის **შვიდი-რვა** თვლა:

ვაჟები თავის დაღუნვით გამოივლიან ქალთა მკლავებს ქვეშ და დადგებიან მათ შორის.

თვლა **შვიდი** — ვაჟები თავდახრილი გადადგამენ ერთ ნაბიჯს წინ — მარჯვენა ფეხით.

თვლა **რვა** — მიადგამენ მარცხენა ფეხს მარჯვენასთან და გამართულები დგებიან ქალთა შორის.


ქალები მხოლოდ **მერვე** თვლაზე უშვებენ ხელებს ქვემოთ.





მეორე ნაწილი

ხელჩაკიდებული ქალ-ვაჟთა წყვილები „ქუსლურა სვლით“ უვლიან წრეს მარჯვნიდან მარცხნივ:



თვლა **ერთის პირველი** მარცვალი — **ერ** — ქუსლდაყრდნობილი მარჯვენა ფეხის წინ გადადგმა და მთელი ტერფით მარცხენის მარჯვენასთან სრიალი.


მეორე მარცვალი — **თი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ მთელ ტერფზე.

თვლა **ორი** — იგივე, თვლა **ერთი** მეორე ფეხით: მარცხენა ფეხით ქუსლიდან ნაბიჯი, მარცხენასთან მთელი ტერფით მარჯვენის მისრიალება, მარცხენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი და ა.შ. ერთი ფეხის ქუსლით ნაბიჯი იცვლება მეორეთი: რვა თვლის ყოველი კენტი თვლა — **1-3-5-7** — ნაბიჯი მარჯვენა ფეხის ქუსლით, წყვილი — **2-4-6-8** — ნაბიჯი მარცხენის ქუსლით (სვანები „ქუსლურ სრიალას“ მოხრილი ფეხითა და მცირე ხტომებით ასრულებენ).

ორ-სამ რვა თვლაში „ქუსლურა სრიალით“ ქალ-ვაჟთა წყვილები შემოუვლიან ერთ წრეს და დგებიან ისევ ნახევარწრედ.




შემდეგი **ერთი რვა** თვლა — ნახევარწრის თავსა და ბოლოში მდგომი ქალ-ვაჟთა სამ-სამი წყვილი „ქუსლურა სრიალათი“ ცალ-ცალკე უვლის წრეს მარჯვნიდან მარცხნივ და ქმნის ხელჩაკიდებულ ორ მწკრივს — სახით ერთმანეთისკენ.



თვლა რვა — საწყისი


მათ შორის მდგომი ქალ-ვაჟთა ოთხი წყვილი „ქუსლურა სვლით“ მოდის წინ — სახით მაყურებლისაკენ.




თვლა რვა — ბოლო

მეორე რვა თვლა — პირველი მწკრივი მოძრაობს მარცხნივ, მეორე — მარჯვნივ (თითქოს ერთმანეთთან შესახვედრად) პირველ ნაწილში აღწერილი „უკანჩაკრული გვერდზე სვლით“ და **რვა** თვლის **მეშვიდე-მერვე** თვლაზე ცვლიან ფეხს.

წინ გამოსული მწკრივი (ქალ-ვაჟთა ოთხი წყვილი) იყოფა შუაზე და ორ-ორი წყვილი ცალ-ცალკე მარჯვნივ და მარცხნივ „ქუსლურა სვლით“ სიღრმეში მოძრაობს ერთმანეთთან შესახვედრად (საჭიროა, **რვა** თვლის ბოლოს ორ-ორმა წყვილმა უნდა შექმნას მწკრივი — სახით მაყურებლისაკენ).




თვლა რვა — საწყისი




თვლა რვა — ბოლო

შემდეგი რვა თვლა — სახით ერთმანეთისაკენ მდგომი მწკრივები „უკანჩაკრული გვერდზე სვლით“ მოძრაობენ — პირველი — მარჯვნივ, მეორე — მარცხნივ.

მათ შორის მდგომი მწკრივის (ქალ-ვაჟთა ოთხი წყვილის) თითოეული წყვილი მარჯვნიდან მარცხნივ უვლის წრეს და **რვა** თვლის **მერვე** თვლაზე ერთმანეთის პირდაპირ მდგომ ორ მწკრივს შორის ქმნიან მწკრივს — ნახევარ წრეს — სახით მაყურებლისაკენ.



თვლა რვა — საწყისი



თვლა რვა — ბოლო

ამით მთავრდება სვანური მასობრივი ცეკვის მეორე ნაწილი.

ვო - სო რი - რო რა - მაფ - და ვო - სო ვო - რუ - დი - ლა რა - მაფ - და
 ვო - სო რი - რო რა - მაფ - და ვო - სო ვო - რუ - დი - ლა რა - მაფ - და

მესამე ნაწილი — ცერული

ცერულს ასრულებენ მხოლოდ ვაჟები საცერო მოძრაობებით: სვანური ცერული, შლიფერხილი, ცალცერზე რბენა და ტრიალი, ორცერზე რბენა, უკანცერული.


სვანური ცერული

საწყისი მდგომარეობა — დგომა მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე, მარჯვენა ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში — უკან.

თვლა **ერთის პირველი** მარცვალი — **ერ** — მოხრილი მარჯვენა ფეხის წინ — მარცხენასთან მიტანა და ორივე ფეხის ცერებზე შედგომა.

მეორე მარცვალი — **თი** — ცერებიდან მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე დახტომა და ისევ მარჯვენის უკან მოხრა.

იგივე მეორდება **შემდეგ** თვლაზე.



საწყისი მდგომარეობა და მარცვალი — **თი**

შლიწერხილი

სანყისი მდგომარეობა: ორივე ფეხით მთელ ტერფზე დგომი, ფეხები — მხრების სიგანეზე.

თვლა **ერთის პირველი მარცვალი** — მცირედ შეხტომა და ორივე ფეხის გადაჯვარედინება (მარჯვენა — წინ, მარცხენა — უკან). ტანის სიმძიმე დაყრდნობილია ორივე ფეხის ტერფზე. ფეხები მცირედ მოხრილია მუხლის სახსარში. მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი შებრუნებულია მარჯვნივ, მარცხენასი — მარცხნივ.



ორივე ფეხის გადაჯვარედინება — **ერ**

მეორე მარცვალი — **თი** — ორივე ფეხის გაშლა და ცერებზე შედგომა.

თვლა **ორის პირველი მარცვალი** — **ო** — ცერებიდან ჩამოხტომა და ისევ ორივე ფეხის გადაჯვარედინება (მარცხენა — წინ, მარჯვენა — უკან). ასევე სრულდება შემდეგ თვლებზეც.


შენიშვნა: **რვა** თვლის ყოველ კენტ თვლაზე (**1-3-5-7**) ორივე ფეხის გადაჯვარედინებისას წინ ხვდება მარჯვენა, წყვილებზე (**2-4-6-8**) — მარცხენა.

ცალ ცერზე რბენა და ტრიალი

სანყისი მდგომარეობა — მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე დგომი, მარჯვენა მოხრილია მუხლში უკან.


ცალცერზე რბენა

თვლა **ერთის პირველი მარცვალი** — **ერ** — მარჯვენა ფეხის ცერზე დგომი. მარცხენა ფეხი მოხრილია მუხლში უკან.



ცალცერზე რბენა — **ერ**

მეორე მარცვალი — **თი** — მარცხენა ფეხის ტერფზე დგომი, მარჯვენის — მოხრა.



თვლა — **თი**

იგივე მეორდება შემდეგ თვლაზეც — ერთი მოხრილი ფეხი იცვლება მეორეთი: მარჯვენა ცერით ყოველთვის იატაკს ეხება, მარცხენა — მთელი ტერფით ან პირიქით.

ცალცერზე ტრიალი — „ცალცერზე რბენა“ მარჯვნიდან მარცხნივ ტრიალით.

თვლა ერთის პირველი მარცვალი — ერ — მარჯვენა ფეხის ცერზე შედგომა, მარცხენის მუხლში უკან მოხრა.

მეორე მარცვალი — თი — მარცხენა ფეხის ცერზე შედგომა და მარჯვენის უკან მოხრა. იგივე მეორდება შემდეგ თვლაზეც — ერთი ფეხის ცერი იცვლება მეორეთი.

უკანცერული (საწყისი)

თვლა ერთის პირველი მარცვალი — ერ — მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხის ოდნავ წინ გადმოტანა და მოხრილ ცერზე დადგმა, გამართული მარცხენის მთელ ტერფზე დაყრდნობა.



უკანცერული — ერ


მეორე მარცვალი — თი — მარჯვენა ფეხის გამართვა და მთელ ტერფზე დაყრდნობა. ერთდროულად მარცხენის გადატანა ოდნავ წინ და ცერზე შედგომა.

იგივე სრულდება შემდეგ თვლაზეც — მცირე უკან დახევით; ერთი ფეხის მოხრილი ცერი იცვლება მეორეთი. ზემოაღწერილ საცერო მოძრაობებზე აიგება სვანური ცერული ერთი, ორი და მეტი შემსრულებლით: ცერულს იწყებს ერთი ვაჟი, შემდეგ — ორი, ისევ — ერთი, შემდეგ ისევ ორი და ერთი (თითოეულ შემსრულებელს ეთმობა ორი-სამი რვა თვლა). ბოლო შემსრულებლის (ერთის) ცერულის დამთავრების შემდეგ (უფრო ხშირად სრულდება ორცერზე რბენით) ამოძრავდება ნახევარწრე.


მხრებზე ხელგადახვეული ვაჟები მოძრაობენ „უკან ჩაკრული გვრდზე სვლით“ მარჯვნივ (აღწერილია პირველ ნაწილში), ქალები — „უკანჩაკრულით.“

გვერდზე სვლის დაწყებისთანავე ქალები გადმოდიან ოდნავ წინ და მხრებზე ხელგადახვეულნი მოძრაობენ მარცხნივ (შეხვედრისას ქალთა მწკრივი გაივლის ვაჟთა მწკრივის წინ).

ამ სვლით ქალთა და ვაჟთა ჯგუფები შემოივლიან მთელ წრეს და, როცა ორივე ჯგუფი მოექცევა ისევ ნახევარწრედ სახით მაყურებლისაკენ, მეშვიდე-მერვე თვლაზე ცვლიან ფეხს (მამაკაცები დგებიან ქალებს შორის).



წარმოიქმნება ხელიხელჩაკიდებული ორი ნახევარი, მოძრავი პირველი (I) — მარცხნივ, მეორე (II) — მარჯვნივ (მეორე ნახევარი გაივლის I-ის წინ).



ღუთთა

განმარტებანი

ილეთთა განმარტებანი

ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ილეთთა (ერთი, ორი, სამი ან ოთხი მოძრაობის კომპლექსი, სა-
ცეკვაო მოძრაობის დასრულებული სახე) ტერმინოლოგიის გადაუწყვეტლად და დაუმკვიდრებლად
შეუძლებელია, ნორმალურად წარიმართოს ქორეოგრაფიული გაკვეთილი, სასწავლო და სავარჯიშო
პროცესი და სრულყოფილად ჩაინეროს ცეკვა.

ქართული ხალხური ცეკვების ილეთთა ტერმინოლოგიას გასული საუკუნის 50-იან წლებში პირ-
ველად შეეხო და დაამუშავა ცნობილმა ქორეოგრაფმა და ქორეოლოგმა დავით ჯავრიშვილმა, მაგ-
რამ ქართული საცეკვაო ხელოვნების სწრაფმა ზრდა-განვითარებამ მოითხოვა მისი განმეორებით
შევსება და ნაწილობრივ შესწორება.

ჩვენი ნაშრომის მთავარი ამოცანაა არა მხოლოდ ქართული ცეკვების ტერმინოლოგიის საბო-
ლოდ დადგენა, არამედ ილეთთა ტერმინების ახსნა-განმარტება და სტრუქტურული ანალიზი. ეს
ხელს შეუწყობს ქართული ცეკვების ჩანერას და ტერმინოლოგიის პრაქტიკაში დამკვიდრებას.

ქართული ცეკვების ტერმინოლოგიის გადამუშავების საკითხი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული
საზოგადოების ქორეოგრაფიულმა სექციამ 1975 წელს ერთ-ერთ სხდომაზე განიხილა (თავჯდო-
მარე ილიკო სუხიშვილი). სექციამ მოიწონა ჩვენ მიერ წარდგენილი პროექტი და მიზანშეწონილად
მიიჩნია მისი გამოცემა.

ნაშრომში შეტანილია ქართული ცეკვებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ილეთები და დაჯ-
გუფებულია ცეკვების მიხედვით.

ილეთთა ტერმინოლოგიის ძირითადი პრინციპია: სახელწოდება უნდა გამოხატავდეს ილეთის
სტრუქტურას, აღნაგობასა და ბუნებას. მაგალითად: ტერფებზე სრიალით სვლას ეწოდება „ტერ-
ფულა;“ ჰაერში წვივის გაქნევით ჩაკვრას — „წვივქნევით ჩაკვრა;“ ჩაკვრას, მის ერთ-ერთ ნაწილში
ერთი ფეხით მეორეთი გადაჭრას — „ჭრილი ჩაკვრა“ და ა.შ.

საცეკვაო ილეთთა ზოგადი კლასიფიკაცია

- სვლა
- გასმა
- ჩაკვრა
- ცერილეთი
- მუხლილეთი
- ხტომა
- ბრუნვა

ფეხების ძირითადი პოზიციები

- I პოზიცია — ტერფები შეერთებული.
- II პოზიცია — მარჯვენა ფეხი გატანილი წინ ერგცერით ან პირიქით.
- III პოზიცია — ქუსლები შეერთებული, ფეხის წვერები — განზე.
- IV პოზიცია — ფეხები მხრების სიგანეზე.

ხელების ძირითადი პოზიციები

- I პოზიცია — განმკლავი.
- II პოზიცია — ერთი მკლავი მოხრილი იდაყვის სახსარში გულმკერდის სიმაღლეზე, მეორე —
განზე გაშლილი.
- III პოზიცია — იდაყვის სახსარში მოხრილი ერთი მკლავი აწეული ზემოთ, მეორე — განზე გაშლი-
ლი ან პირიქით.
- IV პოზიცია — ორივე მკლავი თავს ზემოთ — მაჯის სახსარში მოხრილი (ირმულა მდგომარეობა).

ხელეზის მდგომარეობა

- სხეულის გასწვრივ
- ქვეგანმკლავი
- განმკლავი
- წინგარემკლავი
- წინმკლავი
- ზეგანმკლავი
- ზემკლავი
- ერთით ქვეგანმკლავი, მეორით — დოინჯი
- მკერდდახურული მდგომარეობა
- ხელისხელჩაკიდებული
- ხელებით ქამრებში
- ხელებით მხრებზე
- კოშკურა
- ხელკავი

ხელეზის მოძრაობა

• ხელები

ერთ, ორ და სამსახსროვანი მოძრაობები. **ერთსახსროვანი** — ხელების მოძრაობა მხოლოდ მხრის სახსარში; **ორსახსროვანი** — ხელების ერთდროული მოძრაობა მხრისა და მჯჯის სახსარში; **სამსახსროვანი** — ხელების ერთდროული მოძრაობა მხრის, მჯჯისა და იდაყვის სახსარში.

• ხელსართავი

სრული ხელსართავი ცერის გადაცილებით:

საწყისი მდგომარეობა — გამართული ხელი ნებით ზემოთ. სრული ხელსართავი ცერის გადაცილებით შესრულებისას, ხელის მტევანი მოიხრება მჯჯის სახსარში, თითები მოძრაობენ შიგნით. ერთდროულად ხელი 180°-ით შებრუნდება, ცერი შემოწერს დაახლოებით 360°. დასასრულ, ხელის მტევანი ისევ გაიმართება მჯჯის სახსარში.

სრული ხელსართავი ნეკის გადაცილებით:

საწყისი მდგომარეობა — გაშლილი ხელის ნები ქვემოთ, ხელის მტევანი მოიხრება მჯჯის სახსარში, თითები მოძრაობენ შიგნით. ერთდროულად ხელი შებრუნდება 180°-ით, ნეკი შემოწერს დაახლოებით 360°. დასასრულ, ხელის მტევანი ისევ გაიმართება მჯჯის სახსარში. არსებობს საშუალო და მცირე ხელსართავიც. **საშუალო** — ხელი შებრუნდება ისე, რომ ცერი ან ნეკი შემოწერს 360°-ზე ნაკლებს. **მცირე** ხელსართავის შესრულებისას ხელის მტევნები მოძრაობენ მჯჯის სახსარში სწორხაზობრივად, შეუბრუნებლად.

• ხელების პოზიციითა ცვლა:

I პოზიციიდან მკერდდახურული მდგომარეობა და ხელსართავებით ისევ საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

ხელების მკერდდახურული მდგომარეობიდან ხელსართავებით (დაქნევით I პოზიციის გავლით) IV პოზიციამდე გადასვლა და გარე წრეებით ისევ საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

IV პოზიციიდან შიგანწრეებითა და ხელსართავებით ერთგვაროვანი და ნაირგვაროვანი მოძრაობა.

ერთგვაროვანი: ორივე ხელი ერთდროულად ეშვება გულმკერდთან. შემდეგ განმკლავიდან აინევა ზემოთ და უბრუნდება IV პოზიციას (IV პოზიციამდე ხელსართავები სრულდება ცერის გადაცილებით).

ნაირგვაროვანი: ერთგვაროვანისაგან განსხვავებით, ჯერ ერთი ხელი ეშვება ქვემოთ, შემდეგ — მეორე და ა.შ. ერთი ხელი ყოველთვის წინ უსწრებს მეორეს.

IV პოზიციიდან გარე წრეებითა და ხელსართავებით

ხელების ერთგვაროვანი და ნაირგვაროვანი მოძრაობა.

ერთგვაროვანი: ორივე ხელი ერთდროულად მოძრაობს განმკლავიდან გულმკერდამდე და ისევ IV პოზიციამდე (IV პოზიციამდე ხელსართავები ნეკის გადაცილებით).

ნაირგვაროვანი: მოძრაობისას ერთი ხელი ყოველთვის წინ უსწრებს მეორეს, რომელიც

პირველს წამოენევა მხოლოდ მეოთხე თვლაზე — ნეკის გადაცილებით სრული ხელსართავის შესრულებისას.

ზეტანის მოძრაობა

- **მარტივი ზნექები** — წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ.
- **ზეტანის ბრუნება** — შემობრუნება სხეულის ღერძის გარშემო მარჯვნივ და მარცხნივ (არსებობს სრული ბრუნი — 360° , ნახევარი — 180° , მეოთხედი — 90° , მერვედი — 45° ... ბრუნი შეიძლება იყოს ერთ სრულ ბრუნზე მეტი: ერთ-ნახევარი, ორი, სამი და ა.შ). ბრუნი სრულდება ცალ ფეხზე — იატაკს მოშორებული ტერფი საყრდენი ფეხის წვივის სიმაღლეზეა. ბრუნი შეიძლება ჰაერში ზეხტომისას, ამ დროს იატაკს მოშორებული ორივე ფეხი გამართულია, ფეხის წვერები — გაჭიმული.
- **ზეტანის ტრიალი** — ზეტანის მოძრაობა წელის სახსარში: თანმიმდევრულად სრულდება ზნექები — წინ, მარჯვნივ, უკან, მარცხნივ, უბრუნდება საწყის მდგომარეობას ან პირიქით.

ქართული

სვლეზი

- ტერფულა წინსვლა
- რთულა წინსვლა
- სადა სრიალა წინსვლა
- სრიალა ერგცერებზე
- სადა მუხლურა წინსვლა
- სამდაკვრითი სვლა ადგილზე
- სამდაკვრითი უკუსვლა
- სამდაკვრითი გვერდზე სვლა

ბასმეზი

- სრიალა გასმა
- მაღალი გასმა
- ქუსლურა გასმა
- ჭდობილი გასმა
- ყოვნით გასმა
- ტერფმოქნევით გასმა
- გვერდულა გასმა
- სარეცხული გასმა
- ჩაკრული გასმა

დავლური

- ჩვეულებრივი სვლა
- სადავლურო სვლა /სამნაბიჯიანი წინსვლა/
- სადავლურო სვლა ორი ნაბიჯის დამატებით
- სრიალა ერგცერებზე ოთხი ნაბიჯის დამატებით
- რთულა წინსვლა ოთხი ნაბიჯის დამატებით
- სადა მუხლურა წინსვლა
- დახვევით ბრუნი

მთიულური

სვლაზი

- სადა მუხლურა წინსვლა
- მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით
- მუხლურა წვივმოქნევით
- ფრენმუხლურა
- რთულა წინსვლა
- ჭდობილი წინსვლა
- ჭდობხტომილი წინსვლა
- ქრიალა წინსვლა
- ჭდობილი გვერდზე სვლა
- ქუსლდაკვრით უკუსვლა

ჩაკვრაზი

- სადა ჩაკვრა
- დახურული ჩაკვრა
- გახსნილი ჩაკვრა
- წვივქნევით ჩაკვრა
- წვივქნევითა და ცერშედგომით ჩაკვრა
- ფეხშლილი ჩაკვრა
- ჭდობილი ჩაკვრა
- განბიჯით ჩაკვრა I-II ვარიანტი
- განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა
- ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა
- ჭრილი ჩაკვრა
- ირიბი ჭრილი ჩაკვრა
- ხლართული ჩაკვრა

ცარითელაზი

- ტყუპცერზე შედგომი
- ცალცერზე შედგომი
- ფეხშლილი ცერშედგომი
- ჭდობცერშედგომი
- ცერებზე ორდაკვრითი უკუსვლა
- ცერებზე სამდაკვრითი წინსვლა
- ცერებზე ხტომი
- ჭდობცერშედგომი ხტომით

ბრუნეზი

- ცალფეხზე ბრუნი
- ცალცერზე ბრუნი
- ცერებზე ბრუნი
- სამდაკვრითი ბრუნი
- ტერფდაკვრითი ბრუნი
- მუხლებზე ბრუნი
- მუხლებზე გადაბმული ბრუნი

ყაზბეგური // მონეური

სვლაბი

- ქუსლგადაგორებით წინსვლა
- ქუსლგადაგორებით სვლა წახტომით
- ქუსლგადაგორებით სვლა წვივმოქნევით
- ქუსლგადაგორებით სვლა უკუცერდაკვრით
- მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით
- მოხეური რთულა
- მოხეური ქრიალა
- ქუსლდაკვრით უკუსვლა

ჩაკვრები

- ჭრილი ჩაკვრა (სხვადასხვა ვარიანტი)
- ხლართული ჩაკვრა
- ჭრილი ჩაკვრა ბრუნით
- ხლართული ჩაკვრა ბრუნით
- ტერფდაკვრით ცერშედგომი
- გადაჭრა

განჯე სვლაბი

- ჭდობცერდაკვრით გვრდზე სვლა
- ჭდობილი გვერდზე სვლა ჭრილი ჩაკვრითა და ფეხცვლით

ფერხული

- ხელჩაბმა
- ხელიხელჩაკიდებული
- ხელები მხრებზე
- ხელები ჩაჭიდებული ქამრებში
- ხელკავი
- სარხევი
- გაქნევა
- ჩვეულებრივი სვლა
- ფეხმიდგმითი სვლა
- წინჩაკრული
- უკუჩაკრული
- ჭდობფეხცვლა
- ცალფა გასმურა
- ორფა გასმურა
- წვივმოქნევით მუხლურა ბრუნით
- ხლართულა სვლა ზეხტომით
- ბუქნური
- მუხლურა წინსვლა
- რთულა წინსვლა
- სადა გასმა
- მაღალი გასმა
- ჭდობილი გასმა
- ჩაკრული გასმა
- მაღალჩაკრული გასმა

სორუმი

- შესასვლელი
- სასვენი
- ჭდობსასვენი (სხვადასხვა ვარიანტი)
- ფარულა — მალულა
- როქმალულა
- საფრთხილო
- ჩოქით მუხლმოქნევი
- დაბალი გასმურა
- მაღალი ანუ ხტომგასმურა
- გასმურა ტერფმოქნევით
- ნანოლგასმურა
- ბუქნურა
- ბუქნურა ფეხგადადგმით
- ბუქნბრუნი
- ქობულეთური ჩაკრული
- ჩახვეული
- ჩაქოლვა

ბანდაგანა

- მიდგმითი სვლა
- საგანდაგანო მუხლურა
- უკუჩახვევით სვლა
- ქუსლდაკვრითა და უკუჩახვევით სვლა
- ცალფეხგასმურა
- მუხლმოქნევითა და ქუსლგაკვრით ჩაკრული
- ცერდაკვრითა და წვივგაქნევით ჩაკრული
- ქუსლცერა წინსვლა
- ჭდობილი გვერდზე სვლა
- მუხლცვლა ერგბუქნში

სამაია

- რბილი სვლა
- სამნაბიჯიანი წინსვლა
- სამნაბიჯიანი სვლა ფეხგადგმით
- ქუსლცერმოქნევით გვერდზე სვლა

ზინავორბილი

- უკუფეხჩადგმით გვერდზე სვლა
- ფეხცვლა

რამაიდა

- ქუსლურა წინსვლა
- მუხლურა წინსვლა

ცერული

- ცერდაქნევით ჩაკვრა
- ცერდაქნევით ჭდობჩაკვრა
- ფეხშლილი ჩაკვრა
- ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა
- ცალცერზე რბენი
- ორცერზე რბენი
- ცერდაკვრით უკუსვლა

სიმდი

- ტერფგაკვრით წინსვლა
- ჭდობილი გვერდზე სვლა

მიპატიჟება

- ფეხმიდგმით სვლა
- მისაპატიჟებელი
- სამდაკვრითი წინსვლა

ზარათინი

- მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით
- ტერფდაკვრით ჩაკრული
- ტერფდაკვრით ჩაკრული ბრუნით
- ტერფდაკვრით ცერშედგომი
- ფეხშლილი ჩაკვრა
- ტყუპცერზე ჩაკვრა
- წვივდაქნევით ცალცერშედგომი (ცალცერდაკვრა)
- ცალცერზე ხტომით სვლა
- ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა
- განბიჯით ჩაკვრა
- განბიჯით ჩაკვრა ცალცერზე ბრუნით
- ტყუპმუხლზე სრიალი

კინტოური და ყარაჩოლური

- საბალდადურო წინსვლა
- საბალდადურო მუხლურა
- ქუსლურა წინსვლა
- ქუსლურა სვლა ქუსლმოქნევით
- წინჩაკრული
- უკუნჩაკრული
- ფეხგაქნევით უკუნჩაკრული
- ჭდობფეხგაქნევით ჩაკრული
- მაღალი ჩაკრული
- გრეხილი ჩაკრული
- სამდაკვრითი უკუსვლა
- ბუქნები

ქართული

ტერაზულა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — I-II ან III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.


თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი წინ. ფეხები მთელი ტერფით ეხება იატაკს, სხეულის სიმძიმე ორივეზეა გადანაწილებული.

თვლა **სამი** — სხეულის სიმძიმე მთლიანად გადაინაცვლებს მარცხენა ფეხის ტერფზე, ერთდროულად გამართული მარჯვენა მთელ ტერფზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



რთულა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — I-II ან III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.


თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი თანდათანობით მოიხრება მუხლის სახსარში და ერგცერზე სრიალით გაიტანება წინ.

თვლა **სამი** — სხეულის სიმძიმე გადავა მარცხენა ფეხის ერგცერზე, ერთდროულად გამართული მარჯვენა მთელ ტერფზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



სადა სრიალა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — I-II ან III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენა ფეხზე, მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერზე სრიალით წინ გატანა. ერთდროულად მარჯვენის ერგცერზე აწევა. სხეულის სიმძიმე ორივე ფეხზეა გადანაწილებული.

თვლა **სამი** — ერგცერზე სრიალით მარჯვენა ფეხის გატანა, სხეულის სიმძიმე ორივე ფეხზეა გადანაწილებული.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

სრიალა ერგცერებზე

„სრიალა ერგცერებზე“ „სადა სრიალა წინსვლის“ მსგავსია, მხოლოდ — თვლა **ერთი** — ქუსლიდან ნაბიჯის ნაცვლად ტერფი დაიდგმება ერგცერით (იხ. „სადა სრიალა წინსვლა“).

„სრიალა ერგცერებზე“ ასრულებენ ქალები ცეკვა „ქართულში.“

სადა მუხლურა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.


ხელები — მარჯვენა — მკერდდახურული, მარცხენა — ქვეუკუმკლავი.

მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ისე გაიტანება წინ, რომ მარცხენის ტერფი მოხვდეს მარჯვენის მუხლთან. ერთდროულად მარჯვენაზე მცირე ნახტომი და მუხლის სახსარში მოხრა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



სამდაკვრითი უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხების I პოზიცია ერგცერებზე.

ხელები — ქვედაშვებული ან I-II-III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.


თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ტერფი მოიხრება კოჭის სახსარში, გადაინაცვლებს უკან ნახევარი ტერფით და დაიდგმება ერგცერით.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, მარცხენა ერგცერით აწევა ზევით.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით.



სამდაკვრითი სვლა ადგილზე

სანწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია — ერგცერებზე.

ხელები — ქვედაშეებული.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ტერფი მოიხრება კოჭის სახსარში და დაიდგმება ერგცერის დაკვრით. ერთდროულად აიწევა მარცხენა ფეხის ერგცერი.


თვლა **ორი** — დაკვრით დაიდგმება მარცხენა ფეხის ერგცერი და ერთდროულად აიწევა მარჯვენა ერგცერი.

თვლა **სამი** — დაკვრით დაიდგმება მარჯვენა ფეხის ერგცერი და აიწევა მარცხენა ერგცერი.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტი იწყება მარცხენა ფეხის ერგცერის დაკვრით.

„სამდაკვრითი ადგილზე სვლა“ გამოიყენება ცეკვა „ქართულში“ ქალის ადგილზე მარცხნივ ან მარჯვნივ ბრუნვისას.



სამდაკვრითი გვერდზე სვლა

სანწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია ერგცერებზე.

ხელები — II პოზიცია

მუსიკალური ზომა — 4/4.

„სამდაკვრითი გვერდზე სვლა“ „სამდაკვრითი ადგილზე სვლის“ მსგავსია, მხოლოდ ერგცერის დაკვრისას სხეული თანდათან გადაინაცვლებს მარცხნივ ან მარჯვნივ.

ბასმები

სადა სრიალა ბასმა

სანწყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია (მარჯვენა წინ).

ხელები — II პოზიცია.


მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერებზე სრიალით მოძრაობს უკან, მარცხენა — წინ.

თვლა **ორი** — ფეხები ერგცერებზე სრიალითვე იცვლიან მდგომარეობას: მარჯვენა წინ, მარცხენა — უკან.

თვლა **სამი** — ფეხები ისევ იცვლიან მდგომარეობას: მარცხენა მოძრაობს წინ, მარჯვენა — უკან.


თვლა **ოთხი** — ყოვნა.
 მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



მაღალი გასმა

„მაღალი გასმა,“ „სადა სრიალა გასმისაგან“ განსხვავებით, თვლაზე **სამი** — ერგცერზე სრიალი წინ გატანილი ფეხი ოდნავ შორდება იატაკს.

ხელები — II პოზიცია.




ქუსლურა გასმა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია.

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.

„ქუსლურა გასმა“ „სადა სრიალა გასმისაგან“ სრულდება, მხოლოდ ყოველი ტაქტის **მესამე** თვლაზე წინ გატანილი ფეხი ქუსლით ეხება იატაკს.



ჭლობილი გასმა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია.

ხელები — II პოზიცია.


მუსიკალური ზომა — 4/4.

ილეთი სრულდება ორ ტაქტში.

პირველი ტაქტი — „სადა სრიალა გასმა“ მარჯვენა ფეხით.

მეორე ტაქტის თვლა ერთი — მარცხენა ფეხი გადაიდგმება მარჯვენის წინ და მარჯვნივ (ჭდობა).

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.
 თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით გაიტანება წინ საწყის მდგომარეობაში.
 თვლა **ოთხი** — ყოვნა.
 მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება თავიდან.



ყოველით გასმა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია (მარჯვენა წინ).

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.


თვლა **ერთი** — ერგცერზე სრიალით მარჯვენა ფეხი მოძრაობს უკან. ერთდროულად ერგცერიდან ქუსლზე სრიალით წინ — მარცხენა (მარცხენის ქუსლი შეჩერდება მარჯვენა ტერფის წინა ნაწილთან).

თვლა **ორი** — ყოვნა.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხი ქუსლიდან ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან. ერთდროულად ერგცერიდან ქუსლზე სრიალით მარჯვენა მოძრაობს წინ.

თვლა **ოთხი** — ფეხები ისევ შეიცვლიან მდგომარეობას — წინ ქუსლით გაიტანება მარჯვენა ფეხი.

მომდევნო ტაქტზე ილეთი სრულდება პირიქით.



ტერფმოქნევით გასმა


საწყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია (მარჯვენა წინ).

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი, ორი, სამი** — „სადა სრიალა გასმა.“

თვლა **ოთხი** — ყოვნის ნაცვლად ერგცერის სრიალით ან მოშორებით ტერფის მოქნევა-გაქნევა.



ბვერდულა ბასმა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია (მარჯვენა წინ).

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ტერფი ქუსლით შებრუნდება მარჯვნივ (შიგნით), ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლში და ერგცერის სრიალით მიუახლოვდება მარცხენის ქუსლს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ტერფის წინა ნაწილი შებრუნდება მარჯვნივ. ერთდროულად მარჯვენა მუხლში გაიმართება და ერგცერის წინ სრიალით სანყის მდგომარეობას დაუბრუნდება.

თვლა **სამი** — ერგცერებზე სრიალით ფეხები შეიცვლიან მდგომარეობას.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

სარეცხული ბასმა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია.

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, მარცხენა — წინ.

თვლა **ორი** — მარჯვენა — წინ, მარცხენა — უკან.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან. ერთდროულად მარცხენა ტერფი მოშორდება იატაკს და ზემოდან, ცერის მხარეს, მიედგმება მარჯვენა ტერფს (მარცხენა ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში).

თვლა **ოთხი** — მარცხენა ფეხის ტერფი ცერის მხრიდან სრიალით გადაუვლის მარჯვენა ტერფის ზედა ნაწილს, ერგცერით შეეხება იატაკს და შეჩერდება (მარჯვენა ისევ გაიმართება მუხლის სახსარში).

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ჩაპრული ბასმა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია.

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე წინხტომი, ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლში, ტერფით შემოწერს ნახევარწრეს და მარცხენის უკან დაიდგმება ისე, რომ წვერი მოხვდეს მარცხენა ტერფის შუაზე.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, მარჯვენა — წინ.

თვლა **სამი** — ფეხები ერგცერებზე სრიალით შეიცვლიან მდგომარეობას (წინ — მარცხენა, უკან — მარჯვენა).

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

დავლური

ჩვეულებრივი სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები: ვაჟი — მკერდდახურული ან ერთი ხელი ხანჯალზე, მეორეთი — დოინჯი. ქალი — გარეკვემკლავი.

მუსიკალური ზომა — 4/4.

ტაქტის პირველი ნახევარი (პირველი ორი მეოთხედი) — ჩვეულებრივი ნაბიჯი მარჯვენა ფეხით.

მეორე ნახევარი — ნაბიჯი მარცხენათი და ა.შ. (ჩვეულებრივი ნაბიჯის დროს ჯერ ქუსლი ეხება იატაკს, შემდეგ მთელი ტერფი. სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე, მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს).

სადავლურო სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები: ვაჟის და ქალის — მკერდდახურული მდგომარეობა ან III პოზიცია და ა.შ.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ.

თვლა ორი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ.

თვლა სამი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ.

თვლა ოთხი — ყოვნა.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება მარცხენა ფეხით. „სადავლურო წინსვლა“ შეიძლება შესრულდეს ერგცერებზეც.

სადავლურო სვლა ორი ნაბიჯის დამატებით

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — პირველ ტაქტზე მკერდდახურული, მეორეზე — სადავლურო სვლის მდგომარეობა.

მუსიკალური ზომა — 4/4.

ილეთი სრულდება ორ ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა ორი — ყოვნა.

თვლა სამი — მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა ოთხი — ყოვნა.

მეორე ტაქტი — „სადავლურო სვლა“ (იხ. სადავლურო სვლა).

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

სრიალა ერგცერებზე ოთხი ნაბიჯის დამატებით

(ქალებისთვის)

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — იდაყვის სახსარში მოხრილი ერთი ხელი გატანილია წინ და ზევით. მოხრილი მეორე — უკან.

მუსიკალური ზომა — 4/4.

ილეთი სრულდება ორ ტაქტში.

პირველი ტაქტი — ოთხი ნაბიჯი ერგცერებით (იწყება მარჯვენა ფეხით).

მეორე ტაქტი — „სრიალა ერგცერებზე“ მარჯვენა და მარცხენა ფეხით.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება თავიდან.

რთულა წინსვლა ოთხი ნაბიჯის დამატებით

(ვაჟებისთვის)

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — მარჯვენა ხელი დაშვებულია და თავისუფლად მოძრაობს, მარცხენა — დონჯით.

მუსიკალური ზომა — 4/4.

ილეთი სრულდება ორ ტაქტში.

პირველი ტაქტი — ოთხი ჩვეულებრივი ნაბიჯი (ნაბიჯი იწყება მარჯვენა ფეხით).

მეორე ტაქტი — „რთულა წინსვლა“ მარჯვენა და მარცხენა ფეხით.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება თავიდან.

სადა მუხლურა წინსვლა
(იხ. ქართულის ილეთთა აღწერა)

დახვევით ბრუნე

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — II პოზიციაში — ჯერ მოიხრება მარცხენა, შემდეგ — მარჯვენა.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად ნახევარი ბრუნე მარცხნივ.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხით მცირე ნახტომი ნახევარი ბრუნით მარცხნივ. ერთდროულად მუხლის სახსარში მოიხრება მარცხენა და მუხლით ისე გაიტანება წინ, რომ მარცხენის ტერფი მოხვდეს მარჯვენის მუხლთან.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე, მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ოთხი** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ისე გაიტანება წინ, რომ მარჯვენის ტერფი მოხვდეს მარცხენის მუხლთან. ერთდროულად მარცხენაზე მცირე ნახტომი და ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში.

ერთ ტაქტში სრულდება ორი „სადა მუხლურა“ (მარჯვენა და მარცხენა ფეხით. მარჯვენა ფეხით — მარცხნივ ბრუნე).

მთიულური

სვლა

სადა მუხლურა წინსვლა
(იხ. ქართულის ილეთთა აღწერა)

მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით

ილეთს, „სადა მუხლურასაგან“ განსვავებით, წინ ორი ნაბიჯი ემატება და ორ ტაქტში სრულდება.

ხელები — პირველ ტაქტზე თავისუფლად მოძრაობენ, **მეორეზე** — ერთი ხელით მკერდდახურული მდგომარეობა, მეორე წელთან მოხრილი ან ერთი განგაშლილი, მეორე — დონჯით.

მუხლურა წვივმოქვევით

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.


ხელები — მკერდდახურული მდგომარეობიდან ცვლა.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ, ერთდროულად მარცხენა, გაჭიმული ფეხის წვერით, გაიტანება წინ — ჰაერში.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხზე მცირე ნახტომი, ერთდროულად მარცხენა წვივის მოქნევით მუხლის სახსარში მოხრება მარცხენა ფეხი.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



ფრენმუხლურა

ფრენმუხლურა იგივე „მუხლურაა ორი ნაბიჯის დამატებით:“ **მეორე** ტაქტის თვლა **ორი** — ფეხის მუხლის სახსარში მოხრისას, სრულდება მაღალი ზეხტომი („ფრენმუხლურას“ დროს შეიძლება შესრულდეს „სადა მუხლურა წინსვლა“ და „მუხლურა წვივმოქნევით“).

ხელები — თავისუფლი მოძრაობა.

რთულა წინსვლა

(იხ. ქართულის ილეთთა აღწერა)

ჭლოზილი წინსვლა

სანისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხი მიედგმება მარჯვენას.

ხელები — განმკლავიდან თანდათანობით მკერდდახურული მდგომარეობა (მარჯვენა ფეხით შესრულებისას წინ მარჯვენა მკლავია, მარცხენათი — მარცხენა).


მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — 1/4 ბრუნით მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

ხელები — განგაშლილი, თითები თავისუფლად, ნებით ზემოთ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი მოშორდება იატაკს, მოხრება მუხლის სახსარში და ისე გაიტანება მუხლით წინ, რომ მარცხენის ტერფი მარჯვენის მუხლთან მოხვდეს. სხეულის მარჯვნივ ბრუნვისას, მარჯვენაზე მცირე ნახტომი და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

ხელები — ხელსართავი ცერის გადაცილებით — შებრუნება 180°-ით.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



ჭდობხტომილი წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — როგორც „ჭდობილი წინსვლისას“ (ილეთის მარჯვენა ფეხით შესრულებისას, პირველ ტაქტზე, წინ მარცხენა მკლავია).

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.


პირველი ტაქტის თვლა ერთი — გამართული მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს, გადაინაცვლებს მარცხენის წინ — მარცხნივ და დაიდგმება მთელი ტერფით. ერთდროულად მოიხრება მუხლის სახსარში მარცხენა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და დაიდგმება სხეულის გასწვრივ. ერთდროულად მარჯვენა მოშორდება იატაკს და, გაჭიმული ფეხის წვერით, გაიტანება წინ — ჰაერში.

მეორე ტაქტის თვლა ერთი — მარცხენა ფეხზე მცირე ზეხტომ-დახტომი: ზეხტომისას მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს და მოიხრება მუხლის სახსარში, დახტომისას — ისევ გაიმართება.

თვლა **ორი** — იცვლება ფეხების მდგომარეობა: დაიდგმება მარჯვენა ფეხი, მარცხენა მოშორდება იატაკს და გაიტანება წინ — ჰაერში.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



ძრიალა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია (ერგცერები).

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით მოკლე ნაბიჯი წინ — ერგცერი.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის წინ გადადგმა და რიგრიგობით ერგცერზე სრიალი.

ჭდობილი გვერდზე სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია (ერგცერები).

ხელები — II პოზიცია, მარჯვენა — მოხრილი.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით მოკლე ნაბიჯი წინ და მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვენის უკან და მარჯვნივ და ა.შ.

„ჭდობილი გვერდზე სვლა“ სრულდება ერგცერებზე ან ცერებზე.

ქუსლგაპვრითი უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია.


ხელები — I ან II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, ერთდროულად მარცხენა — წინ (დასასრულ, მარცხენა ფეხის ქუსლი დგას მარჯვენის წვერთან).

თვლა **და** — ყოვნა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ქუსლიდან ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან, მარჯვენა — წინ. თვლა **და** — ფეხები ერგცერებზე სრიალით შეიცვლიან მდგომარეობას. მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება მარცხენა ფეხით. „ქუსლგაკვრითი უკუსვლა“ იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება ადგილზე — გასმის მაგივრად.



ჩაკვრები

სადა ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — I პოზიციიდან მკერდდახურული მდგომარეობა და ისევ I პოზიცია (ფეხის მოძრაობის შესაბამისად ხან ერთი ხელია გულმკერდთან, ხან — მეორე).

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე მცირე დახტომი, ერთდროულად მარჯვენა ქუსლით დადგმა მარცხენის წვერთან.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხზე მცირე დახტომი. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და ცერით დაიდგმება მარცხენის წვერთან.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



დახურული ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — როგორც „სადა ჩაკვრისას.“

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე მცირე დახტომი. ერთდროულად მარჯვენა შებრუნდება ფეხის წვერით მარჯვნივ და ქუსლით დაიდგმება მარცხენის წვერთან.

თვლა **ორი** — მცირე დახტომი მარცხენა ფეხზე. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში, შებრუნდება მუხლით მარცხნივ და ცერით დაიდგმება მარცხენის წვერთან.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი სრულდება მარცხენა ფეხით.

გახსნილი (ღია) ჩაკვრა

გახსნილი ჩაკვრა „დახურული ჩაკვრის“ მსგავსია, მხოლოდ — თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი წვერით დაიდგმება მარცხენა ტერფის წინა ნაწილთან.

ხელები — როგორც „სადა ჩაკვრისას.“

წვივძნევაჲაჲჲა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.


ხელები — როგორც „სადა ჩაკვრისას.“

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე მცირე დახტომი. ერთდროულად მარჯვენა ქუსლით დაიდგმება მარცხენის წვერთან.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხზე მცირე ზეხტომ-დახტომი: ზეხტომისას მარჯვენა მოშორდება იატაკს და მუხლში მოიხრება, დახტომისას ისევ გაიმართება.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი სრულდება მარცხენა ფეხით.



წვივძნევაჲით და ცერდგომით ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — II პოზიცია.


მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე მცირე დახტომი. ერთდროულად მარჯვენა ქუსლით დაიდგმება მარცხენის წვერთან.

თვლა **ორი** — მარცხენა ცერზე შეხტომა, ერთდროულად მოიხრება მუხლის სახსარში მარჯვენა ფეხი და წვივით გაიტანება უკან.

მომდევნო ტაქტის თვლა **ერთი** — დახტომა მარჯვენა ფეხის ტერფზე, ერთდროულად მარცხენა გაიტანება წინ და ქუსლით დაიდგმება მარჯვენის წვერთან.

თვლა **ორი** — მარჯვენა ცერზე შეხტომა, მარცხენის მუხლის სახსარში უკან მოხრა.



ფეხშლილი ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის IV პოზიცია (ერგცერები), მუხლები ოდნავ მოხრილი.


ხელები — ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — დახტომი ერგბუქნით, მარჯვენა ფეხი დაიდგმება მარცხენა ტერფის წინ.

თვლა **ორი** — მხრების სიგანეზე ცერებზე შედგომა, ორივე ქუსლი შებრუნებულია გარეთ. ნახევრადმოხრილი მუხლები შეერთებულია.

მომდევნო ტაქტიდან მოძრაობა სრულდება მარცხენა ფეხით.



სანჯისი

ერთი

ორი

ჭდობილი ჩაკვრა

„ჭდობილი ჩაკვრა“ ადგილზე შესრულებული „ჭდობხტომილა წინსვლაა.“

ბანპიჯით ჩაკვრა

პირველი ვარიანტი

სანჯისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — დაშვებული, ხანჯალზე ან II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.


პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი მიედგმება მარჯვენას. ერთდროულად ერგბუქნით დახტომა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — ცერებზე შედგომა, ერთდროულად ფეხების მუხლის სახსარში გამართვა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ტერფზე დახტომა, ერთდროულად მარცხენა ფეხის გამართვა და წინ — ჰაერში გატანა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



სანჯისი

ერთი

ორი

ერთი

ორი

I ტაქტი

II ტაქტი

მეორე ვარიანტი

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს.


თვლა **ორი** — გამართული მარცხენა ფეხი ქუსლით დაიდგმება მარჯვენის წვერთან, მარცხენა ფეხის წვერი შებრუნებულია მარცხნივ.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ქუსლი ზეაინევა, შებრუნდება მარცხნივ და, მუხლში მოხრილი, ცერით დაიდგმება მარჯვენის წვერთან. ერთდროულად მარჯვენა ქუსლის დაკვრა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ქუსლის დაკვრა. ერთდროულად მარცხენა გაიმართება მუხლის სახსარში და გაიტანება წინ — ჰაერში.

ხელები — ხანჯალზე.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



განზიჯით და ფეხშლით ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა. გამართული მარცხენა ფეხი ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გადაინაცვლებს მარჯვენის წინ და მარჯვნივ. ერთდროულად ორივე ფეხზე დახტომა, ფეხის წვერების გარეთ შებრუნება და მუხლის სახსარში ნახევრად მოხრა.


ხელები — I პოზიცია.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მხრების სიგანეზე ცერებზე შედგომა: ქუსლები შებრუნებულია გარეთ, ნახევრადმოხრილი მუხლები — შეერთებული.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხზე დახტომა, ერთდროულად მარცხენის გამართვა და წინ — ჰაერში გატანა.

ხელები — II პოზიცია (შესაბამისად).

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



ფეხშლითა და განზიჯით ჩაკვრა

„ფეხშლითა და განზიჯით ჩაკვრა“ იგივე „განზიჯითა და ფეხშლით ჩაკვრაა.“

გადანაცვლებულია ილეთში შემავალ მოძრაობათა თანმიმდევრობა (ჯერ — „ფეხშლით ჩაკვრა,“ შემდეგ — „განზიჯი“).

ჭრილი ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით გადაიდგმება ნაბიჯი წინ და მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე და ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში. ადგილზე დარჩენილი გამართული მარცხენა ფეხი ტერფით თავისუფლად ეხება იატაკს.

ხელები — I პოზიცია.

თვლა **ორი** — გამართული მარცხენა ფეხი ქუსლით თავისუფლად დაიდგმება მარჯვენის წინ და მარჯვნივ.

ხელები — I პოზიცია.


მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — დახტომა მარცხენა ფეხზე. ერთდროულად მარჯვენის მარცხენის უკან ერგცერით თავისუფლად დადგმა. ორივე ფეხის მუხლის სახსარში მოხრა.

ხელები — II პოზიცია.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხზე დახტომა, ერთდროულად მარცხენის გამართვა და წინ გატანა.

ხელები — I პოზიცია.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



ირიბი ჭრილი ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ.

ხელები — I პოზიცია.


მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ, ფეხი დაიდგმება მთელი ტერფით ან ქუსლით (არსებობს **ირიბი ჭრილი ჩაკვრის** ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტი).

ხელები — I პოზიცია.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ტერფზე სრიალით ნახტომი. ერთდროულად მარცხენა ერგცერით დაიდგმება მარჯვენის უკან და მარჯვნივ (ფეხები მოხრილია მუხლის სახსარში).

ხელები — II პოზიცია (შესაბამისად).

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



ხლართულა ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.


პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხი ტერფით (ან ქუსლით) დაიდგმება მარცხენა ფეხის წინ და მარცხნივ. ერთდროულად მარცხენა მოშორდება იატაკს და მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი დაიდგმება ერგცერის დაკვრით.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — ნახტომი — მარჯვენა ფეხი დაიდგმება მთელი ტერფით, მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.

თვლა **ორი** — ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ილეთის მარჯვენა ფეხით შესრულებისას გულმკერდთან, მარცხენა ხელია, მარცხენით — მარჯვენა.



ცარილეთაბი

ტყუპცარილეთაბი

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — დაშვებული, ხანჯალზე ან II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ტერფის დაკვრა და ერთდროულად ორივეს მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა **ორი** — მცირე ზეხტომი, ორივე ფეხის მუხლის სახსარში გამართვა, ცერებზე შედგომა.



ცარილეთაბი შედგომა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.


ხელები — როგორც ტყუპცარილეთაბზე შედგომისას.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ტერფების დაკვრა და ერთდროულად ორივეს მუხლის სახსარში მცირედ მოხრა.

თვლა **ორი** — მცირე ზეხტომი, მარცხენა ფეხის ცერზე შედგომა, ერთდროულად მარცხენა მოშორდება იატაკს და მთლიანად მოიხრება მუხლის სახსარში.

შემდეგი ტაქტიდან მარცხენა ფეხის ცერზე შედგომა და ა.შ.



ფეხშლილი ცერხედგომი
(იხ. ფეხშლილი ჩაკერის აღწერა)

ჭდოზცერხედგომი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.


ხელები — როგორც „ტყუპცერზე შედგომისას“.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ტერფების დაკვრა, ერთდროულად ორივე ფეხის მუხლის სახსარში მცირედ მოხრა.

თვლა **ორი** — მცირე ზეხტომი. ერთდროულად ფეხების გადაჭდობა — მარჯვენა გაიტანება წინ და მარცხნივ, მარცხენის — უკან და მარჯვნივ. ორივე ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და ცერებზე შედგომა.

შემდეგი ტაქტიდან, ფეხების გადაჭდობისას, წინ გაიტანება მარცხენა ფეხი და ა.შ.



ცერხეზე ორდაკვრით უკუსვლა


სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია მაღალი ერგცერებზე.

ხელები — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის უკან ნახევარი ტერფით გადადგმა და ცერით დადგმა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის უკან მთელი ტერფით გადადგმა, ცერით დადგმა და ა.შ.



ცერხეზე ხტომი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია მაღალ ერგცერებზე.

ხელები — ზეგანმკლავი, II ან III პოზიცია.


მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ზეხტომი. ორივე ფეხის მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა **ორი** — ფეხების მუხლის სახსარში გამართვა, ორივე ფეხის ტერფზე დახტომა და ა.შ.



„ჭდოვცერდგომში ხტომი“ გადაჭდობილი ფეხებით ცერებზე ხტომია.



ბრუნვა

ცალფეხზე ბრუნ

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.


ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

მარჯვნივ ბრუნვისას ტაქტის წინათვლა და — გამართული მარჯვენა ფეხის ერგცერზე აწევა, ერთდროულად მარცხენის მუხლის სახსარში ისე მოხრა, რომ ტერფით შეეხოს მარჯვნივს წვივს. ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარცხნივ (მარჯვენა მხარი წინაა. სხეულის სიმძიმე მთლიანად გადატანილია მარჯვენაზე).

თვლა **ერთი-ორი** — ზეტანის მოქნევა მარჯვნივ, მარჯვენა ფეხის ერგცერზე ერთი სრული ბრუნი მარჯვნივ და მარცხენის სანყისი მდგომარეობაში დადგმა. ასევე შესრულდება მარცხნივ ბრუნი მარცხენა ფეხზე. დასაშვებია **ერთ** ტაქტში **ორი** სრული ბრუნი, ასევე ბრუნი ჰაერში ზეხტომისას (ჰაერში ბრუნვისას ორივე ფეხი გამართულია მუხლის სახსარში).

ხელები — II პოზიციიდან (მარჯვენა — მკერდდახურული, მარცხენა — განგაშლილი) მკერდდახურული მდგომარეობის გავლით II პოზიცია (მარცხენა — მკერდდახურული, მარჯვენა — განგაშლილი).



ცალცერზე ბრუნ

„ცალცერზე ბრუნი“ „ცალფეხზე ბრუნისაგან“ იმით განსხვავდება, რომ ერგცერის ნაცვლად ფეხი იატაკს ცერით ეხება (ცერი ფეხის მოხრილ თითებზე დგომას ნიშნავს. ამ დროს ზეტანის სიმძიმე ცერს ეყრდნობა).

ცერებზე ბრუნ


სანყისი მდგომარეობა — ფეხები გადაჭდობილია და იატაკს ცერებით ეხება (მარჯვნივ მარჯვენა ფეხის წინ, მარცხნივ ბრუნვისას — მარცხენის წინ).

ხელები — ქვეგანმკლავი, ხელები ხანჯალზე; ზეგანმკლავი ან II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ოდნავ მარჯვნივ ცერით დადგმა, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვნივს ცერზე.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ოდნავ მარცხნივ გადაინაცვლება და ცერით დადგმა.



ერთი-ორი

სამდაკვრითი ბრუნნი

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი უკან — მარჯვნივ და ერგცერით დადგმა. ერთ-დროულად ზეტანით ნახევარი ბრუნნი მარჯვნივ.

თვლა **და** — გამართული მარცხენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი მარჯვენის წინ — მარჯვნივ და ერგცერით დადგმა. ერთდროულად ზეტანით ნახევარი ბრუნნი მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი მიედგმება მარცხენას (III პოზიცია).

თვლა **და** — ყოვნა.

„სამდაკვრითი ბრუნისას“ ზეტანი შემობრუნდება მარჯვნივ 360°-ით — ერთი სრული ბრუნნი მარჯვნივ. ასევე შესრულდება მარცხნივ ბრუნნი.

ტირფდაკვრითი ბრუნნი

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი უკან — მარჯვნივ და ერგცერით დადგმა. ერთდროულად ზეტანით ბრუნნი მარჯვნივ.

თვლა **და** — გამართული მარცხენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი მარჯვენის წინ — მარჯვნივ და ერგცერით დადგმა. ერთდროულად ზეტანით ნახევარი ბრუნნი მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი უკან — მარჯვნივ და ერგცერით დადგმა. ზეტანი შემობრუნდება მეოთხედით მარჯვნივ.

თვლა **და** — მარცხენა ტერფის მარჯვენა ფეხის წინ — ერთ ნაბიჯზე დაკვრა (ფეხები მოიხრება მუხლის სახსარში).

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით და სრულდება მარცხნივ ბრუნნი.

მუხლებზე ბრუნნი

საწყისი მდგომარეობა: ფეხი — მარცხენა მუხლზე დგომი.

ხელები — მარცხენა — მკერდდახურული, მარჯვენა — განგაშლილი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ნახევარი ბრუნნი მარცხნივ, მარჯვენა ფეხის მუხლი ეხება იატაკს (ნახევარბრუნნი ორივე მუხლზე).

თვლა **ორი** — ბრუნის **მეორე ნახევარი** — მარჯვენა მუხლზე დგომი, მუხლში მოხრილი მარცხენა მთელი ტერფით ეხება იატაკს (მუხლზე ბრუნვის შემდეგ ფეხები იცვლის მდგომარეობას).

მუხლებზე ბრუნნი სრულდება მარჯვნივაც.



მუხლზე გადაბმული ბრუნი

სანჯისი მდგომარეობა: ფეხი — მარჯვენა მუხლზე დგომი, მუხლში მოხრილი მარცხენა ტერფით ეხება იატაკს.

ხელები — როგორც „მუხლზე ბრუნვისას.“


მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა მუხლით ეხება იატაკს. ტერფი უკან დაიწევს და უახლოვდება მარჯვენის წვივს.

თვლა **და** — ორივე ფეხის მუხლზე ნახევარი ბრუნი მარცხნივ.

თვლა **ორი** — ორივე მუხლზე მარცხნივ ბრუნის **მეორე** ნახევარი — მარცხენა მუხლი მოშორდება იატაკს, მარჯვენა ისევ მუხლზე რჩება.

თვლა **და** — ყოვნა.



ყაზებური // მოხეური

სვლები

ქუსლბადაბორებითი

სანჯისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.


ხელები — მკერდდახურული (მარჯვენა ფეხით შესრულებისას გულმკერდთან გაიტანება მარცხენა ხელი, მარცხენით — მარჯვენა).

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი წინ და ქუსლით დადგმა, ერთდროულად იატაკს მოშორდება მარცხენის ქუსლი (მარცხენა ფეხი ერგცერზე შედგება).

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ქუსლიდან თანდათანობით მთელ ტერფზე დადგმა, ერთდროულად მარცხენა მუხლის სახსარში მოხრა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



სანყისი

ერთი

ორი

ქუსლგადაგორებით სვლა ნახტომით

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — როგორც „ქუსლგადაგორებით წინსვლისას.“

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხით ერგცერიდან ნახტომი. ერთდროულად მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ქუსლით დადგმა.

თვლა **ორი** — ქუსლიდან მთელ ტერფზე მარჯვენა ფეხის დადგმა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი სრულდება მარცხენა ფეხით.



სანყისი

ერთი

ორი

ქუსლგადაგორებით სვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — როგორც „ქუსლგადაგორებით წინსვლისას.“


მუსიკალური ზომა — 2/4.

ტაქტის წინა თვლა **და** — მარცხენა ფეხით ერგცერიდან ნახტომი, ერთდროულად იატაკს მოშორდება მარჯვენა ტერფი, გაიტანება პირდაპირ და წვივი მოიქნევა მარცხენის წინ.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ქუსლის ნახევარი ნაბიჯით მარცხენის წინ დადგმა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ქუსლიდან მთელი ტერფით დადგმა, ერთდროულად მუხლის სახსარში მარცხენა ფეხის მოხრა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი სრულდება მარცხენა ფეხით.



სანყისი

და

ერთი

ორი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.


ხელები — მკერდდახურული (მარჯვენა ფეხით შესრულებისას გულმკერდთან გაიტანება მარცხენა ხელი, მარცხენით — მარჯვენა).

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი წინ და ქუსლით დადგმა. ერთდროულად მარცხენით ერგცერზე შედგომა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ქუსლიდან მთელ ტერფზე დადგმა, ერთდროულად მარცხენის ცერის მარჯვენის უკან დაკვრა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



სანყისი

ერთი

ორი

მუსლურა ორი ნაბიჯის დამატებით

(იხ. მთიულურის ილეთთა აღწერა)

მონეური რთულა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — მარჯვენა ფეხით შესრულებისას გულმკერდთან მარჯვენა ხელია, მარცხენით — მარცხენა.

მუსიკალური ზომა — 4/4.


თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით დაკვრა. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და წვივით გაიტანება უკან.

თვლა **ორი** — ყოვნა.

თვლა **სამი** — მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხის ერგცერით წინ დადგმა.

თვლა **ოთხი** — სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენა ფეხის ერგცერზე. ერთდროულად გამართული მარჯვენა მთელ ტერფზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



სანყისი

ერთი

ორი

სამი

ოთხი

მონეური ძრიალა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკლავი ან II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერით წინ დადგმა. ერთდროულად ადგილზე დარჩენილი მარცხენის ერგცერზე აწევა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ნახევარი ტერფით წინ გადადგმა. ერთდროულად მარჯვენა ფეხის ტერფზე დაშვება და ა.შ.

შენიშვნა: „მოხეური ქრიალა“ ცეკვა „ყაზბეგურში“ ქალის ძირითადი სვლაა.

ქუსლდაკვრით უკუსვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — ცალით ქვეგანმკლავი, მეორეთი — დონჯი.

მუსიკალური ზომა — 2/4.


თვლა **ერთი** — მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან ერგცერზე, მარცხენა — გამართული.

თვლა **და** — მარცხენა ფეხი ტერფზე სრიალით მოძრაობს უკან.

თვლა **ორი** — მარჯვენა ქუსლის დაკვრა და ტერფით დადგმა.

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



ჩაკვრები

ჭრილი ჩაკვრა

პირველი ვარიანტი (იხ. **მთიულური** — „ჭრილი ჩაკვრა“).

მეორე ვარიანტი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — მკერდდახურული მდგომარეობა.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.


პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხის ქუსლით მარცხენის წინ ნახევარი ნაბიჯით დადგმა. ერთდროულად მარცხენა მცირედ მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — დახტომა მარჯვენა ფეხზე. ერთდროულად მარცხენა ტერფის მარჯვენის უკან და მარჯვნივ დადგმა (ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — დახტომი მარცხენა ფეხზე. ერთდროულად მარჯვენა ქუსლით წინ ნახევარი ნაბიჯი (მარჯვენა ფეხი გამართულია, მარცხენა ოდნავ მოხრილია მუხლის სახსარში).

თვლა **ორი** — დახტომი მარჯვენა ფეხის მთელ ტერფზე. ერთდროულად მუხლის სახსარში მოიხრება მარცხენა და მოშორდება იატაკს.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



მესამე ვარიანტი

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — მკერდდახურული მდგომარეობა.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.


ილეთი სრულდება **ერთ-ნახევარ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ტერფით წინ და მარცხენის ცერით მარჯვენის უკან დადგმა (ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში).

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხზე დახტომა. ერთდროულად მარჯვენის ქუსლზე სრიალით წინ და მარჯვნივ გატანა (მარჯვენა გამართულია, მარცხენა მოხრილია მუხლის სახსარში).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

თვლა **ორი** — ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



მეოთხე ვარიანტი („ჭრილი ჩაკვრა ზეხტომით“)

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — II პოზიცია ან მკერდდახურული.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.


პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — ზეხტომი — ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მარჯვენა გატანილია წინ, მარცხენა — უკან. ზეხტომისას, სასურველია, ჰაერში შესრულდეს ორივე ტერფის მოქნევ-გაქნევა.

თვლა **ორი** — დახტომა მარჯვენა ტერფზე. ერთდროულად მარცხენა ფეხის ქუსლი დაიდგმება მარჯვენის წინ და ოდნავ მარცხნივ (მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში, მარცხენა — გამართული).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — დახტომა მარცხენა ფეხის ტერფზე. ერთდროულად მარჯვენა ცერით დაიდგმება მარცხენის უკან და მარცხნივ (ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში).

თვლა **ორი** — დახტომა მარჯვენა ფეხის ტერფზე. ერთდროულად მარცხენის წინ გატანა და ქუსლით დადგმა (მარჯვენა ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მარცხენა — გამართული).

მომდევნო **ორ** ტაქტზე ილეთი სრულდება პირიქით (ნახტომისას წინ მარცხენაა, უკან — მარჯვენა).



სლართულა ჩაკვრა
(იხ. მთიულურის ილეთთა აღწერა)

ჭრილი ჩაკვრა ბრუნვით

პირველი ვარიანტი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.


პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს (მარჯვენა ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მარცხენა — გამართული).

თვლა **ორი** — გამართული მარცხენა ფეხი ქუსლით დაიდგმება მარჯვენის წინ (მარჯვენა ფეხი მუხლში მოხრილი რჩება).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხით დახტომი. ერთდროულად მარჯვენა ცერით დაიდგმება მარცხენა ფეხის უკან და მარცხნივ (ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში).

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხზე ნახევარი ბრუნი მარჯვნივ. ერთდროულად მარჯვენა გაიმართება მუხლის სახსარში და ქუსლით დაიდგმება მარცხენის წინ.

მომდევნო **ორი** ტაქტი — იგივე მეორე მხარეს (ზეტანის ერთ სრულ შემობრუნებას სჭირდება ილეთის ორჯერ შესრულება).



სანყისი

ერთი

ორი

ერთი

ორი

I ტაქტი

II ტაქტი

მეორე ვარიანტი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — მკერდდახურული მდგომარეობა.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ერთ-ნახევარ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან და მარჯვნივ. ერთდროულად ზეტანი შებრუნდება მარჯვნივ (ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში).


თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ქუსლით დაიდგმება მარჯვენა ფეხის წინ (მარჯვენა ფეხი მუხლში მოხრილი რჩება).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — დახტომა მარცხენა ფეხის ტერფზე, ერთდროულად ზეტანი მეოთხედით შებრუნდება მარჯვნივ, მარჯვენა ფეხი კი ცერით დაიდგმება მარცხენის უკან და მარცხნივ.

თვლა **ორი** — ილეთი იწყება თავიდან.

ილეთის ერთხელ შესრულებისას ზეტანით ნახევარი ბრუნი.


მეორე ტაქტის ყოველი თვლა **ერთი** — ხელების მკერდდახურული მდგომარეობა (გულმკერდთან ყოველთვის მარჯვენა ხელია).



არსებობს ბრუნვის სხვა ვარიანტიც:

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი, ცერით დადგმის ნაცვლად, მოიხრება მუხლის სახსარში და წვივის უკან მოქნევით მოშორდება იატაკს. ამ დროს ბრუნი უფრო სწრაფია — ერთხელ შესრულებისას ერთი სრული ბრუნი მარჯვნივ.

ამ ვარიანტის შესრულებისას — **მეორე** ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ხელი ქვეგანმკლავით გაიქნევა მარჯვნივ, მარცხენა მოიხრება იდაყვის სახსარში და გაიტანება უკან.



სლართულა ჩაკვრა ბრუნვით

პირველი ვარიანტი

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ოთხ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა. ერთდროულად მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერის დაკვრით დადგმა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ერგცერით დაიდგმება მარცხენის ფეხის მარჯვნივ ნახევარი ნაბიჯით (მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხი ადგილზე რჩება).

თვლა **ორი** — მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხი სრული ნაბიჯით ერგცერით დაიდგმება მარჯვენის წინ.

ხელები — მკერდახურული მდგომარეობა (წინ გულმკერდთან ჯერ მარცხენა ხელია, შემდეგ — მარჯვენა).

მესამე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ტერფზე დახტომი და ზეტანის ნახევრად მარჯვნივ შებრუნება. ერთდროულად მარჯვენა გაიმართება მუხლის სახსარში და ქუსლით დაიდგმება მარცხენის წინ (სხეულის სიმძიმე მარცხენა ფეხზეა).

თვლა **ორი** — გამართული მარჯვენა ფეხის ერგცერით დადგმა ერთდროულად ნახევარი ბრუნი მარჯვნივ, მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ტერფით შეეხება მარჯვენის წვივს.


ხელები — ქვეგანმკლავი.

მეოთხე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხი ტერფის დაკვრით დაიდგმება მარჯვენის გვერდით. ერთდროულად მარჯვენის მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ტერფის დაკვრით მარცხენის გვერდით დადგმა.

ხელები — ორივე დაშვებული.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.



მეორე ვარიანტი

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ოთხ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერის დაკვრით დადგმა.

ხელები — მკერდდახურული მდგომარეობა (გულმკერდთან მარცხენა ხელია).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ერგცერით დაიდგმება მარცხენა ფეხის მარჯვნივ ნახევარი ნაბიჯით (მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხი ადგილზე რჩება).

თვლა **ორი** — მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხი ერგცერით დაიდგმება მარჯვენა ფეხის წინ სრული ნაბიჯით.

ხელები — მდგომარეობის შეცვლა (გულმკერდთან მარჯვენა მკლავია).

მესამე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ტერფზე დახტომი, მარცხენის მუხლის სახსარში გამართვა, ქუსლით მარჯვენის წინ და მარცხნივ დადგმა.

თვლა **ორი** — ორივე ფეხის ტერფზე დახტომი, ფეხები მოხრილია მუხლის სახსარში და მხრების სიგანეზე გატანილია ფეხის წვერებით გარეთ.


ხელები — ინარჩუნებენ **პირველი** ტაქტის მდგომარეობას.

მეოთხე ტაქტის თვლა **ერთი** — მცირე ზეხტომი და მარჯვნივ, მარჯვენა ფეხის ერგცერზე, სრული ბრუნი. მარცხენა ფეხი ტერფით მარჯვენის წვივს ეხება.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის გვერდით დადგმა.

ხელები — მარჯვნივ ბრუნი — მარჯვენა ხელის ზევით და მარჯვნივ გაქნევა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.



ტერფდაკვრით ცერუბომი

პირველი ვარიანტი


საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის წინ — მარჯვნივ — ნახევარი ტერფით გადადგმა და მთელი ტერფით დაკვრა. ორივე ფეხის მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის იმავე მანძილით უკან გადმონაცვლება და ცერებზე შედგომა. მარჯვენა ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მარცხენა — გამართული.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი სრულდება მარცხენა ფეხით.



მეორე ვარიანტი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — განმკლავი ან ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.


პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ნახევარი ტერფით გადაიდგმება წინ — მარჯვნივ და დაიკვრება მთელი ტერფით. ორივე ფეხი ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — ყოვნა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით განმეორებით დაკვრა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ნახევარი ტერფით უკან გადმონაცვლება და ცერებზე შედგომა (პირველი ვარიანტი).

მომდევნო ტაქტიდან ილეთი სრულდება მარცხენა ფეხით.



ბ ა ლ ა ჭ რ ა

პირველი ვარიანტი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გადაიდგმება წინ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — ზეტანის მარჯვნივ შებრუნება და მარცხენა ფეხის ტერფით მარჯვენის წინ დადგომა: ერთმანეთთან დაახლოებული ტერფები შებრუნებულია ფეხის წვერებით გარეთ, ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში.

ხელები — ქვედაშვებული.


მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ქუსლის დაკვრა. ერთდროულად მარჯვენა ფეხის ქუსლით მარჯვნივ შებრუნება და ცერებზე შედგომა. ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში. მარჯვენა ქუსლი მოშორებულია იატაკს, მარცხენა კი მთელი ტერფით ეხება.

ხელები — II პოზიცია (მოიხრება მარჯვენა).

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ქუსლის ოდნავ მარცხნივ შებრუნება და დაკვრა. ერთდროულად მარჯვენა ქუსლი შებრუნდება მარცხნივ. მარჯვენა გაიმართება მუხლის სახსარში და დაიდგმება ქუსლით. ზეტანი მთლიანად შებრუნდება მარჯვნივ.

ხელები — განმკლავი.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან და სრულდება მეორე მხარეს.



მეორე ვარიანტი

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხზე ზეტანის მეოთხედით მარჯვნივ შებრუნება — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვენა ფეხის წინ, ტერფები ერთმანეთთან დაახლოებულია და შებრუნებულია ფეხის წვერებით გარეთ, ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში.

ხელები — დაშვებული მდგომარეობიდან წინ გადაჯვარედინდება.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ქუსლის დაკვრა. ერთდროულად მარჯვენა ფეხის ქუსლით მარჯვნივ შებრუნება და ცერებზე შედგომა. ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში. მარჯვენა ფეხის ქუსლი მოშორებულია, მარცხენა კი მთელი ტერფით ეხება იატაკს.


ხელები — II პოზიცია (მოიხრება მარჯვენა).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — ოდნავ მარცხნივ შებრუნებული მარცხენა ქუსლის დაკვრა. ერთდროულად მარჯვენა ისე მოიხრება მუხლის სახსარში, რომ მარჯვენა ფეხის ტერფი მარცხენა ფეხის მუხლის სიმაღლეზე მოხვდეს. ზეტანი შებრუნდება მეოთხედით მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი ტერფით დაიდგმება მარცხენის წინ: მარჯვენა ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, მარცხენა — გამართული (სხეულის სიმძიმე გადატანილია მარჯვენაზე).

ხელები — დაუბრუნდება ქვედაშვებულ მდგომარეობას.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან და სრულდება მეორე მხარეს.



განზე სვლები

ჭლოზცერდაკპრით გვერდზე სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.


ხელები — ხანჯალზე. ყოველი თვლისას მხრების რიგრიგობით აწევ-დანევა.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ და მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ცერით დაიდგმება მარჯვენის უკან და მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ცერით დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება თავიდან.



ჭლოპილი გვერდზე სვლა ჭრილი ჩაკვრითა და ფეხცვლით

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია, ერგბუქნი.

ხელები — ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ოთხ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი წინ და მარჯვნივ (ერგბუქნი — IV პოზიცია).

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხით სრული ნაბიჯი მარჯვენის უკან და მარჯვნივ (ერგბუქნი — III პოზიცია).

მეორე ტაქტი — **პირველ** ტაქტზე შესრულებული მოძრაობა.


მესამე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და დაიდგმება მარცხენის წინ. მარცხენა ფეხი ინარჩუნებს იმავე მდგომარეობას.

თვლა **ორი** — დახტომი მარჯვენა ტერფზე. ერთდროულად მარცხენა ფეხი ცერით დაიდგმება მარჯვენის უკან და მარჯვნივ (ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში).

მეოთხე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ტერფზე დახტომა. ერთდროულად მარჯვენა გაიმართება მუხლის სახსარში და ქუსლით დაიდგმება მარცხენის წინ (მარჯვენა ფეხი გამართულია მუხლის სახსარში, მარცხენა — მოხრილი).

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის უკან მოძრაობა და მთელ ტერფზე დახტომა, ერთდროულად მარცხენის მუხლის სახსარში მოხრა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით და მოძრაობაც მარცხნივ.



ფერხული

ხელეზის მდგომარეობა

ხელიხელჩაკიდებული — ხელები ძირითადად ქვედაშვეებული (იშვიათად ზემკლავი), ასევე მოხრილი და იდაყვებში შეერთებული მხრების სიმალლეზე. იშვიათია ნეკებით ჩაკიდებული (ახასიათებს მხოლოდ მეგრულ ფერხულებს).

ხელებით მხრებზე — მარჯვენა ხელი შიგნით, მარცხენა — გარეთ.

ხელებით ქამრებში ჩაჭიდებული — მარჯვენა ხელი შიგნით, მარცხენა — გარეთ.

ხელკავი — ხელიხელგაყრილი მდგომარეობა — სხვადასხვა ვარიანტი.

ფეხის მოძრაობანი

სარხმვი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის IV პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

პირველი ტაქტი — სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენა ფეხზე და ზეტანიც მარჯვნივ გაქანდება. მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

მეორე ტაქტი — სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენა ფეხზე და ზეტანიც მარცხნივ გაქანდება. მარცხენა ერგცერიდან დაიდგმება მთელი ტერფით, მარჯვენის ქუსლი მოშორდება იატაკს და ა.შ.

ბაქანება


სანყისი მდგომარეობა — ფეხის IV პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა ორი — მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში. ქუსლის დაკვრასთან ერთად მარჯვენა მცირედ მოიხრება მუხლის სახსარში.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება მარცხენა ფეხით — მარცხნივ.



ჩვეულებრივი სვლა

„ჩვეულებრივი სვლა“ სრულდება ნაბიჯებით, იწყება მარჯვენა ფეხით და იდგმება ტაქტის ყოველ თვლაზე.

ფეხმიდგამითი სვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი მთელ ტერფზე სრიალით მიიდგმება მარჯვენასთან. ერთდროულად ორივე ფეხი ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში და ა.შ.

მარცხნივ შესრულებისას ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

წინჩაპრული


საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე, მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში. მარჯვენის ქუსლი ოდნავ მოშორდება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში ირიბად გამართვა და ჰაერში მარჯვენის წინ და მარჯვნივ გაქნევა. ერთდროულად მარჯვენა ფეხის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

მეორე მხარეს ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



უპუჩაპრული


საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ცერით მარჯვენის უკან და მარჯვნივ დადგმა. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მცირედ მოხრა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.




ცვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია (წინ გატანილია მარცხენა).

მუსიკალური ზომა — 2/4

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხი ერგცერის სრიალით მოძრაობს უკან. ერთდროულად მარჯვენა ერგცერზე სრიალითვე მოძრაობს წინ და მარცხნივ. მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან და მარჯვნივ. ერთდროულად ერგცერზე სრიალით წინ და მარჯვნივ მოძრაობს მარცხენა. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.



ცალფა და ორფა გასმურა

ცალფა გასმურა იგივე გასმაა (სადა ან მაღალი), სრულდება „საფერხულო წინჩაკრულის“ შემდეგ. გასმას ერთი ფეხით ეწოდება ცალფა გასმურა, ორივეთი — ორფა გასმურა.

წვივმოქმევით მუხლურა ბრუნვით

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ, მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს.

ხელები — თავს ზემოთ ტაშის შემოკვრა.


თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის ტერფზე მცირე ნახტომი. ერთდროულად მარცხენა მოშორდება იატაკს და მოიხრება მუხლის სახსარში. ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში მარჯვენა ფეხიც.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ტერფით დადგმა. ერთდროულად გამართული მარჯვენის წინ — ჰაერში გატანა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის გაჭიმული ტერფით ჰაერში მოხრა, ერთდროულად მარცხენაზე ნახევარი ბრუნი მარჯვნივ.

ხელები — დაშვებული.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.



ხლართულა სვლა ზეხტომით

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხის ქუსლით მარცხენა ფეხის წინ და მარცხნივ დადგმა. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში, ზეტანი შებრუნდება ოდნავ მარცხნივ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერით დადგმა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — ზეხტომი მარჯვენა ფეხით, მარჯვნივ გადმონაცვლება და მთელი ტერფით დადგმა. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში, ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა.




ბუქნურა

სანჯისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია, სრული ბუქნი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ბუქნით ოდნავი ზეხტომი. ერთდროულად ტერფების დაშორება.

თვლა **ორი** — ერგცერებზე დახტომა და ტერფების ქუსლებით შეერთება.



„ბუქნურა“ სრულდება I პოზიციაშიც — მუხლები შეერთებული.

ვაჟები მოძრაობენ გვერდზე — ხშირად მარჯვნივ.

მუხლურა წინსვლა

(იხ. ქართულის ილეთთა აღწერა — **სადა მუხლურა წინსვლა**)

რთულა წინსვლა

(იხ. ქართულის ილეთთა აღწერა — **რთულა წინსვლა**)

სადა გასმა

(იხ. ქართულის ილეთთა აღწერა — **სადა სრიალა გასმა**)

მაღალი გასმა

(იხ. ქართულის ილეთთა აღწერა — **მაღალი გასმა**)

ჭდობილი გასმა

(იხ. ქართულის ილეთთა აღწერა — **ჭდობილი გასმა**)

ჩაკრული გასმა

(იხ. ქართულის ილეთთა აღწერა — **ჩაკრული გასმა**)

მაღალჩაკრული გასმა

სანჯისი მდგომარეობა — მარცხენა ფეხზე დგომი, გამართული მარჯვენის წინ — ჰაერში გატანა.

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში. ერთდროულად მარცხენა ერგცერზე


სრიალით გადაინაცვლებს წინ და ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი ისევ გაიმართება მუხლის სახსარში. ერთდროულად მარცხენა ერგცერზე სრიალით გადაინაცვლებს უკან და მუხლის სახსარში გაიმართება.

თვლა **სამი** — ფეხები შეიცვლის მდგომარეობას: მარცხენის — წინ ჰაერში გატანა, მარჯვენის ტერფით დადგმა.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



ხორუმი

შესასვლელი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — ხელიხელჩაკიდებული და დაშვებული ან კომპურა მდგომარეობა (იდაყვში მოხრილი ხელები წინამხრებით შეერთებული და ზეანეული. იდაყვები მხრების სიმაღლეზე).

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

ხორუმის ილეთის უმრავლესობა სამმოდრაობიანია, ამიტომ ტაქტიც სამზე ითვლება:

თვლა **ერთი** — 2/8; თვლა **ორი** — 1/8; თვლა **სამი** — 2/8.

თვლა **ერთის** და **სამის მეორე მერვედი** — ძირითადად ყოვნაა. გამონაკლისი გასმურებია.

შესასვლელის მოძრაობები ასე განაწილდება:

თვლა **ერთი** — ორივე ფეხის ქუსლის დაკვრა.

თვლა **ორი** — იგივე.

თვლა **სამი** — იგივე (ერთ ტაქტში ტერფებით შეერთებული ქუსლები დაიკვრება სამჯერ).

სასვინი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ტერფებზე სრიალით მიიდგმება მარცხენასთან.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი მოშორდება იატაკს, ჯერ მოიხრება მუხლის სახსარში, შემდეგ გაჭიმული ფეხის წვერით გაიქნევა წინ — ჰაერში. ერთდროულად მარჯვენის ქუსლი შებრუნდება მარცხნივ.

ხელები — ხელიხელჩაკიდებული მოძრაობს წინ (დაახლოებით 45 °-მდე).

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხნივ.

ხელები — მოძრაობს უკან.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

სასვენის შესრულებისას მოცეკვავეთა გვერდზე, მარცხნივ ან მარჯვნივ გადაადგილება.

ჭოზსასვინი

პირველი ვარიანტი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — ხელიხელჩაკიდებული, დაშვებული.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ.

თვლა **ორი** — უკან დარჩენილი მარცხენა ფეხი გადმოინაცვლებს წინ — მარცხნივ და მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვენის გვერდით.

თვლა **სამი** — ფეხის წვერები დაშორებული, ქუსლები — შეერთებული.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — ორივე ფეხის წვერი ისევ შეერთდება.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ჯერ მოშორდება იატაკს და მოიხრება მუხლის სახსარში, შემდეგ გაჭიმული ფეხის წვერით გაიქნევა წინ — ჰაერში. ერთდროულად მარჯვენა ფეხის ქუსლი შებრუნდება მარცხნივ.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხნივ.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

მეორე ვარიანტი.

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გადაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადავა მარჯვენაზე. ზეტანი მერვედით შებრუნდება მარცხნივ, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხზე მერვედი ბრუნი მარჯვნივ (ქუსლი შებრუნდება მარცხნივ). ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხნივ.

ხელები — მოძრაობს წინ (45 °-მდე).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გადაიდგმება მარცხენის უკან და მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. ზეტანი მერვედით შებრუნდება მარცხნივ, ადგილზე დარჩენილი მარცხენა ფეხი ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხზე მერვედი ბრუნი მარცხნივ (ქუსლი შებრუნდება მარჯვნივ), ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარცხნივ.

ხელები — მოძრაობს უკან.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება თავიდან.

ფარულა — მალულა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია — ერგბუქნი. ზეტანი წინ გადაზნექილი, თავი — მარჯვნივ.

ხელები — ხელიხელჩაკიდებული, ქვეწინმკლავი.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

თვლა **ერთი** — ტერფებზე სრიალით ფეხები გაიშლება მხრების სიგანეზე (მარჯვენა ნახევარი ნაბიჯით მოძრაობს მარჯვნივ, მარცხენა — მარცხნივ).

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი ტერფებზე სრიალით ოდნავ მიიწევა მარცხენასაკენ. ერთდროულად მუხლში მოხრილი მარცხენა ტერფით გადაიტანება მარჯვენა წვივისაკენ.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხი უმოძრაოდ რჩება, მარცხენა დაიდგმება მარჯვენა ტერფის წინ და მარჯვნივ.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ჩოქმალულა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია — ერგბუქნი. ზეტანი წინ გადაზნექილი, თავი — მარჯვნივ.

ხელები — როგორც „ფარულა.“

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

თვლა **ერთი** — ტერფებზე სრიალით ორივე ფეხი გაიშლება განზე. ერთდროულად მარცხენა ფეხის მუხლი დაეშვება იატაკზე (ჩოქვა).

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი ტერფზე სრიალით ოდნავ მიინევა მარცხენისაკენ. ერთდროულად მუხლში მოხრილი მარცხენა მოშორდება იატაკს და ტერფით გადაიტანება მარჯვენა წვივისაკენ.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხი უმოძრაოდ რჩება, მარცხენა დაიდგმება მარჯვენა ტერფის წინ და მარჯვნივ.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

საფრთხილო

„საფრთხილო“ მოსდევს „ფარულას“.

ხელები — როგორც „ფარულა“.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის წინ გატანა და გამართული ფეხის წვერით თავისუფლად დადგმა, მარცხენა მოხრილია მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და დაიდგმება მარცხენის უკან, მუხლში მოხრილი მარცხენა ადგილზე უმოძრაოდ რჩება.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან, ფეხები მოხრილია მუხლის სახსარში.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ჩოქვით მუხლმოქნევი

საწყისი მდგომარეობა — ფეხის IV პოზიცია.

ხელები — ხელჩაკიდებული და დაშვებული.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

თვლა **ერთი** — ფეხის წვერებით შებრუნება მარჯვნივ. ერთდროულად დაშვება მარცხენა ფეხის მუხლზე.

თვლა **ორი** — ნახევარი ბრუნის მარცხნივ და მუხლების მდგომარეობის შეცვლა (იატაკზე დაემ-ვეება მარცხენა მუხლი).

დაბალი გასმურა

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომი, მარჯვენა გატანილია წინ — ჰაერში.

ხელები — ხელჩაკიდებული და ზეანეული.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

გასმურები სამზე მეტ მოძრაობას შეიცავს, ამიტომ ტაქტი ხუთზე ითვლება:

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერებზე სრიალით შეეხება იატაკს და გადაინაცვლებს უკან. მარცხენა ერგცერებზე სრიალით მოძრაობს წინ.

თვლა **ორი** — ფეხები ერგცერებზე სრიალითვე შეიცვლიან მდგომარეობას (წინ — მარჯვენა, უკან — მარცხენა).

თვლა **სამი** — ფეხები ერგცერზე სრიალით ისევ შეიცვლიან მდგომარეობას (წინ — მარცხენა, უკან — მარჯვენა).

თვლა **ოთხი** — ფეხები ისევ შეიცვლიან მდგომარეობას იმ განსხვავებით, რომ მარჯვენა წინ — ჰაერში საწყის მდგომარეობაში გავა.

თვლა **ხუთი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

სტომბასმურა

„სტომბასმურისას,“ „დაბალი გასმისაგან“ განსხვავდებით, ყოველი თვლა **ერთი** — სრულდება ზეხტომი.

ბასმურა ტერფომოქნევით

„გასმურა ტერფომოქნევით“ იგივე „დაბალი გასმურა,“ მხოლოდ **მეხუთე** თვლაზე ყოვნის ნაცვლად სრულდება მარჯვენა ტერფის მოქნევე-გაქნევა მარცხენის წინ და მარცხნივ.

ნანოლგასმურა

„ნანოლგასმურა“ სრულდება „ფარულას“ შემდეგ უკუსვლის მსგავსად:

ხელები — ხელჩაკიდებული და ზეანეულია.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან.

თვლა **ოთხი** — მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან.

თვლა **ხუთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით გადაინაცვლებს მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად ზეტანიც მეოთხედით მარცხნივ შებრუნდება.

ბუქნურა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

თვლა **ერთი** — სრული ბუქნი ერგცერებზე.

ხელები — ხელჩაკიდებული — წინმკლავი.

თვლა **ორი** — ბუქნიდან მარჯვენა ფეხზე ადგომა (მარჯვენის მუხლის სახსარში გამართვა და ერგცერით დაკვრა. ერთდროულად მარცხენის წინ — ჰაერში გატანა).

ხელები — დაშვებული.

თვლა **სამი** — იცვლება ფეხების მდგომარეობა: წინ — ჰაერში — გადის მარჯვენა, ერგცერით იდგმება მარცხენა და ა.შ.

პირველ პოზიციაში ბუქნების შესრულებისას მუხლები შეერთებულია. „ბუქნურა“ შეიძლება შესრულდეს III პოზიციაშიც — გაშლილი მუხლებით ან გადაჭდობილი — გადაჯვარედინებული ტერფებით.

ბუქნურა ფეხბაღმით

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია — ბუქნი. **ხელები** — ხელჩაკიდებული — განმკლავი.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხის წინ — მარჯვნივ გატანა და ქუსლით თავისუფლად დადგმა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ერგცერით მარცხენა ტერფის გვერდით დაკვრა. ერთდროულად მოშორდება იატაკს მარცხენა ტერფი.

თვლა **სამი** — ერგცერის დაკვრით მარცხენა ფეხის დადგმა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

„ბუქნურა ფეხბაღმით“ სრულდება „ფარულას“ შემდეგ.

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

თვლა **ერთი** — ადგილზე სრული ბუქნი.

ხელები — ხელიხელჩაკიდებული, ქვეგანმკლავი,

თვლა **ორი** — ადგომასთან ერთად გამართულ მარჯვენა ერგცერზე მარჯვნივ სრული ბრუნი.

ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის გვერდით დადგმა.

ხელები — სხეულის გასწვრივ.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ქობულეთური ჩაპრული

სანყისი მდგომარეობა — დგომა მარცხენა ფეხზე, მარჯვენა მოხრილი და წვივით უკან გატანილი.

ხელები — ხელიხელჩაკიდებული — ზეანეული.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ქუსლით დაიდგმება მარცხენის წვერთან, მარცხენა ადგილზე უმოძრაოდაა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი ქუსლიდან ერგცერზე სრიალით მოძრაობს უკან. ერთდროულად ერგცერზე სრიალით მოძრაობს წინ მარცხენაც და მარჯვენის წვერთან ქუსლზე შედგება.


თვლა **სამი** — ფეხების ერთდროულად მხრების სიგანეზე გაშლა (IV პოზიცია).

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით გადმოინაცვლებს მარცხნივ. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და წვივი გადაინაცვლებს მარჯვენის წინ და მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და გავა წინ — ჰაერში. ერთდროულად მარჯვენა ერგცერზე სრიალით მცირედ გადაინაცვლებს უკან.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება სხეულის გასწვრივ. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.



სანყისი

ერთი

ორი

სამი

ერთი

ორი

სამი

I ტაქტი

II ტაქტი

ჩახვეული

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — ხელჩაკიდებული — ზემკლავი.

მუსიკალური ზომა — 5/4 ან 5/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ერგცერზე მცირე ნახტომი წინ. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში, აიწევა ზევით და ერგცერით მიმდევრობით დაიდგმება მარცხენის უკან და მარცხნივ.

თვლა **ორი** — ნახტომი მარჯვენა ფეხის ერგცერზე. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და მოშორდება იატაკს.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხის ერგცერით მარჯვენის უკან და მარჯვნივ დადგმა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ქუსლით ჩაიკვრება წინ — ჰაერში. ერთდროულად მცირე ნახტომი მარცხენა ფეხის ერგცერზე.

თვლა **ორი** — დახტომა მარჯვენა ფეხის ტერფზე. ერთდროულად მოიხრება და იატაკს მოშორ-

დება მარცხენა ფეხი.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგება მარჯვენის გვერდით. მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ჩაქოლვა

ჩაქოლვა სრულდება **ორ** ტაქტში.

ხელები — ხელიხელჩაკიდებული — ზემკლავი.

პირველი ტაქტი — „ფარულა.“

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და ქუსლით ჩაიკვრება წინ და მარცხნივ — ჰაერში. ერთდროულად მცირე ნახტომი მარცხენა ერგცერზე.

თვლა **ორი** — დახტომა მარჯვენა ტერფზე. ერთდროულად მოიხრება და იატაკს მოშორდება მარცხენა ფეხი.

თვლა **სამი** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის გვერდით დადგმა.

განდაგანა

მიდგმითი სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია — ერგცერები. **ხელები** — II პოზიცია. სრული ხელსართავები სხვადასხვა თვლაზე (ორი, ოთხი, რვა).

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხის ერგცერით ნახევარი ნაბიჯით მარჯვნივ გადადგმა და ერგცერზე სრიალით მარცხენის მარჯვენასთან მიდგმა.

თვლა **და** — ყოვნა.

ტაქტის **მეორე ნახევარი ორი და** — თვლა **ერთი** და ა.შ. (მარცხნივ მოძრაობა სრულდება როგორც მარჯვნივ).

„მიდგმითი სვლა“ სრულდება ტერფებზეც. არის ასეთი ვარიანტი: მუხლის სახსარში მოხრილი მარჯვენა ფეხი ერგცერით ეხება იატაკს, მარცხენა — ტერფით. ამ ილეთით შეიძლება გვერდზე (მარჯვნივ, მარცხნივ), წინ და უკან მოძრაობა.

საგანდაგანო მუხლურა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია — ერგცერები. **ხელების** მდგომარეობა — ქვეგანმკლავი — უკან გატანილი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ერგცერზე ნაბიჯი წინ, ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა **და** — მარჯვენა ფეხის ერგცერზე ნახტომი. ერთდროულად მარცხენის მუხლის სახსარში მოხრა, ოდნავ მოიხრება საყრდენი მარჯვენა ფეხიც.

თვლა **ორი-და** — ილეთი სრულდება მარცხენა ფეხით.

უკუჩახვევით სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — ქვედაშეხებულია და უკან გატანილი ან რიგრიგობით: ყოველი თვლა — ერთი მკლავი დოინჯით, მეორე — ქვეგანმკლავით.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხი ტერფზე სრიალით მოძრაობს წინ. ერთდროულად მარჯვენა

ერგცერით დაიდგმება მარცხენის უკან. ორივე ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში, ქუსლები შებრუნებულია შიგნით.

თვლა **ორი** — ილეთი სრულდება მარცხენა ფეხით და ა.შ.

ხანდახან მეორე ფეხი ჩაიდგმება უკან და სხეულიც თანდათანობით უკან გადაინაცვლებს.

ქუსლდაკვრითა და უკუჩახვევით სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — მოძრაობს მხრებთან ერთად — განმკლავი ან ქვეგანმკლავი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხი ქუსლით დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლში და იატაკს მოშორდება მარცხენა ქუსლი.

თვლა **ორი** — სხეულის სიმძიმე მთლიანად გადაინაცვლებს მარჯვენა ფეხის ქუსლზე. მარცხენა მოშორდება იატაკს და ერგცერის დაკვრით ისევ დაიდგმება.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — „უკუჩახვევით სვლა“ მარჯვენა ფეხით.

თვლა **ორი** — „უკუჩახვევით სვლა“ მარცხენა ფეხით.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ცალფეხბასმურა

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომა. მარჯვენა მოცილებულია იატაკს და გამართული გატანილია წინ — ჰაერში.

ხელები — „ცალფეხბასმურას“ ერთხელ შესრულებისას ხელები წინ — გულმკერდთან — გადაჯვარედინდება, მეორედ — განზე გაიშლება და ა.შ.

მუსიკალური ზომა — 2/4.


თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე მცირე ზეხტომ-დახტომი. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში, შემდეგ ისევ გაიმართება.

თვლა **და** — ფეხები შეიცვლიან მდგომარეობას: წინ — ჰაერში გავა მარცხენა, მარჯვენა მთელი ტერფით დაიდგმება სხეულის გასწვრივ.

თვლა **ორი** — ფეხები ისევ შეიცვლიან მდგომარეობას — წინ ჰაერში ისევ მარჯვენა გავა.

თვლა **და** — ყოვნა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.



მუხლმოქნევითა და ქუსლბაკვრით ჩაპრული

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომა, მუხლში მოხრილი მარჯვენა ერგცერით ეხება იატაკს.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის მუხლის მარჯვნიდან მარცხნივ მოქნევა და მარჯვენა ქუსლის დაკვრა. ერთდროულად წინ ჰაერში გაიტანება გამართული მარცხენა ფეხი (ამ დროს მარჯვენაც გაიმართება მუხლის სახსარში).

თვლა **ორი** — ფეხები შეიცვლიან მდგომარეობას — მთელი ტერფით სხეულის გასწვრივ დაიდგმება მარცხენა ფეხი, მარჯვენა გაჭიმული ერგცერით წინ — ჰაერში გავა.

ხელები — I პოზიცია.

მეორე ტაქტი — „ცალფეხგასმურა“.

ხელები — გულმკერდთან გადაჯვარედინებული.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ცერდაკვრითა და წვივბაქწვიით ჩაპრული

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომი. მარჯვენა გატანილია წინ — ჰაერში.

ხელები — განმკლავი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა ერთი — მარჯვენა ტერფის დაკვრით დადგმა. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ერგცერით მარჯვენა ფეხის წინ და მარჯვნივ დაიდგმება.

თვლა **ორი** — ფეხები შეიცვლიან მდგომარეობას: სხეულის გასწვრივ მთელი ტერფით მარცხენა ფეხის დადგმა, მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და ერგცერით მარცხენის წინ და მარცხნივ დაიდგმება.

მეორე ტაქტის თვლა ერთი — მარჯვენა ფეხი მოშორდება იატაკს და, მარცხენაზე მცირე ზეხტომ-დახტომით, ჯერ მოიხრება მუხლის სახსარში, შემდეგ გაიმართება.

თვლა **ორი** — თვლა **ერთზე** შესრულებული მოძრაობა.

მომდეგო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ქუსლცერა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — წინმკლავი — გადაჯვარედინებული.

თვლა **ერთი** — გამართული მარჯვენა ფეხი ქუსლით დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ. მარჯვენა ფეხის წვერი შებრუნებულია მარჯვნივ, მარცხენა ოდნავ მოხრილი მუხლის სახსარში.

თვლა **და** — მარცხენა ტერფის დაკვრა.

თვლა **ორი** — მარჯვენა მუხლი მოიხრება მუხლის სახსარში, შემობრუნდება ქუსლით მარჯვნივ და წვერით დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ.

თვლა **და** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ჭდობილი გვერდზე სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია (ერგცერები).

ხელები — II პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გადაიდგმება ერგცერით მარცხენის წინ და მარცხნივ.

თვლა **და** — მარცხენა ფეხი გადაიდგმება ერგცერით მარცხნივ.

თვლა **ორი-და** — იგივე და ა.შ.

„ჭდობილი სვლა“ მარჯვნივ იწყება მარცხენა ფეხით.

მუსლცვლა ერგცერში

საწყისი მდგომარეობა — ფეხის IV პოზიცია.

ხელები — გარექვემკლავი, უკუმლავი, წინმკლავი (გადაჯვარედინებული).

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — ორივე ფეხის მუხლში ნახევრად მოხრა და ქუსლების მარცხნივ შებრუნება.

თვლა **ორი** — მუხლში მოხრილი ფეხები შეიცვლის მდგომარეობას (ქუსლები შებრუნდება მარჯვნივ) და ა.შ.

ამ ილეთით მოცეკვავე თანდათანობით მოძრაობს წინ.

სამაია

რბილი სვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — ქვეგანმკლავი.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ — ფეხი იატაკს ჯერ ერგცერით შეეხება, შემდეგ — მთელი ტერფით.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ და ა.შ.

სამნაბიჯიანი წინსვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — III პოზიცია (ხელსართავეებით) ან I პოზიციიდან (ხელსართავეებით) რიგრიგობით მკერდდახურული მდგომარეობა და პირიქით.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ — ფეხი იატაკს ჯერ ერგცერით შეეხება, შემდეგ — მთელი ტერფით.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ მარჯვენის მსგავსად.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ **თვლა ერთის** მსგავსად.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

„სამნაბიჯიანი წინსვლა“ შეიძლება ერგცერებზეც შესრულდეს.

სამნაბიჯიანი წინსვლა ფეხბაღბით

სანყისი მდგომარეობა — ფეხების I პოზიცია.

ხელები — როგორც „სამნაბიჯიანი წინსვლისას“.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი-ორი** — „სამნაბიჯიანი სვლის“ მსგავსი ორი ნაბიჯი.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი, მარცხენა გავა წინ და ზეტანი ოდნავ შებრუნდება მარცხნივ. მარცხნივ შებრუნდება გამართული მარცხენა ფეხის წვერი და მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ქუსლმოქნევით გვირღუე სვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — ორივე ფეხის ქუსლი შებრუნდება მარცხნივ.

ხელები — ორივე მკლავის მცირე ხელსართავეებით მარჯვნივ გატანა.

თვლა **ორი** — ორივე ფეხის წვერის მარცხნივ შებრუნება და ა.შ.

ხელები — I პოზიცია — ნები ზემოთ

მეორე ტაქტის თვლა ერთი — ზემკლავი.

თვლა **ორი** — „ირმულა“ მდგომარეობა ხელსართავეებით.

შენიშვნა: დასაშვებია ხელების სხვაგვარი მოძრაობა-მდგომარეობაც.

შინაპირბილ

უკუფენჩაღმით გვერდზე სვლა

სანყისი მდგომარეობა — გამართულ მარჯვენა ფეხზე დგომი, მარცხენა ფეხი ოდნავ მოხრილია მუხლის სახსარში. მარცხნივ მოძრაობისას სანყის მდგომარეობაში მოიხრება მარჯვენა ფეხი.

ხელები — ხელიხელგაყრილი (ხელკავი).

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ერგცერით დაიდგმება მარჯვენის უკან და მარჯვნივ. ერთდროულად გამართული მარჯვენა გაიტანება ოდნავ წინ და მარჯვნივ.

თვლა **ორი** — გამართული მარჯვენა ფეხი ერგცერით დაიდგმება მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე. მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში და გადაიტანება მარჯვნივ.

თვლა **სამი-ოთხი** — იგივე.

ფეხცვლა

„ფეხცვლა“ მარჯვნიდან მარცხნივ გადასვლისას:

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ერგცერით დაიდგმება მარჯვენის უკან და მარჯვნივ. ერთდროულად გამართული მარჯვენა მოშორდება იატაკს.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი დაიდგმება მარცხენის გვერდით.

თვლა სამი — მარცხენა ფეხით გადაიდგმება ნაბიჯი წინ. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა ოთხი — ყოვნა.

მარცხნიდან მარჯვნივ გადასვლისას ილეთი სრულდება პირიქით.

რამაიდა

ქუსლურა წინსვლა (სვანური ვარიანტი)

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ხელები — მამაკაცთა ხელები ხანჯალზე. ქალის მარცხენა მკლავი ხელკავით, მარჯვენა დაშვებულია და გატანილია ოდნავ განზე ან იდაყვის სახსარში მოხრილი და ზეანეული.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის წინ ქუსლით დადგმა.

მარცხენა მთელ ტერფზე სრიალით მიიტანება მარჯვენასთან.

თვლა **ორი** — დახტომა მარჯვენა ტერფზე. ერთდროულად მუხლის სახსარში მოიხრება მარცხენა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

მუსლურა წინსვლა

(იხ. სადა მუხლურა წინსვლის აღწერა)

„მუხლურა წინსვლის“ მარჯვენა ფეხით შესრულებისას, მარჯვენა ხელი თანდათანობით მოიხრება იდაყვის სახსარში და მოძრაობს წინ. მარცხენათი — მარჯვენა გაიმართება იდაყვის სახსარში და გადაინაცვლებს უკან.

მარჯვენა ხელის მოძრაობისას მარცხენა ხანჯალზე დევს.

ცერული

ცერდაქნევიტ ჩაკვრა

სანყისი მდგომარეობა — მარცხენა ფეხზე დგომი, მარჯვენის მუხლის სახსარში მოხრა და უკან გატანილი, ტერფი — გაჭიმული.


ხელები — ორივე ხელი ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი, წვივის დაქნევით, მოძრაობს წინ, გაუსწორდება მარცხენას და ორივე ფეხზე შესრულდება ტყუპცერშედგომი.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ცერიდან მთელ ტერფზე დახტომისას მარჯვენა ისევ მოშორდება იატაკს, მოიხრება მუხლის სახსარში და გადაინაცვლებს უკან (თვლა **ორი** — ფეხები დაუბრუნდება სანყის მდგომარეობას) და ა.შ.

„ცერდაქნევიტ ჩაკვრის“ მეორე ვარიანტი: ცერებზე შედგომისას ფეხის ტერფები დაშორებულია მხრების სიგანეზე, ქუსლები შებრუნებულია გარეთ. შეიძლება მარჯვენა ოდნავ წინ უსწრებდეს მარცხენას.



ცერდაქნევიტ ჭლოზჩაკვრა


სანყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომი, მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში და გატანილია უკან, ტერფი — გაჭიმული.

ხელები — ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — წვივის დაქნევით მარჯვენა ფეხი გაიტანება მარცხენის უკან და მარცხნივ. ერთდროულად ცერებზე შედგომა (ორივე ფეხი გამართულია მუხლის სახსარში და გადაჭდობილია მარცხენა ფეხით წინ).

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ცერიდან მთელ ტერფზე დახტომა. მარჯვენა ისევ მოიხრება მუხლის სახსარში და გაიტანება უკან (როგორც სანყისი მდგომარეობის დროს) და ა.შ.



ფეხშლილი ჩაკვრა

(იხ. მთიულურის ილეთთა აღწერა)

არსებობს „ფეხშლილი ჩაკვრის“ განსხვავებული ვარიანტიც — გადაჭდობისას ერგცერებით დგომი. დამახასიათებელია ცერილეთებისათვის.

საწყისი მდგომარეობა — ფეხის IV პოზიცია.

ხელები — ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.

ტაქტის **პირველი ნახევარი (ერთი და)** — „ფეხშლილი ჩაკვრა“.

თვლა **ორი** — ცერებიდან მარცხენა ფეხზე დახტომა. (მარცხენის მუხლში ოდნავ მოხრა). ერთდროულად მარჯვენა ჰაერში ირიბად გაიტანება წინ — ოდნავ მარჯვნივ. მარჯვენა გამართულია მუხლის სახსარში, ტერფი — გაჭიმული.

თვლა **და** — მარჯვენა ფეხის სხეულის გასწვრივ დადგმა. ერთდროულად სიმძიმე გადაინაცვლებს მარჯვენაზე, მარცხენა ჰაერში ირიბად წინ — მარცხნივ გაიტანება.

შემდეგ ისევ „ფეხშლილი ჩაკვრა“ — ილეთი სრულდება მეორე ფეხით.

ცალცერზე რბენი


საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომა. მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში — უკან.

ხელები — ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ცერით დაიდგმება წინ, ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში — უკან.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ტერფით დაიდგმება წინ. ერთდროულად მუხლის სახსარში მოიხრება მარჯვენა. ილეთი სრულდება რბენით.



საწყისი

ერთი

ორი

ცერებზე რბენი

საწყისი მდგომარეობა — მარცხენა ფეხზე დგომა. მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში — უკან.

ხელები — ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ცერით დაიდგმება წინ. ერთდროულად მარცხენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში უკან.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და ცერით დაიდგმება წინ. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში უკან.

ილეთი სრულდება რბენით.

ცერდაკვრით უკუსვლა


საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია — დაბალ ერგცერებზე დგომა.

ხელები — ხანჯალზე.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ქუსლის დაკვრითა და ტერფზე სრიალით გადაინაცვლებს უკან. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში და ცერის დაკვრით გადაინაცვლებს წინ.

თვლა **ორი** — ილეთი სრულდება პირიქით.



სანყისი

ერთი

ორი

არსებობს „ცერდაკვრითი უკუსვლის“ განსხვავებული ვარიანტიც: ცერის დაკვრისას ფეხები მოხრილია მუხლის სახსარში, მუხლები შეერთებული, ქუსლი შებრუნებულია გარეთ (შესაბამისად).

ს ი მ დ ი

ტირფბაკვრით წინსვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია (ერგცერები).

ხელები — ქვედაშვებული.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერით გადაიდგმება წინ — ნახევარი ნაბიჯით.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ერგცერით გადაიდგმება წინ — ნახევარი ნაბიჯით.

თვლა **სამი** — როგორც თვლა **ერთი**.

თვლა **ოთხი** — მარცხენა ფეხი ერგცერის გაკვრით გაიტანება წინ — ჰაერში.

შემდეგი ტაქტის **ოთხი** თვლა — ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — **ოთხი** თვლა — მარჯვენა ხელი ქვედაშვებული მდგომარეობიდან, განმკლავის გავლით, მოიხრება გულმკერდთან.

ხელები — **ოთხი** თვლა — გულმკერდიდან, განმკლავის გავლით, ქვემკლავი.

ხელები (ქალი) — **ოთხი** თვლა — გარექვემკლავიდან მარჯვენა ხელი წინ — ირიბად — 45°-ზე მოიხრება იდაყვის სახსარში.

შემდეგი **ოთხი** თვლა — დაუბრუნდება სანყის მდგომარეობას.

მოძრაობა სრულდება მცირე ხელსართავებით.

ჭდობილი გვერდზე სვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია (ერგცერები).

ხელები — **ქალი** — გარექვემკლავი; **ვაჟი** — ქვემკლავი.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერით გადაიდგმება წინ და მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ერგცერით დაიდგმება მარჯვენის უკან ჭდობილად და ა.შ.

მარცხნივ მოძრაობისას ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

შენიშვნა: „ჭდობილი გვერდზე სვლისას“ ქალ-ვაჟის მკლავები ძირითადად უმოძრაოდაა.

არსებობს მკლავების განსხვავებული მოძრაობაც: მარჯვნივ მოძრაობისას **ვაჟი** მარჯვენა მკლავს მკერდახურული მდგომარეობიდან ჯერ განზე გაიტანს, შემდეგ თანდათანობით ქვემოთ დაუშვებს. მარცხნივ მოძრაობისას — პირიქით.

ქალი: მარჯვნივ მოძრაობისას, გარექვემკლავიდან, მარცხენა მკლავი გულმკერდთან მოიხრება და ისევ დაუბრუნდება სანყის მდგომარეობას. მარცხნივ მოძრაობა იწყება მარცხენა ხელით.

მიპატიჟება

ფეხმიდგომითი სვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია (ერგცერები).

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერით ნაბიჯი წინ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერით ნაბიჯი წინ.

თვლა **სამი** — მარჯვენა ერგცერზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

თვლა **ოთხი** — მარცხენა ფეხის ერგცერით ნაბიჯი წინ.

მომდევნო თვლაზე მოძრაობა იწყება ისევ მარჯვენა ფეხით.

ხელები: თვლა **სამი** — მარჯვენა ხელი ქვედაშეკრული მდგომარეობიდან, განმკლავის გავლით, მოიხრება გულმკერდთან.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტი — მარცხენა ხელი მოძრაობს მარჯვენის მსგავსად. მარჯვენა ტაქტის დასაწყისშივე — ქვედაშეკრული.

„ფეხმიდგომითი სვლის“ სხვა ვარიანტები: მარცხენა ერგცერზე სრიალით მესამის ნაცვლად მიედგმება **მეოთხე** და **მეორე** თვლაზე.

მისაპატიჟებელი

საწყისი მდგომარეობა — ფეხების I პოზიცია (ერგცერები).

ხელები — დაშვებული.

მუსიკალური ზომა — 4/4.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერით გადაიდგმება წინ.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ერგცერით გადაიდგმება წინ.

თვლა **სამი** — გამართული მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

თვლა **ოთხი** — მარცხენა ფეხი ერგცერით გადაიდგმება უკან.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხი ერგცერით გადაიდგმება უკან.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი ერგცერით გადაიდგმება უკან.

თვლა **სამი** — მარჯვენა ფეხი გადაინაცვლებს უკან, ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში და ერგცერით დაიდგმება მარცხენის წინ — მარცხნივ.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან იგივე.

ხელები:

პირველი ტაქტი — მარცხენა მკლავი თანდათანობით მოიხრება იდაყვის სახსარში 90°-ით, მარჯვენა — დაშვებული.

მეორე ტაქტი — ხელების მდგომარეობის შეცვლა.

სხვა ვარიანტი: წინამხარი გულმკერდის წინაა.

სამდაკვრითი წინსვლა

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია — ერგცერები.

ხელები: ქალი — II პოზიცია; ვაჟი — III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერით დაკვრა, ერთდროულად მარცხენის ერგცერის აწევა.

თვლა **და** — ყოვნა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერით წინ დადგმა.

თვლა **და** — მარცხენა ფეხი ერგცერზე სრიალით მიედგმება მარცხენას.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

სამდაკვრითი წინსვლა ცერებზე

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია — ერგცერები.

ხელები — გარეზემკლავი, II ან III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით მოკლე ნაბიჯი წინ — ცერით.

თვლა **და** — ყოვნა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხით მოკლე ნაბიჯი წინ — ცერით.

თვლა **და** — მარჯვენა ფეხი ცერზე სრიალით მიიდგმება მარცხენასთან.

მომდევნო ტაქტზე ილეთი იწყება მარცხენა ფეხით

ცერებზე ორდაკვრიტი უკუსვლა

(იხ. მთიულურის აღწერა)

შ ა რ ა თ ი ნ ი

მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით

(იხ. მთიულურის აღწერა)

შენიშვნა: ცეკვა „შარათინში“ მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით შეიძლება ერგცერზე შეხტომით შესრულდეს.

ხელები — თვლა **ერთი, ორი, სამი** — მკერდდახურული მდგომარეობიდან ორივე მკლავის დაქნევით ქვეგანმკლავი.

თვლა **ოთხი** — მარცხენა ფეხის მოხრა, მარცხენა მკლავის მკერდდახურული მდგომარეობა, მარჯვენის უკუმკლავი.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — ფეხების მოძრაობის შესაბამისად.

ქალები „მუხლურას ორი ნაბიჯის დამატებით“ ერგცერით ნაზად ასრულებენ.

ხელები — ხელის ზურგით დოინჯი.

ტერფდაკვრიტი ჩაკრული

საწყისი მდგომარეობა — ფეხების | პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხით, ქუსლის მარჯვნივ შებრუნებით, ნახტომი. მარჯვენა ფეხის ერგცერით დაკვრა და მარცხენის უკან — მარჯვნივ დადგმა (ფეხები მოხრილია მუხლის სახსარში და ქუსლებით მარჯვნივ შებრუნებული).

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის ერგცერით დაკვრა, ერთდროულად მარჯვენის წინ გატანა.

თვლა **სამი** — ფეხები შეიცვლიან მდგომარეობას.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება თავიდან.

ილეთის მარჯვენა ფეხით შესრულებისას ზეტანი თანდათანობით შებრუნდება ოდნავ მარჯვნივ, მარცხენით — მარცხნივ.

ვაჟის ხელების მოძრაობანი „მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით“ მსგავსია.

ქალის ხელების მოძრაობა ვაჟისნაირია, მხოლოდ „ამპლიტუდაა“ შემცირებული.

ტარფდაკვრითი ჩაკრული პრუნით

საწყისი მდგომარეობა — ფეხების I პოზიცია

ხელები — მკერდდახურული მდგომარეობის ცვლა (ერთი — მკერდდახურული, მეორე — გარეექვემკლავი).

მუსიკალური ზომა — 4/4.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხის ერგცერით ნახტომი და დაკვრა, მარჯვენა ფეხის უკან — მარცხნივ ჩადგმა.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხზე ზეხტომი ნახევარი ბრუნით მარცხნივ და მარცხენის მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა **სამი** — მარცხნივ ნახევარი ბრუნი და მარცხენა ფეხის ერგცერით დადგმა. ერთდროულად მარჯვენის მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა **ოთხი** — ყოვნა.

ტარფდაკვრით ცერუდგომი

(იხ. **მოსურის** ილეთთა აღწერა)

ფეხშლილი ჩაკვრა

(იხ. **მთიულურის** ილეთთა აღწერა)

ტყუპცერუდგომი

(იხ. **მთიულურის** ილეთთა აღწერა)

წვივდაქნევით ცალცერუდგომი

(**ცალცერდაკვრა**)

საწყისი მდგომარეობა — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომი. მარჯვენა მოხრილია მუხლის სახსარში და წვივით გატანილია უკან.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მუხლის სახსარში გამართული მარჯვენა ფეხის ერგცერით დადგმა და მარცხენის მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა ორი — ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში გამართვა და ცერით დადგმა. ერთდროულად მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა **ორი** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — **პირველი** ტაქტი — ქვედაშეებული მკლავების თავისუფალი მოძრაობა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — III პოზიცია.

ცალცერუხი ხტომით სვლა

საწყისი მდგომარეობა — მარჯვენა ფეხის ცერზე დგომი. მუხლის სახსარში მოხრილი მარცხენა გატანილია წინ.

მუსიკალური ზომა — 2/4.

თვლა ერთი — მცირე წინხტომი მარჯვენა ფეხის ცერზე. ერთდროულად წინ მარცხენა წვივის ოდნავ მოქნევა-გაქნევა და ა.შ.

თითოეულ თვლაზე (**და, ორი, და**) ცალცერზე ხტომით მოძრაობა წინ.

ხელები — მარცხენა ნებით ეხება მარცხენა ბარძაყს, მარჯვენით — დოინჯი.



ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა
(იხ. მთიულურის აღწერა)

განბიჯით ჩაკვრა (აფხაზური ვარიანტი)

განბიჯით ჩაკვრის აფხაზურ ვარიანტში, მთიულურისაგან განსხვავებით, ჯერ სრულდება ტყუპცერზე შეხტომი, შემდეგ ნაბიჯი მარჯვნივ ან მარცხნივ:

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — ფეხის I პოზიცია, ტერფებზე დახტომი და ფეხების მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

თვლა **ორი** — ზეხტომთან ერთად ცერებზე შედგომა და ორივე ფეხის მუხლის სახსარში გამართვა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ტერფზე დახტომა, ერთდროულად გამართული მარცხენა ფეხის ჰაერში გატანა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა.

მომდევნო ტაქტზე ილეთი ისევ ტერფებზე დახტომითა და ცერებზე შედგომით იწყება, იმ განსხვავებით, რომ ცერებიდან დახტება მარცხენა ფეხი. ილეთის რამდენიმეჯერ შესრულებისას ცერებზე დგომიდან ხან ერთი ფეხი გაიტანება წინ — ჰაერში, ხან — მეორე.

„განბიჯით ჩაკვრა“ (აფხაზური ვარიანტი) მაჯვნივ და მარცხნივ ოდნავი შებრუნებით სრულდება.

ხელები — მკერდდახურულ მდგომარეობაში ცვლა.

განბიჯით ჩაკვრა ცალცერზე ბრუნით

სანყისი მდგომარეობა — ფეხების III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. მარცხენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

თვლა ორი — მარცხენა ფეხი გადაინაცვლებს მარჯვნივ. ერთდროულად ტერფებზე დახტომა და ფეხის წვერების გარეთ შებრუნება. მუხლის სახსარში ორივე ფეხის ნახევრად მოხრა.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — ზეხტომთან ერთად მარჯვენა ფეხის ტერფზე შედგომა, ერთდროულად მარცხენის იატაკისათვის მოშორება და მუხლის სახსარში მთლიანად მოხრა.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე დახტომა, ერთდროულად გამართული მარჯვენის წინ — ჰაერში გატანა.

მომდევნო **ორ** ტაქტზე ილეთი შესრულდება განმეორებით.

ხელები:

პირველი ტაქტი — ქვედაშვებული.

მეორე ტაქტის თვლა **ერთი** — II პოზიცია (მოიხრება მარჯვენა).

თვლა **ორი** — ისევ დაეშვება ქვემოთ და ა.შ.

შენიშვნა: თითოეულ მოძრაობაზე სრულდება 1/4 ბრუნი მარჯვნივ. ერთხელ შესრულებისას — ერთი სრული ბრუნი მარჯვნივ.

ტყუპმუსხზე სრიალი

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

პირველი ტაქტი — გარბენი.

მეორე ტაქტი — მუხლებზე დაშვება და ორივე წვივის იატაკისათვის შეხება. ფეხის წვერები გაჭიმული, მუხლები ოდნავ გადაშლილი, ზეტანი უკან გადაზნექილი.

ამ მდგომარეობაში სრულდება სრიალი წინ.

ხელები — უკუქვემკლავი ან III პოზიცია.

კინტოური და ყარაჩოდული

საბალდადურო წინსვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

ტანი — წელში ჩაზნექილი დგომი.

ხელები — ქვედაშვებული, სხეულს ოდნავ მოშორებული და ასევე ოდნავ მოხრილი იდაყვის სახსარში, ხელის ოთხი თითი შეერთებული, ცერი — დაშორებული.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი. მარცხენა ერგცერით ეხება იატაკს.

თვლა ორი — მარცხენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი, მარჯვენა ერგცერით ეხება იატაკს და ა.შ.

ხელები — თავისუფალი მოძრაობა სანყის მდგომარეობაში.

საბალდადურო მუსლურა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა ერთი — მარცხენა ფეხზე მცირე ნახტომი. ერთდროულად გამართული მარჯვენის წინ გატანა.

თვლა და — სხეულის სიმძიმე თანდათანობით გადაინაცვლებს მარჯვენა ფეხზე.

თვლა ორი — ნახტომი მარჯვენა ფეხზე. ერთდროულად მარცხენა მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა და — ნახტომი მარჯვენა ფეხზე, ერთდროულად მარცხენა გაიმართება და გაიტანება წინ. მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — III პოზიცია — ხელის თითები გამართული.

ქუსლურა წინსვლა

სანყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა ერთი — მარჯვენა ფეხით წინ ნახევარი ნაბიჯი და ქუსლით იატაკისათვის შეხება.

თვლა და — მარცხენა ფეხი მთელ ტერფზე სრიალით მიედგმება მარჯვენას.

თვლა ორი — მარჯვენა ფეხის დადგმა. ერთდროულად მარცხენის მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა და — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — ქვედაშვებული, ხელის გულები იატაკის პარალელურად, როგორც „საბაღდადურო წინსვლისას“ .

ქუსლურა სვლა ქუსლმომძევით

საწყისი მდგომარეობა — ფეხის I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხით წინ ნახევარი ნაბიჯი და ქუსლით იატაკისათვის შეხება.

თვლა **და** — მარცხენა ფეხი ტერფზე სრიალით მიედგმება მარჯვენას.

თვლა **ორი** — მარჯვენა ფეხი ტერფით დაიდგმება მარცხენის გვერდით, ერთდროულად ქუსლები შებრუნდება მარჯვნივ.

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — დაშვებული — შესაბამისი მოძრაობა.

საბაღდადურო წინჩაპრული

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

ხელები — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.


თვლა **ერთი** — ზეხტომი მარცხენა ფეხზე. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და ფეხის წვერით დაიდგმება მარცხენის წინ და მარცხნივ.

თვლა **და** — ზეხტომი მარცხენა ფეხზე, ერთდროულად მარჯვენა გაიმართება მუხლის სახსარში და გაიტანება ჰაერში წინ — მარჯვნივ ირიბად.

თვლა **ორი** — ფეხები შეიცვლიან მდგომარეობას.

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.



საბაღდადურო უკუჩაპრული

საწყისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.


თვლა **ერთი** — ზეხტომი მარცხენა ფეხზე. ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლის სახსარში და ფეხის წვერით დაიდგმება მარცხენის უკან და მარცხნივ.

თვლა **და** — ზეხტომი მარცხენა ფეხზე, ერთდროულად მარჯვენა გაიმართება მუხლის სახსარში და გაიტანება ჰაერში — წინ და მარჯვნივ.

თვლა **ორი** — ფეხები შეიცვლიან მდგომარეობას.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — დაშვებულია და თავისუფლად მოძრაობს.



ფეხბაძევიტი უკუჩაკრული

სანყისი მდგომარეობა. — გამართულ მარცხენა ფეხზე დგომი, მარჯვენა გატანილია წინ და მარჯვნივ.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ილეთი სრულდება **ორ** ტაქტში.

პირველი ტაქტის თვლა ერთი — ზეხტომი მარცხენა ფეხზე, ერთდროულად მარჯვენა მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და ისევ გაიმართება.

თვლა **და** — იგივე მოძრაობა.

თვლა **ორი** — იმავე მოძრაობის გამეორება.

თვლა **და** — ყოვნა.

მეორე ტაქტი — „საბაღდადურო უკუჩაკრული“ მარჯვენა ფეხით.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — დაშვებულია და თავისუფლად მოძრაობს.

ჭდოზფეხბაძევიტი ჩაკრული

სანისი მდგომარეობა — ფეხის III პოზიცია

ხელები — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ გადატანა და მარცხნივ დადგმა (ჭდობა). ერთდროულად უკან დარჩენილი მარცხენა ქუსლი მოშორდება იატაკს, ტერფი მთლიანად შებრუნდება ნეკის მხარეს და ოდნავ მოიხრება მუხლის სახსარში.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხი გაიმართება მუხლის სახსარში და დაიდგმება ტერფით. მარჯვენა ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში, ქუსლი მოშორდება იატაკს და ტერფი ნეკის მხარეს შებრუნდება.

მეორე ტაქტის თვლა ერთი — მუხლის სახსარში გამართული მარჯვენა ფეხის ტერფით დადგმა. ერთდროულად მარცხენის გამართვა და მარცხნივ გატანა.

თვლა **ორი** — ზეხტომი მარჯვენა ფეხზე. ერთდროულად მარცხენის მოხრა და მუხლის სახსარში ისევ გამართვა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

მაღალი ჩაკრული

სანისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია.

ხელები — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარცხენა ფეხზე ზეხტომი წინ. ერთდროულად მუხლში მოხრილი მარჯვენა ჯერ აინევა, შემდეგ ერგცერით დაიდგმება მარცხენის ქუსლთან.

თვლა **და** — მუხლის სახსარში გამართული მარჯვენა ფეხი ერგცერზე სრიალით გადაინაცვლებს წინ, ერთდროულად მარცხენა ერგცერზე სრიალითვე მოძრაობს უკან.

თვლა **ორი** — ფეხები ერგცერზე სრიალით შეიცვლიან მდგომარეობას.

თვლა **და** — ყოვნა.

მომდევნო ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ბრეხილი ჩაკრული

სანყისი მდგომარეობა — მარცხენა ფეხის ერგცერით. მარჯვენის მუხლის სახსარში მოხრა და უკან — მარჯვნივ გატანა.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — მარჯვენა ფეხის ერგცერით მარცხენის წინ და მარცხნივ დადგმა. ერთდროულად ქუსლები შებრუნდება მარცხნივ.

თვლა **და** — ქუსლები შებრუნდება მარჯვნივ.

თვლა **ორი** — მარჯვენა ქუსლის შებრუნება მარცხნივ, ერთდროულად მარცხენის მუხლის სახსარში მოხრა.

თვლა **და** — ყოვნა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ხელები — დაშვებულია და თავისუფლად მოძრაობს.

სამდაკვრითი უკუსვლა (იხ. ქართულის ილეთთა აღწერა)

ბუქნები

სანისი მდგომარეობა — ფეხის II პოზიცია.

ხელები — I პოზიცია.

მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

თვლა **ერთი** — „მუხლებგადაშლილი ბუქნი“ — ქუსლებით შეერთებული ტერფები ერგცერებით ეხება იატაკს.

თვლა **ორი** — ზეხტომი მარცხენა ერგცერზე. ერთდროულად მარცხენაზე ოდნავ წამოდგომა და გამართული მარჯვენა ფეხის ქუსლის წინ და მარჯვნივ დადგმა.

მომდევნო ტაქტის თვლა **ერთი** — ორივე ფეხზე ბუქნი.

თვლა **ორი** — მარცხენა ფეხის წინ და მარცხნივ გამოტანა და ქუსლით დადგმა.



ფეხსიკონი

აბესალომ და ეთერის ფერხული — ძველი ქართული ფერხულის ნიმუში, ქართული ეპოსის გამრეების — აბესალომისა და ეთერის — საბედისწერო სიყვარულის ამბავი.

ადრეკილაჲ — წარმართული ხანის ნაყოფიერების ღვთაების „კვირიას“ კულტთან დაკავშირებული ფერხული, „მურყვამობის“ სადღესასწაულო ციკლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. „მურყვამობა“ იმართებოდა ყველიერში. ზოგჯერ მას „ადრეკილას“ დღესასწაულადაც მოიხსენიებენ.

„ადრეკილაჲ“ ქვემო სვანეთს XX საუკუნემდე შემორჩა. ფერხული სრულდებოდა ორპირული სამხმიანი სიმღერით, მუსიკალური ზომა — 4/4.

„ადრეკილაში“ საცეკვაო მომენტები მკვეთრად გამოხატული არ არის, მაგრამ ის არქაული ფერხულის ტიპობრივი ფორმაა — სწორხაზოვანი „მწყობრითა“ და მკაფიოდ გამოხატული რიტუალური ხასიათით.

„მეფერხულენი“ — რვა კაცი — ერთ მხარეს დადგება, რვა კიდევ მეორე მხარეს და სიმღერას დასძახებენ, რომელიც ასე იწყება:

„ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“ (მთხრობელი არსენ ონიანი, ქვემო სვანეთი). შემდეგ ტექსტი უნმანურდება — „მურყვამობაში“ გამარჯვებული მხარე დასცინის დამარცხებულს.

ავთანდილის ფერხული — „ვეფხისტყაოსნის“ გმირის, ავთანდილისადმი მიძღვნილი ძველი ქართული ხალხური ფერხული, რომელიც ქართველმა ხალხმა მეცხრამეტე საუკუნემდე შემოინახა.

აიბარკრა — საფერხულო წყობის აფხაზური ცეკვა. „აიბარკრა“ აფხაზურად ხელიხელჩაკიდებულ დგომას, დაბმას, მობმას, ხელებით გადაბმას, წრეზე მხრებზე ხელებგადახვეულ განლაგებას ნიშნავს. ის აფხაზეთში საქორწილო ფერხულის სახელწოდებითაც გვხვდება.

ფერხული სრულდება სიმღერის თანხლებით, მონაწილეობს ქალ-ვაჟთა განუსაზღვრელი რაოდენობა. მუსიკალური ზომა — 4/4.

ამეშიკუაშარა — დათვის ცეკვა, საფერხულო წყობის ძველი აფხაზური ხალხური სანახაობა, წრის შიგნით მოთამაშეების — დათვისა და მონადირის — მონაწილეობით.

ამირანის ფერხული — ქართული ხალხური შემოქმედების უძველესი ნიმუში, ბოროტ ძალებთან მებრძოლი ქართული მითიური გმირის ამირანის ეპოსთან დაკავშირებული ფერხული. ბოლო დრომდე შემორჩა სვანეთსა და რაჭას.

ამირანი ნადირობის ქალღმერთის — ოქროსთმიანი დალისა და მონადირე სულკალმახის შვილია. მას, როგორც კაცღვთაებას, მემკვიდრეობით გადაეცა ნადირობის ნიჭი; შეიძლება ესაა მიზეზი, რომ სვანეთში „ამირანის ფერხულს“ „სანადიროსაც“ უწოდებენ.

ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

არეუნა — სულხან-საბასეული განმარტებით — „კიდობანი, გინა როკვა,“ ე. ი. არეუნა ძველად კიდობნისა და ცეკვის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა (კიდობანსა და როკვას შორის კავშირი კვლევის საგანია).

არირა — ქალ-ვაჟთა წყვილური და სატრფიალო მეგრული ცეკვა. ცეკვა „ქართულის“ თავისებური ვარიანტი. „არირა“ უფრო მეტად შეცილების — „წართმევიას“ სახით სრულდება, რომელშიც ქალი ქალს ეცილება (ცვლის), ვაჟი — ვაჟს.

„არირაში“ მოცეკვავის გამოწვევის (ქალის ან ვაჟის) მიზნით, ხშირად გამოიყენებოდა ბალდადი ან ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი ოქრომკედით მოქარგული ბურთი. ვაჟი ან ქალი ცეკვაში მაშინ ჩაერთვებოდა, როცა მოცეკვავის (ქალის თუ ვაჟის) მიერ ჰაერში ასროლილ ბურთს ან ბალდადს დაეუფლებოდა.

„არირას“ წყობა ცეკვა „ქართულის“ ანალოგიურია. სრულდება ამავე სახელწოდების სიმღერასა და დაირასთან ერთად. მუსიკალური ზომა — 4/4.

ბაილ-ბეთქილი — ნადირობის ქალღმერთის დალისადმი მიძღვნილი უძველესი სამონადირო სვანური ფერხული. ბეთქილი — მონადირის სახელია, რომელსაც, თითქოსდა, ჯერ ქალღმერთი დალი შეჰყვარებია, შემდეგ — მინიერი თამარი. ქალღმერთს ბეთქილი დაუსჯია — ლალატისათვის კლდეზე გადაუჩეხავს.

ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

ბარი — აჭარული ცეკვა-თამაში, რომელშიც მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ. ხელიხელ-ჩაკიდებული მამაკაცები ერთმანეთს ეწყობიან. თავში მდგომ მეთაურს ხელში ჯოხი უჭირავს. ცეკვა-თამაშის მონაწილენი მოძრაობენ და უსიტყვოდ იმეორებენ მეთაურის შესრულებულ საცეკვაო ილეთებს. თუ რომელიმე მათგანმა შეაგვიანა ან შეცდომით შეასრულა, ჯოხის დაკვრით ისჯება. ამიტომ ყველა ყურადღებით შესცქერის მეთაურს და ცდილობს, ზუსტად და დროულად შეასრულოს ნებისმიერი მოძრაობა — სვლა, სირბილი, ჩაკვრა, ჩამუხვლა, ბუქნი და სხვა.

„ბარი“ ამ სახელწოდებით ძირითადად ხულოს რაიონში გვხვდება. ხიხაძირში მას „ოჰოჰ, ნანოს“ ეძახიან, მესხეთში — „ლალონს.“

„ბარი“ ქორწილებში მიძინებული მაცრიონის გამოსაფხიზლებლად სრულდებოდა.

ბასტი — 1. როკვაა ფეწის ცემითა (საბა), ანუ ფეხის ტერფის დარტყმით წარმოქმნილ რიტმზე შესრულებული ვაჟთა ცეკვა.

2. აფხაზური ძველებური ცეკვა-თამაში, რომლის პირველ ნაწილში ორი მამაკაცი, გაშიშვლებული ხმლებითა და ფეხების ბაკუნით, უვლის წრეს, მეორეში თოფმომარჯვებული მონაწილემდეგები, სიმღერის რიტმზე (მღერის საფარსამოფარებული მაცურებელი) ფეხშენწყობილად, ფეხების მინაზე ცემით, მოძრაობენ — ცდილობენ მიუახლოვდნენ ერთმანეთს და ტყვია დაახლოვდნენ (ხშირად წყვილის მოქმედება მაცურებელს აცინებდა). ცეკვა ზოგჯერ დაჭრით ან სიკვდილით მთავრდებოდა. (ლილი გვარამაძე ამ თამაშს საბრძოლო ტიპის ცეკვას მიაკუთვნებს და აფხაზურ „ჯირითს“ უწოდებს — რედ.).

მსგავსი თამაში — „ხინტიკირია“ — სამეგრელოშიც არსებობდა: თვალეხახვეული ხანჯლებიანი ორი მამაკაცი ფეხის ხმაზე ეძებდა ერთმანეთს და მიახლოებისას ხანჯალს ურტყამდა. ერთ-ერთი მონაწილემდეგის მსუბუქად დაჭრის ან ხანჯლის ხელიდან გავარდნისას ორთაბრძოლა შეწყდებოდა.

ბაღდადური — ცეკვა „კინტაური“ ბაღდადით — ძველი თბილისური ცეკვა. თვით ტერმინი ბაღდადს (დიდ ქრელ ხელმანდილს) უკავშირდება (იხ. კინტაური).

ბერიკა — „ბერიკაობის“ ერთ-ერთი ნიღბოსანი პერსონაჟი (იხ. ბერიკაობა).

ბერიკაობა — ძველი ქართული ხალხური ნიღბების თეატრი, რომლის თავდაპირველი ფორმა წრიული ფერხული იყო.

ბიბა — ძველი სვანური ფერხული მამაკაცთა და ქალთა მონაწილეობით. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით, სახუმარო ხასიათის ტექსტით. მუსიკალური ზომა — 4/4.

ბიმურზელა — საფერხულო ნყოფის სანახაობა, ფერხულს შიგნით მოთამაშით, შაირი ცეკვით: მესტიელი ბიმურზელას თავგადასავალი და მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრული (ბიმურზელა მოკლა მონადირე ბექამ ცოლის გატაცებისთვის და საკუთარი ცოლიც გამოასალმა სიცოცხლეს).

კორიფე — წრის შიგნით მოცეკვავე ვაჟი — სიმღერით ჰყვება ბიმურზელას ამბავს. ყოველი ტაეპის დამთავრებისას მეფერხულენი მოსძახებენ. კორიფე კი ფერხულის შიგნით „ცერულს“ ასრულებს. მუსიკალური ზომა — 2/4.

ბუქნა — „ჩაკუკებით როკვაა“ (საბა), მუხლებმოხრილი, მუხლებში ჩამჯდარი ცეკვა. საცეკვაო ილეთი — მუხლებში მოხრა (ჩაჯდომა) და ისევ გამართვა. ძველად მამაკაცთა მუხლად ჩამჯდარი ცალკეული ცეკვაც ბუქნად იწოდებოდა.

ბუქნურა — ბუქნის მსგავსი საცეკვაო მოძრაობა, ილეთი.

გადაჭრა — ცეკვა „მოხეურში“ მამაკაცის საცეკვაო ილეთი ქალისათვის გზის გადასაჭრელად, სახელიც აქედან მოდის. ილეთი ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოძრაობისაგან შედგება და ორ ტაქტზე სრულდება. მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

გადახვეული ხორუმი — „ხორუმის“ დასკვნითი ნაწილი — გამარჯვების ცეკვა მტრის მოჭრილი თავების გარშემო ამ დროს სრულდება ილეთი „ბასმა“. ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს (IV ს. ძვ.წ.) ცნობით, ასეთი ჩვეულება ჰქონიათ ქართველთა ერთ-ერთ ტომს — მოსინიკებს და ეს უნდა გამხდარიყო „გადახვეული ხორუმის“ წარმოშობის საფუძველი.

„გადახვეული ხორუმი“ „ხორუმის“ ნაწილია, მაგრამ მისი ნაირფეროვანი, შერეული რიტმი და მუსიკალური ზომა სრულიად განსხვავდება „ხორუმისაგან.“

განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა — ცეკვა „მთიულურის“ ილეთი — „განზე ნაბიჯისა“ და „ფეხშლილი ჩაკვრის“ ნაერთი, ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოძრაობა. სრულდება ორ ტაქტში. მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

განდაგანა — აჭარული სატრფიალო ცეკვა. სრულდება ქალ-ვაჟთა მიერ წყვილად ან ჯგუფობრივად, საფუძვლად უდევს ძველი აჭარული ცეკვები — ქალთა „თარანინო“ და ვაჟთა „მხარული.“ „განდაგანა“ პირველად 1946 წელს შესრულდა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

ცეკვა სრულდება სიმღერასა ან საკრავებთან ერთად. მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

განცხრომა — „თამაშობა, ხუმრობა და ლხინი“ (საბა). (იხ. თამაშობა, ლხინი).

გასმა — ფეხების რიტმული მოძრაობა ფეხის ტერფის წინა ნაწილებზე (ერგცერებზე) სრიალით. არსებობს სადა სრიალა გასმა, ქუსლურა გასმა, ტერფმოქნევით (გაქნევით) გასმა და სხვა.

ილეთი დამახასიათებელია ცეკვა „ქართულისათვის.“

გასმურა — გასმის მსგავსი მოძრაობა.

გასტი-ბუბუ (ბასტი-ბუბუ, გასტი-გუგუ — რედ.) — როკვა არს ფეხის ცემითა (საბა), ხმაურიანი ცეკვა. დღეისათვის ვაჟთა უცნობი ცეკვა, ანდა ერთ-ერთი ქართული ცეკვის ადრინდელი სახელი.

განცხრომა — თამაში, ხუმრობა და ლხინი (საბა).

გაუ ვავხე — (სვან. გავედი, გავიხედე) საბრძოლო შინაარსის სვანური ფერხული. უკავშირდება ლეჩხუმელი თავადების სოფელ ხალდეში ლაშქრობას და ხალდეს ახალგაზრდობის თავდადებასა და ვაჟკაცობას.

ფერხულს ორპირული სამხმიანი სიმღერით მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. მუსიკალური ზომა — 6/8.

გერგილი (გიორგი) — ძველი სვანური საყოფაცხოვრებო შინაარსის ფერხული.

ტექსტი ზუსტად ემთხვევა „შიშა და გერგილისას:“ გერგილი (გიორგი) პირველად ცხარვაში (ადგილი სვანეთში) წააწყდა მჟავე წყალს, დალია და ისე გაბრუნდა, რამდენ ნაბიჯსაც წინ გადადგამდა, იმდენით ისევ უკან ბრუნდებოდა.

ფერხული სრულდება ქალ-ვაჟთა მიერ, ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 2/4.

გვერდულა გასმა — გასმის ერთ-ერთი სახეობა, ცეკვა „ქართულის“ ილეთი. ასრულებს მხოლოდ მამაკაცი. „გვერდულა გასმისას“ ტერფები, ქუსლისა და ფეხის წვერის შებრუნებით, რიგრიგობით გადაინაცვლებს ოდნავ გვერდზე (მარცხენა – მარჯვნივ, მარჯვენა — მარცხნივ). ილეთი ერთტაქტიანია. მუსიკალური ზომა — 6/8.

გოგმანი — ჩქარი როკვა (საბა) — ქალთა მიერ ჩქარ ტემპში შესრულებული საცეკვაო სვლა წრიულად.

გონჯაობა — ამინდის მართვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება ცეკვა-თამაშით. საქართველოს მრავალ კუთხეში ეს სანახაობა „გონჯაობა“ — „ლაზარობის“ სახელით არსებობდა და გვალვისას ან დელგმისას იმართებოდა. რაჭაში, წვიმის გამოწვევის მიზნით, რამდენიმე ვაჟი „საგონჯაოდ“ მოიყრიდა თავს: წელს ზემოთ გატიტვლდებოდა, ტანსა და სახეს ნახშირით „გაიგონჯავდა“, ხტომითა და ცეკვა-სიმღერით კარდაკარ ჩამოივლიდა:

„გონჯა მოდგა კარებსა, აბრიალებს თვალებსა,
ღმერთო წვიმა მოიყვანე, დააპკურე ყანებსა.“..

გრეხილი ჩაკრული — ცეკვა „კინტაურის“ ილეთი: ფეხის წვერებზე რიგრიგობით ფეხების ერთ-მანეთზე გადაგრეხ-გადაჭდობა და ერთდროულად ორივე ქუსლის მარჯვნივ და მარცხნივ შებრუნება. სრულდება სამი ერთგვაროვანი მოძრაობით ერთ ტაქტში. მუსიკალური ზომა — 6/8.

გურული ფერხული — საბრძოლო ხასიათის მამაკაცთა ორსართულიანი ფერხული. მასში ქალი მოგვიანებით ჩაერთო, მაგრამ ცეკვის ფორმა და შინაარსი უცვლელი დარჩა — ქალები გარს უვლიან მამაკაცთა ორსართულიან წრეს.

„გურული ფერხული“ სამნაწილიანია: ნელი, აჩქარებული და ჩქარი. ორსართულა, ანუ ზემყრელო (იხ. ზემყრელო), ფერხულის მეორე ნაწილში სრულდება. ბოლო დროს მესამეში შეიტანეს ცეკვა „ბუქნას“ ელემენტები — მამაკაცები მუხლებგადაშლილ ბუქნას ასრულებენ, ამიტომაც შეიცვალა ფერხულის სახელიც — „ფერხული ფარცა კუკუთი.“ (იხ. ფარცა კუკუ).

„გურული ფერხული“ სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით, მუსიკალური ზომა — 4/4.

ღ

დაბმა — ფერხულში მონაწილეთა განლაგება: ერთმანეთის მხრებზე მკლავებით გადაბმა ან ხელებით ქამრებში ჩაჭიდება, ხელიხელჩაკიდებული დგომა.

დავლური — „ქართულის“ შესავალი, დინჯი და პლასტიკური ცეკვა. სახელწოდება სიტყვის შინაარსიდან მომდინარეობს (იხ. „დავლური“).

„დავლური,“ როგორც ცეკვა „ქართულის“ დასაწყისი, დღეს იშვიათია — სპეციალისტთა ჩარევით ის ქალ-ვაჟთა მასობრივ ცეკვად გადაიქცა, თუმცა დასკვნით ნაწილში ქალ-ვაჟის წყვილი მაინც ცეკვავს „ქართულს.“

„დავლური“ სრულდება დოლის, დუდუკის ან გარმონის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 2/4.

დათვობია — ნაყოფიერების მფარველი ღვთაების სადიდებელი მისტერია, ძველი ფერხული, ბერიკული სანახაობა: ბენვიან ქუდსა და ცხვრის ტყაპუჭში გამოწყობილი დათვ-ბერიკა და მისი „ცოლი“ (ქალის ტანსაცმლით მოსილი მამაკაცი) ფერხულს შიგნით განასახიერებენ „სქესობრივ აქტს.“

„დათვობიას“ ასრულებდნენ მამაკაცებიც და ქალებიც — ცალ-ცალკე.

დათო — ქალთა ფერხული. დათვის სამოსში გამოწყობილი დათვ-ბერიკა ფერხულს შიგნით სიმღერის შინაარსის შესაფერის მოძრაობებს ასრულებდა. დროთა ვითარებაში ფერხულმა მაგიური მნიშვნელობა დაკარგა.

დალა კოჯას ხელღვაჟალე (დალი კლდეში მშობიარობს) — ნადირობის ქალღმერთის — დალის პატივსაცემი უძველესი, წარმართობისდროინდელი სვანური ფერხული, მატრიარქატის ხანისა. ქალღმერთ დალის თეთრ კლდეში მშობიარობისას ახალშობილი კლდიდან ჩამოუვარდა. ბავშვი მგლებმა გაიტაცეს. მონადირე გერგილმა (გიორგიმ) ის გაათავისუფლა და დედას დაუბრუნა. მადლობის ნიშნად ქალღმერთმა დალოცა მონადირე — ყოველთვის ხელდამშვენებული დაბრუნებულიყო ნადირობიდან.

ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 2/4.

დელი ხორუმი — სწრაფი ხორუმი. იმერხეველთა ფერხული ბუქნით (ნიკო მარი).

დიგორი და ბასიანი — მეომრულ-ლაშქრული რაჭული ფერხული, იგივე „დიგორსა დასხდენ ვეზირნი,“ ქალ-ვაჟთა განუსაზღვრელი რაოდენობის მონაწილეობით.

ფერხული სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 3/4.

დიდებათა — ღმერთის სადიდებელი, საეკლესიო დღესასწაულებზე შესასრულებელი ქალთა და მამაკაცთა უძველესი სვანური საკულტო ფერხული (რაოდენობა განუსაზღვრელია). სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

დისკორმა — (თურქ. დის — მუხლი, ყირმა — მტვრევა). მუხლის მტვრევით ცეკვის აღმნიშვნელი ტერმინი აჭარაში. მისი ელემენტები „განდაგანაში“ გვხვდება.

ე

ერგცერი — ნახევარ ცერზე, ანუ ფეხის წვერზე, აწევა.

ერთხელ წისქვილს წასვლისათვის — საყოფაცხოვრებო რაჭული ფერხული, ქალ-ვაჟთა განუსაზღვრელი რაოდენობის მონაწილეობით. გადმოგვცემს ქალის ოინებსა და ქირვეულ ხასიათს. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 3/4.

ვ

ვორირაშა — იხ. ჯანგილდი.

ზ

ზემყრელო — საბრძოლო შინაარსის ორ და სამსართულიანი ფერხული. ასრულებენ მხოლოდ მამაკაცები. ამ სახელით გავრცელებული იყო ქართლსა და კახეთში. მესხეთში მას „სამყრელოს“ უწოდებენ, თუშეთში — „ქორბელელას“, სვანეთში — „მირმიქელას“, ხევში — „აბარბარე-ბარბარეს“ და სხვა.

ბრძოლის დროს მეომრები ერთმანეთს მხრებზე ადგებოდნენ და ასე იღებდნენ ციხეს. მშვიდობიანობისას კი ზემყრელოთი ინვრთნებოდნენ — მხრებზე ასვლასა და მოულოდნელად ჩამოვარდნაში ვარჯიშობდნენ (რაც ხშირად მოხდებოდა შეტევის დროს).

ზილგა — (ოს. ტრიალი) ოსური ხალხური წრიული ცეკვა ქალ-ვაჟის ან ვაჟების შესრულებით. „ზილგას“ ცეკვავენ გარმონისა და დოლის ან დაირის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 6/8.

თ

თამარ დედფალ — ძველი სვანური ორნაწილიანი ფერხული: პირველი — „რავქენსია“, მეორე — „საიერიშო.“ სრულდება მამაკაცთა და ქალთა მიერ (რაოდენობა განუსაზღვრელია). ფერხული ქება-დიდებას ასხამს თამარ მეფეს, მის სილამაზეს, მოკაზმულობას, ცხენის აღჭურვილობას და სხვა.

ფერხული სრულდება ამავე სახელწოდების ორპირული სამხმიანი სიმღერით. პირველი ნაწილის მუსიკალური ზომა — 6/8, მეორესი — 4/4.

თამარ ქალი — საყოფაცხოვრებო რაჭული ფერხული: ჩერქეზებს რაჭიდან გაუტაციათ ვინმე თამარი — ძალ-ლონითა და წონით გამორჩეული ქალი. სრულდება ქალ-ვაჟთა მიერ, ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 3/4.

თამაშობა — „თამაშა თათრულად სახნავსა ჰქვიან, ხოლო თამაშობა ქართულად — მღერა-შექცევათა სახელია და ესეცა განიყოფების ექვსად: ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, როკვად და შექცევად.

მოასპარეზობა არს მწედართა მიერ ანძათა ისრისა სრევა, ბურთთა ყვანჭსა ცემა, საგანთა სროლა და ეგე-ვითარნი;

მღერა არს ესენიცა ჭადრაკთა და ნარდთა და ყოველთა სამორინოთა თამაშობა. და ოროლთა მრავალგვარად ბრუნებასაც(ა) მღერად(ვე) იტყვიან;

ფუნდრუკი არს ვაჟთა მიერ (ს) რბოლა, ხლდომა და სხუანი მრავალსახენი საკისკასენი;

ხუნტრუცი არს ქალთა მიერ(ნი) ფუნდრუკ(ნი) ძალისაებრ მათისა;

როკვა არს სამა, ცეკვა, ბუქნა, კოჭა, ფერწული, მგრგულთ წყობა და რაოდენიცა ებანთა და ფანდურთა მიერ იქმნებიან;

შექცევა არს ესენიცა და კენჭებითა და ჩხირებითა და ვეგითა და სხვითა ღონისძიებითა ჭმუნვა(ნი) განიქარ(ვ)ონ“ (საბა)...

თოფალოინი — აჭარული ცეკვა. თურქულად — კოჭლი კაცის ყოლსამა (იხ. ყოლსამა) — მხიარული ოინი, თამაში, ცეკვა. სრულდება თეძოებში მტვრევით. მისი ელემენტები გამოიყენება სახუმარო ხასიათის „განდაგანაში.“

თულო — „ფუნდრუკია ერთი“ (საბა), საფერხულო წყობის მამაკაცთა ცეკვა-თამაში, სარტყელისებური წრიული ფორმის. თულოს ჯავახეთში ყენისათვის წელზე შემოსარტყმელ, თივისაგან დაგრეხილ თოკს უწოდებენ (ივ. ჯავახიშვილი).

თუშური ცეკვა — სატრფიალო ან შეჯიბრების ხასიათის ცეკვა, მთიელთა ცეკვების ჯგუფისა. სრულდება ვაჟთა, ქალთა და ქალ-ვაჟთა წყვილების მიერ და გამოირჩევა შესრულების თავისებური მანერით. იცეკვება გარმონის, დაირის ან დოლის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

სასცენო ხალხურ ვარიანტში „თუშურ ცეკვას“ „ალვანურსაც“ უწოდებენ.

0

იავ ქალთი — სვანური საბრძოლო ფერხული, უკავშირდება სვანების მიერ რაჭის ერთ-ერთ სოფელზე გალაშქრებას. ფერხულს ასრულებენ მხოლოდ მამაკაცები ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

იალის თამაში — მამაკაცთა ცეკვა-თამაში. XIX საუკუნემდე შემორჩა ძველ თბილისს. სრულდებოდა საეკლესიო დღესასწაულზე — ყველიერში: მხარზე ბაღდადგადაგებული რამდენიმე მამაკაცი ზურნის ხმაზე ჩაკვრით წრეს უვლიდა. ერთ-ერთი ჯოხით მოცეკვავეებს უტევედა. წრეზე რამდენიმეჯერ შემოვლის შემდეგ, მამაკაცები ჯერ ბაღდადებს გადაყრიდნენ, მერე — სარტყლებს, ბოლოს თანდათან ტანსაცმელსაც იხდიდნენ და პერანგების ამარა რჩებოდნენ. მეთაური პერანგების გახდასაც მოითხოვდა, თან ჯოხით ემუქრებოდა. ცეკვის რიტმზე სამოსის გახდის შემდეგ, მოცეკვავენი იმავე წესით იცვამდნენ და ცეკვაც ამით მთავრდებოდა.

ფიქრობენ, „იალის თამაში“, „მელია თელეპიას“ მსგავსად, ნაყოფიერების მფარველი ღვთაების — „კვირიას“ — სადიდებული რიტუალის ნაშთი უნდა იყოს.

ითიფალური ქანდაკებანი — ფალოსის კულტთან დაკავშირებული ქანდაკებები, აღმოჩენილია ქუთაისის მახლობლად, ყაზბეგში, ხევსურეთსა და დაღესტანში. ყოველი ქანდაკი მოცეკვავის პოზაშია და, ფიგურების ხელებისა და ფეხების მოძრაობის მიხედვით, ეს ქანდაკებები ფერხულის მონაწილეთ გამოსახავენ (შალვა ამირანაშვილი). მკვლევრები ამ ქანდაკებებს ძვ. წ. I ათასწლეულით ათარიღებენ.

ითიფალურ ქანდაკებებში წარმოდგენილი საცეკვაო მოძრაობები — ხელებისა და ფეხების მოძრაობა — ზუსტად ემთხვევა ქართული ცეკვისათვის დამახასიათებელ მოძრაობა-მდგომარეობას (შალვა ამირანაშვილი, დიმიტრი ჯანელიძე).

ხელების მოძრაობა: ხელმობმა (ხელიხელჩაკიდებული), ხელეგაშლილი (განმკლავი), ხელეაპყრობილი (ზემკლავი ან ზეგანმკლავი), ხელების წინ ჩამოშვება (დაშვებული ხელები), ცალხელდონჯი და ცალი ხელის თავთან მიტანა, ხელდაკრეფა, ორივე ხელის თავზე გადაწყობა.

ფეხების მოძრაობა: ფეხების ერთმანეთთან მიწყობა, მარჯვენა ფეხის განზე გადგმა-გადადგმა და სხეულის მისკენ გადახრა, მარცხენა ფეხის განზე გადგმა და სხეულის მისკენ გადახრა, ფეხგაშლილი დგომა და ფეხგაშლილი ბუქნი.

მოძრავი მდგომარეობა: ორი მამაკაცის ხელიხელჩაკიდებული ფიგურა ზუსტად ცეკვა „ხორუმის“ ძირითად სვლას — „ფარულას“ — განასახიერებს.

ილეთი — ფეხებით შესრულებულ მოძრაობათა ერთობლიობა გამოკვეთილი საცეკვაო ფორმით; ერთმანეთის მიყოლებით, მარჯვენა და მარცხენა ფეხის მონაცვლებით შესრულებული ერთი, ორი, სამი ან ოთხი მოძრაობა.

ქართული საცეკვაო ილეთები იყოფა: სვლები, ჩაკვრა, გასმა, ხტომა, ბრუნი, ცერილეთი და მუხლილეთი (იხ. ილეთთა განმარტებანი).

ილეთთა ნაერთი — სხვადასხვა სახის ილეთის გაერთიანება-კავშირი, ილეთების ერთმანეთზე გადაბმა და მათი თანმიმდევრობით შესრულება. ილეთთა ნაერთი იყოფა მარტივ და რთულ ნაერთებად (იხ. ილეთთა განმარტებანი).

ირინოლა — სატრფიალო-საყოფაცხოვრებო შინაარსის სვანური ფერხული ტრაგიკული დასასრულით: ირინოლამ თავისი ტოლი და სწორი ჭაბუკი შეიყვარა. ის არ დაემორჩილა მშობლების სურვილს, უარი ეთქვა სიყვარულზე, ღამით სახლიდან ფეხშიშველი, უთავსაფროდ და უპერანგოდ გაიპარა და უღელტეხილზე გადასვლისას გაიყინა.

სხვა ვარიანტით, თითქოსდა უკვე ქმარშვილიანი ირინოლა დედამთილ-მამამთილმა აიძულა, სახლ-კარი მიეტოვებინა. ფერხულში მამაკაცთა და ქალთა განუსაზღვრელი რაოდენობა მონაწილეობს. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

3

კეჭნაობა — ხევსურული ფარიკაობა, ფარ-ხმლით ორთაბრძოლა, საბრძოლო-რიტუალური ცეკვა ხევსურეთში. კეჭნაობისას მონაწილემდეგებს ფარ-ხმალი ერთად უჭირავთ: ფარი წინ, ხმალი — ფარს უკან. „კეჭნაობაში“ დასაშვებია მხოლოდ მსუბუქად დაჭრა (კეჭნა ხევსურულ დიალექტში დაჭრას, ჭრილობას ნიშნავს და სახელიც აქედან მოდის). დაუშვებელია კეჭნაობის წესის დარღვევა — ჩხუბი და მონაწილემდეგის მძიმედ დაჭრა. თუ ქალი, მონაწილემდეგეთა გაშველების მიზნით, მანდილს ჩააგდებდა, ისინი უნდა გაშველებულიყვნენ. ხევსურეთში არსებობდა მკაცრი კანონი: კეჭნაობის წესის დამრღვევი ჯარიმდებოდა იმდენი სული საქონლით, რამდენი ქერის მარცვალაც ჩაეტეოდა ჭრილობაში.

„კეჭნაობისას“ უმეტესად ფეხზე მდგარნი იბრძოდნენ, ხანდახან ჩაიმუხლებნენ კიდეც (რომელიც დაკარგული რიტუალის გამოძახილი — რედ.).

კეჭნაობის ელემენტები ცეკვა „ფარიკაობაში“ გამოიყენება და მას ავსებს.

კვანწვა — ქალთა როკვაში უსულიანოდ მიმოგრება (საბა). ამდენად, კვანწვა ქალთა ცეკვაში ხელების გრება და ზეტანის მოხდენილად მიხრა-მოხრაა.

კინტაური — ძველი თბილისის ქალაქური ფოლკლორის ერთ-ერთი ნიმუში, გროტესკულ-ყოფითი ხასიათის მამაკაცთა ცეკვა. კინტო კენტიდან — მარტოხელადან — წარმოდგება (ა. ალექსიძე). სხვა მოსაზრებით, „კინტო ნიშნავს კინწით, კისრით თაბახის მზიდველს“ (იოსებ გრიშაშვილი). „კინტო შექმნილია შორეული ბაზრის ნიაღში, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო. იგი ნალექია ყარაჩოღელთა ოჯახისა, გაზრდილი ქუჩებსა და სამორინეებში. კინტო, როგორც ცუღლუტი, მცირე უნარისა და მცირე მოთხოვნილების პატრონი, კმაყოფილდება ორგროშიანი მოგებით, რომელსაც დიდხანს ჯიბეში არც კი იჩერებს“...

მეცხრამეტე საუკუნის თბილისის ყოფაში დაბადებული კინტოს ცეკვა, გარდა ქართულისა, იმდროინდელი თბილისის სხვადასხვა ეთნოსის საცეკვაო ელემენტებსაც მოიცავდა. თანამედროვე „კინტაური“ სრულიად დამოუკიდებელი, ორიგინალური ცეკვაა და ნაკლებად წააგავს თავის წინაპარს. ხალხურ ვარიანტში „კინტაურს“, პანტომიმურ-კომიკური შესტებით, ორი მამაკაცი ცეკვავდა და შეჯიბრების, დიალოგის ხასიათის ცეკვა იყო. გასცენიურებულ „კინტაურში“ მონაწილეთა რაოდენობა შეუზღუდავია და დამდგმელის ჩანაფიქრზეა დამოკიდებული.

„კინტაური“ სრულდებოდა დუდუკისა და დოლის, ან არღნის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 6/8.

კინკილი — კინკილი ცალის ფეხით ხტომა (საბა) — ცალ ფეხზე ხტომის ილეთი.

კოტი-კოტი — ლაზარობის მსგავსი ამინდის გამონვევის წარმართული წეს-ჩვეულება საინგილოში. სრულდებოდა ავდარში — გადაუღებელი წვიმების დროს: ქალის სამოსით მორთული დედოფალათი ახალგაზრდები კარდაკარ დადიოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და „კოტიტის“ პატივსაცემად მონყალეობას ითხოვდნენ. სამაგიეროდ, წვიმის შეწყვეტასა და მზიან ამინდს ჰპირდებოდნენ ხალხს.

კოჭა — როკვა ბუქნასავით (საბა). ძველებური ხალხური ცეკვა, ღრმა ჩაჯდომის ნაცვლად ნახევარი ჩაჯდომით, ჩამუხვლით — „კოჭლურად“ — სრულდება.

კუჩხიში — (კუჩხი — მეგრ. ფეხი) ფერხული (იგივე — ფერჯისი, ფერჯისული — რედ.).

ლ

ლაზარობა — ამინდის მართვის გამონვევის რიტუალი, ტაროსის ღვთაება ვობის თაყვანისცემის ნაშთი (ივ. ჯავახიშვილი). ზაფხულში გვალვისას სოფლის დედაკაცები და ბავშვები დიდი თოჯინა „ლაზარეს“ თანხლებით სიმღერით სოფელს ჩამოუვლიდნენ და ღვთაებას ცის ნამს შესთხოვდნენ.

„ლაზარობის“ მონაწილეთა კარდაკარ ჩამოვლისას, სიმღერასთან ერთად, იყო ცეკვა-თამაშიც, როგორც „გონჯაობისას“ რაჭაში.

ლამპრობა — მთვარის კულტის დღესასწაულის ნაშთი სვანეთში. იმართებოდა ზამთარში, იანვრის ერთ-ერთ ორშაბათს, მთვარის დაბადების დღეს: სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი ლამპრებით (კვარის ან არყის ჩირაღდნებით) წმინდა გიორგის ეკლესიაში მიდიან, ეკლესიის ეზოში ჩირაღდნებს ერთმანეთზე დაანყობენ და დიდ კოცონს გააჩაღებენ. შემდეგ დიდების ლოცვა-გალობას დაიწყებენ და ორნრიულ ან ნახევარნრიულ ფერხულს ასრულებენ.

ლალიონი — მესხეთში გავრცელებული ცეკვა-თამაში (თურქ. ლალ — მუნჯი, უთქმელი, უტყვი; ოინი — თამაში). სახელის ეტიმოლოგია უკავშირდება თამაშის წესს: მეთაურის ყოველი მოძრაობა უსიტყვოდ უნდა გაიმეორონ მოცეკვავეებმა (იხ. ბარი).

ლაჟღავში — (სვან. წინამძღოლი) ქალ-ვაჟთა რელიგიურ-რიტუალური სვანური ფერხული. მეფერხულენი ადიდებენ ღმერთებს და შესანიშნავს უგზავნიან. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

ლაშგარი — მეომრულ-ლაშქრული ქალ-ვაჟთა სვანური ფერხული. ეცერლებმა ყუდუშერას (ყუდუ მამაკაცის სახელია, ყუდუშერა — მის გამგებლობაში მყოფი თემი) წინააღმდეგ გაილაშქრეს. ლაშქარმა მეთაურად ერთმანეთზე უკეთესები სამი ძმა — შეხმურზა, ჯულაბი და ნანიფაი — აირჩია და გამარჯვებული დაბრუნდა უკან.

ფერხული სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

ლეკური — ქალ-ვაჟის სატრფიალო ცეკვა, „ქართულისათვის“ XIX საუკუნეში შერქმეული სახელი. (სულხან-საბა ცეკვას — ლეკურს — არ იცნობს. ლეკურს მხოლოდ ხმაღს უწოდებს). ცეკვა „ქართულს“ „ლეკური“ მას შემდეგ დაერქვა, რაც „ლეკური“ — „ლეზინკა“, კავკასიური ცეკვების ზოგად სახელად იქცა. ასე მოინათლა, ასე ეწოდა კავკასიურ ცეკვებს „ქართული ლეკური“ „ოსური ლეკური“, „ჩეჩნური ლეკური“ და სხვა. დროთა ვითარებაში ქართული ჩამოშორდა და დარჩა მხოლოდ ლეკური. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამართლიანობა აღდგა და ამ თვითმყოფად ქართულ ცეკვას, ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მშვენიებას, ისევ ეწოდა „ქართული“ (იხ. ცეკვა „ქართული“).

ლელე ლეკურ კაბა — ძველი ხალხური სანახაობა, ქალთა ფერხული ფერხულს შიგნით მოთამაშით: „უქმე დღეს ქალები მღერიან, ტაშს უკრავენ და ბანს მოსძახიან. ერთი მათგანი კი დაუვლის, ცეკვავს და თან ამბობს ამ ლექსს — ლელე ლეკურ კაბა: დედამ კაბა შემიკერა, დარაია ხრიალაო, წითელი ქობა მოავლო, ბუზმენტები წკრიალაო...“ (რაფიელ ერისთავი).

ლემჩილი — მამაკაცთა უძველესი სვანური სამონადირო ფერხული (სვან. დასაბერებელი): დაბერებას, დიდხანს სიცოცხლეს უსურვებენ სვანეთში სახელგანთქმულ მონადირე გიორგის — კლდეზე ჯიხვისა და ქურციკის, მინდორში ირმის, მდინარეში კალმახის და ზღვაში თევზის მომნადირებელს. სამონადირო ცეკვებისათვის დამახასიათებელი უძველესი ტრადიციით, ფერხულში ქალის მონაწილეობა დაუშვებელია. ეს მიგვანიშნებს „ლემჩილის“ სიძველეზე.

„ლემჩილიც“, თითქმის ყველა ქართული ფერხულივით, ორპირული სამხმიანი სიმღერით სრულდება. მუსიკალური ზომა — 2/4.

ლილე — მზის სადიდებელი უძველესი სვანური ფერხული. ქება-დიდებას ასხამენ მზეს, სწირავენ ოქროსრქებიან ხარებსა და გრეხილრქებიან ყორხებს.

ფერხული სრულდება ამავე სახელწოდების ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა 6/8-ია.

ლხინი — მხიარულება, გახარება (საბა). ხალხური სანახაობა — ცეკვა-თამაში: დღესასწაულებზე ან დასვენების დროს, სპეციალურად შერჩეულ ადგილზე, ქალ-ვაჟი თავს მოიყრიდა, წრეს შეკრავდა, სიმღერით, ტაშისა და საკრავების აკომპანემენტით, წრის შიგნით რიგრიგობით წყვილებად ცეკვავდა.

მ

მამლი მუხასა — მესხური საბრძოლო ტიპის ქალ-ვაჟთა ფერხული. ნაყოფიერებისა და მცენარეთა (მუხის) თაყვანისცემის კულტის ნაშთი. ვახტანგ კოტეტიშვილი ბიბლიურ მამრეს მუხას უკავშირებდა (რედ.). მუსიკალური ზომა — 3/8.

მალლა მთას მოღვა — მამაკაცთა მეომრულ-ლაშქრული რაჭული ფერხული. მეორე ნაწილი ორსართულიანი ზემყრელოს სახით იცეკვება. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 3/4.

მგოსანი — 1. ავტორი, მთქმელი, ნაწარმოების შემქმნელი. „ვაჟნი და ქალნი კეთილად მომღერალნი ჳმითა სამუსიკოთა ებანთა და ბარბითა ზედა; მეგოდებენიცა გლოვის მგოსნად ითქმიან“ (საბა). 2. სალამურის, სტვირისა თუ საზის დამკვრელი, აშუღი (ილია აბულაძე — ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

არსებობდა მგოსანთა ორი ჯგუფი: ლხინის მგოსნები და გლოვის მგოსნები — „მგოსანნი გლოვისანი“

მგოსნობა — ფერხულის დაბმა

მეგრული ფერხული — ქალ-ვაჟთა საყოფაცხოვრებო ფერხული. სხვა ქართული ფერხულები-საგან განსხვავებით, წრეზე ქალ-ვაჟნი ნეკებით ხელებჩაკიდებული დგანან. ფერხული ირიბი ნაბიჯებით ხან წრის შიგნით — ცენტრისაკენ — მოძრაობს, ხან ისევ გაიშლება და, ირიბი ნაბიჯების მეშვეობით, მარჯვნივაც გადაინაცვლებს.

ფერხული სრულდება სამხმიანი უტექსტო სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

მეთხვიარ მარე — სვანური სამონადირო ფერხული (სვან. მეთხვარ — მონადირე, მარე — კაცი). ეძღვნება ნადირობის ქალღმერთ დალისა და კაცღვთაება აფსათს. შინაარსობრივად მთლიანად ემთხვევა „დალა კოჯას ხელღვაჟალეს.“

მელია-თელეპია (თელეფია/თულეპია) — სანესჩვეულებო რიტუალის „საქმისაჲს“ („მურყვა-მობის“) ნაწილი, მამაკაცთა უძველესი სვანური ფერხული, სრულდებოდა ნაყოფიერების ღვთაების კვირიას დღესასწაულზე, ფერხული „ადრეკილას“ შემდეგ. ამ ორ ფერხულს შორის გარკვეული ნათესაობაც არსებობს (იხ. ლილი გვარამაძე — „ქართული საცეკვაო ფოლკლორი, 1997 წ. და ოთარ ჩიჯავაძე — ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2009 წ. — რედ.).

„მელია-თელეპია“ გასულ საუკუნემდე შემორჩა ქვემო სვანეთს.

მზე შინა და მზე გარეთა — ძველი ქართული საძებო ფერხისა. სრულდება ორმწკრიულად ქალ-ვაჟთა მიერ. ერთმანეთის პირისპირ მდგარი მეფერხისენი მღერიან სანესო-საძებო ორხმიან „მზე შინას,“ მოძრაობენ ფეხშენყობით და მზეს ინვევენ ოჯახში (საგალობლის ტექსტი წარმართობის-დროინდელია, მზის თაყვანისცემას გამოხატავს და ნაყოფიერების კულტს უკავშირდება). ფერხისას დამთავრების შემდეგ, მუსიკა-სიმღერის თანხლებით, „სამაიას“ ცეკვავენ (იხ. „სამაია“).

მთიელთა ცეკვები — საქართველოს მთიელთა — მთიულების („მხედრული“, „შეჯიბრი“, „ხანჯლური“), მოხვევების („მოხეური“ — „ყაზბეგური“), ხეცურების („ფარიკაობა“), ფშავლების („ფშაველ ქალთა ლხინი“), თუშების („თუშური“, „ქორბელელა“, „ლიქოკელი“), სვანების („მირმიქელა“, „თამარ დედფალ“, „ყანსავ ყიფიანი“ და სხვა) ცეკვები.

მთიულური — მთიულური ცეკვა, ახასიათებს მთიელთა ვაჟკაცურ ბუნებასთან შერწყმული თავისუფალი, ლალი, სხარტი და მოქნილი მოძრაობები, ცერილეთებისა და მუხლილეთების სიმრავლე, მოზღვავებული ტემპერამენტი, მდიდარი და მრავალფეროვანი ტექნოლოგიური მასალა. სრულდება

ვაჟთა ან ქალ-ვაჟთა მიერ. ვაჟთა „მთიულური“ შეჯიბრების ხასიათისაა, ქალ-ვაჟთა – სატრფიალო. ხალხურ „მთიულურს“ ერთი ან ორი მონაწილე ასრულებს. სასცენო ხალხურ ვარიანტს — ქორეოგრაფის ჩანაფიქრის მიხედვით, რამდენიც საჭიროა.

ცეკვა „მთიულურის“ ნაირსახეობაა: „შეჯიბრი“, „მხედრული“, „მწყემსური“, „ხანჯლური“... „მთიულური“ სრულდება გარმონისა და დოლის თანხლებით; მუსიკალური ზომა — 6/8.

მიდგმითი სვლა — ცეკვა „განდაგანას“ ილეთი. ადრე „ფეხმიდგმით გვერდზე სვლა“ ქალთა „განდაგანას“ (ქალთა „ყოლსამას“) ძირითადი სვლა იყო. ამჟამად „მიდგმითი სვლა“ თანაბრად გამოიყენება „განდაგანაში“ ქალისა თუ ვაჟის მიერ.

ერთ ტაქტში ორჯერ სრულდება. მუსიკალური ზომა — 6/8.

მირმიქელა — 1. მამაკაცთა ორსართულიანი სვანური საბრძოლო ფერხული (სვან. ხტომა, ჩამოხტომა). 2. ნაყოფიერების ღვთაების — კვირიას კულტისადმი მიძღვნილი სარიტუალო-საცეკვაო ქმედება.

ფერხულის დასაწყისში მეფერხულე მამაკაცთა ერთი ჯგუფი წრეზე განლაგდება, ხელებს ერთმანეთს მხრებზე გადააწყობს და ცალ მუხლზე ჩაიჩოქებს. მათ მხრებზე შეადგება ასევე მხრებზე ხელებგადახვეულ მამაკაცთა მეორე ჯგუფი. ფერხული წამოდგება და სიმღერით სვლას იწყებს წრეზე მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა სართული ჩამოყრით ემუქრება ზედას. ზედა უპასუხებს, რომ არც ეშინიათ და ვერც ჩამოყრიან. ბოლოს, ქვედა სართული დროს იხელთებს, მოულოდნელად გაეცლება და ჩამოყრის ზემოთებს... იკვრება ერთი დიდი წრე, ცეკვა-თამაში და ლხინი მინაზე გრძელდება. „მირმიქელას“ შემდეგ ქალ-ვაჟნი ჯერ „შინავორგილს“ ცეკვავენ, შემდეგ მამაკაცები — „ცერულს.“ ფერხული სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

მისაპატიჟებელი — ოსური ცეკვა „ხონგა ქავთის“ („მიპატიჟების“) ქალის გამოსაპატიჟებელი ძირითადი ილეთი. სრულდება ადგილზე, პარტნიორის მიმართულებით ან მეოთხედით — მარჯვნივ და მარცხნივ შებრუნებით.

„მისაპატიჟებლის“ პირველი ნახევარი „ფეხმიდგმით წინსვლის“ თავისებური სახეცვლილებაა. მეორე — ერგცერებზე უკუსვლა.

ილეთი ყოველთვის მარჯვენა ფეხით იწყება და ორ მუსიკალურ ტაქტში სრულდება. მუსიკალური ზომა — 6/8.

მონადირე ჩორლა — (სვან. ხოჩა მეთხვიარ ჩორლაჲ — კარგი მონადირე ჩორლა) ნადირობის ქალღმერთ დალისადმი მიძღვნილი სვანური სამონადირო ფერხული: ნადირობისას ჩორლას დალის სამფლობელოში სამი ჯიხვი მოუკლავს. მეოთხის მოკვლისას დალებს მოუსწრიათ, შეუბოჭავთ და კლდეზე მარცხენა ხელ-ფეხით შეუტოვებიათ. ჩორლას თავისი ძალი გაუგზავნია ძმებთან. გზაზე ძალი წმინდა გიორგის შეხვედრია და თავისი პატრონის გადარჩენა უთხოვია — წმინდა გიორგის ჩორლა დალებისაგან მხარმოტეხილი დაუხსნია.

მოხეური — ქალ-ვაჟის სატრფიალო მოხეური ცეკვა, იგივე „ყაზბეგური.“ ქართველ მთიელთა ცეკვებისაგან გამოირჩევა თავისებური სილალითა და ვაჟკაცურობით. შეიძლება შესრულდეს ცალ-ცალკე — ვაჟთა და ქალთა მიერ. ქალთა „მოხეური“ გართობა-თამაშია — ხშირად ქალები ვაჟის როლში გამოდიან და ერთიმეორეს პარტნიორობას უწევენ (როგორც ფშაურსა და მთიელ ქალთა ცეკვებში). ვაჟთა „მოხეური“, ქალებისაგან განსხვავებით, შეჯიბრების ხასიათისაა.

„მოხეური“, „მთიულურთან“ შედარებით, უფრო ნელა, საშუალო ტემპში იცეკვება. ხალხურში ასრულებს ერთი ან ორი შემსრულებელი, სასცენო ხალხურ ვარიანტში — ქორეოგრაფის ჩანაფიქრის მიხედვით, რამდენიც საჭიროა.

„მოხეურს“, ანუ „ყაზბეგურს“, ახასიათებს კიდურების ტეხილი მოძრაობები; მუხლილეთები, ცერილეთები, ჰაერში ხტომები და ბრუნები — ნაკლებად. სრულდება გარმონისა და დოლის ან ფანდურისა და დაირის აკომპანემენტით. მუსიკალური ზომა — 6/8.

მოხეური რთულა — ცეკვა „მოხეურის“ ძირითადი სვლა. ჩვეულებრივი „რთულასაგან“ განსხვავებულობისა და შესრულების თავისებურების გამო, სახელწოდებას დაემატა „მოხეური.“

მრგვალი — ფერხულის ძველი ქართული სახელი. სულხან-საბა „ფერჟულს“ მრგვალი(ა) ნყოფას“ უწოდებს — ფერხული და მრგვალი ერთი და იგივე ცნებებია. სვანეთში ფერხულების ფეხის მოძრაობათა კომპლექსს „მურგვალ ჭიშხი“ (მრგვალი ფეხი) ეწოდება.

მურამულდი ქულა — იგივე მირმიქელა (იხ. მირმი ქელა).

მურზა ი ბექსილი — მეომრულ-ლაშქრული ქალ-ვაჟთა სვანური ფერხული. ძმებმა მურზამ და ბექსილმა თავი მოუყარეს ახალგაზრდა მეომრებს და ჯეგამზე გაილაშქრეს. ფერხული სრულდება სამხმიანი ორპირული სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

მურყვამობა (კოშკობა) — ფალოსის კულტისა და შვილოსნობის მფარველი ღვთაების კვირიასადმი მიძღვნილი დღესასწაული (ქვემო სვანეთი).

ყველიერის მომდევნო კვირაში, დიდმარხვის პირველ დღეს — დილით — შავ ორშაბათს, ზემო და ქვემო ლაშხეთი საყვირითა და დროშებით ჟახუნდერში მოედანზე იკრიბებოდა. აკეთებდნენ თოვლის დიდ მურყვამს და კოშკის თავზე დროშას არჭობდნენ. „კეისრების“ (ყაენების) მეთაურობით იმართებოდა ჭიდაობა ზემო და ქვემო ლაშხელებს შორის. საითაც კეისარი წაიქცეოდა, თოვლის კოშკიც იქით გადაიქცეოდა და ამით წინასწარმეტყველებდნენ მოსავლის ბედს.

კოშკის გადაქცევის შემდეგ სრულდებოდა ფერხული — „ადრეკილაჲ,“ შემდეგ „მელია თელეპია,“ სიმღერა „კვირია,“ „ჭიშხაში“ (ფერხული) და კიდევ ოთხი სიმღერა (მთხრობელი — არსენ ონიანი).

მუტრიბ(ნი) — ქალი მეჩანგე (საბა), მუსიკოსები, მეჩანგენი („ვეფხისტყაოსანი“), დამკვრელი, მომღერალი, მოცეკვავე („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“).

მუშაითი — საბელზე(დ) მოთამაშე (საბა), ჯამბაზი.

მუშაითობა — ჯამბაზობა (იხ. ლილი გვარამაძე, „ქართული საცეკვაო ფოლკლორი.“ 1997 წ.).

მუხლებზე ბრუნი — ცეკვა „მთიულურში“ მამაკაცთა ილეთი. ერთ ტაქტში ადგილზე მუხლების შენაცვლებით შესრულებული ერთი სრული ბრუნი, ზოგჯერ — ორიც. არსებობს მუხლებზე გადაბმული ბრუნიც: ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ბრუნი წრეზე გადასაადგილებლად.

მუხლმოქნევითა და ქუსლგაკვრით ჩაკრული — ცეკვა „განდაგანაში“ მამაკაცთა ორტაქტიანი ილეთი. მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

მუხლურა წინსვლა წვივმოქნევით — ცეკვა „მთიულურში“ მამაკაცთა ერთტაქტიანი ილეთი — ორი მოძრაობა — ნაბიჯი და წვივმოქნევა. მუსიკალური ზომა — 6/8.

მძნობარი — „მწყობრი,“ „მემწყობრე“ (იხ. ძნობა), მეფერხულე, მგალობელი, მოცეკვავე, მუსიკოსი, სიმებიან საკრავზე დამკვრელი (ილია აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“).

მწყემსური — მთიელი მწყემსების ყოფის ამსახველი ქალ-ვაჟთა ცეკვა, „მთიულურის“ ელემენტებით. „მწყემსური“ სასცენო ხალხური ცეკვების საუკეთესო ნიმუშია.

მწყობრი — ფერხულის ადრინდელი სახელი, ფერჯისაში მწკრივებად განლაგებული მოცეკვავეთა ჯგუფი. შეწყობილი, სამწყობრო (საბა); „გუნდი,“ „მძნობ(ა)რი,“ მეფერხულე, „პურის-მტე“ (ილია აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“).

მწყობრად-მწყობრად — ჯგუფ-ჯგუფად (ილია აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი,“ 1973 წ.).

მწყობრება — წრე, რიგი, „სიმგრგულე“ (იქვე).

მხარული — მხრებისა და ხელების ოსტატურ თამაშზე აგებული ცეკვა (მეგრ. ხორული). 1. მეგრული ფერხული: ნეკა თითებით ხელჩაკიდებული ქალები და მამაკაცები ფეხშენწყობით, სიმღერით მოძრაობენ წრეზე — ჯერ ნელა, შემდეგ აჩქარებულად. აჩქარებისას ქალები გადიან წრიდან, მამაკაცები კი ხელებს ჯერ ზევით ასწვენენ და მჭიდროდ დაუახლოვდებიან ერთმანეთს, შემდეგ წრეს გაშლიან, ხელებს ერთმანეთს მხრებზე გადააწყობენ და განაგრძობენ სვლას. 2. ცეკვა „განდაგანას“ აჩქარებული ნაწილი — იგივე „მხარული“ (მამაკაცთა ყოლსამა).

მხედრული — სასცენო-ხალხური ცეკვების ჯგუფის მამაკაცთა ცეკვა, „მთიულურის“ ტექნოლოგიით. სრულდება ხმლებით ან მათრახებით. „მხედრული“ ქორეოგრაფთა შემოქმედების ნაყოფია. იცეკვება გარმონითა და დოლით. მუსიკალური ზომა — 6/8.

6

ნართების სიმდი — ქართული „ზემყრელოს“ მსგავსი, საბრძოლო შინაარსის მამაკაცთა ორსართულიანი ოსური ფერხული. ნართების „სიმდი“ ოსეთში XIX საუკუნემდე არსებობდა და მაშინ, როდესაც მამაკაცების ფერხულში ქალებმაც დაიკავეს ადგილი, ნართების „სიმდმა“ ფორმაც დაკარგა და

შინაარსი: ორსართულიანი „სიმდი“ ერთსართულიანად გადაიქცა, საბრძოლო — სატრფიალოთი შეიცვალა.

ნარნარი — „მიპატიჟების“ ელემენტებზე აგებული ქალთა ოსური ცეკვა.

ო

ობირუ — იხ. ოტრალოდუ.

ორი დელა — ქალ-ვაჟთა რაჭული ფერხული. გადმოცემულია ერისთავის ქალის გატაცების ამბავი. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 3/4.

ორ და სამსართულიანი ფერხულები — საბრძოლო სართულებიანი ფერხულები (იხ. ზემყრელო).

ორ და სამსართულიანი ფერხულები გამოირჩევიან მრავალფეროვნებითა და გავრცელების ფართო არეალით: ქართლსა და კახეთში — „ორსართულა“ ანუ „ზემყრელო“, მესხეთში — „სამყრელო“, თუშეთში — „ქორბელელა“, სვანეთში — „მირმიქელა“...

„გურული ფერხულისა“ და რაჭული „მალლა მთას მოდგას“ მეორე ნაწილიც ორსართულიანია.

ოსიე — რაჭული საბრძოლო ფერხული, სრულდება ქალ-ვაჟთა მიერ ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 3/4.

ოსხაპუე (ხუჯიში ოსხაპური) — შრომის პროცესის თანმხლები უძველესი სამინათმოქმედო მეგრული ფერხული (სხაპუა — ცეკვა, ოსხაპუე — საცეკვაო. იხ. ოთარ ჩიჯავაძე, „ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი“).

ოტლარჩობა (ატლარჩობა/ატლარჩობა) — ნაყოფიერების, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული მამაკაცთა სწრაფტემპიანი აფხაზური ცეკვა წრიული ფერხულით. მთიელთა ცეკვის მსგავსად, „ოტლარჩობაში“ გამოიყენება მუხლებზე სრიალი, სხვადასხვა სახის ჩაკვრა და ცერილეთები. სრულდება ამავე სახელწოდების სიმღერით (სიმღერა „აფრაშვას“ ზოგჯერ „ატლარჩობასაც“ უწოდებენ). მუსიკალური ზომა — 4/4.

ოტრალოდუ — მამაკაცთა ორმწკრიული ჭანური ფერხული (ფერჯისა). „საზოგადოება ორ ჯგუფად იყოფა. თითოეულ ჯგუფში ხუთი და ხუთზე მეტიცაა. ჯგუფები ერთიმეორის პირდაპირ დგანან და ერთმანეთისაკენ ცეკვით მიიწევენ. თითოეული მხარე, ექსპრომტის საუკეთესოდ მთქმელის საშუალებით, ლექსით დასცინის მოპირდაპირეს“ (ნიკო მარი).

ოღროჩორლო — ქალ-ვაჟთა რაჭული სახუმარო ცეკვა „ქართულის“ ელემენტებით — სვლები და გასმისებური მოძრაობები ფეხების ხლართვითა და ზეტანის რხევით. სრულდება გარმონისა და დაირის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 2/4.

ობორონუც — ჭანურად ცეკვა, საცეკვაო (იხორონეს — იცეკვეს).

ოჰოჲ, ნანო — სწორხაზოვანი უძველესი ფერხული მეთაურით (აჭარა), „ბარის“ მსგავსი (იხ. „ბარი“), საქორნილო რიტუალის ნაწილი, ხიხაძირში გავრცელებული საფერხულო წყობის ცეკვა-თამაში. ოჰოჲ, ნანო — „ვაი, დედა,“ — მეთაურის მიერ ჯოხის შემოკვრის შედეგად მონაწილეთა ნამოძახილით უნდა დარქმეოდა.

პ

პანტომიმა — (ბერძ. ყოვლის მიმბაძველი) თეატრალურ წარმოდგენაში მოქმედი პირების აზრებისა და გრძნობების გადმოცემა უსიტყვოდ, ჟესტისა და მიმიკის საშუალებით.

ჟ

ჟუჟუნა — ქალ-ვაჟთა სატრფიალო ერთმწკრიული რაჭული ფერხული. მეფერხულე ქალ-ვაჟნი ერთ მწკრივად ეწყობიან რკალზე და წრის შეუკვრელად სიმღერით იწყებენ მოძრაობას მარჯვნივ.

შემდეგ რკალი შუაზე იყოფა და ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს (შეხვედრისას ერთი ნახევარი მეორეს წინ გაუვლის). წრე იკვრება მხოლოდ ფერხულის დასკვნით ნაწილში. ამის გამო „ჟუჟუნა“ ფერწისას უფრო წააგავს, ვიდრე ფერწულს. სრულდება ამავე სახელწოდების ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 3/4.

რ

რამაიდა — ქალ-ვაჟთა სვანური მასობრივი სატრფიალო ცეკვა. ქალ-ვაჟნი წყვილებად ეწყობიან ერთმანეთის ზურგს უკან და ასე მოძრაობენ წრეზე ან ნებისმიერი მიმართულებით.

„რამაიდა“ უტექსტოდ სამხმად იმღერება. მუსიკალური ზომა — 4/4.

როკვა — ქართული ცეკვების ადრინდელი ზოგადი სახელი. „როკვა არს სამა, ცეკუა, ბუქნა, კოჭა, ფერწული. მრგვალ წყობა და რაოდენიცა ებანთა და ფანდურთა მიერ იქმნებიან“ (საბა. იხ. თამაშობა). XVII-XVIII საუკუნეებში როკვა ჩამოთვლილი ცეკვების საერთო სახელწოდებად იქცა, ცეკვა კი კერძო მნიშვნელობით გვხვდება.

როსტომ ჭაბუკი (როსტომ ჭაბიგვი) — ეცერელი ვაჟკაცის როსტომისადმი მიძღვნილი ქალ-ვაჟთა სვანური ფერხული. დასაწყისში მეფერხულენი რკალად ეწყობიან და სიმღერით მოძრაობენ მარჯვნივ. თანდათანობით რკალი შეიკვრება და ფერხულიც აჩქარდება. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

ს

საბაღდადურო უკუჩაკრული — ცეკვა „კინტაურის“ ერთტაქტიანი ილეით — ფეხის წვერების რიგრიგობით უკან დაკვრა. მუსიკალური ზომა — 6/8.

საბაღდადურო წინჩაკრული — ცეკვა „კინტაურის“ ერთტაქტიანი ილეით — ფეხის წვერების რიგრიგობით წინ დაკვრა. მუსიკალური ზომა — 6/8.

საგანდაგანო მუხლურა — ცეკვა „განდაგანას“ ნახევარტაქტიანი ილეით: სვლა ფეხის წვერებზე მუხლმობრით ორი მოძრაობით: ფეხის წვერზე ნაბიჯი და მუხლში მოხრილი ფეხის იატაკიდან ატყორცნა. მუსიკალური ზომა — 6/8.

სად მიხვალ, თეთრო ქათამო — კითხვა-მიგებითი ქალთა მოხეური ფერხული.

სადა მუხლურა წინსვლა — ცეკვა „მთიულურისა“ და „დავლურის“ ერთტაქტიანი ილეით. მუსიკალური ზომა — 6/8.

სადა სრიალა გასმა — ცეკვა „ქართულის“ გასმების ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი ერთტაქტიანი ილეით — ტერფების წინა ნაწილებზე (ერგცერებზე) სრიალი. მუსიკალური ზომა — 6/8.

სადა ჩაკვრა — ცეკვა „მთიულურის“ ერთტაქტიანი ილეით — ქუსლისა და ფეხის წვერის შენაცვლებით დაკვრა. მუსიკალური ზომა — 6/8.

საკოლმეურნეო — საკოლმეურნეო შრომასა და საბჭოთა სოფლის ცხოვრებასთან დაკავშირებული ცეკვა, რომლის ტექნოლოგია, საკოლმეურნეო შრომის პროცესის იმიტირებისა და ხალხური ცეკვის ელემენტების სინთეზია.

საკოლმეურნეო ცეკვა მასობრივია, მონაწილეობდნენ მამაკაცები და ქალები, რაოდენობა განუსაზღვრელია.

სამაია, სამა — ქალთა, ვაჟთა და ქალ-ვაჟთა უძველესი საძეობო ფერხული. ხალხური „სამაია“ „ფერწისას“ უფრო წააგავს, ვიდრე „ფერწულს“ — მწკრიულად სრულდებოდა.

საფერწისო წყობის ქალ-ვაჟთა „სამაია:“ „ქალნი და კაცნი, ორ დასად გაყოფილნი, ერთმანეთის პირდაპირ კარგა მოშორებით ხელისხელგაბმულები მწკრივად. ჯერ ერთი გაბმული დასი წარმოვიდოდა, თავის პირისპირ დასისა, წყნარად მომავალნი და თან ამას მოიმღეროდნენ: „სამაია სამთაგანა, რა ტურფა რამ ხარო“ და სხუანი. ასე უნდა მისულიყვნენ მოპირდაპირე დასთან ეს მომღერალი დასი, მას უკან მღერითვე გატრიალებულიყვნენ და თავის ადგილს მისულიყვნენ აგრეთვე მღერით...

შემდეგ უკვე მეორე დასი შეასრულებდა იმავს და ა.შ... ჩემს სიყმანვილეში ერთ გამოჩენილ ქორნილში დააბეს „სამაია“, ორმოცზე მეტმა მახლობლად ქალებმა გათხოვილებმა და გაუთხოვრებმა... (ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი).

ძეობის ღზინში შესრულებული „სამაია“:

„რა გაათავონ ფერჯისა, გამართვენ ერთად ჭამასო,
დასხდნენ ქალების პირდაპირ, არვინ დაიშლის ამასო,
შემოიყვანენ მესტვირეს, უკრვენ, ჩააბმენ სამასო...“
„ცალგნით არის კაცის ხმანი, ცალგნით არის ქალებისა,
ძეობაში უკუყრა და ყოფა არის მენესტვსა“...

(თეიმურაზ მეორე, „სარკე თქმულთა“).

„სამაია“ მამაკაცთა შესრულებით მხოლოდ ფშავს შემორჩა. აქ მამაკაცები წრეზე მოძრაობენ — ან ხელებხელგაშლილები, ან მკლავებით მხრებზე, როგორც ჩვეულებრივ ფერხულშია მიღებული. ფშაურ „სამაიაში“ ძირითადად გამოყენებულია „მუხლურა სვლა“ და მარჯვენა-მარცხენა ფეხის ტერფის შენაცვლებით დაკვრა.

დღეისათვის გავრცელებული ცეკვა „სამაია“ სამი ქალის შესრულებით, შექმნილია სვეტიცხოვლის ტაძრის ფრესკის მიხედვით (გადმოიღეს მხატვრებმა გაგარინმა და ფსკოვიტინომ).

ქალთა „სამაია“ სრულდება სიმღერის ან ხალხური საკრავების თანხლებით. მუსიკალური ზომა — 6/8. სამაია, სამა აჭარასა და იმერხევში დღესაც ზოგადად ცეკვას ნიშნავს. ისამე — იცეკვე! „ხორუმის“ თავში მოცეკვავს თავმოსამეს უწოდებენ.

სამდაკვრითი (ადგილზე) სვლა — ცეკვა „ქართულში“ ქალის ილეთი.

„სამდაკვრითი სვლის“ შესრულებისას, კოჭის სახსარში მოძრავი, ერთმანეთთან მჭიდროდ შეერთებული ტერფები ფეხის წვერებით რიგრიგობით ხან შეეხება იატაკს, ხან — მოსცილდება. ერთ მუსიკალურ ტაქტში ფეხის წვერები სამჯერ შეეხება იატაკს. მუსიკალური ზომა — 6/8.

ცეკვა „ქართულში“ „სამდაკვრითი სვლა“ გამოიყენება ადგილსა და გვერდზე ბრუნისათვის, ასევე უკუსვლებისათვის.

სამდაკვრითი წინსვლა — ოსური ცეკვა „ზილგას“ ერთტაქტიანი ილეთი — ფეხის წვერებზე (ერგცერებზე) დგომით. შეიძლება შესრულდეს ცერებზეც. მუსიკალური ზომა — 6/8.

სასვენო — ცეკვა „ხორუმში“ შეტევებს შორის შესვენების გამომხატველი ერთტაქტიანი ილეთი. მუსიკალური ზომა — 5/8.

საფერხულო უკუჩაკრული — ქართული ფერხულების (ძირითადად გურულისა და რაჭულის) ილეთი — ერთი ფეხით გვერდზე ნაბიჯი და მეორის წვერის უკან დაკვრა.

საფერხულო წინჩაკრული — ქართული ფერხულების ძირითადი ილეთი — ორი მოძრაობა: პირველი — ერთი ფეხით გვერდზე ნაბიჯი, მეორე — ფეხის წინ ჰაერში გაქნევა.

საფრთხილო — ცეკვა „ხორუმის“ ორტაქტიანი ილეთი — მონინაალმდეგის განლაგების დაზვერვა, ფრთხილად მოსინჯვა. ფეხით მოსინჯვის მოძრაობები „ფარულას“ შემდეგ (იხ. ფარულა) სრულდება. მუსიკალური ზომა — 5/8.

საცეკვაო ეტიუდი — მცირე ფორმის ცეკვა, ცეკვის ტექნიკის ასათვისებლად ვარჯიში.

სახიობა — 1. ძველი ქართული სახანაობა. „ესე არს მუსიკა მწყობრი ძალთა და საკრავთანი და ჴმოანება ტკბილი გალობა თუ სიმღერა“ (საბა). ძველ წერილობით წყაროებში „სახიობაში“ მონაწილეობდნენ — მგოსანნი, მუშაითნი და მუტრიბნი (იხ. მგოსანი, მუშაითი, მუტრიბი). 2. „წმანელობა“, გალობა, „სიხარული“, „აღმობგერება“, მუსიკა (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

სახიობელი — საგალობელი ან მგალობელი, მუსიკოსი, გალობა (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

სვლები — საცეკვაო ილეთები — წინსვლისა და წრეზე დავლისათვის.

სიმდი — ქალ-ვაჟთა სატრფიალო ოსური მასობრივი ცეკვა თავისი ნაირსახეობით: სიმდი, ნართების სიმდი, თიმბილ სიმდი, სიმდი ჩეფენა, სიმდი სანდრაკი... იცეკვება გარმონისა და დაირის ან დოლის თანხლებით, მუსიკალური ზომა — 4/4.

სიუჟეტური ცეკვა — ეპიკურ და დრამატულ ნაწარმოებებში მოქმედ პირთა შორის ცეკვით

გამოკვეთილი, განსახიერებული კონფლიქტები, წინააღმდეგობები, დავა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე სიუჟეტურ ციკვებში.

ტ

ტაბაცობა — თამაშობა.

ტერფაკვრით წინსვლა — ოსური ციკვა „სიმღის“ ძირითადი ერთტაქტიანი სვლა — ყოველ მეოთხე თვლაზე ფეხის წვერის ოდნავ წინ გასრიალებით. მუსიკალური ზომა — 4/4.

ტერფდაკვრით ჩაკრული — აფხაზური ციკვა „შარათინის“ ძირითადი ერთტაქტიანი ილეთი: ადგილზე შესტომა და ტერფების რიგრიგობით დაკვრა. „ტერფდაკვრით ჩაკრული“ ბრუნვის დროსაც სრულდება. მუსიკალური ზომა — 4/4.

ტერფმოქნევით გასმა — ციკვა „ქართულის“ ერთტაქტიანი ილეთი (გაქნევა, გასმა) — სადა სრიალა გასმის თავისებური გართულებული ვარიანტი: ტაქტის მეოთხე თვლაზე, ყოვნის ნაცვლად წინ გატანილი ტერფის მოქნევა და გაქნევა — ფეხის მუხლის სახსარში სწრაფად მოხრა და გამართვა. მუსიკალური ზომა — 6/8 ან 4/4.

ტერფულა წინსვლა — ციკვა „ქართულის“ შედარებით ადვილი — ერთტაქტიანი სვლა — ტერფებზე სრიალი. მუსიკალური ზომა — 6/8.

ტრადოდუმან — ქალთა ჭანური ფერხული.

ტყუპმუხლზე სრიალი — აფხაზური ციკვის ილეთი — გამორბენით ორივე მუხლზე დაცემა და გასრიალება.

უ

უსგვირ ლაშგარი — მამაკაცთა და ქალთა სვანური წრიული ფერხული. ეძღვნება სვანთა მტერზე გალაშქრებას ციოყ დადემქელიანის მეთაურობით. ამიტომაც „უსგვირ ლაშგარს“ ზოგჯერ „ციოყ მახვმისაც“ უწოდებენ. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

უშგვლა ლასმა — მეომრულ-ლაშქრული ძველი სვანური ფერხული. სვანთა ერთ-ერთი ლაშქრობისას შხარას უღელტეხილზე ზვავი ჩამონვა და მთელი ლაშქარი დაიღუპა.

ფერხულის ტექსტის მიხედვით, მოხუცებმა ადრევე იგრძნეს საფრთხე (მათ თვალი მოჰკრეს უღელტეხილზე ლაშქრის მარცხნივ ჩავლილ წმინდა გიორგის, რაც, მათი აზრით, უბედურებას მოასწავებდა) და უკან დაბრუნება მოითხოვეს. ახალგაზრდებმა არ დაუჯერეს, წინ გასწიეს და ყველანი ზვავმა დაიტანა.

ფერხული სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

ფ

ფარიკაობა — 1. წყილთა, ჯგუფობრივი ან მასობრივი სასცენო-ხალხური ციკვა. 2. მოწინააღმდეგის ხმალში გამონვევა და ბრძოლა, ფარ-ხმალში ვარჯიში — კეჭნაობა. საფუძვლად დაედო ხევსურულ ციკვა „ფარიკაობას.“

ციკვა „ფარიკაობა“ ქართველ ქორეოგრაფთა ერთი ნაწილის შემოქმედების ნაყოფია. ციკვაში საინტერესოა არა მარტო მისი სანახაობითი მხარე, — ციკვის თავისებური მონახაზი, ტექნიკურად რთული ილეთების გამოყენება, ფარ-ხმალის ოსტატურად ხმარება და სხვა, — არამედ მასში ზედმინეწითაა გამოკვეთილი ქართველი კაცის რაინდული ბუნება — ბრძოლა შეიძლებოდა მხოლოდ თანაბარი იარაღით: უიარაღო მოწინააღმდეგეს, ზურგშექცევით მდგომს ან ნაქცეულს ხმალს არ დაჰკრავდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხევსურული ტრადიცია: ქალის, მისი მანდილისადმი პატივისცემა. საკმარისი იყო, ორ მოსისხლეს შორის მანდილის ჩაგდება, რომ ბრძოლა შეწყვეტილიყო.

„ფარიკაობას,“ ძირითადად, მამაკაცები ასრულებენ. ქალები, უფრო მეტად, დასაწყისსა და დასკვნით ნაწილში მონაწილეობენ.

სრულდება გარმონითა და დოლით მთიელთა საცეკვაო მელოდიებზე. მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ფარულა — ცეკვა „ხორუმის“ ძირითადი ილეთი — წინსვლა — ნახევრად ბუქნი; თავისი ფორმით, მებრძოლთა შენიღბული სვლა — სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოძრაობა სრულდება ერთ მუსიკალურ ტაქტში. მუსიკალური ზომა — 5/8.

ფარცაუკუ — 1. ძველისძველი გურული საბრძოლო-სპორტული ცეკვა სიმღერით (იხ. ოთარ ჩიჯავაძე „ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი,“ 2009წ.).

2. ქალთა ძველი ცეკვა-თამაში ბუქნებით. „წყვილ-წყვილად დაწყობილი ქალები, მუხლებს მოხრიდნენ, კაბას ლამაზად შეიკეცავდნენ, ტაშის კვრით უვლიდნენ და მართავდნენ შემდეგ დიალოგს: „ფარცა უკუ ფაცადინა, ყურსა სისხლი რამ გადინა? — იტყოდა ერთი. — „ლაშქარს ვიყავ, დავიკოდე, ყურსა სისხლი მან მაღინა.“.. (გიორგი შარაშიძე).

ფაცქიკუკუ (ფარციკუკუ, ფარცაუკუ) — კუკილით, კუკით ხტომა (საბა), ბუქნით ხტომა.

ფეხგაქნევით უკუჩაკრული — ცეკვა „კინტაურის“ ილეთი. ჰაერში ფეხგაქნევისა და საბალდადურო უკუჩაკრულის ნაერთი; სრულდება ორ ტაქტში. მუსიკალური ზომა 6/8.

ფეხის ძირითადი პოზიციები — საწყისი მდგომარეობა ქართული ცეკვების ილეთთა შესწავლისა და შესრულების დროს — ფეხის ოთხი ძირითადი პოზიცია:

I — ორივე ფეხის ტერფის ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმა.

II — ცალი ფეხი ტერფით გატანილია წინ და იატაკს ფეხის წვერით ეხება, მეორე — საყრდენი ფეხი — მთელი ტერფით.

III — ორივე ფეხი სხეულის გასწვრივა და ქუსლებით ერთმანეთს ეხება, ფეხის წვერები გატანილია განზე.

IV — ფეხები მხრების სიგანეზეა გადგმული. ოთხივე პოზიციაში ფეხები გამართულია მუხლის სახსარში.

ფეხმიდგმით სვლა — ოსური ცეკვა „მიპატიჟების“ — „ხონგა ქავთის“ ძირითადი ილეთი — ერგ-ცერებზე სვლა. მუსიკალური ზომა — 6/8 ან 4/4.

ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა — მთიელთა ცეკვების — მთიულურის, სვანურის, აფხაზურისა და ოსურის — ორტაქტიანი ილეთი, „განბიჯითა და ფეხშლით ჩაკვრის“ თავისებური — სახემეცვლილი, შებრუნებული ვარიანტი: ჯერ ფეხშლა სრულდება, შემდეგ — განბიჯი. მუსიკალური ზომა — 6/8 ან 2/4.

ფეხშლილი ჩაკვრა — მთიელთა ცეკვებისათვის, უფრო მეტად, სვანური „ცერულისთვის“ დამახასიათებელი ერთტაქტიანი ილეთი. მუსიკალური ზომა — 6/8 ან 2/4.

ფერჯისა — ქართული ხალხური ქორეოგრაფიის უძველესი ფორმა, საფერჯისო წყობის საცეკვაო და სასიმღერო სანახაობა. „მრავალთ მობმით“ როკვა (საბა). წრემეუკვრელი ფერხული — მწკრივებად განლაგებული ერთი ან ორი მწყობრი.

ფერჯული — „მგრგვალთ(ა) წყობა“ (საბა), ანუ წრიული ფორმა. გუნდური ცეკვა: ხელიხელგადაბმული მოცეკვავეების წრედ ბრუნვა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, 1962 წ.).

ფერხულები განსხვავებულია ფორმისა და შინაარსის მიხედვით: წრიული, წრე წრეში ჩასმული, ფერხულს შიგნით მოთამაშით, ორ და სამსართულიანი ფერხულები. სამონადირეო, რელიგიურ-რიტაულური, საბრძოლო და საყოფაცხოვრებო. ფერხული ფეხებს — ფეხების მოძრაობას — უკავშირდება. ეს „ფერხულის“ მეგრული და სვანური სახელებითაც — „კუჩხიში“ და „ჭიშხაში“ — დასტურდება.

ფუნდრუკი — იხ. თამაშობა (ასევე: ლილი გვარამაძე — ქართული საცეკვაო ფოლკლორი).

ფშაური სამაია — საფერხულო წყობის ძველი ქართული ხალხური ცეკვა, სრულდება ფშავში ცალკე მამაკაცთა და ცალკე ქალთა მიერ. მამაკაცთა „სამაიას“ ერთადერთი ნიმუში ავთანდილ თათარაძემ ჩაინერა ფშავში, სოფელ გოგოლაურთაში, 1949 წელს (იხ. სამაია).

ფშაური — მთიელთა ცეკვების ჯგუფის ფშაური ცეკვა. ხალხურ ვარიანტში ასრულებს ერთი-ორი მოცეკვავე, ქალები, ვაჟები ან ქალ-ვაჟთა წყვილი; ხალხურ-სასცენოში — ქორეოგრაფის შეხედულებისამებრ, საჭირო რაოდენობა.

ფშაურ ცეკვაშიც, „ფშაველ ქალთა ლხინის“ მსგავსად, შეიძლება ქალი პარტნიორობას უწევდეს ქალს და ცეკვავდეს ვაჟურად. „ფშაური საცეკვაო“ სრულდება გარმონის და დაირის ან დოლის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 6/8.

ქ

ქალთა ფერხული — მთვარის კულტისადმი მიძღვნილი ქალთა ძველებური ქართული ფერხული: „ქალები წრეს შეკრავენ და ტაშის ცემას გააჩაღებენ, წრის შიგნით ქალი ცეკვავს და თან მღერის — „ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე.“.. და ა.შ. (რაფიელ ერისთავი).

ქალსა ვისმე — რაჭული ფერხული. ტექსტის მიხედვით, ეძღვნება ახალგაზრდა ქალს — სახელად „ერქვა შუშანა და თითსა ეცვა ბეჭედი...“ შეიძლება ეს იყოს გამოძახილი „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ქართლის ერისთავის ულამაზესი ასულის — შუშანას — ტრაგიკული თავგადასავლისა: ერისთავის ქალმა ხაზართა ხაკანის ცოლობას სიკვდილი არჩია. ბეჭედში საიდუმლოდ შენახული სანამლავი დალია და თავი მოიკლა (იხ. ფერხული „ქალსა ვისმე“).

ფერხული სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 3/4.

ქალტაციაობა — ქალ-ვაჟთა საფერხისო სანახაობა: „მოთამაშენი ორ წყებად და ორ განად იყოფიან, დგებიან, მობმით ცეკვავენ და მღერიან. ჯერ პირველი მწყობრი იტყვის სიმღერით ლექსს და „სკუპით“ — მეორე მწყობრისაკენ მიიწევს, მერე მეორე მწყობრი ჩამოართმევს პირველს სიმღერას, პირველი უკან იხევს, მეორე კი „სკუპით“ მისკენ მიიწევს“... საბოლოოდ პირველი მწყობრი თავს დაესხმის მეორეს და ქალს წაართმევს“ (რაფიელ ერისთავი).

ქვედრულა მოდიდებულა — რაჭული საყოფაცხოვრებო ფერხული. მოთხრობილია პატარა მდინარის ქვედრულას ადიდებით გამოწვეული სტიქიური უბედურება. მუსიკალური ზომა — 3/4.

ქობულეთური ჩაკრული — ცეკვა „ხორუმის“ ორტაქტიანი ილეთი, ახასიათებს ქობულეთელი აჭარლების „ხორუმს.“ მუსიკალური ზომა — 5/8.

ქორბელელა — ძველი თუშური ორ ან სამსართულიანი ფერხული (იხ. ზემყრელო). ღვთისშვილთა პატივსაცემი და ნაყოფიერების ღვთაების სადიდებელი მისტერიის ნაშთი. სრულდებოდა ლაშარის ჯვრის დღეობაზე მამაკაცთა მიერ.

„სახზედ სახლი აგებულა, ქორედ-ქორედი ოთხ(ი)-ხუთი სახლი სახლზედ შენებულა“ (საბა). სვანურადაც „ქორი“ სახლს ნიშნავს, „ქორბელელა“ სახლისა და ბეღელისაგან შემდგარი ძველი ქართული სართულებიანი ნაგებობა უნდა იყოს (იხ. ფერხული „ქორბელელა,“ ასევე: ოთარ ჩიჯავაძე — ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2009 წ. — რედ.).

ქორეოგრაფი — ცეკვის სპეციალისტი, ცეკვის დამდგმელი.

ქორეოგრაფია — (ბერძნ. ქორეა — ცეკვა, გრაფია — აღწერა). პირდაპირი მნიშვნელობით ქორეოგრაფია ნიშნავს ცეკვის ჩანერას პირობითი ნიშნების საშუალებით. ტერმინი ცეკვის ხელოვნებაში ფრანგმა რაულ ოჟე ფეიემ (XVIII ს.) დაამკვიდრა: თავისი ცეკვის ჩანაწერის აღმნიშვნელ გრაფიკულ ნიშნებს ქორეოგრაფია უწოდა. შემდეგ ქორეოგრაფია განზოგადდა და საბალეტო სპექტაკლების დადგმისა თუ, საერთოდ, ცეკვის ხელოვნებას ქორეოგრაფია ეწოდა.

ქორეოლოგი — ქორეოლოგიის სპეციალისტი.

ქორეოლოგია — (ბერძნ. — ქორეა — ცეკვა, ლოგია — მოძღვრება) — მოძღვრება, მეცნიერება ცეკვის ხელოვნების შესახებ.

ქრიალა წინსვლა — მთიელ ქალთა ცეკვების ილეთი — ტაქტის ყოველ თვლაზე მოკლე და სწრაფი ნაბიჯებით ფეხის წვერებზე (ერგცერებზე) აწეული სვლა. მუსიკალური ზომა — 6/8 ან 2/4.

ქუსლგაკვრით უკუსვლა — მთიელთა ცეკვებისათვის (მთიულური, ფშაური, ხევსურული, თუშური) დამახასიათებელი ერთტაქტიანი ილეთი — უკუსვლა. სრულდება ადგილზეც, გასმის სახით. მუსიკალური ზომა — 6/8 ან 2/4.

ქუსლდაკვრითა და უკუფეხჩადგმით ჩაკრული — აჭარული ცეკვა „განდაგანას“ ილეთი. სრულდება ორ ტაქტში მამაკაცთა მიერ. მუსიკალური ზომა — 6/8.

ქუსლურა წინსვლა — ცეკვა „კინტაურის“ ერთტაქტიანი სვლა. ახასიათებს აღმოსავლეთ საქართველოს „გლახურ“ ცეკვებს — სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოძრაობა (იხ. ცეკვა „კინ-

ტაური“). მუსიკალური ზომა — 6/8.

ქუსლცერა წინსვლა — ცეკვა „განდაგანას“ ერთტაქტიანი ილეთი: სვლა ქუსლისა და ფეხის ნვერის დაკვრით. მუსიკალური ზომა — 6/8.

ღ

ღვთაება კვირია — ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი ღვთაება სვანეთში. ყოველი სასოფლო ლოცვა პირველად კვირიას ხსენებითა და საგალობლით იწყება. სრულდება „მურყვამობის“ დღესასწაულზე (ზოგი გადმოცემით, „კვირიკობაზეც“). „ადრეკილაჲ“, „მელია თელეპია“, საგალობელი „კვირია“, ფერხული „ჭიშხაში“ და კიდევ ოთხი სიმღერა ნაყოფიერების ღვთაება კვირიას პატივსაცემი სადღესასწაულო სიმღერა-ფერხულებია.

ყ

ყაზბეგური — (იხ. მოხეური).

ყანსავ ყიფიანე — ქალ-ვაჟთა სვანური ფერხული, ეძღვნება ლაშხეთის მახვშს, უბერებელ და უკვდავ ვაჟკაცს — ყანსავ (ბეჟან) ყიფიანს (XIV ს.), დაიღუპა სოფელ უშგულზე ლაშქრობის დროს (იხ. ფერხული „ყანსავ ყიფიანე“). სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 2/4.

ყარაჩოლული (ყარაჩოხული) — (თურქ. შავჩოხიანი) ყარაჩოღელთა ცეკვა — ძველი თბილისის საცეკვაო ფოლკლორის ნიმუში. ყარაჩოღელები ხელოსნები იყვნენ. ისინი ერკვლე მეფეს ხლებიან ასპინძის ბრძოლაში და, გამორჩეული ჩაცმულობის გამო, თურქებს ყარაჩოხელები (ყარაჩოღელები) შეურქმევიათ.

ცეკვაში მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები. ხალხურ ვარიანტში — ერთი ან ორი, სასცენო-ხალხურში — ქორეოგრაფის სურვილისამებრ განუსაზღვრელი რაოდენობა.

იცეკვება დუდუკისა და დოლის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 6/8.

ყოვნიო გასმა — ცეკვა „ქართულის“ ილეთი. სრულდება გასმების ნაერთის დასაწყისში.

ყოლსამა // ყოლსარმა — (თურქ. ყოლ — მკლავი, სამა — ქართულად ცეკვა) ძველი აჭარული ქალთა და ვაჟთა ცეკვა — მკლავებით ცეკვა. ქალთა ყოლსამა — „თარანიო“, ვაჟთა — „მხარული.“

„ყოლსამას“ თურქულად „ყოლსარმასაც“ — მკლავების მოხვევასაც — ეძახიან: ცეკვაში ვაჟის ზედა კიდურების მოძრაობა მკლავების შემოხვევას მოგვაგონებს. „ყოლსამას“ ელემენტებზეა აგებული აჭარული ცეკვა „განდაგანა.“

შ

შავლეგო — უძველესი ქართლ-კახური ფერხული, ფერხულს შიგნით მოთამაშით. ეძღვნება შალვა ახალციხელს. შემორჩენილია მხოლოდ სიმღერა, ფეხის მოძრაობათა კომპლექსი დაკარგულია.

შალახო — ძველი თბილისური ცეკვის — „კინტაურის“ სახესხვაობა.

შალახო შეიძლება „კინტაურის“ თავისებურად შემსრულებლის მეტსახელი იყოს ან ამ ცეკვის განსხვავებული მელოდიის, ან მისი ავტორის.

პალურს-პანღურს თურქულად შალახ ჰქვია (საბა). საფიქრებელია, შალახი თბილისში ადრე გავრცელებული „იალის თამაშის“ (იხ. იალის თამაში) სახეცვლილება იყოს — ჯოხის შემოკვრა პანღურით შეცვლილიყო; შემდეგში ცეკვას ორივე ჩამოსცილდა — იგი ჩვეულებრივ „კინტაურ“ ცეკვად დარჩა და ქალაქური ფოლკლორის რეპერტუარში თავისებური სახელწოდებით — „შალახ-ოთი“ — დამკვიდრდა.

შარათინი — შეჯიბრების ტიპის აფხაზური ხალხური ცეკვა. ხალხურ ვარიანტში „შარათინი“ სატრფიალო ცეკვაა და სრულდება ცალ-ცალკე — ქალთა, ვაჟთა და ქალ-ვაჟთა წყვილების მიერ.

სასცენო-ხალხური კი ჯგუფურად იცეკვება. ილეთები: ტერფდაკვრით სვლა, ტერფდაკვრით ჩაკვრა და ბრუნნი.

„შარათინის“ დასკვნით ნაწილში იმღერება „ოტლარჩობა“ — მოცეკვავე მამაკაცები სწრაფ ტემპში ასრულებენ ჩაკვრებსა და ცერ-ილეთებს. მუსიკალური ზომა — 2/4.

შეჯიბრი — სასცენო-ხალხური ვაჟთა ცეკვა, „მთიულურის“ ნაირსახეობა: ორ მონინაალმდეგეს შორის შეჯიბრება — საცეკვაო ილეთთა სისხარტე-სიმარდემი, დახვეწილობა-მოქნილობაში...

შვიდმაისობის ფერხული — ქალ-ვაჟთა ძველი ქართული ფერხული — ბუნების გამოღვიძების, ნაყოფიერებისა და მცენარეთა კულტის ნაშთი.

ხალხური გადმოცემით, ძველად, ყოველ შვიდ მაისს, ქალ-ვაჟნი მინდვრად გადიოდნენ, ფერხულს აბამდნენ და დასძახოდნენ: „შვიდმაისის წვიმა, თმა კოჭებამდინა“... ყოველ მეფერხულეს თავზე დაწნულტოტებიანი გვირგვინი ედგა.

შინავორგილ — ქალ-ვაჟთა სვანური სატრფიალო მასობრივი ცეკვა. მეფერხულენი ორ ჯგუფად, წრის შეუკვრელად ცეკვავენ. ამიტომ შეიძლება, „შინავორგილი“ ფერხისებს მივაკუთვნოთ.

„შინავორგილი“ სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

შიშა და გერგილი — სვანური საყოფაცხოვრებო ფერხული. ტექსტის მიხედვით, პირველად ვინმე გერგილს (გიორგის) აღმოუჩენია მჟავე წყალი ცხარვაშში (იხ. ფერხული „შიშა და გერგილი“). ძირითადი მოძრაობა უძველესი ფერხულებისათვის დამახასიათებელი „მრგვალი ფეხია.“ სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 2/4.

შუშპარი — 1. მთვარის ღვთაების პატივსაცემი უძველესი სვანური სარიტუალო ცეკვა-ფერხული. 2. უძველესი სამონადირო ცეკვა.

სულხან-საბა „შუშპარსა“ და „სამას“ ერთსა და იმავე ცეკვად მიიჩნევს: სამა — როკვა შუშპარი (საბა). ნიკო მარს შუშპარი თუბალ-კაინური წარმოშობის სიტყვად მიაჩნდა: შუშ — თუბალ-კაინური, თუთ — მთვარე, თრთოლა, მოძრაობა; პარ — ფერხული, სამა. „ათი ქალი და დაახლოებით ოცი მამაკაცი მწკრივს ქმნიან და შეწყობით ტაშს უკრავენ. სიმღერას ასრულებს, როგორც ყოველთვის, ორ გუნდად გაყოფილი, მწკრივებად გაშლილი ან წრედ შეკრული ფერხული. ამ მწკრივის წინ, თუ წრის შიგნით, ხან ერთი და ხან კიდევ ორი მოთამაშე ცეკვავს — ქალი მამაკაცის თანხლებით“ (ნიკო მარი).

დროთა განმავლობაში „შუშპარი“ — მთვარის ცეკვა — დავიწყებას მიეცა, მაგრამ ცეკვის ზოგად სახელწოდებად დარჩა (შუშპარი — ცეკვა; შუშპარა — მოცეკვავე; აშუშპრებს — აცეკვებს; სვანურად: ლახშუშპარია — იცეკვე).

ჩ

ჩაგუნა — მეგრული სახუმარო სიმღერა ცეკვით — ქალ-ვაჟის გაშაირება. ჩაგუნა — გუ-დამოკიდებული, ღარიბულსამოსიანი კაცი — მოშაირეთა გაკენწვლისა და დაცინვის ობიექტია. მისი ცეკვაც სახუმარო და სასაცილოა. სრულდება სიმღერით, მოშაირე ქალ-ვაჟისა და გუნდის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 4/4.

ჩაკვრა — მთიელთა ცეკვების ილეთთა ერთ-ერთი ჯგუფის ზოგადი სახელი: ადგილზე მცირე ხტომები, ქუსლისა და ცერის მონაცვლეობით ფეხების იატაკზე ცემა; ცერ-ილეთები, პერიოდულად ცალ ან ორივე ფეხის თითებზე (ცერებზე) შეხტომა-ჩამოხტომა. არსებობს ერთმანეთის მსგავსი და სრულიად განსხვავებული ჩაკვრები: „სადა ჩაკვრა,“ „წვივგაქნევ ჩაკვრა,“ „ფეხშილი ჩაკვრა,“ „ჭრილი ჩაკვრა,“ „ხლართული ჩაკვრა“...

ჩაკვრები მხოლოდ მთიელთა ცეკვების — „მთიულურის,“ „მოხეურის,“ „ხევსურულის,“ „ფშაურის,“ „თუშურისა“ და „სვანურის“ — ილეთებია. თავისებური ჩაკვრები ახასიათებთ ოსურ და აფხაზურ ცეკვებს.

ჩაკრული — არამთიელთა ცეკვებში გამოყენებული ჩაკვრების მსგავსი ილეთი („ფერხული,“ „განდაგანა,“ „კინტაური“ და ა.შ.).

ჩაქოლვა — ცეკვა „ხორუმის“ ილეთი — იერიში, ალყაში მოქცევა და ჩაქოლვა.

ჩემო ყურშაო — ძველი რაჭული სამონადირო ფერხული ერთი დამწყებ-მომღერლით (ტექსტის მთქმელით), დანარჩენები კი მოძახილს ამბობენ: „ო, ჩემო ყურშაო!“ დიმიტრი ჯანელიძეს „ჩემო

ყურშაო“ ამირანის ციკლის ფერხულად მიაჩნია.

ჩეყარამსა — ქალ-ვაჟთა ძველი სვანური ფერხული: XVI საუკუნეში თავისუფალმა უბატონო სვანებმა სოფელ უშგულში მოკლეს მოძალადე თავადი ფუთა დადეშქელიანი.

ჩეყა ფერხულში ფეხების მოძრაობათა კომპლექსის დამდგენის სახელს უნდა უკავშირდებოდეს, რამსა — სვლას. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 4/4.

ც

ცალფეხგასმურა — მამაკაცთა ილეთი ცეკვა „განდაგანაში“ — წვივის ჰაერში გაქნევა.

ცალცერდაკრა — აფხაზური ცეკვის ერთტაქტიანი ილეთი: ყოველ მესამე თვლაზე მონაცვლეობით ფეხის ცერების იატაკზე დაკვრა. მუსიკალური ზომა — 4/4.

ცალცერდაკრით რბენი — სვანური „ცერულის“ ნახევარტაქტიანი ილეთი — ყოველ პირველ თვლაზე ცალი ფეხის ცერის დაკვრით წრეზე სირბლი. მუსიკალური ზომა — 2/4.

ცალცერზე ხტომით სვლა — აფხაზური ცეკვის ილეთი: მუსიკალური ტაქტის ყოველ თვლაზე ცალცერზე ხტომით წინსვლა. მუსიკალური ზომა — 4/4.

ცეკვა — ხელოვნების უძველესი ფორმა, რიტმულ მოძრაობათა კომპლექსი, ადამიანის შინაგანი განცდებისა და გრძნობების მოძრაობით გადმოცემა.

სულხან-საბასთან ცეკვა კერძო მნიშვნელობის სტყვაა: „ფერწის თითებით როკვა“ — როკვის ერთ-ერთი სახეობა. ცეკვამ, ცალკეული საფერხულო წყობების — „სამასა“ და „შუმპარის“ მსგავსად, მხოლოდ მოგვიანებით, XIX საუკუნეში, დაიკავა როკვის ადგილი.

ცეკვა, როგორც კერძო მნიშვნელობის ტერმინი, ზოგ კუთხეს დღემდე შემორჩა: აჭარას — ცეკვა და კახეთს — ცეკო. ორსავე შემთხვევაში ნაგულისხმებია ცეკვა „ქართულის“ ადრინდელი სახელწოდება.

ცეკვა ქართული — ქალ-ვაჟის სატრფიალო ცეკვა, ქართულ ხალხურ ცეკვათა მშვენიება. „ეს ცეკვა სატრფიალო პოემია, შეჯიბრი სილამაზეში, მოქნილობაში, მოსაზრება-მიხვედრილობაში“ (დავით ჯავრიშვილი).

„ქართული“ აგებულია სრულიად თავისებურ ტექნოლოგიურ მასალაზე — სვლებსა და გასმებზე. ფეხისა და ხელების მოძრაობები ჰარმონიულადაა შერწყმული ზეტანის თითქმის უძრავ მდგომარეობასთან. სრულდება სალამურის ან დუდუკის, გარმონის და დოლის ან დაირის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 6/8.

ცეკვის გაკვეთილის სტრუქტურა — ცეკვის გაკვეთილი ხუთი ნაწილისაგან შედგება (ხანგრძლივობა 90 წუთი):

პირველი — შესავალი — ძელთან ვარჯიში — 5-10 წუთი: სხეულის, უმთავრესად, ქვედა კიდურების „გათბობა“, მაღალ ერგცერებზე (ფეხის წვერებზე) დგომის ჩვევების გამომუშავება და წონასწორობა. ილეთში შემავალი მოძრაობების სწორად და დახვეწილად შესრულებისათვის მომზადება.

მეორე — ზოგადმომამზადებელი ნაწილი — 10-15 წუთი: ხელების, ზეტანისა და თავის მოძრაობების ვარჯიში.

მესამე — ძირითადი ნაწილი — 45-50 წუთი: გაკვეთილის თემის ძირითადი მასალის დამუშავება — საცეკვაო ილეთები, ილეთთა ნაერთები, ცეკვის ფრაგმენტები, თვით ცეკვა.

მეოთხე — დამატებითი ნაწილი — 5-10 წუთი: გამძლეობის გამომუშავება, ტექნიკურად რთული ილეთების დამუშავება, ღრმა სუნთქვის გახსნა და სხვა.

მეხუთე — დამამშვიდებელი ნაწილი — 5 წუთი: სხეულის დამშვიდება, სუნთქვის შენელება, თავისუფალი სვლები და სუნთქვითი ვარჯიშები.

ცეკვის კომპოზიცია — (ლათ. — შედგენა) ცეკვის, ქორეოგრაფიული ნაწარმოების შექმნის თეორია, ცეკვის კომპონენტებს (თემა, იდეა, შინაარსი, ეროვნული სამოსი, მუსიკა, საცეკვაო ილეთები) შორის ურთიერთკავშირი.

ცეკვის სახეები — ხალხური ცეკვა, სასცენო-ხალხური ცეკვა, თეატრალური ცეკვა, სამეჯლისო ცეკვა.

ხალხური ცეკვა — ხალხის მიერ შექმნილი, დღეობებში, საერო და საეკლესიო დღესასწაულე-ბზე შესასრულებელი ცეკვები („ცეკვები თავისთვის“).

ხალხური ცეკვები ჯგუფდება სხვადასხვა ნიშნით:

ადგილმდებარეობის (მთისა და ბარის, ქალაქისა და სოფლის).

სოციალური (მაღალი და დაბალი წრის).

შემსრულებელთა (ქალთა, ვაჟთა და ქალ-ვაჟთა, სოლო, წყვილთა და მასობრივი).

შინაარსის (შრომის, რელიგიურ-რიტუალური, საბრძოლო, სატრფიალო...).

მუსიკალური თანხლების (სიმღერის, ფანდურის, დუდუკის, სალამურის, გარმონის, დაირის, დოლის...).

სასცენო-ხალხური ცეკვები — იქმნება ხალხური ცეკვების საფუძველზე და მოითხოვს: მაყურებლის გემოვნების გათვალისწინებას, შინაარსის გამოკვეთას, ცეკვაში ახალი ფორმების შეტანას, შესრულების მაღალ დონესა და ოსტატობას, ტექნოლოგიური მასალის დახვეწას და სხვა.

თეატრალური ცეკვები — კლასიკური, ექსცენტრული, რიტმული, კომიკური და სხვა.

სამეჯლისო ცეკვები — XVI საუკუნეში ევროპაში ხალხური ცეკვების საფუძველზე შექმნილ ცეკვებს მეჯლისებზე ასრულებდნენ ქალ-ვაჟთა წყვილები. ყველაზე ადრე შექმნილი სამეჯლისო ცეკვები ისტორიულ-საყოფაცხოვრებო ხასიათისაა: მენუეტი, პოლონეზი, გავოტი, კრაკოვიაკი, მაზურკა, პოლკა... „რუსული ლირიკული“, „სუდარუშკა“, „ვარუ-ვარუ“, „რილიო“, „გინვევთ საცეკვაოდ“, „მზიური“, „ქართული სამეჯლისო...“ საყოველთაოდ გავრცელდა და განსაკუთრებით პოპულარულია საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხური ცეკვების საფუძველზე შექმნილი სამეჯლისო ცეკვები: „ჩა-ჩა-ჩა“, „სამბა“, „კუბური რუმბა“, „ჯაივი“, „ბერძნული ფერხული“, „უნგრული სამეჯლისო“, „ტანგო“, „წყნარი ვალსი“, „სწრაფი ფოქსტროტი“ და სხვა.

ცეკვის სტრუქტურა (დრამატურგია) — დრამატურგიის კანონების შესაბამისად ცეკვის გამლაგანვითარება: შესავალი (ექსპოზიცია), დასაწყისი, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, დასასრული.

შესავალი (ექსპოზიცია, გაცნობა) — მოქმედ პირთა პირველი გამოჩენა.

დასაწყისი — ცეკვის ნაწილი — მოქმედების დაწყება, ურთიერთობის გარკვევა.

მოქმედების განვითარება — მოქმედების დაძაბულობის გაძლიერება.

კულმინაცია — დაძაბულობის უმაღლესი მომენტი — ცეკვის თემის და იდეის გადაწყვეტა.

დასასრული — დრამატული წყობის ფინალი.

ცეკვის სწავლების მეთოდი — ცეკვის პრაქტიკული დისციპლინის შესასწავლად სწავლების ანალიზური, თხრობითი და ჩვენებითი მეთოდების გამოყენება: შესასწავლი მასალის (ძირითადად საცეკვაო ილეთის) შემადგენელ ნაწილებად — მოძრაობებად — დაშლა და თითოეულის თანმიმდევრულად შესწავლა (ნაწილებად იშლება და თანმიმდევრობით ისწავლება საცეკვაო ილეთთა ნაერთებიც და თვით ცეკვაც).

დაშლილი ილეთის თითოეული ნაწილის (მოძრაობის) შესწავლისას ჯერ სიტყვიერად გადაიცემა ამა თუ იმ მოძრაობის არსი, შემდეგ პრაქტიკულად შესრულებს ის.

ორივე ხერხი ერთმანეთს ავსებს და აადვილებს საცეკვაო მოძრაობების ათვისებას.

ცეკვის ფორმები — მცირე, საშუალო და დიდი.

მცირე — ხალხური, სასცენო-ხალხური, საესტრადო და სამეჯლისო ცეკვები.

საშუალო — საცეკვაო სიუიტი — რამდენიმე დამოუკიდებელი ცეკვა, გაერთიანებული საერთო ჩანაფიქრითა და შინაარსით.

დიდი — ბალეტი — თეატრალური ხელოვნების სახე: მუსიკა, ქორეოგრაფია, დრამატურგია. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები — ცეკვა და პანტომიმა (მიმიკა და პლასტიკური ჟესტი).

ცეკვის ფრაგმენტი — (ლათინ. ნაწილი, ნაწყვეტი). ცეკვის რომელიმე ნაწილი, ნაწყვეტი.

ცეკვის ჩანერის წესი — ცეკვის სრულყოფილად ჩასაწერად შინაარსისა და ტრადიციული წესების გადმოცემა: ცეკვის სქემატური (ცეკვის მონახაზი მონაკვეთებად, რომელშიც ყოველი მონაკვეთის დასასრული მომდევნოს საწყისი მდგომარეობაა) და მასში გამოყენებული ილეთების აღწერა (ილეთთა განმარტება), მუსიკა და ჩაცმულობა...

დღეისათვის ცეკვა იწერება ჩვეულებრივი წესით: ილეთთა სახელწოდებანი და მათი განმარტებანი სიტყვიერადაა გადმოცემული.

XV-XX საუკუნეებში ცეკვა (საცეკვაო ილეთები) გრაფიკული — პირობითი ნიშნებით — ჩანერეს:

მარგარიტა ავსტრიელმა (ნიდერლანდები); რაულ ოჟე ფეიესმა (საფრანგეთი); ალბერტ ცორნიმ (გერმანია); ვლადიმერ სტეფანოვმა (რუსეთი); სრბუი ლისიციანმა (რუსეთი); რუდოლფ ბენეშიმ (ინგლისი); როდერიკ ლანგესმა (პოლონეთი); დავით ჯავრიშვილმა, (საქართველო); ავთანდილ თათარაძემ (საქართველო)...

ცეკო — ქალ-ვაჟის წყვილად ცეკვის, ცეკვა „ქართულის“ ხალხური ვარიანტის ძველი სახელი. შემორჩენილია კახეთში.

ცერდაკვრითა და წვივგაქნევით ჩაკრული — ცეკვა „განდაგანაში“ ვაჟთა ორტაქტიანი ილეთი: მცირე შეხტომა, ორივე ფეხის ცერის რიგრიგობით დაკვრა და მიმდევრობით ცალი წვივის ჰაერში გაქნევა. მუსიკალური ზომა — 6/8.

ცერდაქნევით ჩაკვრა — სვანურ ცეკვა „ცერულში“ მამაკაცთა ერთტაქტიანი ძირითადი ილეთი: წინასწარ უკან გატანილი ცალი ან ორივე ფეხის წვივის დაქნევით ცერებზე შეხტომა-ჩამოხტომა. მუსიკალური ზომა — 2/4.

ცერებზე უკუსვლა — ორივე ფეხის ცერზე დგომა და ტაქტის ყოველ თვლაზე, მოკლე ნაბიჯებით უკან სვლა. გამოიყენება ცეკვა „მთიულურში“, ოსურ და აფხაზურ ცეკვებში. მუსიკალური ზომა — 2/4, 4/4/, 6/8.

ცერილეთი — საცეკვაო ილეთი — ცალ ან ორივე ცერზე შეხტომა-ჩამოხტომა და ცერებზე სვლა.

ცერული — ფეხის ცერებზე (თითებზე) შეხტომით ცეკვა. ფეხის თითებზე შეხტომა-ჩამოხტომას, ცერილეთებს ცეკვაში ყველა მთელი ქართველი იყენებს, მაგრამ ცერებზე ცეკვა, „ცერულის“ სახელწოდებით, მხოლოდ სვანეთისთვისაა დამახასიათებელი. „ცერულს“ ყოველთვის ფერხულების დასკვნით ნაწილში მხოლოდ მამაკაცები ცეკვავენ და იგი ისეთივე ძველია, როგორც თვით ფერხული.

ცერებზე ცეკვა სრულდება ფეხშლითა და წვივდაქნევით. იცეკვება ორპირული სამხმინი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 2/4.

ციოყ მახვში — იხ. უსგვირ ლაშგარ.

ძ

ძაბრა — **ძაბრალე (ძაბრობა, ძაბრალობა)** — მეგრული ფერხული — ფერხულს შიგნით მოთამაშით, ცეკვა „ჯანსულოს“ წინამორბედი. „ძაბრალეს“ ყველაზე გავრცელებული ვარიანტია: ფერხულის ცენტრში ბენვიან ქუდს (ბოხობს) აგდებენ, წრის შიგნით გამოდის მოთამაშე და ხანჯლით გარს უვლის ქუდს. ხალხი ქუდში გულისხმობდა ურჩხულს — მთელი სოფლის გადამჭმელ ძაბრას. ფერხულს შიგნით მოთამაშე სიმღერა-ცეკვით სასაცილოდ განასახიერებს შეტევას, შიშს, სიძულვილს, უკან დახევასა და ისევ თავდასხმას... საფერხულო მწყობრი კი „ჰოჲ, ძაბრას“ შესძახებს. საბოლოოდ, მოთამაშე ხანჯალს დაჰკრავს ბოხობს. მეფერხულენიც მისცვივდებიან ქუდს, დაგლეჯენ და მხიარულობენ. „ძაბრას“ ერთ-ერთ ვარიანტში ფერხულს შიგნით ოთხი-ხუთი ჯოხებიანი მოთამაშე დგას.

ფერხული „ძაბრალე“ უკორიფოდაც სრულდებოდა — ფერხულის ერთი ნახევარი მღეროდა, მეორე — „ჰოჲ ძაბრას“ მოსძახებდა. ფერხული „ძაბრალე“ სრულდება სამხმინი სიმღერით. მუსიკალური ზომა — 2/4.

ძნობა — 1. რელიგიურ-რიტუალური ფერხული (ივ. ჯავახიშვილი), ცეკვის ზოგადი სახელი, ქალთა საფერხულო როკვის ნაირსახეობა (იხ. ლილი გვარამაძე, ქართული საცეკვაო ფოლკლორი). ასეთი მნიშვნელობა „ძნობას“ მხოლოდ XI საუკუნემდე ჰქონდა — შემდეგ ის მუსიკას უკავშირდება. 2. სიმებიან საკრავზე დაკვრა, გალობა, „განცხრომა“ (იხ. „განცხრომა.“ ილია აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

ძნობი — მუსიკა, შეწყობილი ჳმა(ა) (საბა).

ძნობით — შეწყობილის ჳმით(ა) (საბა).

წ

წართმევი (შეცილება) — ცეკვაში შეცილება, ჩანაცვლება, ადგილის წართმევა, პარტნიორების ცვლა. „ქართულის“ ტექნოლოგიაზე აგებული იმავე ტიპის გართობა-თამაშის ხასიათის ქალ-ვაჟთა

ცეკვა. როდესაც მოცეკვავე ქალ-ვაჟს შორის მესამე პირი (მაგალითად ვაჟი) შეიჭრება, მოცეკვავე წყვილს შორის ჩადგება, პირველი ვაჟი ვალდებულია, ადგილი დაუთმოს ახლადშემოსულს და მიატოვოს ცეკვა, დატოვოს საცეკვაო მოედანი და მაცურებელში გაერიოს. ასევე იქცევა ქალი, თუ მოცეკვავე წყვილს შორის ქალი შეიჭრა.

„ნართმევიამი“ მოცეკვავეთა ჩანაცვლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის საშუალებას იძლევა მოცეკვავე ქალ-ვაჟს შორის არსებული მანძილი. „ნართმევიამი“ დაუშვებელია ყოველგვარი უხეშობა. მოცეკვავენი ისე უნდა „შევიდნენ“ ცეკვაში, რომ ერთმანეთს ტანსაცმლითაც კი არ შეეხონ.

ცეკვა „ნართმევიამი“ ქალი ქალს ენაცვლება, ვაჟი-ვაჟს. თუ მოცეკვავე ქალი ხელებით გულმკერდს დაიფარავს, ეს იმის ნიშანია, რომ ის შემცვლელს მოითხოვს.

ცეკვის დასკვნით ნაწილში შეიძლება ქალ-ვაჟთა წყვილებმა ერთად იცეკვონ. „ნართმევიამი“ უფრო მეტად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. სრულდება გარმონისა და დაირის ან სიმღერის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 6/8.

წვივქნევით ჩაკვრა — ცეკვა „მთიულურის“ ერთტაქტიანი ილეთი — წვივების ჰაერში გაქნევით ფეხების რიგრიგობით მოხრა და გამართვა. მუსიკალური ზომა — 6/8.

ჭ

ჭდობილი გასმა — ცეკვა „ქართულის“ ორტაქტიანი ილეთი — „სადა გასმისა“ და ფეხების გადაჭდობის ნაერთი დასკვნით ნაწილში, გვერდზე სვლისათვის — ვაჟის ქალთან მიახლოებისას. მუსიკალური ზომა — 6/8.

ჭდობილი წინსვლა — ცეკვა „მთიულურის“ ორტაქტიანი ილეთი, მუხლურა წინსვლის თავისებური ვარიანტი — მეოთხედად მარჯვნივ და მარცხნივ შებრუნებით. მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ჭიშხაში — ვაჟთა და ქალ-ვაჟთა სვანური წრიული ფერხული (ჭიშხ-ი ფეხი, ჭიშხაში-ი — ფერხული).

ჭრილი ჩაკვრა — ცეკვა „მთიულურსა“ და „ყაზბეგურში“ ვაჟთა ორტაქტიანი ილეთი: ერთი ფეხის მეორით უკან ირიბად გადაჭრა — მარჯვენა ფეხით გვერდზე ნაბიჯი და მარცხენის ცერით მარჯვენის უკან დაკვრა (ასევე მარცხნივ). ილეთი უფრო მეტად გვერდზე — მარჯვნივ და მარცხნივ გადაადგილებით სრულდება. იგი ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოძრაობისაგან შედგება. იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანით იწყება ილეთი, — გვერდზე ნაბიჯით, ქუსლის გადგმით, ცერის დაკვრით თუ ზეხტომით, — არსებობს ჭრილი ჩაკვრის განსხვავებული ვარიანტები. მუსიკალური ზომა — 6/8.

ხ

ხანჯლური — მამაკაცთა ცეკვა ხანჯლებით. აგებულია „მთიულურის“ ელემენტებზე, ცეკვისა და ჟონგლიორობის სინთეზის ხალხური ვარიანტი. ხანჯლებიანი მოცეკვავე, ილეთების შესრულებასას ხანჯლებს ატრიალებს ჰაერში და ოსტატურად არჭობს მინაზე (იატაკზე).

ხალხურ ვარიანტში „ხანჯლურს“ ერთი ან ორი მამაკაცი ცეკვავს, სასცენო-ხალხურში — მამაკაცთა განუსაზღვრელი რაოდენობა.

ხელების მდგომარეობა — 1. ხელიხელჩაკიდებული; 2. ხელებით ერთმანეთის მხრებზე; 3. ხელებით ერთმანეთის ქამრებში ჩაჭიდებული; 4. ხელკავი.

ხელების ძირითადი პოზიციები:

I პოზიცია — განზე (განმკლავი).

II პოზიცია — ერთი ხელი მოხრილი იდაყვის სახსარში, გულმკერდის დონეზე, მეორე — გამართული და გატანილი განზე.

III პოზიცია — ერთი ხელი მოხრილი იდაყვის სახსარში და აწეული ზემოთ, მეორე — გამართული და გატანილი განზე.

IV პოზიცია — ორივე ხელი თავს ზემოთ.

ხლართულა ჩაკვრა — „ყაზბეგურსა“ და „მთიულურში“ მამაკაცთა ერთ-ნახევარტაქტიანი, სამ-

მოძრაობიანი ილეთი — ფეხების ერთმანეთზე გადახლართვა. მუსიკალური ზომა — 2/4 ან 6/8.

ხონგა ქავთ (მიპატიჟება) — ქალ-ვაჟთა სატრფიალო ოსური ცეკვა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). ხალხში ადრე ამ ცეკვას ორი წყვილიც ცეკვავდა. მ. ს. ტუგანოვის გადმოცემით, ოსეთში 70-80-იან წლებში გავრცელდა. მან მანამდე არსებული „დატაგუი ქავთი“ შეცვალა. „ხონგა ქავთი“ ოსეთში ადრე „ქაშგონ ქავთის“ სახელწოდებით გვხვდებოდა, რაც ოსურად — ყაბარდოულ ცეკვას ნიშნავს. „ხონგა ქავთი“ ტექნოლოგიით ძლიერ ნააგავს ყაბარდოულ ცეკვა „ყაფას.“ ორივე ცეკვაში გამოიყენება ერგცერებზე ფეხმიდგმით ნარნარი სვლა.

„ხონგა ქავთს“ ცეკვავენ გარმონისა და დოლის ან დაირის თანხლებით. მუსიკალური ზომა — 6/8.

ხინტკირია — იხ. ბასტი და კეჭნაობა.

ხორონი — იხ. ხორუმი.

ხორული — იხ. მხარული.

ხორუმი — საფერხულო წყობის უძველესი საბრძოლო ცეკვა: მტერთან ბრძოლის მთელი სურათი, ბატალური სცენები სხეულის მოძრაობით, რიტმით, ჟესტიტა და მიმიკიტაა გადმოცემული.

ცეკვა „ხორუმი“ ოთხნაწილიანია: 1. ადგილის ძებნა მეომართა დასაბანაკებლად; 2. მტრის დაზვერვა; 3. იერიში (ბრძოლა); 4. გამარჯვება და ზეიმი. ხორუმის დასკვნით ნაწილს ხალხურ ვარიანტში „გადახვეული ხორუმი“ ეწოდება (იხ. გადახვეული ხორუმი).

არსებობს ცეკვა „ხორუმის“ ოდნავ განსხვავებული სახელწოდებაც: „ხორონი“, „დელი ხორუმი.“ გურიამი ორ ჯგუფს შორის ლექსით დავას, შაირში შეჯიბრებას, ხორუმს უწოდებენ.

„ხორუმს“ აქვს სრულიად თავისებური რიტმი და მუსიკალური ზომა — 5/8. სრულდება დოლის, ჭიპონის, დოლისა და ჭიპონის (ჭიპონის) ან სიმღერის თანხლებით.

ხუნტრუცი — ქალთა ფუნდრუკი (იხ. თამაშობა).

ჯ

ჯანგილდი — ქალ-ვაჟთა სატრფიალო სვანური მასობრივი ცეკვა: მკლავში ხელიხელგაყრილი ქალ-ვაჟნი ეწყობიან ნახევარ წრედ და სიმღერის დაწყებისთანავე ფეხების გადაჭდობითა და გასმით მოძრაობენ მარჯვნივ.

„ჯანგილდი“ იცეკვება ორპირული სიმღერა „ვორირაშას“ თანხლებით, ამიტომ მას ზოგჯერ „ვორირაშასაც“ უწოდებენ. მუსიკალური ზომა — 2/4.

ჯანსულო — მეგრული სახუმარო ცეკვა-თამაში, „ძაბრალეს“ სახეცვლილება, ოღონდ საფერხულო მწყობრი აღარ მოძრაობს — სტატიკურია, მომღერალ-მოთამაშე — გააქტიურებული. სიმღერით გამოდის საცეკვაო მოედანზე და ხმალ-ხანჯლითა და დამბარით შეიარაღებული ტრაბახობს: არაფრის ემინია. მოულოდნელად მოედნის ცენტრში ბენვიანი ქუდი დავარდება. როგორც კი მოთამაშე-მომღერალი ქუდს შენიშნავს, შეშინდება (როგორც ძაბრალეში ურჩხული იგულისხმება). მას ჯერ ხანჯალი გაუვარდება, შემდეგ ხმალი. იგი დახმარებას სთხოვს ხალხს. თამაშის დასკვნით ნაწილში თანდათანობით გამხნევდება, შეტევაზე გადავა და ხანჯალს დაჰკრავს ქუდს. ამის შემდეგ „გამარჯვებული“ მოთამაშე ზეიმის ნიშნად ცეკვავს.

მეგრული ცეკვა-თამაში „ჯანსულო“ სრულდება სიმღერით: ტექსტს მთლიანად მომღერალ-მოთამაშე მღერის, გუნდი კი მხოლოდ შეძახილით — ჯანსულო — უპასუხებს. მუსიკალური ზომა — 4/4.

ჰ

ჰაიდა, ქალებო — ძველი ორპირული ქალთა ქართლური ფერხული (ჩაწერილია ია კარგარეთელის მიერ სოფელ ერთანმინდაში).

— „ჰე, ჰაიდა, ქალებო, ჰა-და, ქვეყნის თვალებო,“ — ამბობს მეფერხულეთა ერთი ნახევარი, შემდეგ იმავს მეორე მწკრივი გაიმეორებს და ა.შ.